თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქრესტომათია ახალ ისტორიაში

წიგნი I

სსსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ
დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1979

კრებულში შეტანილია ევროპისა და ამერიკის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები (XVII—XVIII სს.). მასალა განაწილებულია სასწავლო პროგრამის მიხედვით.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტი-ისტორიკოსებისა და პედაგოგებისათვის.

რედაქტორები: მ. მამფორია, გ. კილურაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979

10605
X———————
М—606(06)-79

წინასიტყვაობა

ახალი ისტორიის ქრესტომათიის პირველ ტომში მოცემულია მასალები, რომლებიც ასახავენ ინგლისის XVII საუკუნის ბურჟუაზიულ რევოლუციას, სამრეწველო გადატრიალებას ინგლისში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, საფრანგეთის ისტორიას 1643 წლიდან 1789 წლამდე, ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ომსა და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნას, გერმანიისა და ავსტრიის ისტორიას XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში, იტალიის XVIII საუკუნის ისტორიას, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობებს 1640 — 1789 წწ.

ქრესტომათიაში შეტანილია ნაწყვეტები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებებიდან, რომლებიც აშუქებენ აღნიშნული პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს.

წინამდებარე ტომში შესული დოკუმენტური მასალა ასახავს ისტორიული განვითარების მეტად მნიშვნელოვან მოვლენებს — წარმოების კაპიტალისტური წესის განმტკიცებას, ანტაგონისტურ კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებას, ფეოდალური ფორმაციის კაპიტალისტურით შეცვლის აუცილებლობასა და კანონზომიერებას.

აქ მოტანილი მასალა შეესაბამება უნივერსიტეტის პროგრამულ მოთხოვნებს და განკუთვნილია სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობისათვის ისტორიულ წყაროებზე სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობის დროს.

ქრესტომათია შედგენილია შემდეგი წიგნების მიხედვით:

Хрестоматия по новой истории, под ред. член-кор. АН СССР А. А. Губера и члена-кор. АН СССР А. В. Ефимова, т. I, 1640—1815, М., 1963.

В. И. Киселева, Л. Е. Кертман, М. Т. Панченкова, Е. Е. Юровская. Хрестоматия по истории международных отношений, вып. I, 1963.

Хрестоматия по социально-экономической истории Европы в новое и новейшее время, под ред. В. П. Волгина, 1929.

Хрестоматия по новой истории, составил П. Н. Ардашев, Киев, 1916.

Конституции и законодательные акты буржуазных государств, XVII—XIX вв. Сборник документов под редакцией проф. П. Н. Галанзы. М., 1957.

პირველი ტომის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს: რ. ლასკარმა (ინგლისი XVII—XVIII საუკუნეებში), მ. მამფორიამ (სამრეწველო რევოლუცია (გადატრიალება) ინგლისში, იტალია), კ. ანთაძემ და ნ. ნამორაძემ (საფრანგეთი XVII საუკუნის შუა ხანებიდან დიდი რევოლუციის დაწყებამდე), გ. კიღურაძემ და ე. მეძმარიაშვილმა (პრუსია XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში, ავსტრია XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ამერიკის ინგლისურ ახალშენებში და აშშ შექმნა, საერთაშორისო ურთიერთობანი 1640—1789 წწ.). ქრესტომათიის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს: გ. ბოლოთაშვილმა, მ. მეძმარიაშვილმა და გ. ბეჟუაშვილმა.

მ. მამფორია

თავი პირველი

ინგლისი XVII—XVIII საუკუნეებში

I. XVII ს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია

1. კ. მარქსი და ფ. ენგელსი XVII ს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ

კ. მარქსი XVII ს. ინგლისის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ

არ უნდა ავურიოთ მარტის რევოლუცია პრუსიაში არც ინგლისის 1648 წლისა და არც საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციებში.

1648 წლის რევოლუციაში ბურჟუაზია, ახალ თავადაზნაურობასთან კავშირში, იბრძოდა მონარქიის, ფეოდალური თავადაზნაურობისა და გაბატონებული ეკლესიის წინააღმდეგ.

1789 წლის რევოლუციაში — ბურჟუაზია, ხალხთან კავშირში, იბრძოდა მონარქიის, თავადაზნაურობისა და გაბატონებული ეკლესიის წინააღმდეგ.

1789 წლის რევოლუციას თავის პირველსახედ (ყოველ შემთხვევაში ევროპაში) მარტოოდენ 1648 წლის რევოლუცია ჰქონდა. 1648 წლის რევოლუციას — მხოლოდ ნიდერლანდების აჯანყება ესპანეთის წინააღმდეგ. ორივე რევოლუციამ მთელი საუკუნით გაუსწრო თავის პირველსახეს არამარტო დროის, არამედ შინაარსის მიხედვითაც.

ორივე რევოლუციაში ბურჟუაზია იყო ის კლასი, რომელიც ნამდვილად ედგა მოძრაობას სათავეში. პროლეტარიატს და ქალაქის მოსახლეობის იმ ფენებს, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ ბურჟუაზიას, ან არ გააჩნდათ ჯერჯერობით ბურჟუაზიისაგან განცალკევებული ინტერესები, ანდა ისინი არ შეადგენდნენ დამოუკიდებლად განვითარებულ კლასებსა თუ კლასთა ნაწილს. ამიტომ იქაც კი, სადაც ისინი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მაგალითად, 1793 და 1794 წწ. საფრანგეთში, ისინი იბრძოდნენ მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესების განხორციელებისათვის, თუმცა არაბურჟუაზიული წესებით. საფრანგეთის მთელი ტე-

ორორიზმი სხვა არა იყო რა, თუ არა ბურჟუაზიის მტრებთან. აბსოლუტიზმთან, ფეოდალიზმთან და მეშჩანობასთან პლებეური საშუალებით გასწორება.

1648 წლის და 1789 წლის რევოლუციები არ იყო ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციები. ისინი ევროპული ყაიდის რევოლუციები იყვნენ. ისინი არ წარმოადგენდნენ საზოგადოების გარკვეული კლასის გამარჯვებას ძველ პოლიტიკურ წყობილებაზე, ისინი აცხადებდნენ პოლიტიკურ წყობილებას ევროპის ახალი საზოგადოებისათვის. ბურჟუაზიამ გაიმარჯვა ამ რევოლუციებში, მაგრამ ბურჟუაზიის გამარჯვება ნიშნავდა მაშინ ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებას, ბურჟუაზიული საკუთრების გამარჯვებას ფეოდალურზე, ერის გამარჯვებას პროვინციალიზმზე, გამარჯვებას კონკურენციისა — ამქრებზე. საკუთრების განაწილებისა — მაიორატზე, მესაკუთრისადმი მიწის დამორჩილებისა — მიწისა მესაკუთრის დამორჩილებაზე, განათლებისა — ცრუმორწმუნოებაზე, ოჯახისა — გვარზე, მრეწველობისა — გმირულ სიზარმაცეზე, ბურჟუაზიული სამართლისა — შუასაუკუნეობრივ პრივილეგიებზე. 1648 წლის რევოლუცია იყო მე-17 საუკუნის გამარჯვება მე-16 საუკუნეზე, 1789 წლის რევოლუცია იყო მე-18 საუკუნის გამარჯვება მე-17-ზე. ეს რევოლუციები მთელი იმდროინდელი მსოფლიოს მოთხოვნილებებს უფრო გამოხატავდნენ, ვიდრე სამყაროს იმ ნაწილებისას, სადაც ისინი მიმდინარეობდნენ, ე. ი. ინგლისისა და საფრანგეთისა.

კ. მარქსი, ბურჟუაზია და კონტრრევოლუცია, კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, თბ., 1950 წ., ტ. 1, გვ. 52—53.

კ. მარქსი ინგლისის რევოლუციის კონსერვატორული ხასიათის მიზეზების შესახებ

ის, რაც ბ-ნ გიზოს უდიდეს ამოცანად წარმოუდგენია — რის ამოხსნასაც იგი მხოლოდ ინგლისელთათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ გონივრულობაში პოულობს, — ამოცანა ინგლისის რევოლუციის კონსერვატორული ხასიათის შესახებ აიხსნება იმ ხანგრძლივი კავშირით, რომელიც არსებობს ბურჟუაზიასა და მსხვილ მიწათმფლობელთა უდიდეს ნაწილს შორის, კავშირით, რომლითაც ინგლისის რევოლუცია არსებითად განსხვავდება საფრანგეთის რევოლუციისაგან და რომელიც მსხვილ მიწათმფლობელობას მიწის დაქუცმაცების საშუალებით სპობს. მსხვილ მემამულეთა ეს კლასი, რომელიც ბურჟუაზიასთან არის დაკავშირებული და რომელიც ჯერ კიდევ ჰენრიხ VIII დროს წარმოიშვა, საფ-

რანგეთის 1789 წლის მიწათმფლობელობისაგან განსხვავებით, წინააღმდეგობაში კი არ იმყოფებოდა ბურჟუაზიის არსებობის პირობებთან, არამედ უაღრესად შეხმატკბილებული იყო მათთან. სინამდვილეში ამ კლასის მიწათმფლობელობა წარმოადგენდა არა ფეოდალურ, არამედ ბურჟუაზიულ საკუთრებას. ერთი მხრივ, ეს მიწათმფლობელები უზრუნველყოფდნენ სამრეწველო ბურჟუაზიას მანუფაქტურის არსებობისათვის აუცილებელი მუშახელით, მეორე მხრივ, მათ შესწევდათ უნარი ისეთი მიმართულება მიეცათ მიწათმოქმედებისათვის, რომელიც მრეწველობისა და ვაჭრობის მდგომარეობას შეესატყვისებოდა. აქედან გამომდინარეობდა ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელების ინტერესების ერთიანობა, ამით იყო ნაკარნახევი მათი კავშირი ბურჟუაზიასთან.

კ. მ ა რ ქ ს ი, რეცენზია ფ. გიზოს წიგნზე „რატომ გაიმარჯვა ინგლისის რევოლუციამ". იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ინგლისის შესახებ. თბილისი, 1959 წ., გვ. 389.

ფრ. ენგელსი ხალხთა მასების როლის შესახებ ინგლისის რევოლუციაში

კალვინიზმში[1] ბრძოლის მზამზარეული თეორია ჰპოვა ბურჟუაზიის მეორე დიდმა აჯანყებამ.[2] ეს აჯანყება მოხდა ინგლისში. მას პირველი ბიძგი მისცა ქალაქის ბურჟუაზიამ, ხოლო საშუალო გლეხებმა, სოფლის ოლქების იომენრებმა[3] გამარჯვებამდე მიიყვანეს. საკმაოდ უცნაური რამ არის: სამივე დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციაში[4] გლეხები იძლევიან მებრძოლ არმიას, ისინივე წარმოადგენენ სახელდობრ იმ კლასს, რომელიც მიღწეული გამარჯვების შემდეგ უეჭველად ნადგურდება ამ გამარჯვების ეკონომიური შედეგების გამო, კრომველიდან ასი წლის შემდეგ ინგლისელი იომენრები თითქმის სრულიად გაქრნენ. ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ამ იომენრების და ქალაქის პლებეური ელემენტების ჩარე-

---

[1] კალვინიზმი — პროტესტანტული სარწმუნოება, დაკავშირებულია ფრანგი მქადაგებლის ჟან კალვინის (1509—1564) სახელთან.

[2] ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი ს აზრით ფეოდალიზმის წინააღმდეგ ევროპის ბურჟუაზიის პირველი ბრძოლა, „...იყო ე. წ. რეფორმაცია გერმანიაში. ლუთერის მოწოდებამ ეკლესიის წინააღმდეგ ამბოხებისადმი გამოიწვია ორი დიდი პოლიტიკური აჯანყება: ჯერ დაბალი თავადაზნაურობისა ფრანც ფონ-ზიკინგენის მეთაურობით 1523 წ., ხოლო შემდეგ — გლეხთა დიდი ომი 1525 წელს" (კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 11. გვ. 113).

[3] იომენრები, ანუ იომენები — ასე უწოდებდნენ ინგლისში გლეხობას.

[4] მხედველობაშია XVI ს. გერმანული რეფორმაცია, XVII ს. ინგლისის რევოლუცია და XVIII ს. საფრანგეთის დიდი რევოლუცია.

ვის მეოხებით იქნა მიყვანილი ბრძოლა გადამწყვეტ ბოლომდე და ჩარლზ I ეშაფოტზე მოხვდა. იმისათვის, რომ ბურჟუაზიას შეძლებოდა მიეღო გამარჯვების ის ნაყოფი მაინც, რომელიც მაშინ უკვე სავსებით მომწიფებული იყო მოსაკრეფად, საჭირო იყო რევოლუცია საგრძნობლად გასცილებოდა ამ მიზანს — სწორედ ისე, როგორც 1793 წ. საფრანგეთში და 1848 წ. გერმანიაში. ჩანს ასეთია ნამდვილად ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი კანონი.

რევოლუციური მოქმედების ამ სიჭარბეს მოჰყვა გარდუვალი რეაქცია, რომელიც თავის მხრივ, აგრეთვე გასცილდა თავის მიზანს. მთელ რიგ რყევათა შემდეგ, როგორც იქნა, დამყარდა სიმძიმის ახალი ცენტრი, რომელიც ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა შემდგომი განვითარებისათვის. ინგლისის ისტორიის შესანიშნავმა პერიოდმა, რომელიც ფილისტრებმა „დიდი ჯანყის" სახელით მონათლეს, და მისმა მომდევნო ბრძოლებმა თავიანთი დასასრული ჰპოვეს 1689 წლის იმ უმნიშვნელო შედეგში, რომელსაც ლიბერალური ისტორიკოსები „სახელოვან რევოლუციას" უწოდებენ.

ფრ. ენგელსი, სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ, შესავალი ინგლისური გამოცემისათვის, კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, თბ., 1950 წ., ტ. 11, გვ. 114 — 115.

2. ინგლისის სოფელი რევოლუციის წინ

ა. ფერმერები და კოპიჰოლდერები XVII ს. პირველ ნახევარში

პემბროკის გრაფის მიწების აღწერიდან (1631 — 1632 წწ)

გრაფ პემბროკის და მონჰომერის მიწების „აღწერა" (1631—1632 წწ.) სტატისტიკური ხასიათის წყაროა. XVI—XVII სს. ინგლისში ამგვარ აღწერებს აწარმოებდნენ ლორდები საკუთარი შემოსავლის დადგენის მიზნით. აღწერათა ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია.

დინგბტონის (იგივე დონინგბტონის) მანორი, უილთშირის[1] საგრაფო

ფ ე რ მ ე რ ე ბ ი. 90. როჯერ ერსი, ჯენტლმენი, ჯეიმზ I მეფობის მე-8 წლის (1610 წ.) 25 ივნისის ხელშეკრულებით, პემბროკის გრაფის უილიამსის ბოძებით, 1100 გირვ. ფაინის[2] გადახდის პირობით ფლობს მთავარ

[1] სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში.

[2] ფაინი — სხვადასხვა ფეოდალური გადასახადი: უფლების მოსაპოვებელი გადასახადი მემკვიდრეობის მიღებისას, მიწის ახალი მფლობელის ხელში გადასვლისას, მანორალური სასამართლოს მიერ დაკისრებული სასამართლო ჯარიმები.

კარმიდამოს და ფერმას დინგტონში, ყველაფრით, რაც მას მიეკუთვნება, როგორც ამას ქარტია არკვევს... 24 გირვ. წლიური რენტის გადახდის ფასად. აქ შედის: შესანიშნავი საცხოვრებელი სახლი მრავალი ოთახით, კარგად აგებული, ფიქალით გადახურული საცეცხვი სახლი, თავლა და მეურნეობისათვის განკუთვნილი სხვა ნაგებობანი: კარგად შენახული: სამტრედე, კარგი ბაღი, 2 ბოსტანი, 3 აკრი[1] უშენი მიწის ფართობი, 2 აკრი მომიჯნავე მდელოს შემოღობილი ნაწილი და კიდევ 10½ აკრი შემოღობილი ნაწილი მდელოებისა. [შემდეგ ჩამოთვლილია კიდევ 5 ასეთი 5,5½, 6½ და 10 აკრი ფართობის შემოღობილი ნაკვეთები სხვადასხვა ადგილებში], 36 აკრი შემოღობილი სახნავი მიწა, 19 აკრი საძოვარი და კიდევ ორი 8 და 6 აკრი საძოვარი ნაკვეთი, 10 აკრიანი წაარაფი, 120 აკრი სახნავი მიწა, რომელიც მთლიანად შემოღობილია და ძევს ერთ ადგილზე, მოუხერხებელი მიწის 1 ფერდობი ცხვრის მწყემსისათვის, იმ გაანგარიშებით რომ (მოიჯარის საქონელი) უშენსა და მინდვრებზე არ აღემატებოდეს ყოველწლიურად 300 სულ ცხვარს, გარდა ამისა, კიდევ სახნავი მიწის 4 მცირე შემოღობილი ნაკვეთი საერთო მინდვრებში (ერთ მინდორში — 22, მეორეში — 28, მესამეში—16 აკრი), სადაც მას (მოიჯარეს) შეუძლია მწყემსოს კიდევ 270 ცხვარი.

კ ო პ ი ო თ ი მ ფ ლ ო ბ ე ლ ე ბ ი. 93. მერი ბაუნდი, 42 წლის, უოლთერ ბაუნდის ქვრივი, ამჟამად რიჩარდ ბეზლის მეუღლე, ჯეიმზ I მეფობის მე-15 წლის (1617 წ.) 21 ოქტომბრის კოპიოთი, პუმბროკის გრაფის უილიამის ბოძებით, 30 გირვ. ფაინის გადახდის პირობით ფლობს ეზოს და სახლთან მდებარე მიწის მცირე ნაკვეთს, კიდევ ნახევარ ნაკვეთს ეზოში 28 შილინ. რენტის საფასურად... იხდის ჰერიოტს[2] ორი სული საუკეთესო ცხოველის[3] რაოდენობით... საცხოვრებელ სახლს 4 ოთახით და სხვენით, საცეცხვ სახლს 5 სათავსით, თავლას, სათივეს, ბოსტანსა და ბაღს (სულ 1 აკრი), 2 აკრ შემოღობილ მდელოს, 3 აკრ საერთო მდელოს, 3 შემოღობილ საძოვრის ნაკვეთს (14 აკრი), კიდევ 3 შემოღობილ ნაკვეთს 11 აკრი სახნავი და საძოვარი მიწისას. 48 აკრ სახნავ მიწას საერთო მინდვრებში (ერთში — 14½, მეორეში — 17, მესამეში — 16½ აკრი). უფლება აქვს მწყემსოს 10 სული რქოსანი საქო-

---

[1] აკრი უდრის 1/3 ჰექტარს.

[2] ჰერიოტი—გარდაცვლილი მიწის მფლობელის მეჯვიდრის ვალდებულება მიწაზე მფლობელობის უფლების მოსაპოვებლად ფეოდალს გადაუხადოს გადასახადი (ცხენები და იარაღი — თავისუფალი მფლობელობის მიღებისას), საუკეთესო მსხვილფეხა საქონელი (ხარი ან სხვა) — არათავისუფალი მფლობელობის შემთხვევაში.

[3] ნახსენები მფლობელობა ორმაგად ითვლებოდა, აქედან ორმაგია ჰერიოტიც-„ცხოველის" ცნებაში იგულისხმება ხარი.

ნელი და 96 ცხვარი, გარდა ამისა. შეუძლია მწყემსოს 24 სული რქოსანი საქონელი ტყეში.

95. ჯონს ჯესი, 45 წლის, მისი შვილები — ლეონარდი, 12 წლის, და ჯეკი, 10 წლის, ჯეიმზ I მეფობის მე-20 წლის (1622 წ.) 6 აპრილის კოპიოთი, პემბროკის გრაფის უილიამის ბოძებით 60 გირვ. ფაინის გადახდის პირობით ფლობენ სახლკარს და მიწის ნაკვეთს დინგტონში, რენტა 40 შილ., ჰერიოტი — 2 საუკეთესო ცხოველი..., ქირაობს 4 ოთახიან სახლს, 2 საცეცხვ სახლს — ერთს 4, მეორეს 3 სათავსით, თავლას, სათივეს, ბოსელს, 1 აკრ ბაღსა და ბოსტანს, მინდვრის 7 შემოღობილ ნაკვეთს (თითოეული 1,1$^1/_2$ და 2 აკრი), 8 აკრ საძოვარს, 1 აკრ ტყის ნაკვეთს, სახნავი მიწის 4 შემოღობილ ნაკვეთს (სულ 9$^1/_2$ აკრი) და 5ᴇ$^1/_2$ აკრ სახნავ მიწას სათემო მინდვრებში (თითოეულში 22$^1/_2$, 16$^1/_4$ და 16 აკრი). შეუძლიათ მწყემსონ სხვადასხვა ადგილებში 22 სული რქოსანი საქონელი და 96 ცხვარი.

ფოვენტეს მანორი, უილთშირის საგრაფო

ფ ე რ მ ე რ ე ბ ი. 130. რობერტ ფელტემი, ელისაბედის მეფობის მე-18 წლის (1576 წ.) 10 თებერვლის ხელშეკრულებით, პემბროკის გრაფის ჰენრის წყალობით, დავით ფელტემისათვის (რობერტის მამა) მიცემული 133 გ. 6 შილ. 8 პ. ფაინის გადახდის პირობით ფლობს მთავარ სახლკარს ან ფერმას ფოვენტის მანორში სამუდამოდ 7 გ. 13 შ. 4 პ და 6 კვარტერი შვრიის წლიური რენტის გადახდის საფუძველზე, საცხოვრებელ სახლს 4 დიდი ოთახით და სხვენით, 2 საცეხვ სახლს 12 სათავსით, 2 თავლას, ბოსელს და სხვა სამეურნეო ნაგებობებს, ბოსტანს და 1 აკრ სვიის ნაკვეთს, 3 ნაკვეთ მდელოს (5,2 6 აკრი), 2 შემოღობილ საძოვარს (სულ 5 აკრი და 120 აკრ სახნავ მიწას (ექვს სხვადასხვა ადგილას, ყველა შემოღობილია), მწყემსავს 16 ცხენს, 33 სულ რქოსან საქონელს, 360 ცხვარს.

კ ო პ ი ო თ ი მ ფ ლ ო ბ ე ლ ე ბ ი. 137. ოსმუნდ მარტინი, 51 წლის, მისი შვილი და ძმა ედვინი, 40 წლის, ჩარლზ I მეფობის მე-3 წლის (1627 წ.) 17 ოქტომბრის კოპიოთი, პემბროკის გრაფის უილიამის ბოძებით, 25 გირვ. ფაინად ფლობს სახლკარს და 1$^1/_2$ ეზოს ფოვენტეში, რენტა 26 შილ. 6 პ., ჰერიოტი — საუკეთესო ცხოველი... საცხოვრებელ სახლს 5 ოთახიანს, 2 საცეხვ სახლს 6 სათავსით, თავლას, ბოსელს და სხვა აუცილებელ სამეურნეო ნაგებობას, ბოსტანსა და ბაღს (სულ 1/2 აკრი), მდელოს შემოღობილ ნაკვეთს, მინდვრებში 1$^1/_2$ აკრს, სათემო მდელოს ნაწილს — $^1/_2$ აკრს, შემოღობილ საძოვარს — 4$^1/_2$ აკრს, კი-

დევ 3 შემოღობილ ადგილს (სულ 20 აკრი) და 33¼ აკრ სახნავ მიწას სათემო მინდორში (22 და10¾ აკრი), მწყემსავენ 13 სულ რქოსან საქონელს, 1 ცხენს და 64 ცხვარს.

[1, გვ. 12—14]

ბ. დიგერების მოძრაობა ინგლისის ცენტრალურ საგრაფოებში (1607 წ. მაისი — ივნისი)

ლორდ შრუსბერისა[1] და ლორდ კენტის[2] მიმოწერიდან

ა. შრუსბერი — კენტს (1607 წ. 2. VI)

თქვენო ლორდობავ, ალბათ, შეიტყვეთ მეამბოხე ბრბოს თავშეყრის შესახებ, რომლებიც თავდაპირველად გამოჩნდნენ ნორთჰემპთონშირში, სადაც სხვადასხვა ადგილას დაანგრიეს მრავალი მესერი, შემდეგ უორვიქშირში და, ბოლოს, ლეისთერშირში, და ეს გრძელდება დღემდე... შერიფებმა და მომრიგებელმა მოსამართლეებმა აუცილებლად უნდა მიიღონ ზომები მათ წინააღმდეგ, დააპატიმრონ მეთაურები და გამოგზავნონ აქ (ლონდონში), სხვები დაატუსაღონ ადგილობრივ ციხეებში, მათ, აგრეთვე უნდა მოეთხოვათ დახმარება დასახელებული საგრაფოების ლორდ-ლეიტენანტებისათვის, რათა მიეღოთ შეიარაღებული ქვეითი და ცხენოსანი რაზმები და ამ გზით გაეფანტათ მეამბოხეები. მაგრამ ისინი (შერიფები და მოსამართლეები) შემოიფარგლნენ მხოლოდ რჩევა-დარიგებით... როცა უორვიქშირის შერიფმა დაიწყო მასთან მოსულ მრავალრიცხოვან მეამბოხეებთან მოლაპარაკება, უკანასკნელებმა განაცხადეს, რომ ისინი უკანონოს არაფერს ჩადიან, არამედ მხოლოდ მიიწრაფვიან მოსპონ ღატაკთა საზიანოდ ამას წინათ განხორციელებული შემოღობვანი და რომ, თუ ისინი შეიტყობენ, რომ მისი უდიდებულესობა დადებს პირობას, რომ ექვსი დღის განმავლობაში აღმოფხვრის ამ ბოროტმოქმედებას, ისინი წავლენ სახლებში... მათ კიდეც გაგზავნეს ლონდონში სერი თომას ლეი, რათა შეეტყოთ მეფის ნება-სურვილი, და ეს ლეი გამოცხადდა საიდუმლო საბჭოში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოლაპარკების წარმოება ამ თავხედ და უაზნო მეამბოხე ადამიანებთან, რომლებმაც გაბედეს საკუთარი მოთხოვნილებების წამოყენება, მეტისმეტად უცნაური საქციელია... ამიტომ მე გთავაზობთ თქვენს ლორდობას შეწყვიტოთ ყოველგვარი შეგონება, ვიდრე თავს არ მოვუყრით 40—50

---

[1] ლ ო რ დ ი შ რ უ ს ბ ე რ ი — სამეფო საიდუმლო საბჭოს წევრი ლონდონში.

[2] ლ ო რ დ კ ე ნ ტ ი — მეზობელ ბედფორდშირის საგრაფოს — ლორდ-ლეიტენანტი, ანუ ადგილობრივი მილიციის — სამხედრო ლაშქრის უფროსი.

გაწვრთნილ ცხენოსანს, რომელსაც უნარი ექნება გაფანტოს ათასი ისეთი დაკონკილი და მაწანწალა, როგორებიც ესენი არიან...

კენტი — შრუსბერის (1607 წ. 6. VI)

პატივცემულო ლორდო და ძმაო! თქვენი წერილის მიღებამდე მე უკვე გავუგზავნე წერილი და ბრძანებანი კონსტებლებსა[1] და მილიციის ყველა კაპიტანს, როგორც ცხენოსნებს, ასევე ქვეითებს, რათა ისინი მზად იყვნენ საჭიროების შემთხვევაში შეასრულონ თავიანთი სამხედრო ვალდებულებანი... და მე ვიმედოვნებ, რომ წესრიგი და სიმშვიდე, რომლისთვისაც წუხს საიდუმლო საბჭო, მალე აღდგენილი იქნება... ბედფორდშირში დაყენებულია ცხენოსანთა ოთხი სამხედრო პოსტი, რომლებიც გაიგზავნება ნორთჰეგპთონშირში და სხვა საგრაფოების იმ ადგილებში, სადაც ეს აუცილებელი იქნება...

კენტი — შრუსბერის (1607 წ. 20. VI)

პატივცემულო და კეთილო ლორდო! მიუხედავად ჩემი, როგორც ლეიტენანტის მეცადინეობისა, რათა ამ ბედფორდშირის საგრაფოში აღმომეფხვრა უწესრიგობა, როგორც თქვენ უკვე იცით, ზოგიერთმა ჯიუტმა ადამიანმა ამ საგრაფოში და სხვა მეზობელ საგრაფოებში მაინც გამოავლინეს თავხედობა და მოაწყვეს არეულობა, რითაც დაარღვიეს სიმშვიდე და მყუდროება, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ მისი უდიდებულესობის მმართველობის დროს. მე დიდად დამწუხრებული ვარ იმით, რომ ბედფორდშირის მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღო ამაში, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ სასჯელი, რომელიც უკვე დაედოთ წესრიგის დამრღვევთ, გახდება მაგალითი და გამაფრთხილებელი საშუალება მათგვარად განწყობილი სხვა ადამიანებისათვის, ასე რომ, ამიერიდან, ისინი ვეღარ გაბედავენ ჩაიდინონ მსგავსი უწესრიგობა. ვკადნიერდები და ამ წერილთან ერთად გიგზავნით დასახელებულ ჩემს საგრაფოში თქვენი მითითებების შესაბამისად, ჩემს მიერ გაცემულ განკარგულებებსა და აგრეთვე ჩემი ბრძანების ასლს უკანონო შემოღობვათა და დეპოპულაციათა[2] გამოძიების შესახებ.

[1, გვ. 14—15]

---

[1] კ ო ნ ს ტ ე ბ ლ ი — საგრაფოში შემავალი ცალკეული ასეულების პოლიციის მოხელე.

[2] დეპოპულაცია — XVI—XVII სს. ტერმინი, რომელიც დაკავშირებულია შემოღობვების პროცესთან და აღნიშნავს გლეხობის გაბოგანოების შედეგად სოფლის მოსახლეობის შემცირებას.

მანუფაქტურა და საკაბრო კაპიტალი მატყლის მრეწველობაში (1615 წ.)

მატყლის მწარმოებლები ყველა ოლქში სამ ჯგუფად იყოფიან:

1. ...მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც ფლობენ მიწაზე და პირუტყვზე საკუთრებას და გამოირჩევიან თავიანთი სიმდიდრით. მათ შეუძლიათ შეაჩერონ მატყლის გაყიდვა და გაუგრძელონ მემაუდეებს ვალის გადახდის ვადა, რათა აუწიონ ფასს. რიცხობრივად ეს ჯგუფი მცირეა.

2. ისინი ვინც მეფისაგან, წარჩინებულ პირთაგან და ჯენტლმენებისაგან იჯარით იღებენ მიწას და ყიდიან იმდენს, რამდენის საშუალებასაც იძლევა ან მათი ინვენტარი, ან კრედიტი. მათი უმრავლესობა ან წინასწარ ყიდის მატყლს, ან პირობას დებს დაუთმოს იგი გაზაფხულზე აღებული სესხის ფასად, რათა იყიდოს ცხვარი მატყლის წარმოებისათვის. ხარების რენტის[1] გადასახდელად და თავის მიწაზე ინვენტარის გასაორმაგებლად, როგორც ამას გაზაფხულის პერიოდი მოითხოვს, მათ ჭირდებათ ფული, ამავე დროს ეს მემამულეები თავიანთ კაპიტალს მატყლის ნართში ხარჯავენ, რათა შექმნან თიბვისა და მკის ალოსათვის მარაგი, როცა ჩვეულებრივად ნართის ნაკლებობაა. ასე რომ, როგორც ფერმერები, ასევე მემაუდეები ერთნაირად განიცდიან ფულის უკიდურეს ნაკლებობას.

3. სოფლის მეურნეთა საერთო მასა, რომლებიც ყველა ოლქში მატყლს აწარმოებენ და აქვთ მცირე შემოსავალი. ყოველ მათგანს, როგორც წესი, აქვს მატყლი, თუმცა მცირე რაოდენობით. ისინი მრავალნი არიან ყველა ოლქში და ერთად გააჩნიათ მატყლის დიდი რაოდენობა, მაგრამ მცირე წილით. მრავალი მათგანი მატყლის შემსყიდველებისაგან სესხულობს ფულს, რათა იყიდოს ცხვარი თავისი სათემო საძოვრებისათვის. მათი წილი იმდენად მცირეა, გაყიდვის დროს კი იმდენად განსხვავებული, მათსა და მემაუდეებს შორის მანძილი ისეთი დიდია, რომ ისინი უეჭველად გაკოტრდებოდნენ თუ გაყიდვის დროს მემაუდეებს მატყლის ფასის გადახდას განუვადებდნენ ან მათზე იქნებოდნენ დამოკიდებულნი ფასების დადგენაში.

ამ მატყლს ჩვეულებრივ ამუშავებს ადამიანების 4 ჯგუფი:

1. მდიდარი მემაუდე, რომელიც თავისთვის ყიდულობს მატყლს მატყლის მწარმოებელ ოლქებში, წინასწარ ქმნის მარაგს მთელი წლისათვის და ინახავს მას საწყობში. ზამთარში ეს მატყლი ირთვება მისი საკუთარი მრთველების მიერ, იქსოვება მისი საკუთარი მქსოველების მიერ,

---

[1] რენტას იხდიდნენ ჩვეულებრივ ერთ-ერთი ცნობილი რელიგიური დღესასწაულისათვის — ხარებასათვის — 25 მარტს.

ითელება მისი საკუთარი მთელავების მიერ და ყველაფერი ეს მეტად მცირე საფასურით. ამ მემაუდეებს შეუძლიათ იოლად წავიდნენ შემსყიდველების გარეშე და ძალუძთ შეიძინონ მატყლი თავისივე დადგენილი ფასებით. გარდა ამისა, ბევრი მათგანი აწარმოებს დიდი რაოდენობის მატყლის გადაყიდვას, ყოველ შემთხვევაში ყიდის თავის მიერ შესყიდული მატყლის დიდ ნაწილს.

2. ნაკლებად მდიდარი მემაუდეები იშვიათად დადიან თავისთვის მატყლის საყიდლად იმ ოლქებში, სადაც იგი იწარმოება, ან საერთოდ არ მიემგზავრებიან იქ. ისინი მატყლის დიდ ნაწილს ყიდულობენ ბაზარში კრედიტით, სამუშაოდ ქირაობენ მრავალ ლატაკს, მატყლს მაუდად აქცევენ და შემდეგ დაუმუშავებელი სახით ყიდიან ისეთ ადგილებში, როგორიცაა დევონშირი და იორქშირი (სხვები კი ახდენენ მის საბოლოო დამუშავებას და ყიდიან ლონდონში ნაღდ ანგარიშზე). ამის შემდეგ მიდიან კვლავ ბაზარზე — სადაც მატყლს ყიდულობენ და ყიდიან, იხდიან ძველ ვალს და ხელახლა იღებენ კრედიტს. ამ ჯგუფიდან ბევრი კარგად ცხოვრობს, მდიდარი ხდება და ათასობით ადამიანს აძლევს სამუშაოს. მათ არ ძალუძთ იოლად წავიდნენ მატყლის შემსყიდველის გარეშე, რადგან სხვაგვარად მათ მოუწევთ საკუთარი მუშების დათხოვნა და მდიდარი მემამულეების მოსამსახურედ გადაქცევა. აქ კი მიიღებენ დღეში 4 ან 6 პენსს და იცხოვრებენ ნახევრადმშიერნი.

3. მემაუდეები, რომელთაც არა აქვთ საკმარისი კაპიტალი, რათა მისი ერთი ნაწილით იყიდონ მატყლი და განსაზღვრული რაოდენობით ნართი, ხოლო მეორე ნაწილი დაზოგონ, გადააქციონ იგი მზა მაუდად, როგორც ამას აკეთებენ მდიდარი მემაუდეები; ისინი ან საერთოდ არ ყიდულობენ მატყლს, ანდა ყიდულობენ ცოტას, მაგრამ შემდეგ ყოველკვირეულად ყიდულობენ ნართს ბაზარზე და ამზადებენ მისგან მაუდს, რომელსაც ყიდიან ნაღდ ანგარიშზე და ამ ფულით განმეორებით ყიდულობენ ნართს. ეს ნართი ბაზარზე ყოველკვირეულად გამოაქვს მრავალ ლატაკს, რომელსაც არ სურს მემაუდისათვის დაბალ ფასებში ნართის რთვა, მაგრამ აქვს საკმარისი სახსრები ნართის დამოუკიდებლად დამუშავებისათვის. საჭიროების მიხედვით ისინი ყოველკვირეულად ბაზარზე ყიდულობენ მატყლს ძალზე მცირე პარტიებად, შემდეგ ყოველკვირეულად კვლავ მიაქვთ ბაზარზე უკვე გადამუშავებული ნართი და ამ გზით ნახულობენ კარგ სარგებელს. აქვთ რა მოგება, როგორც საკუთარი შრომით, ასევე გაყიდვით, ისინი ცხოვრობენ ძალიან კარგად. ასეთი მრთველები საკმაოდ ბევრია. გათვითცნობიერებული ადამიანები ვარაუდობენ, რომ უილთშირში, გლოსთერსა და სომერსეთშირში დამზადებული მაუდის ნახევარზე მეტს ეს მრთველები და ღარიბი მემაუდეები აწარმოებენ. ისინი, როგორც წესი, დამოკიდებულნი არიან მატ-

ყლის შემსყიდველებზე, რომლებიც ყოველკვირეულად ამარაგებენ მათ მატყლით ნაღდ ანგარიშზე ან კრედიტით.

4. ისინი, ვინც აწარმოებს ახალ მაუდს (ამ წარმოებაში მუშაობს ათასობით ღატაკი ადამიანი) ცხოვრობენ ნავსადგურების ახლოს (იარმუთიდან — პლიმუთამდე), სანაპიროზე და ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა ლონდონი, ნორიჩი, კოლჩესთერი, კენთერბერი, საუზემპთონი, ექსეთერი და სხვა. თავისი შრომისმოყვარეობისა და უნარის წყალობით ეს ადამიანები ამუშავებენ სამეფოში შეგროვებული მატყლის დიდ ნაწილს.

[1, გვ. 16 — 18]

სამეფო პატენტი, გაცემული ლორდ დედლიზე თუჯის წარმოებისათვის (1621 წ.)

ჯეიმზ,[1] ღვთის წყალობით და სხვა

რადგან ჩვენმა ერთგულმა და საყვარელმა ლორდმა ედუარდ დედლიმ ხანგრძლივი შრომისა და მრავალი ძვირადღირებული ცდების შედეგად აღმოაჩინა საიდუმლოება, წესი და საშუალება რკინის მადნის გამოდნობის და მისგან სამჭედლო საბერველიან ღუმელებში, ქვანახშირის გამოყენების გზით, თუჯის სხმულისა და ძელაკის წარმოებისა; ამასთან თუჯი გამოვიდა ისეთივე კარგი ხარისხისა, როგორიც აქამდე გამოიღნობოდა ხის ნახშირის საშუალებით. ესაა გამოგონება. რომელიც ჯერ არავის გაუკეთებია ინგლისის სამეფოში, ჩვენ ვმფარველობთ რა კეთილი განწყობით და ვხელმძღვანელობთ რა სურვილით წავახალისოთ ასეთი გონებამახვილური და სასარგებლო გამოგონებანი, ვთვლით, რომ თუჯის გამოდნობა და წარმოება, ზემოთ მოხსენებული წესით, ჩვენ სამეფოში არამარტო შეუწყობს ხელს საყოველთაო კეთილდღეობას, არამედ, აგრეთვე, მნიშვნელოვნად შეამცირებს უშველებელ დანახარჯებს, შეამცირებს ტყისა და ხის გამოყენებას, რომელიც ხის ნახშირად იქცევა და გამოიყენება თუჯის ქარხნებში. ამრიგად ჩვენი ქვეყნის ტყეები ხელუხლებელი დარჩება და მნიშვნელოვნად გაიზრდება. ჩვენ გვსურს, რომ ასეთი საქები და სასარგებლო გამოგონებების ავტორები ღებულობდნენ თუნდაც ნაწილს თავისი გამოგონებების დანერგვის შედეგად მიღებული მოგებისა. ამ მიზეზის გამო და სხვა კეთილი სტიმულების გავლენით ჩვენ ნებას ვრთავთ ხსენებულ ლორდ ედუარდ დედლის, მის ნამდვილ მემკვიდრეებს, მეურვეებს. და მათ, ვისაც იგი (ლორდი) თავის უფლებებს გადასცემს, 14 წლის მანძილზე ამ პატენტის გაცემიდან

[1] ჯეიმზ I სტიუარტი (1603—1625) — ინგლისისა და შოტლანდიის მეფე.

ინგლისის სამეფოსა და უელსის საგრაფოში სრული თავისუფლებით გამოიყენოს პრაქტიკულად ხსენებული საწარმოო საიდუმლოება, ე. ი. თუჯის სხმულებისა და ძელაკების წარმოება ქვანახშირის გამოყენებით მჭედლის საბერველიან ღუმელებში. მას (მათ) ნებას ვრთავთ აგრეთვე ინგლისის სამეფოს ნებისმიერ ადგილზე ააშენოს და დადგას ღუმელი ან ღუმელები, მანქანა ან მანქანები, რომლებიც აუცილებელია ხსენებული საიდუმლოებისათვის, იმ ხერხისა და საშუალებებისათვის, რომელიც საჭიროა ქვანახშირის საშუალებით რკინის მადნის გამოდნობისათვის და მათი გარდაქმნისათვის თუჯის სხმულებად და ძელაკებად, ისე, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული. ნებას ვრთავთ ასეთი გზით მიღებული თუჯი თავისუფლად გაყიდოს (ან გაყიდონ) იმ ფასებში, რომელსაც ის (ან ისინი) დააწესებს, მაქსიმალური გამორჩენისა და სარგებლობის მიზნით.

[1, გვ. 18 — 19]

4. პარლამენტის ბრძოლა მეფესთან

(XVII ს. 20—40-იანი წლების დამდეგი)

პეტიცია უფლებათა შესახებ (1628 წ.)

ამ პარლამენტში თავმოყრილი სასულიერო და საერო ლორდებისა და თემების მიერ მისი უდიდებულესობისადმი წარდგენილი პეტიცია მის ქვეშევრდომთა სხვადასხვა უფლებისა და თავისუფლებათა თაობაზე მისი უდიდებულესობის მეფის მიერ პარლამენტის სრული შეკრებილობის დროს მასზე გაცემული პასუხით.

მის სამეფო ყოვლადუწმინდეს უდიდებულესობას.

1. პარლამენტში თავმოყრილი სასულიერო და საერო ლორდები და თემები უმორჩილესად წარუდგნენ ჩვენს უმაღლეს ხელმწიფე მეფეს ქვემომოყვანილს... მეფე ედუარდ I[1] მეფობის დროს გამოცემული სტატუტით... გამოცხადებული და დაკანონებულია, რომ ამ სამეფოში მეფე ან მისი მემკვიდრეები არ დაგვბეგრავენ ან არ გადაგვახდევინებენ არავითარ ხარკს ან ბაჟს არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების, გრაფების, ბარონების, რაინდების, მოქალაქეთა და ამ სამეფოს თემების სხვა თავისუფალი ადამიანების კეთილი ნებისა და თანხმობის გარეშე, და მეფე ედუარდ III[2] მეფობის ოცდამეხუთე წელს მოწვეული პარლამენტის ძალაუფლებით გამოცხადებული და დაკანონებულია, რომ მომავალი დროისათვის არავინ არ უნდა იყოს იძულებული თავისი ნება-

[1] ედუარდ I — ინგლისის მეფე, მეფობდა 1272 — 1307 წლებში.
[2] ედუარდ III მეფობდა 1327—1377 წლებში.

სურვილის წინააღმდეგ აძლიოს სესხად ფული მეფეს. რამდენადაც ასეთი სესხი ეწინააღმდეგება სამართლიანობას და ქვეყნის თავისუფლებებს, და ამ სამეფოს სხვა კანონებით დადგენილია, რომ არავის არ უნდა დაედოს ნებაყოფლობით ნაბოძარად წოდებული ბეგარა ან გადასახადები, ან მათი მსგავსი ხარკი, და ზემოთ აღნიშნული სტატუტისა და სხვა კეთილი კანონებისა და ამ სამეფოს სტატუტების ძალით თქვენმა ქვეშევრდომებმა მემკვიდრეობად მიიღეს ის თავისუფლება, რომ ისინ არ შეიძლება იძულებული იყვნენ გადაიხადონ რაიმე გადასახადი, გამოსაღები, ხარკი ან სხვა მსგავსი ბეგარა, რომელიც პარლამენტში საერთო თანხმობით არაა დადგენილი.

2. მაგრამ, ამის მიუხედავად, ახლახან გამოიცა საგრაფოს კომისრებისადმი მიმართული სხვადასხვა ბრძანება ინსტრუქციებით, რომელთა ძალით ჩვენს ხალხს თავი მოუყარეს სხვადასხვა აღგილას და აიძულეს გარკვეული თანხა ესესხებინა თქვენი უდიდებულესობისათვის და ზოგიერთი ამის გაკეთებაზე უარის თქმის შემდეგ დააფიცეს ამ სამეფოს კანონებისა და სტატუტების საწინააღმდეგოდ და აიძულეს გამოცხადებულიყვნენ დაკითხვაზე თქვენს საიდუმლო საბჭოში და სხვა ადგილებში, ბევრი სხვა იმავე მიზეზით შეიპყრეს და ჩააგდეს საპყრობილეში და შეავიწროვეს და შეაშფოთეს სხვა ხერხებით. ბევრ საგრაფოში ლორდ-ნაცვლებმა, საადგილმთავრო დეპუტატებმა, დათვალიერების კომისრებმა, მომრიგებელმა მოსამართლეებმა და სხვებმა თქვენი ხალხი სხვადასხვა გადასახადით დაბეგრეს თქვენი უდიდებულესობის ან თქვენი საიდუმლო საბჭოს ბრძანებით, ან მითითებით სამეფოს კანონებისა და თავისუფალ ჩვეულებათა საწინააღმდეგოდ.

3. რამდენადაც „ინგლისის თავისუფლებათა დიად ქარტიად"[1] წოდებული სტატუტით გამოცხადებული და დაკანონებულია, რომ არც ერთი თავისუფალი ადამიანი არ შეიძლება იქნეს შეპყრობილი, საპყრობილეში ჩაგდებული, თავის მიწას ან თავისუფლებებს მოკლებული, კანონს გარეშე დატოვებული, სხვა რამ საშუალებით გაძევებული ან შევიწროებული... თუ არა მხოლოდ თანასწორთა მიერ გამოტანილი კანონიერი განაჩენისა ან ქვეყნად მოქმედი კანონების საფუძველზე.

4. მეფე ედუარდ III მეფობის ოცდამერვე წელს გამოცხადდა და დაკანონდა პარლამენტის ძალაუფლებით, რომ არც ერთ ადამიანს, წოდებისა და მდგომარეობის მიუხედავად, არ შეიძლება წაერთვას საკუთრების ან სარგებლობის უფლებით დადგენილი მისი კუთვნილი მიწა, შეპყრობილ იქნეს ან წაერთვას მემკვიდრეობა, ან სიკვდილით დაისაჯოს, თუ არ იქნება პასუხისგებაში მიცემული სამართალწარმოების კანონიერი წესით.

---

[1] აქ ციტირებულია ქარტიის ცნობილი 39-ე სტატია.

5. მაგრამ, ამის მიუხედავად, აღნიშნული და თქვენი სამეფოს სხვა კანონებისა და სტატუტების არსის საწინააღმდეგოდ ბევრი თქვენი ქვეშევრდომი ახლახან საპყრობილეში ჩააგდეს რაიმე მიზეზის მიუთითებლად, და როცა გასათავისუფლებლად ისინი თქვენს მოსამართლეებთან მიიყვანეს Habeas Corpus[1]-ის შესახებ თქვენი უდიდებულესობის მითითებით, რომ მათ მოქცეოდნენ სასამართლოს განკარგულების თანახმად საპყრობილის ზედამხედველებმა ბრძანებაზე—მიეთითებინათ შეპყრობის მიზეზი, არ მიუთითეს არავითარი მიზეზი, გარდა იმისა, რომ ეს პიროვნებები დაპატიმრებული ჰყავდათ თქვენი საიდუმლო საბჭოს ლორდების მიერ დადასტურებული თქვენი უდიდებულესობის განსაკუთრებული განკარგულებით და ამის მიუხედავად, ისინი გაამწესეს სხვადასხვა სატუსაღოში, თუმცა მათ წინააღმდეგ არ წამოუყენებიათ არავითარი ბრალდება, რომელზეც მათ შეიძლებოდა პასუხი ეგოთ კანონის თანახმად.

6. რამდენადაც უკანასკნელ ხანს ჯარისკაცებისა და მეზღვაურთა საგრძნობი რაზმები ჩააყენეს სამეფოს სხვადასხვა საგრაფოში და ობიგატელებს საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ აიძულებდნენ შინ მიეღოთ ისინი და მიეცათ მათთვის სათავსები ამ სამეფოს კანონებისა და წეს-ჩვეულებების საპირისპიროდ და ხალხის უდიდესი უკმაყოფილებისა და შევიწროების მიუხედავად...

10. ყოველივე ამის შედეგად სასულიერო და საერო ლორდები და თემები უმორჩილესად სთხოვენ თქვენს ყოვლადუწმინდეს უდიდებულესობას, რომ მომავალში არავინ არ აიძულონ გადაიხადოს ან გაიღოს რაიმე ძღვენის, სესხის, შეწირულების, გადასახადის ან რაიმე მსგავსი ხარკის სახით პარლამენტის აქტით მოცემული საერთო თანხმობის გარეშე: და რომ არავის მოთხოვონ პასუხი, დაფიცება, იძულებითი სამსახური, არ დაიპირონ ან სხვა მხრივ არ შეავიწროონ, ან არ შეაწუხონ ამ გადასახადების ან მის გადახდაზე უარის თქმის გამო, რომ არც ერთი თავისუფალი ადამიანი არ ჩაგდონ საპყრობილეში ან არ დააპატიმრონ ისე, როგორც ზემოთ არის ნახსენები, რომ თქვენმა უდიდებულესობამ ინებოს ჯარისკაცებისა და მეზღვაურების გაძევება, რომლებზეც ზემოთ ითქვა, და რომ თქვენი ხალხი მომავლისათვის არ იყოს ამის მსგავსად შევიწროებული, რომ სასამართლოს წარმოების ომის დროის კანონებით მინიჭებული ზემოაღნიშნული რწმუნებები გა-

---

[1] ასე ეწოდება ბრძანებას პატიმრის სასამართლოზე გადაცემის შესახებ დაპატიმრების ადგილისა და საფუძვლის მითითებით. Habeas Corpus-ის დაცვის მოთხოვნას დაბეჯითებით აყენებდა ბურჟუაზიული ოპოზიცია მთელი XVI და XVII საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე. 1679 წელს, რესტავრაციის დროს, ბურჟუაზიამ შეძლო მიეღწია Habeas Corpus-ის შესახებ სპეციალური აქტისათვის, რომელიც ბურჟუაზიას იცავდა შემთხვევაში თვითნებური დაპატიმრებისაგან.

უქმდეს როგორც ომის დროს, ასევე საერთოდ მომავალშიც. არავითარი მსგავსი უფლებამოსილებანი არ მიეცეს რომელიმე პირს ან პიროვნებებს, რადგანაც მათი საბაბით თქვენი უდიდებულესობის ქვეშევრდომები არ დაისაჯონ სიკვდილით ქვეყნის კანონებისა და თავისუფლებათა საწინააღმდეგოდ.

11. ყოველივე აღნიშნულის შესახებ ისინი უმორჩილესად შუამდგომლობენ თქვენს ყოვლადუწმინდესი უდიდებულესობის წინაშე, როგორც ამ სამეფოს კანონებისა და სტატუტების შესაბამის თავიანთ უფლებებსა და თავისუფლებებზე, და გთხოვენ, ამის გარდა, რომ თქვენმა უდიდებულესობამ ინებოს დაადასტუროს, რომ რომელიმე ზემოაღნიშნულ პუნქტში ხალხის საზიანო გადაწყვეტილებებს, მოქმედებებსა და ჩვევებს მომავლისათვის ადგილი აღარ ექნება, რომ მსგავსი მაგალითი აღარ განმეორდება. და რომ თქვენმა უდიდებულესობამ უმოწყალესად ინებოს ხალხის რაც შეიძლება უკეთ დაკმაყოფილებისა და დამშვიდებისათვის გამოაცხადოს თავისი მეფური ნება-სურვილი, რომ ზემოაღნიშნულ საქმეებში თქვენი ყველა მოხელე და თანამდებობის პირი გემსახურებოდნენ თქვენ ამ სამეფოს კანონებისა და სტატუტების თანახმად, როგორც ამას მოითხოვს თქვენი უდიდებულესობის სახელი და ამ სახელმწიფოს კეთილდღეობა.

[1, გვ. 19 — 21]

„ხანგრძლივი პარლამენტის“ აქტი მისი თანხმობის გარეშე პარლამენტის დათხოვნის წინააღმდეგ (10.V.1641)

...ფრიად მოკრძალებით სთხოვენ თქვენს უდიდებულესობას, რათა იქნეს გამოცხადებული და დადგენილი: ...ამით (აქტით) ცხადდება და დადგენილი ხდება მეფის მიერ... ამ პარლამენტში მსხდომ ლორდებისა და თემების და ზემოაღნიშნული ხელისუფლების თანხმობით, რომ ამჟამად არსებული პარლამენტი არ შეიძლება საერთოდ დაითხოვო, დროებით გადასდო მისი სესიები, შეწყვიტო პარლამენტის მიმდინარე სხდომა, სხვანაირად, თუ არა ამ მიზნით გამოცემული პარლამენტის აქტით... რომ პერთა (ლორდთა) პალატის სხდომები... და მსგავსად ამისა თემთა პალატის სხდომები არ შეიძლება გადაიდოს რაიმე დროით ამ პარლამენტის კანონიერი რწმუნების ვადაში სხვანაირად, თუ არა თვით... (მისი) წევრების მიერ ან მათი პირადი დადგენილებით, რომელიმე პირის მიერ განხორციელებული ღონისძიება ან ღონისძიებები პარლამენტის გადავადების, სხდომათა შესვენების ან დათხოვნისათვის, რაც ეწინააღმდეგება ამ აქტს, უნდა მიჩნეულ იქნეს მთლიანად გაუქმებულად და ძალადაკარგულად.

[1, გვ. 22]

„დიდი რემონსტრაცია“ („პროტესტი“) „ხანგრძლივმა პარლამენტმა“ ჩარლზ I წარუდგინა 1641 წ. 1 დეკემბერს მეფის შოტლანდიიდან დაბრუნებისთანავე.

...ყოველივე ამ უბედურებათა საფუძველია მზაკვრული და დამღუპველი განზრახვა, ძირი გამოეთხაროს მართვის ძირითად კანონებსა და პრინციპებს, რომლებზეც მტკიცედ იყო დაფუძნებული რელიგია და სასამართლო. დამნაშავენი და შთამაგონებელნი ამისა იყვნენ:

1) იეზუიტები — პაპისტები, რომლებსაც სძულდათ კანონები, როგორც წინაღობა იმ ცვლილებისა და რელიგიის დამახინჯებისათვის, რისთვისაც ისინი დიდი ხანია იღწვიან.

2) ეპისკოპოსები და სამღვდელო დასის გადაგვარებული ნაწილი, რომელიც მხარს უჭერდა წეს-ჩვეულებებსა და ცრურწმენებს, როგორც მათი საკუთარი საეკლესიო ტირანიისა და უზურპაციის ბუნებრივ შედეგსა და საიმედო დასაყრდენს.

3) ის მრჩეველნი და კარის მსახურნი, რომლებიც პირადი განზრახვით ხელს უწყობენ ზოგიერთ უცხოელ უფლისწულსა და სახელმწიფოს მისი უდიდებულესობისა და საკუთარი სახელმწიფოს საზიანოდ.

მისი უდიდებულესობის მეფობის დამდეგს ეს პარტია გამოცოცხლდა და აყვავდა ისევ, მას შემდეგ, რაც იგი რამდენადმე შესუსტდა ესპანეთთან კავშირის გაწყვეტის შედეგად, მეფე ჯეიმზის მმართველობის უკანასკნელ წელს და საფრანგეთთან მისი უდიდებულესობის საქორწინო კავშირის შედეგად, ამ სახელმწიფოს ინტერესები იმდენად არ ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენი რელიგიის და სამეფოს კეთილდღეობას, როგორც ესპანეთის ინტერესები; და მაინც ინგლისელი პაპისტები, რომლებიც უფრო ესპანეთს უჭერდნენ მხარს ვიდრე საფრანგეთს, მიისწრაფოდნენ დაესუსტებინათ პროტესტანტული პარტიები მთელ მსოფლიოში (საფრანგეთშიც კი) და ამით გზა გაეკვლიათ თავიანთ ქვეყანაში რელიგიური ცვლილებებისათვის.

1. მათი აღორძინებისა და გაძლიერების პირველი შედეგი დამადასტურებელი იყო პარლამენტის დათხოვნა ოქსფორდში, მას შემდეგ, რაც ორი სუბსიდია მიეცა მის უდიდებულესობას და მანამდეც ვიდრე დაკმაყოფილდებოდა თუნდაც ერთი საჩივარი, წარმოიშვა ბევრი სხვა, კიდევ უფრო სავალალო შედეგები.

2. ჩვენი ხომალდების ხელშეწყობით ლაროშელში[1] ფლოტის და-

[1] მხედველობაში აქვთ ჩარლზ I მიერ 1625 წ. ივნისში ფლოტის წარუმატებელი გაგზავნა საფრანგეთში ფრანგი პროტესტანტ-ჰუგენოტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კარგვამ ჩვენ ფრანგებთან მტრულ ურთიერთობაში ჩაგვაყენა. პარლამენტის რჩევის მიუხედავად ეს ქალაქი ზღვის მხრიდან დაუცველი დარჩა. ამან გამოიწვია არამარტო ამ მნიშვნელოვანი პუნქტის დაკარგვა, არამედ აგრეთვე საფრანგეთში პროტესტანტული რელიგიის ძალებისა და დასაყრდენის დაკარგვა.

3. მისი უდიდებულესობის სამხედრო პოლიტიკის შებრუნება ვესტინდოეთიდან, რომელიც სამეფოსათვის ძალზე იოლი და საიმედო საშუალება იყო ესპანელთა დასაძლევად, კადისსთან[1] გამაჩანაგებელი და წარუმატებელი ოპერაციებისაკენ — განხორციელდა ისეთნაირად, თითქოს განზრახ სურდათ ჩვენი დასუსტება ომით და არა გამდიდრება.

7. პარლამენტის დათხოვნა მისი უდიდებულესობის მმართველობის მეორე წელს, მას შემდეგ, რაც პარლამენტმა გამოაქვეყნა ხუთი სუბსიდიის გაღების თაობაზე მზადყოფნის დეკლარაცია.

10. აქციზის დადების მეშვეობით ქვეშევრდომებისაგან დიდი გადასახადების გადახდევინების უსამართლო და დამღუპველი პოლიტიკა...

11. პეტიცია უფლებათა შესახებ, რომელიც აღიარებული იქნა მთელი პარლამენტის თანდასწრებით, დამახინჯებულია უკანონო დეკლარაციით, რაც საზიანოა თვითონ მისთვის, პარლამენტის ძალაუფლებისათვის, ქვეშევრდომთა თავისუფლებისათვის; ამ დეკლარაციასთან ერთად, ამ მიზნით დაბეჭდილმა პეტიციამ ვერ პოვა გამოყენება, გარდა იმისა, რომ დაადასტურა ზოგიერთი მინისტრის თავხედური და ამპარტავნული მისწრაფება, დაერღვიათ კანონები და ჩაეხშოთ სამეფოს თავისუფლებანი მას შემდეგ, რაც ისინი ესოდენ საზეიმოდ დამაჯერებლად გამოაცხადეს.

18. „ჯასრისა და გირვანქის ბაჟს“ და ბევრ სხვა მძიმე გამოსაღებს ახდევინებდნენ კანონის საწინააღმდეგოდ, ამასთან ზოგიერთი მათგანი იმდენად უგუნური იყო, რომ გადასახადის თანხა აღემატებოდა საქონლის ფასს.

19. საქონლის ღირებულების შეფასების განსაზღვრა უკანასკნელ ხანს ხდებოდა გადამეტებული ოდენობით. იმ ვაჭრებს, რომლებსაც არ სურდათ დამორჩილებოდნენ მათ (მეფის საბაჟოს მოხელეების) უკანონო და უაზრო გადასახადებს, აიძულებდნენ და ავიწროებდნენ ზიზღამეტად, სასამართლოს ჩვეულებრივი წესი კი, ინგლისის ქვეშევრდომთა ეს თანდაყოლილი უფლება შეუვალი იყო.

20. ზღვების დაცვის საბაბით შემოღებულ იქნა კიდევ ახალი გაუგონარი სახომალდო გადასახადი და თუმცა ამ გამოსაღების შედეგად ქვეშევრდომები დაიბეგრნენ წელიწადში დაახლოებით 700000 გირვანქა

---

[1] ვერცხლით დატვირთული ესპანეთის ტრანსპორტის ხელში ჩაგდების წარუმატებელი ცდა (1625 წ. ოქტომბერი).

სტერლინგით, ვაჭრები თურქ მეკობრეთა თავდასხმებისას იმდენად დაუცველნი აღმოჩნდნენ, რომ ბევრი დიდი ხომალდი ძვირფასი ტვირთით და მისი უდიდებულესობის ათასობით ქვეშევრდომი ტყვედ ჩაიგდეს და დღემდე ჯერ კიდევ დუხჭირ მონობაში არიან.

25. მეფის სამშენებლო ხე-ტყის საყოველთაო დატაცება, განსაკუთრებით პაპისტების მიერ გაყიდულ ტყეებში, რომლებიც საუკეთესო საწყობები იყვნენ სამეფოში ჩვენი ნაოსნობის საჭიროებისათვის.

26. სალეკ მიწებზე მოსახლეობისათვის მეფის ტიტულის საბაბით უფლების წართმევა.

27. მონოპოლიები საპონზე, მარილზე, ღვინოზე, ტყავზე და ამის მსგავსად პირველი მოთხოვნილების ყველა საქონელზე.

28. ქვეშევრდომების თავისუფლებათა დარღვევა საცხოვრებელზე, ვაჭრობაზე და სხვა უფლებებზე.

31. სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევამ, საძოვრების შემოღობვამ, რაც ცნობილია გაუკაცრიელების სახელწოდებით, რამდენიმე მილიონით დააკარიელა ქვეშევრდომთა ჯიბეები, მის უდიდებულესობას კი განსაკუთრებული მოგება არ მისცა.

32. სათემო და სხვა მიწების დიდი სივრცეები ჩამოართვეს ქვეშევრდომებს თითქოსდა გაუმჯობესების სტატუტის საფუძველზე მათი თანხმობის გარეშე და მათ საწინააღმდეგოდ.

41. შეიქმნა უკანონო ახალი სასამართლოები. საკანცელარიო სასამართლო თავისი ბრძანებებით ისწრაფოდა შეეზღუდა ქვეშევრდომები მათი ფრიჰოლდებისა[1] და ადგილმამულების მართვაში, მათ სარჩელებსა და გარიგებებში.

44. ბევრი ოჯახის შეძლებას ძირი გამოუთხარეს, ხოლო ზოგიერთი სავსებით გააჩანაგეს საგანგებო გამოსაღების შედეგად, რასაც მათ ახდევინებდნენ სამეურვეო გადასახადის სახით.

45. 100 წელზე მეტი ვადის ყველა იჯარას კანონის საწინააღმდეგოდ მეურვეობას უწესებდნენ.

49. ფეოდალურ გადასახადებში ბოროტმოქმედებათა გამოსაძიებლად გაიცა პატენტები და როცა ზედმეტ გადახდას აღმოაჩენდნენ, დამნაშავეებს აჯარიმებდნენ არამარტო წარსული დროისათვის, არამედ დარღვევათა წინააღმდეგ გარანტიის სახით მომავალი დროისათვის, რაც, ქმნიდა გამაფრთხილებელი ზომების მოჩვენებითობას და მხოლოდ ადიდებდა და აძლიერებდა ქვეშევრდომთა ტანჯვა-წამებას.

---

[1] ფრიჰოლდი — თავისუფალი მფლობელობა, მიწის კერძო საკუთრების ფორმა შუასაუკუნეების ინგლისში. ფრიჰოლდად ითვლებოდა თავადაზნაურთა მიწის საკუთრებაც და იმ გლეხ-ფრიჰოლდერების საკუთრებაც, რომლებმაც შეინარჩუნეს პირადი თავისუფლება ფეოდალიზმის დროს.

54. და რამდენადაც ყოველივე ეს იწვევდა სასოწარკვეთილებასა და აშინებდა ზოგიერთებს, ადამიანთა დიდი რაოდენობა სიღატაკისაგან თავის დაღწევის მიზნით გარბოდა სამეფოდან, ზოგიერთები — ახალ ინგლისში და ამერიკის სხვა ნაწილებში, ხოლო სხვები — ჰოლანდიაში.

55. მათ იქ გადაიტანეს თავიანთი მაუდის მანუფაქტურები და ეს საზიანო იყო. რადგანაც სამეფოში ნაღდ კაპიტალს ამცირებდა და ამასთან წარმოადგენდა დიდ უბედურებასაც, ამის გამო, აუარესებდა და საარსკოს ხდიდა მაუდით ვაჭრობის თავისებურებებს, რომელიც ერის სიმდიდრისა და ღირსების წყაროს წარმოადგენდა.

83. იძულებითი ფულადი სესხი შემოიღეს ლონდონის სითში.

107. მეფის მეურნეობა მხარდაჭერას საჭიროებდა, რადგანაც იგი ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ მეფეს არ შეეძლო დაეფარა თავისი ჩვეულებრივი და აუცილებელი ხარჯები ხალხის მხარდაჭერის გარეშე.

110. სიძნელეები აუტანელი გვეგონა, მაგრამ ღვთის წყალობით ისინი დავძლიეთ...

111. გაიცა ექვსი სუბსიდია და, ამის გარდა, გამოიცა ბილი სულადობრივ გადასახადზე, რომელიც, თუ იგი აიკრიფებოდა, გაუტოლდებოდა ექვს სუბსიდიაზე მეტ თანხას — დაახლოებით 600000 გირვანქა სტერლინგს.

113. სახომალდო გადასახადი მოისპო, ეს კი სამეფოს ყოველწლიურად დაახლოებით 200000 გირვანქა სტერლინგი უღირდა.

114. ფორმის ტანსაცმლისა და საყარაულო შესატანი და სხვა სამხედრო ბეგარა გაუქმებულ იქნა, ეს კი ბევრ საგრაფოში შეადგენდა სახომალდო გადასახადზე არანაკლებს.

115. გაუქმებულ იქნა ყველა ის მონოპოლია, რომელთა საფუძველზე ზოგიერთი პირი ქვეშევრდომებს აყენებდა წელიწადში 1.000.000 გირვანქა სტერლინგზე მეტი თანხის ზარალს.

119. ამის გარდა, უფრო წვრილი მონოპოლიებიც, თუ შესაძლებელი გახდებოდა მათი ზუსტად დათვლა, მოზრდილ თანხას მიაღწევდნენ.

120. მაგრამ ყოველივე ამაზე კეთილსასურველი იყო ის, რომ ამ ბოროტებათა თვით ძირი ამოძირკვეს: მისი უდიდებულესობის სახელით ქვეშევრდომთა დაბეგვრისა და პარლამენტის თანხმობის გარეშე მათი მამულებზე გადასახადების შემოღების შეუზღუდავი უფლება გაუქმდა. ეს ამჟამად კანონსაწინააღმდეგოდ არის გამოცხადებული ორივე პალატის დადგენილებათა საფუძველზე და პარლამენტის აქტის ძალით.

141. (საჭიროა) მთელი რიგი სათანადო ზომების მიღება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ოქროსა და ვერცხლის გატანა და სათამასუქო კურსების უთანაბრობა ჩვენსა და სხვა ერებს შორის, რათა ხელი შეეუწყოთ ჩვენი საქონლის გატანას, ჩვენი მანუფაქტურების გამრავლებას

და კარგი სავაჭრო ბალანსის მიღწევას, რომელიც გამოიწვევს სამეფოს კაპიტალის გაზრდას ან ყოველ შემთხვევაში ხელს შეუშლის მის შემცირებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ყოველივე ამის უგულებელყოფის შედეგად ახლო წარსულში მრავალი წლის მანძილზე.

[1, გვ. 22 — 26]

5. პარლამენტის სამოქალაქო ომი მეფესთან

ა. პარლამენტის არმიის ორგანიზაცია და საომარი მოქმედება

ო. კრომველის სიტყვიდან 13. IV. 1657 წ.

ე. ნ. XI სიტყვა კრომველისა, რომელიც მან წარმოთქვა პარლამენტის „ოთხმოცდა ცხრამეტის კომიტეტში" კრომველისათვის სამეფო ტიტულის შეთავაზებასთან დაკავშირებით. ამ სიტყვაში კრომველი იგონებს სამოქალაქო მოვლენებს.

...როდესაც მე პირველად ხელი მოვკიდე ამ საქმეს, შევნიშნე, რომ ჩვენ ხალხს ყველგან ამარცხებდნენ, მაშინ მე გამოვთქვი სურვილი რომ მას[1] ლორდი ესექსის[2] არმიისათვის მიემატებია რამდენიმე ახალი ლეგიონი (პოლკი) და ამასთან დავძინე, რომ შემიძლია თვით მოვუტანო მას სარგებლობა იმით, რომ მივგვარო ისეთი სულისკვეთების ადამიანები, რომლებიც, ჩემი აზრით, ამ საქმისათვის გამოდგებოდნენ... თქვენი ჯარები, განვაცხადე მე, უპირატესად, მოხუცი, გახრწნილი დაქირავებულების, ლოთებისა და მათი მსგავსი ადამიანებისაგან შედგება, მათ არმიაში კი მსახურობენ ჯენტლმენების შვილები, ლორდების უმცროსი ვაჟიშვილები და შეძლებული ხალხი. განა ასეთ სულმდაბალ, არაფრისმაქნის ადამიანებს შეუძლიათ დაუპირისპირდნენ ღირსებით, სიმამაცით და გაბედულებით შემკულ ჯენტლმენებს? მართლაც, მე ასე წარმოვიდგინე საქმის ვითარება და ეუთხარი მას. „თქვენ უნდა მოძებნოთ სულით მტკიცე ადამიანები"... მე შევკრიბე ღვთისმოშიში ადამიანები, რომლებსაც შეგნებული ჰქონდათ, რასაც აკეთებდნენ და უნდა მოგახსენოთ. რომ ამ დღიდან მოკიდებული არასოდეს დამარცხებულან, მტერს როცა უნდა შეხვედროდნენ, ყოველთვის იმარჯვებდნენ.

[1, გვ. 26]

---

[1] ო. კრომველს მხედველობაში ჰყავს ჯონ ჰემპდენი (1594 — 1643), პურიტანების თვალსაჩინო ლიდერი.

[2] ლორდი ესექსი (1591—1646) — პარლამენტის არმიის პირველი მთავარსარდალი, რომელიც ფარულად როიალისტ-კავალერებს თანაუგრძნობდა.

ო. კრომველის წერილი უ. სარინგს და მ. ბაროუს
კემბრიჯი, 1643 წ. სექტემბერი

ჯენტლმენებო! მე უკვე ორი დღეა კემბრიჯში ვიმყოფები და ველი შევიტყო სეფოლკში საზოგადოებრივ დახმარებასთან დაკავშირებული თქვენი ღონისძიებების შედეგები. დამერწმუნეთ, ძალიან მალე შეიტყობთ ქარიშხალის შესახებ! თქვენ არ გაგაჩნიათ ქვეითი ჯარის რაიმე მნიშვნელოვანი ნაწილები: იჩქარეთ კავალერიის შექმნა. რამდენიმე დაკარგულმა საათმა შეიძლება დაგღუპოთ. მე გთხოვთ საგულდაგულოდ შეარჩიოთ კავალერისტების კაპიტნები და კავალერისტები. ცოტა პატიოსანი ადამიანი უკეთესია, ვიდრე ბევრი უპატიოსნო. ადამიანებს სწავლებისათვის მიეცეს განსაზღვრული დრო...

მეფე განსაკუთრებით ძლიერია დასავლეთში. თუ თქვენ შეძლებთ მისი ჯარების დამარცხებას პირველ გამოჩენისთანავე, თქვენ მოიხვეჭთ დიდებას, ეს კი დიდი უპირატესობაა ჩვენს საქმეში...

მე ვამჯობინებ უბრალო, სადად ჩაცმულ კაპიტანს, რომელმაც იცის რისთვის იბრძვის და ერთგულია ამ საქმისა, ვიდრე იმას, რომელსაც ჩვენთან „ჯენტლმენს“ უწოდებენ და რომელიც მეტს არაფერს წარმოადგენს.

[1. გვ. 27]

ბრძოლა მარსტონ მურთან 1644 წ. 2.VII

სამშაბათს დილით (2 ივლისს) მტრის ცხენოსანი ჯარის ერთი ნაწილი, გარკვეული დროით, გამოჩნდა ჩვენ წინ, ხოლო შემდეგ ჩვენი თვალთახედვიდან გაქრა, რამაც გვაფიქრებინა, რომ მოწინააღმდეგის მთავარი ძალა მიემართება თადკასთერისაკენ, სადაც მას შეუძლია მოგვწყვიტოს მდინარისაგან, მოგვაცალოს სურსათის შემოზიდვის საშუალება და განახორციელოს მოულოდნელი შეტევა სამხრეთში. ამიტომ, ჩვენმა ქვეითმა ჯარმა არტილერიასთან ერთად მიიღო ბრძანება წაწეულიყო თადკასთერის მიმართულებით. შოტლანდიელები ავანგარდში მოდიოდნენ და მიაღწიეს თადკასთერს, იმავე დროს მარსტონიდან 2-3 მილის დაშორებით მოქმედებდა გრაფ მანჩესტერის ქვეითი ჯარი. ჩვენ აქ ცხარე ბრძოლა გავმართეთ, რომლის შედეგადაც მტერმა მურისაკენ დაიხია...ჩვენ განვალაგეთ ჩვენი არმია ჭვავის ყანასთან ახლოს, საბრძოლო წესით... შემაღლებული ადგილი ჩვენ უპირატესობას გვაძლევდა, ისევე როგორც ქარის სასურველი მიმართულება. გენერალმა ლესლიმ[1] ბრწყინვალედ გამოაცალინა თავისი ნიჭიერება, გონივრულად

[1] გენერალი ლესლი — პარლამენტის არმიის შემადგენლობაში მებრძოლი შოტლანდიის არმიის სარდალი.

გახალაგა თავისი ჯარები, სხვა გენერლებიც ამასვე აკეთებდნენ თავიანთ ნაწილებში. ორივე არმია, თითოეული 20 ათასზე მეტი მეომრით, იდგა ბრძოლისათვის მომზადებული.

ჩვენი არმიის პოზიცია ასეთი იყო: გენერლების — ლესლისა და ფერფაქსის ცხენოსანი ჯარები ქმნიდნენ მარჯვენა ფრთას, გრაფ მანჩესტერის ცხენოსანი ჯარი შოტლანდიელ მხედართა ნაწილთან ერთად იდგა მარცხენა ფლანგზე. ლესლის ქვეითი ჯარი აგრეთვე მარჯვენა ფლანგზე დაბანაკდა. გრაფ მანჩესტერის ქვეითი ნაწილები განლაგებული იყო გენერალ ფერფაქსის ქვეითი ჯარის მარცხენა მხარეს, რომელიც ქმნიდა ცენტრს. სამი ან ოთხი ბრიგადა რეზერვში იმყოფებოდა.

დილით, 6-7 საათზე ჩვენ წავიწიეთ 200 ნაბიჯით მტრის მიმართულებით. ჩვენი ქვემეხები წავწიეთ წინ, ქუდებზე გვეკეთა ქაღალდისა და ცხვირსახოცებისაგან დამზადებული საცნობი ნიშნები. ჩვენი დევიზი იყო: „ღმერთი ჩვენთანაა," მოწინააღმდეგის დევიზი იყო: „ღმერთი და მეფე"... მტერი მთელი დღე ელოდა ჩვენს შეტევას. როცა გრაფ მანჩესტერის ქვეითი ნაწილები მოვიდნენ, ხანმოკლე ორმხრივი სროლის შემდეგ ჩვენ ვაიძულეთ მტერი უწესრიგოდ დაეხია და დაეტოვებია საველე მესერთან დაკავებული პოზიცია. ამავე დროს მტერს თავის ბრიგადით შეუტია ლორდმა ფერფაქსმა და მოწყვიტა ისინი ქვემეხებს. ამაზე ადრე, გენერალ-ლეიტენანტი კრომველი არაჩვეულებრივი სიმამაცით თავისი რაზმით შეიჭრა და გაარღვია მტრის მარჯვენა ფლანგი, სადაც დაბანაკებული იყო პრინც რუპერტის საუკეთესო ცხენოსანი ჯარი. მას შემდეგ, რაც მტრის მარჯვენა ფრთა მოიშალა, ჩვენები მიადგნენ მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთას, რომელიც ჩვენ ცხენოსან ჯარს ავიწროებდა. მაგრამ, ჩვენი ჯარისკაცები მედგრად იცავდნენ თავს, ხოლო, როცა დახმარება მიიღეს, გააძლიერეს წინააღმდეგობა და ბოლოს აიძულეს მტერი უწესრიგოდ უკუქცეულიყო. ჩვენებმა მტერს სდიეს 3 მილის მანძილზე, ქალაქ იორკის გარეუბნამდე.

[1, გვ. 27 — 28]

ბრძოლა ნეზბისთან 1645 წ. 14.VI

მე მოკლედ მოგითხრობთ თქვენ ჩვენი არმიის მარშზე, რომელიც სახელოვანი გენერლის სერ თომას ფერქსასის სარდლობით განხორციელდა, იმიტომ რომ გასულ კვირას მისმა გადაადგილებამ მოგვიტანა ე. წ. 14 ივნისის შესანიშნავი გამარჯვება. არმია დაიძრა ორშაბათს, 9 ივნისს, ოუნლიდან, შერინგთონიდან..., ოთხშაბათს, 11 ივნისს მან მიაღწია ვუთონს, ნორთჰეპთონიდან 2 მილის დაშორებით, 12-ში, ხუთშაბათს, მეფე ჯერ კიდევ ნადირობდა ფოულსელსის პარკში, და არაფერი იცო-

და ჩვენი არმიის მოახლოვების შესახებ, მაგრამ როცა მან შეიტყო რომ გენერალი (ფერფაქსი) მოიწევს აშკარა მიზნით ჩაებას ბრძოლაში, მან (მეფემ) და მისმა ჯარებმა უკანდახევა სცადეს. მათ აგრეთვე შეიტყვეს, რომ პარლამენტის არმიასთან შესაერთებლად მოემართებიან რკინისგვერდებიანები.[1] პარასკევს, 13 ივნისს, დაახლოებით დილის 5 საათზე მეფის არმიამ დაიწყო დევენთრიდან უკანდახევა და დილის 9 საათისათვის მან ქალაქი მთლიანად დაცალა. სწორედ ამ დროს ჩვენ არმიას მოუახლოვდა გენერალ-ლეიტენანტი კრომველი თავისი ჯარით... ჩვენი კავალერიის ნაწილი გაიგზავნა დევენთრისაკენ, რათა შეგვეტყო რომელი გზით წავიდა მეფის არმია... შენიშნა რა ჩვენი მიახლოვება და იგრძნო რა, რომ მის ადამიანებს არ შეუძლიათ სწრაფი მოძრაობა, რადგან მათ მიჰქონდათ ბარგით დატვირთული 300 ოთხთვალა, მტერმა გადაწყვიტა დაეკავებია ხელსაყრელი პოზიცია სოფელ ნეზბისთან ახლო მდებარე დიდ ბორცვზე, ნორთჰემპთონიდან 9 მილზე და დაგვიწყო ჩვენ ლოდინი. შაბათს, დილით, 14 ივნისს ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა მეფის ჯართან. ორივე მხარე იბრძოდა დიდი შეუპოვრობით. მეფის მარჯვენა ფრთა პირველი დაესხა თავს ჩვენს მარცხენა ფრთას და უწესრიგოდ უკუაქცია, მაგრამ ამ დროს ცენტრი მედგრად უმკლავდებოდა მოწინააღმდეგეს, ხოლო მარჯვენა ფრთამ დაარტყა მათ მარცხენა ფრთას: მალე ჩვენმა ქვეითმა ჯარმა დაიკავა მტრის მიერ დაკავებული ტერიტორიის ნაწილი, მოწინააღმდეგეთა ჯარისკაცები უკუიქცნენ, მაგრამ მალე დაბრუნდნენ და აღადგინეს წინანდელი მდგომარეობა, მაგრამ, ამ დროისათვის ჩვენმა მარცხენა ფრთამ შეაერთა თავისი ძალები და მთელი ჩვენი არმია გადავიდა შეტევაზე ყველა მიმართულებით. ერთი საათის შემდეგ მეფის მებრძოლები მოვწყვიტეთ საკუთარ არტილერიას. ჩვენი არმია მიერეკებოდა მათ კავალერიას და ქვეით ჯარს, მათგან მხოლოდ მცირემ შეინარჩუნა წესრიგი. დღის პირველ საათზე ბრძოლის ველზე აღარ დარჩენილა მეფის არმიის არც ერთი ჯარისკაცი, ტყვეების გარდა. მეფის მხედრები გაიქცნენ ლეისთერის მიმართულებით, ჩვენი ცხენოსანი ჯარი მათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, ქვეითი ნაწილები კი შეუდგნენ სამხედრო ნადავლის შეგროვებას...ჩვენ ხელთ ჩავიგდეთ 4000 ტყვე, თითქმის სამასივე ოთხთვალა, მათ შორის 12 იყო საარტილერიო, ერთ მათგანში კი შებმული იყო 26 ცხენი... ბევრი საბარგული დატვირთული იყო მტრის მიერ ადრე ხელში ჩაგდებული მდიდარი ნადავლით, სხვებზე მიჰქონდათ ხელის სხვადასხვა იარაღი და ამუნიცია (მუშკეტები, შუბები, დენთი, პატრუქები, ტყვიები), იყო აგრეთვე უამრავი ყოველნაირი სკივრი, მათში მოთავსებულ ნივთებს ჯარისკაცები სწრაფად იტაცებდნენ.

[1, გვ. 28 — 29]

---

[1] საუბარია ცხენოსან ნაწილებზე, რომელთაც კრომველი სარდლობდა.

პარლამენტში შეკრებილი ლორდთა პალატისა და თემთა პალატის ბრძანების თანახმად, ამ აქტის მიღებიდან ორმოცი დღის გასვლის შემდეგ, პარლამენტის ორივე პალატის ყველა წევრი უნდა იყოს განთავისუფლებული და ამ აქტით თავისუფლდება ყველა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო თანამდებობიდან, რომელიც მათ უბოძა ამ პარლამენტის ორივე ან ერთ-ერთმა პალატამ, ან 1640 წლის 20 ნოემბრიდან ორივე ან რომელიმე მათგანისაგან გამომდინარე ხელისუფლებამ.

შემდგომ დადგენილია, რომ მთავრობის ყველა სხვა პირი და კუნძულების, ქალაქების, ციხე-სიმაგრეთა კომენდანტები და ყველა პოლკოვნიკი და სხვადასხვა არმიაში მომსახურე პოლკოვნიკებზე დაბალი რანგის სხვა ოფიცერი, რომლებიც არ არიან პარლამენტის რომელიმე პალატის წევრი, მათი მდგომარეობის შესაბამისად დატოვებული იქნებიან იმ თანამდებობებსა და პოსტებზე, რომლებზეც იმყოფებიან და რომლებიც ანდეს მათ 1644 წლის 20 მარტს... ყველა ვიცე-ადმირალი, კონტრ-ადმირალი და ყველა კაპიტანი და ფლოტის დაბალი ოფიცერი მათი მდგომარეობის შესაბამისად დატოვებული იქნებიან იმ თანამდებობებზე, რომლებზეც იმყოფებიან და რომლებიც მათ ანდეს ხსენებულ 1644 წლის 20 მარტს...

[1, გვ. 29 — 30]

ბ. რევოლუციური მოძრაობა პარლამენტის არმიის შიგნით და რესპუბლიკის დამყარება

სახალხო შეთანხმება მტკიცე და ჭეშმარიტი მშვიდობის თაობაზე, რომელიც საყოველთაო უფლების საფუძველზე წარედგინა არმიის საბჭოს 28. X. 1647 წ.

...ჩვენი უკანასკნელი მეცადინეობისა და გარდაქმნების მეშვეობით მთელი მსოფლიოსათვის ნათელი გახდა, თუ რაოდენ დიდად ვაფასებთ ჩვენს ჭეშმარიტ თავისუფლებას, ღმერთმა კი ისე შორს წასწია ჩვენი საქმე, რომ მტრები ჩვენ ხელთაა. ამჟამად თავს ურთიერთვალდებულად ვთვლით... მთელი ჩვენი მონდომება მოვახმაროთ იმას, რომ თავიდან ავიცილოთ მომავალში... წინანდელი მონობის დაბრუნების საშიშროება და აგრეთვე ახალი ომისათვის შურისძიება... ძნელი წარმოსადგენია, რომ ბევრ ჩვენ თანამოქალაქეს, შეგნებული ჰქონდა საკუთარი სარგებლობა და მაინც ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდოდა ამ დავაში. გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენი საერთო უფლებები და თავისუფლებები უზრუნველყოფილი იქნება, ისინი

ვეღარ შეძლებენ გახდნენ ჩვენი ბატონები. ჩვენ ამდენი შევიწროებისა და ძლივსღა დამთავრებული ამბოხების შემდეგ მივაღწიეთ შეთანხმებას და დავადგინეთ მიგვეღო ყველა ზომა იმისათვის, რომ ამიერიდან ჩვენი წარმომადგენლები აღარ დააკავონ განუსაზღვრელი ვადით, რათა შეძლონ ემსახურონ იმ მიზნებს, რისთვისაც არიან მოწოდებულნი.

ამის ძალით ვაცხადებთ:

1. ინგლისელი ხალხი, რომელიც დღემდე პარლამენტში თავისი დეპუტატების არჩევისათვის, საგრაფოების, ქალაქებისა და დაბების მიხედვით ძალზე უთანაბროდ ნაწილდებოდა, ამიერიდან უნდა განაწილდეს უფრო პროპორციულად, მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად. არჩევნების მოწყობის რიცხვის, ადგილისა და წესების თაობაზე ზუსტი მითითებანი უნდა დადგინდეს ამ პარლამენტის მუშაობის დამთავრებამდე.

II. მრავალ უხერხულობათა თავიდან ასაცილებლად, რასაც იწვევს ხელისუფლების სათავეში ერთი და იგივე პიროვნების ხანგრძლივი ყოფნა, ახლანდელი პარლამენტი დათხოვნილი უნდა იქნეს სექტემბრის უკანასკნელ დღეს — ჩვენი ღვთის 1648 წელს.

III. ხალხმა პარლამენტი უნდა აირჩიოს ორ წელიწადში ერთხელ, სახელდობრ, ყოველი მეორე წლის მარტის პირველ ხუთშაბათს, იმ ინსტრუქციის თანახმად, რომელიც უნდა შემუშავდეს ამ პარლამენტის ვადის გასვლამდე. სესია უნდა იწყებოდეს მომდევნო (არჩევნების შემდეგ) აპრილის პირველ ხუთშაბათს უესთმინსტერში ან სხვა რომელიმე ადგილას, რომელიც დროულად იქნება მითითებული წინამორბედი წარმომადგენლების მიერ და გრძელდებოდეს არა უგვიანეს ამავე წლის სექტემბრის უკანასკნელ დღემდე.

IV. როგორც ახლანდელი, ისე ყველა მომავალი წარმომადგენლის ძალაუფლება ემორჩილება მხოლოდ მათ ძალაუფლებას, ვინც ისინი აირჩია, და ვრცელდება, რომელიმე სხვა პიროვნების ან პიროვნებათა[1] ჩაურევლად, კანონების დადგენის, შეცვლისა და გაუქმების საკითხებზე, დაწესებულებათა და სასამართლოების შემოღებასა და გაუქმებაზე, ყველა რანგის მოხელეებისა და ოფიცრების დანიშვნასა და განთავისუფლებაზე და მათგან ანგარიშების მოთხოვნაზე. ომისა და მშვიდობის საკითხებზე, უცხოეთის სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების დადებაზე და საერთოდ ყოველივე იმაზე, რაც წინასწარგანსაზღვრით ნათლად არ არის გამოყოფილი საკუთარი კომპეტენციიდან თვით წარმომადგენლების მიერ, სახელდობრ:

1) რელიგიისა და ღვთისმსახურების საქმე საერთოდ არ უნდა ვან-

---

[1] იგულისხმება მეფე და ზედა პალატის ლორდები.

დოთ რაიმე ადამიანურ ხელისუფლებას, რადგანაც ჩვენ არა გვაქვს უფლება გამოვტოვოთ ან წავუმატოთ რომელიმე ასო იქიდან, რასაც გვკარნახობს ჩვენი სინდისი, რაც წარმოადგენს ღვთის გონიერებას, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ცოდვა, თუმცა ერის დარიგების საჯარო საშუალებები (მაგრამ მხოლოდ იძულების გარეშე) შეიძლება შევთავაზოთ მათ კეთილგანზრახვას.

2) სესხის მოთხოვნა და რომელიმე ჩვენგანისათვის სამხედრო სამსახურის იძულება ეწინააღმდეგება ჩვენს თავისუფლებას და ამიტომაც ამის უფლებას ჩვენს წარმომადგენლებს არ მივცემთ. უკეთესი იქნება, რამდენადაც ფული (ომის ნერვი) მუდამ მათს განკარგულებაშია, თუ ისინი არასდროს იგრძნობენ ისეთი ადამიანების ნაკლებობას, რომელთაც ექნებათ საკმაო უნარი, ყოველგვარი სამართლიანი საქმის სამსახურისა.

3) ამ პარლამენტის დათხოვნის შემდეგ არავინ უნდა დაიპაჯოს რაიმე სიტყვის ან მოქმედებისათვის ადრინდელ საზოგადოებრივ უთანხმოებათა ვამო. სხვანაირად, თუ არა ამ წარმომადგენელთა ან თემთა პალატის სასამართლოს დადგენილებით.

4) რომ უკვე გამოცემული ან გამოსაცემი კანონების შესრულება ყოველი პიროვნების თანაბარი ვალდებულებაა და რომ არც ერთი მფლობელობა, ადგილმამული, ქარტია, ქონება, წარმოშობა ან თანამდებობა არ დაექვემდებარება რაიმე გადახრას სხვებისთვის სავალდებულო ჩვეულებრივი კანონიერი წესიდან.

5) რომ, რამდენადაც კანონები უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო (თანასწორი), ისინი უნდა იყვნენ კარგი და არა დამღუპველი ხალხის უშიშროებისა და კეთილდღეობისათვის.

ყოველივე ამას ჩვენს თანდაყოლილ უფლებებად ვაცხადებთ და ამიტომაც შევთანხმდით და დავადგინეთ დავიცვათ ისინი მთელი ჩვენი ძალებით ყოველგვარი ოპოზიციის წინააღმდეგ, როგორიც უნდა იყოს იგი. აქეთკენ გვიბიძგებს, არამარტო ჩვენი წინაპრების მაგალითები, ვისი სისხლიც ხშირად ტყუილუბრალოდ იღვრებოდა მათი თავისუფლების მოსაპოვებლად, ვისი ბრძოლითაც მოპოვებული წარმატებები იკარგებოდა თვალთმაქცური დაზავების შედეგად, არამედ აგრეთვე ჩვენი საკუთარი სავალალო გამოცდილება, როცა დიდი ხნის ნანატრი და ძვირად ღირებული მმართველობის გარკვეული სისტემის დამყარებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენი მშვიდობისა და თავისუფლების უზრუნველყოფის საქმე მინდობილი ჰქონდა იმას, ვინც აპირებდა ჩვენს დამონებას და ვინც სისხლიან ომამდე მიგვიყვანა.[1]

[1, გვ. 30 — 32]

---

[1] იგულისხმება ჩარლზ I, რომელიც 1647 წელს უნდა აღედგინა კონსტიტუციური მონარქის სახით ორივე პარტიას — როგორც პრესბიტერელებს, ისე ინდეპენდენტებს.

არმიისაგან გამომდინარე წინადადებათა თავები

ინდეპენდენტების პროგრამიდან (1. VIII. 1647 წ.)

... 5. დეპუტატთა არჩევნები მომდევნო პარლამენტებში უნდა ნაწილდებოდეს ყველა საგრაფოსა და სამეფოს სხვა ნაწილებისა და დანაყოფების მიხედვით თანასწორობისა და პროპორციის ისეთი წესების თანახმად, რომ ყველა საგრაფოს შეეძლოს ჰქონდეს მათი ხმების შესაბამისი პარლამენტის წევრთა რიცხვი, პროპორციული იმ გადასახადებისა, რაც მათ შეაქვთ საერთო თანხაში, და თანასწორობისა და პროპორციის ზოგიერთი სხვა წესების შესაბამისად, რომ თემთა პალატა გავხადოთ (რამდენადაც ეს შესაძლებელია) ერთიანი მთლიანის თანაბარი წარმომადგენლობა, ამ მოსაზრების ძალით არჩევის უფლება უნდა ნაერთვათ დაცემის გზაზე დამდგარ და უმნიშვნელო ქალაქებს და დამატების სახით იგი უნდა გადაეცეს მსხვილი საგრაფოების საპარლამენტო წარმომადგენელთა ნაღდ რაოდენობას, რომლებსაც ამჟამად ნაკლები წარმომადგენლები ჰყავთ, ვიდრე ეს დასაშვებია სწორი პროპორციით, და ამ გზით დადგინდეს ყველგან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პროპორციულობის ისეთი ნორმა, როგორიც ზემოთ ითქვა.

[1, გვ. 32 — 33]

კამათიდან პუტნის არმიის კონფერენციაზე (28.X. 11.XI. 1647 წ.)

გ ე ნ ე რ ა ლ ი ა ი რ ტ ო ნ ი.[1] მე ვფიქრობ, რომ ყველასათვის საერთო უფლებები არ არსებობს. მე ვვარაუდობ, რომ არც ერთ პირს არა აქვს სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგებლობაში ინტერესისა და წილის უფლება, აგრეთვე მათ არჩევაში, ვინც უნდა გადაწყვიტოს, რომელი კანონებით უნდა ვმართოთ, არც ერთ პირს არა აქვს უფლება. თუ კი მას არ გააჩნია ამ სამეფოში მუდმივი და მტკიცე დაინტერესება.[2] სწორედ ასეთი ადამიანები, ერთად აღებული, კაცმა რომ თქვას, წარმოადგენენ კიდეც სამეფოს. აქედან გამომდინარე უნდა გამოყონ სამეფოს ის წარმომადგენლები, რომლებიც, ერთად თავმოყრილნი, ადგენენ, რაში გამოიხატება რეალური და მუდმივი ინტერესი სახელმწიფოში... ჩვენ ყველანი ვლაპარაკობთ (აქ) თანდაყოლილ (ბუნებით) უფლებაზე. ჭეშმარიტად, დაბადების უფლების საფუძველზე აქ ბევრ პრეტენზიას აყე-

---

[1] გენერალი აირტონი (1611—1651) კრომველის სიძე, ინდეპენდენტების ერთ-ერთი გამოჩენილი ბელადი, ავტორი „არმიისაგან გამომდინარე წინადადებათა თავებისა."

[2] აირტონს მხედველობაში აქვს მიწის საკუთრების არსებობა, როგორც საარჩევნო უფლების მიღების პირობა.

ნებენ. სავსებით სამართლიანად—ადამიანებს, დაბადების უფლებით, იმის გამო, რომ სწორედ ინგლისში დაიბადნენ, აქვთ იმის კანონიერი უფლება, რომ ისინი არ განვდევნოთ ინგლისის ფარგლებიდან, რომ უარი არ ვუთხრათ ჰაერზე, ადგილსამყოფელზე, მიწაზე, სამთო გზებით თავისუფალ სარგებლობაზე და სხვა... რომ ისინი ჩვენს შორის ცხოვრობდნენ... აი, რა ეკუთვნის, მე ვფიქრობ, ადამიანს დაბადების უფლებით. მაგრამ რომ ვინმემ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აქ დაიბადა, უნდა მიიღოს აქაური მიწების მფლობელობის ან სხვა რაიმე ქონების წილი, არა მგონია რომ ამისათვის საკმაო საფუძველი არსებობდეს... თუ შეეუდგებით ჩვენი კონსტიტუციის ამ ფუნდამენტური ნაწილის გაუქმებას, ეჭვგარეშეა, მივალთ იქამდე, რომ გავაუქმებთ მთელ საკუთრებას და იმ სარგებლობას რასაც აქედან ადამიანი იღებს.

კ ა პ ი ტ ა ნ ო რ ე ნ ბ ო რ ო[1]... არაფერი მომისმენია აქ ისეთი, რასაც შეეძლო დაეერწმუნებინე იმაში რომ ინგლისში დაბადებულ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს ქალაქში საარჩევნო ხმა. აქ ითქვა, რომ თუ ვინმეს არა აქვს მუდმივი ინტერესი, არ შეიძლება ჰქონდეს არავითარი პრეტენზია. მე კი, პირიქით, ვფიქრობ, რომ მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ მისცა ყოვლისშემძლე ღმერთმა ადამიანებს გონება, გამოიხატება იმაში, რომ ისინი ამ გონებით სარგებლობდნენ და სრულყოფდნენ მას იმ მიზნებისათვის, რომლებიც მან მათ მიუთითა...მე მიმაჩნია, რომ ყველა ინგლისელი უნდა დაემორჩილოს ინგლისის კანონებს, და გულწრფელად მჯერა, რომ აქ არ არის არც ერთი ადამიანი, რომელმაც არ თქვას: ყოველი კანონის საფუძველი ხალხში დევსო... და ჭეშმარიტად, სხვა არაფერი მიფიქრია იმაზე, თუ როგორ დუხჭირ, სასოწარკვეთილ პირობებში უნდა იმყოფებოდეს ბევრი (იმათ შორის), ვინც პარლამენტისათვის იბრძოდა ამ ომში. ვალდებული ვარ განვაცხადო, ბევრმა ადამიანმა ვისმა გულმოდგინებამ და ერთგულებამ ღვთისა და სამეფოს წინაშე ისინი წინ წამოსწია ამ საქმეში, ისე გააჩანაგა თავისი ადგილ-მამული, რომ სახელმწიფო და სამხედრო სარბიელზე მათ არ ძალუძთ გამართულად ეჭიროთ თავი, და როცა მათი ადგილ-მამული დაკარგულია და წელიწადში 40 შილინგი შემოსავალი არ მოაქვს, ალბათ ასეთ ადამიანს, უკვე არ გააჩნია რაიმე „ინტერესი". სხვა ბევრი საბაბიც არის, რომელთა მეშვეობით... ადამიანები გაკოტრებამდე მიდიან... როცა ადამიანს ადგილ-მამული აქვს, იგი დაინტერესებულია კანონების გამოცემით, ხოლო როცა არა აქვს, იგი ძალაუფლებას კარგავს. ამგვარად, გამოდის, რომ ადამიანს არ შეუძლია დაკარგოს ის, რაც მას აქვს თავისი ოჯახის შესანარჩუნებლად და უნდა დაკარგოს ის, რაც მას მისცა ღმერთმა და ბუნებამ.

[1] კაპიტანი თომას რენბორო, შემდგომ პარლამენტის არმიის პოლკოვნიკი და პარლამენტის ფლოტის ეიცე-ადმირალი, თვალსაჩინო ლეველერი, დაიღუპა 1648 წ. კავალერთა ამბოხის შედეგად.

ა გ ი გ ა ტ ო რ ი ს ე ქ ს ბ ი:[1] ჩვენ მოწოდებული ვიყავით გვემსახურა სამეფოსათვის და სიცოცხლის რისკს ვწევდით, და ყოველივე ეს იმისათვის, რომ აღგვედგინა ჩვენი თანდაყოლილი უფლებები და პრივილეგიები როგორც ინგლისელებისა, აქ კი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეს ასე არ არის. მრავალი ათასი ჯარისკაცი სიცოცხლეს სწირავდა. რაც შეეხება ჩვენს მამულებს, მართლაც სამეფოში უმნიშვნელო საკუთრება გაგვაჩნია, მაგრამ მაინც გვაქვს დაბადების უფლება. ახლა კი ვლინდება, რომ საკუთრების მქონე ადამიანების გარდა, სამეფოში არავის არა აქვს უფლებები. მაოცებს, რომ ასე მოტყუებული ვართ, თუ ჩვენ სამეფოში უფლებები არა გვაქვს, მაშინ მხოლოდ უბრალო დაქირავებული ჯარისკაცები ვყოფილვართ, ბევრია ჩემნაირ მდგომარეობაში, მათ ამჟამად მხოლოდ მცირე ნაკვეთები აქვთ, მაგრამ ისინი ფლობენ ისეთსავე თანდაყოლილ უფლებებს, როგორსაც ეს ორი[2], რომლებიც კანონმდებლებს წარმოადგენენ. ერთი სიტყვით, უნდა გითხრათ ჩემი გადაწყვეტილება. გადავწყვიტე არავის მივცე ჩემი თანდაყოლილი უფლება. რაც არ უნდა მოხდეს და რაც არ უნდა იფიქრონ, მას არავის დავუთმობ.

[1, გვ. 33 — 34]

უმაღლესი სასამართლო პალატის განაჩენი მეფისადმი[3]

(27.1. 1649 წ.)

... სასამართლო გონებითა და სინდისით დარწმუნდა, რომ იგი — ჩარლზ სტიუარტი დამნაშავეა პარლამენტისა და ხალხის წინააღმდეგ ომის დაწყებაში, აგრეთვე მის მხარდაჭერასა და გაგრძელებაში. იგი (ჩარლზ სტიუარტი) იყო და რჩება დამნაშავედ ბრალდებაში დასახელებულ უკანონო განზრახვებსა და მისწრაფებებში..., იმაში რომ... აღნიშნული ომი მან დაიწყო, მხარს უჭერდა და აგრძელებდა... ხსენებული მიზნის აღსრულებისათვის, რომ იგი იყო და რჩება აღნიშნული არაბუნებრივი, მკაცრი და სისხლისმღვრელი ომის დამნაშავედ, შემოქმედად და გამგრძელებლად და ამით... ბრალი ედება სახელმწიფოს ღალატში, მკვლელობებში, ძარცვებში, ხანძრებში, ძალადობაში, გაჩანაგებაში, ერის ზიანსა და უბედურებაში, რომელიც მან ჩაიდინა აღნიშნულ ომში.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ყოველივე ამ ღალატისა და დანაშა-

---

[1] ედუარდ სექსბი (გარდაიცვალა 1658 წ.) — ლეველერთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პოლკოვნიკი, იბრძოდა კრომველის წინააღმდეგ, როცა იგი ინგლისის პროტექტორი გახდა.

[2] სექსბის მხედველობაში ჰყავდა აირტონი და კრომველი, რომლებიც აგრეთვე ესწრებოდნენ ამ თათბირს პუტნში.

[3] განაჩენის დასკვნითი ნაწილი.

ულობისათვის იგი ...ჩარლზ სტიუარტი, როგორც ტირანი, მოღალატე, მკვლელი და როგორც ამ ერის კეთილი ადამიანების მტერი სიკეთილით უნდა დაისაჯოს სხეულისაგან თავის მოკვეთით.

[1, გვ. 35]

აქტი, რომელიც აუქმებს ლორდთა პალატას (19.III. 1649 წ.)

პარლამენტში თავმოყრილმა ინგლისის თემთა პალატის წევრებმა, დარწმუნდნენ რა ხანგრძლივი გამოცდილებით, რომ ლორდთა პალატის არსებობა უსარგებლო და საშიშია ინგლისელი ხალხისათვის, საჭიროდ ჩათვალეს დაედგინათ და დაემტკიცებინათ, და ეს (ნამდვილად) დადგენილი და დამტკიცებულია ამ პარლამენტისა და მისი ძალაუფლების მიერ, რომ ამიერიდან პარლამენტში ლორდთა პალატა ამის ძალით უნდა იყოს სრულიად განადგურებული და გაუქმებული, რომ ამიერიდან ლორდები არ უნდა შეიკრიბნონ ან არ უნდა გამართონ სხდომა ლორდთა პალატად წოდებულ ადგილას ან სხვა ნებისმიერ საზოგადოებრივ ადგილას ან კრებაზე, და ზუსტად ასევე, პარლამენტშიც, ლორდთა პალატამ, როგორც ასეთმა, არ უნდა გამართოს სხდომა, არ უნდა მოახდინოს ვოტირება, არ უნდა განიხილოს მინიჭება და არც გადაწყვიტოს რაიმე საქმე

... ამ აქტით გამოცხადებულია, რომ ლორდთაგან, ისინი, რომელთაც სახელმწიფოს მიმართ ღირსებით, სიმამაცით და ერთგულებით გამოიჩინეს თავი, და აგრეთვე მათი შთამომავლობა, რომლებიც ასევე მოიქცევიან, არ გაირიცხებიან ერის სახელმწიფო საბჭოებიდან, მაგრამ ისინი იქ დაიშვებიან და მიენიჭებათ პარლამენტში თავისუფალი ხმის უფლება იმ შემთხვევაში, თუ მათ აირჩევენ ასეთივე უფლებებით აღჭურვილ სხვა პირებთან ერთად. დაე შემდგომშიც ხელისუფლების მიერ განსაზღვრული და დამტკიცებული იქნეს, რომლის შესახებ უკვე ითქვა, რომ ამ ქვეყნის არც ერთ პერს, თუ იგი არჩეული და აღიარებული არ არის პარლამენტში და მონაწილეობას არ იღებს პარლამენტის სხდომებში, არა აქვს უფლება მოითხოვოს რაიმე საპარლამენტო პრივილეგია ან ისარგებლოს ამ პრივილეგიით მხოლოდ საკუთარი პერსონის, ტიტულის ან სამფლობელოს საფუძველზე, მოითხოვოს პრივილეგია რომელიმე კანონის, წეს-ჩვეულების ან არსებული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ— რაც არ უნდა მოხდეს.

[1, გვ. 35—36]

აქტი რომელიც ინგლისს რესპუბლიკად აცხადებს (19.V. 1649 წ.)

პარლამენტითა და მისი ძალაუფლებით გამოცხადებულია და დამტკიცებული, რომ ინგლისისა და მისი კუთვნილი ყველა სამფლობელოსა

და ტერიტორიის ხალხი არსებობს და იარსებებს, და ამის ძალით ამ პარლამენტმა დაადგინა, შექმნა, დააწესა და დამტკიცა — იყოს რესპუბლიკა და თავისუფალი სახელმწიფო, რომ ამიერიდან იგი (ინგლისის ხალხი) დაექვემდებარება, როგორც რესპუბლიკა, ანუ თავისუფალი სახელმწიფო, ერის უმაღლეს ხელისუფლებას — პარლამენტში ხალხის წარმომადგენლებს და მათ მიერ დანიშნულ და დამტკიცებულ, მათზე დაქვემდებარებულ თანამდებობის პირებისა და მინისტრების ხელისუფლებას — ხალხის საკეთილდღეოდ და ყოველგვარი მეფისა და ლორდთა პალატის გარეშე.

[1, გვ. 36]

0. ლეველერები და დიგერები

ჰეშმარიტი ლეველერების, ანუ დიგერების პამფლეტებიდან

შუქი, რომელიც ბეკინჰემშირში ანათებს, ანუ გამომჟღავნება მთელს მსოფლიოში და განსაკუთრებით ინგლისში ყოველგვარი მონობის დიდი, მთავარი მიზეზისა, რომელიც ჩამოყალიბებულია დეკლარაციის ფორმით და გამიზნულია აგრეთვე ახლანდელი არმიის საყურადღებოდ, რომელსაც ლორდი ფერფაქსი მიუძღვის (ნ. XII. 1648 წ.)

აღსდექ, უფალო, რათა განსაჯო დედამიწა!

... მდიდრებს მეფე სჭირდებათ იმისათვის, რომ ღატაკმა არ მოითხოვოს მისთვის ღვთისაგან ბოძებული უფლებები.

თვალთმაქცი კანონმდებელნი დაინტერესებული არიან მეფით, რადგანაც თუ მეფე არ იქნება, უმაღლესი ძალაუფლება გადავა კანონის საფუძველზე არჩეული ხალხის წარმომადგენლებზე...

ყველა ჯურის ლორდები, ბარონები და ა. შ. მოითხოვენ მეფეს, რამდენადაც, თუ იგი არ იქნება, დაიღუპება მათი პერთა ტირანული პალატა და დაიღუპება მთელი მათი დამყაყებული წარჩინებულება, კორპორაციები და პრივილეგიები. მთელი მათი ძლიერება ხომ მეფისაგან მოდის და თუ იგი დამხობილი იქნება, დაემხობა მათი ტირანიაც.

პატიოსანი ადამიანი რომელიც თავისუფლებას ესწრაფვის, ხმას იმაღლებს ყოველგვარი ანგარების ან განსაკუთრებული პრივილეგიების წინააღმდეგ... მას სურს საერთო უფლებები და სამართლიანობა, რომლებიც, კერძოდ, გამოიხატება შემდეგში:

1) ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს სამართლიანი წილი ცხოვრებაში, რომ არ იყოს იძულებული იმათხოვროს ან იქურდოს გაჭირვების გამო და რომ ჰქონდეს შესაძლებლობა კარგად იცხოვროს.

2) სამართლიანი კანონი სავალდებულოა ყველასათვის, რომ მისდიოს მას, და ეს კანონი უნდა ვეძიოთ საღმრთო წერილში.

3) ყველა ადამიანს ერთნაირად უნდა ეხებოდეს წესი, რომელიც ამბობს: მოეპყარით სხვას ისე, როგორც სხვა უნდა მოგექცეთ თქვენ.

4) მმართველობა უნდა შედგებოდეს უხუცესებად წოდებული მსაჯულებისაგან, ღვთისმოშიში და ისეთი ადამიანებისაგან, რომლებსაც ძალულთ ანგარება; მათ უნდა ირჩევდეს ხალხი... და უნდა გადაწყვიტონ ყველა საქმე ყოველ ქალაქსა და სოფელში ყოველგვარი შემდგომი დაყოვნებისა და ხარჯის გარეშე.

ინგლისის ახალი პარლამენტი, ანუ ხალხის ნაწილის სერიოზული შეშფოთება რესპუბლიკის მიმართ. წარდგენილია ინგლისის უმაღლესი ხელისუფლებისადმი — პარლამენტში თავმოყრილი ხალხის წარმომადგენლებისადმი — პოდპოლკოვნიკ ჯონ ლილბერნისა და ქალაქ ლონდონისა და გარეუბან სოუთვორკის სხვადასხვა მოქალაქეების მიერ. 20. II. 1649 წ.

ეს და მომდევნო დოკუმენტები — ჯონ ლილბერნის (დაახლოებით 1614 — 1657) — ლეველერთა ბელადის პამფლეტებია. ლილბერნის პამფლეტები მთლიანად გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე წიგნში: Джон Лильберн. Памфлеты. М., 1937.

ჩვენ ძალზე გვახარებს, რომ შეთანხმება[1] მისაღები აღმოჩნდა თქვენი საპატიო პალატისათვის, მისი აღმატებულებისა[2] და არმიის ოფიცრებისათვის. იგი პრინციპში კარგად და რესპუბლიკისათვის სასარგებლოდ მიგვაჩნია...

იგივე, რაც ჩვენ გვსურს ვთქვათ, ეხება ამ შეთანხმების მხოლოდ რიგ ცალკეულ პუნქტებს, რომლებიც არადამაკმაყოფილებელია იმათი თვალსაზრისით, ვისაც სერიოზულად სურს სახალხო შეთანხმება. ამის გარდა, ბევრი მნიშვნელოვანი მოთხოვნა სავსებით არ არის პროექტში და ისინი საჭიროა შევიტანოთ, სახელდობრ:

1. თქვენი მთხოვნელები ძალზე შეშფოთებული არიან, იმით, რომ უნდა იყოს შუალედები ამ პარლამენტის მუშაობის დამთავრებისა და მომავლის სესიის დაწყებას შორის. მათ სურთ, რომ ეს პარლამენტი... არ დაიშალოს მანამდე, სანამ იგი არ შეძლებს სრული უშიშროებით უანდერძოს ეს თავისუფლებანი სხვა სახალხო წარმომადგენლობას და არ გადასცეს ხალხი (თუნდაც მცირე ხნით) სახელმწიფო საბჭოს ძალაუფლებაში... თქვენი მთხოვნელები შიშობენ, სახელმწიფო საბჭომ თავისი ძალაუფლება მუდმივად არ გადააქციოს დ არ გააუქმოს სამუდამოდ თვით პარლამენტი.

---

[1] ე. ი. სახალხო ხელშეკრულება, ანუ სახალხო შეთანხმება, ლილბერნი აქ აკრიტიკებს სახალხო ხელშეკრულების ოფიცერთა პროექტს, რომელიც მიიღო სამხედრო საბჭომ 1648 წ. და რომელიც ამახინჯებდა ლეველერთა მოთხოვნებს.

[2] იგულისხმება არმიის მთავარსარდალი ფერფაქსი.

2. არახაკლებ საშიშროებას ისინი ხედავენ იმაში, რომ ოფიცრების მიერ შემოთავაზებული შეთანხმებით მომავალი პარლამენტის მოღვაწეობა განისაზღვრება 6 თვით, ხოლო სახელმწიფო საბჭოსი — 18 თვით. ამ დროს მათ (სახელმწიფო საბჭოს წევრებს), თუნდაც დამტკიცდეს მათი კორუფცია, ექნებათ რა გამგებლობა ხმელეთსა და ზღვაზე, მიეცემათ სრული შესაძლებლობა საკუთარი ძალაუფლება აბსოლუტური და უპასუხისმგებლო გახადონ. თქვენი მთხოვნელები მომხრენი არიან ყოველწლიურად არჩეული, გონების ძალით შეზღუდული პარლამენტისა. ერთი წლის მანძილზე მისი დათხოვნა არ უნდა შეიძლებოდეს, ამის შემდეგ მისი ადგილი დაუყოვნებლივ უნდა დაიჭიროს ახლად არჩეულმა წარმომადგენლობამ, სესიებს შორის ძალაუფლება უნდა მიენიჭოს კომიტეტს, შედგენილს აგრეთვე პარლამენტის წევრებისაგან...

3. თქვენ მთხოვნელებს არ აკმაყოფილებთ ფრაზა, სადაც ნათქვამია, რომ „სახალხო წარმომადგენელთა ძალაუფლება გავრცელდება სასამართლოების ჩამოყალიბებასა და გაუქმებაზე...“ გაუგებარია აგრეთვე, რა უნდა ვიგულისხმოთ სიტყვებში: „სახალხო წარმომადგენლებს აქვთ უმაღლესი საბოლოო ძალაუფლება“. თქვენ მთხოვნელებს მიაჩნიათ, რომ დეპუტატთა ძალაუფლება მდგომარეობს მხოლოდ კანონების, წესებისა და ინსტრუქციების გამოცემაში სასამართლოებისათვის და კანონით მათ შესასრულებლად დანიშნული პირებისათვის, რომლებსაც ერთნაირად უნდა დაემორჩილონ როგორც რესპუბლიკის, ისე პარლამენტის წევრები. უგუნურია, უმართებულო და ხალხისათვის დამღუპველია, რომ კანონმდებლები, ერთდროულად კანონების აღმსრულებლებიც იყვნენ...

6. თქვენს მთხოვნელებს აბსოლუტურად აუცილებლად მიაჩნიათ, რომ შეთანხმებაში ნათქვამი იყოს მეფის ძალაუფლების სამუდამოდ განადგურებისა და ლორდთა პალატის აღდგენის წინააღმდეგ გარანტიების დაწესების შესახებ. არც ერთი და არც მეორე არ არის წარმოდგენილი შეთანხმებაში.

7. თქვენს მთხოვნელებს აუცილებლად მიაჩნიათ მოისპოს საყოველთაოდ ცნობილი და დამამძიმებელი ბორკილები, როგორიცაა: მეათედები, რომლებიც ავიწროებენ ქვეყნის მრეწველობას და ხელს უშლიან მიწათმოქმედების გაუმჯობესებას, აქციზები და ბაჟები — მალული ქურდები და ყაჩაღები, რომლებიც შთანთქავენ ღარიბი და საშუალო შეძლების ადამიანების ქონებას და ანადგურებენ ვაჭრობას, ამასთან თავიანთი მავნებლობით აღემატებიან სახომალდო გადასახადს; ამ პარლამენტამდე არსებულ პატენტებს და პროექტებს. საჭიროა განადგურდეს აგრეთვე ყველა არსებული მონოპოლიური კომპანია, რომელიც ამუხრუჭებს და ანგრევს მაუდის წარმოებას, აბრკოლებს მაუდის ნაწარმის შეღებვას და ა. შ. ვაჭრობის ბუნებრივი უფლების აღდგენის

შემთხვევაში ამჟამად დამშეული ათასობით ღარიბი ადამიანი შეძლებდა სამუშაოს შოვნას.

მათ (მთხოვნელებს) აგრეთვე სურთ, რომ მომავლისათვის დაწესდეს გადასახადების აკრეფის უფრო თანაბარი და ნაკლებად დამამძიმებელი ხერხები...

თქვენს მთხოვნელებს სურთ აღიკვეთოს ხელმოკლე მევალეთა ყოველგვარი დაპატიმრება... ყოველივე ეს, მიუხედავად იმისა, რომ ხალხის დიდი და ცხოველი შეშფოთების საგანია, გამოტოვებულია შეთანხმებაში, რომელიც თქვენს წინაშე დევს.

ინგლისის ახალი ბორკილების მეორე ნაწილი, ანუ სამწუხარო წარდგინება რესპუბლიკის არახალმედო და საშიშ მდგომარეობაზე, რომელიც ინგლისის უმაღლეს ხელისუფლებას — პარლამენტში შეკრებილ სახალხო წარმომადგენლებს გაუგზავნეს ლონდონის, უესთმინსთერის, სოუთვორკის, ჰემლეთსისა და სხვათა კეთილგანწყობილმა მცხოვრებლებმა, 24. III. 1649 წ.

ჩვენი გულები რომ არ იყოს დამძიმებული ერის ჰეშმარიტ უბედურებათა და მოახლოებულ სიდუხჭირეთა შეგრძნებით და თქვენ, რომ თუნდაც ცოტათი მაინც მოგექციათ ყურადღება ჩვენი წარსული სერიოზული გაფრთხილებისათვის, ჩვენ გავჩუმდებოდით, მაგრამ სიდუხჭირე, საშიშროება და მონობა ისე ძლიერ, აშკარად და უშუალოდ გვემუქრება, რომ, სანამ ვსუნთქავთ, არ შეგვიძლია არ ვილაპარაკოთ. პირიქით, ხმამაღლა უნდა ვიყვიროთ სანამ თქვენ არ გაიგონებთ ჩვენს ხმას, ან ღმერთი არ მოისურვებს დახმარებას.

თქვენ არ იყავით მართალი, როცა ყურადღება არ მიაქციეთ იმას, რაზეც ჩვენ მივუთითებდით, მიუხედავად ჩვენი მოთხოვნების გადამჭრელი ხასიათისა. მართლაც წარმოუდგენელია, რომ პარლამენტმა, რომელსაც ხალხმა მიანდო ყოველგვარი შევიწროებისაგან განთავისუფლება და რომლისათვის ესოდენ უხვად ღვრიდა სისხლს და კარგავდა თავის ქონებას, ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ დაიწყო ხალხის ისეთივე ჩაგვრა როგორც გოლისისა და სთეპლთონის[1] დროს....

....ჩვენი პეტიციები... ამჟამად იწვის ჯალათის ხელით, (ხოლო) პეტიციონერებს გმობენ როგორც ათეისტებს, ერეტიკოსებს და ამბოხებულ სექტანტებს, უწოდებენ იეზუიტებსა და ლეველერებს.[2]

....ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ არმიისადმი მათი (ოფიცრების) ვერაგული დამოკიდებულების, აგიტატორთა საბჭოს დათხოვნის და მათ მი-

---

[1] პრესბიტერიანული პარტიის ლიდერები, რომლებიც პარლამენტს ხელმძღვანელობდნენ 1648 წ. დეკემბერში არმიის მიერ მოწყობილ „პრაიდის წმენდამდე".

[2] შემდეგ ჩამოთვლილია სამხედრო საბჭოს მხრივ უზურპაციის ფაქტები, რომელშიც მოსპო ჯარისკაცების ორგანიზაციები და თავის ძალაუფლება გაავრცელა საზოგადოებრივ მოსახლეობაზე.

ერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და პარლამენტსა და ხალხზე არმიის გავლენის გავრცელების წინააღმდეგ. უერეში[1] ჯარისკაცების დახვრეტისა და სხვების მიმართ მათი სიმკაცრის წინააღმდეგ...

...ჩვენ სიამოვნებით დავემორჩილებოდით საპატიო პალატას, ოფიცერთა მაღალი ხელი რომ არ ბატონობდეს თქვენზე, ამიტომაც ვჩქარობთ მოგიწოდოთ სამართლიანად არჩეული ახალი წარმომადგენლობისაკენ, როგორც ეს გამოხატულია თქვენთვის წარდგენილ ჩვენს სერიოზულ სურვილებში. ამის გარდა, ჩვენ გვსურს, რომ თქვენ შესთავაზოთ არმიას აირჩიოს საუკეთესო პირებისაგან შემდგარი, ყოველი პოლკისაგან არჩეული წარმომადგენლები, როგორც ეს მოხდა ნიუ-მარკეტში[2].

უმორჩილესად გთხოვთ რამდენიმე ოფიცრის გადაწყვეტილება არ მიიღოთ მთელი არმიის განწყობილებად. არმიის ოფიცრებს მხოლოდ იმის უფლება აქვთ რომ გამოსცენ კანონები არმიისათვის, როგორც ამას აკეთებენ ხალხის ინტერესებისათვის სახელმწიფო მოხელეები. ერთიც და მეორეც დანიშნული არიან მხოლოდ დისციპლინისა და მართვისათვის.

იმედი გვაქვს, რომ დააჩქარებთ სახალხო შეთანხმების საქმეს და ჩვენს პეტიციებში გამოხატული სურვილების შესაბამისად სწრაფად განიხილავთ მას, განახორციელებთ მის მოთხოვნებს და ამით თავიდან აგვაშორებთ მოახლოებული მონობის საფრთხეს.

[1, გვ. 36 — 40]

II. კრომველის პროტექტორატი და რესტავრაცია

1. სახელმწიფო წყობა

აქტი ირლანდიის მოწყობის შესახებ (12. VIII. 1652 წ.)

...ამ პარლამენტითა და მისი ძალაუფლებით დადგენილი და გამოცხადებულია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ თანრიგში შემავალი ირლანდიელი ეროვნების ყოველი პირი ან პირები შეიძლება დაისაჯონ გათვალისწინებული სასჯელით ან ქონების კონფისკაციით ანდა აღიარებული იქნან უდანაშაულოდ და იქნან შეწყალებული, როგორც ეს გადმოცემული და გამოცხადებულია ქვემოთ, სახელდობრ:

1. ყოველი პირი ან პირები, რომლებსაც 1642 წ. 10 ნოემბრამდე

---

[1] იგულისხმება ლეველერთა აჯანყება 1647 წ. 15 ნოემბერს, რომლის ჩახშობის შემდეგ დახვრიტეს ლეველერი რიჩარდ არნოლდი და დასაჯეს მრავალი ლეველერი.

[2] არმიის მიტინგების ადგილი 1647 წ. გაზაფხულსა და ზაფხულის დამდეგს.

(ქ.კილკენიში. ირლანდიაში, პირველი გენერალური კრების სხდომის თარიღია) წამოუწყიათ, აღუძრავთ, წაუქეზებიათ. წაუხალისებიათ ან მონაწილეობა მიუღიათ ირლანდიაში 1641 წ. დაწყებულ აჯანყებაში, ჩადენილ მკვლელობებსა და ცემა-ტყეპაში, ანდა რომლებიც 1642 წ. 10 ნოემბრამდე ეხმარებოდნენ, მხარს უჭერდნენ, მონაწილეობდნენ, განაგრძობდნენ ან ხელს უწყობდნენ ხსენებულ აჯანყებას, მკვლელობებს ან ცემა-ტყეპას იარაღით ხელში, ან ადამიანების, იარაღის, ცხენების, ფულის, სურსათის ან აღჭურვილობის, ან ტანსაცმლის, ან სხვა საგნების გადაცემის მეშვეობით — არ იქნებიან შეწყალებული და მოხდება მათი ქონების კონფისკაცია.

II. (ყოველ) იეზუიტს, მღვდელს ან რომელიმე სხვა პირს ან პირებს, რომლებსაც სასულიერო ხარისხი მონიჭებული აქვთ პაპის ან რომის ტახტის, ან მისგანვე გამომდინარე რომელიმე სხვა ძალაუფლების მიერ, რომლებიც რაიმე ხერხით იწყებდნენ, აღძრავდნენ, აქეზებდნენ, ახალისებდნენ, განაგრძობდნენ, ეხმარებოდნენ, მხარს უჭერდნენ ან ხელს უწყობდნენ, ანდა რომლებიც შემდეგში რამენაირად წამოიწყებენ, აღძრავენ, წააქეზებენ, წაახალისებენ, განაგრძობენ, დაეხმარებიან, მხარს დაუჭერენ ან ხელს შეუწყობენ აჯანყებას ან ომს ირლანდიაში, ან ჩაიდენენ რაიმე მკვლელობას ან ცემა-ტყეპას, ყაჩაღობას ან ძალადობას პროტესტანტების — ინგლისელთა თუ სხვათა წინააღმდეგ..., არ ეკუთვნით შეწყალება სიცოცხლისა და ქონების შენარჩუნებით.

III. ჯემს ბეტლერს, გრაფ ორმონდს...[1] არ ეკუთვნით შეწყალება...

IV. ყოველი... პირი ან პირები (როგორც წინამძღოლები, ისე თანამონაწილენი), რომლებიც 1641 წლის 1 ოქტომბრიდან კლავდნენ, ან აკვდინებდნენ, ან რაიმე სხვა ხერხით სიცოცხლეს ასალმებდნენ ან დახოცავენ, მოაკვდინებენ ან რაიმე სხვა ხერხით სიცოცხლეს გამოასალმებენ რომელიმე პირს ან პირებს ირლანდიაში, რომლებიც ზემოთ აღნიშნული მათი მკვლელობის ჟამს არ წარმოადგენდნენ ირლანდიელთა წინააღმდეგ მოქმედ ინგლისის არმიის არც ოფიცრებს, არც ჯარისკაცებს და ყველა და ყოველი პირი ან პირები (როგორც წინამძღოლები, ისე თანამონაწილენი), რომლებიც... 1641 წლის 1 ოქტომბრიდან ხოცავდნენ, აკვდინებდნენ და რაიმე სხვა ხერხით წუთისოფელს ასალმებდნენ იმ პირს ან იმ პირებს, რომლებიც ირიცხებოდნენ ინგლისის არმიაში ოფიცრებად ან რიგით ჯარისკაცებად (თუ ზემოთ დასახელებული პირები, რომლებიც ხოცავდნენ... არ იყვნენ ინგლისელთა წინააღმდეგ მებრძოლი ირლანდიის არმიის არც ოფიცრები, არც ჯარისკაცები), შეწყალებას არ იმსახურებენ.

---

[1] ჩამოთვლილია 107 ირლანდიელი არისტოკრატი, რომლებიც მონაწილეობდნენ ირლანდიაში ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

V. (ყოველი)... პირი ან პირები ირლანდიაში, რომლებიც იარაღით ხელში ან რაიმე სხვა ხერხით მტრულად იყვნენ განწყობილი ინგლისის სახელმწიფოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომლებიც პარლამენტის რწმუნებულის ან მთავარსარდლის მიერ ამ აქტის გამოქვეყნებიდან 23 დღის მანძილზე არ დაყრიან იარაღს და არ დაემორჩილებიან ხსენებული პარლამენტის და თავისუფალი სახელმწიფოს ხელისუფლებას და უზენაესობას, რაც ამჟამად დადგენილია, — არ იმსახურებენ შეწყალებას...

VI. ყველა დანარჩენი პირი (რომლებიც არ შედიან არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ თანრიგში), რომლებსაც სამეთაურო თანამდებობა ეჭირათ ირლანდიის ომის დროს და ინგლისის პარლამენტის წინააღმდეგ... განიდევნებიან ინგლისის სახელმწიფოს პარლამენტის ნება-სურვილით, ხოლო მათი ადგილ-მამული კონფისკაციას დაექვემდებარება და განაწილდება შემდეგნაირად: 2/3... ჩამოერთმევათ... სახელმწიფოს... სასარგებლოდ, ხოლო... მათი ადგილ-მამულისა ან სხვა მიწების... ერთი მესამედი ნაწილი... გადაეცემათ ხსენებული პირების ცოლებსა და ბავშვებს მათი სარგებლობისათვის, ამასთან თავისი ზომითა და ღირებულებით შესაბამისი ნაკვეთები შეიძლება გამოიყოს ირლანდიის სხვა ადგილებში, სადაც ამას საჭიროდ ჩათვლის პარლამენტი ამ ერში უფრო მტკიცე მშვიდობის დამყარების მიზნით.

VII. იმის განსაზღვრის უფლება, თუ ვინ იმსახურებს ამნისტიას იმ ირლანდიელებს შორის, ვინც იარაღი დაყარა, ეკუთვნის პარლამენტის რწმუნებულსა და ინგლისის ჯარების მთავარსარდალს ირლანდიაში.

VIII. პაპისტური რელიგიის[1] (ყოველ) პირს ან პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ირლანდიაში 1641 წლის 1 ოქტომბრიდან 1650 წლის 1 მარტამდე განვლილ პერიოდში და არ გამოუვლენიათ... ერთგულება ინგლისის სახელმწიფოს ინტერესებისადმი (თუ ზემოთ დასახელებული პირები არ შედიან ერთ-ერთ ზემოთ მითითებულ თანრიგში), ჩამოერთმევათ ირლანდიაში მათი ადგილ-მამულის 1/3, რომელიც გადავა სახელმწიფოს სარგებლობაში, დანარჩენი 2/3... მათი ადგილ-მამულისა ან სხვა მიწებისა — მათ შეიძლება მიეცეთ ირლანდიის ისეთ ადგილებში, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს პარლამენტი ამ ერში უფრო მტკიცე მშვიდობის დამყარების მიზნით. ირლანდიაში, ზემოთ აღნიშნულ დროს მცხოვრებ ყველა დანარჩენ პირს, რომელიც მოქმედი პარლამენტის ნამდვილ სამსახურში არ იმყოფებოდა ან არ გამოუვლენია სხვანაირად თავისი ერთგულება ინგლისის პარლამენტის ინტერესებისადმი, და ჰქონდა ამის გაკეთების შესაძლებლობა, ჩამოერთმევა თავისი ადგილ-მამულის 1/5 ნაწილი, რომელიც გადავა... სახელმწიფოს სარგებლობაში.

IX. (ყოველი)... პირი ან პირები (რომლებსაც არა აქვს მიწა ირლან-

[1] ე. ი. კათოლიკები.

დიაში, და არც 10 გირვანქის (სტერლინგის) ღირებულების პირადი ქონება), რომლებიც დაყრიან იარაღს და დაემორჩილებიან პარლამენტის ხელისუფლებას წინა თავებში მითითებულ ვადებში და ხელს მოაწერენ ვალდებულებას, რომ იქნებიან ინგლისის თავისუფალი სახელმწიფოს ერთგულნი... ასეთი პირები (თუ მათ არა აქვთ ჩამორთმეული შეწყალების უფლება და არ ექვემდებარებიან განდევნას რომელიმე წინა თავის ძალით), მიიღებენ პატიებას მათ მიერ ომის დროს ჩადენილი ქმედობისათვის, მათი სიცოცხლე და ქონება შენარჩუნებული იქნება.

[1, გვ. 40 — 43]

„მმართველობის იარაღი" (16. XII. 1653 წ.)

I. ...შოტლანდიისა და ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოსა და მათ კუთვნილ სამფლობელოთა უმაღლესი საკანონმდებლო ძალაუფლება მოქცეულია პარლამენტში წარმოდგენილი ერთი პირისა და ხალხის ხელში. ზემოდასახელებული პირის ტიტულია ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს (Commonwealth) ლორდ-პროტექტორი.

II. ...რომ უმაღლესი მმართველობის უფლებამოსილებათა განხორციელება და ზემოაღნიშნული ქვეყნებისა და სამფლობელოთა და მათი მოსახლეობის მართვა ეკუთვნის ლორდ-პროტექტორს საბჭოს ხელშეწყობით, რომლის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 21-ს და არ იყოს 13-ზე ნაკლები.

III. ...ყოველგვარი ბრძანებულება, სასამართლოში გამოძახება, უფლებამოსილება, პატენტები, საჩივრები და სხვა განკარგულებანი, რომლებიც აქამდე გამოიცემოდა ინგლისის თავისუფლების დამცველთა ტიტულით—პარლამენტის ძალაუფლებით, უნდა გამოიცეს ლორდ-პროტექტორის სახელითა და ტიტულით, რომელმაც მომავალში უნდა აწარმოოს ყველა თანამდებობის პირის დანიშვნები და საპატიო წოდებათა მინიჭება დასახელებულ სამ ერში. მას აქვს შეწყალების უფლება, — მკვლელობის ან ღალატის შემთხვევების გარდა და საჯარო მიზნებისათვის განხორციელებული ყველა სახის კონფისკაციის გატარების უფლებაც; მან უნდა მართოს ზემოაღნიშნული ქვეყნები და სამფლობელოები საბჭოს ხელშეწყობით და ამ აქტისა და კანონების საფუძველზე.

IV. ...პარლამენტის სხდომების დროს ლორდ-პროტექტორი უნდა ფლობდეს და მანვე უნდა უხელმძღვანელოს მილიციასა და ჯარებს, როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე სამი ერის მშვიდობისა და კეთილდღეობის მისაღწევად, პარლამენტის თანხმობით... პარლამენტის სხდომებს შორის შუალედებში ლორდ-პროტექტორს უნდა დაექვემდება-

როს მილიცია ზემოდასახელებული მიზნების მისაღწევად, საბჭოს წევრთა უმეტესობის საქმის კურსში ჩაყენებითა და თანხმობით.

V. ზემოთ მითითებული საბჭოს საქმის კურსში ჩაყენებით ლორდ-პროტექტორმა უნდა უხელმძღვანელოს ყველა საქმეს, რომელიც ეხება უცხოეთის მეფეებთან, უფლისწულებსა და სახელმწიფოებთან კეთილ-მეზობლურ ურთიერთობათა დამკვიდრებასა და განმტკიცებას, აგრეთვე საბჭოს წევრთა უმეტესობის თანხმობით უფლება აქვს აწარმოოს ომი და დადოს მშვიდობის ხელშეკრულება.

VI. ...კანონები არ შეიძლება შეიცვალოს ან შეჩერებული, ხმარებიდან ამოღებული და გაუქმებულ იქნეს, ისევე როგორც არ შეიძლება გამოიცეს რაიმე ახალი კანონები ან დაწესდეს რომელიმე ან შემოღებულ იქნეს რაიმე გადასახადი, ხარკი ან ბაჟი, რომლებითაც იბეგრება ხალხი, თუ არა პარლამენტში გამოხატული მისი თანხმობით...

VII. პარლამენტი სხდომისათვის უნდა იქნეს მოწვეული უესთმინსტერში 1654 წლის 3 სექტემბერს და მომდევნო პარლამენტები უნდა იქნეს მოწვეული ერთჯერ ყოველ მესამე წელიწადს, ამჟამად არსებული პარლამენტის დათხოვნის დღიდან...

[1, გვ. 43 — 44]

ოლივერ კრომველის სიტყვიდან ახალი პარლამენტის გახსნისას 4. IX. 1654 წ.

ჯენტლმენებო! თქვენ თავი მოიყარეთ იმდენად მნიშვნელოვან ვითარებაში, როგორიც, ვფიქრობ, არასოდეს უნახავს ინგლისს, რამდენადაც თქვენს მხრებზეა სამი დიდი ერის[1] ინტერესები მათ კუთვნილ ტერიტორიებთან ერთად[2] და შემიძლია გადაუჭარბებლად ვთქვა — თქვენს მხრებზეა მსოფლიოში ყველა ქრისტიანის ინტერესები... მე აუცილებლად მიმაჩნია გაგაცნოთ რამდენადაც შემიძლია, ის მდგომარეობა, როგორშიც იმყოფებოდა ეს ერი ან, უფრო სწორად, ეს ერები, როცა ახლანდელი მთავრობა შეიქმნა... როგორი იყო ჩვენი მდგომარეობა?... თავადაზნაური, ჯენტლმენი, იომენი — აი სად არის ერის კეთილი და დიდი ინტერესი! განა ფეხქვეშ არ თელავდნენ მძულვარებითა და ზიზღით ამ პრინციპს გამთანაბრებლები? გეკითხებით... განა გამთანაბრებლური პრინციპები არ იყვნენ მიმართული იქითკენ, რომ ყველაფერი თანასწორობამდე დაეყვანათ? შეგნებულად თუ შეუგნებლად, განა ამას მათი საკუთრებისა და ქონების მიმართ არ იყენებდნენ? ყველა ამ ვითარებაში სანამდე მივყავდით ამ მისწრაფებებს, თუ არა იქამდე,

---

[1] კრომველს მხედველობაში აქვს ინგლისი, შოტლანდია და ირლანდია.

[2] ე. ი. კოლონიებით, უწინარეს ყოვლისა ჩრდილოეთ ამერიკაში.

რომ მოიჯარე ისეთივე თავისუფალი განმკარგულებელი გაგვეხადა საკუთარი ქონებისა, როგორც ლენდლორდი? მაგრამ კიდეც რომ მოესწროთ ეს, საქმის ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო: გააკეთებდნენ რა თავიანთ საქმეს, იგივე ადამიანები შეუდგებოდნენ თავის მხრივ საკუთრებისა და ქონების გაზრდას და დაცვას და ამავე დროს თავიანთი პრინციპებით მრავალ ბოროტებას ჩაიდენდნენ, იმიტომ, რომ იქ არის სიტყვები, რომლებიც სასიამოვნოა ყველა ღარიბი ადამიანისათვის, მაგრამ გულზე ეხატება აგრეთვე ყველა არამზადას... დამხობა, დამხობა და დამხობა — აი ყველაფერი, რაც ჰქონდათ ამ ადამიანებს გულსა და გონებაში...

[1, გვ. 44.]

აქტი ფეოდალური გადასახადების პალატის გაუქმების შესახებ

ეს კანონი მიიღო კრომველის მეორე პარლამენტმა 1655 წლის 27 ნოემბერს. 1660 წელს სტიუარტებმა ახალი აქტით დაამტკიცეს დებულება ტახტის ფეოდალურ უფლებათა გაუქმების შესახებ.

[პარლამენტის 1645 წლის 24 თებერვლის აქტის დასადასტურებლად და დამატებად].

მისი უდიდებულესობა ლორდ-პროტექტორისა და პარლამენტის მიერ ცხადდება და მტკიცდება, რომ ფეოდალური გადასახადების პალატა (Court of Wards and Livery) და ყოველგვარი მეურვეობა (wardships) და ადგილ-მამულის გადაცემისას შესატანი გადასახადები (liveries), მფლობელის სიკვდილის გამო შემოსავლის უფლება (Primer seizins) და შეზღუდვები ადგილ-მამულის გასხვისებისას (Austrilèmains) და აქედან გამომდინარე ყოველგვარი სხვა გადასახადი უქმდება 1645 წლის 24 თებერვლის ჩათვლით.

ვასალური ფიცის მიღება (homage), ქირა ადგილ-მამულში დაშვებისათვის (fines), ადგილ-მამულის მფლობელობაზე პატენტის მიცემა (licences), ადგილ-მამულზე მფლობელობის უფლების მოპოვება (seizures), ქირა ადგილ-მამულის გასხვისებაზე ნებართვის გაცემისათვის (pardons for alienation) და აქედან გამოდინარე ყოველგვარი სხვა გამოსაღები აგრეთვე უქმდება და ცხადდება ძალადაკარგულად იმავე 1645 წლის 24 თებერვლის ჩათვლით.

ყოველგვარი სამფლობელო (in capite)[1] და ყოფილი მეფის ან

---

[1] სამფლობელო in Capite ან in chief — ასე ეწოდებოდა უშუალოდ მეფისაგან მიღებულ ფეოდალურ მიწისმფლობელობას.

რომელიმე სხვა პირისადმი რაინდული სამსახურის საფუძველზე და ყოველგვარი სამფლობელო სოკას ფორმით (in chief) [1] უქმდება.

ყველა სამფლობელო ცხადდება და კანონის მიერ აღიარებული ხდება როგორც თავისუფალი მფლობელობა (Free and Common Soccage).

თუმცა ამით დადგენილია, ყველა რენტა და ჰერიოტი, რომელიც ერგებოდა ლორდებსა და სხვა კერძო პირებს, უნდა იქნეს გადახდილი იქ, სადაც ადრინდელი მფლობელის სიკვდილის შემდეგ იხდიდნენ რილიფს[2] (relief) ან ძველებურ ორწლიან რენტას, მომავალში, მსგავს შემთხვევებში, უნდა იქნეს გადახდილი მხოლოდ ერთი ძველებური ორწლიანი რენტა, როგორც თავისუფალ და ჩვეულებრივ სოკაში. ეს რეხტა ექვემდებარება გადახდას კანონით იმავე საფუძველზე, როგორც რენტები და გადასახადები თავისუფალ და ჩვეულებრივ სოკაში.

[1, გვ. 45 — 46]

2. ეკონომიკური პოლიტიკა

აქტი ინგლისის რესპუბლიკის ვაჭრობისა და მრეწველობის წახალისებისა და რეგულირების შესახებ (1. VIII. 1650 წ.)

ზრუნავს რა ქვეყანაში ვაჭრობისა და მრეწველობის და აგრეთვე სხვა დარგების მხარდაჭერასა და განვითარებაზე ერის, რაც შეიძლება მეტი სარგებლობისათვის, იმ მიზნით, რომ ამ ქვეყნის ღარიბმა ადამიანებმა შეძლონ სამუშაოს მიღება, ხოლო მათი ოჯახები დაცული იყვნენ სიღატაკისა და გაჩანაგებისაგან, რომ ამით მდიდრდებოდეს რესპუბლიკა და რომ არ დარჩეს საბაბი სიზარმაცისა და სიღატაკისათვის, შემდეგ, იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ვაჭრობა, როგორც საშინაო, ისე საგარეო, რომელსაც ჯეროვნად მართავენ და სწორად ხელმძღვანელობენ, ძალზე უწყობს ხელს ერის ძლიერებას, სიმდიდრეს, ღირსებასა და აყვავებას... ინგლისის პარლამენ-

---

[1] ს ო კ ა — თავისუფალი მფლობელობა მიწისა, ვილანურის — არათავისუფალის საპირისპიროდ, სოკა ითვლებოდა ისეთივე თავისუფალ მფლობელობად, როგორც „სარაინდო მფლობელობა," იმ განსხვავებით, რომ სოკმენს ეკისრებოდა სამეურნეო ხასიათის ვალდებულებანი, ხოლო სარაინდო მფლობელს კი — სამხედრო სამსახური.

[2] რ ი ლ ი ფ ი ანუ რ ე ლ ი ე ფ ი, როგორც ჰეროიტი, უნდა გადაეხადათ მიწის მემკვიდრისათვის გადაცემისას, მაგრამ თავისუფალი მფლობელობის შემთხვევაში. ამ პუნქტით იგულისხმებოდნენ: ფრიჰოლდერები — მესაკუთრე გლეხები, რომელთა მხარდაჭერას დიდად აფასებდა კრომველი. ჩვეულებრივი მფლობელი კოპიჰოლდერები იხდიდნენ შესასვლელ ფაინს, პერიოტსა და წლიურ რენტას, ყველა ეს გადასახადი საკალდებულო დარჩა გლეხებისათვის 1645 და 1656 წლების აქტების შემდეგაც.

ტი ამით ადგენს და ბრძანებს, რომ[1]..... მათგან ხუთი ან მეტი კაცი ამით მტკიცდება და ინიშნება კომისრებად, რომლებიც ქმნიან მუდმივ საბჭოს ვაჭრობისა და მრეწველობის მართვისა და რეგულირებისათვის ამ ქვეყნის ყველა ნაწილში, რესპუბლიკისათვის რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მოსატანად, ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტრუქციებისა და უფლებამოსილებათა თანახმად.

1. (საბჭოს წევრებმა) თვალ-ყური უნდა ადევნონ ამ ქვეყნის ყველა სამამულო საქონელს ან იმ საქონელს, რომლებსაც დრო და მრეწველობის წარმატებები შემდგომ სამამულოდ გახდიან, და გასცენ განკარგულებანი არამარტო მათი ხარისხიანად დამზადების, არამედ რესპუბლიკის ღირსებისა და სარგებლობისათვის, კარგი და სწორი განწყობის თვალსაზრისით.

2. ისინი უნდა დაინტერესდნენ ქვეყნის ყველა ნაწილში მრეწველობისა და ვაჭრობის რაც შეიძლება უფრო შესაფერისი და თანაბარი განაწილების საკითხებით, იმისათვის, რომ ერთ ნაწილში არ იყოს ვაჭრობისა და სხვადასხვა წარმოების სიჭარბე, მაშინ როცა სხვა ნაწილები იქნება ჩამორჩენილი და მივიწყებული მათი უკმარობის გამო.

3. მათ უნდა შეიმუშაონ ამ ქვეყნის ერთი ნაწილის მეორესთან ვაჭრობის წარმოების ყველაზე ხელსაყრელი ხერხები, რისთვისაც უნდა შეისწავლონ საკითხი, თუ როგორ შეიძლება გადააქციონ მდინარეები სანაოსნოდ, ხოლო ნავსადგურები ხომალდებისათვის უფრო მოსახერხებელი.

4. მათ უნდა განიხილონ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიყიდოს საქონელი უცხოეთის სახელმწიფოებში, ქვეყნისათვის რაც შეიძლება მეტად სასარგებლო პირობებში, ისე რომ არ დაუშვან ზარალი ვაჭრობის ცუდად წარმართვის გამო; თუ როგორ უნდა იქნას აცილებული წინაღობანი უცხოეთის სახელმწიფოებთან ვაჭრობისას და როგორ უნდა გამოინახოს ახალი გზები და ადგილები სამამულო საქონლის უკეთესად გასაღებისათვის.

5. მათი რჩევით უნდა შეირჩეს ქვეყნის რამდენიმე ნაწილში საუკეთესო თავისუფალი ნავსადგურები უცხოეთის იმპორტირებული საქონლისათვის (მათი უკან გაზიდვის შემთხვევაში ბაჟის გადაუხდელად) და მათვე უნდა მიუთითონ ის, თუ როგორ შეიძლება ყველაზე უკეთ გაკეთდეს ეს.

6. მათ უნდა განსაზღვრონ ყველა საიმპორტო და საექსპორტო საქონლის რაც შეიძლება ზუსტი აღრიცხვის წესი საიმედო სავაჭრო ბალანსის დასადგენად, რათა რესპუბლიკა არ გაღარიბდეს გატანილი სა-

---

[1] შემდეგ ჩამოთვლილია თხუთმეტი გვარი.

ქონლის ღირებულებაზე უფრო მეტი ღირებულების საქონლის უცხოეთის სახელმწიფოდან შემოზიდვის შედეგად.

7. ისინი ვალდებული არიან ჯეროვნად ადევნონ თვალი ინგლისური მონეტების წონას, მათ ნომინალურ ღირებულებასა და მათ შეფარდებას სხვა ერების ვალუტასთან...

8. მათ, ვაჭრობის სარგებლობისა და რეგულირებისათვის, სერიოზულად უნდა განიხილონ საკითხი, თუ როგორი ბაჟი, გადასახადი და აქციური გამოსაღები უნდა დაედოს ყველა საქონელს, — როგორც სამამულოს, ისე იმპორტულს, — და როგორ შეიძლება უკეთესად დადგინდეს, მოწესრიგდეს და რაც შეიძლება უფრო სამართლიანად და თანაბრად გახაწილდეს, აღნიშნული ბაჟი, გადასახადები და აქციზური გამოსაღები იმისათვის, რომ არ მივაყენოთ ზარალი ვაჭრობის ან მრეწველობის რომელიმე დარგს, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს შესაძლებლობა დაფაროს რესპუბლიკის საზოგადოებრივ საჭიროებათა ხარჯები.

9. მათ უნდა განიხილონ საკითხი, საჭიროა თუ არა ვაჭრობას მიეცეს მეტი თავისუფლება, ვიდრე ის, რომლითაც სარგებლობს ამჟამად სხვადასხვა კომპანია და საზოგადოება, და როგორ შეიძლება ეს ყველაზე უკეთ გაკეთდეს. ამასთან მათ უნდა იზრუნონ იმაზე, რომ შეინარჩუნონ მმართველობა და წესრიგი ვაჭრობაში და თავიდან აიშორონ უწესრიგობა.

10. ისინი უნდა გაეცნონ სხვადასხვა სავაჭრო და სამრეწველო კომპანიების წესდებებს, წესებს, სიგელებს, პატენტებსა და დებულებებს იმისათვის, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი აღმოჩნდება რესპუბლიკის ინტერესებისათვის შეუსაბამო, შესაძლებელი გახადონ მათი გაუქმება ან შეცვლა პარლამენტის შეხედულებით.

11. მათ ხელი უნდა მოჰკიდონ უმნიშვნელოვანესი რეწვის—მეთევზეობის საკითხს და არამარტო ინგლისის სანაპიროზე, არამედ აგრეთვე ისლანდიაში, გრენლანდიაში, ნიუფაუნდლენდში, ახალ ინგლისში და სხვაგან და იზრუნონ მებადურთა წახალისებისათვის სავაჭრო ფლოტისა და მეზღვაურთა რიცხვის გადიდების მიზნით.

12. ისინი უნდა დაინტერესდნენ ინგლისის პლანტაციებით (კოლონიებით) ამერიკაში ან რომელიმე სხვა ადგილას და წარმოადგინონ რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება მათი უკეთ მართვა, რათა ისინი უფრო სასარგებლო გახდეს რესპუბლიკისათვის. როგორ შეიძლება მათ მიერ წარმოებული საქონლის რაოდენობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება იმდენად, (თუ ეს შესაძლებელია), რომ მარტო ამ პლანტაციებს შეეძლოს ინგლისის რესპუბლიკის ყოველივე აუცილებელით მომარაგება.

[1, გვ. 46 — 48]

წლები	ეპისკოპოსთა მიწების გაყიდვათა რიცხვი	თანხა გირვანქებში	გაყიდვის საშუალო ფასი	გაყიდვათა რიცხვი %-ში
1647	60	770,6	1284,1	8,2
1648	216	208925	967,2	29,7
1649	183	177330	969	25,2
1650—1659	268	198299	739,9	36,9
ყველა წლებში 1647—1659	727	661600	990,05	100,0

[1, გვ. 49]

რეთლენდის საგრაფოს კოაიჰოლდერების საჩივარი ახალი ლენდლორდების მხრივ შევიწროების გამო (1653 წ.)

ღრმად პატივცემულ სახელმწიფო საბჭოს რეთლენდის საგრაფოში სოფელ ჰემბლდონის მფლობელთა და მცხოვრებთა უმორჩილესი თხოვნა... თავმდაბლად განვმარტავთ:

რომ თქვენი მთხოვნელები დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ჰემბლდონის მანორის (რომელიც ჰერცოგ ბეკინჰემის სამფლობელოთა ნაწილია) 21 წლით და სხვა ვადით მფლობელები და უნდა გადაეხადათ რამდენიმე წლიური რენტა. ამ დროს ვინმე თომას უაითმა მარქეთ-ოვერთონიდან, ყოფილი პარლამენტის წევრმა, ერთნახევარი წლის წინათ ხსენებული მანორი შეიძინა რწმუნებულებისაგან ან დელინქვენტების ადგილ-მამულების გამყიდველი რესპუბლიკური კომიტეტისაგან. ამ დასახელებულ თომას უაითს საკუთარი თავი მიაჩნია მინორის მპყრობელად 6-წლიანი იჯარის (lease) უფლებით, რომელიც მიღებულია, როგორც იგი აცხადებს, სეკვესტრის კომიტეტისაგან, მაგრამ იმისათვის, რომ მიეღო მფლობელთა მიერ გაცემული აქტით მფლობელობის უფლება, იგი თქვენს მთხოვნელებს და ხსენებული მანორის დანარჩენ მფლობელებს შეჰპირდა (თუ ისინი დათანხმდებიან იმაზე, რომ მან მანორი შეიძინოს სახელმწიფო რწმუნებულებისაგან), რომ იგი ამ შესყიდვის შემდეგ დადებს მათთან საიჯარო ხელშეკრულებებს მათ ადრინდელ ფერმებზე 21 წლის ან სამი სიცოცხლის[1] ვადით, რამდენიმე ადრინ-

[1] ინგლისელი ლენდლორდები და მათი რწმუნებული — იურისტები XVII საუკუნეში (და მოგვიანებით, XVIII საუკუნეში) განასხვავებდნენ ადამიანის დიდ „ბუ-

დელი რენტის გადახდის პირობით, ან ისეთ პირობებში, როგორითაც იგი შეიძენს მანორს. და რომ იგი არ ჩამოართმევს მათ მიწების ან ფერმების ნაწილს და რომ ყოველი მათგანი ისარგებლებს ადრინდელი საძოვრებით (თუმცა ისინი მანორის საბატონო მიწების ნაწილს წარმოადგენდნენ) და რომ იგი არასდროს არ შემოღობავს მათი ფერმების ან ხსენებული მანორის სხვა მიწების ნაწილს, რომლებიც ადრე შემოღობავი იყო, თქვენი მთხოვნელების ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე. ამ დაპირებებით, აგრეთვე მუქარით, რომ მათ არ დაუტოვებს არც სახლს. არც მიწას, თუ ისინი არ დათანხმდებიან მის მიერ მანორის შესყიდვაზე და რომ იგი მიიღებს მას იმის მიუხედავად, დათანხმდებიან ისინი თუ არა, მან (თომას უაითმა) აიძულა თქვენი მთხოვნელები დათანხმებულიყვნენ და ხელი მოეწერათ აქტისათვის. თქვენს მთხოვნელებს იმედი ჰქონდათ მისი დაპირებების შესრულებისა და საშუალება მისცეს მას შეეძინა მანორი მათი მხრივ რაიმე წინააღმდეგობის გარეშე ძველი იჯარის პირობებში 72 გირვანქის, 3 შილინგის, 9 პენის მომატებით. სამფლობელო (lordshippe) მოიცავს 2244, ან დაახლოებით ამდენ აკრ მიწას, ასე რომ მას შეეძლო შეესრულებინა თქვენს მთხოვნელებთან შეთანხმების პირობები და მაინც მოეხდინა მისთვის ხელსაყრელი შესყიდვა.

შესყიდვის შემდეგ მან (თომას უაითმა) თქვენს მთხოვნელებთან შეთანხმების საწინააღმდეგოდ ხსენებული ფერმები და სათემო მიწები გაპყო რამდენიმე ნაწილად, თავისთვის ყოველი იარდიდან[1] აიღო 10 აკრი საუკეთესო მიწა, აგრეთვე მათი საძოვრები და აიძულა თქვენი მთხოვნელები შემოეღობათ მათი ფერმების ნარჩენი. მან აგრეთვე უარი თქვა დაედო მათთან ახალი ხელშეკრულება იჯარის შესახებ (leases) 21 წლით, თუ ისინი არ დათანხმდებოდნენ თითქმის გაორკეცებულ რენტას მათი ფერმების ნარჩენებზე... დასახელებულმა თომას უაითმა ისე შემოღობა ირგვლივ ყველაფერი, რომ მასში მოაქცია ყველა წყარო და ნაკადული და დასახლების ზემო ნაწილში მცხოვრები თქვენი მთხოვნელები უწყლოდ დარჩნენ. მან აგრეთვე გადააგდო და შემოღობა მანორზე გამდინარე ნაკადული, რის შედეგადაც მათ (მთხოვნელებს) არ შეუძლიათ ისარგებლონ წყლით, საქონლისა და სხვა საჭიროებისათვის შემოღობილ მიწაზე შეუსვლელად. იმის მიუხე-

---

ნებრივ" („ნატურალურ") სიცოცხლეს და „მცირე „სიცოცხლეს" — 7 წლით, როგორც საშუალო ვადას ჩვეულებრივ გლეხური მიწის მფლობელობისათვის. რამდენადაც კოპიჰოლდზე ხელშეკრულება იდებოდა ქმრის, ცოლისა და ერთ-ერთი ბავშვის ან მამისა და მისი ორი ბავშვის სახელზე, ფაქტიურად გამოდიოდა სამი „სიცოცხლე", ანუ 21 წელიწადი.

[1] ი ა რ დ ი — მიწის ნაკვეთი, რომელიც ეკუთვნოდა ერთ კომლს ან ერთ გლეხურ ფერმას.

დავად, რომ თქვენმა მთხოვნელებმა მოხნეს და დათესეს პური მიწის ნაწილზე მისი თანხმობით, მან წლეულს ამ მიწაზე ამოთხარა თხრილები, გააკეთა ღობე და არ აძლევს მათ უფლებას აიღონ მათ მიერ დათესილი პური, თუ ამისათვის თითოეულ აკრზე არ გადაიხდიან 10 შილინგს.

მისი ასეთი მოქმედებისა და მის მიერ აგებული ზღუდეების გამო თქვენი მთხოვნელები და დანარჩენი მფლობელები, დაახლოებით 80 ოჯახი, სრულებით გაკოტრდება, პური სახნავზე განადგურდება. მუშათა 30 ოჯახი სამუშაოს უქონლობის გამო დაიღუპება თუ გაგრძელდა შემოღობვა მიწის დამუშავების გარეშე. მთელი მრევლი მალე გაღარიბდება და უკაცრიელი გახდება, რადგან დასახელებული თომას უაითი ხშირად აცხადებს, რომ აყრის ან თანდათან დაანგრევს იმ სახლების უმრავლესობას, რომლებიც მის ხელში გადავა მფლობელის გარდაცვალების ან სხვა რაიმე შემთხვევაში.

[1, გვ. 49 — 51]

III. რესტავრაცია და „სახელოვანი რევოლუცია"

1. ბრედის დეკლარაცია (1. IV. 1660 წ.)

ჩარლზი, ღვთის წყალობით ინგლისის, შოტლანდიის, საფრანგეთისა[1] და ირლანდიის მეფე, რწმენის და სხვათა დამცველი, ყველა ჩვენს მოყვარულ ქვეშევრდომს წოდებისა და ქონების განუსხვავებლად, მოგესალმებით.

თუ საყოველთაო არეულობა და განხეთქილება, რომელმაც მოიცვა მთელი სამეფო, არ გამოაღვიძებს ყველა ადამიანში სურვილსა და მისწრაფებას, რომ მოიშუშოს ზედიზედ რამდენიმე წლის მანძილზე მიყენებული სისხლმდინარე ჭრილობები, მაშინ ყველაფერი, რის თქმასაც ვაპირებთ, უმიზნო იქნება, მაგრამ ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მაინც ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია განვაცხადოთ, თუ რაოდენ ძლიერ გვსურს ხელი შევუწყოთ ამას და რომ ჩვენ არასდროს დავკარგავთ იმედს მოვიპოვოთ ის უფლება, რომელიც ღმერთმა და ბუნებამ მოგვცა, ამიტომ ჩვენ ყოველდღიურ ლოცვებში ვთხოვთ ღვთის განგებას შეგვიწყალოს ჩვენ და ჩვენი ქვეშევრდომები და ამდენი უბედურებისა და ტანჯვა-წამების შემდეგ დაგვიბრუნოს ჩვენი უფლებებით სარგებლო-

---

[1] დამახასიათებელი ანაქრონიზმია: ინგლისის მეფეები რევოლუციის შემდეგაც კი განაგრძობდნენ საკუთარი თავისათვის საფრანგეთის მეფის ტიტულის მინიჭებას, როგორც ეს დამკვიდრდა XIV—XV საუკუნეების ასწლიანი ომის დროიდან, თუმცა რეალურად მათ უკვე დიდი ხანია არ ეკუთვნოდათ არც ერთი ქალაქი საფრანგეთის ტერიტორიაზე.

ბის საშუალება, რათა ჩვენ ხალხს შეეძლოს იცხოვროს ნაკლები სისხლისღვრითა და ზიანით...

იმისათვის, რომ სასჯელის წინაშე შიშმა არ აიძულოს ვინმე მომავალში ჯიუტად უარყოს თავისი დანაშაული, წინაღუდგეს თავისი ქვეყნის სიმშვიდესა და კეთილდღეობას მეფის, პერებისა და ხალხის სამართლიანი, ძველი და ძირითადი უფლებების აღდგენას, ჩვენ ამით ვაცხადებთ თავისუფალ და საყოველთაო შეწყალებას, რომელსაც თუ საჭირო იქნება დავადასტურებთ ჩვენი ინგლისის დიდი ბეჭდის დასმით. შეწყალება ვრცელდება ყველა ჩვენს ქვეშევრდომზე წოდებისა და მდგომარეობის მიუხედავად, რომლებიც დეკლარაციის გამოქვეყნებიდან ორმოცი დღის მანძილზე ისარგებლებენ წყალობით და ამას საჯაროდ განაცხადებენ ან დაადასტურებენ, რომ ისინი კვლავ ჩვენი ერთგული და თვინიერი ქვეშევრდომები გახდებიან.

რადგან ჩვენმა ვნებიანმა და ავმა დრომ აღმოაცენა აზრთა სხვადასხვაობა რელიგიაში, მან კი ადამიანები გაჰყო ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ პარტიებად (ეს მტრობა თავიდან იქნება აცილებული და მივაღწევთ საუკეთესო ურთიერთგაგებას აზრთა თავისუფალი გაჩიარების ვითარებაში), ჩვენ ვაცხადებთ სინდისის თავისუფლებას და მივისწრაფით, რომ არც ერთი ადამიანი არ იყოს დევნილი განსხვავებული რელიგიური შეხედულების გამო (თუ იგი არ არღვევს მშვიდობას სამეფოში); და მზად ვართ დავამტკიცოთ პარლამენტში ამ მიზნით წარმოდგენილი ყოველი გონიერი აზრი.

ხანგრძლივი არეულობის, მრავალი და დიდი რევოლუციების დროს გაცემულ იქნა მრავალი ბოძება. ბევრმა ოფიცერმა, ჯარისკაცმა და სხვებმა შეიძინეს უამრავი ადგილ-მამული, რომლებსაც ისინი ამჟამადაც ფლობენ. ეს შენაძენები შეიძლება ამჟამად, სხვადასხვა საბაბით, კანონით სადავო გახდეს. ჩვენი სურვილია აზრთა ასეთი უთანხმოება და ყველა საქმე რომელიც ბოძებას, ნასყიდობას და შეძენას ეხება გადაწყვიტოს პარლამენტმა, რადგანაც მას სხვაზე უკეთ შეუძლია სამართლიანად დააკმაყოფილოს ყველა დაინტერესებული.

შემდეგ ჩვენ ვაცხადებთ, რომ მზად ვართ დავეთანხმოთ პარლამენტის ყოველგვარ აქტს ან აქტებს, რომლებიც მიღებული იქნება ზემოაღნიშნული მიზნებისათვის და გენერალ მონკის[1] არმიის ოფიცრებისა და ჯარისკაცების დავალიანებათა სრული დაფარვისათვის: ეს ოფიცრები და ჯარისკაცები მიღებული იქნებიან ჩვენს სამსახურში ისეთივე ხელფასითა და ისეთივე პირობებით, როგორიც მათ ამჟამად აქვთ.

[1, გვ. 51—53]

---

[1] გენერალ ჯორჯ მონკი (1608—1670) — პარლამენტის არმიის ერთ-ერთი გენერალი, რომელიც ჩარლზ II-თან მოლაპარაკებას შეუდგა სტიუარტების მონარქიის აღდგენის მიზნით.

Ე. ᲐᲥᲢᲘ ᲠᲐᲘᲜᲓᲗᲐ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲑᲐᲣᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ (1660 Წ.)[1]

ამით დადგენილია, რომ ფეოდალური გადასახადების პალატა და ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ მეᲣᲠᲕᲔᲝᲑᲐ და ადგილ-მამულის გადაცემისას გადასახდელი ბაჟი, მფლობელის სიკვდილის შემდეგ შემოსავლის უფლება, შეზღუდვები ადგილ-მამულის გასხვისების მიმართ, მისი უდიდებულესობისადმი რაინდული სამსახურისა და ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ სხვა რაინდული სამსახურის ძალით, ქორწინებასთან დაკავშირებული გამოსაღები და ჯარიმები, და ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ სხვა საჩუქარი, ბოძება, გადასახადი და მეᲣᲠᲕᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ გამომდინარე შემთხვევითი გამოსაღები და ა. შ. უქმდება და ისპობა. და ᲧᲕᲔᲚᲐ ფაინი[2] მიწის ქონების გასხვისებისა და შეძენისათვის... აგრეთვე ᲛᲝᲛᲐᲔᲗᲗᲐᲜ დაკავშირებული გადასახადები და სხვა მისთანანი, და ზემოთქმულიდან გამომდინარე სხვა გამოსაღები და დახმარება (aids) უნდა გაუქმდეს და მოისპოს, როგორც ისინი მანამდე იᲧᲕᲜᲔᲜ გაუქმებული და განადგურებული 1645 წლის 24 თებერვლის აქტით, და მეფისაგან ან სხვა რომელიმე პირისაგან რაინდული სამსახურის ᲧᲕᲔᲚᲐ ხარჯი და თვით რაინდული სამსახური მეფისადმი ან რომელიმე პირისადმი... და ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ აქედან გამომდინარე უქმდება და ისპობა, და ᲧᲕᲔᲚᲐ, მათ შორის პრივილეგირებული მფლობელობა, მანორები და სხვა მემკვიდრეობითი მიწები და მამულები, რომლებსაც ფლობდნენ მეფისაგან ან რომელიმე პირისაგან საერთო უფლებით, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ასეთი სამფლობელო გადაიქცევა თავისუფალ და საერთო სოკად (in Free and Common Soccage).

(შემდეგ აქტში ლაპარაკია სამეფო სამზარეულოსათვის საჭმლის მარაგის უპირატესი შეძენის მეფის შუასაუკუნეობრივი უფლების გაუქმებაზე).

[1, გვ. 53]

8. ᲐᲥᲢᲘ „HABEAS CORPUS“ (1679 Წ.)

1. შერიფები[3], საპᲧᲠᲝᲑᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡ უფროსები და სხვა მოხელეები, რომლებსაც გადასცემდნენ მეფის ქვეშევრდომებს სისხლის სამართლის ან მასთან გათანაბრებული ქმედობისათვის, ძალზე აᲬᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ მათ-

---

[1] იმისათვის, რომ გავიგოთ ამ სტატუტის თავისებურება და მნიშვნელობა, საჭიროა იგი შევადაროთ დოკუმენტს ფეოდალური გადასახადების პალატის გაუქმების შესახებ (ნახეთ ზემოთ).

[2] ამ შემთხვევაში — მიწის ბაჟი, რომელსაც ახდევინებდნენ ლორდებსა და რაინდებს მიწების გასხვისებისას.

[3] შერიფი — საგრაფოს უფროსი ინგლისში.

დამი მიმართულ ბრძანებათა — Habeas Corpus-ის შესრულებას, რის გამოც მეფის ბევრი ქვეშევრდომი იყო და მომავალშიც შეიძლება იყოს მათდა დიდად საზიანოდ, საზარალოდ, საწყენად და ხანგრძლივად დაპატიმრებული ისეთ ვითარებაშიც, როცა კანონით შეიძლება მათი თავდებში გაშვება.

11. ეს რომ თავიდან ავიცილოთ და სისხლის სამართლის ან მასთან გათანაბრებული ქმედობისათვის დაპატიმრებული ყველა პიროვნება უფრო სწრაფად რომ გავანთავისუფლოთ, მისი უდიდებულესობა მეფე ამ პარლამენტის სასულიერო და საერო ლორდებისა და თემების თანხმობით და მათი ძალაუფლებით, ადგენს შემდეგს: თუ რომელიმე პირი ან პირები წარმოადგენენ ბრძანებას — Habeas Corpus-ს—მიმართულს რომელიმე შერიფის ან შერიფებისადმი, ციხის უფროსისადმი, ზედამხედველის ან სხვა რომელიმე პირისადმი და რომელიც ეხება მისი ან მათი დაცვის ქვეშ მყოფ რომელიმე პირს და ხსენებული ბრძანება წარედგინება დასახელებულ თანამდებობის პირს ან დატოვებული იქნება საპყრობილეში ან საპატიმრო სახლში... დასახელებულმა თანამდებობის პირმა ან პირებმა, მისმა ან მათმა თანაშემწეებმა... აღნიშნული ბრძანების წარდგენიდან სამი დღის მანძილზე... უნდა (იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ზემოთ დასახელებული დაპატიმრება მოხდა სახელმწიფო ღალატის ან მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის) შეასრულონ ასეთი ბრძანება და დაპატიმრებული ან დატუსაღებული პიროვნება მიიყვანონ ლორდ-ინგლისის ბენჩის მცველთან, ან მოსამართლეებთან, ან იმ სასამართლოს ბარონთან, საიდანაც იქნება გაცემული აღნიშნული ბრძანება, ან იმ პირთან ან პირებთან, რომელთა წინაშე უნდა შესრულდეს აღნიშნული ბრძანება... (იმ შემთხვევაში, როცა პატიმრობის ადგილი სასამართლოს ადგილმდებარეობიდან 20 მილზე მეტ, მაგრამ არა უმეტეს 100 მილზე მეტ მანძილზე მდებარეობს, ბრძანება სრულდება 10 დღის განმავლობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მანძილი 100 მილზე მეტია, 12 დღის მანძილზე. მაგრამ არა უგვიანეს).

VI. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ერთი და იგივე დანაშაულისათვის განმეორებითი დაპატიმრებით გამოწვეული უსამართლო შევიწროება, ზემოთ დასახელებული ხელისუფლება ადგენს, რომ Habeas Corpus-ის რაიმე ბრძანებით განთავისუფლებული ან გაშვებული პირი ან პირები არ შეიძლება მომავალში დააპატიმროს და დაატუსაღოს. იგივე დანაშაულისათვის რომელიმე პირმა. ამის კანონიერი უფლება აქვს იმავე სასამართლოს, რომელშიც ის ან ისინი უნდა გამოცხადდნენ და აგრეთვე ამ საქმეში იურისდიქციის მქონე სხვა სასამართლოს პირი ან პირები, რომლებიც განახორციელებენ უსამართლო დაპატიმრებას, გადაუხდიან დაზარალებულს ჯარიმას 500 გირვანქის ოდენობით.

VIII. დადგენილია, რომ ამ აქტის შინაარსი არ ვრცელდება ვალებისა

ან სხვა რაიმე სამოქალაქო საქმის გამო დაპატიმრებული პირის საპყრობილიდან განთავისუფლებაზე, და მას შემდეგ, რაც ასეთი პირი განთავისუფლებული იქნება სისხლის სამართლის დანაშაულის გამო, უნდა დააპატიმრონ კანონის თანახმად სამოქალაქო საქმის გამო.

[1, გვ. 53 — 55]

4. ბილი უფლებათა შესახებ (1689 წ.)

(ამონაწერი)

და ამით აღნიშნული სასულიერო და საერო ლორდები და ხემდგომი, რომლებმაც ხსენებული სიგელებისა და არჩევნების ძალით ამჟამად თავი მოიყარეს ამ ხალხის სრულუფლებიანი და თავისუფალი წარმომადგენლების სახით, ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად გონივრულად იხილავენ ყველა საუკეთესო საშუალებებს და უწინარეს ყოვლისა (როგორც მსგავს შემთხვევებში იქცეოდნენ მათი წინაპრები) თავიანთი ძველი უფლებებისა და თავისუფლებათა აღდგენისა და განმტკიცებისათვის აცხადებენ შემდეგს:

1. რომ სავარაუდო ძალაუფლება, მეფის ბრძანებით, შეაჩერონ კანონები ან კანონების შესრულება პარლამენტის თანხმობის გარეშე, უკანონოა.

2. რომ სავარაუდო ძალაუფლება, მეფის ბრძანებით, კანონებიდან ან კანონების შესრულებიდან რაიმეს ამოღება, ისე, როგორც ამის უფლებას ითვისებდნენ ახლო წარსულში, უკანონოა.

3. რომ საეკლესიო საქმეებისათვის კომისართა სასამართლოს და ყოველგვარი სხვა ამგვარი დაწესებულებებისა და სასამართლოების შექმნა, უკანონოა.

4. რომ გადასახადების აკრეფა მეფის სასარგებლოდ და მისი განკარგულებით, იმ მოტივით, თითქოს ეს ხორციელდება მისი პრეროგატივის ძალით პარლამენტის თანხმობის გარეშე, პარლამენტის მიერ დადგენილზე უფრო დიდი ხნით პარლამენტისაგან დადგენილი წესის განსხვავებით, უკანონოა.

5. რომ მეფისადმი შუამდგომლობით მიმართვა ქვეშევრდომთა უფლებაა და ასეთი შუამდგომლობისათვის ყოველგვარი დაპატიმრება და დევნა უკანონოა.

6. რომ მშვიდობიან პერიოდში სამეფოს ფარგლებში მუდმივი ჯარის შეკრება და შენახვა პარლამენტის თანხმობის გარეშე კანონს ეწინააღმდეგება.

7. რომ პროტესტანტული სარწმუნოების მიმდევრებს უფლება აქვთ ატარონ მათი მდგომარეობის შესაბამისი იარაღი, ისე როგორც კანონითაა ნებადართული.

8. რომ პარლამენტის წევრების არჩევნები თავისუფალი უნდა იყოს.

9. რომ სიტყვის, კამათის და აქტების თავისუფლება პარლამენტში არ უნდა იყოს შეზღუდული და კონტროლს დაქვემდებარებული რომელიმე სხვა სასამართლოზე ან ადგილზე, პარლამენტის გარდა.

10. რომ დაუშვებელია ზომაზე მეტი გადასახადების მოთხოვნა, ჯარიმების დაწესება ან მკაცრი და უჩვეულო სასჯელის დადება.

11. რომ ნაფიცი მსაჯულები შეყვანილ იქნენ სიაში და მათი მოწვევა უნდა ხდებოდეს რიგით, სათანადო წესის დაცვით.[1] ნაფიცი მსაჯულებე, ჯომლებიც წყვეტენ ადამიანის ბედს სახელმწიფო ღალატის საქმეებში, უნდა იყვნენ თავისუფალი მიწათმფლობელები.

12. რომ ყოველგვარი ბოძება ან დაპირება იმ თანხიდან, რომელიც უნდა შეადგინოს ჯარიმებმა და კონფისკაციამ — გასამართლებამდე უკანონოა.

13. რომ ყოველგვარი ბოროტმოქმედების აღკვეთისათვის, კანონების გაუმჯობესების, განმტკიცებისა და დაცვისათვის პარლამენტი ხშირად უნდა მოიწვიონ.

[1, გვ. 55 — 56]

---

[1] ე. ი. მორიგ სასამართლო სესიაზე.

თავი მეორე

სამრეწველო რევოლუცია (გადაგვრიალება) ინგლისში

I. აგრარული რევოლუცია (გადატრიალება)

1. ა. მარქსი ინგლისის გლეხობის გაჩანაგების შესახებ

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში Yeomanry-დამოუკიდებელი გლეხობა, უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე მოიჯარეთა კლასი. იგი შეადგენდა კრომველის მთავარ ძალას და, თვით მაკოლის[1] აღიარებითაც კი, წარმოადგენდა დადებით კონტრასტს მოქეიფე აზნაურებთან, მათ შინაყმებთან და სოფლის ხუცებთან შედარებით, რომელთა მოვალეობას ბატონის „ნასაყვარლევთა" დაქორწინება შეადგენდა. სოფლის დაქირავებული მუშებიც კი ჯერ კიდევ სათემო მიწების თანამფლობელები იყვნენ. Yeomanry დაახლოებით 1750 წელს გაქრა, ხოლო მე-18 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში გაქრა მიწათმოქმედთა თემური საკუთრების უკანასკნელი კვალი...

სტიუარტების რესტავრაციის დროს მიწის მესაკუთრეებმა საკანონმდებლო წესით გაატარეს ის უზურპაცია, რომელიც კონტინენტზე ყოველივე საკანონმდებლო ცერემონიის გარეშე განხორციელდა. მათ მოსპეს ფეოდალური საადგილმამულო წესწყობილება, ე. ი. თავიდან მოიცილეს ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ბეგარა, „აუნაზღაურეს" სახელმწიფოს ზარალი გლეხებსა და ხალხის დანარჩენ მასაზე გადასახადების შემოღებით, მიითვისეს თანამედროვე კერძო საკუთრების უფლება მამულებზე, რაზედაც მხოლოდ ფეოდალური უფლება ჰქონდათ და, ბოლოს, ინგლისის სოფლის მუშებს თავს მოახვიეს დასახლების კანონები („laws of settlement"), რომელთაც mutatis mutandis (სათანადო ცვლილებებით) ისეთივე გავლენა იქონიეს ინგლისის მიწათმოქმედ გლეხობაზე, როგორიც თათარ ბორის გოდუნოვის ბრძანებულებამ რუს გლეხობაზე. „Glorious Revolution"-მა (სახელოვანმა რევოლუციამ) ვილჰელმ

---

[1] მაკოლი, თომას-ბაბინგტონი (1800—1859) — ინგლისელი ლიბერალური ისტორიკოსი, პარლამენტის წევრი, ავტორი მრავალტომიანი ნაშრომისა—„ინგლისის ისტორია ჯეიმზ II ტახტზე ასვლის დროიდან დაწყებული".

III ორანელთან ერთად ძალაუფლება ჩააბარა მოგების მომხვეჭ მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს. მათ ახალი ერა აღნიშნეს იმით, რომ კოლოსალური მასშტაბით ეწეოდნენ სახელმწიფო მიწების იმ მიტაცებას, რაც უწინ მხოლოდ ზომიერ ფარგლებში ხდებოდა. ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა სახელმწიფო მიწების გასაჩუქრება, ჩალის ფასად გაყიდვა ან პირდაპირი უზურპაციის გზით კერძო მამულებთან შეერთება. ყველაფერი ეს ხდებოდა ისე, რომ კანონიერების არავითარი ფორმა არ იყო დაცული. ასე თაღლითურად მითვისებული სახელმწიფო ქონება დატაცებულ საეკლესიო მამულებთან ერთად, რამდენადაც ეს უკანასკნელნი რესპუბლიკური რევოლუციის დროს მათ ხელახლა არ დაუკარგავთ, ინგლისური ოლიგარქიის თანამედროვე თავადური მფლობელობის საფუძველს შეადგენს. ბურჟუა-კაპიტალისტები ხელს უწყობდნენ ამ ოპერაციას, სხვათა შორის, იმ მიზნით, რომ მიწა თავისუფალი ვაჭრობის საგნად გადაექციათ, სამიწათმოქმედო მსხვილი წარმოების ასპარეზი გაეფართოებინათ, კანონგარეშე დაყენებული პროლეტარების დენა სოფლიდან გაეძლიერებინათ და სხვა...

თემური საკუთრება — სრულიად განსხვავებული ზემოგანხილული სახელმწიფო საკუთრებისაგან,—იყო ძველგერმანული დაწესებულება, რომელიც არსებობას განაგრძობდა ფეოდალიზმის მფარველობის ქვეშ. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მისი ძალდატანებითი უზურპაცია, რასაც უმეტესწილად თან სდევდა სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევა, მე-15 საუკუნის დამლევს იწყება და გრძელდება მე-16 საუკუნეში. მაგრამ მაშინ ეს პროცესი ინდივიდუალური ძალმომრეობის სახით მიმდინარეობდა და მის წინააღმდეგ ამაოდ იბრძოდა კანონმდებლობა 150 წლის განმავლობაში. მე-18 საუკუნის პროგრესი იმაში მეღავნდება, რომ თვით კანონი ახლა სახალხო მიწების გაძარცვის იარაღი ხდება, თუმცა მსხვილი ფერმერები, გარდა ამისა, თავიანთ საკუთარ მცირე მეთოდებსაც იყენებენ. ძარცვა-გლეჯის პარლამენტურ ფორმას წარმოადგენს „Bills for enclosures of Commons" (სათემო მიწების შემოფარგვლის კანონები), ე. ი. დეკრეტები, რომელთა საშუალებითაც მემამულეებმა თვითვე აჩუქეს თავის თავს სახალხო მიწები კერძო საკუთრებად, — ხალხის ექსპროპრიაციის დეკრეტები.

როდესაც დამოუკიდებელი იომენების ადგილი დაიკავეს tenants-at wille-ებმა[1], წვრილმა ფერმერებმა, რომელნიც მიწას წლიური იჯარით იღებდნენ, დამონებულმა და მთლიანად ლენდლორდების თვითნებობაზე დამოკიდებულმა ბრბომ,—სათემო მიწების სისტემატურმა ძარცვა-გლეჯამ, სახელმწიფო ქონების ძარცვასთან ერთად, განსაკუთრებით ხელი შეუწყო იმ მსხვილი ფერმების ზრდას, რომელთაც მე-18 საუკუნეში

[1] ე. ი. ლორდის ნებასურვილით მოკლევადიანი მოიჯარეები.

„კაპიტალ-ფერმებს“ ან „სავაკრო ფერმებს“ უწოდებდნენ, ხელი შეუწყო აგრეთვე სოფლის მოსახლეობის პროლეტარიატად გადაქცევას, მის „განთავისუფლებას“ მრეწველობისათვის...

საეკლესიო მამულების გაძარცვა, სახელმწიფო მიწების თაღლითურად გასხვისება, სათემო საკუთრების დატაცება, უზურპატორული და შეუბრალებელი ტერორიზმის გზით განხორციელებული გადაქცევა ფეოდალური საკუთრებისა და კლანური საკუთრებისა თანამედროვე კერძო საკუთრებად — აი, თავდაპირველი დაგროვების მრავალნაირი იდილიური მეთოდები. ამ მეთოდებით დაიპყრეს ასპარეზი კაპიტალისტური მიწათმოქმედებისათვის, დაუმორჩილეს მიწა კაპიტალის ბატონობას და შეუქმნეს საქალაქო მრეწველობას კანონგარეშე დაყენებული პროლეტარიატის აუცილებელი მიწოდება.

კ. მარქსი. კაპიტალი. ტომი პირველი, თბ., სახელმწიფო გამომცემლობა, 1954, გვ. 907 — 910, 920 — 921.

შემოლობვა ციფრებში. სათემო მინდვრებისა და ვერანი ადგილების შემოლობვა

წლები	სათემო მინდვრები და ცარიელი ადგილები		მხოლოდ ცარიელი ადგილები	
	აქტების რაოდენობა	მიწის რაოდენობა (აკრებში)	აქტების რაოდენობა	მიწის რაოდენობა (აკრებში)
1700—1760	152	237845	56	74518
1761—1801	1479	2428721	521	752150
1802—1844	1075	1610302	808	959043
1845 და შემდეგ	164	187321	508	334906
სულ	2870	4464189	1893	2100617

სათემო საძოვრებისა და ვერანი ადგილების შემოლობვა

წლები	აქტები აკრების ზუსტი განსაზღვრით		აქტები ფართობის აკრებში განუსაზღვრელად		სულ		მიწის რაოდ. ნაწილი (%-ებში)
	აქტ. რაოდ.	მიწის რაოდ. (აკრებში)	აქტ. რაოდ.	მიწის რაოდ. (აკრებში)	აქტ. რაოდ.	მიწის რაოდ. (აკრებში)	
1727—1760	49	65203	7	9315	56	74518	2192
1761—1792	292	411952	47	66307	339	478259	14946
1793—1801	153	230249	29	43642	182	273891	30432
1802—1815	469	615970	95	123773	564	739743	52839
1816—1845	202	164994	42	34303	244	199300	6643

[1, გვ. 58]

2. შემოღობვის პროცედურა პარლამენტის 1766 წლის აქტის მიხედვით

თემთა პალატის სხდომების ჟურნალიდან

პალატაში წარმოდგენილი და წაკითხული იყო პეტიცია სტეფან კროფტი უმცროსის, ესქვაირის, იორკის საგრაფოს სტილინგტონის მახორის ლორდის, რამდენიმე მამულის მფლობელის დასახელებული მანორისა და სტილინგტონის სამრეველოს ფარგლებში ამ სამფლობელოებიდან მეათედის მიღების უფლებით; ღირსის ჯემს უოროლის, სტილინგტონის სამრეველოს პრებენდარის;[1] ღირსის ლორენს სტერნის, დასახელებული სამრეველოს ვიკარის; უილიამ სტეინფორსის, ესქვაირის და რამდენიმე სხვა პირისა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ პეტიციას და რომელთაც ჰქონდათ ზემოდასახელებულ სამრეველოში კოპიჰოლდების უფლებებით სახლ-კარი, კოტეჯები, მამულები და სხვა მიწის საკუთრება. წარმოდგენილი პეტიცია მიუთითებდა იმაზე, რომ ზემომოხსენებული მანორისა და სამრეველოს ფარგლებში არის: სათემო მიწა, ანუ ვერანი ადგილი, რომელსაც სტილინგტონის სათემო მიწა (Stillington Common) ეწოდება, აგრეთვე გაშლილი ველები და მდელოები, რომლებიც მათ ახლანდელ მდგომარეობაში არ შეიძლება გაუმჯობესებული წესით დამუშავდეს. ზემოდასახელებული სათემო მიწით, ველებით და მდელოებით დაინტერესებული პირებისათვის ძალიან ხელსაყრელი იქნებოდა ის, რომ ყველა ეს ადგილი შემოიღობოს და დაიყოს ცალკეულ ნაკვეთებად და ყველა უფლება მათი საზოგადოებრივ საძოვრებად გამოყენებისა ან ყოველგვარი უფლება რომელიმე სხვა სათემო მიწებზე ამ მრეველში გაუქმდეს... წარმოდგენილი პეტიცია ნებართვას ითხოვს ზემოხსენებული მიზნებისათვის ან ზოგიერთი მათგანისათვის კანონ-პროექტი მიღებულ იქნას იმგვარად და იმ დებულებების თანახმად, როგორც ამას საჭიროდ ჩათვლის პალატა.

დაადგინეს: ნებადართულ იქნას წარმოდგენილი პეტიციის საფუძველზე ბილის წარდგენა და ებრძანოს ბ-ნ ჩოლმლის, სერ ჯორჯ სევილს და სერ ჯოზეფ მოუბის მოამზადონ და წარადგინონ იგი. [1766 წლის 3 თებერვალი. ბილი წარმოდგენილია თემთა პალატაში და იკითხება პირველად. 10 თებერვალი. ბილი იკითხება მეორედ. ჩოლმლის კომისია ივსება ახალი წევრებით და მას ევალება ბილის საბოლოო მომზადება].

27 თებერვალი. ბ-ნმა ჩოლმლიმ აცხობა (პალატას) იმ კომისიის სახელით, რომელსაც განსახილველად გადაეცა... იორკის საგრაფოს სტილინგტონის სამრეველოში არსებული სათემო მიწების შემოღობვისა და დანაწილების ბილი..., რომ კომისიამ განიხილა ბილში მოტანილი მოსაზრებე-

---

[1] პრებენდარი — პირი, რომელიც შემოსავალს ეკლესიის სამრეველოდან იღებდა.

ბი და ისინი ჩათვალა სწორად და კომისია კმაყოფილებით აღნიშნავს. რომ დაინტერესებულმა მხარეებმა ბილზე თანხმობა განაცხადეს, გარდა მოხსენებულ ველებზე და მდელოებზე 60 აკრის ფართობის იმ მიწის მფლობელებისა, რომლებიც არ დაეთანხმნენ შემოღობვას, და 20 აკრის ფართობის იმ მფლობელებისა, რომლებიც არ იყვნენ სახლში, როდესაც მათთან მივიდნენ თანხმობის მისაღებად... და აგრეთვე რვა სათემო უფლების იმ მფლობელთა გამოკლებით, რომლებმაც თანხმობაზე უარი განაცხადეს, და შვიდი სათემო უფლების იმ მფლობელთა გამოკლებით რომლებიც არ იყვნენ სახლში, როდესაც მათთან მივიდნენ თანხმობის მისაღებად... და არავინ არ გამოცხადებულა კომისიაში, რომ ბილის წინააღმდეგ გამოსულიყო. პალატამ მიიღო ბილი ზოგიერთი შესწორებით...

[3 მარტი. ბილი გავიდა მესამედ კითხვისას და გადაეგზავნა ლორდთა პალატას. 18 მარტი. ლორდთა პალატამ მიიღო ბილი ყოველგვარი შესწორების გარეშე. მიღებულია მეფის თანხმობა].

[1, გვ. 59—60]

3. არტურ იუნგი „შემოღობვათა სარგებლიანობის" შესახებ

ა რ ტ უ რ ი უ ნ გ ი (1741—1820) — ინგლისელი ეკონომისტი, ავრონომი და მოგზაური. მისი „მოგზაურობანი ინგლისში, ირლანდიასა და საფრანგეთში" შესანიშნავ საილუსტრაციო მასალას იძლევა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ეკონომიკის შესახებ XVIII საუკუნის დამლევს. ნაშრომში „პოლიტიკური არითმეტიკა, რომელიც შეიცავს დაკვირვებას დიდი ბრიტანეთის თანამედროვე მდგომარეობისა და მიწათმოქმედების წახალისების პოლიტიკის პრინციპების შესახებ" (1774 წ.), საიდანაც ეს ნაწყვეტი მოგვაქვს, ავტორი აღფრთოვანებას გამოხატავს შემოღობვით და ცდილობს სავსებით მიჩქმალოს ამ პროცესის ყველა უარყოფითი მხარე.

სამეფოს საკმაოდ დიდი ნაწილი უკვე შემოღობილია, კანონმდებლობა ხელს უწყობს შემოღობვათა კიდევ უფრო დიდად გავრცელებას... შემოღობვის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ შემოღობვის შემდეგ ნაყოფიერი მიწები საძოვრებად იქცევა და ამის გამო სამეფოს მოსახლეობა მცირდება... მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მოსახლეობის საკითხს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს: ნიადაგი ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ მას შეეძლოს მეტი მოსავალი მოგვცეს, მოსახლეობის რაოდენობისაგან დამოუკიდებლად; მოსახლეობის ვერავითარმა მდგომარეობამ ფერმერს არ უნდა შეუქმნას რაიმე დაბრკოლება მეურნეობის კარგად წარმართვის საქმეში. მოსახლეობა, რომელიც სახელმწიფოსათვის შემოსავლის მოტანის ნაცვლად მისთვის ტვირთად იქცევა — მავნე საზოგადოებაა... სამეფოს ცენტრალურ საგრაფოებში, განსაკუთრებით ნორტჰემპტონშირში, ლეისტერშირში, იორკშირში, ჰენტინგდონშირში და ბეკინჰემპტონშირში, ოცდაათი წლის წინათ შემოუღობავი

სახნავი მიწების ძალიან დიდი ფართობები იყო, სადაც მეურნეობის სამ-ძიხდვრიანი სისტემა მოქმედებდა. შემოღობვის შემდეგ მიწა საძოვრე-ბად იქცა, რომლისთვისაც ადგილობრივი ტენიანი ნიადაგი უფრო გა-მოსადეგია, ვიდრე ხვნა-თესვისათვის; მესაქონლეობას აქ შეუდარებ-ლად უფრო დიდი შემოსავალი (საქონლის ხორცი, ცხვრის ხორცი, ტყა-ვი, მატყლი...) მოაქვს, ვიდრე მიწათმოქმედებას. ამრიგად, მიწას უფრო დიდი წმინდა პროდუქტი (მოგება) მოაქვს... ლორდის შემოსავალი ორ-მაგდება, რაც მას საშუალებას აძლევს მანუფაქტურის პატრონებისა და ხელოსნების დიდ რაოდენობას მისცეს სამუშაო, ფერმერის შემოსავა-ლიც იზრდება... მის მიერ წარმოებული ტყავი და მატყლი ხელს უწ-ყობს მანუფაქტურის პატრონების დასაქმებას. ამის შემდეგ განა შეიძ-ლება უიმედო დასკვნები გავაკეთოთ მოსახლეობის შემცირების, შიმ-შილის და გაღატაკების შესახებ!... როდესაც გონების თვალს ვავლებ ამ ქვეყანას. ყველგან ჩემს წინ ისეთი დიადი და აღმაფრთოვანებელი პერ-სპექტივები იშლება, რომ ის ძალზე პატარა შავი ლაქები რომლებიც შე-იძლება ცის კაბადონზე შეამჩნიო, გარემომცველ ბრწყინვალებაში იკარ-გება... რას იტყვიან [შემოღობვათა მოწინააღმდეგენი] ნორფოლკის, სეფოლკის, ნოტინჰემშირის, დერბიშირის, ლინკოლნშირის, იორკშირისა და ყველა ჩრდილოეთის საგრაფოს შესახებ! რას იტყვიან ისინი ნორ-ფოლკის, სეფოლკისა და ნოტინჰემშირის ქვიშნარების შესახებ, სადაც ითესება პური, აშენებენ ხარებსა და ცხვრებს მხოლოდ შემოღობვის წყალობით? რას იტყვიან ისინი იორკისა და ლინკოლნის ბარის შესახებ, რომელიც ადრე მანანით იყო დაფარული... შემოღობვის წყალობით ეს შემოსავლის მომტან ფერმებად იქცნენ. ჰკითხეთ სერ სესილ რეს: შეეძ-ლო თუ არა მას თავისი მანანით დაფარული უშენი ადგილების რენტა 1 შილინგიდან 20 შილინგამდე აეწია შემოღობვის გარეშე? რას იტყვიან დერბის ვრცელი ფართობების შესახებ, რომლებიც შემოღობვის შედე-გად იქცნენ... ნაყოფიერ მინდვრებად, სადაც საქონელი ბალახობს. რას იტყვიან იმ გაუმჯობესების შესახებ, რომელიც შედეგად მოჰყვა ჩრდი-ლოეთის საგრაფოების იმ ფართობების შემოღობვას, რომლებიც ახლა სამიწათმოქმედო კულტურით ხიბლავს ადამიანს, ადრე კი ბნელი იყო, როგორც ღამე! რას იტყვიან [შემოღობვის მოწინააღმდეგენი] ყველა ამ ფაქტის შესახებ?

[1, გვ. 60—61]

4. გლეხების პეტიცია შემოღობვის წინააღმდეგ

(თემთა პალატის ეურნალიდან, 1797 წლის ივლისი)

ქვემოთ ხელის მომწერი წვრილი მიწათმფლობელებისა და იმ პირთა პეტიცია, რომელთაც უფლება აქვთ ისარგებლონ სათემო მიწებით [რა-უნდის მრევლში, ნორტჰემპტონშირის საგრაფო].

პეტიციის შემომტანნი ითხოვენ ნებართვას მიუთითონ პალატას იმაზე, რომ მიწის გაუმჯობესებული წესით დამუშავებაზე გადასვლის საბაბით ზევით დასახელებულ მრევლში კოტერები[1] და სხვა პირები, რომელთაც უფლება აქვთ იმ მიწების სათემო წესით სარგებლობისა, რომლებიც შემოღობვას აპირებენ, კარგავენ მეტად მნიშვნელოვან უფლებას, რომლითაც ისინი ამჟამად სარგებლობენ, სახელდობრ: უფლებას აბალახონ თავიანთი ძროხების, ხბოებისა და ცხვრების გარკვეული რაოდენობა მოხსენებულ მიწებზე; ეს უფლება არამარტო იმის საშუალებას აძლევს მათ, რომ გამოიკვებონ თვითონ და გამოკვებონ ოჯახი ზამთარში, როდესაც ისინი ფულითაც კი ვერ შოულობენ სხვა მიწების მფლობელებისაგან რძის ან დოს მცირე რაოდენობას, რაც აუცილებელია მათთვის, არამედ მიჰყიდონ ახალგაზრდა პირუტყვი ზომიერ ფასებში იმ პირებს, რომლებიც ასუქებენ პირუტყვს და ზომიერ ფასებში ყიდიან ბაზარში საყოველთაო მოხმარებისათვის, რაც პეტიციის შემომტანი პროდუქტების სიუხვისა და სიიაფის დამყარების ყველაზე უფრო რაციონალურ საშუალებად მიაჩნიათ; შემდეგ, ისინი თვლიან, რომ ასეთი შემოღობვის კიდევ უფრო დიდი მავნე შედეგი იქნება მათი სამრევლოს თითქმის სრული გაუკაცრიელება, რომელშიაც ამჟამად მტკიცე და შეუპოვარი მიწათმოქმედნი ცხოვრობენ, რომლებსაც აქამდე სხვა სამრევლოების მცხოვრებლებთან ერთად ერისთვის ყველაზე მეტი დიდება და ძალა მოჰქონდათ იმით, რომ შედიოდნენ მისი არმიისა და ფლოტის რიგებში და რომლებიც სიღარიბისა და სამუშაოს ნაკლებობის გამო დაიწყებენ ახლა მთელ ბრბოებად სამრეწველო ქალაქებში გადასახლებას, სადაც დაზგასთან ან ქურასთან მათი მუშაობის თვით ხასიათმა შეიძლება ისინი წელში გაწყვიტოს, და, მაშასადამე, მათი შთამომავლობა უფრო დაძაბუნდება... ასეთია ხალხისათვის ის ვნება, რომელიც, პეტიციის შემომტანთა აზრით, უეჭველად მოჰყვება ამ შემოღობვას, რაც უკვე მოხდა კიდევაც ბევრი სხვა შემოღობვის შედეგად, რომელთა გამო ისინი არ თვლიდნენ თავიანთ თავს უფლებამოსილად გამოსულიყვნენ პალატის წინაშე (რომელიც კონსტიტუციის მიხედვით ღარიბთა მფარველი და დამცველია), სანამ იმ ბილის გამო, რომელიც ამჟამად პალატაში განიხილება, ზარალის საშიშროება მათი ხვედრიც არ გახდა.

[1, გვ. 61—62]

---

[1] კოტერები (ანუ კოტეჯერები) — უმიწაწყლო გლეხები ინგლისში, რომლებიც ფლობდნენ ქოხსა და საკარმიდამოს; ჩვეულებრივ მათ ექსპლოატაციას უწევდნენ როგორც სოფლის მუშებსა და მოჯამაგირეებს.

II. კაპიტალისტური მანუფაქტურა

1. კ. მარქსი მანუფაქტურის კაპიტალისტური ხასიათის შესახებ

შრომის მანუფაქტურული დანაწილება ხელოსნური საქმიანობის დაშლით, შრომის იარაღების სპეციალიზაციით, ნაწილობრივი მუშების შექმნით, მათი დაჯგუფებითა და ერთ მთლიან მექანიზმად კომბინირებით ქმნის საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესების თვისებრივ დაყოფას და რაოდენობრივ პროპორციულობას, მაშასადამე, ქმნის საზოგადოებრივი შრომის განსაზღვრულ ორგანიზაციას და ამით შრომის ახალ საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალას ავითარებს. როგორც სპეციფიკურად კაპიტალისტური ფორმა საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესისა, — და იმ ისტორიულ საფუძველზე კი, რომელიც მან ჰპოვა, მას არ შეეძლო სხვანაირად განვითარებულიყო, თუ არა კაპიტალისტური ფორმით, — იგი მხოლოდ განსაკუთრებული მეთოდია იმისთვის, რომ შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება იწარმოებოდეს, ანუ კაპიტალის თვითზრდა — რასაც საზოგადოებრივ სიმდიდრეს, „wealth of nations" („ხალხთა სიმდიდრეს") უწოდებენ — მუშების ხარჯზე ძლიერდებოდეს. იგი არამარტო ავითარებს შრომის საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალას კაპიტალისტისთვის, და არა მუშისთვის, არამედ ის ავითარებს მას ინდივიდუალური მუშის დამახინჯების გზით. იგი შრომაზე კაპიტალის ბატონობის ახალ პირობებს ქმნის. ამიტომ, თუ, ერთი მხრივ, იგი საზოგადოების ეკონომიურად ჩამოყალიბების პროცესში ისტორიულ პროგრესს და განვითარების აუცილებელ მომენტს წარმოადგენს. მეორე მხრივ, იგი ცივილიზებული და გაქნილი ექსპლოატაციის საშუალებაა...

საკუთრივ მანუფაქტურის პერიოდში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც მანუფაქტურა კაპიტალისტური წარმოების წესის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, მისი დამახასიათებელი ტენდენციების სრული განხორციელება მრავალნაირ დაბრკოლებას აწყდება. თუმცა მანუფაქტურა, როგორც დავინახეთ, მუშების იერარქიულ დანაწილებასთან ერთად ქმნის მათ უბრალო დაყოფას დახელოვნებულ და დაუხელოვნებელ მუშებად, მაგრამ ამ უკანასკნელთა რიცხვი პირველთა გადამძლევი მნიშვნელობის გამო ძლიერ შეზღუდულია. თუმცა მანუფაქტურა ცალკე ოპერაციებს თავისი ცოცხალი სამუშაო ორგანოების მონწიფების, ძალისა და განვითარების სხვადასხვა დონეს უფარდებს და, მაშასადამე, გზას უხსნის ქალების და ბავშვების მწარმოებლურ ექსპლოატაციას. მაგრამ ეს ტენდენცია საერთოდ და მთლიანად მარცხდება მუშა-მამაკაცების ზნე-ჩვეულებათა და წინააღმდეგობის გამო. თუმცა ხელოსნური საქმიანობის დაშლა ამცირებს მუშე-

ბის ჭომზადების ხარჯებს და, მაშასადამე, მუშაძალის ღირებულებასაც. მიუხედავად ამისა, უფრო ძნელი ნაწილობრივი სამუშაოს შესწავლას ხანგრძლივი დრო სჭირდება, და იქაც კი, სადაც ეს უკანასკნელი საჭირო არ არის, მუშები მას თავგამოდებით იცავენ. ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რომ ინგლისში laus of apprenticeship-ი (კანონები. შეგირდობის შესახებ) მათი შვიდწლიანი სწავლების ვადით სრულ ძალაში იყო მანუფაქტურული პერიოდის დამლევამდე და ისინი მხოლოდ მსხვილმა მრეწველობამ მოსპო. რადგან ხელოსნური დახელოვნება მანუფაქტურის საფუძვლად რჩება და იქ მოქმედი ერთობლივი მექანიზმი მოკლებულია თვით მუშებისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ ჩონჩხს, ამიტომ კაპიტალს მუდამ მუშების ურჩობასთან უხდება ბრძოლა...

ამასთანავე მანუფაქტურას არ შეეძლო საზოგადოებრივი წარმოების დაპყრობა მთელი მისი მოცულობით და არც მისი ძირფესვიანად გადატრიალება. იგი აღმართული იყო, როგორც ეკონომიკური ხელოვნების ქმნილება საქალაქო ხელოსნობისა და სასოფლო შინამრეწველობის ფართო საფუძველზე. განვითარების გარკვეულ საფეხურზე მისი საკუთარი ვიწრო ტექნიკური ბაზისი წინააღმდეგობაში აღმოჩნდა მის მიერვე შექმნილი წარმოების მოთხოვნილებებთან.

კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი. ტომი I. თბ., 1954, გვ. 463, 467 — 468.

2. მაუდის მანუფაქტურა (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი)

ფერმერის მიერ ცხვრის გაკრეჭით ან ჭონის მიერ ცხვრის ტყავის გაკრეჭით მიღებული მატყლი, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობის საგანი ხდება: ან მატყლით მოვაჭრეს მიჰყიდიან მას, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრით, მანუფაქტურის პატრონს (manufacturer) მიჰყიდის ან როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე, თვითონ ფერმერს ან ჭონს მიაქვს იმ რაიონებში, სადაც მას მოიხმარენ.

მთელ სამეფოში მიმოფანტული ეს მატყლით მოვაჭრეები და ჩარჩები (staplers und wool dealers) მეტად დიდ როლს თამაშობენ, ვინაიდან ისინი არიან პირველი ვაჭრები, რომელთა ხელშიც ხვდება მატყლი გასაყიდად; ინგლისის მთავარი ქალაქები, სადაც ისინი გარკვეული რაოდენობით ერთად არიან თავმოყრილები — არის — ლონდონი ან უფრო მეტად, სოუთვორკი, უმთავრესად ბარნბლსტრიტზე და ქალაქი ბლეკფორდი დორსეტშირში; ისინი გვხვდებიან ნორვიჩშიც, ლინკოლნშირშიც; ლეისტერშირში ისინი ძალიან ბევრნი არიან.

სტოურბრიჯის ბაზრობა განთქმულია მატყლის დიდი რაოდენობით, რომელიც იქ იყიდება და ამ მხრივ იგი ჯობნის ინგლისის მთელ ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილის ყველა ბაზრობებსა და ბაზრებს.

მაგრამ საითაც არ უნდა გაიტანოთ მატყლი და ვიხც არ უნდა გაყიდოს ამის შემდეგ იგი, გაივლის დამუშავების პირველ სტადიას; ეს სტადია ორი პროცესისაგან შედგება: 1. ქსლის სავარცხლით (საბეჭი) ჩეჩვისა და 2. კარდით ჩეჩვის პროცესებისაგან.

ქსლის სავარცხლით მჩეჩავები ადამიანთა ცალკე ჯგუფს შეადგენენ. ქსლის სავარცხლით ჩეჩვა დამოუკიდებელი სარეწაოა; კარდით ჩეჩვას კი, პირიქით, აწარმოებენ უმთავრესად მემაუდეების მიერ დაქირავებული მუშები. ქსლით მჩეჩავები მატყლს ყიდულობენ საწმისის სახით ან შეკვრად და გაჩეჩვის შემდეგ თვითონვე გადასცემენ მას შემდგომი პროცესისათვის. კარდით ჩეჩვას კი, როგორც ეს ზევით იყო აღნიშნული, ჩვეულებრივად დაქირავებული მუშები აწარმოებენ. ორივე ეს პროცესი მატყლს ამზადებს შემდგომი, — დართვის პროცესისათვის.

მაგრამ იმისათვის, რომ საქმე დართვამდე მივიდეს, საჭიროა ადამიანთა, ცხენების, საზიდავებისა და ფურგონების ძალიან დიდი რაოდენობა, რათა მატყლი ადგილიდან ადგილზე გადავზიდოთ, ვინაიდან იმ რაიონების მცხოვრებლები, სადაც მატყლი გროვდება, მას არ ართავენ.

პირიქით, მთელი საგრაფოები და საგრაფოების ნაწილები მხოლოდ და მხოლოდ დართვას ეწევიან, მათ არ იციან სხვა რაიმე ხელობა. ასე მაგალითად, ნორიჩისა და მის ირგვლივ მდებარე რაიონების ფეიქრები და ლონდონში სტუელფილდის ფეიქრები მატყლის დიდ რაოდენობას აგზავნიან დასართავად ცალკეულ საგრაფოებში, გარდა იმისა, რაც ირთვება ორ მჭიდროდ დასახლებულ საგრაფოში — ნორფოლკსა და სეფოლკში; კერძოდ, მატყლის დართვაში დასაქმებულია თითქმის მთლიანად კემბრიჯის, ბედფორდისა და ჰერტფორდის საგრაფოები: გარდა ამისა, თითქოს მათთვის საკმარისი არ იყო ინგლისის ეს ნაწილი, ისინი დიდი რაოდენობით აგზავნიან მატყლს დასართავად სახმელეთო გზით ასორმოცდაათ მილზე ჩრდილოეთით, თვით უესტმორლენდამდე; შემდეგ ნართი იმავე გზით ბრუნდება ლონდონსა და ნორვიჩში.

[1, 33. 64 — 65]

3. რკინის მწარმოებელი მანუფაქტურა (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი)

დაახლოებით 6 მილის მანძილზე ნიუკასლიდან მდებარეობს რკინის მანუფაქტურა, როგორც ამბობენ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი მანუფაქტურა მთელს ევროპაში. რამდენიმე ასეული მუშა მუშაობს აქ, 20 ათ. გ. სტერლინგი იხარჯება წელიწადში ხელფასის სახით. დღიური ხელფასი მერყეობს 1 შილინგიდან 2 შილინგსა და 6 პენსამდე; ზოგიერთი მუშა (foremen — უფროსი მუშები) 200 გ სტერლინგამდე ღებულობს წელიწადში. ძალიან დიდია რკინის რაოდენობა, რომელსაც ისინი გადაამუშავებენ. ბალტიის ზღვაში სამი ხომალდი ყოველწლიურად ახორციელებს

ათ რეისს და თითოეულ მათგანს ერთჯერად მოაქვს 70 ტონა — სულ 2100 ტონა. გარდა ამისა, კიდევ 500 ტონა რკინა მოაქვთ სხვა ხომალდებით. შვედური რკინის გარდა აქ ხმარობენ ბევრ ამერიკულ რკინას; ეს რკინა აგრეთვე კარგი ხარისხისაა, ზოგიერთი მიზნისათვის კიდევაც უკეთესი ხარისხისაა... ყოველწლიურად იხარჯება 7 ათასი ტომარა ქვანახშირი, თითოეულ ტომარაში 15 ბუშელია. აქ მზადდება ღუზები... ქვემეხების ლაფეტები, წერაქვები, ბარები, ცულები, კავები, ჯაჭვები და სხვა. საერთოდ, უფრო მეტი გასატანად მზადდება, განსაკუთრებით ბევრი გააქვთ ოსტ-ინდოეთის კომპანიის დაკვეთით. ასე მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულია მისგან დიდი დაკვეთა არტილერიაზე. განსაკუთრებით გაძლიერებული ტემპით მუშაობდა რკინის მანუფაქტურა ომის დროს. ცუდი მდგომარეობა შეიქმნა ომის შემდეგ. მაგრამ უკანასკნელ 7 — 8 წელიწადში (ზავის დადების შემდეგ) ღუზებზე და ხომალდის ჯაჭვებზე მოთხოვნილება მუდამ არის, და დიდიც. მაგრამ მაინც უკანასკნელ ხანებში მანუფაქტურა ისე არ მუშაობს, როგორც ომის დროს მუშაობდა. რაც შეეხება მანქანებს, რომელიც ზოგიერთი საწარმოო ოპერაციის დასაჩქარებლად არის საჭირო, აქ გამოყენებულია: სპილენძის ლილვი იმისათვის, რომ ზოლოვანი რკინა სალტეებად მოღუნონ; მაკრატლები — რკინის ზოლების საჭრელად, მბრუნავი ამწე იმისათვის, რომ ღუზები გადასწიონ ცეცხლისაკენ ან გამოიტანონ ცეცხლიდან ურო, რომელიც კბილოვანი ბორბლით იწევა. ყველა ეს მანქანა ძალიან სასარგებლოა, მარტივია თავისი კონსტრუქციით და ყველას წყლით ამოძრავებენ. მაგრამ მე ვერ გამიგია, რატომ ასრულებენ დანარჩენ სამუშაოს ხელით. მე ვნახე, თუ 8 ბრგე ახალგაზრდა, როგორ ურტყამდა ეროს ერთ ღუზას, რაც, ცხადია, შეიძლებოდა დიდ გრდემლზე შესრულებულიყო ეროთი ან ეროებით, რომლებსაც წყლით ამოძრავებენ... მექანიკისათვის ხომ შეუძლებელი არაფერი არ არის: 20 ტონიან ღუზას, ეკვს გარეშეა, შეიძლება მანქანის საშუალებით ისეთივე სიადვილით მოვექცეთ, როგორც ქინძისთავს.

[1, გვ. 65 — 66]

4. ადამ სმითი მანუფაქტურის უპირატესობათა შესახებ

ადამ სმითი (1729 — 1790) — კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ინგლისური სკოლის უდიდესი წარმომადგენელია. ნაწყვეტი ამოღებულია მისი ნაშრომიდან „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776), რომელშიც მან სისტემაში მოიყვანა თავისი შეხედულებები კაპიტალისტური მეურნეობის თეორიის შესახებ.

მაგალითისათვის ავიღოთ მრეწველობის ფრიად უმნიშვნელო დარგი, მაგრამ ისეთი, რომელშიაც შრომის დანაწილება ხშირად საკმაოდ შესამჩნევია, სახელდობრ — ქინძისთავების წარმოება.

მუშა, რომელიც გაწაფული არაა ამ წარმოებაში, რომელიც შრომის დანაწილებამ განსაკუთრებულ ხელობად აქცია, და არ იცის მასში გამოყენებული ინსტრუმენტების ხმარება, რომელთა გამოგონებას, ალბათ, იმავე შრომის დანაწილებამ მისცა იმპულსი, რაც არ უნდა დახელოვნებული იყოს, ვერ მოასწრებს დღეში ერთი ქინძისთავის გაკეთებასაც კი და, რასაკვირველია, ვერ გააკეთებს ოცს. მაგრამ ამ წარმოების თანამედროვე ორგანიზაციის პირობებში, იგი ერთობლიობაში არათუ ცალკე ხელობას შეადგენს, არამედ ნაწილდება მრავალ დარგად, რომელთა დიდი ნაწილი, თავის მხრივ, ცალკე სპეციალურ ხელობას წარმოადგენს. ერთი მომუშავე ჭიმავს მავთულს, მეორე ასწორებს მას, მესამე ჭრის, მეოთხე წააწვეტებს ბოლოებს, მეხუთე ქლიბავს იმ ბოლოს, რომელსაც თავი უნდა დაემაგროს; თავის მომზადება მოითხოვს ორ თუ სამ სხვადასხვა ოპერაციას: თავის ჩამოცმა წარმოადგენს ერთ განსაკუთრებულ ოპერაციას, ქინძისთავის გაპრიალება — მეორეს; ქინძისთავების ქაღალდში ჩაწყობაც კი ცალკე ოპერაციას შეადგენს. ამრიგად, რთული შრომა ქინძისთავების წარმოებისა დანაწილებულია დაახლოებით თვრამეტ დამოუკიდებელ ოპერაციად, რომლებსაც ზოგიერთ საწარმოში ცალ-ცალკე სხვადასხვა მუშა ასრულებს, მაშინ როდესაც სხვაგან ერთი და იგივე მუშა ხანდახან ორ თუ სამ ოპერაციას ახორციელებს. მე ვინახულე ერთი ამგვარი პატარა მანუფაქტურა, სადაც მხოლოდ ათი მუშა მუშაობდა და სადაც, ამიტომ, ზოგი მათგანი ორ და სამ სხვადასხვა ოპერაციას ასრულებდა. თუმცა ეს მანუფაქტურა ძალიან ღარიბი იყო და ამიტომ არასაკმაოდ მოიპოვებოდა აუცილებელი მანქანა-დანადგარები, მაგრამ 10 მუშას მაინც შეეძლო ძალების სრული დაძაბვის პირობით მოესწრო დაახლოებით თორმეტი გირვანქა ქინძისთავის დამზადება დღეში. ერთი გირვანქა შეიცავს 4000-ზე მეტ საშუალო ზომის ქინძისთავს. მაშასადამე, ამ ათ ადამიანს შეეძლო დღეში 48,000-ზე მეტი ქინძისთავის დამზადება. ამრიგად, თუ კაცზე 48000 ქინძისთავის ერთ მეათედს ვიანგარიშებთ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ერთი მუშა 4800 ქინძისთავს ამზადებდა დღეში, ხოლო მათ რომ განცალკევებულად და დამოუკიდებლად ემუშავნათ და რომ არც ერთ მათგანს შესწავლილი არ ჰქონოდა ეს განსაკუთრებული ხელობა, — უეჭველია, ვერც ერთი მათგანი ვერ დაამზადებდა ოცს და, შესაძლებელია, ერთ ქინძისთავსაც კი დღეში. ერთი სიტყვით, ისინი უეჭველია, ვერ დაამზადებდნენ $\frac{1}{240}$ -ს და, შესაძლებელია, $\frac{1}{4800}$ -საც კი

იმისა, რაც მათ ახლა ძალუძთ დაამზადონ, სხვადასხვა ოპერაციების ოსტატური დანაწილებისა და მათი ურთიერთშეთანხმების შედეგად.

[1, გვ. 66—67]

III. სამრეწველო გადატრიალება. მანქანების შემოღება მრეწველობაში

1. ჯ. მარქსი მანქანების განვითარების შესახებ

ყოველი განვითარებული მანქანური მოწყობილობა შედგება სამი არსებითად სხვადასხვა ნაწილისაგან: მანქანა—ძრავასაგან, გადამცემი მექანიზმისაგან და, ბოლოს, მანქანა-იარაღისაგან, ანუ სამუშაო მანქანისაგან. მანქანა-ძრავა მოქმედებს როგორც მთელი მექანიზმის მამოძრავებელი ძალა. იგი თვითონ წარმოშობს თავის საკუთარ ძრავძალას, როგორც, მაგალითად, ორთქლის მანქანა, ელექტრო-მაგნიტური მანქანა და სხვ., ანდა იმპულსს იღებს გარედან ბუნების რომელიმე ძალისაგან, როგორც, მაგალითად, წყლის ბორბალი — ვარდნილი წყლისაგან, ქარის წისქვილის ფრთები — ქარისაგან და სხვა გადამცემი მექანიზმი, რომელიც მქნევარა თვლების, მოძრავი ლილვების, კბილა თვლების, ექსცენტრიკების, ღეროების, თასმების, ღვედების, შუალედი ნაწილებისა და სხვადასხვაგვარი მოწყობილობისაგან შედგება, აწესრიგებს მოძრაობას, ცვლის, სადაც ეს საჭიროა, მის ფორმას, — მაგალითად, პერპენდიკულარულ ფორმას წრიულ ფორმად გარდაქმნის, — ანაწილებს მოძრაობას და გადააქვს იგი სამუშაო მანქანებზე. მექანიზმის ორივე ეს ნაწილი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ სამუშაო მანქანა მოძრაობაში მოიყვანოს, რის მეოხებითაც ეს უკანასკნელი შრომის საგანს ჩაიჭერს და მიზანშეწონილად შეცვლის მას. მანქანის სწორედ ეს ნაწილი, სამუშაო მანქანა, მე-18 საუკუნის სამრეწველო რევოლუციის ამოსავალი პუნქტია. იგი ახლაც მუდამ ამოსავალი პუნქტია ყველა იმ შემთხვევაში, როცა ხელოსნური ან მანუფაქტურული წარმოება მანქანურ წარმოებად იქცევა...

მანქანა, საიდანაც სამრეწველო რევოლუცია მომდინარეობს, იჭერს მუშის ადგილს, რომელიც მხოლოდ ერთი იარაღით მუშაობს, იჭერს ისეთი მექანიზმით, რომელიც ერთბაშად ხმარობს ერთნაირი ან ერთგვაროვანი იარაღების მთელ მასას და მოძრაობაში მოდის ერთი მამოძრავებელი ძალის საშუალებით, სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს ამ უკანასკნელის ფორმა. ჩვენ აქ გვაქვს მანქანა, მაგრამ ჯერ მხოლოდ როგორც მარტივი ელემენტი მანქანური წარმოებისა.

სამუშაო მანქანის მოცულობისა და მისი იმავდროულად მოქმედი იარაღების რიცხვის გადიდება უფრო დიდ მამოძრავებელ მექანიზმს მოითხოვს, და ეს მექანიზმი კი თავისი საკუთარი წინაღობის დასაძ-

ლევად უფრო მძლავრ ძრავძალას საჭიროებს, ვიდრე ადამიანის ძალაა, — თუ არაფერს ვიტყვით უკვე იმაზე, რომ ადამიანი მეტად არასრულყოფილი იარაღია ერთფეროვანი და უწყვეტი მოძრაობის წარმოებისათვის. თუ, ნავარაუდევის თანახმად, ადამიანი მხოლოდ უბრალო მამოძრავებელი ძალის სახით მოქმედებს, მაშასადამე. მისი იარაღის ადგილი სამუშაო მანქანამ დაიჭირა, მაშინ შეიძლება მამოძრავებელი ძალის სახითაც შეენაცვლოს ადამიანს ბუნების ძალა. მანუფაქტურული პერიოდიდან გადმოცემულ ყველა დიდ მამოძრავებელ ძალთა შორის ცხენის ძალა ყველაზე უვარგისი იყო, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ცხენს საკუთარი თავი აქვს, და ნაწილობრივაც იმიტომ, რომ იგი ძვირია და ფაბრიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულია. მიუხედავად ამისა. მსხვილი მრეწველობის სიყრმის პერიოდში ცხენს მაინც ხშირად იყენებდნენ. რასაც მოწმობს, გარდა იმდროინდელი აგრონომების ჩივილისა, დღემდე დარჩენილი წესიც — ყოველი მექანიკური ძალის გამოხატვისა ცხენძალით. ქარი ძალიან ცვალებადია და მისთვის კონტროლის გაწევა შეუძლებელია; გარდა ამისა, წყლის ძალის გამოყენება ინგლისში, მსხვილი მრეწველობის სამშობლოში, ძალიან გავრცელებული იყო უკვე მანუფაქტურულ პერიოდში. უკვე მე-17 საუკუნეში სცადეს წისქვილის ორი მბრუნავი დოლაბი და, მაშასადამე, ორი საფქვავი ერთი წყლის ბორბლით აემოძრავებინათ. მაგრამ გადამცემი მექანიზმის მოცულობის გადიდება კონფლიქტში მოექცა არასაკმაო წყალძალასთან, და ეს იყო ერთ-ერთი გარემოება, რომელმაც ხელი შეუწყო ხახუნის კანონთა უფრო ზუსტ გამოკვლევას. ასევე მამოძრავებელი ძალის არარეგულარულმა მოქმედებამ წისქვილებში, რომელნიც მოძრაობაში მოჰყავდათ მხრეულით დაკვრისა და წევის საშუალებით, გამოიწვია მქნევარა ბორბლის თეორიისა და პრაქტიკული გამოყენების დამუშავება, რამაც შემდეგში ესოდენ დიდი როლი შეასრულა მსხვილ მრეწველობაში. ამნაირად განავითარა მანუფაქტურულმა პერიოდმა მსხვილი მრეწველობის პირველი მეცნიერული და ტექნიკური ელემენტები. არკრაიტის სართავი ვატერ-მანქანა იმთავითვე წყლის საშუალებით მოდიოდა მოძრაობაში. მაგრამ წყლის ძალის გამოყენებაც უმთავრეს მამოძრავებელ ძალად სხვადასხვა დამაბრკოლებელ გარემოებასთან იყო დაკავშირებული. არ შეიძლებოდა სურვილისამებრ წყლის მომატება, არც მისი ნაკლებობის შევსება: ზოგჯერ იგი შრებოდა და, უწინარეს ყოვლისა, მას წმინდა ლოკალური ხასიათი ჰქონდა. მხოლოდ უატის მეორე მანქანის, ე. წ. ორმაგად მოქმედი ორთქლის მანქანის, გამოგონებით გამონახულ იქნა პირველი ძრავა, რომელიც ნახშირისა და წყლის დახარჯვით თვითონვე ქმნის თავის მამოძრავებელ ძალას და რომლის მოქმედება მთლიანად ადა-

შიანის კონტროლს ექვემდებარება; ძრავა, რომელიც მოძრავია და თან საშუალებაც მოძრაობისა, ქალაქური სისტემისაა და არა სოფლურისა, წყლის ბორბლისებრ. იგი შესაძლებელს ხდის წარმოების კონცენტრაციას ქალაქებში, ნაცვლად იმისა, რომ დაქსაქსოს იგი სოფლებში, როგორც ამას წყლის ბორბალი იწვევდა; ბოლოს, ძრავას ტექნიკური გამოყენება უნივერსალური ხასიათისაა და მისი ადგილსამყოფელი შედარებით ნაკლებადაა დამოკიდებული ამა თუ იმ ლოკალურ პირობებზე. უატის დიდი გენიოსობა ჩანს მის მიერ 1784 წლის აპრილში აღებული პატენტის დეტალური აღწერილობიდან. სადაც იგი გვისურათებს თავის ორთქლის მანქანას არა როგორც გამოგონებას განსაკუთრებული მიზნებისათვის, არამედ როგორც მსხვილი მრეწველობის უნივერსალურ ფაქტორს. იგი აღნიშნავს აქ ისეთ გამოყენებებს, რომელთაგან ზოგიერთი, მაგალითად, ორთქლის ურო, მხოლოდ ნახევარ საუკუნეზე უფრო მეტი ხნის შემდეგ იქნა შემოღებული. მაგრამ მას საეჭვოდ მიაჩნდა ორთქლის მანქანის გამოყენება საზღვაო ნაოსნობაში. მისმა მიმდევრებმა, ბოლტონმა და უატმა, 1851 წლის ლონდონის სამრეწველო გამოფენაზე გამოიტანეს უზარმაზარი ორთქლის მანქანა საოკეანო გემებისათვის.

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც იარაღები ადამიანის ორგანიზმის იარაღებიდან მექანიკური აპარატის — სამუშაო მანქანის — იარაღებად იქცა, მამოძრავებელმა მანქანამაც მიიღო დამოუკიდებელი ფორმა, სრულიად განთავისუფლებული იმ შეზღუდვათაგან, რომლებიც თან ახლავს ადამიანის ძალას. ამით ის ცალკეული სამუშაო მანქანა, რომელსაც ჩვენ აქამდე განვიხილავდით, მანქანური წარმოების უბრალო ელემენტის დონემდე დაქვეითდება. ერთ მანქანა-ძრავას ახლა შეუძლია ერთსა და იმავე დროს მრავალი სამუშაო მანქანა მოიყვანოს მოძრაობაში. იმავდროულად ამოძრავებულ სამუშაო მანქანათა რიცხვის გადიდებასთან ერთად იზრდება მანქანა-ძრავა და მასთან ერთად გადამცემი მექანიზმიც ფართოდ განშტოებულ აპარატად იქცევა...

შრომის საშუალება მანქანების სახით ისეთ საარსებო მატერიალურ ფორმას იღებს, რომელიც განაპირობებს ადამიანის ძალის შენაცვლებას ბუნების ძალით და ემპირიული რუტინული წესების შენაცვლებას ბუნებისმეცნიერების შეგნებული გამოყენებით. მანუფაქტურაში შრომის საზოგადოებრივი პროცესის დანაწევრება წმინდა სუბიექტურია, ნაწილობრივი მუშების კომბინაციაა; მანქანურ სისტემაში კი მსხვილ მრეწველობას აქვს სრულიად ობიექტური საწარმოო ორგანიზმი, რომელსაც მუშა პოვებს როგორც წარმოების მზა მატერიალურ პირობას. მარტივ კოოპერაციაში და იმ კოოპერაციაშიც კი, რომელიც შრომის დანაწილების გამო სპეციალიზებულია, განცალკევებული მუშის განდევნა განსაზოგადოებული მუშის მიერ

წარმოგვიდგება ჯერ კიდევ ცოტად თუ ბევრად როგორც შემთხვევითი მოვლენა. მანქანები კი, იმ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რომელთაც ქვემოთ მოვიხსენიებთ, მარტოოდენ უშუალოდ განსაზოგადოებული, ანუ კოლექტიური შრომის ხელში მოქმედებენ. მაშასადამე, შრომის პროცესის კოოპერაციული ხასიათი იქცევა ახლა ტექნიკურ აუცილებლობად. რომელიც თვით შრომის საშუალების ბუნებით არის ნაკარნახევი.

კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი. ტომი პირველი, თბ., 1954, გვ. 472, 476—479, 489.

2. მუშაობის პირობები მანჩესტერის ფაბრიკაში 1784 წელს თვითმხილველის აღწერის მიხედვით

პამფლეტიდან „A Short Essay for Service of the Proprietors of Cotton Mills and the Persons Employed in them, Manchester, 1784 („მოკლე ნარკვევი ბამბეულის ფაბრიკების პატრონებთან სამსახურისა და მათთან მომუშავე პირების შესახებ").

ბამბეულის ფაბრიკები წარმოადგენს იმგვარად მოწყობილ დიდ შენობებს, სადაც შესაძლებელია ადამიანთა დიდი რაოდენობის მოთავსება. რათა არ დარჩეს გამოუყენებელი არც ერთი ადგილი, ფაბრიკები იგება რამდენიმე, რამდენადაც შესაძლებელია დაბალ სართულებად. სათავსოების უმრავლესობა მანქანებს უკავია, რომელთა გასაგოზავად უნდა გვქონდეს ზეთის დიდი რაოდენობა. მრეწველობის სპეციფიკური ხასიათის გამო ჰაერში მუდამ ტრიალებს ბამბის მტვერი, რომელიც ზეთთან შეერთებული და ხახუნისაგან დამთბარი განსაკუთრებით არასასიამოვნო სუნს აერცელებს. ფაბრიკაში მომუშავეთა რიცხვი დამოკიდებულია, რასაკვირველია, მის სიდიდეზე. ერთ ფაბრიკაში, რომელსაც მე გავეცანი, მუშაობდა რამდენიმე ასეული კაცი... ფაბრიკები ხშირად მთელი დღე და ღამე მუშაობენ. ამისათვის იყენებენ სანთლების დიდ რაოდენობას, მაგრამ თითქმის არაფერი კეთდება ვენტილაციისათვის. ამის შედეგად სუფთა ჰაერის უკმარისობის გამო ფაბრიკაში მუდამ იგრძნობა ადამიანის სხეულის (თანაც ხდება ხოლმე, რომ მომუშავეთა ნაწილი ავად არის), ზეთის, ბამბეულის მტვრისა და სანთლების ანაორთქლის სუნი. არის პატარა სარკმლები, რომლებიც ხან იღება, ხან არა, მაგრამ რომლებიც ყოველ შემთხვევაში საკმარისი არ არის, რომ მათდამი წაყენებული მოთხოვნილება დააკმაყოფილონ... რა შედეგებს უნდა მოველოდეთ ასეთი დამღუპველი პირობებისაგან? ყველაფერ ამისაგან ნამდვილად რა შედეგს ვღებულობთ? როგორც ჩვენ ზევით უკვე აღვნიშნეთ, საყოველთაოდ ცნო-

ბილი ფაქტია, რომ მანჩესტერის მიდამოებში ეპიდემიები ბევრისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ავადმყოფთა უმრავლესობა, როდესაც მათ ეკითხებიან, თუ სად შეეყარათ ციებ-ცხელება, პასუხობენ, რომ ისინი ავად გახდნენ ან ფაბრიკაში ან სხვებისაგან გადაედოთ. კითხვაზე, თუ რა საქმიანობას ეწეოდნენ ისინი, ვისგანაც მათ ავადმყოფობა გადაედოთ, პასუხობდნენ: ისინი ბამბეულის ფაბრიკის მუშები არიან.

[1, გვ. 70]

3. რობერტ ოუენი ბამბეულის მრეწველობაში გადატრიალების შესახებ (XVIII საუკუნის 80-90-იანი წლები)

ნაწყვეტი ამოღებულია რობერტ ოუენის (1771 — 1858) ავტობიოგრაფიიდან („The Life of Robert Owen by himself", London, 1857), სადაც იგი ნათლად ახასიათებს სამრეწველო გადატრიალების ეპოქის გამორჩენისა და სპეკულაციის ატმოსფეროს, რომლის მოწმე და თვითმხილველი იყო იგი ახალგაზრდობაში.

პირველი ბრიტანული მუსლინის დამზადება დაიწყო... მისტერმა ოლდნოუმ სტოკპორტში, ჩეშირის საგრაფოში, მანჩესტერიდან შვიდ მილზე, დაახლოებით 1780, 1781 ან 1782 წ. საინტერესოა თვალი გავადევნოთ წარმოების ამ დარგის ისტორიას... როცა მისტერმა ოლდნოუმ დაიწყო თავისი ნაკეთობის გამომუშავება, ინგლისში მხოლოდ ოსტ-ინდური მუსლინი იყიდებოდა... მისტერ ოლდნოუმ ოსტ-ინდურისაგან განსხვავებით თავის ქსოვილს დაარქვა ნაზი ინგლისური მუსლინი. ეს იყო ბაზარში ახალი საქონელი, ერთ იარდზე[1] ნაკლები სიგანის, რომელსაც სამუელ ოლდნოუ მიჰყიდდა ხოლმე მეისტერ მაკ გეფოგს 9 შილინგად ან 9 შილინგად და 6 პენსად იარდს, ეს უკანასკნელი კი ჰყიდდა ამ მუსლინს თავის მყიდველებზე იარდს ნახევარ გინეად.[2] ეს საქონელი დიდ მოდაში იყო და მას თავადაზნაურობა ამ ფასად სწრაფად ყიდულობდა. ასე რომ მისტერ მაკ გეფოგი ვერ ასწრებდა მისტერ ოლდნოუსაგან საკმაო რაოდენობის მიღებას. რომ მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. იგი იძულებული იყო ხშირად ხვეწნითა და მუდარით მიემართა მისტერ ოლდნოუსათვის, რათა მას კვირაში ერთი-ორი თოფით მეტი გამოეგზავნა, მაგრამ იშვიათად მოჰყვებოდა რაიმე შედეგი ამ თხოვნას. ასეთია მოდის ყოვლისშემძლე გავლენა და ადამიანთა გონების თანამედროვე მოუწესრიგებელი მდგომარეობისას მისი უცნაურობა ისეთია, რომ ის პირები, რომლებიც

---

[1] იარდი — სიგრძის ძველებური ინგლისური ზომა, დაახლოებით 0,9 მეტრი.

[2] გინეა — ოქროს ძველებური მონეტა, რომელიც იხმარებოდა ინგლისში XIX საუკუნის დასაწყისამდე, თავისი ღირებულებით ცოტათი მეტი იყო 1 გ სტერლინგზე (21 შილ.).

ხარბად ყიდულობდნენ ახალ საქონელს, იარდს 10 შილინგად და 6 პენსად, ახლა მას ზედაც კი აღარ შეხედავენ და იმავე დროს კიდევ უფრო კარგი ხარისხის საქონელს კი ღარიბები ყიდულობენ იარდს სულ 2 პენსად.

დაახლოებით ამ დროს ბამბის ნართის გამომუშავება ისეთ სარფიან საქმედ იქცევა, რომ კაპიტალის მფლობელი ბევრი პირის ყურადღებას იპყრობს. მისტერმა არკრაიტმა[1], რომელმაც თუ არ გამოიგონა, ყოველ შემთხვევაში გამოიყენა, ძაფსართავი მანქანები, მოაწყო ძაფსართავი ფაბრიკა მანჩესტერში, სადაც მას მმართველად ჰყავდა ვინმე სიმპსონი. მისტერ დრინკუსტეიმმა, მდიდარმა მანჩესტერელმა ფაბრიკანტმა და ვაჭარმა, რომელსაც დიდი სავაჭრო კავშირი ჰქონდა უცხოეთთან, ააშენა ფაბრიკა მანქანური წესით უფრო ნაზი ნართის გამოსამუშავებლად ჯორჯ ლის ზედამხედველობით, რომელსაც იმ დროს ყველაზე მეტი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა ჰქონდა.

მისტერმა და შემდეგ სერმა ჯორჯ ფილიპსმა გადაწყვიტა მოეწყო დიდი ფაბრიკა სალფორდში და დრინკუსტერის დაუკითხავად გეორგ ლის კომპანიონი გახდა და „ფილიპს და ლი“-ს სახელწოდებით ცნობილი კომპანია მრავალი წლის განმავლობაში ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფირმა იყო მანჩესტერში...[2].

ბამბის მრეწველობის გრანდიოზული ზრდა იმ დროიდან დღემდე არის ჩვენი დროის ერთ-ერთი საოცრება. 40 წლის განმავლობაში მე თვალსაჩინო და ენერგიულ მონაწილეობას ვღებულობდი ამ დარგის განვითარებაში, როგორც მეტად დიდი ფაბრიკების ორგანიზატორი და მმართველი და ვცდილობდი გამეუმჯობესებინა აქ მომუშავე პირთა მდგომარეობა... მე ადრევე შევნიშნე, თუ რა ყურადღება ეთმობა ამ ფაბრიკებში უსულო მანქანებს და რა უყურადღებობა და უგულებელყოფაა გამეფებული მომუშავე ადამიანების (ცოცხალი მანქანების!) მიმართ...

მისტერ დრინკუსთერის ფაბრიკაში მმართველად მუშაობის ერთი წლის განმავლობაში მე უკეთ ვისწავლე ბამბის ხარისხის განსაზღვრა... გავაუმჯობესე მანქანების მუშაობის სიზუსტე, სრულყავი ყველა პროცესი მასალის დამუშავებიდან მისი მზა ძაფად ან ნართად გადაქცევამდე, აღმოვაჩინე უფრო წმინდა ძაფის გამომუშავების საშუალე-

---

[1] რიჩარდ არკრაიტი (1732—1792) — ადრე დალაქი იყო. შემდეგ გამომგონებელი. გაუმჯობესა წყლის მანქანა, რომლის მოდელი მოტყუების გზით მიითვისა უიღბლო გამომგონებლისაგან (პეისი). შემდეგ იგი ფაბრიკანტი გახდა ფაბრიკის თანამფლობელთან დასახელებულ სამეულ ოღდნოუსთან ერთად. 1786 წელს აზნაურის ტიტული მიიღო.

[2] შემდეგ ოუენი მოგვითხრობს მისი მოწვევის შესახებ დრინკუსთერის ფაბრიკის მმართველად, საიდანაც წავიდა ჯორჯლი.

ბები. გავადიდე შულოს რაოდენობა გირვანქა ნართში 120-დან 130-მდე და ამით შესაძლებლობა მივეცი შოტლანდიელ მანუფაქტურისტებს ქ. პესლში და მის მეზობლად დაეწყოთ ახალი წმინდა ხარისხის მუსლინის გამომუშავება ფართო მასშტაბით... მისტერ დრინკუსთერის ფაბრიკამ აყვავება დაიწყო... ასე დიდი წარმატებით მიმყავდა საქმე ვაჭრობისათვის საშინელ, 1792 წლამდე, რომელმაც დროებით შეაჩერა ბამბის მრეწველობის ზრდა და განვითარება. მაშინ ამ დარგში ყველა დასაქმებული მეტნაკლებად დაზარალდა: მთელ სამეფოში ვაჭრობასა და მრეწველობის სხვადასხვა დარგში ბევრი საკვლევით გაკოტრდა. მაგრამ მისტერ დრინკუსთერი დიდ კაპიტალს ფლობდა და მან დიდი დანაკარგის გარეშე გადაიტანა კრიზისი, რომელმაც ვაჭრობა და მრეწველობა მოიცვა... ახლა მე უნდა დავუბრუნდე იმ ადამიანზე თხრობას, რომლის სახელი მოვიხსენიე ჩემი მოთხრობის დასაწყისში, ვის სახელსაც, როგორც ბრიტანული მუსლინის პირველ და ყველაზე უფრო მსხვილ ფაბრიკანტს, უაღრესად დიდ პატივს სცემენ ჩეშირსა და ლანკაშირის წრეებში და რომელთანაც, როგორც ზევით აღვნიშნე, მისტერ მაკ გეფოგი ყიდულობდა ამ საქონელს და სთხოვდა, რომ ყოველკვირეულად ერთი თოფით მეტი გამოეგზავნა. ეს ადამიანია — სახელგანთქმული და არაჩვეულებრივად საქმიანი სამუელ ოლდნოუ, რომლის შესახებ ცნობილი იყო, რომ მან... ორ წელიწადში ზედიზედ მიიღო 17 ათ. გ. სტერლინგი მოგება. ყველანი მას ძალიან მდიდრად თვლიდნენ და აღიარებდნენ, როგორც დიდ ადამიანს მრეწველობისა და ვაჭრობის სამყაროში.

სამუელ ოლდნოუმ შეიძინა ეს ფული მუსლინის წარმოებაში იმით, რომ ნართს ყიდულობდა მრთველებთან. მაგრამ ფიქრობდა, რომ მრთველები ძალიან ბევრს იგებენ, ამიტომ არ დაკმაყოფილდა, როგორც ბევრი სხვა, თავისი კეთილდღეობითა და მოგებით და რადგანაც მეტად პატივმოყვარე იყო, გადაწყვიტა გამხდარიყო ბამბის სართავი საქმის მსხვილი მეწარმე, იმგვარადვე, როგორც იყო იგი მუსლინის წარმოების უმსხვილესი ფაბრიკანტი.

სამუელ ოლდნოუმ ააგო დიდი, მშვენივრად მოწყობილი და მეტად მნიშვნელოვანი ბამბის სართავი ფაბრიკა, რომელიც მეტად ლამაზად იყო განლაგებული საუცხოო ადგილას, ვინაიდან მას ამ მხრივ კარგი გემოვნება ჰქონდა. ერთი სიტყვით, სამუელ ოლდნოუ ემზადებოდა გამხდარიყო პირველხარისხოვანი და წარჩინებული „ბამბის მქსოველი ლორდი" და გადადგა კიდეც საამისო ნაბიჯი.

მაგრამ იგი იმდენად გაბედულად და ხელგაშლილად ხარჯავდა თავის კაპიტალს ფაბრიკის მოსაწყობად, მის მოსამარაგებლად მანქანებით, მიწის საყიდლად ფაბრიკის გარშემო, აგრეთვე მშვენიერი სადგომების გასამართავად და მოსაწყობად სტოქპორტის ახლოს და თვით

ქალაქშიც მუსლინის წარმოებისა და მისი გაყიდვის საქმის ფართოდ გასაშლელად, რომ როდესაც 1792 წელს, დადგა განსაცდელის ჟამი. აღმოჩნდა, რომ იგი ძალიან გათავხედდა თავის გეგმებში და მათ განხორციელებაში და მას სიძნელეებისაგან თავის დაღწევა დიდი მსხვერპლის გაუღებლად აღარ შეუძლია.

[1, გვ. 71 — 72]

4. ფ. ენგელსი ინგლისში საკრედიტო გადატრიალების შედეგების შესახებ

სამოცი თუ ოთხმოცი წლის წინათ ინგლისი იყო ისეთივე ქვეყანა, როგორც ყველა სხვა — პატარა ქალაქებით, უმნიშვნელო და მარტივი მრეწველობით და თხელი, მეტწილად მიწათმოქმედი მოსახლეობით. ახლა ის არის ქვეყანა, ყველა სხვა ქვეყნისაგან განსხვავებული — დედაქალაქით, რომელშიც ორ მილიონ ნახევარი მცხოვრებია, ვეება საფაბრიკო ქალაქებით, მრეწველობით, რომელიც მთელ მსოფლიოს აწვდის თავის ნაწარმს და თითქმის ყველაფერს რთული მანქანებით ამზადებს; მუყაითი, ინტელიგენტური და მჭიდრო მოსახლეობით, რომლის ორი მესამედი მრეწველობაშია ჩაბმული და რომელიც სულ სხვა კლასებისაგან შედგება, სულ სხვა ნაციას შეადგენს, სხვა ადათებით და სხვა მოთხოვნილებებით, ვიდრე ის წინათ იყო. სამრეწველო რევოლუციას ინგლისისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც პოლიტიკურ რევოლუციას — საფრანგეთისათვის და ფილოსოფიურს — გერმანიისათვის. 1760 წლის ინგლისსა და 1844 წლის ინგლისს შუა განსხვავება, სულ მცირე, იმ ზომისეა. როგორც ancien regime-ის საფრანგეთსა და ივლისის რევოლუციის საფრანგეთს შუა. მაგრამ ამ სამრეწველო გადატრიალების უმნიშვნელოვანესი ნაყოფი ინგლისის პროლეტარიატია...

ასე წარმოიშვნენ ბრიტანეთის იმპერიის დიდი საფაბრიკო და საკაჭრო ქალაქები, სადაც, სულ მცირე, მოსახლეობის სამი მეოთხედი მაინც მუშათა კლასს ეკუთვნის, ხოლო წვრილი ბურჟუაზია მხოლოდ მედუქნეებისა და სულ მცირეოდენ ხელოსანთაგან შედგება. ახალი მრეწველობა მხოლოდ იმიტომ შეიქმნა მნიშვნელოვანი, რომ სამეშაო იარაღები გარდაქმნა მანქანებად, სახელოსნოები — ფაბრიკებად და ამის გამო მშრომელი საშუალო კლასი — მშრომელ პროლეტარიატად, წინანდელი მსხვილი ვაჭრები — ფაბრიკანტებად; მან წვრილი საშუალო კლასი გარიყა და მოსახლეობა მოპირისპირე კლასებად — მუშებად და კაპიტალისტებად დაჰყო; და ეს მოხდა არამარტო მრეწველობის სფეროში ვიწრო მნიშვნელობით, არამედ ხელოსნობაში და თვით ვაჭრობაშიც. წინანდელი ოსტატების და ქარგლების ადგილას წარმოიშ-

ვნენ მსხვილი კაპიტალისტები და მუშები, იმედმოკლებულნი, რომ თავიანთ კლასს ოდესმე თავს დააღწევენ; ხელოსნობა, საფაბრიკო წარმოება გარდაიქმნა: შრომის დანაწილება მკაცრად გატარდა და წვრილი ოსტატები, რომელთაც არ შეეძლოთ მსხვილი ფაბრიკებისათვის მეტოქეობა გაეწიათ, იძულებული შეიქმნენ პროლეტართა კლასში ჩაცვივნულიყვნენ. მაგრამ ამავე დროს წინანდელი ხელოსნური წარმოების გაუქმებისა და წვრილი ბურჟუაზიის მოსპობის გამო მუშას ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპო თვითვე გახდეს ბურჟუა. აქამდე ის ყოველთვის დაიმედებული იყო, რომ სადმე ბინადარ ოსტატად მოიკალათებდა, შემდეგში, ალბათ, ქარგლების აყვანასაც შეძლებდა; ახლა კი, როდესაც თვით ოსტატები ფაბრიკანტებმა გააძევეს, როდესაც დამოუკიდებელი სარეწაოსთვის მსხვილი კაპიტალია საჭირო, პროლეტარიატი შეიქმნა მოსახლეობის ნამდვილი, მყარი კლასი, წინათ კი ის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა ბურჟუაზიისაკენ. ვინც ახლა მუშად იბადება, სხვა გზა არა აქვს, მუშადვე უნდა დარჩეს მთელ თავის სიცოცხლეში. მაშასადამე, პროლეტარიატს მხოლოდ ახლა შეეძლო თავისი დამოუკიდებელი მოძრაობა შეექმნა...

წვრილ ბურჟუაზიასა და მანამდე კარგ პირობებში მცხოვრებ მუშებთან ერთად განადგურებული იქნა აგრეთვე წვრილი გლეხობაც. მოისპო მანამდე არსებული სამრეწველო და სამიწათმოქმედო შრომის გაერთიანება, გაერთიანდა დაცარიელებული მინდვრები დიდ საოჯახო მამულებად და აყრილ იქნენ მინდვრებიდან მსხვილ მეურნეობათა კონკურენციით დამარცხებული წვრილი გლეხები. ეს უკანასკნელნი, აქამდე თვით მემამულენი ან მოიჯარადრენი, იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი მეურნეობა და მოჯამაგირედ დადგომოდნენ მსხვილ მოიჯარადრეს ან მემამულეს...

ჩვენ ვხედავთ, ამრიგად, რომ სამრეწველო წარმოების სისტემა აქაც შეიჭრა მსხვილ მეურნეობათა საშუალებით, პატრიარქალურ ურთიერთობათა დაშლის გზით — რასაც აქ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა — და მანქანების ორთქლის ძალის და ქალების და ბავშვების შრომის გამოყენებით და უკანასკნელი, ყველაზე უფრო ინერტული ნაწილი მშრომელი კაცობრიობისა მან რევოლუციურ მოძრაობაში ჩააბა...

ფრ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბილისი, 1935, გვ. 32—33, 238—239.

თავი მესამე

საფრანგეთი XVII საუკუნის შუა ხანებიდან დიდი რევოლუციის დაწყებამდე

I. აბსოლუტური მონარქია

1. პროტექციონიზმი მრეწველობაში

კ. მარქსი მანუფაქტურებზე ლუი XIV-ის კანონების მნიშვნელობის შესახებ

როდესაც თვით ლუი XIV კოლბერის შეწეობით გამოსცემდა კანონებს მანუფაქტურების მფლობელთა სასარგებლოდ, იგი მხოლოდ ამზადებდა 1789 წლის რევოლუციას; და მისი სიტყვების „l'état, c'est moi" * საპასუხოდ გაისმა სიეიესის სიტყვები: „le tiers état est tout".

К. Маркс. Беспорядки в Константинополе. Столпотворение в Германии. Бюджет. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 9, стр. 72.

ფ. ენგელსი სოფლის მეურნეობაზე მრეწველობის განვითარების გავლენის შესახებ

რამდენადმე თქვენი დღევანდელი მდგომარეობა, მე მგონია, შეიძლება შევადაროთ ლუი XIV-ის დროის საფრანგეთის მდგომარეობას. იქაც მანუფაქტურები კოლბერის მფარველობითი სისტემის წყალობით განვითარების ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა; და მხოლოდ 20—30 წლის შემდეგ გახდა ცხადი, რომ მაშინ არსებულ პირობებში მხოლოდ გლეხობის ხარჯზე შეიძლებოდა შექმნილიყო ნაციონალური მანუფაქტურული მრეწველობა. გლეხთა ნატურალურ მეურნეობას ძირს უთხრიდა და სდევნიდა ფულის მეურნეობა; შეიქმნა შინაგანი ბაზარი, მაგრამ იმავე დროს კვლავ თითქმის

* „სახელმწიფო — ეს მე ვარ".
** „მესამე-წოდება — ეს ყველაფერია".

სრულიად დანგრეული აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში დროებით მაინც, თვით ამ პროცესის გამო და ისეთი უპრეცედენტო ძალით, რა ძალითაც ეკონომიკური აუცილებლობა გზას იკაფავდა, აგრეთვე ფულადი გადასახადებისა და ადამიანთა დაბეგვრის ზრდის გამო, რაც გამოწვეული იყო მაშინ მუდმივი არმიებისა და სამხედრო ბეგარის შემოღებით, იმის მსგავსად, როგორც დღეს მათი ზრდა საყოველთაო სამხედრო ვალდებულების პრუსიული სისტემის შემოღებით არის გამოწვეული.

ფრ. ენგელსი — ნ. ფ. დანიელსონს, ლონდონი, 15 მარტი, 1892 წ.
კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული წერილები. თბ., 1949, გვ. 493.

კ. მარქსი XVIII საუკუნის საფრანგეთის სოფლის მეურნეობის შესახებ

ლუი XIV-ისა და ლუი XV-ის (დროს)... ფინანსური, სავაჭრო და სამრეწველო სოციალური ზედნაშენი, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი შენობის ფასადი... ისე გამოიყურებოდა, როგორც სატირა წარმოების მთავარი დარგის (სოფლის მეურნეობის) უცვლელ მდგომარეობაზე და მწარმოებელთა შიმშილის მიმართ.

კ. მარქსის წერილი ნ. ფ. დანიელსონს. 1879 წ. 10. IV.
კ. მარქსი, ფრ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 352.

ლუი XIV — სედანის გუბერნატორ გრაფ დე ლა ბურლის (0. II. 1666)

ბატონო გრაფო, საფრანგეთში მანქანების მანუფაქტურათა დაარსება, ჩემი ხალხის კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი წამოწყებაა და მე მოვალე ვარ წინასწარ მივიღო ზომები იმ ვაჭართა ხრიკების წინააღმდეგ, რომლებიც შეეჩვივნენ მაქმანების ვენეციაში დაკვეთას და ამ ქალაქის ნაწარმის მიყიდვას ჩემი სამეფო კარისათვის ჩემს სამეფოში; მე მსურს რომ თქვენ არა მხოლოდ მიიღოთ ყოველგვარი ზომები ქალაქ სედანში და მის სანახებში ზემოხსენებული მანუფაქტურის დასაარსებლად, არამედ არ დაუშვათ საფრანგეთის მაქმანების მანუფაქტურათა მეწარმეებს გარდა არავიზე ამ მანუფაქტურის

ნაწარმის გაყიდვა, რადგან ყველა სხვა ვაჭარი, დაჰკარგავს რა ამ ქალაქში და მის სანახებში ვაჭრობის იმედს, თავს დაანებებს ზემოდასახელებული ნაწარმის გაყალბებას და იძულებული გახდება ნებაყოფლობით შემოუერთდეს ზემომითითებულ მანუფაქტურას.

გარწმუნებთ, სხვა ვერაფრით ისე ვერ მასიამოვნებთ, როგორც ჩემი ამ სურვილის განუხრელად შესრულებით.

[1, გვ. 94]

ფინანსთა გენერალური კონტროლიორის კოლბერის ინსტრუქცია ვენეციაში წარგზავნილ დესპან ს. ანდრესადმი (12. II. 1666 წ.)

წერილიდან, რომელიც თქვენ კეთილ ინებეთ მოგეწერათ ჩემდამი, შევიტყვე, რომ ჩვენ სამეფოში დაარსებული მაქმანებისა და სარკეების მანუფაქტურული წარმოება შესაძლოა შეფერხდეს ვენეციაში ანალოგიური საწარმოების არსებობისა და ფრანგი ვაჭრების მიერ მათი პროდუქციის შესყიდვის გამო...

ყველა ზომა უნდა გატარდეს სამეფოში მანუფაქტურათა გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის, ამისათვის კი აუცილებელია შევეწინააღმდეგოთ ფრანგი ვაჭრების მიერ ვენეციაში ამ საქონლის შესყიდვას.

მის უდიდებულესობას სურს, რომ თქვენ ყურადღებით ადევნოთ თვალი და გამოავლინოთ ის ფრანგი ვაჭრები, რომლებიც აგრძელებენ მიმოწერას ვენეციასთან, რათა მათ ამის ყოველგვარი სურვილი დაეუკარგოთ.

[1, გვ. 94—95]

კოლბერი — ქ. დ'ოკსერის მერსა და ეშევენებს (24. I. 1670)

მეფემ ბრძანა მაქმანისა და სარკის მანუფაქტურათა გადატანა ლონდონიდან თქვენს ქალაქში, სადაც ისინი უკვე დაარსდნენ კიდეც. მაგრამ ოკსერის მცხოვრებლები თავის ბავშვებს ხელობის შესასწავლად არ უშვებენ იმ სახლებში, სადაც დაარსდნენ ეს მანუფაქტურები...

მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ თქვენ მათ დააჯარიმებთ, ხოლო მეორე მხრივ, დაასაჩუქრებთ თავისი მოვალეობის შემსრულებლებს და დადგენილების თანახმად, მათ გადასახადებისაგან გათავისუფლებთ, მაშინ... თქვენ... დაუმტკიცებთ ხალხს, რომ ეს ღონისძიება მის ინტერესებს შეესაბამება...

[1, გვ. 95]

მეფის ბრძანება იმ მეწარმეთა და მუშათა დასჯის შესახებ, რომლებიც ამზადებენ და ჰყიდიან მდარე ხარისხის ან რეგლამენტებთან შეუთავსებელ ქსოვილებს (24. XII. 1670 წ.)

მოისმინა რა სამეფო საბჭოს ორდინარული მრჩევლისა და ფინანსთა გენერალური კონტროლიორის — ბ-ნ კოლბერის — მოხსენება, მისი უდიდებულესობა სავაჭრო საქმეთა სამეფო საბჭოში მიუთითებდა და მიუთითებს, რომ თუ საფრანგეთში დამზადებული ქსოვილები აღმოჩნდებიან მდარე ხარისხის და რეგლამენტებთან შეუსაბამონი, მაშინ მათ გამოჰფენენ 9 ფუტის სიმაღლის მქონე ბოძზე, თან წარწერით მიუთითებენ ვაჭრის და ოსტატის გვარს, რომელმაც ეს საქციელი ჩაიდინა. ქალაქის რატუშის პროკურორების, სინდიკების ან სხვა ხელისუფალთა მიერ, რომლებიც ვალდებულნი არიან განსაჯონ მანუფაქტურათა საქმეები, ეს ბოძი რკინის საყელურით უნდა დაიდგას ვაჭარ-ოსტატთა კორპორაციების ხარჯზე, მთავარი კარის წინ, სადაც დადგენილია საქონლის გასინჯვისა და ნიშანდების ჩატარება; უხარისხოდ მიჩნეული საქონელი, იქვე რჩება 48 საათის განმავლობაში, რომლის გასვლის შემდეგ ამ საქონელს ჩამოხსნის ის ხელისუფალი, რომელმაც იგი იქ ჩამოკიდა; ამის შემდეგ საქონელს ჭრიან, წვავენ ან ჩაატარებენ მის კონფისკაციას თანახმად შესაბამისი ბრძანებულებისა. დანაშაულის განმეორების შემთხვევაში ვაჭრები ან ოსტატები, გარდა იმისა, რომ მათი საქონელი, როგორც ეს ზემოთ იყო ბითითებული, გამოიფინება სამარცხვინო ბოძზე, საკუთრივ თვითონაც ისჯებიან საყვედურით ოსტატთა და თანამდებობის პირთა მხრივ კორპორაციის საერთო კრებაზე. თუ ასეთ შემთხვევას მესამედ ექნა ადგილი, მაშინ მათ აპატიმრებენ და ორი საათით მიაჯაჭვავენ სამარცხვინო ბოძზე რკინის საყელურითა და კონფისკაციაქმნილი საქონლის ნიმუშებითურთ.

[1, გვ. 95—96]

კოლბერის ინსტრუქცია მოხელე ბელინცანისადმი (8. X. 1667 წ.)

ბელინცანიმ უნდა დაიწყოს ყველა ჩვენი მანუფაქტურის დათვალიერება მოსა და ფერჟ-სუ-ჟუარიდან. ქალაქ მოში დაარსებულია ჯონიო შალის[1] მანუფაქტურა ქ. ტურნეს მცხოვრებ ვინმე ლეკრერკის მიერ; აუცილებელია მისი ხელშეკრულების გადათვალიერება, რათა გაირკვეს, ასრულებს იგი მას, თუ არა.

საჭიროა ხელშეკრულების ყველა პირობის ნუსხის შედგენა, მოქ-

[1] შალის ქსოვილი ავეჯისათვის.

მედ დაზგათა რაოდენობის შემოწმება; ყურადღება უნდა გამახვილდეს ყველაფერზე, რაც კი დაზგათა რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. ეს მანუფაქტურა ისე უნდა იყოს ორგანიზებული. რომ ჩვენ აღარ გვიხდებოდეს ამ სახეობის ქსოვილის საზღვარგარეთიდან მიღება.

იმავე ქალაქშია დაარსებული... ფლანდრიული ქსოვილების — სელის, მატყლის და აბრეშუმის მანუფაქტურები. საჭიროა... ყველაფრის... გაკეთება წარმოების გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად... ამ მანუფაქტურის დაარსება არაა ძნელი, როგორც დაზგათა რაოდენობის გაზრდა, რადგან ქსოვილთა ეს სახეობები უკვე იწარმოება და მათზე დიდი მოთხოვნილებაცაა; ფლანდრიულ მანუფაქტურათა ნაწარმზე დადგენილია 30%-იანი ბაჟი, ეს შეუძლებელს გახდის მათ შემოტანას, საკუთარი ნაკეთობების გავრცელება კი ძალზე ადვილი იქნება.

...საჭიროა ქ. ფერე-სუ-ჟუარიში გამგზავრება განსვენებულ ბ-ნ ლალემანის მიერ დაარსებული შალის ქსოვილების მანუფაქტურის დასათვალიერებლად, რომელიც ამჟამად იმყოფება მისი ვაჟისა და სიძის ხელში; საჭიროა ხელშეკრულებათა ნახვა, რომლებიც მათთან იყო დადებული. განსაკუთრებით კი ბოლო მათგანის, რომლის ძალითაც მე მათ ქორწინების დროს მივეცი 40 ათასი ლივრი; მე ვასესხე ეს თანხა განსვენებულ მამას იმ პირობით, რომ იგი აამოქმედებდა ასოც დაზგას, რომლებიც ფაქტიურად ორ ცვლად იმუშავებდნენ. საჭიროა ზუსტად შემოწმდეს დაზგათა რაოდენობა, გამოსაკვლევია, როგორი მატყლისაგან მზადდება ქსოვილი, საღდება ქსოვილი თუ არა, რამდენი მამაკაცი და ქალი მუშაობს წარმოების თითოეულ დარგში, წარმოებს თუ არა რთვა და სხვა სამუშაოები მატყლის დასამზადებლად ქალაქის გარეუბნებში და ყიდულობენ თუ არა ისინი სამეფოს მატყლს...

ბ-ნი ტალონი, ქ. უდენარდეს ინტენდანტი, კარგადაა გარკვეული, თუ რა უნდა გაკეთდეს ესპანეთის ქალაქებიდან მანუფაქტურებისა და ჰოლანდიელთა საშუამავლო ვაჭრობით წარმოებულ საქონელ-ბრუნვის გადმობირებისათვის საფრანგეთის ქალაქებში. საჭიროა მოლაპარაკება მასთან და ბატონ დერიესთან, იმის თაობაზე, რა შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართულებით.

ჩვენი მონდომება იქითკენ უნდა მივმართოთ, რომ ჰავრში იყოს ხომალდები, რომლებიც მზად იქნებიან გადაიტანონ საქონელი გალისიაში[1], პორტუგალიასა და ესპანეთში, და საჭიროა მათი დარწმუნება, რომ მეფე მათ საბადრაგო სამხედრო ხომალდებს მისცემს. საჭიროა

[1] ესპანეთის პროვინცია.

ასევე ინტენდანტებთან ბ-ნ დერიესთან და ბ-ნ ჟელესთან მოთათბირება. თუ როგორ შეიძლება მდინარე სკარპის სანაოსნო მდინარედ გადაქცევა, ნაოსნობის მოწყობა დუედან ლილისაკენ და შესაბამისად სამგზავრო გზებზე ტრანსპორტის გაელის გაადვილება.

[1, გვ. 96—97]

(2) საგარეო ვაჭრობა და კოლონიები

ედიქტი ვესტ-ინდოეთის კომპანიის დაწესების შესახებ (28. V. 1664)

მშვიდობა, რომლითაც დღეს ჩვენი სახელმწიფო სარგებლობს, გვაძლევს საშუალებას დავუთმოთ დრო ვაჭრობის აღორძინებას; ჩვენ მივიჩნიეთ, რომ ერთადერთი საიმედო საშუალება ვაჭრობის იმ დონემდე განსავითარებლად, როგორც ეს უცხოელებთანაა[1], კოლონიებთან ვაჭრობა და ნაოსნობაა; ქვეშევრდომების წახალისების მიზნით, რათა მათ შექმნან ძლიერი კომპანიები, ჩვენ დავპირდით მათ დიდ უპირატესობებს... ყველა მათ, ვინც სახელმწიფოს სასახელოდ და საკუთარი კეთილდღეობისათვის მიიღებს მათში მონაწილეობას კანონიერი და საპატიო საშუალებებით...

ჩვენ დიდი კმაყოფილებით შევიტყვეთ უკანასკნელ რამდენიმე თვეში ამერიკის მატერიკის, ანუ ეკვატორიალური საფრანგეთის კომპანიების ორგანიზაციის შესახებ. მაგრამ ამ კომპანიებისათვის საკმარისი არაა დაეუფლონ ჩვენს მიერ ბოძებულ მიწებს, გაწმინდონ ისინი და აწარმოონ ნიადაგის დამუშავება იმ ხალხის წყალობით. რომლებიც დიდი თანხების გაღებით გაიგზავნენ. თუ ისინი ვერ მოახერხებენ ისეთი ვაჭრობის ორგანიზაციას, რომ ფრანგებმა, რომლებიც ცხოვრობენ იმ ქვეყნებში, შეძლონ ადგილობრივ მცხოვრებლებთან პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა, მათთვის აუცილებელი საგნების შეძენა, მაშინ, უდავოა, ვაჭრობის წასახალისებლად საჭირო გახდება ხომალდთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც მუდმივად შეიტანენ ამ ქვეყნებში გასასაღებელ საქონელს და საფრანგეთში კი ჩამოიტანენ იქაურ ნივთებს. აქამდე არსებულმა კომპანიებმა ამის გაკეთება ვერ შეძლეს.

ჩვენ გავიგეთ, აგრეთვე, რომ კომპანიებმა არ გამოიჩინეს ინტერესი კანადის მიმართ, იქ მხოლოდ უმნიშვნელო დახმარება იგზავნებოდა ყოველწლიურად; და რომ ამერიკის კუნძულებზე, რომელთა

---

[1] იგულისხმება ინგლისი და ჰოლანდია, რომელნიც ამ დროისათვის დიდძალ კოლონიებს ფლობდნენ და ეწეოდნენ ფართო კოლონიურ ვაჭრობას.

ნიადაგის ნაყოფიერება ფრანგთა დიდ რაოდენობას იზიდავდა. 1642 წელს დაარსებულმა კომპანიებმა, იმის ნაცვლად, რომ ეზრუნათ კოლონიათა ტერიტორიების გაზრდისათვის და ვაჭრობის ორგანიზაციისათვის, რომელიც ძალზედ ხელსაყრელი იქნებოდა ამ დიდ ქვეყანაში, დაკმაყოფილდნენ ამ კუნძულთა კერძო პირებისათვის მიყიდვით. უკანასკნელებმა კი ხელი მიჰყვეს მხოლოდ და მხოლოდ მიწის დამუშავებას და დღესდღეობით სარგებლობენ უცხოელთა დახმარებით [ვაჭრობაში]...

ამ მიზეზთა გამო, გამომდინარე კანადის ხსენებული კომპანიის ინტერესებიდან, კონცესია, რომელიც ებოძათ მათ განსვენებული მეფის მიერ... მათ 1663 წლის 24 თებერვლის აქტით გადმოგვცეს იგი. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ხელახლა დაგვებრუნებინა ამერიკის ყველა კუნძული და მათი პატრონებისათვის გადაგვეხადა კუნძულთა შესყიდვისა და სამეურნეო გაუმჯობესებებზე დახარჯული თანხა.

ჩვენ გვინდა, რომ უკან დაბრუნებული კუნძულები გადავცეთ ერთ რომელიმე კომპანიას, რომელიც დაეუფლება ყველა მათგანს, და შეძლებს მათი დასახლების დამთავრებას და უცხოელების ნაცვლად თვითონ აწარმოებს ვაჭრობას. ჩვენ, სახელმწიფოს დიდებისა და სახელისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, ვადგენთ დაარსდეს ძლიერი კომპანია, რათა მთელი ვაჭრობა მან აწარმოოს ვესტ-ინდოეთში. რადგანაც ხსენებული ტერიტორიები ჩვენ გვეკუთვნიან და ადრე იყვნენ დასახლებული ფრანგებით, ჩვენი სურვილია ამ კომპანიას ვუბოძოთ ზემოთ მითითებული კუნძულები და მთელი მატერიკი მდინარე ამაზონიდან, ვიდრე მდინარე ორინოკომდე, ახალი მიწისა და სხვა კუნძულები და ტერიტორიები კანადის მატერიკისა ვირჯინიამდე და ფლორიდამდე; ამასთან ერთად აფრიკისა და მწვანე კონცხის სანაპიროები ვიდრე კეთილი იმედის კონცხამდე, რათა მითითებული კომპანია იქ მოეწყოს, გააძევოს ან დაიმორჩილოს ველურები, ადგილობრივი მცხოვრებლები და ევროპის ის ხალხები, რომლებიც არ არიან ჩვენი მოკავშირეები, რათა დააარსოს ძლიერი კოლონიები, შეძლოს მათი მართვა, მოაწყოს ვაჭრობა როგორც იქ მცხოვრებ ფრანგებთან, ასევე ინდიელებთან და სხვა ადგილობრივ მოსახლეობასთან და მიიღოს დიდი მოგება.

ყოველივე ამის სისრულეში მოსაყვანად ჩვენ დავადგინეთ ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ კომპანიას და მივცეთ მას ხომალდები, რათა იგი ადვილად გახდეს ვესტ-ინდური და მხარდაჭერა ჰპოვოს ყველა ჩვენი ქვეშევრდომისაგან, რომლებიც მოისურვებენ კომპანიაში შესვლას და ხელს შეუწყობენ ამ დიად და სანაქებო წამოწყებას.

[1, გვ. 97—99]

✝ედიქტი, რომელიც ნებას რთავს თავადაზნაურობას, მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში თავადაზნაურული ღირსების შენარჩუნებით (1660 წელი, აგვისტო)

...ჩვენი სამეფოს კანონები თავადაზნაურებს უკრძალავდა მხოლოდ საცალო ვაჭრობას, ხელოსნობისათვის ხელის მოკიდებასა და იჯარის აღებას; ამ წესის დამრღვევები კარგავდნენ თავადაზნაურულ პრივილეგიებს... ბრეტანის ადათის მიხედვით და ქ. ლიონის პრივილეგიით თავადაზნაურული წოდება და ვაჭრობა ერთად დასაშვებია; 1664 წლის მაისისა და აგვისტოს ჩვენი ედიქტებით ოსტ-ინდოეთის და ვესტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიების შექმნის თაობაზე ჩვენს მიერ დადგინდა, რომ მათში წოდების განურჩევლად ყველას ეძლევა მონაწილეობის მიღების უფლება; მასში შეუძლია შევიდეს თავადაზნაურობაც ისე, რომ არ დაჰკარგოს თავისი წოდების პრივილეგიები.

...უნდა ამოიძირკვოს აზრი, თითქოს საზღვაო ვაჭრობა შეუთავსებელია თავადაზნაურულ ღირსებასთან და რომ ამგვარი საქმიანობა არღვევს თავადაზნაურულ პრივილეგიებს.

ამის თაობაზე ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეცხადებინა ჩვენი ნება და მთელი ჩვენი სამეფოსათვის გამოცემული კანონით გვეუწყებინა, რომ საზღვაო ვაჭრობა თავადაზნაურობას არ ართმევს მის წოდებასა და პრივილეგიებს.

[1, გვ. 99]

— ედიქტი სენეგალის კომპანიის დაარსებისა და მისი პრივილეგიების შესახებ (1679 წელი)

ჩვენი ედიქტის თანახმად, 1664 წლის მაისში შექმნილი ვესტ-ინდოეთთან და აფრიკის ნაპირთან ვაჭრობის (მწვანე კონცხიდან კეთილი იმედის კონცხამდე) კომპანია, 1675 წლის 8 ნოემბრის ხელშეკრულებით, გადაეცა ბატონებს — მორის ეგოს, ფრანსუა ფრანსს, ფრანსუა როგენეს, ასევე ციხე-სიმაგრე და კოლონიები, რომლებიც ამ კომპანიას ჰქონდა მდ. გამბიასთან სენეგალში და სხვა ადგილებში მითითებულ ნაპირზე, იქ 30 წლის განმავლობაში ვაჭრობის უფლებით. ვესტ-ინდოეთის კომპანიის გაუქმების შემდეგ, 1674 წლის დეკემბრის ედიქტის თანახმად, ჩვენ ვიწონებთ და ვამტკიცებთ ამ ხელშეკრულებას და უფლებათა გადაცემას (ამ ბატონებზე). კომპანიას ჰქონდა წარმატებები ვაჭრობაში, გარდა ამისა, მან შეძლო განეხორციელებინა სხვა ღონისძიებანი, რომელნიც მას ევალებოდა ვესტ-ინდოეთის კომპანიის დირექტორებთან (ხელმძღვანელებთან) ბატონ ბელინციანისთან და

ბატონ მენანისთან დადებული შეთანხმებებით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ამერიკაში ყოველწლიურად 2.000 ზანგის გაგზავნა, აგრეთვე მათი (ზანგების) ჩამოყვანა ჩვენთვის გალერებზე სამუშაოდ.

ვინაიდან ამ კომპანიას ჩვენგან ჯერ კიდევ არ მიუღია მისთვის აუცილებელი სიგელები მისი უფლებების დამტკიცებით, მან მოწიწებით გვთხოვა ისინი. ამ მიზეზით და აგრეთვე ჩვენი კმაყოფილების გამოსავლინებლად, ამ კომპანიის შრომისა და მოღვაწეობის დასაფასებლად და იმისათვისაც, რომ მყარად მოვაწყოთ ვაჭრობა აფრიკის ნაპირზე, ჩვენი და ჩვენი (სამეფო) საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელმაც ნახა ხსენებული ხელშეკრულებანი, ჩვენი სამეფო ხელისუფლების ძალით... დავამტკიცეთ და ვამტკიცებთ სენეგალის კომპანიის უფლებას გამბიის ნაპირებსა და აფრიკის სხვა რაიონებში მწვანე კონცხის (კუნძულებიდან) კეთილი იმედის კონცხამდე ვაჭრობაზე: ვისურვებდით, რომ მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ ისინი (სენეგალის კომპანიის წევრები), სხვა ყველა ჩვენ ქვეშევრდომს ჩამოთვლილ ქვეყნებში ვაჭრობისა და ზღვაოსნობის უფლება ეკრძალებათ. ამასთან ერთად, ვესტ-ინდოეთის კომპანიის ვაჭრობისათვის 1664 წელს ნაბოძებ ორმოცწლიანი ვადის დამთავრებამდე, ჩვენ მკაცრად დასჯის მუქარით ვკრძალავთ ჩვენი ქვეშევრდომებისათვის, თანახმად 1673 წლის 11 ნოემბრისა და 1679 წლის 25 მარტის დადგენილებებისა, რაიმე სახის ვაჭრობის წარმოებას დასახელებულ ქვეყნებში, როგორც ადგილობრივ ხალხებთან, ასევე იქ მცხოვრებ სხვა ხალხებთან. ვბრძანებთ, რომ როგორც ეს ადრე იყო, აღნიშნული კომპანია თავისუფლდება ბაჟის ნახევრისაგან აფრიკის ნაპირებზე, ამერიკის კუნძულებსა და კოლონიებში ვაჭრობისათვის და სარგებლობს ძველი ვესტ-ინდოეთის კომპანიისათვის მინიჭებული ყველა სხვა პრივილეგიით; ყველა ეს დადგენილება რჩება ძალაში და შესრულდება...

[1, გვ. 99—100]

3. ხალხის მასების მდგომარეობა ლუი XIV დროს

ედიქტი ჯანმრთელი მათხოვრების დასჯის შესახებ (1661 წ. აგვისტო)

ჯანმრთელი ადამიანების მიერ მათხოვრობა ყოველთვის იწვევდა ყველა ხალხის გულისწყრომასა და ყველა სახელმწიფო კანონმდებლობის ძალით სჯიდა მათ, ვინც უსაქმურად ცხოვრობს და საზოგადოებას კი არაფერს რგებს. ასე, მაგალითად, ჩვენი წინამორბედი მეფეები ბევრ ორდონანს გამოსცემდნენ ხოლმე, რათა აეძულებინათ ჯან-

ვრთელი ზარმაცი მათხოვრებისათვის ემუშავათ; და ჩვენც... ქალაქ პარიზში ჩამოვაყალიბეთ ჰოსპიტალი, რათა იქ ცოდნა მივცეთ უთვისტომო ბავშვებსა და ინვალიდებს, აგრეთვე მოხუცთა დასახმარებლად. ჩვენ იქ საშუალება გვქონდა ამოგვეცნო ნამდვილი ღატაკები და მათთვის გაგვეწია დახმარება და გამოგვემეღავნებინა ზარმაცები, რომლებიც ჯიუტად ეწევიან მათხოვრობას; მათი გამოყენება სამუშაოდ და დასჯა, ვინც თავგამოდებით ეწევა მათხოვრობას, ჩვენი უფლებაა. მითითებული ჰოსპიტლის დირექტორები იმდენად წარმატებით მოღვაწეობენ, რომ ჩვენი ზემოხსენებული ქალაქი და მისი გარეუბნები მნიშვნელოვნად განთავისუფლდნენ აბეზარი მათხოვრებისაგან.

ჩვენს მიერ მინიჭებული ხელისუფლებით ეს დირექტორები უფლებამოსილნი არიან ჰოსპიტალთან არსებულ ციხეში მოათავსონ, დასაჯონ საჯმლის მიუცემლობით, მათრახით, თავის გადაპარსვით ისინი, ვინც დაჟინებით ცდილობენ იმათხოვრონ. დღეს სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა ყველგან ავადმყოფობს, პურის მოსავლის ამღებნი ვერ პოულობენ დამხმარეს მოსავლის აღებაში, რაც მიზეზია საყოველთაო გაკოტრებისა და შიმშილობისა ჩვენი სახელმწიფოს ბევრ პროვინციაში. ამიტომ ჯიუტი მათხოვრობა განიხილება ჩვენს მიერ, როგორც ღმერთისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა წყარო და იგი სამაგალითო დასჯას იმსახურებს... ვადასტურებთ რა ჩვენი წინამორბედი მეფეების ორდონანსებს, ჩვენი ღირსეული სენიორისა და მამის 1639 წლის 4 ივლისის დეკლარაციას, რომელიც რეგისტრირებული იყო პარიზის პარლამენტის მიერ 1639 წლის 13 დეკემბერს, ჩვენი სურვილი და ნება ასეთია: ორივე სქესის ჯანმრთელი მათხოვრები ამ ედიქტის გამოქვეყნებიდან სამი დღის შემდეგ, გენერალური ჰოსპიტლიდან სამჯერ გაქცეული და შემდგომ უკან დაბრუნებული მათხოვრები, რომელნიც დაისაჯნენ მათრახით, ციხეებში გამომწყვდევით, ახლა უნდა გადაყვანილ იქნან ჩვენს ციხეებში... დაისაჯონ მათრახით შუა მოედანზე, და თუ ისინი კიდევ იქნებიან შემჩნეულნი მათხოვრობაში, მიესჯებათ მამაკაცებს 4-5 წლით გალერებზე გადასახლება, ხოლო ქალებს — გადაპარსვა, მათრახით ცემა და პარიზის პროვინციიდან და სავიკონტოდან სასამართლოს გარეშე 10 წლით გაძევება.

[1, გვ. 101]

ინტენდანტი დ'ერბინი — კოლბერს (1665 წ. სექტემბერი)

საბჭოს ორი დადგენილების შესასრულებლად, რომლითაც თქვენ ბრძანეთ (შომონის) ორი ოლქის მცხოვრებთა, აგრეთვე მიტოვებული

საცხოვრებელი სახლების მფლობელთა რაოდენობისა და მათი ქონების მოცულობის შესახებ აქტის შედგენა...

მე დაწვრილებით ვიკვლევდი იმ მიზეზებს, რომლებმაც აიძულეს ეს საცოდავები დაეტოვებინათ მშობლიური ქვეყანა, და დავადგინე, რომ მთავარი მიზეზია გადასახადთა ამკრეფების შეუბრალებლობა. ისინი აპატიმრებენ მოსახლეობას ვალების გადაუხდელობისათვის, აღწერენ მათ ქონებას და თუ არ მივიღეთ ზომები როგორც თემთა, ისე კერძო პირთა ვალების დაფარვის გადავადების თაობაზე, რომლის შესახებაც მე უკვე გავეცი განკარგულება, მაშინ მოკლე დროში სოფელი უდაბნოს დაემსგავსება... ამ მიზეზის გარდა არსებობს სხვა ბოროტებაც, რომელიც ასევე ხელს უწყობს ანარქიას სახელმწიფოში, განსაკუთრებით დე-ლანგრის ოლქში: ეს ბოროტებაა მარილის გადასახადი (გაბელი); საბრალო ხალხი უზომოდ იჩაგრება, რადგანაც გაბელი[1] ოლქში სამჯერ მეტია ტაიზე.[2] არსებობს მესამე ბოროტებაც, რომელიც ქვეყანას გააჩანაგებს — ესაა ჯარის ჩაყენება სოფლად. სამხედრო რაზმები მთელი შემადგენლობით განლაგდებიან ხოლმე ერთ ან ორ სოფელში; განსაკუთრებით ძვირად უჯდებათ და ბევრ უსიამოვნებას აყენებს გლეხებს კავალერიის შენახვა.

მას მერე, რაც რაზმები მთელს სოფლებს მოივლიან, მთელი მხარე გაპარტახდება... ნუ იქონიებთ იმის იმედს, რომ ეს სოფლები ოლად გადაიხდიან ტაისა და მარილის გადასახადს.

[1, გვ. 102]

დოფინეს გუბერნატორი — ჰერცოგი ლედიგიერი, — კოლბერს (1675 წ. მაისი)

მე არ შემიძლია მეტი დუმილი და უნდა მოგახსენოთ, რომ ის სიღატაკე, რომელსაც ვხედავ, ანადგურებს ამ პროვინციას: ვაჭრობა სრულიად ჩაკვდა, და ყოველი მხრიდან მემუდარებიან გავაგებინო მეფეს, რომ შეუძლებელია გადასახადების გადახდა.

მე ვამტკიცებ, რომ ეს საკვლევი მართალია, რადგან კარგადა ვარ გათვითცნობიერებული იმის შესახებ, რომ ამ პროვინციის მცხოვ-

---

[1] გაბელი — გადასახადი მარილზე — პირველად მოიხსენიება ლუი IX-ს 1246 წლის ედიქტში. თანდათან დროებითი გადასახადიდან გადაიქცა მუდმივ გადასახადად. ფილიპე VI ვალუას დროს მარილით ვაჭრობა სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადდა. სამღვდელოება და თავადაზნაურობა გაბელიდან თავისუფალი იყო.

[2] ტაი შემოიღო ლუი IX-მ (1226-70 წწ.) როგორც დროებითი გადასახადი სამხედრო ვალდებულების ნაცვლად. საფრანგეთში მუდმივი არმიის დამფუძნებელი 1439 წლის ორდონანსით, ტაი გამოცხადდა მუდმივ პირდაპირ სახელმწიფო გადასახადად. სამღვდელოება და თავადაზნაურობა ამ გადასახადიდან თავისუფალი იყო.

რებნი მთელი ზამთრის განმავლობაში იკვებებოდნენ მცენარის ფესვებითა და რკოს პურით, ხოლო ახლა ჭამენ ბალახსა და ქერქს...

[1, გვ 102]

— ნანტის ედიქტის გაუქმება (1685 წ. ოქტომბერი)

1. წინამდებარე სამუდამო და უცვლელი ედიქტით, ჩვენ გავაუქმეთ და აღვკვეთეთ... ჩვენი წინამორბედი მეფის ედიქტი, ნაწყალობები ნანტში 1598 წლის აპრილში, მთელი მოცულობით და საგანგებო პუნქტებითურთ, აგრეთვე შემდგომი 2 მაისის დადგენილებანი და ბოძების სიგელები, მათთან დაკავშირებით გაცემულნი, ასევე ნიმის 1629 წლის ივლისის ედიქტი[1], ცხადდებიან გაუქმებულად... და განსაკუთრებით ვისურვებდით... რომ ამ რეფორმირებული რელიგიის ყველა ტაძარი დაინგრეს ჩვენი სამეფოს და ჩვენდამი დაქვემდებარებულ ყველა სამფლობელოსა და სენიორიაში.

2. გარდა ამისა, მიუხედავად წოდებისა, ყველა რანგის სენიორს ვუკრძალავთ მითითებული რელიგიის შესაბამისი კულტმსახურობის გამოვლენას ყოველ ადგილას, კერძო სახლებში, რაიმე მიზეზის გამო..

3. ასევე ყველა სენიორს, განურჩევლად მისი წოდებისა, დასჯის, ქონებისა და თავისუფლების წართმევის მუქარით ეკრძალება თავის სახლში ან ყოველნაირ ფიეფებში[2] მითითებული რელიგიის შესაბამისი კულტმსახურების ჩატარება.

4. მითითებული რეფორმირებული პროტესტანტული რელიგიის ყველა პასტორს, რომლებმაც არ მოისურვეს რელიგიის შეცვლა და კათოლიკობის მიღება, ვუბრძანებთ ამ ედიქტის გამოქვეყნებიდან 15 დღის განმავლობაში დატოვონ ჩვენი სამეფო და ჩვენი კუთვნილი მიწები; მათ არა აქვთ უფლება... ამ 15 დღის განმავლობაში იქადაგონ, ასწავლონ და შეასრულონ კულტმსახურება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გაიგზავნებიან გალერებზე სამუშაოდ.

5. ვაცხადებთ, რომ თუ ხსენებული პასტორები მიიღებენ კათოლიკობას, ისინი სამუდამოდ კვლავაც ისარგებლებენ ტაისაგან და ბინებ-

---

[1] 1629 წლის „წყალობის ედიქტი" გამოსცა ლუი XIII-მ კარდინალ რიშელიეს ჩარდგენით. ნიმის წყალობამ გაუქმა „ნანტის ედიქტის" საიდუმლო მუხლებით ჰუგენოტებისათვის ბოძებული სამხედრო და პოლიტიკური გარანტიები და უფლებები, მაგრამ დატოვა საფრანგეთში სინდისის თავისუფლება და ჰუგენოტური ბურჟუაზიის მრავალი პრივილეგია.

[2] ფიეფი იგივეა, რაც ფეოდი. მიწა. იშვიათად რაიმე სხვა ქონება ან ფიქსირებული შემოსავალი, რომელსაც ფეოდალური სამსახურის სანაცვლოდ სენიორი უთმობს თავის ვასალს სამემკვიდრეო მფლობელობაში.

ში ჯარის ჩაყენებიდან განთავისუფლებით, ისე როგორც მღვდლად მათი ყოფნისას; ასეთივე უფლებით ისარგებლებენ მათი სიკვდილის შემდეგ პასტორთა ცოლები ქვრივად ყოფნის დროს, ამას გარდა ჩვენ ვუბრძანებთ ამ პასტორთათვის პენსიის დანიშვნას, რომელიც ერთი მესამედით მეტი იქნება იმ ჯამაგირზე, რომელსაც ისინი პასტორად მსახურობისას ღებულობდნენ; მათი გარდაცვალების მერე კი მათი ცოლები მიიღებენ ამ პენსიის ოდენობის ნახევარს, სანამ ისინი ქვრივებად დარჩებიან.

6. თუ ხსენებულ პასტორთაგან რომელიმე მოისურვებს ვექილად გახდომას ან სამართლის დოქტორის ხარისხის მიღებას, ვბრძანებთ: ჩვენი დეკლარაციებით დამტკიცებულ საერთო კანონიდან გამონაკლისის სახით განთავისუფლდნენ სამწლიანი სწავლებისაგან და, თუ ჩვეულებრივი გამოცდების შემდეგ ვარგისად ჩაითვლებიან. პირდაპირ მიიღებენ დოქტორის ხარისხს, რისთვისაც ისინი გადაიხდიან უნივერსიტეტებში ასეთი შემთხვევების დროს დაწესებული თანხის მხოლოდ ნახევარს.

7. ვკრძალავთ რეფორმირებული პროტესტანტული რელიგიის შემსწავლელ კერძო საბავშვო სკოლებს.

8. ამ რელიგიის მორწმუნეთა ახლადშობილი ბავშვები უნდა მოინათლონ კათოლიკე მღვდლის მიერ. მამებსა და დედებს მივუთითებთ ბავშვები გააგზავნონ კათოლიკურ ეკლესიებში 500 და მეტი ლივრი ჯარიმის მუქარით: ბავშვები კათოლიკური რელიგიის შესაბამისად უნდა აღიზარდონ და ჩვენ ვავალებთ ჩვენს მოსამართლეებს ამას მკაცრად ადევნონ თვალი.

9. რათა გამოვავლინოთ ჩვენი სულგრძელობა იმ ჩვენი ქვეშევრდომების მიმართ, რომლებიც ტოვებენ ჩვენს კუთვნილ მიწებს, ამ ედიქტის გამოქვეყნებამდე... ჩვენ ვბრძანებთ, რომ მათი დაბრუნების შემთხვევაში ამ ედიქტის გამოსვლიდან 4 თვის განმავლობაში, მათ ნება დაერთოთ კვლავ დაეპატრონონ თავის ქონებას; ვინც ოთხ თვეში არ დაბრუნდება, ჩვენ სამეფოში ან ჩვენდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში მათ ქონებას მოელის კონფისკაცია.

10. კიდევ ერთხელ მკაცრად ვუკრძალავთ პროტესტანტული რელიგიის მიმდევარ ჩვენს ქვეშევრდომებს, მათ ცოლ-შვილს, დატოვონ ჩვენი სამეფო და მიწები და თან წაიღონ თავისი ქონება დასჯის მუქარით: მამაკაცთათვის — გადასახლება გალერებზე, ქალთათვის — ქონების კონფისკაცია და ფიზიკური დასჯა.

11. ...პროტესტანტებს, რომლებიც... ცხოვრობენ და განაგრძობენ ვაჭრობას ჩვენი სამეფოს ქალაქებსა და მიწებზე, შეუძლიათ ისარ-

ვებლონ თავისი ქონებით თავისუფლად და დაუბრკოლებლად იმ პირობით, რომ... არ მოაწყობენ კრებებს ზემოხსენებული რელიგიის კულტისახურებისათვის...

[1, გვ. 103—104]

ქ. კარკასონის ეპისკოპოსი — გენერალურ კონტროლიორს (18. VIII. 1707)

ბოტიეს მცხოვრებნი ისეთ მძიმე პირობებში არიან, რომ მე ხალხის წინაშე ცოდვას ჩავიდენდი, თუ არ ვთხოვდი მეფეს სამართლიანობასა და მოყვასთადმი სიყვარულს.

გასულ წელს თითქმის არ იყო ხორბლის და ყურძნის მოსავალი; ხორბლის წლევანდელი მოსავალი შარშანდელზე უარესია; არც რთველს უჩანს კარგი პირი. გადასახადთა ამკრეფნი ყველას, ვინც კი დაბეგრილია გადასახადებით, ავიწროებენ, ართმევენ ქონებას და შემდგომ აწყობენ მის გაყიდვას; მაგრამ სიღატაკის გამო მისი ყიდვა არავის არ შეუძლია, რის გამოც ქონებას უკან უბრუნებენ პატრონებს. ამრიგად შეუბრალებელი დევნა იწვევს დავალიანების ზრდას; მცხოვრებნი, რომელთაც არ გააჩნიათ არც პური, არც გადასახადთა დასაფარავი თანხა, განურჩევლად ეკიდებიან დასჯას. მათ არა აქვთ გადასახდელი თანხები და მათი უარი არ მომდინარეობს არც ბოროტი სურვილისაგან და არც დაუმორჩილებლობისაგან. მეფისადმი მათი ერთგულების დამადასტურებელია ის, რომ ისინი ზუსტად იხდიდნენ გადასახადებს წინათ და თუ დღეს ისინი სხვანაირად იქცევიან, ეს მხოლოდ აუცილებლობითაა გამოწვეული. აქამდე ღარიბთა მდგომარეობას პასტორები ამსუბუქებდნენ, მაგრამ ახლა ამის გაკეთება აღარ შეუძლიათ; ისინი თვით არიან მზად იმათხოვრონ, რადგან მეათედი, რომელიც მათ უნდა მიეღოთ გადასახადებმა შთანთქეს... ამ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ მეფის გულმოწყალებითა და თანაგრძნობით მისი ქვეშევრდომების სიღატაკის მიმართ, და ამიტომ გემუდარებით თქვენ გაუწიოთ მათ მფარველობა და სწრაფად დაეხმაროთ.

[1, გვ. 104—105]

— 4. კამიზართა აჯანყება (1702—1705 წწ.)

ლანგედოკის შტატების ხაზინადარი პენოტიე — გენერალურ კონტროლიორს (7. XII. 1702 წ.)

...მე ვავადმყოფობდი და ამიტომ არ შემეძლო ადრე მომეწოდებინა თქვენთვის ცნობები ამ პროვინციაში მომხდარი ამბების ირგვლივ

ექვსმა დიოცეზმა,[1] რომელთა სახელები ადრე შეგატყობინეთ. ჯერ კიდევ არ გადაიხადა სრულად საყოველთაო გადასახადი.

ამ დიოცეზების მცხოვრებლები ფანატიკოსთა გავლენით აღშფოთებამ შეიპყრო. ფანატიკოსებმა უწესრიგობა ისეთ დონეზე აიყვანეს, რომ თვით ვივერეს მთებშიც კი, სადაც აქამდე არავითარი არეულობა არ იყო, მცხოვრებლები ირწმუნებიან თითქოს არ შეუძლიათ გადასახადების გადახდა.

იქ გაგზავნილი პრევოები[2] და სასამართლოს ბოქაულები ვერაფერს გაბდნენ და ისეთი შეშინებულნი დაბრუნდნენ, რომ არც ერთი მათგანი არ თანხმდება იქ ხელახლა წასვლაზე. ამ დიოცეზთა ყველა თემი ფანატიკოსთა მხარეზეა.

[1, გვ. 105]

ჟან კავალიეს[3] მემუარებიდან „სევენებში ომის შესახებ"

ლანგედოკის ინტენდანტის ბავილის მოხსენებიდან ვერსალს. 22. 12. 1702 წ.

ახლა მთელს ქვეყანას აქამდე არნახული აჯანყება მოედო.

ლანგედოკის ლეიტენანტ ბროლიოს წერილიდან

მცხოვრებნი თანაუგრძნობენ ამბოხებულებს და არ სურთ [illegible] ვაცემა. მიუხედავად მუქარისა, ფულის დაპირებისა და ყოველნაირი ჯილდოებისა.

ბროლიოს წერილიდან, 16. 10. 1702 წ.

ეს ამბოხება მალე დამარცხდებოდა, ისინი რომ დიდი ჯარით გამოსულიყვნენ, მაგრამ ისინი მოქმედებენ ტყეებში მცირე რაზმებით, შემდეგ ერთიანდებიან თავდასხმისათვის, და მის მერე უჩინარდებიან ისეთ ადგილებში, რომ ვერაფრით ვერ მიაგნებ.

ბავილის წერილიდან, 12. 12. 1702 წ.

ჩვენ საკმაო ჯარი გვყავს იმისათვის, რომ მათ არ მივცეთ დღისით გამოჩენის საშუალება, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს საშუალება მთლიანად მოვსპოთ ბოროტება და ხელი შევუშალოთ მათ ჩაიდინონ ღამით

---

[1] დიოცეზი — საერო და საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული — ოლქი.

[2] პრევო — მოხელეები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ სამეფო სასამართლოს პირველი ინსტანციის ფუნქციებით.

[3] ჟან კავალიე (1680—1740) — კამიზართა ზომიერი ფრთის წარმომადგენელი, მომავალში შეუთანხმდა მთავრობას.

ბოროტმოქმედებები... ისინი საკმაოდ მამაცნი და გაბედულნი �რიან, რადგან მათ მთელი ქვეყანა ემხრობა.

(მარშალ) მონტრეველის წერილიდან, 12. 5. 1703 წ.

...თქვენ არასოდეს დაიჯერებდით, რომ ამბოხების ჩასახშობად ლანგედოკში საჭიროა იყოლიო მილიციის ჩაუთვლელად ქვეითთა ორი პატალიონი და დრაგუნთა სამი ლეგიონი.

(მარშალ) მონტრეველის წერილიდან, 4. 12. 1703 წ.

მე არ შემიძლია მეფეს მივცე არამზადების[1] განადგურების იმედი, რადგან ამისათვის აუცილებელია ჯარების მონდომება. და თუ ისინი არ მოინდომებენ, მეამბოხეთა განადგურება შეუძლებელი გახდება: მთელი ქვეყანა მათ მხარეზეა.

კავალიე

რადგან ჩვენი ჯარი თანდათან ძლიერდება და სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება, ჩვენი გადაწყვეტილებაა არ დავუაროთ იარაღი, სანამ სინდისის თავისუფლებასა და სხვა პრივილეგიებს არ დაგვიბრუნებენ. ხალხის ნდობა ჩემდამი განუსაზღვრელია და მე შემიძლია მთელ ქვემო ლანგედოკში ქუდზე კაცი გამოვიყვანო! ამის აღსრულებას ხელი შეუშალა პროტესტანტული სახელმწიფოების — ინგლისისა და ჰოლანდიის დაუყოვნებლივი დახმარების მოლოდინმა.

როლანმა[2] მითხრა, რომ მან ინგლისიდან მარკიზი დე მირემონისაგან მიიღო წერილი, სადაც იგი იტყობინება, რომ დედოფალმა ანამ[3], გაითვალისწინა რა ჩვენი მძიმე მდგომარეობა, გადაწყვიტა ჩვენთვის დახმარების გაწევა. მარკიზი თვითონ გამოცხადდება ამ მიზნით, ეაგრამ მანამდე გვირჩევს ძლიერ ფრთხილად მოქმედებას...

ვივარში, განსაკუთრებით რუერგის პროვინციაში და პაპისტთა სოფლებში, უკვე ყველა მზადაა აჯანყებისათვის, მოსახლეობა შეიარაღდა, რადგან არ სურს გადასახადების გადახდა. მათ განაცხადეს, რომ თუ მათ ქონებას ჩამოართმევენ და გაჰყიდიან, მაშინ ისინი კამიზარებს შეუერთდებიან...

მტერმა ჩვენს ტყეებს იმდენად მრავალრიცხოვანი ჯარი შემოარტ-

---

[1] ე. ი. აჯანყებელების.

[2] აჯანყების ერთ-ერთი ბელადი, აჯანყებულთა მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი.

[3] ანა, ინგლისის დედოფალი (1702—1714), ამ დროს ომში იყო ჩაბმული ლუი XIV-თან.

ყა, რომ ძლიერი საბრძოლო რაზმების შექმნამდე გასვლას ვერ შევ-ძლებდით, რათა ბრძოლაში ჩაეერთოთ. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში უქმად როდი ვიყავით: ჩვენ დავამთავრეთ მრავალი ადრე დაწყებული საქმე — არსენალების შექმნა, საწყობთა და ჰოსპიტალების ჩამოყალიბება. იარაღის, პურის, დენთის, ფულის და ჯარის შენახვისათვის ყოველივე აუცილებელის საშოვრად ჩვენ სხვადასხვა ხერხს მივმართავდით ხოლმე. პირველ რიგში, 5—6 ახლობელი მეგობრის თანხლებით, აღმოვაჩინე მრავალი ძნელად მისადგომი გამოქვაბული ჩვენს მთებში. ზოგიერთ მათგანში ეწყობოდა პურის საწყობები, სხვებში — დენთსა და პურეებს ვინახავდით, რამდენიმეში მოეწყო ჰოსპიტალი; ხოლო ზოგიერთ მათგანში ინახებოდა ტანსაცმელი და მტერთან ბრძოლის დროს მოპოვებული სხვადასხვა ნივთები.

პურის გამოსაცხობად აუცილებელ ხორბალს ჩვენ დიდი რაოდენობით ვპოულობდით მღვდელთა სახლებში და მათ ფერმერებთან. პაპისტების განიარაღებისა და ჩვენგან გაქცევისას გამაგრებულ ქალაქებში მათ არ ჰქონდათ ხორბლის თან წაღების საშუალება.

1703 წლის ზაფხულში მე გავეცი ბრძანება — ხორბლის დიდი მარაგი გადაეტანათ ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულ გამოქვაბულებში, რათა მისი ნაწილი მაინც გადამერჩინა, თუ დანარჩენს მტერი დაეპატრონებოდა.

ჩემს ჯარში სხვადასხვა ხელობის ხალხია, და მე მოვითხოვე, რომ მეწისქვილეებს ქარისა და წყლის წისქვილებში ისეთი რაოდენობით დაეჭქვათ ხორბალი, რომ ჩვენ გადატანა შეგვძლებოდა ადამიანთა და ჯორების საშუალებით.

როდესაც 1703 წლის 15 თებერვალს ლანგედოკში ჩამოსულმა მარშალმა მონტრეველმა ეს გაიგო, მან ბრძანა დაენგრიათ ყველა წისქვილი, მაგრამ ჩვენ ეშმაკურად მოვიქეცით: ფქვის შემდეგ წისქვილიდან მოგვქონდა და საიმედო ადგილებში ვმალავდით წისქვილის ძირითად მოწყობილობას, მექანიზმებს, რათა საჭიროების შემთხვევაში ისევ გამოგვეყენებინა. მტრები ამას ვერ მიხვდნენ. როცა პურის გამოცხობა დაგვჭირდებოდა, ხაბაზები იღებდნენ ფქვილს საჭირო რაოდენობით, ზელავდნენ ცომს, და პურსაც აცხობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ბინებში. როდესაც მტრებმა ღუმელების დანგრევა დაიწყეს, ჩვენმა კალატოზებმა და მცხობელებმა ისინი აღადგინეს. ჩვენი ერთგული თანამოაზრეები გვეხმარებოდნენ გამოქვაბულებში პურის გადაზიდვაში. ჩვენ მეგობართა წყალობითაც ვცხოვრობდით, რომლებიც ლაშქრობათა დროს ფარულად გვამარაგებდნენ პურითა და სხვა აუცილებელი ნივთებით... ხორცი ყოველთვის სამყოფი გვქონდა, რადგან საძოვრებზე გარეკილი მთელი საქონელი ჩვენს განკარგულებაში იყო, მაგრამ ვსარგებლობდით მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში...

დენთისა და ჭურვების მოსაპოვებლად სხვადასხვა ხერხს მივმართავდით: ქალაქებსა და გარეუბნებში ბევრი კეთილი მეგობარი გვყავდა, რომელნიც საიდუმლოდ გვამარაგებდნენ დენთით; ზოგჯერ მე ჯარისკაცებს ვგზავნიდი მაღაზიებში, სადაც ისინი მცირე რაოდენობით ყიდულობდნენ დენთს, და მათი შეერთებით გამოგვდიოდა დენთის საკმაო რაოდენობა. გარდა ამისა, დენთს მოწინააღმდეგისაგანაც ვშოულობდით. ჯარისკაცებიდან საიდუმლოდ ვყიდულობდით დენთს გაცილებით უფრო მეტ ფასად, ვიდრე იგი მაღაზიაში ღირდა. ჩვენ თვითონაც ვამზადებდით დენთს დიდი რაოდენობით, მაგრამ ეს ცალკე აღწერას იმსახურებს.

ტყვიას ყველგან ვაგროვებდით, სადაც კი მისი პოვნა შესაძლებელი იყო... ჩვენ მას ვაღნობდით და მჭედლების მიერ დამზადებულ ყალიბებში ვასხამდით.

ჩვენს ავადმყოფებსა და დაჭრილებს დაუყოვნებლივ ჰოსპიტლებში ვაგზავნიდით, სადაც მათ კარგად უვლიდნენ: საწოლები და წამლები ჩვენს განკარგულებაში იყო, გვყავდა აგრეთვე ორი დაოსტატებული ქირურგი და მათი თანაშემწეები; ისინი ძმებსავით უვლიდნენ თავის პაციენტებს. საიდან გვქონდა ფული? ზოგჯერ ის ცოტა გაგვაჩნდა, ზოგჯერ — სრულებით არ გვქონდა; რამდენიმე პიროვნება გვიგზავნიდა ცოტაოდენ ფულს, მაგრამ მათ ვინაობას არასოდეს გავამხელ. ჩვეულებრივ, ფულს, მოკლულ ოფიცერთა და ჯარისკაცთა ჯიბეებშიც ვპოულობდით. სხვადასხვა ხერხით ნაშოვნ მთელ ფულს ფეხსაცმლის, ქუდებისა და სხვა აუცილებელი ნივთების საყიდლად ვიყენებდით. ჩემი ჯარისკაცები ჩვეულებრივ მოთმინებით იტანდნენ ყველა გაჭირვებას ლაშქრობის დროს; მაგრამ ზამთარში არ გაგვაჩნდა საცხოვრებელი, საწოლები, ზოგჯერ — პურიც. საჭირო იყო შიმშილთან, სიცივესთან და გაჭირვებასთან ბრძოლა. ეს მტრები ჩვენს ჩვეულებრივ მოწინააღმდეგეებზე უფრო ულმობელნი იყვნენ.

გენერალი ბროლიო და მისი მეგობრები იმედოვნებდნენ, რომ თუ იარაღით ვერ დაგვამარცხეს, მაშინ ჩვენი უკიდურესი სიღატაკე მათ კარგ სამსახურს გაუწევდა და ჩვენ შიმშილისა და სიცივისაგან დავიღუპებოდით... მაგრამ ყოვლისშემძლე ღმერთი წინ აღუდგა ამას თავისი მფარველობით და ზამთრის ბოლოს იმაზე უკეთა ვართ, ვიდრე ამის იმედი შეიძლებოდა გვქონოდა...

[1, გვ. 106—109]

პაპი კლიმენტ XI-ის[1] ბულა (რომი, 1. V. 1708 წ.)

შეუძლებელია გამოსთქვა უსაზღვრო აღშფოთება, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, როდესაც საფრანგეთის დიდად პატივცემულ წარგზავნი-

[1] კლიმენტი XI იყო პაპად 1700—1721 წწ.

ლისაგან გავიგეთ სევენების ერეტიკოსების — ამ წყეული ძველი ალბიგოიელების ნაშიერთა მიერ ეკლესიისა და მეფის წინააღმდეგ მიმართული ამბოხების შესახებ.

ამ გადამდები სენის, ბოროტი ჭირის გავრცელების აღსაკვეთად, რომელიც იმედია, უკვე განადგურებულია ლუი დიდის ღვთისმოსაობით, გადავწყვიტეთ მოვიქცეთ ჩვენი წინამორბედების სანაქებო მაგალითის მიხედვით. იმისათვის, რომ მორწმუნენი წავახალისოთ ამ სხვადასხვა ასაკის წყეული და ბოროტი ადამიანების ამოსაწყვეტად ჩვენი მხსნელის მიერ აპოსტოლთა მეთაურისათვის მიცემული ცოდვის დადებისა და მიტევების უფლებით, ვუბოძებთ ცოდვების მთლიან მიტევებას მათ, ვინც ამ წმინდა მხედრობას შეეერთდება და ომში დაიღუპება.

გიბრძანებთ თქვენ,[1] რომ ეს ბეჭდით დადასტურებული ბულა, გააკრათ თქვენი დიოცეზების ყველა ტაძრის კარებზე, რათა ამ ცოფიანთა უკანონობამ არ ჰპოვოს შემდგომი გავრცელება.

[1, გვ. 109]

შეთანხმება მარშალ ვილარსა და კავალიეს შორის ლანგედოკის პროტესტანტთა უმორჩილესი თხოვნა მის უდიდებულესობას (17.V.1704 წ.)

1. დაე ინებოს თქვენმა უდიდებულესობამ გვიბოძოს სინდისის თავისუფლებისა და ქვეყნის დადგენილ ადგილებში კრებათა მოწვევის უფლება, გარდა ქალაქებისა.

შ ე წ ყ ა ლ ე ბ უ ლ ი ა, იმ პირობით, თუ უარს იტყვიან ტაძრების აშენებაზე.

2. ნანტის ედიქტის აკრძალვის შემდეგ, თავისი რელიგიური რწმენის გამო ყველა დატუსაღებული და გალერებზე მყოფი უნდა განთავისუფლდეს დღეიდან დაწყებული ექვსი კვირის განმავლობაში.

შ ე წ ყ ა ლ ე ბ უ ლ ი ა

3. რომ ყველამ, ვინც თავისი სახელმწიფო დატოვა რელიგიური შეხედულებების გამო, მიიღოს სრული თავისუფლება და დაბრუნების უფლება, აგრეთვე თავისი პრივილეგიები და ქონება.

შ ე წ ყ ა ლ ე ბ უ ლ ი ა, იმ პირობით, თუ ისინი მეფის ერთგულების ფიცს დადებენ.

4. რომ აღდგეს ლანგედოკის პარლამენტის ადრინდელი პრივილეგიები.

„მეფე იფიქრებს“ (ლუი XIV-ის რეზოლუცია).

---

[1] ე. ი. საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსებს.

5. რომ პროვინცია არ გადაიხდის მომდევნო 10 წლის განმავლობაში საყოველთაო გადასახადს.

უარი ეცხადება

6. რომ ჩვენს განკარგულებაში იყოს მონპელიე, სეტი, პერპინიანი და ეგ-მორი, — როგორც ჩვენი უშიშროების უზრუნველმყოფი ქალაქები.

უარი ეცხადება

7. რომ სევენების იმ მცხოვრებლებმა, რომელთა სახლებიც დაიწვა აჯანყების დროს, 7 წლის განმავლობაში არ იხადონ გადასახადები.

შეწყალებულია

8. მას (კავალიეს) უფლება აქვს შექმნას დრაგუნთა პოლკი 2 ათასი კაცის ოდენობით მასთან ამჟამად მყოფი ან ციხეებიდან განთავისუფლებულთაგან პორტუგალიაში სამსახურისათვის და მიიღოს მეფის შესაბამისი ბრძანება.

შეწყალებულია იმ პირობით, რომ ისინი დაყრიან იარაღს.

მისი უდიდებულესობისგან მიღებულ უფლებამოსილებათა ძალით, ჩვენ ვუბოძეთ ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები ლანგედოკის პროვინციის პროტესტანტებს.

[1, გვ. 109—110]

— 5. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი (1710 — 1780 წწ.)

ა. სოფლის მეურნეობა და გლეხობის მდგომარეობა

სოფლის მეურნეობის წილი საფრანგეთის საერთო ეროვნულ შემოსავალში ტოლოზანის მემუარის მიხედვით

ვაკრობის მთავარი ინტენდანტის ტოლოზანის მემუარი გამოიცა 1789 წლის დასაწყისში. ამ დოკუმენტში მოცემულია საფრანგეთის ეროვნული შემოსავლის შეკრების პირველი ცდა. მოტანილ სტატისტიკურ მონაცემებს პირობითი ხასიათი აქვთ, მაგრამ ისინი საყოველთაოდ მიღებული იყვნენ იმდროინდელ მმართველ წრეებში და მოწმობენ, თუ რამდენად სჭარბობდა სოფლის მეურნეობა მრეწველობას.

სოფლის მეურნეობა

მარცვლეული პროდუქტები	700 000 000	ლივრი
საკლავი საქონელი	400 000 000	„
ღვინო და არაყი	350 000 000	„
სათივე ბალახი	60 000 000	„
ზეთუნის ზეთი	60 000 000	„

ხე-ტყე	140 000 000	ლივრი
მატყლი	35 000 000	„
აბრეშუმის ხამი ძაფი	25 000 000	„
სელი და კანაფი	50 000 000	„
სულ	1,826 000 000	ლივრი

გადამამუშავებელი მრეწველობა

ტილოს და ბამბის ქსოვილები	161 250 000	ლივრი
შალის ქსოვილები .	92 500 000	„
აბრეშუმის ქსოვილები . .	41 600 000	
„ძოდები“ (ფეფუნების საგნები)	5 000 000	
ხალიჩეული ნაწარმი . . .	700 000	
ნერილმანი რკინისა და სპილენძის საქონელი, ნერილმანი მანუფაქტერული ნაწარმი	75 000 000	„
ტყავის გამოქნა და ტყავეული ნაწარმი	6 000 000	„
ქაღალდი . . .	7 200 000	„
საოქველირო ნაკეთობანი, საათები	2 500 000	„
ლითონის ნაწარმი	38 200 000	„
საპონი	5 000 000	„
რაფინირებული შაქარი	4 800 000	„
მარილი	2 700 000	„
თამბაქო	1 200 000	„
სახამებელი	1 200 000	„
თევზისპერა	20 000 000	„
ხელოსნობა	60 000 000	„
სულ . .	.524. 950 000	ლივრი

[1, გვ. 110—111]

აგრარული ურთიერთობანი არტურ იუნგის „საფრანგეთში მოგზაურობის“ მასალების მიხედვით

ა. იუნგმა, ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა, იმოგზაურა საფრანგეთში 1787-89 წლებში. მისი წიგნი „მოგზაურობა საფრანგეთში“, (ტ. 1—3) ერთ-ერთი უმთავრესი წყაროთაგანია რევოლუციამდელი საფრანგეთის სოფლის მეურნეობის ისტორიისათვის. ქვეყით მოგვყავს ნაწყვეტი ამ წიგნიდან.

მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმების შესახებ

საფრანგეთში არსებობს მიწათმფლობელობის 5 ფორმა: 1) წვრილი გლეხური საკუთრება, 2) ფულადი იჯარა (არენდა) ისევე, როგორც ინგლისში, 3) ფეოდალური მფლობელობა, 4) მსხვილი მონოპოლიური იჯარა, მიწის ქვეიჯარით გლეხებზე, 5) გლეხების მიერ მიწის დამუშა-

ვება სანახევრო საწყისებზე, ე. ი. პროდუქციის ნახევრის ან მესამედის შენარჩუნებით.

1. წვრილი გლეხური საკუთრება გავრცელებულია აქ ყველგან ისეთი მასშტაბით, რაზედაც ჩვენ ინგლისში წარმოდგენაც კი არა გვქონია. მას ადგილი აქვს სამეფოს ყველა კუთხეში, ისეთ ადგილებშიც კი, რომლებშიდაც უპირატესად გავრცელებულია მიწათმფლობელობის სხვა ფორმები: კერსიში, ლანგედოკში, პირენეის მახლობელ ადგილებში, ბეარნში, გასკონიაში, გიენის ნაწილში, ალზასში (ელზასში), ფლანდრიაში და ლორენში (ლოტარინგიაში), — აქ ყველგან ეს ჩვეულებრივი მოვლენაა საფრანგეთში. ალზასში, გარონის ნაპირებზე და ბეარნში მე შევხვედრივარ მრავალ შეძლებულ გლეხს; მათ უფრო შეეფერებათ წვრილი მოჯარის სახელი, ვიდრე მესაკუთრეებისა; ხოლო ქვემო ბრეტანში ზოგ წვრილ მესაკუთრეს მდიდარიც კი შეიძლება ეწოდოს. საერთოდ კი ისინი ღარიბები არიან, საცოდავ არსებობას ეწევიან, რაც გამოწვეულია ისედაც პატარა მეურნეობათა კიდევ უფრო მეტი დაქუცმაცებით შვილებს შორის. ლორენში და მის მეზობლად მდებარე შამპანის ნაწილში, გლეხები უბედურ არსებებად გამოიყურებიან. მე მრავალჯერ დავინახე იმ ზომამდე მიყვანილი მიწის დაქუცმაცება, რომ უბრალო ნაყოფის მსხმოიარე ხე, მის გარშემო ერთ მტკაველ მიწიანად დაახლოებით 10 პერშამდე (120 ფუტამდე), მთელი ოჯახის მეურნეობად და მამულად ითვლებოდა.

II. ფულადი იჯარა გავრცელებულია პიკარდიაში, არტუაში. ფლანდრიის ნაწილში, ნორმანდიაში (კოს გარდა), ილ-დე-ფრანსსა და ბოსში. ეს წესი გვხვდება აგრეთვე ბეარნის ზოგ ნაწილში და ქალაქ ნავარას მიდამოებში. მიწათმფლობელობის ეს სახე ცნობილია აგრეთვე იმ პროვინციებშიაც, სადაც უპირატესად გავრცელებულია სხვა წესები; მაგრამ, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ის სამეფოს მეექვსედ ან მეშვიდედ ნაწილშიდაც კი არ გვხვდება.

III. ფეოდალური მფლობელობანი — ეს ფიეფებია, დათმობილი სამრევლოს სენიორების მიერ რელიეფის[1], ცენზის (ჩინშის), ჯარიმების, საბატონო ბეგარისა და სხვ. მოთხოვნის უფლებით. ასეთი რამ ხშირად მხვდებოდა ლიმუზენში, ბერიში, მარშში, ბრეტანში და სხვ., სადაც ისინი საყოველთაოდაა გავრცელებული; მაგრამ მათი პოვნა შეიძლება მეტ-ნაკლებად, სამეფოს ყველა ნაწილში, ვიეროზონის მიდამოებში, ვატანაში და სხვ. ბერიში ძალიან უჩივიან ამ გადასახადთა და ვალდებულებათა სიმძიმეს, რომელთა აკრეფის წესი ბოროტების მთავარ წყაროს წარმოადგენს; სწორედ ამიტომაა, რომ ისი-

---

[1] რელიეფი — გადასახადი მემკვიდრის მიერ მიწაზე მფლობელობის უფლების მოსაპოვებლად. ა. იუნგი ხმარობს ინგლისურ ტერმინს.

ნი სხვა ადგილებში ისე სამძიმოდ არ გამოიყურებიან, ვიდრე სინამ-დვილეში არიან. ირწმუნებიან, რომ გლეხთა მიმართ მეტად მკაცრი სა-სამართლო დადგენილებები ხელსაყრელია სენიორებისათვის.

IV. მ ო ნ ო პ ო ლ ი უ რ ი ი ჯ ა რ ა — მას მიმართავენ სხვადასხვა პროვინციებში, იქ, სადაც მონახევრეებია. მდიდრები იღებენ იჯარით მიწის დიდ ფართობებს, რომლებსაც დაქუცმაცებული სახით ანაწილებენ ქვეიჯარით მონახევრეებს, ეს უკანასკნელნი კი ამისათვის პროდუქტების ნახევარს იხდიან. მრავალი უჩიოდა იჯარის ამ სახეს მარშში, პუატუში, ბერიში და ანგუმუაში; სხვა პროვინციებიც ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენენ. მგონი, ეს სისტემა წარმოიშვა მონახევრეებთან დაკავშირებული მრავალი უხერხულობის გამო; ეს საზიზღარი წესი კარგადაა ცნობილი ჩვენთვის ირლანდიაში, საიდანაც თითქმის ყველა შუამავლები განდევნილია.

V. მ ო ნ ა ხ ე ვ რ ე ე ბ ი. მიწის დამუშავება სანახევრო საწყისებზე ჩვეულებრივია და გავრცელებულია საფრანგეთის თითქმის 7/8 მიწაწყალზე. აქ შედის თითქმის მთელი სოლონი, ბერი, მარში, ლიმუზენი, ანჟუ, ბურგუნდია, ბურბოზუა, ნივერნე, ოვერნი და სხვ. იგი გავრცელებულია აგრეთვე ბრეტანში, მენში, პროვანსში და სამხრეთის ყველა პროვინციაში. შამპანში მიწა ხშირად გაიცემა იჯარით პროდუქტის ერთი მესამედის გადახდის პირობით, მაგრამ ჩვეულებრივ იხდიან ნახევარს. მესაკუთრე ჩვეულებრივად იძლევა მუშა საქონელს და სათესლე მარცვლეულის ნახევარს, მონახევრე ასრულებს შრომას, მისივე უნდა იყოს სოფლის მეურნეობის იარაღიც. ის იხდის აგრეთვე გადასახადებს. ზოგ კანტონში მესაკუთრე იღებს თავის თავზე ამ ხარჯების ნაწილს. ბერიში არიან მონახევრეები, რომლებიც იხდიან პროდუქციის ნახევარს, ზოგი მესამედს და მეოთხედსაც კი. რუსილიონში მესაკუთრე იხდის გადასახადის ნახევარს, გიენში — ქალაქ ოშიდან ფლერანსამდე, მრავალი მესაკუთრენი გადასახადს მთლიანად იხდიან.

ეგიიონის მახლობლად გარონაზე მონახევრეები საჭირო მუშა საქონლის ნახევარს თვითონვე შოულობენ. ფალეზის მახლობლად, ნორმანდიაში მე ვნახე მონახევრეები იქ, სადაც სრულიად არ ველოდი: თვით მესაკუთრეთა მიერ წარმოებულ მეურნეობაში; ამის შედეგად, ამგვარი მესაკუთრეების მეურნეობა მუშავდებოდა ყველაზე უარესად მთელს იმ ოლქში, ეს მუდმივი მოვლენა კომენტარს არ საჭიროებს. ნანსში. ილ-დე-ფრანსის პროვინციაში მე ვნახე ხელშეკრულება, რომლის ძალით მესაკუთრე ვალდებული იყო გაეცა მუშა-საქონელი, შებმულობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და გადაეხადა გადასახადები; მონახევრეები იძლეოდნენ თავიანთ შრომას და იხდიდნენ სულადობრივ გადასახადს. მესაკუთრე იღებდა ვალდებულებას შეეკეთებინა სახლი და კარები, მონახევრე ფანჯრები. მესაკუთრეს მოჰქონდა თეს-

ლი პირველ წელს, ხოლო მონახევრეს—ბოლო წელს, დანარჩენ წლებში თესლი სანახევრო საწყისებზე მოჰქონდათ. ფულად გაყიდულ პროდუქტებს იყოფდნენ. ხორცისა და ყველისათვის, რომელთაც მონახევრე ოჯახში თავისი შეხედულებისამებრ ხარჯავდა, იგი უხდიდა მესაკუთრეს 6 ფრანკს ყოველ ძროხაზე. ბურბონში მესაკუთრე აბარებდა მონახევრეს შესანახად ყოველგვარ საქონელს, ხოლო მონახევრეს შეეძლო გაეყიდა, გაეცვალა და ეყიდა ისინი თავისი მოსაზრებების მიხედვით. მოურავი თვალყურს ადევნებდა ამ სავაჭრო გარიგებებს, რადგან მესაკუთრე იღებდა ყოველივე გაყიდულის ნახევარს, ხოლო იხდიდა ყოველი ნაყიდის ნახევარ ფასს. მოიჯარადრეს თავისი ოთხთვალათი უნდა მიეტანა ხორბლის ნახევარი სენიორის ციხე-დარბაზის ბეღელში და კვლავ იქ უნდა მისულიყო ჩალის წასაღებად. ამ აბსურდული სისტემის შედეგები განსაცვიფრებელია. მიწა, რომელიც ინგლისში შეიძლებოდა გაცემულიყო 12 ლივრად, იძლეოდა მხოლოდ 3 ლივრს, საქონლის ფასის ჩათვლით.

პირველი შეხედვით რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მონახევრეობის სისტემიდან ზიანდებიან უმთავრესად მესაკუთრეები, მაგრამ თუ დავუკვირდებით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მოიჯარენი დიდ სიღარიბეში არიან, ზოგი მათგანი მათხოვრულ ცხოვრებას ეწევა. ვატანში და ბერიში მარწმუნებდნენ, რომ მონახევრენი თითქმის ყოველ წელიწადს იძულებულნი არიან ინათხოვრონ სენიორიდან პური ახალ მოსავლამდე, ხოლო ეს პური სასესხებლადაც კი არ ღირს, რადგან შვრიისა და ქერის შენარევს წარმოადგენს. მე ის საკმაოდ გავსინჯე, ამიტომ შემიძლია წრფელი გულით შევიბრალო ამ უბედურ ღატაკთა ხვედრი, მაგრამ მდაბიონი აქ პურის ხორბლის პურს საერთოდ არა ჭამენ; თუ მივიღებთ მხედველობაში მოიჯარეთა ამ სიღატაკეს შეგვიძლია ვიმსჯელოთ სენიორის მდგომარეობაზე მის მიერ მიღებული რენტის მიხედვით... ლიმუზინში მონახევრეებს თვლიან მუშებად, რომლებიც შეუძლიათ გააგდონ, როდესაც კი მოესურვებათ და რომლებიც ყველაფერში უნდა დაემორჩილონ მესაკუთრეთა ნება-სურვილს; აქ ამბობენ, თითქოს ნახევარ მოიჯარადრეებს მესაკუთრის ისეთი დიდი ვალი აწევთ, რომ უკანასკნელნი ხშირად იძულებულნი არიან შეურიგდნენ ამ ვალის გაუნაღდებლობას და ისე დაითხოვონ მოიჯარეები, ოღონდ, კი მათი მიწები დაუმუშავებელი არ დარჩეს.

მიწით სარგებლობის ყველა სახეთა შორის ყველაზე უარესი — წვრილი საიჯარო მეურნეობაა. დიდი მეურნეობები გვხვდება პიკარდიაში, ილ-დე-ფრანსში, ბოსში, არტუასა და ნორმანდიაში, ხოლო სამეფოს დანარჩენ ნაწილებში ისინი იშვიათობას წარმოადგენენ. მეურნეობათა დაქუცმაცება და დასახლებულობა ისე დიდია, რომ აქედან წარმომდინარე სიღატაკე ზოგ ადგილას უკიდურესობას აღწევს. შეხ-

ვალთ თუ არა რომელიმე ქალაქში საბაზრო დღეს, მყისვე ამჩნევთ ხალხის უქმად ყოფნას: იქ თავმოყრილია აუარება გლეხკაცობა. ლანდივიზიოში, ბრეტანში მე ვნახე კაცი, რომელმაც ორნახევარი ლიე გზა გაიარა იმისთვის, რომ გაეყიდა ბაზარში ვარიები, რომლებიც მისივე სიტყვით, წყვილი 24 სუ-ც კი არ ღირდა. ხოლო ავრანში ისეთ გლეხებსაც კი შევხვდი, რომ ყოველ მათგანს ცხენით ჩამოტანილი ჰქონდა ოთხ ბუასომდე ზღვის ბალახი. იზენჰაიმის მახლობლად, ალზასში შემხვდა დიდი გზის პირას ძროხებისათვის ბალახის შემგროვებელი ქალები, და ეს ხდებოდა გაცხარებული მკის დროს, როცა მათი შრომა მინდორზე არა ნაკლებ ღირებულია მამაკაცების შრომაზე.

[I. გვ. 111 — 114]

დ'არჟანსონი სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და გლეხობის სიღატაკის შესახებ 1740, 1752 წ. წ.

მოტანილია ამონაწერები ცნობილი ფრანგი მწერლის და სახელმწიფო მოღვაწის მარკიზ დ'არჟანსონის დღიურიდან. ეს დღიური გამორჩეულია პოლიტიკური სიმწვავით, დაკვირვების ფაქიზი უნარით და წარმოადგენს მნიშვნელოვან ძვირფას წყაროს საფრანგეთის საშინაო ისტორიის შესასწავლად XVIII ს. შუა წლებში.

1740 წელი

13 სექტემბერი. ამჟამად სოფელში ვარ. აქ ვხედავ უკიდურეს სიღატაკეს და სხვა არა მესმის რა. ყოველთვის ლაპარაკობდნენ ამის შესახებ, მაგრამ საამისოდ ამდენი მიზეზი და საფუძველი არასოდეს არ ჰქონიათ.

4 ოქტომბერი. ამჟამად ტურენში ვიმყოფები, ჩემს მამულში; ვხედავ მხოლოდ ამაზრზენ სიღატაკეს. უბედური მცხოვრებლები მოცული არიან არა სევდით, არამედ სიღატაკის სასოწარკვეთილებით, მათ მხოლოდ სიკვდილი უნდათ და გაურბიან შთამომავლების შექმნას; ვინ დაუდებს ზღვარს მთელ ამ ვაებას? ჩვენს მინისტრებს არ შესწევთ უნარი ჩააფიქრონ მეფე ამის შესახებ: მეფე კეთილია, მაგრამ მას ძალიან ცუდი მსახურები ჰყავს.

5 ოქტომბერი. ყოველდღე მოდის ცნობები პროვინციებში მომხდარ ახალსა და საშინელ უსამართლო საქმეებზე. ჩემი მეზობლების ნათქვამიდან აშკარა ხდება, რომ მოსახლეობა ამ 6 წელიწადში შემცირდა ნახევარზე მეტად. გზების შემკეთებელი სახელმწიფო ბეგარა წარმოადგენს ყველაზე სასტიკ ვალდებულებას, რომელიც კი ოდესმე არსებულა; დღიური მუშების შრომა და გაპირვება ყოველივე

საზღვარს აღემატება; ყველა ისინი ცდილობენ თავს უშველონ და თავშესაფარი პატარა ქალაქებში მოიპოვონ. მრავალია ისეთი სოფელი, საიდანაც გახიზნულია ყველა მცხოვრები. მრავალ ჩემს სამრეველოში მოსახლეობს 3 წლის ტაის ვალი ადევთ; მაგრამ რაც მუდამ განუხრელად სრულდება — ესაა იძულებითი ზომები, რომლებითაც ტაის ამკრეფნი მდიდრდებიან და ავანსის შეტანის შესაძლებლობა ეძლევათ; გადასახადების მენარჩენე მოსახლეობას მართებს გადასახადთა ამკრეფების დიდი რაოდენობით ფული, და ეს ამკრეფებს სრულიადაც არ აჩანაგებს, — პირიქით! ამ უბედურ ქვეშევრდომებს ექცევიან უარესად, ვიდრე მაშინ, როცა მტერს კონტრიბუციას ართმევენ.

27 ოქტომბერი. ტაის ამკრეფთა თვითნებობა — სახელმწიფოს მთავარი ბოროტებაა და ამ გარემოების შესახებ მე ჯერ არ მილაპარაკნია. ტაის ამკრეფები ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მდიდრდებიან; რაც უფრო ძნელდება, სიღატაკის გამო, ტაის აკრეფა, მით უფრო მდიდრდებიან ისინი, მით უფრო ეძლევათ შესაძლებლობა მეტი აართვან ამ უბედურ გადამხდელ მოსახლეობას. იძულებითი ზომების ამანაზღაურებელი მათი ხარჯი იზრდება და თვით ტაის ოდენობას აღემატება; ამკრეფები ახდევინებენ მათ თვით ტაის გადახდამდე და გადამხდელები არც კი ცდილობენ, რომ სრული თანხა შეიტანონ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ორჯერ მეტი გადახდებათ გაისად, თუ წლეულს სრულ თანხას შეიტანენ. ტაის ამკრეფნი სხვა სიბოროტესაც ჩადიან: მათ სურთ გადასახადების გენერალურ შემკრებს კარგა მოზრდილი თანხა მიუტანონ და პრემია მიიღონ, ამიტომ სესხულობენ ფულს ყველასაგან, ვისაც კი პროვინციაში ფული აქვს; კარგ პროცენტებსაც უხდიან, იმის მსგავსად, როგორც იქცევიან პარიზში საფინანსო საქმოსნები. ისინი ნაღებს ხდიან პროვინციაში დაგროვებული ფულის იმ მცირე რაოდენობისგან, რაც სხვა პირობებში ან ვაჭრობას, ან სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას მოხმარდებოდა. ამგვარად, სიმდიდრე და ღარიბთა ძონძები ერთნაირად უწყობენ ხელს ამ სავალალო ფინანსურ ოპერაციებს. ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი დაემხობა ჩვენს სახელმწიფოში. პროვინციაში უკვე ფული აღარ ჩანს.

31 დეკემბერი. საფინანსო მოიჯარეებმა, გენერალურმა ფულის ამკრეფებმა და ყველა სხვა საფინანსო საქმოსნებმა ცხვირი ჩამოუშვეს იმის გამო, რასაც მათგან მოითხოვენ. მათმა ბატონკაცურმა ჩვევებმა და მშვენიერმა სახლებმა მიიქციეს თვით მეფის ყურადღება, როდესაც იგი კომპიენის გზაზე განაცვიფრა ამ ბატონების მიერ აგებულმა ხუთმა-ექვსმა სასახლემ. ახლახან გარდაცვლილმა ბ-მა დე ვილემონმა თავის შვილებს შვიდმილიონიანი ქონება დაუტოვა. პარიზში დიდად უხარიათ საფინანსო საქმოსნების ასეთი დამარცხება და ყველა

ლოცავს გენერალურ კონტროლიორს მაშოს. უნდა ვიცოდეთ, რომ ჯარგა ხანია რაც თავადაზნაურობა და საფინანსო წრეები მტრულად არიან ურთიერთგანწყობილი. მეძებართა ორი დასტის მსგავსად, ისინი მზად არიან ერთმანეთს დაერიონ. მეტწილად მანტიის აზნაურები — პარიზის ფინანსური წრეებიდან არიან გამოსულები. მაგრამ მათ თავს გაუვიდათ, ამიტომ არ უყვართ ფინანსური წრეები, უსამართლო სიამაყისა და თავისი წარმოშობისადმი არაკეთილშობილური ზიზღის გამო. სახელმწიფო შემოსავალთა ქვეიჯარა ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ ქვემოიჯარენი ვერავითარ პირობებში ვერ მოიგებენ 15%-ზე მეტს.

1762 წელი

26 ი ა ნ ვ ა რ ი. არლიდან გვატყობინებენ, რომ პროვანსში იფეთქა გლეხთა მძლავრმა აჯანყებამ, რომლის დროსაც შეიარაღებული გლეხობა მიცვივდა ქალაქის რატუშას და პური მოითხოვა. მათი რიცხვი 2.000-მდე აღწევდა. და რადგან ქალაქის ხელისუფლებამ დაპირება არ შეუსრულა, რამდენიმე დღის შემდეგ იგივე გლეხები, უკეთ შეიარაღებულნი და მეტი რაოდენობით, კვლავ გამოცხადდენ და იმუქრებოდნენ. რომ დაარღვევენ მდინარე რონაზე ხიდს, რომელიც ყოფს პროვანსს ლანგედოკიდან. და მართლაც შეუდგნენ ხიდის რღვევას, მაგრამ მათ წინააღმდეგ გამოიყვანეს რაზმი, რომელმაც უკუაგდო გლეხები. საუბედუროდ, შიმშილის გამო, ჩვენ იქამდე მივედით, რომ ღარიბები ძალას ხმარობენ მდიდრებისაგან პურის გამოსართმევად, ხოლო ხელისუფლება იძულებულია გამოიყვანოს ჯარი გაჭირვების გამო აჯანყებულებზე იერიშის მისატანად და ამ უბედურთა დასასჯელად.

27 ი ა ნ ვ ა რ ი. — რენში ატყდა აჯანყება პურის გამო, მეორე აჯანყებამ იფეთქა ლანგედოკის ერთ-ერთ ქალაქში. როგორც ჩანს მეფის კარი არავითარ ზომებს არ იღებს ამ გაჭირვების შესამსუბუქებლად. ვიენაშიც ძლიერ ცუდი მდგომარეობაა, ალბათ იქაც დაიწყება ამბოხება; მაშინ ღარიბები აჯანყდებიან და გაძარცვავენ მდიდრებს. პუასიში საბაზრო ბაჟების ერთ-ერთმა მოიჯარემ მითხრა, რომ შარშანდელთან შედარებით ხორცის მოხმარება ორჯერ შემცირდა, რადგან პარიზში სიღარიბემ იმდენად იმატა, რომ მდაბიოთა უმრავლესობა ხორცს ვეღარ ყიდულობდა და წვნიან საჭმელში მხოლოდ ბოსტნეულსა და მწვანილს უშვრებოდა.

[1, გვ. 115—117]

დ. ი. ფონვიზინის შთაბეჭდილებანი ფრანგი გლეხების მდგომარეობის შესახებ

რუსი მწერალი დ. ი. ფონვიზინი ეწვია საფრანგეთს 1777 — 1778 წწ. ნაწყვეტი მისი წერილიდან გრაფ პანინისადმი გვიხატავს საფრანგეთში, აბსოლუტისტურ-ფეოდალური წყობილების დაშლის სურათს.

...მე ვინახულე ლანგედოკი, პროვანსი, დოფინე, ლიონი, ბურგონი, შამპანი. პირველი ორი პროვინცია ითვლება ამ სახელმწიფოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო პურ-მოსავლიანად და ხვავრიელად. თუ ჩვენი, კარგ ადგილებში მცხოვრები, გლეხების მდგომარეობას შევადარებთ აქაურ გლეხობას, სრულიად მიუდგომლად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენების მდგომარეობა შეუდარებლად უფრო ბედნიერია. მე მქონდა პატივი, ამეწერა თქვენი ბრწყინვალებისათვის ჩემს უწინდელ წერილებში ამის ნაწილობრივი მიზეზები; მაგრამ მთავარ მიზეზად ის მიმაჩნია, რომ ხაზინას უხდიან ზღვარდაუდებელ გადასახადს და ამიტომ საკუთრება მამულზე მხოლოდ მოჩვენებითია; ამ უნაყოფიერეს მხარეში, თითქმის ყოველ საფოსტო სადგურზე, ჩემს ეტლს გარს ერტყმოდნენ მათხოვრები და ფულის მაგიერ ლუკმა-პურს გვთხოვდნენ. ეს უდავოდ გვიმტკიცებს, რომ დიდ სიუხვესა და ბარაქაშიც შეიძლება შიმშილით მოკვდეს ადამიანი.

[1, გვ. 117]

ამონაწერები გლეხთა განაწესებიდან[1]

ეს განაწესები შედგენილია 1789 წელს, გენერალურ შტატებში დეპუტატების არჩევის დროს.

ნ ო მ ე ნ ი ს თ ე მ ი ს გ ა ნ ა წ ე ს ი. მუხლი 18. გადასახადები ღვინოზე, ლუდზე და არაყზე ყოველ ზომას აღემატება. სამღვდელოება და თავად-აზნაურობა არაფერს არ იხდის, მოხმარებით კი ყველაზე მეტს ისინი ხმარობენ.

ე კ ს ი ს ს თ ე მ ი ს გ ა ნ ა წ ე ს ი. — მუხლი 11. ლუდი — პირველი საჭიროების პროდუქტია; ღარიბი მცხოვრები და ღატაკი ჯარისკაცი — ერთადერთნი იჩაგრებიან ყველაზე მეტად გადასახადისაგან, რომელიც შეადგენს 5—6 ლივრს 72 ტოლჩიან წყალსაზომ საყელურზე...

---

[1] Les cahiers de doléances — ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტერმინი ითარგმნებოდა, როგორც „საჩივართა რვეულები", „ჩივილის რვეულები", „საწადელთა რვეულები". ვვარაუდობთ, რომ 1789 წლის გენერალური შტატების საარჩევნო კამპანიის დროს გავრცელებულ ამ ტერმინს შეესაბამება სიტყვა „განაწესი".

მუხლი 12. გვახდევინებენ აგრეთვე გადასახადებს თითქმის ყველა აუ-ცილებელ პროდუქტზე, როგორიცაა: სანათებელი ზეთი, სანთელი, ცვილი, ტყავი, თამბაქო და სხვ.

მარსელის მახლობლად მცხოვრები გლეხების განაწესი. მარსელში და მის მახლობლად ძალიან მაღალია ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე, მაგალითად, ხორცსა და პურზე, რადგან მათ დიდი გადასახადი ადევთ. ამ გარემოებამ წვრილი მესაკუთ-რეები, მიწის მუშები და ხელოსნები უკიდურესობამდე მიიყვანა.

ამპუვიის თემის განაწესი. მუხლი 2 და 3. მარილი ერთობ ძვირია, დაახლოებით ათი წლის მანძილზე ფასი გაიზარდა 9-დან 13 სუმდე გირვანქაში. ასეთი უმაგალითო გაძვირება დამღუპველ-ლია, რადგან პირუტყვს მარილს ველარ ვაძლევთ, მცხოვრებთა უმრავ-ლესობა ძლივს ყიდულობს თავისთვის პირადად საჭირო მარილს. ამას-თანავე, მეტად შეურაცხმყოფელია პირველი საჭიროების ამ პროდუქ-ტის განაწილების ჩვეულებრივი ფორმა.

სოფელ ვიებუჟის განაწესი. რადგან მისმა უდიდებუ-ლესობამ ნება დართო თავისი სამეფოს ყველა ქვეშევრდომს გადმოს-ცენ წერილობით თხოვნები და საჩივრები, რაც კი ეხება სახელმწიფო საჭიროებას, რეფორმებს, მმართველობის ყველა დარგში მტკიცე და მუდმივი წესრიგის დადგენას, მისი სამეფოს აყვავებასა და მისი ქვეშევრ-დომების საერთო სიკეთეს, — ამ სამრევლოს მცხოვრებლები გულ-მოდგინედ ემუდარებიან მის უდიდებულესობას მიიღოს მოწყალება და დაეხმაროს მესამე წოდებას, რომელიც ყველაზე ბედნითი და ქმედი-თია მიწათმოქმედებაში, მაგრამ ყველაზე უბედურია მის ქვეშევრ-დომთა შორის.

მისი უდიდებულესობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ სამ-რევლოს მცხოვრებლებში ის ჰპოვებს ადამიანებს, რომლებიც მუდამ მზად არიან მსხვერპლად შესწირონ თავიანთი ქონება და ბედ-იღბალი მისი წმიდათა-წმიდა პიროვნების დასაცავად, მისი ტახტის სადიდებ-ლად, საფრანგეთის პატივის განსამტკიცებლად.

§ 1. გააუქმოს და მოსპოს თანასწორობის დამრღვევი პრივილეგი-ები, რადგან თანასწორობა უნდა მეფობდეს ერთი მამის შვილებს შორის.

§ 2. მოიღოს მოწყალება მისმა უდიდებულესობამ და დააწესოს ერთიანი და ერთადერთი საადგილმამულო გადასახადი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

§ 3. ეს სამრევლო იმდენად გასრესილია უზარმაზარი ტაის სიმძი-მით, რომ თითქმის ნახევარი მცხოვრებლები მათხოვრულ მდგომარე-ობამდე არიან დაყვანილი.

§ 4. ყველა დანარჩენი გადასახადი, მაგალითად გადასახადი მარილ-

ზე და ღვინოზე უნდა იქნას დაყვანილი ერთ გადასახადზე, ხოლო წონა და კანონი ყველგან ერთნაირი უნდა იყოს.

§ 5. ყოველწლიური კენჭისყრა სამხედრო სამსახურში გაწვევისას ოჯახებს დიდ ზარალსა და სიძნელეებს უქმნის; გარდა ამისა, მცხოვრებლები ვალდებულნი არიან იარონ წილისყრისათვის 5 ლიეს სიშორეზე, თუმცა ქალაქ სანსიდან 2 ლიეს მანძილზე იმყოფებიან.

§ 6. აუცილებელია გაუქმდეს... გადასახადი ზედმეტად მოხმარებულ ღვინოზე და საგზაო ბაჟები; წაერთვას აქციზის მოხელეებს საზოგადოებრივი მყუდროების დარღვევის უფლება.

§7. ღვინოზე და მარილზე გადასახადების და აქციზების აკრეფის წესი მეტად სამძიმოა.

§ 8. უნდა შემცირდეს სასამართლოს ხარჯები, რათა კლიენტებს არ დასჭირდეთ შორს გამგზავრება, — ამ გარემოებას სრულ გაკოტრებამდე მიჰყავს ისინი, ვინც იძულებულნი არიან იჩივლონ სასამართლოში.

§ 9. მცხოვრებლები ამჩნევენ, რომ ისინი იხდიან გზების გასაუმჯობესებელ გადასახადს, ხოლო არც ერთი გზა წესრიგში მოყვანილი არაა.

შედგენილი და დამტკიცებულია სოფელ ვიებუჟის კრებაზე 1789 წლის 4 მარტს.

[1, გვ. 117—119]

ბ. მრეწველობა

კ. მარქსი საფრანგეთის XVIII საუკუნის მრეწველობის შესახებ

...ძველი გერმანული ქაღალდის წარმოება ნიმუშია ხელოსნური წარმოებისა, XVII საუკუნის ჰოლანდია და XVIII საუკუნის საფრანგეთი იძლევიან საკუთრივ მანუფაქტურის ნიმუშს...

კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი პირველი,
თბ., 1954, გვ. 483.

ტიურგოს ედიქტიდან ამქრების (ცეხების) გაუქმების შესახებ (1776 წ.)

დიდად საინტერესოა ფიზიოკრატების მიერ „შრომის თავისუფლების" თეორიული დასაბუთება.

ლუი და ა. შ... ჩვენ ვალდებული ვართ მივანიჭოთ ყველა ჩვენს ქვეშევრდომს სრული და განუყოფელი სარგებლობა მათი უფლებე-

ბით: ეს მზრუნველობა ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ განსაკუთრებით ადამიანთა იმ კლასის მიმართ, რომელთაც არავითარი საკუთრება არ გააჩნიათ მათი შრომისა და მუყაითობის გარდა; ამიტომ მათ უფრო მეტი საჭიროება და უფლება აქვთ ისარგებლონ მთელის მოცულობით თავიანთი არსებობის ამ ერთადერთი წყაროთი.

ჩვენ გულისტკივილით ვამჩნევდით ბუნებრივსა და საერთო უფლებებზე ხელყოფას იმ დაწესებულებათაგან, რომელნიც მართალია, ძველთა-ძველი წარმოშობის არიან, მაგრამ რომელთა კანონიერებას ვერ დაადასტურებს ვერც დრო, ვერც ცრურწმენა და. ბოლოს, ვერც იმ ხელისუფლების აქტები, რომელმაც თითქოს ისინი დააწესა.

ჩვენი სამეფოს თითქმის ყველა ქალაქში მრავალგვარმა ხელობამ თავი მოიყარა ოსტატების მცირე რაოდენობის ხელში, რომელნიც საზოგადოებებს შეადგენენ და რომელთაც ეკუთვნით უპირატესი უფლება გააკეთონ და გაყიდონ ხელოსნობის იმ დარგის საგნები, რომლებზედაც განსაკუთრებული პრივილეგია გააჩნიათ. ამიტომ იმ ჩვენს ქვეშევრდომებს, რომელთაც თავიანთი მისწრაფებებით ან საჭიროების გამო სურთ ამ ხელობის წარმოება, შეუძლიათ მისდიონ მას მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მოიპოვებენ იმ ამქრის ხელოსნის წოდებას, რომელშიდაც მიიღებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაივლიან ძნელსა და ხანგრძლივს, მაგრამ საკმაოდ ზერელე შემოწმებას და გადაიხდიან ამქრის სასარგებლოდ მრავალრიცხოვან და მძიმე გადასახადებს; ამგვარი წესის გამო უნაყოფოდ იკარგება კაპიტალის ნაწილი, რომელსაც ისინი თავიანთ საწარმოს ან სახელოსნოს მოწყობას მოახმარდნენ.

ხოლო ისინი, რომელთა ქონება არაა საკმარისი ამ ხარჯების დასაფარავად, იძულებულნი არიან იარსებონ ოსტატების მორჩილების ქვეშ, გაჭირვებით იცხოვრონ ანდა წაიღონ უცხო მხარეში სამშობლოდან თავიანთი სახელმწიფოსათვის მეტად სასარგებლო ხელოვნება.

ყველა კლასის მოქალაქენი მოწვლებული არიან უფლებას აირჩიონ თავის ნებაზე სამუშაო და ისარგებლონ თავისუფალი კონკურენციიდან გამომდინარე ხელსაყრელი პირობებით — ფასების გაიაფებითა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებით...

ღმერთმა ადამიანს მოთხოვნილებები მისცა და ამიტომ აუცილებელი გახადა მისთვის შრომა; უფლება შრომაზე ყოველი ადამიანის საკუთრებაა და ეს საკუთრება ყველაზე მთავარი, წმინდათაწმინდა და განუსხვისებელი უფლებაა — ყველა უფლებათა შორის.

ამიტომ ჩვენი სამართლიანობის უპირველეს მოვალეობად და ჩვენი წყალობის ყველაზე ღირსეულ გამოსახულებად მიგვაჩნია გავათავისუფლოთ ჩვენი ქვეშევრდომები კაცობრიობის ამ განუსხვისებელ უფლებაზე ყოველგვარი ხელყოფისაგან. ამის გამო ჩვენ გვსურს გაუ-

უქმოთ ეს თვითნებობით შექმნილი დაწესებულებანი, რომლებიც არ აძლევენ საშუალებას ღარიბ ადამიანს იცხოვროს თავისი შრომით და რომლებიც გამორიცხავენ ქალთა შრომას, მაშინ როდესაც ამ სქესის სისუსტე ზრდის მათ მოთხოვნილებებს და ამცირებს მათ შესაძლებლობას. უნდა მოისპოს ეს დაწესებულებები, რადგან ისინი ადამიანებს ცდუნებისა და გარყვნილებისაკენ უბიძგებენ და მას გამოუვალ სიღარიბეში ამყოფებენ; ეს დაწესებულებანი სპობენ შეჯიბრსა და შრომისმოყვარეობას და უსარგებლოდ ხდიან იმ ადამიანთა ნიჭს, რომელთაც გარემოებანი არ აძლევენ საშუალებას შევიდნენ ამა თუ იმ საამქრო (საცეხო) ორგანიზაციაში. ეს დაწესებულებანი ართმევენ სახელმწიფოსა და ხელოვნებას (ხელოსნობას) ყველა იმ ცოდნას, რაც სხვაგან შეიძლება იქნეს მიღებული, აბრკოლებენ ყველა დარგის განვითარებას. მრავალი სიძნელის გამო, რაც გამომგონებელს გზაზე ხვდება იმის გამო, რომ მათ სხვადასხვა ამქრები (ცეხები) არ აძლევენ ამქრების გარეთ და მათგან დამოუკიდებელ აღმოჩენათა განხორციელების შესაძლებლობას. ეს დაწესებულებები დიდი ხარჯის გამო, რაც ხელოსნებმა უნდა გაიღონ მუშაობაზე უფლების მისაღებად; ყოველგვარი გამომძალველობის გამო, რაც ხელოსანს თავს ატყდება ვითომდა წესების დარღვევისათვის მრავალგვარი კონფისკაციების სახით: დანახარჯებისა და დაუბოლოვებელი პროცესების გამო, რაც წარმოიქმნება სხვადასხვა ურთიერთპრეტენზიების მქონე საამქრო კორპორაციებს შორის, სადაც ყოველი ამქარი თავისთავს განსაკუთრებით პრივილეგირებულად თვლის.—ქმნიან ყოველივე ამის შედეგად უზარმაზარ დამატებით გადასახადებს მრეწველობაზე, მეტად დამამძიმებელს ქვეშევრდომთათვის და სრულიად უსარგებლოს სახელმწიფოსათვის. ბოლოს ეს დაწესებულებები იოლად აძლევენ საამქრო კორპორაციების წევრებს უპირატესობას, რადგან ურთიერთშეთანხმების ძალით ღარიბებს თავს ახვევენ მდიდართა კანონებს, — ისინი ხდებიან მონოპოლიების იარაღად, ხელს უწყობენ სხვადასხვა ნაქინაციებს, პირველი მოხმარების, ხალხისათვის უსაჭიროეს საგნებზე ნორმაზე ზევით ფასების მომატების მიზნით... ყველა ამ მიზეზების გამო და სხვა და სხვა...

მუხლი 1. ნება დაერთოს ყველას, დამოუკიდებლად ჩინისა და მდგომარეობისაგან, უცხოელებსაც კი, ვისაც კი ჯერ არ მიუღია პატენტი ნატურალიზაციაზე, მთელს ჩვენს სახელმწიფოში და აგრეთვე ჩვენს სახელოვან ქალაქ პარიზში აწარმოონ ნებისმიერი ვაჭრობა და ხელოსნობა, ერთი რომელიმე სახის ან რამდენიმე სახისა ერთდროულად, რის გამოც ჩვენ გავაუქმეთ და მოვსპეთ, ვაუქმებთ და ვსპობთ ვაჭართა და ხელოსანთა ყოველგვარ კორპორაციებს, ასოციაციებსა და ამქრებს (ცეხებს); ვაუქმებთ ამ ასოციაციებისა და კორპორაციები-

სადმი ბოძებულ ყოველგვარ პრივილეგიებს. სტატუტებსა და რეგლამენტებს, რათა ამიერიდან არც ერთ ჩვენ ქვეშევრდომთაგანს არ შეეშალოს ხელი ვაჭრობაში და პროფესიის გამოყენებაში, ამა თუ იმ მიზეზით ან ამა თუ იმ საბაბით.

[1. გვ. 119—121]

საფეიქრო მანუფაქტურების განვითარება ორლეანის ოლქში

ამონაწერები მანუფაქტურების ინსპექტორ ტრიბერის მოხსენებითი ბარათიდან მრეწველობის მდგომარეობის შესახებ ორლეანის ოლქში — წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან წყაროს საფრანგეთში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებათა საკითხის შესასწავლად XVIII საუკუნის დამლევს.

1787 წლიდან 55 ოსტატი-ფეიქარი ყოველწლიურად მუშაობს ორლეანსა და მის მიდამოებში 400 დაზგაზე, რომლებიც წლიურად 330 ათას გირვანქა მატყლს ამუშავებენ; ეს მატყლი შემდეგ გადამუშავდება ტრიკოტაჟის ნაწარმად, რომლის საერთო ღირებულება 1479 ათას ლივრს აღწევს.

აღიარებულია, რომ 60 დაზგის მომსახურება ყოველწლიურად საჭიროებს 443 მრთველ-მჩეჩავს და სატრიკოტაჟო საქონლის წარმოებაში დაკავებულ სხვა მუშებსა და მუშა ქალებს; მაშასადამე, 400 დაზგა ყოველწლიურად სამუშაოს აძლევს 2287 ადამიანს.

ამ მუშების საშუალო დღიური ხელფასი 15 სუს არ აღემატება. ქალაქ ორლეანისა და მისი მიდამოების ამქრების (ცეხების) მამასახლისებისა და სატრიკოტაჟო სახელოსნოების მეპატრონეთა ცნობით, 1720 წლიდან 1750 წლამდე, მომუშავე დაზგების რაოდენობა საშუალოდ 1. 200-ს აღემატებოდა, ამჟამად კი დაყვანილია 400-მდე. მრეწველობის ეს დარგი ორი მესამედით შემცირდა მთელი რიგი მიზეზების გამო. მთავარი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ ბოსის სამრეველოებში საქსოვი ჩხირებით აკეთებენ ამავე საფასურის, მაგრამ უკეთესი ხარისხის საქონელს, ვიდრე ორლეანში; მართლაც, უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე ბოსის სამრეველოებში სატრიკოტაჟო წარმოება რამდენადმე გაიზარდა ორლეანის საქსოვი მრეწველობის საზარალოდ. მაგრამ, ჩხირებზე ქსოვა ხომ ბევრად მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე დაზგაზე მუშაობა?! მაშასადამე, ორლეანის ნაწარმი ბევრად უფრო იაფი უნდა იყოს, ვიდრე ბოსისა; მაგრამ დიდ ქალაქში მუშახელი უფრო ძვირია, ვიდრე სოფელში, სადაც მუშა უფრო მტკიცე და მყარ მდგომარეობაშია, სადაც ის არ იხდის მეტრიზას, არ განიცდის შეზღუდვებს თავისი ნაწარმის გაყიდვის დროს.

45 შემსყიდველი ყოველწლიურად ბოსის რამდენიმე ათეულ

სამრეველოში ამზადებინებს 2. 100 ათასი ლივრის იმავე ბარისხის ნაქ-სოვ ნაწარმს, რაც ორლეანის დაზგებზე იქსოვება. ამ ნაწარმის და-სამზადებლად მათ ჰირდებათ 647 ათას გირვანქამდე გასუფთავებული მატყლი, რომლის გირვანქა 32 სუდ ფასობს. ამ ვაჭრებისათვის მუ-შაობს, სულ მცირე. 12 ათასი ადამიანი, მაგრამ არა მთელი წლის მან-ძილზე, რადგან მრთველები და მქსოველები ამავე დროს დაკავებული არიან სოფლის მეურნეობაში; ზაფხულობით ისინი კრეფენ პურის თავთავებს მინდორზე, ხოლო შემოდგომაზე მრავალ მათგანს ორლეან-ში ქირაობენ რთველზე. მჩეჩავები, მქსოველები და სხვა მუშები აგრე-თვე არ მუშაობენ მთელ წელიწადს, გარდა მცირე გამონაკლისისა. ყო-ველ მათგანს თავისი ბაღი გააჩნია და თითქმის ყოველი მათგანი ზაფ-ხულობით მოსავლის ასაღებად მიდის. სატრიკოტაჟო ნაწარმს ამ სამ-რეველოებში უმთავრესად ზამთრობით ამზადებენ, რამდენადაც სატრი-კოტაჟო წარმოება მათი შრომის მთავარ საგანს არ წარმოადგენს; ამდე-ნადვე არა მგონია, რომ პირველთა და მეორეთა ხელფასი აღემატებო-დეს 5 სუს დღეში, მით უფრო რომ მქსოველ ქალებს შორის ბევრია 7-8 წლის გოგონები; მათ ბევრის გამომუშავება არ შეუძლიათ. მთელ რიგ სამრეველოებში მოკალათებულნი არიან შუამავლები, რომლებიც მთელ ოლქში მატყლს ანაწილებენ; შემდეგ ცალკეულმა მუშებმა უნდა ჩააბარონ იმდენივე წონის შალეული ნაწარმი, რამდენი გასუფ-თავებული მატყლიც მიიღეს.

სავარაუდებელია, რომ არაფერი არ უშლის ხელს მრეწველობის ამ დარგის განვითარებას, გარდა ბაჟებისა, რომელთაც ისევ ახდევი-ნებენ საქონლის შეტანის დროს ქალაქ ბონევილსა და შარტრში. ეს ბაჟები საკმაოდ დიდია და უმთავრესად ორლეანის ჰერცოგს ეკუთ-ვნის. სხვა, უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან ბაჟებს სოფლის სამრევ-ლოებში ახდევინებენ მატყლზე, რომელსაც წონიან ძველი სინიორე-ბის ყაფანზე, მაშინაც კი, როდესაც ის სხვა სოფლებში უნდა გაიყი-დოს; ეს ბაჟი აღწევს 2-3 სუს კვინტალ[1] მატყლზე.

ბამბას ართავენ ჩვეულებრივ სართავ ჯარაზე მუშათა რამდენიმე სახლში შარტრში, რამბუიესა და კლამესიში. ამ სახელოსნოების შექ-მნის მიზეზი ქებას იმსახურებს, რადგან მას მიზნად აქვს მისცეს სა-მუშაო მრავალ გაჭირვებულ გოგონას... მაგრამ ახალ სართავ მანქა-ნებს, რომლებიც ეს-ესაა შემოიტანეს საფრანგეთში, ისეთი უპირა-ტესობა აქვთ ჩვეულებრივ სართავ ჯარასთან შედარებით, რომ ეს გო-გონები მალე სამუშაოს ვეღარ იშოვნიან...

ამგვარი სახელოსნო ეწყობა ახლა მონტარჟიში.

ქალაქის ციხე-დარბაზში უკვე ხელით ამოძრავებენ რამდენიმე ას-

---

[1] კვინტალი — მეტრულ სისტემაში იგივეა, რაც ცენტნერი.

ეთ მანქანას, მაგრამ მე ჯერ არ გამიგონია, რომ აპირებდნენ ხელის მამოძრავებელის შეცვლას ორთქლის ტუმბოთი..

ეს სართავი მანქანები ორგვარია: ზოგი გაკეთებულია არკრაიტის პრინციპით, ხოლო სხვებს „ჯენის" ეძახიან. ორივე ეს მანქანა ჯერ-ჯერობით ახალი შემოღებულია, ამიტომ მათი გამოყენების ეფექტი ძნელი გასაანგარიშებელია; მიმდინარე წელს მათი პროდუქცია 180 ათას ლივრს მიაღწევს, თუ ვიანგარიშებთ, რომ წლიური გამომუშავება გაუთანაბრდება 36 ათას გირვანქა ბამბას და ყოველი გირვანქა ბამბის ღირებულება იქნება 5 ლივრი. მაგრამ მომავალ წელს მათი პროდუქცია სულ ცოტა 6-ჯერ მეტი იქნება; სხვანაირად მრეწველები ვერ აინაზღაურებენ შენობის აგებისა და მანქანების შესყიდვის ხარჯებს.

მიმდინარე წელს 72 ათასი ლივრი, ე. ი. 2/5 180 ათას ლივრიდან დაიხარჯა 360 მუშისა და მუშა-ქალის ხელფასზე, ე. ი. 200 ლივრი წელიწადში 300 სამუშაო დღეზე, თუ საშუალოდ ვიანგარიშებთ დღეში 13 სუსა და 14 დენიეს, რადგან მრთველ ქალებსა და ბავშვებს ნაკლებს უხდიან, ვიდრე კაცებს.

ამ მანქანების მეშვეობით, რომელთა რიცხვი საფრანგეთში სწრაფად იზრდება, უნდა მოველოდეთ ნართზე ფასის დიდად გაიაფებას.

[1, გვ. 121—123]

სენტ-ეტიენის ნახშირის მაღაროთა მუშების მდგომარეობა

დე გრინიონის მოხსენებითი ბარათიდან, რომელიც საფრანგეთის ეროვნულ არქივში ინახება და პირველად მარსელ რუფმა გამოაქვეყნა.

სენტ-ეტიენის მიდამოებში მდებარე ნახშირის შახტებში ხახადაღებულია მრავალრიცხოვანი ჭაბურღილები. რომლებიც არც ჭებია და არც შტრეკები, ესაა ვიწრო, დაკლაკნილი და იმდენად დაბალი ხვრელები, რომ ნახშირის მომპოვებელი მუშები იქიდან ამოსაძვრომად უნდა ამოცოცდენ არამარტო ფეხების, არამედ ხელების დახმარებითაც, ხოლო ნახშირით სავსე ტომარა ზურგზე აქვთ მოდებული... ამ ნახშირის ორმოებში ყოფნა დიდ სიძნელესთან და საშიშროებასთანაა დაკავშირებული. აქ ხშირად ხდება უბედური შემთხვევები, რადგან მიწას არა აქვს მაღაროს რეგულარული სიმაგრეები. კმაყოფილდებიან მხოლოდ ხის საბჯენებით, თხელი ქანების გასამაგრებლად. ისინი წარმოადგენენ სახურავებს ამ მაღაროებში, რომლებიც აგერ-აგერ მოწყდებიან ჭერს. ეს ორმოები არ აღემატებიან 150 ფუტ სიმაღლეს, იმიტომ კი არა, რომ უფრო ქვევით ნახშირი არ არის, არამედ იმიტომ, რომ ნახშირის მოპოვება ვერ იწარმოებს იმ საშუალებით, რომელთაც იქ მოიხმარენ...

ამ მაღაროებში მუშაობენ ქალები, კაცები და ბავშვებიც კი: კაცები წერაქვით, ქარჩითა და ჩაქუჩით ჩამოჩეხენ ნახშირის ბელტებს სანგრევებში, ბიჭებს ზევით ააქვთ ნახშირის დიდი ნაკრები, ხოლო ქალები და გოგონები ყრიან ნამსხვრევებსა და წვრილ ნახშირს გრძელ, ვიწრო ტომრებში, რომლებშიდაც 100—150 გირვანქა ნახშირი ეტევა.

ისინი არ უკრავენ თავს ტომარას, არამედ ფარავენ მას ზევიდან ნახშირის დიდი ნაკრით და გაუყრიან პატარა თოკს, რომელიც ერთი ბოლოთი ტომრის კიდეზეა მიმაგრებული, ხოლო მეორე ბოლოს პირში კბილებით იკერენ: ტომარა მიაქვთ თავით, ზურგით ან კისრით.

ამგვარად დატვირთული ეს უბედური არსებანი დაბობღავენ ბნელ მიწისქვეშა გასასვლელებში. თავს ძალას ატანენ, რათა ასეთი მძიმე ტვირთი ათრიონ, მიცოცავენ ძნელ გზებზე უხერხულ პოზაში, ამიტომ ჰაერს შეისუნთქავენ და მკერდიდან ამოისუნთქავენ დიდი სიძნელით, თან გულსაკლავად კვნესიან; მთელ ამ გამოქვაბულში გაისმის სიბრალულისა და შიშის გამომწვევი მათი კვნესა. მხოლოდ იმ მაღაროებში, რომლებიც ბ-ნ დე ბარს ეკუთვნის, ნახშირი ამოაქვთ ერთცხენიანი ურიკით, ყველა დანარჩენ მაღაროებში ნახშირის მოპოვება ერთობ დაბალ დონეზეა, ამოაქვთ მხოლოდ ნახშირის ზემო ფენები.

[1, გვ. 123—124]

ლიონში აბრეშუმის ქსოვილის დამამზადებელ ამომრჩეველთა მოხსენებითი ბარათი

ლიონელ ფეიქართა მოხსენებითი ბარათი მიღებულ იქნა ფეიქარ ამომრჩეველთა საერთო კრებაზე 26. II. 1789 წ. და მათი განაწესის ნაწილს წარმოადგენს.

არავინ არ უარყოფს, რომ ქალაქი ლიონი სწორედ აბრეშუმის ქსოვილთა მრეწველობას უნდა უმადლოდეს თავის ბრწყინვალებასა და სამეფოს მეორე ქალაქის საპატიო სახელს...

...მრეწველობის ეს დარგი ერთ დროს დიდი სიმდიდრის მიმნიჭებელ წყაროს წარმოადგენდა და ოცი ათასი მუშის წესიერ ცხოვრებას უზრუნველყოფდა, — დღეს კი მათთვის მხოლოდ სატანჯველი და იძულებითი შრომის საგანია; მათი ხელფასი ყველაზე არსებით სასიცოცხლო მოთხოვნილებების ორ მესამედსაც კი ვერ აკმაყოფილებს; დაწვრილებით არ აღვნუსხავთ ყველა იმ მიზეზებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მათი გაჭირვების პროგრესულ ზრდას; მივუთითებთ მხოლოდ იმაზე, რასაც დღეს მოჰყავს ისინი უბედურების ზღურბლამდე და რასაც გარდუვალად მოჰყვება ამ წარმოების სრული მოშლა და ნგრევა.

სასწარკვეთილებამდე მისული მუშები სამართლიანად მოითხოვდნენ ტარიფის გადიდებას, რადგან ძველი სატარიფო ნორმები ქსოვილის გამზადებაზე სრულიად არ შეესაბამებოდნენ კვების პროდუქტებზე ფასების ზრდას. მუშათა მღელვარების დასაწყისში მთავრობამ საჭიროდ ცნო 1786 წელს გამოემუშავებია დებულება, რომლის თანახმად ეს ტარიფი გაუქმდა, ხოლო მუშასა და შემსყიდველს მიეცა სრული თავისუფლება ურთიერთშეთანხმებისა ქსოვილის გამომუშავების ფასის შესახებ. მაგრამ ამ დებულებამ, რომელიც პირველად ბრძნული პოლიტიკის აქტად აღიარეს, სრულებით ვერ გააუმჯობესა მუშათა მდგომარეობა, არამედ. გაზარდა მათი სიღატაკე... რაც შეეხება საabრეშუმო მრეწველობის მუშებს, რომელთა ყოველდღიური კვება დამოკიდებულია მათი დღიური შრომისაგან, ეს თავისუფლება მთლიანად აგდებს მათ შემსყიდველის ხელში. შემსყიდველი არაფერს არ ზარალობს წარმოების შეჩერებით. ამით კი ის უკარნახებს მუშას დათანხმდეს იმ ხელფასზე, რომელიც კი შემსყიდველს მოესურვება. მან იცის, რომ მუშას სხვა გზა არა აქვს და გაჭირვება აიძულებს დათანხმდეს შემსყიდველის წინადადებებზე.

მაგალითად, ამ კანონის ძალაში შესვლის დროიდან მრავალმა ვაჭარმა აიძულა მუშები ეშრომათ ნახევარფასად, რის შედეგად ოჯახის მამები. მათი ცოლები და ბავშვები მუშაობდნენ დღეში 17—18 საათს, მაგრამ საარსებო საშუალება მაინც არ ჰქონდათ და სამოქალაქო ქველმოქმედებას მიმართავდნენ.

ასეთი იყო ამ, თითქოს მუშათა კეთილდღეობის მოსურნე, კანონის სავალალო შედეგები; ამ დამღუპველმა გამოცდილებამ უნდა გვაპოვნინოს ისეთი საშუალებები, რომ ერთდროულად დაგვიცვას ფასდების დარღვევისაგან და თავისუფლების ბოროტად გამოყენებისაგანაც.

შესაძლოა, ვაჭრებმა დაიწყონ მტკიცება, თითქოს შეუძლებელია მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რადგან მათ უნდა დასძლიონ კონკურენციას ვაჭრობაში უცხოეთის ფაბრიკებთან, მაგრამ ამაზე დარწმუნებით შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ ეს არაფრის მთქმელი საბუთია. ჩვენც ვიცით და ამ ვაჭარებმაც კარგად იციან, რომ უცხოეთის ყველა ფაბრიკაში,[1] სადაც მუშები მხოლოდ დღისით მუშაობენ, აბრეშუმის ქსოვილების დამზადების ფასი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენთან; ამიტომაა, რომ ლიონში ჩამოდის ამდენი კომისიონერი იტალიიდან...

და ბოლოს, კიდეც რომ არსებობდეს კონკურენცია სხვა ფაბრი-

---

[1] ფაბრიკა ძირითადად იხმარება მანუფაქტურის გაგებით. პირდაპირი გაგებით ფაბრიკა უნდა ვიხმაროთ იმ საწარმოს მიმართ, სადაც უკვე იყენებდნენ „ჯენის ჯარას" ან არკრაიტის სართავ დაზგას.

კებთან, განა ამის გამო შეიძლება ნელ ცეცხლზე დავწვათ ათასობით ადამიანი? უეჭველია რომ ამდაგვარი კონკურენციის გამო თვით ბატონი ვაჭრები საკუთარ თავს არასდროს ასე არ გასწირავდნენ.

[1, გვ. 124—126]

II აბსოლუტიზმის კრიზისი

1. კ. მარქსი XVIII საუკუნეში აბსოლუტური მონარქიის კრიზისის შესახებ საფრანგეთში

ცენტრალიზაციაქმნილი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება თავისი ყველგან მყოფი ორგანოებით, რომელნიც სისტემატური და იერარქიული შრომის დანაწილების პრინციპზეა შექმნილი, მუდმივი ჯარით, პოლიციით, ბიუროკრატიით, სასულიერო წოდებით, მოსამართლეებით, არსებობს აბსოლუტური მონარქიის ეპოქიდან, როცა იგი ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიულ საზოგადოებას ემსახურებოდა როგორც ძლიერი იარაღი მის ბრძოლაში ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ამისდა მიუხედავად მისი განვითარება შეაფერხა სხვადასხვაგვარმა შუასაუკუნეობრივმა ნაშთებმა, თავადაზნაურთა პრეროგატივებმა, ადგილობრივმა პრივილეგიებმა, საქალაქო და საამქრო მონოპოლიებმა და პროვინციულმა დებულებებმა.

კ. მ ა რ ქ ს ი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში. კ. მარქსი, ფრ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. თბილისი, 1950, გვ. 594.

...როგორც ცნობილია, 1789 წლის საფრანგეთის ეროვნულ კრებას წინ უსწრებდა ნოტაბლების შეკრება, რომელიც წოდებრივ პრინციპებზე იყო აგებული, მსგავსად პრუსიის გაერთიანებული ლანდტაგისა. იმ დეკრეტში, რომლითაც მინისტრმა ნეკერმა ეროვნული კრება მოიწვია, იგი დაეყრდნო ნოტაბლების მიერ გამოთქმულ სურვილს, რომ გენერალური შტატების შეკრება მოეწვიათ. ამგვარად, მინისტრ ნეკერს დიდი უპირატესობა ჰქონდა მინისტრ კამპჰაუზენთან შედარებით. მას არ დაუცდია ბასტილიის აღებისა და აბსოლუტური მონარქიის დამხობისათვის, რათა ამ მოვლენის შემდეგ დოქტრინიორულად დაეკავშირებია ძველი ახალთან და, რის ვაივაგლახით, მხარი დაეჭირა ილუზიისათვის. თითქოს საფრანგეთი ახალ დამფუძნებელ კრებამდე ძველი სახელმწიფოს წესწყობილების კანონიერი საშუალებებით მივიდა. მას სხვა უპირატესობანიც ჰქონდა. ის საფრანგეთის მინისტრი იყო და არა გერმანიის მინისტრი. ყველა ამ უპირატესობის მიუხედავად, მინისტრმა ნეკერმა ვერ შეძლო რევოლუციური მოძრაობა რე-

ფორმის წყნარ კალაპოტში ჩაეყენებინა. მძიმე ავადმყოფობა ვარდის ზეთით ვერ განიკურნება.

К. Маркс. Министерство Кампгаузена. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 5, стр. 30.

როგორც ინგლისის, ისე საფრანგეთის რევოლუციაში საკუთრების საკითხის დასმა იქამდე დაიყვანეს, რომ გასაქანი მისცემოდა კონკურენციის თავისუფლებას და მოსპობილიყო საკუთრების ყველა ფეოდალური ურთიერთობა: ფეოდალური მიწათმფლობელობა. ამქრები, მონოპოლიები და სხვ., რომლებიც XVI — XVIII საუკუნეთა მანძილზე განვითარების პროცესში მყოფ მრეწველობას ბორკავდნენ...

იმისდა მიხედვით, თუ მრეწველობის განვითარების რა დონე არსებობდა, ამა თუ იმ კლასისათვის საკუთრების საკითხი ყოველთვის სასიცოცხლო საკითხი იყო.

К. Маркс. Морализирующая критика и критизирующая мораль. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 4, стр. 302.

მაგრამ აბსოლუტურ მონარქიას პრუსიაში, ისევე, როგორც უფრო ადრე ინგლისსა და საფრანგეთში, როდი სურს ნებაყოფლობით გარდაიქმნას ბურჟუაზიულ მონარქიად. ის თანახმა არ არის, რომ თავისი ნებით გადადგეს. პირად ცრურწმენათა გარდა, ხელმწიფეებს ხელფეხს უბორკავს სამოქალაქო, სამხედრო და საეკლესიო ბიუროკრატების მთელი არმია — ეს აბსოლუტური მონარქიის ის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ სურს თავისი გაბატონებული მდგომარეობა იმაზე გაცვალოს, რომ ბურჟუაზიის ხელში დამხმარე როლი შეასრულოს. მეორე მხრივ, ფეოდალური წოდებანი ჯიუტად ებღაუჭებიან წარსულს: მათთვის ეს ყოფნა-არყოფნის, ე. ი. საკუთრების შენარჩუნების ან მისი ექსპროპრიაციის საკითხია. ბურჟუაზიის მხრივ ქვეშევრდომის ერთგულების ფიცის მიუხედავად, აბსოლუტურმა მონარქმა, გასაგებია, იცის, რომ მისი ჭეშმარიტი ინტერესები მაინც ფეოდალური წოდების ინტერესებს ესადაგება.

ამიტომ, ისევე როგორც ვინმე ლალი-ტოლანდალის, მუნიეს, მალუეს და მირაბოს მოთაფლულ სიტყვებს ნაკლებად ძალუძდათ იძულებულეყოთ ლუი XVI გაბედულად დამდგარიყო ბურჟუაზიის მხარეზე, ფეოდალებისა და აბსოლუტური მონარქიის გადმონაშთების წინააღმდეგ, ასევე კამპჰაუზენებისა და ჰანზემანების სირინოზის გალობანი ნაკლებად შეაგონებენ რაიმეს ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ს.

К. Маркс. Морализирующая критика и критизирующая мораль. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 4, стр. 314.

ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲞᲣᲠᲘᲡ, ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ Ე. Წ. „ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲓᲠᲝᲡ, 1775 ᲬᲚᲡ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲔᲖᲚᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲣᲬᲧᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲔᲡ ᲣᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲐ Ვ. Ს. ᲚᲘᲣᲑᲚᲘᲜᲡᲙᲘᲛ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ Მ. Ე. ᲡᲐᲚᲢᲘᲙᲝᲕ-ᲨᲩᲔᲓᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ, ᲩᲐᲡᲛᲣᲚᲘᲐ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚ ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲔᲑᲨᲘ.

[ᲟᲘᲣᲡᲢᲔᲜ ᲟᲘᲠᲣᲐ, ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲑᲝᲕᲐᲢᲔᲜᲘ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲝᲠᲘᲡᲔ, ᲒᲘᲘᲝᲛ ᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲰᲘᲣᲔ, ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲑᲝᲡᲐᲠᲘ, ᲟᲐᲙ ᲑᲝᲜᲢᲐᲜᲘ, ᲛᲐᲠᲘᲐ-ᲜᲘᲙᲝᲚ ᲤᲘᲚᲘᲞᲘ, ᲑᲐᲠᲗᲔᲚᲔᲛᲘ ᲟᲐᲚᲑᲔᲠᲘ, ᲛᲐᲠᲘᲐ ᲟᲔᲜᲔᲕᲘᲔᲕᲐ ᲛᲐᲖᲐᲠᲘ, ᲟᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ ᲤᲘᲚᲘᲞᲘ, ᲟᲐᲜ ᲞᲘᲔᲠ ᲓᲐᲠᲔ, ᲤᲘᲚᲘᲞ ᲞᲝᲛᲘᲔ, ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ ᲛᲐᲠᲔ, ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲨᲐᲠᲢᲘᲔ, ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲔᲜ ᲓᲔᲒᲣ, ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ ᲚᲐᲞᲝᲠᲢᲘ, ᲟᲘᲣᲚᲘᲔᲜ ᲑᲔᲚᲐᲕᲣᲐᲜᲘ, ᲟᲐᲜ ᲓᲘᲣᲜᲝ, ᲞᲘᲔᲠ ᲙᲣᲠᲜᲔ, ᲟᲝᲖᲔᲤ ᲙᲐᲞᲐ, ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ ᲞᲘᲢᲣ, ᲚᲣᲘ ᲕᲔᲠᲝᲜᲘ, ᲟᲐᲙ ᲓᲘᲣᲑᲔᲠᲜᲔᲚᲘ — 3 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲔᲜ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ[1] ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲓᲘᲓ ᲨᲐᲢᲚᲔᲚᲘ:] ᲞᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐ ᲮᲐᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲚᲣᲘ ᲤᲘᲚᲐᲜᲓᲠᲘ, 27 ᲬᲚᲘᲡ, ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ, ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲡᲔᲜ-ᲛᲐᲠᲡᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲐᲜᲨᲘ, ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ, ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲡ ᲓᲐᲪᲣᲠᲕᲔᲑᲐᲖᲔ; ᲞᲘᲔᲠ ᲤᲘᲚᲐᲜᲓᲠᲘ, ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ, 19 ᲬᲚᲘᲡ, ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ; ᲔᲢᲘᲔᲜ ᲤᲘᲚᲐᲜᲓᲠᲘ, ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ, 14 ᲬᲚᲘᲡ, ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ: ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ-ᲕᲔᲜᲡᲐᲜ ᲐᲛᲝᲜᲘ, ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲛᲠᲗᲕᲔᲚᲘ, 23 ᲬᲚᲘᲡ, ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ, ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲒᲝᲑᲔᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ; ᲠᲣᲜᲔ ᲞᲠᲘᲔᲢᲘ, ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ — ᲠᲔᲜᲝ, ᲛᲩᲔᲩᲐᲕᲘ ᲡᲐᲚᲔᲘᲑᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ, 56 ᲬᲚᲘᲡ, — 4 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ: ᲘᲢᲐᲪᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲞᲣᲠᲡ ᲮᲐᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ; ᲔᲡ ᲛᲫᲐᲠᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲑᲔᲕᲠᲛᲐ ᲘᲪᲜᲝ.

[ᲤᲘᲚᲘᲞ ᲙᲝᲠᲓᲔᲚᲣᲐ, 26 ᲬᲚᲘᲡ, ᲙᲐᲛᲑᲠᲔᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ, ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲡ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲘ, ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲮᲐᲠᲐᲖ ᲡᲣᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲑᲘᲣᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ; ᲞᲘᲔᲠ ᲙᲣᲢᲐ, 23 ᲬᲚᲘᲡ. ᲐᲕᲘᲜᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ, ᲘᲒᲘᲕᲔ, ᲘᲥᲕᲔ — ᲑᲠᲐᲚᲐᲓ ᲔᲓᲔᲑᲐᲗ 6 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲜᲗᲣ-ᲨᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲐ ᲡᲔᲜᲢ-ᲝᲜᲝᲠᲔᲡ ᲕᲘᲛᲙᲐᲠᲗᲐᲜ.

ᲠᲝᲑᲘᲚᲘᲐᲠᲐᲓ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲤᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲘ ᲐᲜᲔᲨᲘ, ᲑᲝᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ — 9 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ (ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲝᲜᲔᲡᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ) — ᲑᲠᲐᲚᲘ ᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ „ᲛᲘᲘᲗᲕᲘᲡᲐ 19 ᲡᲔᲢᲘᲔ[2] ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ, 12 ᲤᲠᲐᲜᲙᲐᲓ ᲡᲔᲢᲘᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲓᲐ“.

---

[1] Ე. Ო. ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲪᲘᲝ ᲓᲐᲪᲕᲔᲚ.

[2] ᲡᲔᲢᲘᲔ — ᲤᲮᲕᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲗᲮᲔᲕᲐᲓ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲖᲝᲛᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲔᲢᲘᲔ — 156 ᲚᲘᲢᲠᲘ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘᲐ.

ჟან ბატისტ პაონი, ხარაზი, ბერეეროს მკვიდრი ფრანშ-კონტეში, რამოდენიმე დღეა, რაც პარიზში იმყოფება — 9 მაისს მოათავსეს დიდ შატლეში; მათხოვარი, შეიპარა პუენ დიუ ეურის წისქვილში ბელვილის მახლობლად] გაქურდვის მიზნით; მოუსწრეს, როცა ხელში ეჭირა რამდენიმე ნატეხი პური, წარდგენილია პოლიციის კანცელარიაში.

[მარია არბო, ბაიეს ქვრივი, — 5 მაისი — ყვირილისათვის „პური!“ ფრანსუა გატინე — 5 მაისი — ხმაურისათვის საფუნთუშეს კართან.

ანტუან კატერინი, ჟან ლე ბრენი — 5 მაისი — წინააღმდეგობა გაუწია ფრანგულ გვარდიას.

ჟენევიევა ტალბო, მარგარიტა ერმონი — 7 მაისი, — ისინი შეიცნეს, როგორც მონმარტრზე მდებარე წისქვილის გამძარცველთა თანამონაწილენი.

ჟილბერად წოდებული, 54 წლის, სენ-პურსენის მკვიდრი ოვერნში, მიწის მუშა, 6 მაისი, შფოთიანი მეამბოხე სიტყვების წარმოთქმისათვის ბაზარზე.

ანტუან დე ფრენი, 48 წლის, ობერვილიეს მკვიდრი, მჭედელი, — 5 მაისი, — ბრალი ედება ხორბლეულის გატაცებაში შარელმანთან ბობინიიში.

ფრანსუა ლუვე, ზედმეტი სახელით, „ბურგუნდელი“, 47 წლის, დარაჯი ბურგუნდის ქუჩაზე, — 3 მაისი] — მოითხოვდა პურს 2 სუდ გირვანქას ბიუსის ქუჩის მეფუნთუშისაგან.

მიშელ პრიერი, 23 წლის, პარიზის მკვიდრი, მცხოვრები ლაპის ქუჩაზე სენტ-ანტუანის გარეუბანში, დურგლის ქვეოსტატი, მეავეჯე და პარიზის ბატალიონის ჯარისკაცი: შარლ-ანდრე ლეგე, 26 წლის, ლა ბასეს მკვიდრი სენ-ვასტას სამრეველოში, უსახლკარო, ქვისმთლელი; ჟან ბედო ანუ ბიდო, 24 წლის, სან-პიერ ლე მუტიეს მკვიდრი ნეევერის დიოცეზში, პურის მცხობელის ქვეოსტატი; უმუშევარი და უსახლკარო ფილიპი; ჟოზეფ ბონდო, 28 წლის, ავენის მკვიდრი კამბრეს დიოცეზში, ნიჟარების გამყიდველი, მცხოვრები ვინმე პულენთან, ნიგვზის გამყიდველთან, ტურნელის ქუჩაზე, — 6 მაისი, — ბრალი ედებათ, რომ წარმოთქვამდნენ მეამბოხურ სიტყვებს. შეურაცხყოფდნენ საფრანგეთის გვარდიას და მოითხოვდნენ პურს 2 სუს ფასად გირვანქას.

[6 მაისს, ფორ-ლეევეკის ციხეში მოიყვანეს ჩვიდმეტი კაცი] — ისინი დააკავეს, როგორც საეჭვო პირები პალე-რუაიალის ქუჩაზე. ზოგი კომბლებით იყვნენ შეიარაღებულები, სხვები კი — მაწანწალები, უსახლკარონი, უტიფრები და ჩხუბისთავები.

[მარია-ფრანსუაზა პრუ, კოკარის ქვრივი, 40 წლის და მარგარიტა პრუ, 30 წლის — ქვის მთლელის კორნიუს ცოლი, მცხოვრებნი კრეტეილში, — 6 მაისი, — შარანტონის ციხე] — 5 მაისს გაძარცვეს ფერ-

ნერი კრეტეილში. დატუსაღების დღეს გაემგზავრნენ ალფორში, ხორ-ბლის საწყობის გასაძარცვავად. რომელიც პარიზის მომარაგებისათვის იყო განკუთვნილი.

[ფრანსუა ანრი, 18 წლის, პიერფიტის მკვიდრი ლანგრის დიოცეზ-ში. ქვეოსტატი მარტენთან, მჭედელთან სიუსიში; ჟაკ-ჟან კურანი, 19 წლის, ლანიის მკვიდრი, ლემერის—ცელებისა და ნამგლების მჭედლის შეგირდი: ჟან-ფრანსუა კამო, 16 წლის, ქვის მთლელის დამხმარე სიუ-სიში, — 6 მაისი, — შარანტონის ციხე] — ისინი შეიპყრეს როცა ტომრებითა და მაზიდით (ურიკით) მიდიოდნენ შუაზის მახლობლად მდებარე ჰოსპიტლის ფერმის დასარბევად; მათი განცხადებით, თითქოს პატრონებმა უბრძანეს წასულიყვნენ იქ პურის წამოსაღებად, 12 ლივ-რად სეტიე; მათ აღიარეს აგრეთვე, რომ წინადღით გაიტაცეს ხორბალი სიუის ფერმერ, ხიერ ბერნარისაგან.

[1, გვ. 128—130]

ლუი მარეს დაკითხვის ოქმიდან 1775 წ.

ამონაწერი სანლისში განლაგებულ პარიზის გენერალიტეტის („სამარ-შლო") ცხენოსანი პოლიციის კანცელარიის საბუთებიდან.

დოკუმენტი აღმოაჩინა ვ. ს. ლიუბლინსკიმ ბასტილიის არქივის ქა-ღალდებში: მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელ-მწიფო საჯარო ბიბლიოთეკის არქივი.

სანლისის სისხლის სამართლის სამმართველოში... ჩვენ, კეთილშო-ბილმა შარლ-გაბრიელ დე ლა ბალმმა, კავალერიის კაპიტანმა, ცხენო-სანი პოლიციის მეთაურმა, — ამავე პოლიციის ასესორისა და ჩვენი მუდმივი მწერლის ჟაკ-ოგიუსტენ დე ბრეს დახმარებით... გამოვიწვი-ეთ ციხიდან ლუვრის[1] ბრიგადის მიერ ამა თვის სამ რიცხვში დაკავებუ-ლი, როგორც სახალნო მღელვარების გამომწვევი პიროვნება; ის გადა-იყვანეს საპყრობილეში ამა წლისა და აღნიშნული თვის 4 რიცხვში და ჩაიწერა ოქმში ლუი მარეს სახელით (აღწერილია გარეგნობა); იგი უნ-და გასამართლებულიყო პრევოტალური წესით[2] და უკანასკნელ ინს-ტანციაში.

იგი 42 წლისაა, ქვის მთლელია, მკვიდრი და ბინადარი ლიუზარშისა.

...მან აღიარა, რომ მართლაც, აღნიშნულ დღეს, მრავალ სხვა გლეხ-თან ერთად, მაგრამ არა მისი მეთაურობით, გაემართა ლიუზარშიდან

---

[1] იგულისხმება არა სასახლე, არამედ დაბა — მდებარე დაახლოებით 17 კმ პა-რიზის ახლანდელი საზღვრიდან.

[2] გასამართლება პრევოტალური წესით, გამარტივებული პროცედურით ხორ-ციელდებოდა განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ლუვრში იქ ხორბლის მიღების მიზნით, რომელიც, როგორც მას უთხრეს, ღირდა მხოლოდ 12 ლივრი. [ჯერ მან აიღო სამი მინოტა[1] ბრანდენის ფერმაში, შემდეგ იმედი ჰქონდა, რომ] რენართან მიიღებდა კიდევ სამ მინოტას; მან დაინახა, რომ ქალების უმრავლესობას მიაქვთ ხორბალი უფასოდ, ამიტომ დადგა ზემოთ დასახელებული რენარის დასთან ერთად სახლის კარებთან, რათა აეძულებია გლეხები. რომელთაც იქიდან ხორბალი გამოჰქონდათ, გადაეხადათ 12 ლივრის ანგარიშიდან სეტიეზე... მას არასოდეს არ განუცხადებია, თითქოს რაიმე მიწერილობა ჰქონდა... მაგრამ ნამდვილად პასუხობდა, რომ მოწერილობა სჭირდება არა მეტად ვიდრე იმათ, ვინც ძარცვას ეწეოდა მონსინიორ, პრინც კონტის მიწაზე, და რომ, ყველაფერთან ერთად, გაჭირვება ადამიანს ბევრ რასმეს ჩაადენინებს; ის წერა-კითხვის მცოდნე არ არის, უწინ დაპატიმრებული არ ყოფილა. საჭიროა ყოველივე ეს ეცნობოს სამეფო პროკურორს.

კანცელარისტის ჩანაწერი ამ ამონაწერის გაცემის შესახებ 22 ივნისს.

[1, გვ. 130—131]

მუშების აჯანყება სენტ-ანტუანის გარეუბანში რეველიონის ფაბრიკაში, ამ ამბების მომსწრე დემიშელის აღწერით

პარიზი, 28. IV, 1789 წ.

რა თქმა უნდა, თქვენ გახსოვთ ვინმე რეველიონი, შპალერებით მოვაჭრე, რომელთანაც სამსახურში უნდა ჩავმდგარიყავი; ამბობენ, მან გამოიჩინა გაუფრთხილებლობა და წამოაყენა წინადადება, რათა მუშებს მიეცეთ 5 სუ დღეში, რამაც აჯანყება გამოიწვია. ამ ამბოხებამ გუშინ მთელი პარიზი შეაძრწუნა. რეველიონი ცხოვრობს სენტ-ანტუანის გარეუბანში. იქაურ მუშათა უზარმაზარი ბრბო, რომელიც 1200 კაცს აღემატებოდა, მიაწყდა მის სახლს და იქ ყველაფერი გაძარცვა. შემდეგ ჩალიდან ფიტულა გააკეთეს, რომელსაც მთელ პარიზში დაატარებდნენ, ხოლო შემდეგ ჩამოჰკიდეს გრევის მოედანზე; სენტ-ანტუანის გარეუბანში ფრანგული გვარდიის ბატალიონი გაიგზავნა. ყველა ვაჭრებმა დაკეტეს თავიანთი დუქნები, მაგრამ უბედური შემთხვევების შესახებ ჯერ არა ისმის რა.

პარიზი, 30. IV, 1789 წ.

ამბოხებას, რომლის შესახებაც გატყობინებდით ჩემს უკანასკნელ წერილში და რომელიც დასაწყისში ხუმრობას ჰგავდა, შემდეგ მეტად

---

[1] მინოტა — ფხვიერი ნივთიერების ზომა ძველ საფრანგეთში. დაახლოებით 39 ლიტრი ხორბალია.

სერიოზული შედეგები მოჰყვა. მე არ ვიცოდი, რომ ორშაბათ საღამოს ეს ბრბო ვერ შეიჭრა რეველიონის სახლში და მიაშურა ვინმე ანრი ისელიტროვარის სახლისაკენ, რომელიც, როგორც ამბობენ, რეველიონის შეხედულებებს იზიარებდა. ბრბომ დაამსხვრია მის სახლში მთელი ავეჯი, ერთად მოუყარა თავი და ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლში ყრიდნენ ძვირფასეულობას, ვერცხლის ჭურჭლებს, ფულებსაც კი და ამ პირველი წამოწყების შემდეგ, მოჰყვნენ ხეტიალს მთელ ქალაქში, როგორც ამის შესახებ გაუწყეთ. მეორე დღეს, სამშაბათს, ამბოხება განახლდა, მას მოემატა მაშველი ძალა 400 თუ 500 ადამიანი სენმარსოს გარეუბნიდან, შეიარაღებულნი კომბლებითა და ქვებით. გაგზავნილ იქნა შეეიცარული და ფრანგული გვარდიის რამდენიმე რაზმი, გამოვიდა აგრეთვე ცხენოსანთა ლეგიონის ერთი ესკადრონი; ჩაყენეს გუშაგები პურის ბაზარზე და ხაზინის მახლობლად.

დილის 10 საათსა და შუადღის 1 საათს შორის დაიწყო ძარცვაგლეჯა, რომელიც ღამის 10 საათამდე გრძელდებოდა. როცა მოახლოვდა ფრანგული გვარდიის 50 გრენადერისაგან შემდგარი რაზმი, რათა მოეჭრა მიმოსვლა წმინდა ანტუანის ქუჩისა და მონტრეის ქუჩის შორის, სადაც რეველიონი ცხოვრობს, ბრბომ ჯარისკაცებს ქვები დაუშინა; მაშინ რაზმი მარჯვნივ შემობრუნდა და პირველად ცარიელი ბათქი გაისროლა; როცა შეტევა განახლდა, მაშინ ჯარისკაცებმა დატენეს თოფები და ტყვიებით სროლა დაიწყეს. ორი კაცი ქვაფენილზე დარჩა და მოედანიც იმ წუთშივე დაცარიელდა. შემდეგ აჯანყებულებმა გატეხეს კარი, დაიმალნენ კომპანიონების სახლებში, ავიღნენ სახურავებზე, ესროდნენ ჯარისკაცებს იქედან კრამიტებს და მრავალი მათგანი მძიმედ დააშავეს. შემდეგ ამბოხებულნი მთელ გარეუბანში გაიფანტნენ, ისინი ყველგან აიძულებდნენ მუშებს დაეტოვებინათ სახელოსნოები და მათ შეერთებოდნენ; ასევე აიძულებდნენ ისინი მათ შეერთებოდნენ ყველა იქ მყოფ ცნობისმოყვარეს ან იმათ, ვინც იმ დროს თავის საქმეებზე იმყოფებოდა ამ გარეუბანში. ისინი დარწმუნდნენ, რომ ვერ შეაღწევდნენ რეველიონის სახლამდე მონტრეის ქუჩიდან, ამიტომ აჯანყებულთა ნაწილმა შემოუარა და შევიდა სახლში ბაღის მხრიდან. მათ იქ ყველაფერი გააოხრეს და გაანადგურეს. გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვი რომ საფრანგეთში ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწარმოს ზარალი დაახლოებით 300 ათასი ან 400 ათასი ლივრია. მათ ყველაფერი დაწვეს, მიაღწიეს სარდაფს, სადაც დათვრენ ღვინით და კიდევ უფრო გამძვინვარდნენ. ამ ძარცვაგლეჯის დროს სროლა გაძლიერდა...

დაიძრა ახალი ჯარები ფინდიხით დატენილი ზარბაზნებით. მაგრამ ისინი არ აუმოქმედებიათ. შეუძლებელია ზუსტად და დაწვრილებით გიამბოთ ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა. გარეუბნის ყოველი კვარ-

ტალი საზარელი სცენების მოწმე იყო. ბოლოს, ღამის 10 საათისათვის, ყველაფერი მიწყნარდა. რამდენიმე ეს ვიგინდარა ისე გამოთვრა რეველიონის სარდაფში, რომ იქვე დაიძინა. იქ დააპატიმრეს 26 კაცი. მათ ხელ-ფეხში ხუნდები გაუყარეს; მათ შორის ზოგს დაღი აღმოაჩნდა სხეულზე. გუშინ ხმა გავარდა, თითქოს 15 მათგანი უკვე ჩამოაღრჩეს, ხოლო დანარჩენებს დღეს ჩამოაღრჩობენო.

გუშინ დილით გაცემულ იქნა განკარგულება, რათა გამოსულიყო მთელი ლეგიონი. გამრავლდა და გაორკეცდა საგუშაგოების რაოდენობა, რადგან ხმა დაირხა, რომ ისინი აპირებენ პრინც კონტის და პრინც ბურბონის სასახლეების დარბევა-აწიოკებას. პრინცები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ. სასახლეების დასაცავად მათ მიეცათ შეეიცარიული გვარდიის ორი რაზმი.

სამშაბათს დაბინდებისას, ქალაქში შეკრებილი ბრბოები აჩერებდნენ ეტლებს, აიძულებდნენ ბატონებსა და მათ მსახურებს ეძახნათ: „გაუმარჯოს მეფეს“, „გაუმარჯოს ბატონ ნეკერს“, „გაუმარჯოს მესამე წოდებას“ და თან მოითხოვდნენ მათგან ფულს. გუშინ დილით სიწყნარე სუფევდა, მაგრამ ყველა მოედანზე განლაგებულ ხიშტიანი ჯარისკაცების სანახაობა ამაზრზენი და შიშისმომგვრელი იყო.

ჩემამდე მოღწეული ხმების მიხედვით ვფიქრობ, რომ ამ აჯანყებაში მოკლული და დაჭრილია არა ნაკლებ 200 კაცისა. ვერ გამიბედნია გავიმეორო, რომ საერთო აზრით, ეს მაწანწალები მოსყიდულნი არიან. მე მიმაჩნია, რომ ეს საშინელი და ყოვლად გაუმართლებელი ბოროტმოქმედებაა. მაგრამ მთავრობის მიერ მიღებული სიფრთხილის ზომები თითქოს გვიმტკიცებენ, რომ მთავრობისათვის ეს შავბედითი შეთქმულება ცნობილი იყო. არ გადმოგცემთ ყველა იმ ანეგდოტს, რომელთაც მათივე გამომგონებლები ავრცელებენ. ასეთია, მაგალითად, ჩემი მოწაფის მამიდის, ერთი წარჩინებული ქალის სალონში, სტუმრობის დროს აბატის მიერ მოთხრობილი ანეგდოტი. მან მოყვა, რომ წინასწარ გამოფინეს რამდენიმე პლაკატი წარწერებით. სადაც მოუწოდებდნენ საძულველი თავად-აზნაურობისა და საზიზღარი სამღვდელოების განადგურებისაკენ. იქვე ეწერა, რომ 250 ათასი ადამიანი მზად არის ისინი მსხვერპლად შეწირონ ერსა და თავისუფლებას. მე ცდუნებამ ამიტანა და ლამის არ დავიჯერე ცნობა ამ პლაკატების ეპიტეტების შესახებ...

პარიზი, 2. V, 1789 წ.

აჯანყება სრულიად ჩაწყნარდა, ჩამოაღრჩეს მხოლოდ 2 ადამიანი, და არა თხუთმეტი, როგორც გუშინ გაუწყებდით. დაპატიმრებულთა რაოდენობა ერთობ დიდია, ამტკიცებენ, რომ მრავალ მათგანს აღმოაჩნდა თითქმის ერთი და იგივე ოდენობის ფული, და ამ საფუძველზე

შესაბამისი დასკვნები გამოჰყავთ. ეს აჯანყება გავრცელდა ორლეანში და მიაღწია პროვანსამდეც კი...

[1, გვ. 131—133]

(3) პოლიტიკური რეაქციის ზრდა

დ. ი. ფონვიზინი ფრანგული აბსოლუტიზმის შესახებ

ფრანგი ერის მდგომარეობის შესწავლისას, მივეჩვიე განვასხვავო კანონით ბოძებული თავისუფლება ნამდვილი თავისუფლებისაგან... თუმცა მეფე შეზღუდულია კანონებით, მაგრამ მის ხელშია მთელი ძალა-უფლება და, მაშასადამე, ამ კანონების დარღვევის შესაძლებლობაც. „მიწერილობა დაპატიმრების შესახებ"[1] სახელობითი ბრძანებულებებია, რომელთა ძალით მეფეს შეუძლია თავისი ქვეშევრდომი გადაასახლოს ან დააპატიმროს ისე, რომ მიზეზის კითხვას ვერავინ გაუბედავს; ათასი მაგალითი ამტკიცებს, თუ როგორ იოლად დასცანცლავენ ხოლმე მეფეს ამ სახელობით ბრძანებულებებს. ყოველი მინისტრი დესპოტია თავის დეპარტამენტში. მისი ფავორიტები სარგებლობენ სრული თვითნებობით და თავის ფავორიტებსაც თვითნებობის შესაძლებლობას აძლევენ. საფრანგეთში მე ვიხილე ის, რაც დანახული მქონდა სხვა ადგილებში. თითქოს ყველა ადამიანი მხოლოდ იმისთვისაა შექმნილი, რომ ყოველი მათგანი იყოს ან ტირანი, ან მსხვერპლი. უუფლებობა საფრანგეთში მით უფრო მკაცრია, რომ იგი უშუალოდ მომდინარეობს მთავრობისაგან და ყველაზე ვრცელდება. ხშირი და მძიმე გადასახადები ამდიდრებენ მხოლოდ გაუმაძღარ უფროსებს, მმართველებს. ვერავინ ბედავს ხმა აღიმაღლოს ამ შევიწროებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, თუ არ სურს საშიშროებაში ჩავარდეს. ორთაგან ერთი უნდა აირჩიოს: ან გადაიხადოს, ან ციხეში ჩაჯდეს... ყოველი იქცევა, როგორც უნდა.

პროვინციებში ხალხი კიდევ უფრო უბედურია, ვინემ დედაქალაქში, მისი ბედი ინტენდანტის ხელშია, მაგრამ ვიღაა ეს ინტენდანტი? ქურდი, რომელსაც შეუძლია ანგარიშმიუცემლად ძარცვოს პროვინცია. რაც უფრო ძვირი დაუჯდა მას სასახლისაგან პრივილეგიების მოპოვება, მით უფრო სამძიმოა იგი ხალხისათვის. ყოველი მათგანი თავის ხელობას იმითი იწყებს, რომ ხელში ჩაიგდებს პურის იჯარას (პურით ვაჭრობის მონოპოლიას), პური კი ადამიანების უპირველესი მოთხოვნილების საგანია. იგი აიძულებს მცხოვრებლებს იყიდონ მისგან ეს სასიცოცხლო საშუალება იმ ფასად, რაც მას მოეპრიანება.

მთელი საფრანგეთი იჯარითაა გაცემული. შეუძლებელია რამდენიმე ნაბიჯით გასცდე პარიზს, რომ უკან დაბრუნებისას არ გაგაჩერონ

[1] Les lettres de cachet.

საბაჟოში. თითქმის ყველა საქონლისათვის, რაც ქალაქში შემოდის იმდენ ბაჟს იხდიან, რაც ღირს თვით ეს ნივთი.

სახაზინო შემოსავლის მეორე წყარო საფრანგეთში — ჩინებისა და თანამდებობათა გაყიდვაა. ეს უზომო სიბოროტეა, უბედურ დროს გამოგონილი, როცა ვერსალს არსაიდან ჰქონდა საშუალება მიეღო ფული გადაუდებელი და არსებითი სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად. წარმოშობითა და სულით მრავალი ბილწი ადამიანი ყიდულობდა ხალხის ჩაგვრისა და შევიწროების ამ უფლებასა და საშუალებას.

[1, გვ. 133—134]

ლუი სებასტიან მერსიე პოლიტიკური რეაქციის შესახებ

ლუი სებასტიან მერსიე (1740 — 1814 წწ.) — ცნობილი ფრანგი მწერალი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა XVIII ს. საფრანგეთის რევოლუციის იდეურ მომზადებაში.

1663 წელს პარიზის პარლამენტმა ბრძანა ცოცხლად დაეწვათ სიმონ მორენი იმისათვის, რომ მან თავისი თავი იესო ქრისტეს თანაბარსულოვნად გამოაცხადა. ამ უმსგავსო ბარბაროსობას ადგილი ჰქონდა ლუი XIV-ის მშვენიერ ხანაში, იმ დროს, როცა მეფე შესანიშნავსა და მდიდრულ ნადიმებს მართავდა.

ამჟამად მოსამართლეთა მოქმედებას თვალყურს ადევნებენ და არც ერთი მათი უსამართლო ქცევა საზოგადოებრივი განკიცხვის გარეშე არ რჩება. ახლა როდესაც იგივე პარლამენტმა უბედურ დე ლა ბარს[1] სიკვდილი მიუსაჯა, — ამ საზარელ განაჩენს აღშფოთების შეძახილებით შეხვდნენ, ამიტომ მსხვერპლი ჯალათებს გადაურჩა, ხოლო მოსამართლეებისადმი ყველამ მეტი ზიზღი იგრძნო, ვიდრე ინკვიზიციის ტრიბუნალისადმი...

როცა მთელი ევროპა იწონებს რაიმე წიგნს, როცა ყველა კითხულობს ამ წიგნს და აღტაცებულია შიგ გამოთქმული ახალი, მკვეთრი და სამართლიანი იდეებით, — გამოდის პროკურორი, ადგენს უმეცარ საბრალდებულო აქტს, აღჭურვილს მაღალფარდოვანი გამოთქმებით და, ჟურნალისტების მსგავსად, ამოწერს წიგნიდან ხაზგასმით რამდენიმე ფრაზას. წიგნს მიუსჯიან დაწვას მთავარ კიბესთან ან სენ-ბარტელემის კიბესთან, რადგან მას მწვალებლურ-ერეტიკულ ნაწარმოებად აღიარებენ...

[1, გვ. 134 — 135]

---

[1] 20 წლის კავალერი დე ლა ბარი არ მიესალმა რომელიღაც რელიგიურ პროცესიას და თითქოს შეაგინა ჯვარცმას, რისთვისაც 1766 წელს მას მიესაჯა ხელების მოჩეხვა, ენის ამოგლეჯა და თავის მოკვეთა.

4. აღმავალი ბურჟუაზიისა და ხალხთა მასების იდეოლოგია

ვოლტერის ბრძოლა კათოლიციზმისა და ეკლესიის წინააღმდეგ

ო. ზეცავ! ეს რა ღმერთია, რომელსაც კომენტარები სჭირდება და რომელსაც მუდამ აიძულებენ ილაპარაკოს ხან რაიმეს დასაცავად, ხან კი ამისვე დასათრგუნავად?! ეს რა კანონმდებელია, თუ მას არა დაუწერია რა? ეს რა ოთხი საღვთო წიგნია, რომელთა დაწერის დრო გაურკვეველია, ავტორები კი, მეტად არასარწმუნონი არიან და ყოველ გვერდზე თავიანთ თავს ეწინააღმდეგებიან?..

გაბედავთ კი თქვენ უარყოთ თქვენი კერპთაყვანისმცემლობა, თქვენ, რომელნიც... საღვთო პატივსა სდებთ ერთ გუნდა ცომს და თვითონვე მალავთ მას პატარა ყუთში, თაგვების შიშით? თქვენი რომაელი კათოლიკეები თავიანთ კათოლიკურ უგუნურობაში იქამდე მიდიან, რომ ცომის ამ გუნდას ღმერთად აქცევენ რამდენიმე ლათინური სიტყვის ძალით და ამ პურის ყოველი ნამცეცი იქცევა სამყაროს შემქმნელ ღმერთად? მღვდლად შემოსილი გაიძვერა, მასხარას ტანსაცმელში გამოწყობილი ბერი... გამომეცხადება და ბუტბუტებს უცხო ენაზე იმას, რასაც თქვენ მესას უწოდებთ და... შეთხზავს იმდენ ღმერთს, რამდენიც მოეპრიანება, შეჭამს და შესვამს მათ, ხოლო შემდეგ ყოველივე ამას ღამის ქოთანში მოათავსებს! და თქვენ არ აღიარებთ, რომ ეს არის ყველაზე საზარი და ყველაზე სასაცილო კერპთაყვანისმცემლობა, რომელსაც კი ოდესმე წაუბილწავს ადამიანის ბუნება? ‘ეიძლება, თუ თავს არ მოისულელებ, წარმოიდგინო, რომ თეთრი პური და შავი ღვინო ღმერთებად გარდიქმნებიან?..

მართლაც, აქ ბევრი უაზრობაა, მაგრამ ნიშანწყალიც არაა ღვთაებრიობისა. ჩემის აზრით, ქრისტიანობა ძალიან იოლად წარმოიქმნა მოსასლეობაში, ისევე როგორც ანაბატისტებისა და კვაკერების სექტები, ისევე როგორც წარმოიშვენ წინასწარმეტყველები ევარესა და სევენიდან, ისევე როგორც იზრდება ახლა კონვულისიონერების ჯგუფი. საქმე იწყება ექსტაზიდან, ხოლო მას ამთავრებს და აგვირგვინებს თაღლითობა; რელიგიაზე იგივე ითქმის, რაც თამაშზე:

იწყებენ ბრიყვებით,
ამთავრებენ შულერებით.

...ეკლესიას ყოველთვის უნდოდა თავისი ძალაუფლების გაფართოება. იგი არაფერს არ ერიდებოდა, ოღონდ წაერთმია ჩვენთვის ქონება და თვით ცხოვრება... ეკლესიის ისტორია — ეს მოტყუების, დავის, შევიწროების, გაიძვერობის, ძალადობისა და მკვლელობის განუწყვეტელი ჯაჭვია; ეს ამტკიცებს, რომ ბოროტმოქმედება თვით მის ბუნე-

ბაშია, ისევე, როგორც დამტკიცებულია, რომ მგელი ყოველთვის მტაცებელი იყო და ჩვენი ცხოვრების სისხლს სვამდა არა რაიმე შემთხვევით გარემოებათა, არამედ თავისი ბუნების გამო.

რელიგია მხოლოდ... ბოროტებას წარმოშობს...

საითაც არ გაიხედავთ, დაინახავთ, რომ მღვდლები მუდამ ხოცვა-ჟლეტას ქადაგებდნენ.

ყველაზე უაზრო ყოველგვარი დესპოტიზმისაგან, ყველაზე დამამცირებელი ადამიანის ბუნებისათვის, ყველაზე მავნე და შეუსაბამო — მღვდლების დესპოტიზმია; ხოლო ყველა ქურუმთა ბატონობაზე უარესი — ეს, უდავოდ, ქრისტიანული ეკლესიის მღვდელთა ძალა-უფლებაა.

რაა ელი გასაგებია, როგორ ხდება რომ წმინდანები, რომელთაც თავმდაბლობის, მორჩილებისა და უბიწოების ფიცი დასდეს, ფლობენ მთელს სახელმწიფოს ჩვენს სახელმწიფოში და ბატონობენ მონებზე, რომელთაც თავიანთ „მკვდარ ხელებს"[1] უწოდებენ.

მე მიმაჩნია, რომ ძალიან ადვილია ყველა იმ ცრურწმენათა თანდათანობით აღმოფხვრა, რომლებმაც ჩვენ ცხოველებად გადაგვაქცია. უკვე კუდიანების აღარ სჯერათ, აღარ განდევნიან ჭინკებს და თუმცა ნათქვამია, რომ იესომ მოციქულები გამოგიგზავნათ სწორედ ეშმაკეულის განდევნისათვის, მაგრამ არ მოიძებნება არც ერთი იმდენად შეშლილი და სულელი მღვდელი, რომელიც დაიკვეხნის, რომ შეუძლია ეშმაკეულის განდევნა. წმინდა ფრანსუას რელიკვიები სასაცილოა, წმინდა ეგნატეს რელიკვიები, ალბათ, მალე ტალახში ეგდება იეზუიტებთან ერთად...

[1, გვ. 135—136]

ჟან-ჟაკ რუსოს პოლიტიკური შეხედულებანი

ფრაგმენტები რუსოს ნაწარმოებიდან „საზოგადოებრივი ხელშეკრულებისათვის"

წიგნი პირველი

თ ა ვ ი 1. **პირველი წიგნის საგანი.** ადამიანი თავისუფალი იბადება, მაგრამ ყველგან ბორკილებშია...

როცა ხალხი მორჩილია, ის კარგად იქცევა, მაგრამ როგორც კი მას

---

[1] „მკვდარი ხელები" ანუ „მენმორტაბლები" — სასულიერო და საერო ფეოდალებზე დამოკიდებული გლეხები რევოლუციამდელ საფრანგეთში, რომელთაც განსაკუთრებით მძიმე საგადასახადო ტვირთი აწვათ. გლეხთა ამ კატეგორიის უფლებები, მაგალითად ქონების ფლობასა და მემკვიდრეობაზე, ქორწინებაზე, სასამართლოში მონაწილეობაზე შეზღუდული იყო არისტოკრატიის, კათოლიკური ეკლესიისა და სასულიერო კორპორაციების მხრივ.

ეძლევა შესაძლებლობა მოიძროს ბორკილები, იგი მისგან თავისუფლდება და კიდევ უფრო უკეთესად იქცევა. რადგან ხალხი თავისუფლებას იგივე უფლებით იბრუნებს, რა უფლებითაც იგი წაერთვა. მას აქვს უფლება მისი დაბრუნებისა, რადგან მისთვის მისი (უფლებების) წართმევის არავითარი საფუძველი არ არსებობდა. მაგრამ საზოგადოებრივი წესწყობილება წმინდათაწმიდა უფლებაა, რომელიც ყველა სხვა უფლებათა საფუძველია, ამასთანავე ეს უფლება ბუნებით როდია ბოძებული, იგი შეთანხმებებზეა დამყარებული. საკითხი მხოლოდ იმაშია, თუ როგორია ეს შეთანხმებები.

თ ა ვ ი 4. **საზოგადოებრივი ხელშეკრულებისათვის.** მე ვგულისხმობ ადამიანებს იმ საფეხურზე, როდესაც ბუნებრივი მდგომარეობის შენარჩუნების ხელისშემშლელი პირობები აღარ აძლევენ მათ შესაძლებლობას შეინარჩუნონ ეს მდგომარეობა. ასეთ ვითარებაში პირველყოფილი მდგომარეობა უკვე ვეღარ იარსებებს; და ადამიანთა გვარი მოისპობოდა, რომ მათ არ შეეცვალათ ცხოვრების წესი.

მაგრამ რადგან ადამიანებს არ ძალუძთ ახალი ძალების შექმნა, და მხოლოდ უკვე არსებული ძალების გაერთიანება და მათი წარმართვა შეუძლიათ, ამიტომ მათ რჩებათ თავდაცვის მხოლოდ ერთი საშუალება — შექმნან გაერთიანების გზით ძალთა ისეთი ჯამი, რომელიც დაძლევს ამ წინააღმდეგობას, გაუკაფავს მათ გზას ერთიანი მამოძრავებლის დახმარებით და აიძულებს მათ იმოქმედონ შეთანხმებულად.

ძალთა ეს რაოდენობა შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ მრავალი ადამიანის ერთობლივი მონაწილეობის გზით; მაგრამ თუ ძალა და თავისუფლება ყოველი ადამიანის თავდაცვის უპირველესი საშუალებაა, მაშინ როგორ დათმობს ის ერთსა და მეორეს საკუთარ თავზე ზრუნვის უგულებელყოფის გარეშე? სწორედ ეს სიძნელე წარმოადგენს ჩემი გამოკვლევის საგანს და შეიძლება გამოითქვას შემდეგნაირად:

მოიძებნოს ასოციაციის ისეთი ფორმა, რომელიც დაიცავს და შეინახავს ერთობლივი ძალით ყოველი მონაწილის პიროვნებასა და ქონებას და რომელშიც ყოველი, სხვებთან გაერთიანებული, დაემორჩილება თავის თავს მაინც და ისეთივე თავისუფალი დარჩება, როგორიც უწინ იყო. ასეთია ძირითადი პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყვიტოს საზოგადოებრივმა ხელშეკრულებამ...

წ ი გ ნ ი მ ე ო რ ე

თ ა ვ ი I. **იმის შესახებ, რომ სუვერენინეტი განუსხვისებელია.** პირველი და უმნიშვნელოვანესი დასკვნა ზემოჩამოყალიბებული პრინციპებიდან ისაა, რომ მხოლოდ საერთო ნებას შეუძლია მართოს

სახელმწიფოს ძალები იმ მიზნის თანახმად, რომლისთვისაც შექმნილია სახელმწიფო და რომელიც საერთო კეთილდღეობაში მდგომარეობს. რადგან თუ ინტერესთა დაპირისპირებამ შექმნა საზოგადოებათა ჩამოყალიბების აუცილებლობა, თვით ამ საზოგადოების წარმოქმნა შესაძლებელი გახდა ამავე ინტერესების შეთანხმების გზით. საზოგადოებრივ კავშირს ქმნის ის, რაც საერთოა ამ სხვადასხვა პირად ინტერესებში და რომ არ არსებობდეს ისეთი რამ, რაც ყველა მხარეს აერთიანებს, ვერავითარი საზოგადოება ვერ იარსებებდა. საზოგადოება შეიძლება ვმართოთ მხოლოდ და მხოლოდ ამ საერთო ინტერესის საფუძველზე.

მე ვამტკიცებ, რომ რადგან სუვერენიტეტი მხოლოდ საერთო ნების განხორციელებაა, მისი განსხვისება არასდროს არ შეიძლება და სუვერენი მხოლოდ კოლექტიური არსებაა, რომელიც თავის თავს წარმოადგენს; შეიძლება ხელისუფლების გადაცემა, მაგრამ არა საერთო ნებისა. მართლაც, თუ არაფერია შეუძლებელი იმაში, რომ კერძო ნება რაიმე მხრით დაემთხვას საერთო ნებას, ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია, რომ ეს თანადამთხვევა ხანგრძლივი და მუდმივი იყოს, რადგან კერძო ნება, თავისი ბუნებით, მიისწრაფვის უპირატესობებისაკენ, ხოლო საერთო ნება — თანასწორობისაკენ...

თ ა ვ ი 2. **სუვერენიტეტის განუყოფელობის შესახებ.** იმავე საფუძვლით, რომლითაც სუვერენიტეტის განსხვისება არ შეიძლება, მისი გაყოფაც შეუძლებელია, რადგან ორთაგან ერთი — ნება ან საყოველთაოა, ან არა; ან ეს მთელი ხალხის ნებაა, ან მხოლოდ ერთი მისი ნაწილისა. პირველ შემთხვევაში ეს გამოცხადებული საერთო ნება სუვერენიტეტის აქტია და კანონს წარმოადგენს; მეორე შემთხვევაში — ეს მხოლოდ კერძო ნებაა ანდა მაგისტრატურის (თანამდებობის პირების) აქტი ან, თუ გნებავთ, — დეკრეტი.

მაგრამ რადგან ჩვენს პოლიტიკოსებს არ ძალუძთ გაყონ სუვერენიტეტი მის პრინციპში, ისინი მას ყოფენ ობიექტში. ისინი ყოფენ სუვერენიტეტს ძალად და ნებად — საკანონმდებლო და აღმსრულებელ ხელისუფლებად; გადასახადების გაწერის უფლებად და სასამართლოს, ანდა ომის გამოცხადების უფლებად; შინაგან ადმინისტრაციად და უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკების უფლებად; ისინი ხან ერთმანეთში ურევენ ყველა ამ შემადგენელ ნაწილებს, ხან კი ჰყოფენ მათ ურთიერთისაგან; სუვერენისაგან ისინი ქმნიან რაღაც ფანტასტიკურ არსებას, რომელიც სხვადასხვა ნაწილებისაგანაა შემდგარი. ეს იმას ემსგავსება, ადამიანი რომ სხვადასხვა სხეულებისაგან შევადგინოთ, რომელთაგან ერთს ექნებოდა მარტოოდენ თვალები, მეორეს — მარტო ფეხები, მესამეს — მარტო ხელები...

თ ა ვ ი 11. **კანონმდებლობის სხვადასხვა სისტემების შესახებ.** თუ

გამოვიკვლევთ, რაში მდგომარეობს ყველაზე უდიდესი სიკეთე, რომელიც ყოველი კანონმდებლობის მიზანი უნდა იყოს, აღმოვაჩენთ, რომ ეს სიკეთე შეიძლება ორ უმთავრეს საგანზე დავიყვანოთ: თავისუფლებაზე და თანასწორობაზე: თავისუფლებაზე — რადგან ყოველი კერძო დამოკიდებულება უდრის სახელმწიფო ორგანიზმიდან რაღაც ძალის წართმევას; თანასწორობაზე — რადგან თავისუფლება ვერ იარსებებს თანასწორობის გარეშე.

ეს უკვე მოგახსენეთ, თუ რაში მდგომარეობს სამოქალაქო თავისუფლება: თანასწორობა ისე როდი უნდა გავიგოთ, თითქოს ხელისუფლებისა და სიმდიდრის დონე ყველგან აბსოლუტურად ერთნაირი უნდა იყოს: რაც შეეხება ხელისუფლებას, ის არ უნდა იქცეოდეს ძალადობად და უნდა გამოყენებულ იქნას მხოლოდ გარკვეული მდგომარეობისა და კანონების მისედვით; ხოლო რაც შეეხება სიმდიდრეს — არც ერთი მოქალაქე არ უნდა იყოს ისე მდიდარი, რომ შეეძლოს მეორის ყიდვა, და არც ერთი არ უნდა იყოს ისე ღარიბი, რომ იძულებული იქნეს თავი გაყიდოს.[1]

ეს გულისხმობს ზომიერებას ქონებით სარგებლობაში და ზემოქმედების მოხდენაში წარჩინებულ ადამიანთაგან, ხოლო პატარა ადამიანებისაგან ზომიერებას სიხარბესა და შურში.

იტყვიან, რომ ეს თანასწორობა — განყენებული ქიმერაა, რომელიც სინამდვილეში ვერ იარსებებს; მაგრამ თუ ბოროტება გარდაუვალია, განა აქედან გამომდინარეობს, რომ მისი რეგულირება შეუძლებელია? სწორედ იმიტომ, რომ საგანთა ძალა მუდამ მიისწრაფვის თანასწორობის დარღვევისაკენ, კანონმდებლობის ძალა მუდამ უნდა იყოს მიმართული თანასწორობის დასაცავად.

[1, გვ. 136—139]

ჟან-მელიეს სოციალურ-პოლიტიკური იდეები

ფრაგმენტები მელიეს „ანდერძიდან"

ძვირფასო მეგობრებო! სიცოცხლისას ჩემთვის შეუძლებელი იყო აშკარად მეთქვა ის, რასაც ვფიქრობდი ხალხის მმართველობის სა-

---

[1] თუ თქვენ გსურთ სახელმწიფოს სიმტკიცე შემატოთ, — დაახლოვეთ უკიდურესი საფეხურები, რამდენადაც ეს შესაძლებელია; ნუ დაუშვებთ ნურც მდიდრებსა და ნურც ღატაკებს, ეს ორი მდგომარეობა, ბუნებრივად, ურთიერთისაგან განუყოფელია და ერთნაირად დამღუპველია საზოგადო სიკეთისათვის; ერთიდან გამოდიან ტირანიის დამნაშავენი, ხოლო მეორიდან ტირანები; მათ შორის მუდამ წარმოებს ვაჭრობა საზოგადო თავისუფლებით, ერთნი მას ყიდულობენ, მეორენი—ყიდიან (ჟან-ჟაკ რუსო).

შუალებასა და წესრიგზე, მათ რელიგიასა და ზნე-ჩვეულებებზე. — ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა მეტად საშიში და საეალალო შედეგები; ამიტომ გადავწყვიტე ყოველივე ეს მეთქვა სიკვდილის შემდეგ...

ამან მაიძულა გამომეთქვა ჩემი აზრები წერილობითი სახით და ამასთან ერთად ნათლად და დამაჯერებლად დამემტკიცებინა ყოველივე ის, რაც მწადია რომ გითხრათ. ჩემი მიზანია — შეძლებისდაგვარად თვალები აგიხილოთ, თუმცა ეს გვიანაა, და გაჩვენოთ ყველა ის უაზრო ცდომილებანი, რომელთა შორის ჩვენ წილად გვხვდა უბედურება დავბადებულიყავით და გვეცხოვრა; ცდომილებანი, რომელთა ხელისშეწყობის არასასიამოვნო მოვალეობა ჩემზე იყო დაკისრებული...

ასეთია ყველა ამ მაღალი წოდებებისა და ტიტულების წარმოშობის წყარო: სენიორი, მეფე, ხელმწიფე, მონარქი, მბრძანებელი; მათი მატარებლები განაგებენ თქვენს ბედს, ნამდვილად კი გჩაგრავენ, როგორც ტირანები. საზოგადო სიკეთის საბაბით გართმევენ, რაც კი გაგაჩნიათ საუკეთესო და მშვენიერი. თავიანთი ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის საბაბით გაიძულებენ გეშინოდეთ მათი, პატივი სცეთ და დაემორჩილოთ, როგორც ღმერთებს და ბოლოს, — სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ყველა სხვა დიდებისმოყვარულ სახელწოდებათა საწყისი: კეთილშობილი, აზნაური, გრაფი და სხვ., რომლებითაც, ერთი ავტორის თქმით, აღსავსეა დედამიწა. თითქმის ყველა ეს ადამიანი, მტაცებელი მგლების მსგავსად, თავიანთი უფლებებისა და ბატონობის საბაბით, გჩაგრავენ, ფეხით გთელავენ, გძარცვავენ, გართმევენ რაც კი კარგი რამ გაგაჩნიათ. ასეთია აგრეთვე საეკლესიო და სასულიერო ხელისუფლების ყველა, ვითომდა წმინდა და უწმინდეს პრივილეგიათა საწყისი და წარმოშობა, რაც ჩვენმა მღვდლებმა და ეპისკოპოსებმა მოიპოვეს თქვენზე...

პირველ ბოროტებას წარმოადგენს უდიდესი უთანასწორობა ადამიანთა მდგომარეობასა და ქონებას შორის. ერთნი თითქოს იმისთვის არიან დაბადებულნი, რომ დესპოტურად იბატონონ მეორეებზე და მუდამ ისარგებლონ ცხოვრების ყველა სიამოვნებით. სხვები, პირიქით, თითქოს იმისთვის არიან დაბადებულნი, რომ იყვნენ მათხოვრები, უბედურები, დამცირებული მონები და მთელი მათი სიცოცხლე იტანჯონ მძიმე შრომისა და გაჭირვების უღელქვეშ. ასეთი არათანასწორობა ძირფესვიანად უსამართლოა, რადგან ის როდია დაფუძნებული ერთთა დამსახურებაზე და მეორეთა დანაშაულზე. იგი საძულველია, რადგან, თუ ერთი მხრით ნერგავს სიამაყეს, მედიდურობას, პატივმოყვარეობას და თავგასულობას, მეორე მხრით წარმოშობს სიძულვილის, შურის, რისხვის გრძნობას, შურისძიების, ჩივილის და დრტვინვის წყურვილს. ყველა ეს გრძნობები შემდეგ იქცევიან მსოფლიოში არსებულ უზღვავი სიავისა და ბოროტმოქმედების მიზეზად და წყაროდ. ყველაფე-

რი ეს არ იქნებოდა, ადამიანებს ურთიერთშორის რომ უფრო სწორი თანაფარდობა დაემყარებინათ მათ შორის აუცილებელი სამართლიანი დაქვემდებარების დასაფუძნებლად და შესანარჩუნებლად, და არა ტირანული ბატონობისათვის — ერთისა მეორეზე.

ყველა ადამიანები ბუნებით თანასწორნი არიან, მათ ყველას ერთნაირად აქვთ უფლება იცხოვრონ და იარონ დედამიწის ზურგზე, ჰქონდეთ თავისუფლება და თავიანთი წილი ქვეყნიერების დოვლათში. ყველა უნდა ეწეოდეს სასარგებლო შრომას, რათა ჰქონდეს ყველაფერი, რაც სასარგებლოა და აუცილებელი ცხოვრებისათვის...

მეორე ბოროტება, გამეფებული ადამიანთა შორის და მეტადრე ჩვენთან, საფრანგეთში, მდგომარეობს იმაში, რომ იტანენ, ხელს უწყობენ და აკანონებენ კიდეც ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელთა არსებობა სრულიად უსარგებლოა და არაა საჭირო. ამ ყოვლადუსარგებლო ადამიანთა არსებობას არამარტო ითმენენ და აკანონებენ, არამედ, რაც უარესია, ნებას რთავენ და ახალისებენ ისეთი ადამიანების არსებობას, რომელთა როლი მდგომარეობს ხალხთა მასების ფეხქვეშ გათელვასა, ძარცვასა და ჩაგვრაში...

ასეთ რამეს ვამჩნევთ მდიდარ უქნარებთანაც. იმ საბაბით, რომ საკმაოდ და გადამეტებითაც გააჩნიათ სასიცოცხლო საშუალებები ე. წ. რენტებისა და წლიურ შემოსავალთა სახით. ეს პიროვნებები არ ეწევიან არავითარ შრომას, ცხოვრობენ მუდმივ უქნარობაში. მათ არავითარი სხვა საზრუნავი და საქმე არ გააჩნიათ გარდა სეირნობის, სხვადასხვანაირი თავის შექცევისა და გართობისა. ისინი მხოლოდ იმის ფიქრში არიან, რომ კარგად გამოიძინონ, გემრიელად ჭამონ და სვან, დატკბენ ცხოვრებაში ყოველგვარი სიამოვნებით. ცხადია, რომ ყველა ეს ადამიანი — როგორც გლახაკები და მათხოვრები, ისე მდიდარი უქნარები — სრულიად უსარგებლონი არიან საზოგადოებისთვის, და რაკი ეს ასეა, ისინი მძიმე ტვირთად აწვებიან მას, რადგან არსებობენ და ცხოვრობენ მხოლოდ სხვის ხარჯზე...

კიდევ ერთი ბოროტება, მიღებული და დაკანონებული თითქმის მთელ მსოფლიოში, მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები ითვისებენ და თავის კერძო საკუთრებად ხდიან მიწის სიკეთეს და დოვლათს, იმ დროს როდესაც მას ყველა თანაბარი უფლებით უნდა ფლობდეს და ასევე ერთად და თანაბარი უფლებით უნდა სარგებლობდეს მიწის ბარაქით.

მე აქ ვგულისხმობ ყველას ერთსა და იმავე მიდამოებში, ანუ ტერიტორიაზე მცხოვრებს; ყველა ქალმა და კაცმა ერთი და იგივე ქალაქიდან, დაბიდან, სოფლიდან ან სამრეველოდან უნდა შეადგინონ ოჯახი, ერთმანეთში უნდა ხედავდნენ დებსა და ძმებს, ერთი და იმავე დედამამისშვილებს და, მაშასადამე, უნდა ცხოვრობდნენ სიტკბოებით,

ერთად სარგებლობდნენ ერთი და იგივე ხელმისაწვდომი სურსათით, ჰქონდეთ თანაბრად კარგი ტანისამოსი, ბინა, თავშესაფარი და ფეხსაცმელი. მეორე მხრივ, ყველა ერთნაირად უნდა ეწეოდეს საქმიანობას ე. ი. იშრომონ, დაეუფლონ პატიოსანსა და სასარგებლო საქმიანობას. ყოველს უნდა ჰქონდეს თავისი პროფესია იმის მიხედვით, თუ რაა ყველაფერზე საჭირო და სასურველი, გარემოებისა და წელიწადის დროის მიხედვით, ანდა ამა თუ იმ საგანზე მოთხოვნილების ზრდის მიხედვით; ყოველივე ამას უნდა განაგებდნენ არა ის პირები, რომლებიც მიისწრაფვიან ძალით, ტირანულად მბრძანებლობდნენ სხვებზე, არამედ ბრძენი და კეთილად განწყობილი პირები, რომელთაც სურთ სახალხო კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა, მისი განვითარება; ერთმანეთთან მოსაზღვრე ქალაქები და თემები უნდა აღიჭურვონ სურვილით ჰქონდეთ ურთიერთთან მჭიდრო კავშირი, დაიცვან ურღვევი მშვიდობა და თანხმობა, დაეხმარონ ერთმანეთს გასაჭირში; რადგან ასეთი ურთიერთობის გარეშე ვერ დამყარდება საზოგადოებრივი კეთილდღეობა, ხოლო ადამიანთა უმრავლესობა უბედურსა და სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

[1, გვ. 139—141]

თავი მეოთხე

ი ტ ა ლ ი ა

1. ფ. ენგელსი იტალიის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შესახებ XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დამდეგს

საუკუნეების მანძილზე ჩრდილოეთ იტალია, უფრო მეტად, ვიდრე ბელგია, ბრძოლის ველს წარმოადგენდა, სადაც ფრანგებსა და გერმანელებს შორის ომები იმართებოდა. ბელგიისა და მდინარე პოს ხეობის ხელში ჩაგდება აუცილებელი პირობაა თავდამსხმელთათვის, მიუხედავად იმისა, ეხება საქმე გერმანელების შეჭრას საფრანგეთში, თუ ფრანგების შეჭრას გერმანიაში; მხოლოდ ამ ქვეყნების დაპატრონება საესებით უზრუნველყოფს იმ არმიების ზურგსა და ფლანგებს, რომლებიც საფრანგეთში ან გერმანიაში იჭრებიან. მხოლოდ ბელგიისა და ჩრდილოეთ იტალიის სრული ნეიტრალიტეტის შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი ამ წესის გამონაკლისზე. მაგრამ ასეთი შემთხვევა ჯერჯერობით არასოდეს არ ყოფილა.

თუ ჯერ კიდევ პავიასთან ბრძოლის დროიდან საფრანგეთისა და გერმანიის ბედი არაპირდაპირ წყდებოდა პოს ხეობაში ბრძოლების ველზე, იტალიის ბედი ამ ბრძოლებში პირდაპირ და უშუალოდ წყდებოდა. ახალ ხანაში დიდი და მუდმივი არმიების შექმნასთან დაკავშირებით, გერმანიისა და საფრანგეთის განუწყვეტლად მზარდი ძლიერებისა და იტალიის პოლიტიკური ნგრევის პირობებში, საკუთრივ ძველმა იტალიამ, რუბიკონის სამხრეთით მდებარე იტალიამ, დაკარგა ყოველგვარი სამხედრო მნიშვნელობა და ძველი ციზალპური გალიის ხელში ჩაგდებას აუცილებლად მოსდევდა ვიწრო, სიგრძეზე გაჭიმულ მთელ აპენინის ნახევარკუნძულზე ბატონობა. ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილები იყო პოსა და ეჩის აუზები, გენუას, რომანოლისა და ვენეციის სანაპიროები; ამ რაიონებში იყო თავმოყრილი იტალიის ყველაზე მეტად აყვავებული მიწათმოქმედება, ყველაზე მეტად განვითარებული მრეწველობა და ყველაზე უფრო გაცხოველებული ვაჭრობა. ნახევარკუნძული, ე. ი. ნეაპოლი და პაპის ოლქი, თავისი საზოგადოებრივი განვითარებით შედარებით სტაბილური რჩებოდა. სამხედრო

თვალსაზრისით ეს ოლქები უკვე საუკუნეების მანძილზე არავითარ როლს არ ასრულებდნენ. ვინც მდინარე პოს დაბლობს ფლობდა, კეტავდა მატერიკთან ნახევარკუნძულის შემაერთებელ სახმელეთო გზას, და მას საჭირო შემთხვევაში ადვილად შეეძლო მთელი იტალია დაემორჩილებინა. ფრანგებმა ეს ორჯერ გააკეთეს რევოლუციური ომების დროს; ამავე შედეგს ორჯერ მიაღწიეს ავსტრიელებმაც უკანასკნელ საუკუნეში. ამიტომ მხოლოდ პოსა და ეჩის აუზებს აქვთ სამხედრო მნიშვნელობა...

იტალიის ხელში ჩასაგდებად წარმოებული ხანგრძლივი ომების დროს ლომბარდია ხან გერმანელებისა იყო, ხან — დამოუკიდებელი, ხან ესპანელებს ეკუთვნოდა, ხან — ავსტრიელებს; მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლომბარდია გამოყოფილი იყო ვენეციისაგან; ვენეცია კი დამოუკიდებელი იყო. თუმცა ლომბარდია მანტუას ფლობდა, მაგრამ სწორედ მინჩოს ხაზი და მინჩოსა და მიზონცოს შორის მდებარე ოლქი არ შედიოდა ლომბარდიის საზღვრებში, ე. ი. ოლქი, რომლის შესახებ ამჟამად ჩვენ გვარწმუნებენ, თუ ის გერმანიის ხელში არ იქნება, გერმანიას მშვიდი ძილი არ შეუძლიაო. მხოლოდ 1814 წლიდან გერმანია (ავსტრიის საშუალებით) მთლიანად დაეუფლა მინჩოს ხაზს...

იმავე დროს საფრანგეთის პოლიტიკა იტალიის მიმართ ყოველთვის შეზღუდული, ეგოისტური, ექსპლუატატორული იყო. ასე რომ იტალიელები, ჩვენი მხრიდან რამდენადმე ლოიალური მოქმედებისას, უეჭველად უმალ ჩვენს მხარეს უფრო იქნებოდნენ, ვიდრე საფრანგეთისა. საკმაოდ კარგად არის ცნობილი, რომ ნაპოლეონს, მის ნაცვლებსა და გენერლებს 1796—1814 წლებში იტალიიდან გაჰქონდათ ფული, სურსათი, ხელოვნების ნაწარმოებები და მიჰყავდათ ადამიანები. 1814 წელს ავსტრიელები მოვიდნენ როგორც „განმათავისუფლებლები“ და ისინი განმათავისუფლებლებად მიიღეს (თუ როგორ გაათავისუფლეს მათ იტალია, ამას საუკეთესოდ მეტყველებს ის სიძულვილი, რომელსაც ამჟამად ყოველი იტალიელი გრძნობს Tedesehi-ს * მიმართ). ასეთია იტალიაში ფრანგული პოლიტიკის პრაქტიკული მხარე; რაც შეეხება მის თეორიას, ჩვენ მხოლოდ ის უნდა ვთქვათ, რომ იგი ემყარება ერთადერთ პრინციპს: საფრანგეთი არასოდეს დაუშვებს ერთიანი და დამოუკიდებელი იტალიის არსებობას.

Ф. Энгельс. По и Рейн. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 13, стр. 239—240, 247—249.

---

* — გერმანელების. რ ე დ.

2. ლომბარდია

დე ლა ლანდი მილანში გადასახადებისა და ვაჭრობის შესახებ

დე ლა ლანდი (1732 — 1807) — ცნობილი ფრანგი ასტრონომი. 1765—1766 და 1769 წწ. იტალიაში მოგზაურობის შემდეგ ვენეციასა და პარიზში 7 ტომად გამოსცა ქვეყნის ცნობარი—მეგზურის მსგავსი, რომელშიც უაღრესად მნიშვნელოვანი საკუთარი დაკვირვებები და სხვა ლიტერატურული წყაროებიდან ნასესხები ცნობებია შეტანილი. 1786 წ. ეს ნაშრომი გამოვიდა პარიზში 2 გამოცემად 9 ტომად.

იმპერატორს საკმაოდ დიდი სამფლობელოები ჰქონდა ავსტრიის ლომბარდიაში, რომელიც მოიცავს მილანისა და მანტუის ოლქებს; გადასახადები იქ მძიმეა; თუმცა მილანის ოლქი დაქუცმაცებულია, ვენის საიმპერატორო კარი იღებს იქიდან ისევ იმავე შემოსავალს, რაც უფრო ამძიმებს გადასახადებს და მოსახლეობაში უკმაყოფილებასა და სიღარიბეს წარმოშობს.

უნგრეთის დედოფალმა[1] მიიღო დაახლოებით 10 მილ. მილანური ლივრი, ჩვენი ფულით — $6^2/_3$ მილ; ამ თანხის 3/5-ს მიწის დაბეგვრა იძლეოდა, დანარჩენი კი იჯარის შემოსავალი იყო; თითქმის მთელი ეს თანხა სამხედრო რაზმების შენახვას და სხვა სახელმწიფო ხარჯებს ხმარდებოდა; მშვიდობიან დროს ვენაში იგზავნებოდა მხოლოდ 400 ათასი ლივრი ჩვენი ფულით ცხენების, საჭურვლისა და ტანსაცმლის შესაძენად, მაგრამ ომის დროს ყველაფერი მთლიანად სამეფო კარზე იგზავნებოდა. ამჟამად მილანის ოლქი, როგორც ამბობენ, იძლევა 13 მილიონზე მეტს ჩვენი ფულით, თუმცა იქ 1200 ათასზე ნაკლები მცხოვრებია.

ზოგიერთ სახელმწიფო გადასახადს საერთო იჯარების სახით ახდევინებენ, სხვას კი — კერძო იჯარების სახით. ზოგს ხელმწიფის სახელით კრეფენ, ბევრს კი ართმევენ კორპორაციების ან კერძო პირების სასარგებლოდ.

საერთო იჯარის საგნები მეტად მრავალფეროვანია; აქ შედის ის გადასახადები, რომლებსაც ახდევინებენ იმპორტის, ექსპორტის, საქონლის მიმოქცევის დროს, მარილისა და თამბაქოს გაყიდვისა და განაწილების, გვარჯილის მოპოვების, თოფისწამლის დამზადებისა და გაყიდვის უფლებისათვის, და ბოლოს, არის ადგილობრივი ხასიათის გადასახადები და ბაჟები.

განსაკუთრებული იჯარების საგნებია ბანქო, სანახაობები, საცხენოსნო ფოსტა, ლატარია; წინათ იჯარით გაიცემოდა აგრეთვე გადასა-

---

[1] იგულისხმება იმპერატორი მარი-ტერეზა, რომელიც მართავდა ავსტრიას, უნგრეთსა და ჩეხეთს 1740—1780 წწ.

ხადი აზარტული სათამაშოების მოწყობაზე, მაგრამ 1774 წლიდან ეს გადასახადი გაუქმდა.

მთელი რიგი დადგენილებები აწესრიგებს ხამი ტილოს იმპორტისა და ექსპორტის ბაჟს, სანადირო იარაღის ტარების გადასახადს, საღერბო ქაღალდისა და აქტებზე ბეჭდის დასმის გადასახადს; 10 სუს რაოდენობით გადასახადს იმ საქონელზე, რომელიც სანიტარულ ტრიბუნალს უნდა წარედგინოს იმ დროს, როდესაც შავი ჭირის საშიშროება იქმნება; დასასრულ, პურის მარცელის ექსპორტის ბაჟს.

მეტისმეტად მრავალრიცხოვანია საიჯაროდ გასაცემი გადასახადები. მათ ახდევინებენ უმთავრესად სოფლებსა და ქალაქებში მოხმარების საგნების შეტანისა და გატანის დროს. ეს არის გადასახადი ფქვილზე, ღვინოზე, არაყზე, ხორცზე, ნანადირევზე, ხე-ტყეზე, ნახშირზე, ჩალაზე, თივაზე, ზეთზე, ფრინველზე, თევზზე და ა. შ.

იჯარით გაცემულ გადასახადებში შედის აგრეთვე საგზაო ბაჟი ქალაქებში და ზოგიერთ სოფელში შესვლისას, ხიდებზე, მდინარეებზე და არხებზე გასვლისას; ბოლოს, ქალაქში შემოზიდვის სხვადასხვა ბაჟები, რომლის უფლება დროებით ეძლევათ საგანგებო ხარჯებით დატვირთულ ცალკეულ ქალაქებს.

ერთი და იმავე საგნებისათვის გადახდილი გადასახადები არ არის გაერთიანებული მიუხედავად იმისა, შემოღებული იყო თუ არა ეს გადასახადები თანმიმდევრულად სხვადასხვა სახელწოდებით ან თუ ისინი ძველ გადასახადებს დაემატებოდა. ერთსა და იმავე საგანზე დაწესებული სხვადასხვა გადასახადი არ შეიძლებოდა შეეტანათ ერთ ადგილას, ვინაიდან ახალი გადასახადების აკრეფის უფლება ეძლევათ არა იმათ, ვინც ძველს კრეფდა. ეს კი ამ გადასახადებს კიდევ უფრო ამძიმებდა.

იჯარები მილანში ისეთსავე სიძულვილს იწვევს, როგორც ყველგან; 1745 და 1746 წწ. მილანის ოლქის ყველა ქალაქმა განაახლა თავისი გამოსვლები თამბაქოს იჯარისა და მოიჯარეების წინააღმდეგ; დაცინვა, მუქარა, ხალხის ხმაურიანი თავმოყრა საყოველთაო მოვლენად იქცა; მაგრამ ხალხი ერთგვაროვნად დააკმაყოფილეს და ეს მოძრაობა შეწყდა.

1760 წელს მიწის არსებული რაოდენობის საფუძველზე კადასტრით განისაზღვრა მიწის გადასახადი 24 დენიე[1] ერთ ეკიუზე, უფრო გვიან — 25 დენიე, ე. ი. 25—1440-ზე ან მიწის ღირებულების 1/57; ამრიგად, თუ ვივარაუდებთ, რომ მიწა 5% შემოსავალს იძლევა ან 1/20 იმ თანხისას, რომელზედაც არის იგი შეფასებული, მაშინ დედოფალს ეძლე-

---

[1] დენიე — სპილენძის მონეტა, რომელიც 1/12 სუს უდრის; ეკიუ — ვერცხლის მონეტა, ტალერის ექვივალენტი, უდრის 60 სუს.

ოდა შემოსავლის 1/3. ამასვე მეუბნებოდნენ აგრეთვე საუბარში: ადგილობრივი მცხოვრებლები თვლიან, რომ მიწის მთელი შემოსავლის 1/3 გადასახადს ხმარდება, 1/3 მიწის დამუშავებას უნდება და 1/3 კი — მიწის პატრონს; ამგვარად, ეს უკანასკნელი გადასახადის სახით იხდის მთელი წმინდა მოგების 1/2.

მილანის კარიბჭის ნაწილი ეკუთვნის კომპანიას, რომელსაც ეწოდება „Banco di S. Ambrogio" („წმ. ამბროსის ბანაკი"). ეს არის აქციონერთა გაერთიანება, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხა ასესხა ქალაქს ან პალატას; ამ ბანკის შემოსავალს შეადგენს ხელმწიფის მიერ იჯარით გაცემული გადასახადები ფქვილზე, ხორცზე, ღვინოზე, მცენარეულ ზეთზე; ამ გადასახადებს ახდევინებენ ქალაქის კარიბჭესთან კომპანიის სასარგებლოდ...

მილანის ლომბარდს აქვს კაპიტალი 100 ათ. მილანური ლივრის (66666 ფრანგული ლივრის) რაოდენობით. აქ იძლევიან უპროცენტო სესხებს, მაგრამ მხოლოდ 3 თვით; ამ ვადის გასვლის შემდეგ აფრთხილებენ გირაოს პატრონს და, თუ არავინ ცხადდება, ყიდიან გირაოს გაცემული თანხის ასანაზღაურებლად.

მილანელების ვაჭრობა და მრეწველობა მუდამ განთქმული იყო...

რაც შეეხება სატრანზიტო ვაჭრობას, გადაზიდვის სიძნელემ ზღვით სარგებლობის უპირატესობა დაადასტურა: ამჟამად იტალიის სანაპიროს ყოველწლიურად მიადგება ხოლმე 300-ზე მეტი ფრანგული ხომალდი, ინგლისის ფლოტი, ესპანეთის, შვეიცის, ჰოლანდიის, დანიისა და რუსეთის მრავალი გემი. გენუა, ლივორნო და ვენეცია საკაბოტაჟო ნაოსნობას ეწევიან იტალიის სანაპიროებზე; სარდინიის მეფესა და პაპსაც კი სავაჭრო ფლოტი ჰყავთ.

ამასთან ერთად ბაჟებმა, რომლებითაც ვაჭრობა იბეგრება, და ფინანსისტების სიხარბემ მოგებისადმი ვაჭრობა დააქცია; მილანში აშკარად საგრძნობი გახდა სახელმწიფო ხაზინის გამდიდრებისადმი მისწრაფება, მაგრამ უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში აღდგენილია იმ ნედლეულის თავისუფალი მიმოქცევა, რომელსაც მანუფაქტურაში იყენებენ; გაიცა შეღავათები ქვეყანაში დამზადებულ ნაკეთობათა ექსპორტის გამოცოცხლებისათვის და დარიგებულია დახმარება ბროლის, ქაშანურის, საპნის სახარშავი, სირმის, საქარგის მანუფაქტურებისა და აბრეშუმების ქსოვილების მანუფაქტურების აღსადგენად და გასაფართოებლად.

გამოსაღებები, რომლებსაც ახდევინებდნენ ყოველი ხელობისათვის, 1774 წელს შეიცვალა ერთი ზომიერი გადასახადით; გაყვანილ იქნა ახალი გზები, მოისპო წისქვილები, რომლებიც ნაოსნობას აძნელებდნენ და წყალდიდობას იწვევდნენ, დაიდო სავაჭრო ხელშეკრუ-

ლებები მეზობელ სახელმწიფოებთან — ერთი სიტყვით, მიღებულ იქნა ყველა შესაძლო ზომა ვაჭრობის აღსადგენად.

აბრეშუმით ვაჭრობა ამჟამად მილანის ოლქის ვაჭრობის მთავარი დარგია, იგი ქვეყანას აძლევს 8-დან 9 მილიონამდე, ფრანგული ფულით; მილანის ვაჭრები აბრეშუმით ვაჭრობის წამომწყებნი არიან მთელ ლომბარდიაში, ვინაიდან ამ ვაჭრობის ნაწილი მათ ხელშია.

მომყავს ცნობები ვაჭრობიდან მიღებული მოგების შესახებ. ეს ცნობები შედგენილია მცოდნე პირის მიერ, თუმცა მე მესმოდა საწინააღმდეგო აზრი და დავა ამ სიის სხვადასხვა პუნქტის გამო. აბრეშუმი — 11 მლნ ადგილობრივი ფულით; ყველი — 1 მლნ, მას ამზადებენ პავიის, ლოდის და კრემონის ახლოს; პური — 2 მლნ, მისი მესამედი მხოლოდ ერთ ქალაქში — რომში მიდის; სელი — დაახლოებით 1 მლნ; ამას უმატებენ ძროხებსა და ცხენებს 5 მილიონისას, მატყლს — 3 მილიონისას. ეს 23 მლნ, რომელიც $15^1/_3$ მლნ ლივრს შეადგენს ფრანგული ფულით, მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნისათვის, რომელიც სულ 1 მილიონ მოსახლეს ითვლის და არაუმეტეს 35×15 ლიე ფართობი უჭირავს. მარკიზ კარპანის ნაშრომში მილანის ოლქის მრეწველობისა და ვაჭრობის შესახებ ჩვენ სხვა მონაცემებს ვპოულობთ: ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ძროხები და ცხენები დიდი რაოდენობით მოჰყავთ შვეიცარიიდან, ვენეციის სახელმწიფოდან და პარმის საჰერცოგოდან, რომ მილანის ოლქში აბრეშუმი არ არის და, რომ ექსპორტი ანაზღაურდება ხოლმე იმპორტით.

დასასრულ, როლანი[1], რომელიც ყოველივე ამის შესახებ მეტად ბუნდოვნად ლაპარაკობს, აცხადებს, რომ მხოლოდ აბრეშუმი და ბრინჯი გადაჭარბებით აბალანსირებს ყველაფერ იმას, რითაც ჩვენ ვამარაგებთ მილანს; იგი დასძენს, რომ იქ მზადდება ცოტაოდენი უხეში მაუდი; ქამლოთის[2] დამზადება ეცემა; რკინისა და სპილენძის წვრილმანი ნაკეთობა საზღვარგარეთიდან შემოაქვთ; მაღალხარისხოვანი მაუდი — ინგლისიდან და საფრანგეთიდან; ჩვეულებრივი — გერმანიიდან და ჩეხეთიდან. მაუდი შემოაქვთ საფრანგეთიდან და ინგლისიდან; ტილო — შვეიცარიიდან და სილეზიიდან; მრავალი აბრეშუმის საქონელი — ლიონიდან, თუმცა მას ძალიან დიდი ბაჟი ედება, ვინაიდან ამ ქვეყანაში აბრეშუმის მანუფაქტურებს ნაკლები მნიშვნელობა აქვთ. ყველაზე უფრო დიდი რაოდენობით მზადდება ქარგაზე და ჩხირებით მოქსოვილი წინდები და აგრეთვე ცხვირსახოცებიც; ამ საგნების დამზა-

---

[1] როლან დ'ერსეილი (1734—1794) — ცნობილი ფრანგი მწერალი, პუბლიცისტი, ჟირონდისტი, რომელიც სიკვდილით დასაჯეს საფრანგეთის რევოლუციის დროს.

[2] ქამლოთი — უხეში ბამბის ქსოვილი.

დება უფრო მეტად მთების პირას მდებარე სოფლებშია გავრცელებული, ვიდრე ქალაქში. მილანში ცოტაა დიდი სავაჭრო ფირმები, ვინაიდან ძალზე მძიმე ბაჟებმა და არისტოკრატიის დიდმა რაოდენობამ, რომელიც ჩრდილავს ყველა დანარჩენ მოსახლეობას, ზიანი მიაყენა მსხვილი ვაჭრობის განვითარებას. ბანკირები უფრო მეტია, ვიდრე სოვდაგრებიო, ამბობს როლანი; თუმცა რამდენიმე შესანიშნავი მანუფაქტურა მაინც არის.

[1, გვ. 309—313]

3. ვაჭრობა და წარმოება XVIII ს. ვენეციაში

ვენეციის ოდესღაც მეტად დიდი ვაჭრობა დაეცა ინდოეთისაკენ საზღვაო გზის აღმოჩენისა და აღმოსავლეთში ვენეციელების ძირითადი სამფლობელოების დაკარგვის შემდეგ. იგი თანდათანობით დაქვეითდა იმ დაბრკოლებების გამო, რომელსაც მას უქმნიან მრეწველობის განვითარებისას; ორი ნავსადგურის — ფრანკო-ანაკონისა და ტრიესტის ბეზობლობის გამო და იმის გამოც, რომ ლაგუნებში შესვლა ხშირად გაძნელებულია. მაგრამ ვენეციელები დღესაც საკმაოდ ფართოდ ვაჭრობენ აღმოსავლეთთან, მისი უსაფრთხოების უფრო საიმედოდ უზრუნველყოფის მიზნით 1764 წელს ბერბერებთან ხელშეკრულება დადეს, მართალია ნაკლებად საპატიო, მაგრამ სამაგიეროდ ის მათ საშუალებას აძლევს სულ რაღაც 5—6 შეიარაღებული ხომალდით იოლად წავიდნენ. თუმცა ამბობდნენ, რომ ბერბერებმა დაარღვიეს ხელშეკრულება, ვინაიდან მათთან ვენეციის პრესტიჟი არც ისე მაღალია და ამის შემდეგ საჭირო გახდა უფრო მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალების ყოლა ტუნისის წინააღმდეგ.

ისევ ბერბერების შიშით, რომლებმაც მთელი ხმელთაშუა ზღვა თავისი ხომალდებით გაავსეს, ვენეციელები იძულებულნი არიან თავიანთ ხომალდებზე ჯარისკაცები იყოლიონ, რაც ვაჭრების ხარჯებს ადიდებს და აუარესებს მათ მდგომარეობას ინგლისელებთან, ფრანგებთან და ჰოლანდიელებთან შედარებით, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი საქონელი უფრო იაფად გაყიდონ. რესპუბლიკას რომ ჰყავდეს ესკადრა, რომელიც მოახერხებდა მეკობრეების დაშინებას, იგი შეძლებდა მისი შესანახი ხარჯების ანაზღაურებას უკან დაბრუნებისას შემოტანილი საქონლით და სავაჭრო ბაჟების ხარჯზე; იგი (რესპუბლიკა) მაშინ შეძლებდა იძულებულეყო ყველანი პატივისცემით მოპყრობოდნენ მას და სავაჭრო გემების მფლობელნი არ დახარჯავდნენ თავისი მოგების მეტად დიდ ნაწილს სამხედრო შეიარაღებისათვის. მაგრამ რესპუბლიკა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აიარაღებს ესკადრას. ასე იყო,

მაგალითად, 1759 წ., მაგრამ ეს იყო მხოლოდ მოჩვენებითი შეიარაღება, არავითარი სარგებლობა მას არ მოუტანია, მეტად ძვირი დაჯდა და ესკადრა კინაღამ დაიღუპა ლისაბონის ახლოს.

1770 წელს გაიგზავნა აგრეთვე ესკადრა კორფუსკენ ანჟელო ემოს მეთაურობით.

ვენეციელები ცდილობდნენ მარჯნით ვაჭრობის მოგვარებასაც; დოჟმა ფოსკარინიმ თითქოს მოაწყო მანუფაქტურა, რომელიც მალე დაქვეითდა; მარჯანი იოლად იშოვება ადრიატიკის ზღვაში, მაგრამ ხარისხით ჩამორჩება იმ მარჯანს, რომელსაც ამუშავებენ ლივორნოში, მოიპოვებენ კი კორსიკაზე, სარდინიასა და აფრიკაში...

ამჟამად ვენეციის დიდკაცობა უშუალოდ არ მონაწილეობს ვაჭრობაში, მაგრამ თავის კაპიტალს ვაჭრებს გადასცემს. 1765 წელს ყველაზე მდიდარი სოვდაგრები იყვნენ ტამოცი, ტესტორი, ბურატი, ტრევეზე, უზელი, ბონფილი, კამუცინი და სხვები. ფული ვენეციაში სრულებით არ არის იშვიათი. სახელმწიფო სესხზე იხდის მხოლოდ $3^1/_2$%; კერძო პირები — 4 და $4^1/_2$% უზრუნველყოფისა და იპოთეკის არსებობის პირობებში. ვაჭრები ხშირად 6% იხდიან სავაჭრო რისკის მიზეზით.

ვენეციაში ბევრია კვიპროსის ღვინო, მარასკინი კორფუდან (რომელსაც შავი ალუბლის კურკისგან ხდიან) და აღმოსავლეთის სხვა პროდუქტები.

ვენეციის სახმელეთო ვაჭრობის საგანია ვერონისა და ვიჩენცის რაიონებიდან ბრინჯის გაყიდვა; აბრეშუმის, ტილოს, საპურვლის გაყიდვა — ბრეშიიდან. ამას წინათ დრეზდენის სამეფო კართან სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო, რომელზედაც დიდ იმედებს ამყრებდნენ; მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. ვენეცია აგზავნის აგრეთვე პურს თავისი ტერიტორიიდან ესპანეთსა და გენუაში; სიძვირის დროს იგი პურს აწვდიდა აგრეთვე რომსა და ნეაპოლს.

ვენეციაში ხელოსნობა ნაკლებადაა განვითარებული და, საერთოდ, ბევრი რამ საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. ვენეციურ აბრეშუმს იტალიური აბრეშუმის ყველა ნაკლი გააჩნია: იგი უხეშად არის დამუშავებული, მაგარია, მშრალი და ადვილად იხევა; ოქრომკედით ნაკერი და მორთული ქსოვილები, ნაქარგები, სირმები, აბრეშუმის ვერცხლისებური დოლბანდი კონტრაბანდად შემოაქვთ საფრანგეთიდან; საფრანგეთიდან და ინგლისიდან შემოაქვთ აგრეთვე ნაზი მაუდი.

მაგრამ თვით ვენეციაშიც ამუშავებენ ქსოვილებს; ვენეციური შტოფი ძალიან გავრცელებულია აღმოსავლეთში; ეს მსუბუქი ქსოვილია მცირეოდენი წნულით; ვენეციის გარდა ის არსად არ მზადდება.

---

[1] იპოთეკა — გირაო, წინდი.

მურანოდან შემოტანილი სარკეები ყველგან არის გავრცელებული; ფრანგულ სარკეებზე გაცილებით მეტი მოთხოვნილებაა, მაგრამ ისინი ორჯერ უფრო ძვირია.

კუნძულ მურანოზე თხუთმეტამდე სახლია, სადაც მინის ნაკეთობები მზადდება — თასები, ხელოვნური ყვავილები და სხვა; მხოლოდ ჟან მოტასთან მზადდება სარკეები; მუშაობა კვირაში მხოლოდ ორჯერ წარმოებს და საკმარისია თორმეტამდე მუშა, რათა ერთ დღეში 60 სარკე დაამზადონ; მინის მასას ამზადებენ ესპანური ნარცისა და ვიჩენცის მიწის საშუალებით ცალკე ღუმელში ექვსი საათის განმავლობაში. სხვა მინასადნობ ქოთანში მოთავსებული ეს მასა 7—8 დღის განმავლობაში გამოიყენება მინის დასამზადებლად. სარკეებს ამზადებენ 2 მეოთხედს ან 4½ ფუტის სიგრძე-სიგანის ზომით; მაგრამ ჩვეულებრივად გამობერავენ, ჭრიან ან ქვაზე ასწორებენ, შემდეგ მას რკინის ნიჩბით იღებენ და ათავსებენ ღუმელის ზევით დახრილ სიბრტყეზე, სადაც ის ნელ-ნელა ცივდება. მინასადნობი ქოთნებიც აგრეთვე ვინჩენცის თიხის საშუალებით მზადდება. მათ ხმარობენ 7—8 კვირის განმავლობაში.

ბროლის მანუფაქტურაში, რომელიც ეკუთვნის ბრიატის და იმყოფება ვენეციაში რიო დელ აზელოზე, სანტა მარია მაჯორეს ახლოს, მზადდება აგრეთვე მეტად ფაქიზი ნაკეთობანი. მე მინახავს იქ 6—7 ფუტი დიამეტრის ჭაღები, რომელთაც ჩოკეს უწოდებენ.

ყალბი ძვირფასი ქვები და მინის წვრილმანი ნივთები ვაჭრობის მნიშვნელოვან საგანს შეადგენს; კოსტელოს უბანი ამაში დახელოვნებულია და ვაჭრებით არის სავსე; იქ შეიძლება ნახოთ ორასამდე სახის მინის სხვადასხვა წვრილმანი ნაკეთობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმითა და ფერით, მათგან ადგენენ ასორტიმენტებს და აგზავნიან ლისაბონსა და კადიქსში ზანგებთან ვაჭრობისათვის, ალექსანდრიაში და მთელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ადგილებში.

ამზადებენ ხელოვნურ ავანტურინსაც[1], მაგრამ მისი დამზადების საიდუმლოება მხოლოდ ერთმა კაცმა იცის, რომელიც კუნძულ მურანოზე ცხოვრობს.

ოპტიკოსი დომენიკო სელვა კარგ ტელესკოპებს აკეთებდა. აკეთებენ აგრეთვე დიდი რაოდენობით კრემორტარს[2], მწვავე სულემას, სრე-

---

[1] ავანტურინი არის სხვადასხვა შეფერილობის წვრილმარცვლოვანი კვარცის ნაირსახეობა მოციმციმე ბზინვით, ოქროსფერი ან მოწითალო ელფერით გაპრიალებულ ადგილებში; იხმარება სხვადასხვა სამკაულისა და მხატვრული ნაკეთობისათვის.

[2] კრემორტარი ღვინის ქვაა, ქვამარილის ნაირსახეობა; იხმარება როგორც ფხვნილი სამედიცინო მიზნებისათვის.

სილ უმარილს; ტერიაკს[1] ამზადებენ დიდი გულმოდგინებით კომისრეებისა და სენატის თანდასწრებით.

ვენეციაში ჩამოსხმული საბეჭდი შრიფტი მთელს იტალიაში ვრცელდება; ვენეციაში იბეჭდება უფრო მეტი წიგნი, ვიდრე იტალიის სხვა რომელიმე ქალაქში; მათი ფასი კი ორჯერ იაფია, ვიდრე პარიზში. მუშები მხოლოდ 9 ლივრს და 12 სუს იღებენ კვირაში და უნდა იმუშაონ დღის 12 საათიდან ღამის 4 საათამდე.

[1, გვ. 313—315]

4. გენუის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები. მპყრობა და ნარმოება

გენუის რესპუბლიკაში ითვლება არაუმეტეს 500 ათ. მცხოვრებისა, სატახტო ქალაქის მოსახლეობის ჩათვლით.

რესპუბლიკას ამჟამად ჰყავს რეგულარული ჯარი 2500 კაცის რაოდენობით. 1745 წელს მას ჰყავდა 10 ათ. კაცი, მაგრამ მისი სამხედრო ძალები სანახევროდ შემცირდა მას შემდეგ, რაც ფრანგები კუნძულ კორსიკას დაეპატრონენ. თუმცა მნიშვნელოვან მომენტში, მაგალითად 1746 წლის რევოლუციის[2] დროს, ყველა ჯარისკაცი ხდება, ხალხი ბევრებსაც კი აიძულებდა საყარაულო სამსახური გაეწიათ. ჩვეულებრივ დროსაც არის მილიციის კორპუსი. ყოველ ოლქს თავისი ასეული ჰყავს, სხვადასხვა საქალაქო კორპორაციებს თავიანთი რაზმები ჰყავთ; ყოველივე მათ თავს უყრიან დათვალიერებისათვის და მოკლე სამხედრო სწავლების მიზნით.

რესპუბლიკის შემოსავალი 5 მლნ ლივრს ვერ აღწევს ჩვენი ფულით. კერძო პირთა განსაკუთრებული სიმდიდრე ამ რესპუბლიკაში სახელმწიფო ხაზინას ცვლის. გენუის რესპუბლიკაზე ამბობენ, რომ იგი უაღრესად ღარიბი სახელმწიფოა, რომელსაც იტალიის სახელმწიფოთა შორის ყველაზე მდიდარი ქვეშევრდომები ჰყავს. მაგრამ მდიდრები არიან წარჩინებულები, ხალხი კი ღარიბია. აქედან შეიძლებოდა არაკეთილსასურველი დასკვნების გაკეთება ამ პატარა სახელმწიფოს მთავრობის შესახებ.

გენუას რივიერის — გენუას ზღვის სანაპიროს (ანუ ლიგურიის) პატარა თავისუფალ ოლქებს შორის, რომლებიც ნებაყოფლობით დაემორჩილნენ გენუელებს, ზოგიერთს მნიშვნელოვანი პრივილეგიები აქვს და თითქმის არაფერს არ იხდის.

[1] ტერიაკი სამკურნალო საშუალებაა ცხოველური შხამების წინააღმდეგ.

[2] 1746 წელს გენუა ავსტრიელებმა დაიპყრეს, მაგრამ სახალხო აჯანყების შედეგად 1746 წლის 5 დეკემბერს გენუის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღდგენილ იქნა.

წმ. გიორგის ბანკი კომერციულ კომპანიას წარმოადგენს, რომლის ორგანიზაცია უბადლოა, მაგრამ სისტემა — იდუმალებით მოცული საიდუმლოებაა; ბანკის შემოსავალი 10 მლნ. (ლივრს) აღემატება; პროცენტებიც, რომელიც მან უნდა იხადოს, აგრეთვე მნიშვნელოვან თანხას შეადგენს; სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ნაწილი მას დაუთმეს რესპუბლიკისათვის სხვადასხვა მძიმე დროს; ბანკი ახდევინებს ამ გადასახადებს თვითონ, რესპუბლიკისაგან დამოუკიდებლად; მას ჰყავს თავისი თანამდებობის პირები, აქვს თავისი კანონები, თავისი პოლიტიკა; ესაა რაღაც სახელმწიფო სახელმწიფოში, თავისებური რესპუბლიკა, რომელიც ჩამოყალიბდა იმათგან, ვინც დაინტერესებულია შემოსავლით ან ამ კომპანიის აქციებით.

წმ. გიორგის ბანკმა 1746 წელს 2½ მლნ გადაიხადა გენუის ფულით; მაგრამ სესხები, რომლებიც ამ კონტრიბუციამ მოითხოვა, ჩემს დროს უკვე დაფარული იყო.

რომ წარმოდგენა შევქმნათ გენუის ვაჭრობის შესახებ, განსაკუთრებით მისი მრეწველობის მდგომარეობაზე, მე არ ვიცი იმაზე უკეთესი საშუალება, რომ მოვიყვანო აქ ცნობები, რომლებიც 1775 წელს ფრანგული მანუფაქტურების ბორდოელმა ინსპექტორმა ბ-მა ლიტაპომ მაცნობა.

გენუის მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს ხავერდის წარმოება შეადგენს; ყოველგვარი სახის ხავერდს ქსოვენ აქ, მაგრამ განსაკუთრებით შავ ხავერდს. გენუის შავი ხავერდის ფერი ყველაზე ლამაზ ფერად ითვლება იმ შავი ხავერდის ქსოვილებთან შედარებით, რომლებიც სხვა ადგილებში იქსოვება. მაგრამ გენუელები თავს არ იწონებენ რაიმე განსაკუთრებული საიდუმლოს ცოდნით და საღებავის ამ განსაკუთრებულობას ადგილობრივი წყლის თვისებას მიაწერენ. გენუაში ქსოვენ სხვადასხვა ფერის ორპირა ხავერდს, უფრო ხშირად — ერთი მხრით წითელს, მეორე მხრით — შავს; ასეთი ორპირა ხავერდი ხელოსნისაგან დიდ ცოდნას მოითხოვს, ვინაიდან ქვემო ძაფების შეკრეფა ბრმად ხდება ზემო ზედაპირისაგან განსხვავებით. ასეთი ხავერდის ერთი ფრანგული წყრთის ფასი 40 ფრანგულ ლივრამდე ადის, ვინაიდან აქ ქსოვილი ორმაგია და სარჩული არ სჭირდება; თუმცა მრეწველობის ეს საკანი დიდ როლს არ თამაშობს: ასეთი ხავერდის ქსოვილები სრულებით არ იქსოვება ქალაქში.

საერთოდ ხავერდის ქსოვილები ფართო მასშტაბით სოფელში მზადდება; ამბობენ, გენუის რიგიერაში ასეთი ქსოვილების დამამზადებელი 6 ათასამდე მუშა არის. ამ ადამიანებს არასოდეს არ შეუძლიათ მათ მიერ გამომუშავებული ქსოვილები ისეთ სრულყოფამდე მიიყვანონ, როგორც ჩვენ ლიონის ქსოვილებში ვხედავთ, ვინაიდან მუშები არამარტო მათი დამზადებით არიან დასაქმებული, არამედ სასოფლო

სამუშაოებშიც არიან ჩაბმული; ამიტომ გენუის ხაველდის ქსოვილები ფრანგულზე უფრო იაფია ფასის არანაკლებ 1/6-ით. ხაველდის წარმოებაში ბევრი ქალი მუშაობს. მათ მუშაობას უპირატესობაც კი ენიჭება, ვინაიდან მათ უფრო მოქნილი ხელები აქვთ.

გენუაში მზადდება აგრეთვე სხვა აბრეშუმის ქსოვილებიც: ხაველდის შემდეგ მეორე ადგილზე ქამხა[1] დგას.

თავისი სამუშაოებისათვის საჭირო აბრეშუმი გენუელებს იტალიის სხვადასხვა ნაწილიდან შემოაქვთ, განსაკუთრებით პიემონტიდან; რამდენიმე წლის წინათ გენუის სახელმწიფოში დაიწყეს აბრეშუმის დამზადება და აქედან უკვე მიიღეს დაახლოებით 100 ათ. ლივრი ადგილობრივი ფულით.

გენუას თავისი ქსოვილები ევროპის ყველა სახელმწიფოში გააქვს. ბევრი გადის ესპანეთში; არსებობს ცალკე საწარმოები, სადაც ქსოვილებს ამზადებენ სპეციალურად ესპანელების გემოვნების მიხედვით.

აბრეშუმის წვრილ მრეწველობას — ლენტების, აბრეშუმის წინდებისა და ა. შ. დამზადებას— გენუაში სრულებითაც არა აქვს ადრინდელი მნიშვნელობა.

ადრე იგი მთლიანად გენუელების ხელში იყო. ქვევით ჩვენ მოგვყავს მონაცემები მაუდის ექსპორტის შესახებ, ქამხის სხვადასხვა სახის შესახებ; ეს მონაცემები ამოღებულია გენუის პორტო-ფრანკოს რეგისტრებიდან, რომლებიც ბატონ ლატაპის აცნობეს.

მაუდი და ქამხა 1759 წელს გაიტანეს 4.956.650 გენუის ლივრის ღირებულებისა, 1760 წელს — 4.114.150, 1771 წელს — 4.592.700, 1772 წელს — 3.509.450 ლივრის ღირებულების.

მაუდისა და ქამხისათვის უკვე არ იხდიან გასატან ბაჟს, რაც ადრე მეტად დიდი იყო.

ზემომოტანილ თანხებს უნდა დაემატოს თვით ქალაქის მოხმარებაც, რაც ერთი ცნობით შეადგენს მილიონ ლივრს გენუის ფულით, და ნახევარ მილიონს — სხვა ცნობების მიხედვით. საშუალო შეძლების ბევრ ქალაქელს აცვია ხაველდი, მაგრამ ისინი ტანსაცმელს 10—15 წელიწადს ატარებენ, ამიტომ, ყველა გარემოების გათვალისწინებით შეიძლება მივიღოთ, რომ ხაველდითა და ქამხით გენუის ვაჭრობის ციფრი ჩვეულებრივ წელს შეადგენს 5 მილიონს გენუის ფულით.

ერთი ფრანგული წყრთა ლამაზი ხაველდის ქსოვილი იყიდება 22 ლივრად და 14 სუდ გენუის ფულით, რაც ფრანგული ფულით 19 ლივრსა და 4 სუს შეადგენს, ვინაიდან უნდა გამოვაკლოთ 1/6 იმისა-

---

[1] გენუელები ამზადებენ ყვავილების სახეებიან აბრეშუმს, მაგრამ განსაკუთრებულ გემოვნებას ვერ იჩენენ ნახატებისა და ელფერის შერჩევაში (დე ლა ლენდის შენიშვნა).

თვის, რომ გენუის ფული ფრანგულ ფულად ვაქციოთ. მრეწველობის ეს დარგი არ შეიძლება უფრო მეტად განვითარდეს გენუაში, ვინაიდან მუშის ხელფასი და მუშების რაოდენობა არ იზრდება: მუშახელის ხელფასი ამჟამად დაახლოებით ისეთივეა, როგორიც 100 წლის წინათ იყო; რაც შეეხება სხვა ქსოვილებს, მილანში, ვიჩენცაში და იტალიის სხვა ადგილებში მოწყობილია ბევრი მანუფაქტურა, რომლებიც ზარალს აყენებენ გენუის მანუფაქტურებს; მილანის პროდუქცია 15 მლნ. ლივრით განისაზღვრება.

სხვა მანუფაქტურებს — აბრეშუმის, ტილოს — ზევით დასახელებულებთან შედარებით მცირე მნიშვნელობა აქვთ. გენუაში ნაზი მაუდის მანუფაქტურების მოწყობის ცდები წარუმატებლობით დამთავრდა, ვინაიდან რესპუბლიკამ დახმარება არ გაუწია, როგორც ეს საფრანგეთში ან სხვა ადგილებში გაკეთდა.

გენუის საექსპორტო ვაჭრობაში მცენარეული ზეთი პირველ ადგილზე დგას; თუმცა გენუის მთელი სანაპირო მშრალი და უნაყოფოა, მაინც ზეთისხილის ხეები საკმაოდ კარგად ხარობენ, თუმცა მოსავალს ორ წელიწადში ერთხელ იძლევიან. გამოანგარიშებით ყოველწლიურად მაინც 20 ათასი კასრი ზეთი მზადდება: საერთო შემოსავლის ნახევარი ხარჯების დაფარვას უნდება; ერთი კასრის ფასი 50 და 80 გენუის ლივრს შორის მერყეობს; თუ ავიღებთ საშუალოს, ე. ი. 65 ლივრს, ვაჭრობის ეს დარგი შეიძლება 13 მლნ. გენუის ლივრად ან 11 მლნ. ფრანგულ ლივრად შეფასდეს. ამ საგნით ვაჭრობისას გენუის კაპიტალისტები დიდ სპეკულაციას ეწევიან, რის წყალობითაც მცენარეული ზეთის ფასი სულ მუდამ იზრდება; იგი გააქვთ გერმანიაში, ჰოლანდიასა და ინგლისში.

საპონი გენუაში ოდესღაც ვაჭრობის მეტად მნიშვნელოვანი საგანი იყო, მაგრამ საპნის სახარშავმა წამოწყებებმა იმდენად გაიტეხა სახელი თავისი ყალთაბანდობითა და დამზადებული საპნის ცუდი შემადგენლობით, რომ თითქმის ყველა წამოწყება დაეცა. მარსელელებმა, რომლებთანაც მრეწველობის ეს დარგი საუცხოოდ არის დაყენებული, ისარგებლეს თავისი მდგომარეობის უპირატესობით.

ქაღალდის მრეწველობა მთლიანად თავმოყრილია ვოლტრში, 2 ლიეზე გენუის დასავლეთით; მას დიდი მნიშვნელობა აქვს; მზადდება მხოლოდ ჩვეულებრივი ქაღალდი, რომლის დიდი ნაწილი ინდოეთისათვის არის განკუთვნილი, სადაც იგი თამბაქოს მოსაწევ ქაღალდად იხმარება.

გენუის ქაღალდს თავისებური თვისება აქვს, რომელიც მეტად ძვირფასია იმ ერებისათვის, რომელთაც ხარისხი ურჩევნიათ ფორმას: მას

ჭია ვერ ხრავს, როგორც ეს ჰოლანდიურ ქაღალდს ემართება; ამიტომ ესპანელები და იტალიელები მას სიამოვნებით იყენებენ როგორც შესანახად განკუთვნილი დოკუმენტებისათვის, აგრეთვე საქონლის შესახვევადაც და სხვა. ამასთანავე გენუის ქაღალდს განსაკუთრებული ღირსებაც აქვს. თუ მას ცეცხლს მოვუკიდებთ, იგი სურნელებას აფრქვევს. ესპანელებმა დიდი ზარალი მიაყენეს გენუელებს იმით, რომ კატალონიაში მოაწყვეს ქაღალდის წარმოება და პროდუქციის ნაწილს ინდოეთში აგზავნიდნენ.

გენუაში შესანიშნავად ამუშავებენ მარმარილოს და მას უფრო დიდი რაოდენობით იყენებენ, ვიდრე რომელიმე სხვა ადგილას.

გენუის საკონდიტრო ნაწარმი განთქმულია იტალიაში და მას დიდი რაოდენობით ამზადებენ. მის ღირსებას გენუის წყლის თვისებას მიაწერენ და არა დამზადების წესს. ტრავერსო იცნობდა საკონდიტრო ნაწარმის საუკეთესო ხელოსანს, რომელიც ნიცაში გადასახლდა და ვერასოდეს ვერ შეძლო იქ თავისი პროდუქციის ხარისხი ჩვეულებრივ დონეზე მაღლა აეწია.

ყველა ხელობაზე უფრო მეტად გენუელებს ავეჯის დამზადება ეხერხებათ; მათი ნამუშევრები დიდი სიფაქიზით, დიდი სიმტკიცითა და დიდი გემოვნებით გამოირჩევა. ისინი ცნობილი არიან როგორც კარგი მიმბაძველები, მაგრამ მათი შრომა, როგორც გენუაში დასახლებული ყველა ხელოსნის შრომა, ცუდად ნაზღაურდება.

გენუის საიმპორტო ვაჭრობა ძალზე დიდია, ვინაიდან მცენარეული ზეთის, ღვინის მცირე რაოდენობისა და კიდევ უფრო მცირე რაოდენობის პურის გარდა, გენუელები იძულებული არიან ყველაფერი თავისი მეზობლებისაგან შემოზიდონ.

გენუის ხომალდები, როგორც წესი, მცირე მოცულობის საკაბოტაჟო გემებია, რომლებიც მომარჯვებულია ნაპირების გასწვრივ ზღვაოსნობისათვის. თითქმის ყველა დიდი გემი, რომლებიც აგებულია გენუაში და ამ ქალაქის ვაჭრებს ეკუთვნით, დაცურავენ სხვა სახელმწიფოების დროშით, რომელთაც ბერბერებთან აქვთ ხელშეკრულება დადებული. გენუელებს დაახლოებით 40 ხომალდი ჰყავთ და ამათგან ძლივს 1/4 ბედავს გენუის დროშით გამოჩნდეს.

ვამთავრებ რა გენუის ვაჭრობის თაობაზე ლატაპის გამოკვლევის შინაარსის გადმოცემას, დავუმატებ ზოგიერთ ცნობას, რომლებიც პირადად შევაგროვე ჩემი მოგზაურობის დროს.

საბანკო ოპერაციები გენუის სავაჭრო სისტემის არსებითი ნაწილია: წარჩინებულებიც კი თავიანთ ფულს პროცენტებით ასესხებენ საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, რომში, სადაც მათ კაპიტალი აქვთ.

თავისუფალ და სავაჭრო სახელმწიფოში სახელმწიფო ფასიანი ქა-

ღალდები არასოდეს არ იძლევა დიდ პროცენტებს; გენუაში აქციებს 3% მოაქვთ, მიწის ფონდებს კი ცოტათი ნაკლები.

გენუელები ძალიან გაქნილები და გაგებულები არიან ვაჭრობის საქმეში; მათგან ყველაზე ნაკლებად განათლებულებსაც განსაკუთრებული უნარი აქვთ ფულის საქმეებში; ისინი ითვალისწინებენ ვაჭრობისათვის ყველა ხელსაყრელ გარემოებას; გენუაში არიან ისეთი კომერსანტები, რომლებმაც 1764 წლის სიძვირის დროს 700—800 ათასი ლივრი შეიძინეს პურის ვაჭრობით.

ინგლისისა და ჰოლანდიის გემებს გენუაში მოაქვთ შაქარი, კაკაო, ინდიგო და სხვა საქონელი; გენუელები ამ საქონელს ესპანეთში გზავნიან და იქიდან პიასტრები მოაქვთ; ხშირად ჩვენს ფრეგატებს ნებას რთავენ მონეტები გადაზიდონ, რათა მეკობრეების თავდასხმის რისკს თავი დააღწიონ. როცა მე გენუაში ვიყავი, იქ ელოდებოდნენ ფრეგატს „ქიმერას", რომელსაც 600 ათასი პიასტრი მოჰქონდა. ინგლისის ფრეგატებსაც მოჰქონდათ მონეტები: კაპიტნები იღებენ 1%, რის გამოც ასეთი ნებართვა მეტად ხელსაყრელია. პერუს ან მექსიკის პიასტრი, რომელსაც აგრეთვე პატაგონური ეწოდება, ფასდება 5 ლივრად და 3 სუდ ჩვენი ფულით; ლიონში იგი ღირს 5 ლივრი და 10 სუ, გენუაში კი — 6 ლივრი და 10 სუ ადგილობრივი ფულით.

100-ზე მეტი გენუის ხომალდი ვაჭრობს ინგლისის დროშით: მათი კაპიტნები, ხშირად გენუელები, მსახურობდნენ ინგლისში და მიიღეს ინგლისის კაპიტნის მოწმობები. სხვები ვაჭრობას ეწევიან საფრანგეთის დროშით; რესპუბლიკა არ არის საკმაოდ ძლიერი, რომ დაიცვას თავისი ვაჭრობა ბერბერებისაგან და მისი ქვეშევრდომნი, რამდენადაც შეუძლიათ, ვაჭრობენ უცხოეთის დროშით, როგორც ზევით ვთქვით.

არის აგრეთვე ჰოლანდიის, შვეიცარიის, ვენეციის გემები, რომლებიც გენუის სავაჭრო სამსახურს[1] ეწევიან.

გენუას შემოაქვს ღვინო ნეაპოლიდან, მარსელიდან, კატალონიიდან. გენუელები ჩვენს ბურგუნდიისა და შამპანურ ღვინოებს აგზავნიან ლომბარდიასა და გერმანიაში. მათ შემოაქვთ დამარილებული თევზი ჰოლანდიიდან და ჰამბურგიდან; დასასრულ, ისინი საკმაოდ ეწევიან საკაბოტაჟო ზღვაოსნობას მარსელისა და ლივორნოს რაიონებში. ვაჭრობენ მცენარეული ზეთით, ღვინით და სხვა სასურსათო საქონლით.

ისინი მდიდრდებიან ხან მარსელის, ხან ლისაბონის შაქრის ყიდვა-გაყიდვით სატრანზიტო ვაჭრობის საშუალებით, ღებულობენ რა შაქარს თავიანთ საწყობებში.

---

[1] გენუის ნავსადგურს თავშესაფრის უფლება აქვს; მკელელსაც კი შეუძლია თავის გადარჩენა ამ ნავსადგურში მყოფ უცხოეთის გემებზე, გარდა საფრანგეთის გემებისა (დე ლა ლანდის შენიშვნა).

ვარაუდობენ, რომ გენუის მოსახლეობა და ვაჭრობა კლებულობს; ამ დაკლების ერთ-ერთი მიზეზია ის ფაქტი, რომ გერმანული საქონლის დიდი ნაწილი, რომელიც ჰამბურგიდან გენუაზე გავლით იგზავნებოდა ესპანეთში და ამერიკაშიც კი, ამჟამად ტრიესტში მიდის.

გამხმარი სოკო ვაჭრობის მეტად ხელსაყრელი საგანია გენუელებისათვის, რაც შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, გვარწმუნებენ რომ იგი 800 ათ. ლივრს (მოგებას) იძლევა. მარტო ესპანეთს შეაქვს იგი 50 ათ. ლივრის ღირებულებისა. მთელ მოგებას სოფლის მცხოვრებლები ღებულობენ, ვინაიდან სოკო ერთადერთი სასურსათო საქონელია, რომელიც ბაჟით არ იბეგრება.

გენუა ეწევა დიდ ვაჭრობას ხელოვნური ყვავილებით და ამაში დიდძალ ფულს ღებულობს.

ლაქწასმული პატარა ყუთებიც აგრეთვე კარგად მზადდება გენუაში.

გენუის მრეწველობის ნაწარმთა შორის ასახელებენ რეფლექტორიან ნათურებს, ფარნებს; მათ იყენებდნენ გენუის კერძო სახლებში 1756 წლიდან, უფრო ადრე, ვიდრე ისინი ცნობილი გახდა პარიზში. მაგრამ გენუის ქუჩებს ანათებდნენ მხოლოდ მადონების ხატების წინ დადგმული კანდელებით. სხვა ადგილებში ქუჩები წყვდიადით იყო მოცული. ამჟამად ფართოდ არის გავრცელებული სასახლეების წინ ფარნების დაკიდება და იმასაც კი ამბობენ, რომ ფარნები ყველა ქუჩაზე დაიდგმებაო.

გენუაში იყენებენ სახლების გარშემო სამშენებლო ხარაჩოების აღმართვის მსუბუქ და საიმედო საშუალებას; აქ ვერ გაიგონებთ უბედურ შემთხვევებს მუშებს შორის, რაც ჩვენში ხშირად ხდება.

გენუაში განსაკუთრებული მანქანებია: მარმარილოს გასაპრიალებლად და ხერხების მართვისათვის; წისქვილი — პურის გამხმარი ნაჭრების დასაფქვავად და მისგან ფაფის დასამზადებლად ჰოსპიტლებისათვის.ლერიჩიში განსაკუთრებული მანქანაა ლატარიისათვის, სადაც ძვირფასეულობა გათამაშდება ხოლმე.

გენუის რივიერის გასწვრივ რამდენიმე ხომალდი შენდება, მაგალითად სესტრიში; მე ვნახე 50 ქვემეხიანი ხომალდი პრასის გემთსაშენზე, 2 ლიეზე გენუის დასავლეთით.

ლაზარეტში, რომელიც გენუის აღმოსავლეთით მდებარეობს, ერთდროულად შეიძლებოდა 10 სამხედრო ხომალდის დამზადება 2 წელიწადში და სანაპიროს გასწვრივ — 10 სხვა ხომალდისა. მე ვნახე ინჟინერი, რომელიც მზად იყო ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის, რესპუბლიკის მოკავშირეებს ამის საჭიროება რომ ჰქონოდათ; იგი მარწმუნებდა, რომ ქვეყანაში მუშების რიცხვი ამისათვის საკმაოა.

გენუელები ამზადებენ ბრტყელძირიან იალქნიან გემებს და 5 ათასი კვინტალის წყალწყვის ნავებს, რაც 160 ტ. შეადგენს. აგებული იყო

აგრეთვე რამდენიმე 60 ქვემეხიანი ხომალდი ესპანეთსა და პორტუგალიაში გასაყიდად; 1756 წლის ომის დროს მათ აგებდნენ აგრეთვე ტულონისათვის; ჩვენი ოფიცრები არც თუ საესებით კმაყოფილნი იყვნენ კონსტრუქციით, მაგრამ არ არის ძნელი აიძულო ააგონ ეს გემები იმ ნახაზებისა და გაბარიტების მიხედვით, რომლებიც საუკეთესოდ არის მიჩნეული პრაქტიკაში, კერძოდ საფრანგეთში, სადაც ეს ხელოვნება სრულყოფის უმაღლეს ხარისხამდეა აყვანილი.

[1, გვ. 316 — 322]

5. პაპის ოლქი

ქალაქ რომის მოსახლეობისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ

რომი უკვე ისეთი არ არის, როგორიც იგი 1800 წლის წინათ იყო, როდესაც მსოფლიოს ყველა ოთხივე ქვეყანა იქ გზავნიდა თავის განძს, თავის მცხოვრებლებს, თავის ჯარისკაცებს, თავის სამრეწველო ნაწარმსა და ფუფუნების საგნებს; მაშინ მისი მოსახლეობა რამდენიმე მილიონს შეადგენდა. ამის შემდეგ იგი დაქვეითდა და სულ რამდენიმე ათასი ადამიანიღა იყო აქ, მაგრამ უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე მოსახლეობა თანდათანობით გაიზარდა და დაახლოებით 170 ათასს მიაღწია.

თუ ავიღებთ საშუალო სიდიდეს, 24 წლის განმავლობაში — 1723-დან 1746 წლამდე აღწერის მონაცემების მიხედვით, მივიღებთ 145 500 კაცს; ყოველწლიურად 4802 დაბადებას, 5844 — დაკრძალვას; თუ ავიღებთ საშუალო ციფრს 1740—1763 წწ., მაშინ მივიღებთ 152 528 მცხოვრებს, დაბადებას — 5034, სიკვდილიანობას — 6192. ეს მონაცემები ქვეყნდება ყოველწლიურად „Chracas"-ში (ალმანახის მაგვარი, რომელსაც ასე დაერქვა იმ მბეჭდავის სახელის მიხედვით, რომელმაც მისი გამოშვება დაიწყო; ამის მსგავსად, პარიზში სამეფო კარის კალენდარს „Colombat"-ს უწოდებენ).

მცხოვრებთა ზემოდასახელებულ რიცხვს უნდა მივუმატოთ დაახლოებით 12 ათასი ებრაელი და ბევრი უცხოელი, რომლებიც აღწერის სიაში არ შეაქვთ; ასე რომ, რომში შეიძლება იყოს დაახლოებით 170 ათასი მცხოვრები და შეიძლება რამდენადმე მეტიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში 180 ათასზე მეტი.

ეტყობა, დაბადებათა რიცხვი მცხოვრებთა ოცდამეათე ნაწილს შეადგენს, მაშინ, როდესაც მესანსის მიხედვით დიდ ქალაქებში იგი უნდა აღწევდეს 28-ე ნაწილს; ეს სხვაობა გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს; ის ბუნებრივია ქალაქში, რომელიც სასულიერო წოდების ხელშია, სადაც ცელიბატია გაბატონებული, სადაც ჩამოდის და ცხოვრობს ბევ-

რი ადამიანი, რომელიც არ არის ადგილობრივი მკვიდრი და სრულებით არ უწყობს ხელს მოსახლეობის ზრდას.

ამ რიცხვზე (დაახლოებით 170 ათ.) მოდის დაახლოებით 7 ათ. სასულიერო პირი, როგორც თეთრი, ისევე შავი სამღვდელოება, ე. ი. ერთი 25-ზე. ცხადია, სამღვდელოების ცელიბატი არ არის იტალიის მოსახლეობის რიცხვის შემცირების მიზეზი; აქ დამნაშავეა უფრო მეტად აპათია და ფუფუნება, მზრუნველობისა და წახალისების არარსებობა და საბოლოო ანგარიშში მმართველობის ნაკლოვანებანი.

თანამედროვე რომაელებს უკვე აღარ ჰყავთ ისეთი მთავრობა, როგორც ძველებს და მხოლოდ ამას შეუძლია წარმოშვას ყველა განსხვავება. ღარიბი ხალხი, რომელმაც შექმნა თავისი სახელმწიფოებრიობა იარაღით ხელში და არ იცილებდა იარაღს 600 წლის მანძილზე, მიეჩვია ზომიერებას, სიმკაცრეს, სიამაყეს, გამარჯვებებს. იგი გადაგვარდა, როდესაც გამარჯვებებმა მას მოუტანა სიამოვნება, რომლის გემოს სწრაფად იგებენ ხოლმე და შემდეგ აღარ კარგავენ.

[1, გვ. 322—323]

6. პაპის კურიის შემოსავალი და უკანასკნელი პაპების პოლიტიკა

როგორც ამბობენ, პაპის შემოსავალი 2 მლნ. სკუდის ან ფრანგული ფულით 10 მლნ. ლივრს შეადგენს, მაგრამ ამ თანხის ნახევარზე მეტი წინასწარ გათვალისწინებულია სახელმწიფო ვალების გადასახდელად. ეს 10 მლნ. გროვდება მიწის, პურის, მარილის გადასახადისაგან და სასულიერო სახელმწიფოს ბაჟებისაგან: მარტო რომში 3 სხვადასხვა საბაჟოა; მაგრამ ერთი პატარა კასრი ღვინისათვის, რომელიც 62 პარიზულ პინტას იტევს, იხდიან მხოლოდ 25 სუს სამივე საბაჟოში, თუ ეს ღვინო კერძო პირს ეკუთვნის, და 3 ლივრს, თუ ის სამეკიტნოსია, მაშინ, როდესაც პარიზში ღვინის შემოტანის ბაჟი პინტაზე 3 სუთი მეტია, ინგლისში კი —30 სუთი მეტია. ეს ფაქტი თვალსაჩინოდ ნათელყოფს სასულიერო სახელმწიფოს ზომიერებას ბაჟის გადახდევინების საქმეში.

1782 წ. ახალი გადასახადი დაწესდა $1^1/_2$ მლნ. რომაული ეკიუს ან 8 მლნ. ფრანგული ფულით და მიმდინარეობს კადასტრზე მუშაობა, რათა იგი სამართლიანად განაწილდეს...

პაპმა სიქსტუს V იმ მიზნით, რომ თავისი ძალაუფლება აბსოლუტურ ძალაუფლებად ექცია, დაუკავშირდა რა კოლონიებისა და ორსინების ოჯახებს, გადაწყვიტა თავისთან მოეყარა თავი სახელმწიფოს მთელი ფულისათვის და ამისათვის შემოიღო ქაღალდის ფული, რომელიც აქამდის არსებობს; სწორედ ეს არის ე. წ. მონტის ობლიგაციები.

ეს ობლიგაციები ჯერ 5%-იანი გამოუშვეს, შემდეგ პროცენტი 4-მდე შეამცირეს; ბოლოს, პაპი ინოკენტი IX-ის (ოდესკალკის გვარიდან, გარდაიცვალა 1689 წ.) მმართველობისას, გადაწყვიტეს ახალი შემცირება: ვინაიდან კურიას ამ ქაღალდებისათვის პროცენტების სახით უნდა ეხადა მრავალი მილიონი რომაული ეკიუ და ვინაიდან პაპს თავის ხაზინაში დიდძალი თანხა ჰქონდა, ამიტომ აქციების მფლობელებს წინადადება მისცეს გამოუტანათ თავიანთი ანაბარი, თუ ისინი არ დათანხმდებოდნენ პროცენტების შემცირებაზე 4-დან 3-მდე; შეიძლებოდა თანხის 30% შეეტანათ. მართალია ეს კიდევ უფრო დამამძიმებელი იქნებოდა ,მაგრამ მაშინ პროცენტების გადახდა ძველებურად გაგრძელდებოდა. ვინაიდან პაპის სახელმწიფოში ვაჭრობა სულ არ არის, მიწები კი მოუსავლიანია, წამგებიანია, ამიტომ ობლიგაციის მფლობელები ვერ ხედავდნენ დიდ სარგებლობას თავიანთი სესხის დაბრუნებაში და დათანხმდნენ პროცენტების შემცირებას და კურიამ ერთბაშად მიიღო მრავალი მილიონის შემოსავალი; მან გენუელებისაგან ისესხა ფული, რათა კიდევ უფრო დაბალი პროცენტით დაებრუნებინა სესხი იმათთვის, ვინც ამას მოისურვებდა; ობლიგაციების ფასმა კიდევ უფრო აიწია: მონტის ობლიგაციები 100 სკუდის ღირებულებისა 125 სკუდად იყიდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ობლიგაციებით მხოლოდ 3 სკუდის უხდიან პროცენტების სახით. „ვოკაბლები", ანუ პროცენტიანი ქაღალდები ორჯერ მეტ შემოსავალს იძლეოდნენ, მაგრამ მათ ფასი ეკარგებოდა, თუ მათ მათი მფლობელი თავის სიცოცხლეში ანდა მფლობელის სიკვდილამდე 20 დღით ადრე არ გაყიდდა.

მნიშვნელოვნად თვლიან შემოსავალს პაპის ბულებისა და ანატებისაგან, რომელთა წყალობით რომში საფრანგეთის ფულიც მოედინება; მაგრამ მცოდნე პირები ირწმუნებიან, რომ ჩვეულებრივ წლებში ეს შემოსავალი ფრანგული ფულით 400 ათ. ლივრსაც ვერ აღწევს; პაპის კანცელარიაში მე ვნახე 5 წლის უწყისი, რომლის თანახმად საფრანგეთის ძიერ გადახდილი მთელი ფულის ჯამი წელიწადში მხოლოდ 376 ათ. ლივრამდე აღწევდა; ამაში შედიოდა შემოსავალი ბულებისაგან და ყოველგვარი შენდობისაგან და იმ რომაელი ბანკირების ხარჯებიც კი, რომლებიც რომიდან საფრანგეთში მიემგზავრებოდნენ.

ბენედიქტე XIV იძულებული იყო 1753 წ. ესპანეთის სამეფო კართან დაედო შეთანხმება, რომლის თანახმად ისპობოდა ანატები იმ პირობით, თუ ერთდროულად იქნებოდა გადახდილი $5^2/_3$ მლნ. ამან ქალაქ რომს ზიანი მიაყენა, სადაც 8-დან 10 ათასამდე ადამიანი დასაქმებული იყო ესპანეთის ბენეფიციებთან დაკავშირებული საქმეებით.

ფოსტიდან შემოსავალი პაპის სახელმწიფოში შეადგენს სულ 45 ათ. რომაულ ეკიუს ან 24 ათას ლივრს.

საერთოდ ყველა გადასახადი საეკლესიო სახელმწიფოში მეტად

ზომიერია [1]. მაგრამ, ვინაიდან ასეთი მცირე შემოსავალი აქვს, პაპი იძულებულია კიდევ თავისი წინამორბედების ვალის პროცენტებიც იხადოს და გზავნოს ფული საზღვარგარეთ პურის საყიდლად.

იმ 5 მლნ. რომაული ეკიუდან, რომელიც წმ. ანგელოზის ციხე-კოშკში შეიტანა სიქსტუს V, 1/2 მლნ. გამოიტანეს 1764 წლის შიმშილობის დროს და შეიძლება კიდევ დიდხანს არ მიეცეთ მისი ანაზღაურების საშუალება. 1764 წელს პაპმა იყიდა ალოიდალური მამულები, რომლებსაც იმპერატორი ფლობდა ურბინის საპერცოგოში, რის წყალობითაც სასულიერო სახელმწიფოს აუარებელი თანხა დაიხარჯა. 1765 წელს პურის შესყიდვამ საბოლოოდ გამოფიტა სახელმწიფო და ფული იმდენად იშვიათი გახდა რომში, რომ 1776 წელს უცხოელებმა, რომლებიც რომში ჩამოვიდნენ, იქიდან გასვლა ვერ შეძლეს, ვინაიდან ვერ მოახარხეს თავისი გადასახურდავებელი ქაღალდები ცეხინებად გადაექციათ; ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა, მაგრამ გავრცელდა უცხოელებისათვის დამამძიმებელი საფინანსო გარიგებები: ბანკირები თქვენგან 5% იღებენ, როდესაც თქვენ გინდათ გადასახურდავებელი ქაღალდებით მიიღოთ ფული. ამგვარ მევახშეობას 1784 წელს აშკარად ეწეოდნენ.

პურის შესაძენი დიდი ხარჯები, რის შესახებაც ზევით ვლაპარაკობდით შედეგი იყო არამარტო საყოველთაო მოუსავლიანობისა იტალიაში, არამედ სოფლის მეურნეობის დაქვეითებისაც რომაულ სოფელში. ამ უკანასკნელის მიზეზად ყველას მიაჩნია პურის პოლიტიკის არასწორად წარმართვა, ამჟამად იწყებენ ამ ბოროტების გამოსწორებას...

ძველი კანონის[2] თანახმად არავის არ შეეძლო პურის თავისუფალი გაყიდვა. ყველას ვინც მოსავალს აიღებდა, უნდა მიეყიდა ის სამოციქულო კურიისათვის მტკიცე ფასში, მის ღირებულებაზე გაცილებით უფრო იაფად, რის წყალობით კურია ზოგჯერ ორმაგ მოგებას იღებდა. არ იყო ნებადართული არც რომში და არც სოფელში პურის შინ გამოცხობა; იგი უნდა ეყიდათ კურიის მიერ დანიშნულ მეფუნთუშეებთან, მათ უნდა ეყიდათ პურის მარცვალი და გაეყიდათ გამომცხვარი პური კურიის მიერ დაწესებულ ფასად.

ყოველი წლის დასაწყისში მეფუნთუშეები იღებდნენ ვალდებულებას შეესყიდათ მარცვალი მთელი წლისათვის, თუნდაც მათ ნარჩენები ჰქონოდათ; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს ნარჩენები მათ უნდა მიეყი-

---

[1] ავტორი ფრანგია, ამიტომ ის საფრანგეთის მდგომარეობას ადარებს.

[2] იგულისხმება პურის გადასახადი, რომელიც შემოღებული იყო პაპი ინოკენტი III (გარდაიცვალა 1655 წ.) დროს.

დათ კურიისათვის იმ ფასად, რომელსაც თვითონ კურია დააწესებდა, შემდეგ კურია ამ პურს მიჰყიდდა მეფუნთუშეებს ნებისმიერ ფასად; ირწმუნებიან კიდეც, რომ საწყაო, რომელსაც კურია იყენებდა პურის გაყიდვისას 1/5-ით ნაკლები იყო იმ საწყაოზე, რომელსაც იგივე იყენებდა პურის ყიდვის დროს. მოსამსახურეთა მონოპოლიები ზრდიდნენ უბედურებას და შესაძლებელია, რომ ამაში მდგომარეობდეს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ შემცირდა სასულიერო სახელმწიფოს მოსახლეობა. შემდეგ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ვინაიდან რომაულ სოფელში არ იყო საკმაო რაოდენობით მხვნელ-მთესველი, იძულებული გახდნენ მიემართათ მეწარმეებისათვის, ვაჭრებისა ან გადასახადების შემსყიდველებისათვის, რომლებიც მუშახელს ფულით ქირაობდნენ. ამ ვაჭრების წახალისების მიზნით დაწესდა მტკიცე ფასი, რაც მათ მდგომარეობას უფრო საიმედოს ხდიდა; ეშინოდათ, რომ ასეთი ღონისძიების გარეშე ფასების დიდი დაწევა მოსავლიან წლებში აიძულებდა მათ თავი დაენებებინათ მიწის დამუშავებისათვის, როგორც ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც ხარჯებს ვერ აანაზღაურებდა და ამას შეიძლებოდა შიმშილობა მოჰყოლოდა. იმ ფართობის დასამუშავებელი ხარჯები, რომელზედაც დათესილი იყო ერთი რუბიო[1], განსაზღვრული იყო 36 ეკიუთი; მიჩნეული იყო, რომ დახარჯულ კაპიტალზე $12^1/_2$% მოგება მიეღოთ, ერთი რუბიო პური უნდა გაეყიდათ 6—$7^1/_2$ ეკიუდ; ეს სისტემა ხელსაყრელად ითვლებოდა გაუკაცრიელობის იმ დონეზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა რომაულ სოფელში; მაგრამ ამან ვერ შეაჩერა სოფლის მეურნეობის დაღუპვა, ვერ იხსნა ქვეყანა მოსავლიანობის შედეგებისაგან, ვინაიდან ხარჯები ერთ რუბიოზე 50 ეკიუმდე გაიზარდა და ვაჭრებისათვის აღარ იყო ხელსაყრელი მიწასთან ჰქონოდათ საქმე. თავგზადაბნეული გლეხი კი უგულებელყოფდა მიწათმოქმედებას; ამასთანავე ბუნებრივი სიზარმაცეც აიძულებდა გლეხებს არ დაეთესათ იმაზე მეტი, რაც მათი საკუთარი არსებობისათვის იყო საჭირო. მოუსავლიან წელს შიმშილი ყველას ეწევა; სწორედ ასე მოხდა 1764 წელსაც. ჯერ კიდევ წინა წლების მოსავალი მეტად მცირე იყო, 1765 წლის მოსავალიც არ იყო უკეთესი და ხუთი წლის განმავლობაში იძულებული იყვნენ პური საზღვარგარეთიდან შემოეზიდათ.

ეკონომისტების, პოლიტიკოსების, მწერლების, ლიტერატორების მოსაზრებებმა აიძულა საფრანგეთის მთავრობა 1764 წელს პურის ექსპორტის ნება დაერთო; ცხადი გახდა, რომ მიწათმოქმედების აღმავლობისათვის საჭირო იყო ხელსაყრელ პროფესიად ექციათ იგი და პურის

---

[1] რუბიო — ფხვიერი სხეულების რომაული საწყაო, რომელიც დაახლოებით 3 ჰექტოლიტრს უდრის.

ფასი საკმარისი ყოფილიყო იმისათვის, რომ მიწათმოქმედებისათვის დახარჯული შრომა აენაზღაურებინა. მაგრამ პაპის სახელმწიფოში მიწათმოქმედება ყველაზე უარესი პროფესიაა ,ამიტომ იქ, სადაც მიწა განსაკუთრებით ნაყოფიერი არ არის, იგი თითქმის დაუმუშავებელია. ერთმა მოგზაურმა, რომელიც ნეაპოლიდან ბრუნდებოდა, ერთ-ერთი რომაელი თავადის სამფლობელოებში გაიარა; როცა მან დაუმუშავებელი მინდვრები დაინახა, გადაწყვიტა, რომ თავადს მუშები არ ჰყოფნის და შესთავაზა მას ადამიანები მისი მიწების დასამუშავებლად. თავადმა უპასუხა, რომ აქ მოსახლეობის სიმცირე როდია, მაგრამ კურიისათვის პურის მეტად დაბალ ფასად მიყიდვის აუცილებლობა არახელსაყრელად აქცევს მის მოყვანას.

მაგრამ ამჟამად მხვნელ-მთესველებს უფლება აქვთ, როგორც უნდათ ისე გაყიდონ თავისი პური, მათ მისი ექსპორტის უფლებაც აქვთ, რისთვისაც საჭიროა მხოლოდ ნებართვის აღება; ნებართვისათვის იხდიან ერთ სკუდოს[1] ერთ რუბიო პურზე. კარდინალი, სახელმწიფო მდივანი, რომელიც ამ ნებართვებს იძლევა, დაინტერესებულია ექსპორტით; ექსპორტი წელიწადში 300 ათ. რუბიოს აღწევს, ყოველ შემთხვევაში ამას ადასტურებს ფელიჩე, რომლის მამა 35 წლის განმავლობაში პურის საქმეების ინსპექტორი იყო.

კურიას აქვს მარცვლეული, რომელიც მის მიწებში მოჰყავთ ან საეკლესიო მეათედის სახით იღებენ. ამ მარცვალს ჰყიდიან მეფუნთუშეებზე რუბიოს ერთ ეკიუდ, როგორც დოვლათიანობის, ასევე მოუსავლიან წლებშიაც; მეფუნთუშეები ვალდებული არიან გაყიდონ თეთრი პური 8 უნცია ერთ ბაიოკოდ[2]; ისინი აცხობენ ხალხისათვის წონით გასაყიდ პურს და ახლა არ არიან ვალდებული იყიდონ კურიისაგან მარცვალი ერთი წლით ადრე. თუ კურიის მიერ დაწესებული ფასი მათთვის ხელსაყრელი არ არის.

მოსახლეობას შეუძლია პური შინ გამოაცხოს და გონიერი ადამიანები სარგებლობენ ამ ნებართვით; მეფუნთუშეები ყიდიან კიდეც ანაცერ ფქვილს, წვრილ ქატოს, რომელსაც ღარიბები ყიდულობენ, რათა მისგან პური გამოაცხონ. პაპმა განგანელიმ[3] 1769 წელს გამოსცა დადგენილება პურით ვაჭრობის დროს ბოროტმოქმედების აღკვეთის მიზნით.

იტალია ისეთი ქვეყანაა, სადაც ხვნა-თესვას ძალიან ჭირდებოდა წახალისება მისი მცხოვრებლების უდარდელი სიზარმაცის გამო. ეს

---

[1] სკუდო — ძველებური მონეტა, რომელიც ეკიუს უდრის.

[2] ბაიოკო — პაპის ძველებური მონეტა, რომელიც 6 ჩენტეზიმს უდრის.

[3] მხედველობაში გვყავს პაპი კლიმენტი XIV (1769—1774 წწ.), რომლის დროსაც დაიხურა იეზუიტების ორდენი.

თვისება ბუნებრივია თბილი ჰავის ქვეყნებში და ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად მკაცრი ზომების მიღება აუცილებელია.

[1, გვ. 323—327]

7. პონტიის ჭაობების ამოშრობის ცდა

....პაპი[1] იმედოვნებდა ამ ფართო სივრცისაგან მშვენიერი სამთავრო შეექმნა და მასზე ინვენსტიტურა ბრასკი ონესტის ოჯახისათვის მიეცა.

ყველას, ვინც იცნობს თანამედროვე რომის მთავრობას, მის დადგენილებებს, ქრისტიანული სამყაროს ამ დედაქალაქის მომარაგების წესს და ამ მთავრობის პურის პოლიტიკას, — კარგად ესმის, რომ შეუძლებელია პონტიის ჭაობებზე პროვინციის შექმნა. როგორ შეიძლებოდა თემებისა და სოფლების აშენება და ფერმების მოწყობა იმ ქვეყანაში, რომელშიც ყველგან არ არის საკმაო მოსახლეობა, თვით რომის მისადგომებთანაც კი, რომელიც გარშემორტყმულია დაუმუშავებელი მიდამოებით, ყამირი მიწებით, რომელიც შეიძლებოდა დამუშავებულიყო დიდი შრომის დაუხარჯავად. პონტიის ჭაობების ამოშრობის სამუშაოები ბრწყინვალე წარმატებითაც რომ დამთავრებულიყო, რა შეიძლებოდა მათგან მიგვეღო მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის სასარგებლოდ, — სამოციქულო კურიის ჯოჯოხეთური რეჟიმის არსებობის პირობებში დესპოტიზმის უღელქვეშ, რომელიც შექმნილია გვირგვინოსანი მღვდლის ქვეშევრდომთა შორის ყოველგვარი აქტიურობისა და თაოსნობის მოსასპობად, რომელთაც უკვე დიდი ხანია აღარა აქვთ ის თავისუფლება, ურომლისოდ ხალხებს არ შეუძლიათ შექმნან რაიმე კარგი, რაიმე ბრძნული, რაიმე სასარგებლო? რომ დავასახლოთ ხალხი პონტიის ჭაობებში, უნდა დავიწყოთ რომის მიდამოებიდან, ამ უკანასკნელში კი მანამდე არ იქნება მოსახლეობა, სანამ ისინი იტანჯებიან პაპის მთავრობის ხელისუფლების გამო...

[1, გვ. 327]

---

[1] პაპი პიუს VI (1775—1799).

V

თავი მეხუთე

პრუსია XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნეში

1 მარქსიზმის კლასიკოსები პრუსიის შესახებ

კ. მარქსი ჰოჰენცოლერნების მონარქიის შექმნის ისტორიის შესახებ

ჰოჰენცოლერნების მონარქიის შექმნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესია სამი მოვლენა — ბრანდენბურგის საკურფიურსტოს დაუფლება, ამ საკურფიურსტოსათვის პრუსიის საჰერცოგოს შემოერთება და, ბოლოს, საჰერცოგოს ამაღლება სამეფოს რანგამდე. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ იქნა შეძენილი კურფიურსტობა. პრუსიის საჰერცოგო მოპოვებულ იქნა სამი აქტის საშუალებით: ჯერ ერთი, სეკულარიზაციის გზით; შემდგომ, საკმაოდ ორაზროვანი ხასიათის საქორწინო გარიგებების წყალობით: კურფიურსტი იოაჰიმ-ფრიდრიხი დაქორწინდა გონებასუსტ უვაჟიშვილო ჰერცოგ ალბრეხტ პრუსიელის უმცროს, ხოლო იოაჰიმ-ფრიდრიხის შვილი იოაჰან-სიგიზმუნდი — უფროს ქალიშვილზე; ბოლოს, ერთი მხრივ, პოლონეთის მეფის კარისკაცთა, ხოლო მეორე მხრივ, რეჩ პოსპოლიტას სეიმის მოსყიდვის გზით. მოსყიდვებთან დაკავშირებული გარიგებები იმდენად ჩახლართული იყო, რომ იგი მთელი რიგი წლების მანძილზე გაჭიანურდა. მსგავსი მეთოდი იქნა გამოყენებული, რათა პრუსიის საჰერცოგო სამეფოდ გარდაქმნილიყო. კურფიურსტ ფრიდრიხ მესამეს, შემდგომ მეფე ფრიდრიხ პირველს, მეფის ტიტულის მისაღებად გერმანიის იმპერატორის თანხმობა სჭირდებოდა. იმისათვის, რომ მიეღო ეს თანხმობა, რომლის წინააღმდეგაც იმპერატორის კათოლიკური სინდისი ილაშქრებდა, ფრიდრიხ მესამემ მოისყიდა იეზუიტი ვოლფი — ლეოპოლდ პირველის მოძღვარი და სართად მისცა 30 ათასი ბრანდენბურგელი მეომარი, რომლებიც საზარბაზნე ხორცი იქნებოდნენ ესპანური მემკვიდრეობისათვის ავსტრიასთან წარმოებულ ომში. ჰოჰენცოლერნი კურფიურსტი დაუბრუნდა ცოცხალი საქონლით ანგარიშსწორების ძველ გერმანულ ადათს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ძველი გერმანელები იხდიდნენ პირუტყვით, ის კი ადამიანებით. ასე, წყალობითა ღვთისითა, შეიქმნა ჰოჰენცოლერნების სამეფო.

К. Маркс. Божественное право Гогенцоллернов. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 12, стр. 103—104.

კ. მარქსი „დიდი კურფიურსტის“ შესახებ

ვინ არ იცნობს მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ იმ ვერაგობას, მზაკვრობას, თაღლითობას, რომელთა მეოხებითაც აღზევდა კაპრალთა ოჯახი, რომელიც ჰოჰენცოლერნების სახელს ატარებს?

ყველამ იცის, თუ ეგრეთწოდებულმა „დიდმა კურფიურსტმა“ (თითქოსდა რომელიმე „კურფიურსტი“ შეიძლება იყოს „დიდი“) როგორ ჩაიდინა პირველი ღალატი პოლონეთის მიმართ: იგი, შვეციის წინააღმდეგ პოლონეთის მოკავშირე, მოულოდნელად გადავიდა შვედების მხარეზე, რათა ოლივას ზავით უფრო საფუძვლიანად გაეძარცვა პოლონეთი.

ყველა იცნობს ფრიდრიხ I-ის უხამს ფიგურას, ფრიდრიხ-ვილჰელმ II-ის პირუტყვულ უხეშობას.

К. Маркс. Подвиги Гогенцоллернов.
К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 6, стр. 519.

ფ. ენგელსი XVIII საუკუნის გერმანიის პოლიტიკური წყობის შესახებ

ძველი გერმანია იმ დროს რომის საღვთო იმპერიის სახელით იყო ცნობილი და მოიცავდა ძალზე მრავალ პატარა სახელმწიფოს, სამეფოს, საკურფიურსტოს, საჰერცოგოს, საერცჰერცოგოს, დიდ საჰერცოგოს, სამთავროს, საგრაფოს, საბარონოსა და თავისუფალ საიმპერიო ქალაქს, რომლებიც ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი იყვნენ და მხოლოდ ერთ ხელისუფლებას — იმპერატორისა და სეიმის ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ (თუ კი ასეთი ხელისუფლება იყო, მაგრამ საუკუნეების მანძილზე იგი საერთოდ არ არსებულა). ამ პატარა სახელმწიფოების დამოუკიდებლობა ისე შორს მიდიოდა, რომ ყოველ ომში „მარადიულ მტერთან“ (რა თქმა უნდა საფრანგეთთან) მათი ნაწილი ემხრობოდა საფრანგეთის მეფეს და აშკარად ეომებოდა თავის საკუთარ იმპერატორს. სეიმი ამ პატარა სახელმწიფოების დეპუტატებისაგან შედგებოდა და მას იმპერიის წარმომადგენელი თავმჯდომარეობდა. მას თავის დანიშნულებად ის მიაჩნდა, რომ შეეზღუდა იმპერატორის ძალაუფლება, ამიტომ მუდმივად მართავდა სხდომებს, მაგრამ ვერასოდეს აღწევდა რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო შედეგს. იქ ცერემონიალის უაზრო საკითხების განხილვაზე კარგავდნენ დროს; მაგალითად, ამა თუ იმ ბარონის ელჩობის წინაშე უნდა ჰქონდეს თუ არა უპირატესობა ამა და ამ ბარონის ელჩობას (რომელიც შეიძლება შედგებოდა მისი შვილის გუვერნიორისაგან, მოხუცი ლივრეიანი ლაქიისაგან ან ბებერი ტყის მცველისაგან) ან ვალდებულია თუ არა იმპერიის

რომელიმე თავისუფალი ქალაქის დეპუტატი მიესალმოს მეორე ქალაქის დეპუტატს ისე, რომ არ დაელოდოს მის მისალმებას და სხვ. შემდეგ დავა ეხებოდა უამრავ წვრილმან პრივილეგიას, რაც მეტწილად მძიმე ტვირთად აწვა თვით პრივილეგირებულებს, მაგრამ ღირსების საკითხად მიაჩნდათ და ამიტომაც განსაკუთრებით მძაფრ კინკლაობას იწვევდა. ეს და სხვა მსგავსი დიდმნიშვნელოვანი საქმეები იმდენ დროს ართმევდა ბრძენ სეიმს, რომ ამ ღირსეულ საკრებულოს წუთიც აღარ რჩებოდა იმპერიის საქმეების განსახილველად. ყოველივე ამის შედეგად ყველგან სუფევდა უდიდესი უწესრიგობა და გაურკვევლობა. როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიან ხანაში შინაგანი შუღლით გათანგულმა იმპერიამ რეფორმაციის დროიდან 1789 წლამდე მთელი რიგი შინაომები გადაიტანა, ამასთან თითოეულ ამ ომში საფრანგეთი კავშირს ამყარებდა იმათთან, ვინც იბრძოდა იმპერატორის მომხრე სუსტი და ადვილად დასამარცხებელი პარტიის წინააღმდეგ და რასაკვირველია ამის გამო ნადავლიდან ყველაზე დიდ წილს იღებდა... ყოველი თავადი თავისი ქვეშევრდომების მიმართ იყო მძვინვარე შეუზღუდავი დესპოტი. იმპერია ვერასოდეს ვერ სწვდებოდა სახელმწიფოს შინაგან საქმეებს, გამონაკლისი იყო სასამართლოს შექმნა (იმპერიის სასამართლო პალატა ვეცლარში), რომელსაც უნდა განეხილა ქვეშევრდომთა საჩივრები უფროსების მიმართ; მაგრამ ეს ღირსეული სასამართლო ისე კარგად არჩევდა საქმეებს, რომ არავის გაუგონია, რომ რომელიმე მათგანი გადაეკრათ. ძნელი დასაჯერებელია სიმკაცრისა და თვითნებობის ის აქტები, რომლებსაც სჩადიოდნენ ამპარტავანი თავადები თავიანთი ქვეშევრდომების მიმართ. ეს თავადები დროს მხოლოდ სიამოვნებასა და გარყვნილებაში რომ ატარებდნენ, ამით განუსაზღვრელ ძალაუფლებას ანიჭებდნენ თავიანთ მინისტრებსა და მთავრობის მოხელეებს, რომლებსაც საშუალება ეძლეოდათ დაუსჯელად ეჩაგრათ უბედური ხალხი, თუ კი ისინი ავსებდნენ თავიანთი მბრძანებლების ხაზინასა და საკმაო რაოდენობით ლამაზი ქალებით ამარაგებდნენ მათ ჰარამხანებს. ხოლო ის აზნაური, რომელიც დამოუკიდებელი არ იყო და რომელიმე მეფის, ეპისკოპოსის ან თავადის ხელქვეით იმყოფებოდა, ჩვეულებრივ, ხალხს ისიც უფრო უპატივცემლოდ ეკიდებოდა, ვიდრე ძაღლებს, და თავისი ყმების შრომით რაც შეიძლება მეტ ფულს იხვეჭდა, ვინაიდან ბატონყმური დამოკიდებულება იმდროინდელ გერმანიაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო... რაც შეეხება საშუალო კლასს, ფულისმოყვარე ბურჟუებს, ისინი ამ მუდმივ უწესრიგობაში ჰპოვებდნენ გამდიდრების წყაროს; ბურჟუებმა იცოდნენ, რომ თევზის დაჭერა მღვრიე წყალში უფრო შეიძლება: ისინი ურიგდებოდნენ შევიწროებასა და შეურაცხყოფას, რადგანაც იცოდნენ, რომ თავისებურად იძიე-

ბდნენ შურს: ისინი შეურაცხყოფისათვის შურს იძიებდნენ თავიანთი მჩაგვრელების მოტყუებით. ხალხთან შეერთებულებს მათ შეეძლოთ დაემხოთ ძველი ხელისუფლება და გარდაექმნათ იმპერია, როგორც ეს ნაწილობრივ გააკეთა ინგლისის ბურჟუაზიამ 1649 და 1688 წლებს შორის და რის გაკეთებასაც იმ დროს აპირებდა საფრანგეთის ბურჟუაზია. მაგრამ არა, გერმანიის ბურჟუაზიას არასოდეს გააჩნდა ასეთი ენერგია, არასოდეს ჰქონდა ასეთი ვაჟკაცობის პრეტენზია; გერმანელმა ბურჟუებმა იცოდნენ, რომ გერმანია — ეს მხოლოდ ნეხვის გროვა იყო, მაგრამ ისინი მოხერხებულად გრძნობდნენ თავს ამ ნეხვში იმიტომ, რომ თვითონ იყვნენ ნეხვი და იმიტომ, რომ გარემომცველი ნეხვი ათბობდა მათ. ხოლო მუშა ხალხი დღევანდელზე უარესად როდი ცხოვრობდა, გარდა იმ გლეხებისა, რომელთა უმეტესობა ყმები იყვნენ და ვერაფერს გააკეთებდნენ ქალაქელების დაუხმარებლად, რადგან მათ ბინებში ჩაესახლებინათ დაქირავებული ჯარები, რომლებიც მზად იყვნენ სისხლში ჩაეხშოთ ამბოხების ყოველი ცდა.

ასეთი იყო მდგომარეობა გერმანიაში გასული საუკუნის დამლევს.

Ф. Энгельс. Положение в Германии.
К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 2,
стр. 559—561.

კ. მარქსი ფრიდრიხ II-ის პოლიტიკის შესახებ

ყველამ იცის, თუ მათრახის დახმარებით საჯაროდ როგორ ჰყიდდა თავის ქვეყანას ფრანგ სპეკულანტებზე პატრიარქალური დესპოტიზმის შემქმნელი, განმანათლებლობის მეგობარი ფრიდრიხ II; ყველამ იცის, თუ როგორ დაამყარა მან კავშირი რუსეთთან და ავსტრიასთან პოლონეთის გაძარცვის მიზნით, რაც ახლაც კი, 1848 წლის რევოლუციის შემდეგ, გერმანიის ისტორიის წარუხოცელ სამარცხვინო ლაქად რჩება.

ყველამ იცის, თუ როგორ შეუწყო ხელი ფრიდრიხ-ვილჰელმ მეორემ პოლონეთის ძარცვის დაგვირგვინებას და როგორ დაურიგა მან პოლონეთის ეროვნული და საეკლესიო ნაძარცვი ქონება თავის კარისკაცებს.

ყველამ იცის, თუ როგორ შეუერთდა იგი 1792 წელს კოალიციას, ავსტრიასა და ინგლისთან ერთად, საფრანგეთის სახელოვანი რევოლუციის ჩასახშობად და როგორ შეიჭრა საფრანგეთში; ასევე, ყველამ იცის, თუ რა სამარცხვინოდ გარეკეს მისი „მამაცი არმია“ საფრანგეთიდან.

ყველამ იცის, თუ როგორ უღალატა მან თავის მოკავშირეებს მაშინ და სასწრაფოდ დადო ზავი საფრანგეთის რესპუბლიკასთან.

ყველამ იცის, თუ მან, რომელიც თავს საფრანგეთისა და ნავარის კანონიერი მეფის აღტაცებულ მომხრედ ასაღებდა, საფრანგეთის რესპუბლიკისაგან როგორ შეისყიდა იმავე მეფის სამეფო ძვირფასეულობა და ამრიგად გამდიდრდა თავისი „საყვარელი მეგობრისა და ძმის“ უბედურების ხარჯზე.

ყველამ იცის, თუ როგორ ჩაახშო აზრის თავისუფლება ბიშოფსვერდერის ედიქტებით მან, რომლის ცხოვრება გარყვნილებისა და მისტიციზმის, მოხუცის ქინიანობისა და ბავშვური ცრურწმენის ჰოჰენცოლერნული ნარევი იყო.

ყველამ იცის, თუ როგორ უღალატა მისმა მემკვიდრემ ფრიდრიხ ვილჰელმ მესამემ, „სამართლიანად“ წოდებულმა, თავის ძველ მოკავშირეებს, ნაპოლეონის მიერ მისთვის მიგდებული სატყუარის — ჰანოვერის — ფასად.

ყველამ იცის, თუ მან ამის შემდეგ როგორ უღალატა ნაპოლეონს იმავე ყოფილი მოკავშირეების სასარგებლოდ, ინგლისისა და რუსეთის დაქირავებულის როლში, როგორ დაესხა თავს ნაპოლეონში განსახიერებულ საფრანგეთის რევოლუციას.

ყველამ იცის, თუ რა წარმატებები ხვდა წილად ამ თავდასხმას: „მამაცი არმიის“ გაუგონარი დამარცხება იენასთან, პრუსიის მთელი სახელმწიფო ორგანიზმის მორალური გახრწნის, პრუსიელი ჩინოვნიკების ღალატის, სიმდაბლისა და მლიქვნელობის გრძელი ჯაჭვის მოულოდნელი გამომჟღავნება, რაც ზიზღს გვრიდა ნაპოლეონსა და მის გენერლებს.

ყველამ იცის, თუ 1813 წელს ფრიდრიხ-ვილჰელმ მესამემ ლამაზი სიტყვებითა და მდიდრული დაპირებებით როგორ აიძულა პრუსიელი ხალხი დაეჯერებინა, თითქოს ლაშქრობა ფრანგების წინააღმდეგ იყო „განმათავისუფლებელი ომი“, იმ დროს, როდესაც სინამდვილეში საქმე ესებოდა საფრანგეთის რევოლუციის ჩახშობას და „წყალობითა ღვთისითა“ ძველი მონარქიის აღდგენას.

ყველამ იცის, თუ როგორ მიეცა დავიწყებას ლამაზი დაპირებები, როგორც კი საღვთო კავშირის მონაწილენი 1814 წლის 30 მარტს პარიზში შეავიდნენ.

ყველამ იცის, რომ ელბიდან ნაპოლეონის დაბრუნებისას გერმანელი ხალხის ენთუზიაზმი კვლავ იმდენად დაცხრა, რომ ჰოჰენცოლერნი მას კონსტიტუციას უნდა შეპირებოდა (ვატერლოოს ბრძოლამდე 4 თვით ადრე, 1815 წლის 22 მაისს გამოსული ედიქტი), რათა კვლავ გამოეცოცხლებინა ეს მიმქრალი გულმოდგინება.

ყველას ახსოვს გერმანიის საკავშირო და ვენის დასკვნითს აქტებში მოცემული დაპირებები: ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, კონსტიტუცია და სხვ.

К. Маркс. Подвиги Гогенцоллернов.
К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т 6, стр. 519—521.

2. ფეოდალური ურთიერთობანი, ბატონყმობა, გლეხობის მდგომარეობა

ფრიდრიხ II-ის მიწერილობა გენერალური დირექტორისადმი 1748 წლის 20 მაისს

მისი უდიდებულესობისათვის ცნობილია, რომ გლეხის აუტანელი ჩაგვრის ერთ-ერთი მიზეზია მძიმე და სრულიად შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებითაც ის დაბეგრილია. ასეთ მდგომარეობას უმრავლეს შემთხვევაში მემამულისათვისაც მცირე სარგებელი მოაქვს. გლეხს კი ის, აშკარად სრულ დაღუპვას უქადის.

ამასთან დაკავშირებით მისი უდიდებულესობა იძლევა მკაცრ ბრძანებას, რათა მთავარმა სამმართველომ... დაიწყოს განხილვა საკითხისა იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა... თანამდებობის პირებს, ქალაქის მოსახლეობისა და თაეადაზნაურობის წარმომადგენლებს ამ უაღრესად ძნიშნე პირობებისაგან გლეხების ერთგვარად განთავისუფლება. საქმე შეიძლება მოგვარდეს ისე, რომ გლეხმა, რომელიც ახლა, საბატონო ბეგარას მთელი კვირის განმავლობაში იხდის, ნაცვლად ამისა, მებატონის კარზე კვირაში არა უმეტეს 3 ან 4 დღეს იმუშაოს. მართალია, დასაწყისში ამის გამო აყალ-მაყალი ატყდება, მაგრამ უბრალო ადამიანს აღარ შეუძლია შემდგომში მოითმინოს ის, რომ ბეგარა კვირაში 5 ან 6 დღის განმავლობაშიც კი უნდა იხადოს; ასეთი სავალალო მდგომარეობის გამო... ის სამუშაოსაც ცუდად ასრულებს, ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, აუცილებელია გადამწყვეტი ზომების მიღება! და უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ყველა შეგნებული მემამულე მიხვდება იმას, რომ ყოველგვარი შენიშვნის გარეშე ის უნდა დათანხმდეს ბეგარის დღეების ცვლილებაზე, მით უმეტეს, რომ ის საქმით დარწმუნდება, რომ მას შემდეგ, რაც გლეხი ცოტას დაისვენებს, ნაკლები დღეების განმავლობაში იგივეს და შეიძლება უფრო მეტსაც, გააკეთებს და უკეთესად იმუშავებს...

[1, გვ. 219]

ფრიდრიხ II-ის სახელდებითი მითითება საკურფიურსტო მარკის პალატისადმი (1749 წელი)

იმის გამო, რომ ზოგიერთი მოხელე (სახაზინო გამგებელთა შორის გ. კ.) გლეხობას ცუდად ექცევა და მათ ხშირად ჯოხით სცემს, მის უდიდებულესობას არავითარ შემთხვევაში არ ნებავს თავისი ქვეშევრდომების მიმართ მსგავსი ტირანიის დაშვება. მისი უდიდებულესობა მოითხოვს, რომ ის მოხელე, რომელსაც ამიერიდან დაუმტკიცდება, რომ იგი გლეხებს ჯოხით სცემს, დაუყოვნებლივ, ყოველგვარი შეღავათის გარეშე, მოთავსებულ იქნეს საპყრობილეში 6 წლით, მაშინაც კი, თუ იგი საიჯარო გადასახადს კეთილსინდისიერად იხდის ან სათანადო თანხა წინასწარ შეაქვს.

[4, გვ. 249]

სახელდებითი მითითება სახელმწიფო სამმართველოს (1777 წელი)

მისი უდიდებულესობისათვის ცნობილი გახდა, რომ მისი პალატის სამფლობელოებში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი საგლეხო მამულები, რომლებიც მასზე მცხოვრებ ადამიანებს არ ეკუთვნიან; რომ მოხელეები, თავიანთი ნებასურვილით, მშობლების გარდაცვალების შემთხვევაში (გლეხის ოჯახში), მათ შვილებს საკარმიდამოს ართმევენ და მას სხვას გადასცემენ. ეს ჩანს პომერანიის პალატის თანდართული მოხსენებითი ბარათიდან. ასე მაგალითად, კოლბაცელმა მოხელემ ყოველგვარი კანონისა და სამართლიანობის საწინააღმდეგოდ, თვითნებურად გააძევა იზინგერში მცხოვრები სოფი შიუნემანი მამისეული კარმიდამოდან და აქ სხვა ჩაასახლა. როგორც ირკვევა, იგი შესანიშნავად უძღებოდა მეურნეობას. ყოველივე ეს არსებითად ეწინააღმდეგება მისი უდიდებულესობის ნებასურვილს, რომელიც, პირიქით, გამოიხატება იმაში, რომ როგორც პომერანიაში, საკურფიურსტოში, ახალ მარკასა და სხვა პროვინციებში მეფის პალატის გამგებლობაში მყოფი ყველა საგლეხო კომლი მათ მფლობელებს უნდა დარჩეთ, როგორც საკუთრება და ისინი მშობლებისაგან შვილებს უნდა გადაეცეთ. ასეთი ვითარება დიდ სარგებლიანობას მოიტანს, რადგანაც გამოიწვევს ქვეშევრდომთა დაინტერესების ზრდას. ამ შემთხვევაში ისინი თავის მამულში უკეთესად წარმართავენ მეურნეობას, ყოველნაირად შეეცდებიან ყველაფერი წესრიგში ჰქონდეთ რაკი დარწმუნდებიან, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ ყველაფერი მათ შვილებს დარჩებათ.

ამრიგად, მისი უდიდებულესობა ამ მითითებით უბრძანებს თავის მთავარ სახელმწიფო სამმართველოს, სისრულეში მოიყვანოს ზემო-

თქმული მოთხოვნა და განკარგულება გასცეს, რომ ყველგან, სადაც ეს არ სრულდება, პალატის მფლობელობაში მყოფი საგლეხო მიწები ქვეშევრდომებს მემკვიდრეობით გადაეცეს. სახელდობრ, ასეთი მიწები მშობლებიდან შვილებს უნდა გადაეცეს. ამ უკანასკნელებს საშუალება უნდა ჰქონდეთ მამისაგან მიღებული მემკვიდრეობით თავისუფლად და მშვიდად ისარგებლონ.

[4, გვ. 250]

ე. მ. არნდტის მოგონებებიდან[1]

ძველი გაბატონებული გვარის ამოწყვეტის შემდეგ, შვედებმა, საზავო ხელშეკრულებებით, რომლებითაც დასრულდა საშინელი ოცდაათწლიანი ომი, ეს მიწა (პომერანია და რიუგენი) გავერანებული, გაუკაცრიელებული და დამონებული მიიღეს. აქ მოსულმა შვედებმა არ იცოდნენ წინანდელი გერმანული წესები და ისინი მათი შენარჩუნებისათვის არ ზრუნავდნენ. (ამ მიწების საუკეთესო მმართველები (Verwalter) და განმგებელნიც (Einrichter) კი, მაშინ და შემდგომშიც, ხელმძღვანელობდნენ პომერანიელი თავადაზნაურებისა და იურისტების ინტერესებით და შეხედულებებით, რომლებიც გერმანიის საადგილმამულო ურთიერთობებში გვიანდელი რომის სამართლის დებულებებს იყენებდნენ. ამგვარად, ამ მიწებზე სოფლის მოსახლეობას შორის თითქმის მთლიანად გაქრნენ მცირერიცხოვანი, რამდენადმე თავისუფალი ან ზომიერად თავისუფალი ადამიანები და ყველა უფლება. რომელიც მანამდე არსებობდა უკიდურეს შემთხვევაში როგორც ჩვეულება. ამიერიდან განიხილებოდა ყველაზე მკაცრი და შეუზღუდველი მონობის (Knechtschaft) თვალსაზრისით. ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ გლეხობის წოდება, განსაკუთრებით შეიდწლიანი ომის დასასრულიდან, 1760 წლიდან 1790 წლამდე, ყველგან არამარტო მძიმე ვალდებულებებით იყო დაბეგრილი, არამედ ბოლოს და ბოლოს სოფლების მსხვილ საიჯარო და რაინდულ მამულებად გადაქცევის შემდეგ სრულიად გაკოტრდა.

ამ, ე. წ. გლეხების გარეკვით (Bauernlegen) გატაცებამ მოიცვა არამარტო რაინდული წოდების ცალკეული წარმომადგენლები, არამედ აგრეთვე სასახლის მიწების, საქალაქო და სამონასტრო სამფლობელოების

---

[1] ერნსტ მორიც არნდტი (1769—1860) — გერმანელი პატრიოტი, პოეტი და მწერალი, ბატონყმობის გაუქმების მტკიცე მომხრე. თავის ნაწარმოებებში არნდტმა XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამდეგის გერმანიის ზოგიერთი ოლქის გლეხთა მძიმე მდგომარეობის ნათელი სურათი დახატა.

მმართველები, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება უზომო თვითნებობით მოპყრობოდნენ იმ გლეხებს, რომელნიც ამ უკანასკნელთა დასახლებულ მიწებზე დარჩნენ.

მოკლედ, უკვე 1800 წ. შვედეთის პომერანიისათვის თავის მნიშვნელობას ინარჩუნებდა... ლიხტენბერგის მიერ მოსწრებული ენამახვილობა:

„კარგი იქნებოდა გამოგვეგონა ისეთი მალამო, რომლის წასმის შემდეგაც შეიძლებოდა გლეხების წელიწადში სამჯერ ან ოთხჯერ გაკრეჭა“. ამ საშინელებებს მე თვითონ ვხედავდი და დიდად აღშფოთებული ვიყავი.

რიუგენში სოფლების დიდი ნაწილი უკვე ჩემს დროს გაქრა, ხოლო მათი ღარიბი და უსახლკარო მცხოვრებნი იქედან გარეკეს ისე, რომ იმ გლეხებს, რომლებსაც ადრე მსახურები ჰყავდათ, ახლა თვითონ უნდა დაეწყოთ მოჯამაგირეობა მსხვილ მამულებში.

დიახ, იყვნენ ისეთი თავადაზნაურები, რომლებიც სპეკულაციური მიზნით ყიდულობდნენ დიდ სოფლებს, ანგრევდნენ შენობებს, ჩეხავდნენ ბაღებს, აშენებდნენ დიდ და ბრწყინვალე სახლებს და შემდგომში ისევ ჰყიდდნენ მათ 20000 ან 30000 ტალერის მოგებით. ბევრ ადგილას ეს გახდა საბაბი გლეხთა ნამდვილი აჯანყებებისა, რომელთა ჩახშობა ჯარისკაცთა დახმარებით და გლეხების დაპატიმრებით გვიხდებოდა. როგორც ამბობდნენ, ღამის თავდასხმების დროს, ზოგიერთი სასტიკი თავადაზნაური ბალიშებით დაახრჩვეს...

[1, გვ. 220—221]

„პრუსიის პროვინციების სრულიად საერობო დებულებიდან“ (1794)

ნაწილი II, ტიტული VII

§ 1. გლეხობის წოდებას ეკუთვნის სოფლის ყველა მცხოვრები, რომელიც მიწას საკუთარი ხელით ამუშავებს და სოფლის მეურნეობას მისდევს...

§ 2. (მას), ვინც ეკუთვნის გლეხობის წოდებას, სახელმწიფოს ნებართვის გარეშე არ შეუძლია არც თვითონ მოკიდოს ხელი ქალაქურ ხელოსნობას, არც თავის შვილებს ასწავლოს იგი.

§ 4. ქალაქური ხელოსნობისათვის ხელის მოკიდების ნებართვა სრულიადაც არ ცვლის მიწათმფლობელის მდგომარეობას და მის პირად ურთიერთობებს.

§ 8. საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ყოველი მიწათმოქმედი ვალდებულია დაამუშაოს თავისი ნაკვეთი.

§9. შეიძლება სახელმწიფო ხელისუფლებამ ძალდატანებით აიძულოს იგი გააკეთოს ეს, ხოლო მის მიერ საკუთარი ვალდებულებების განუწყვეტელი შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეიძლება მისი ნაკვეთი სხვას გადასცეს.

§ 13. გლეხობის წოდება ვალდებულია სახელმწიფოს სასარგებლოდ შეასრულოს უპირატესად საცხენო და ქვეითი ბეგარა (Hand—und Spanndienste).

§ 18. პირები, რომლებსაც სოფელში ან მის ტერიტორიაზე საგლეხო ნაკვეთები ეკუთვნით, ქმნიან სასოფლო თემს.

§ 29. სათემო სავარგულების გამოყენების უფლება აქვს ყველას სათემო ვალდებულებების შესრულებაში თავისი მონაწილეობის წილისდა შესაბამისად.

§ 46. შულცი, ანუ სოფლის მოსამართლე არის თემის წარმომადგენელი.

§ 47. ის ინიშნება მემამულის მიერ...

§ 54. შულცი აწარმოებს გადასახადებისა და სხვა საზოგადოებრივი გამოსაღების შეკრებას და დანიშნულების ადგილზე მათ აბარებს.

§ 61. მან არ უნდა დაუშვას თავის სოფელში უსაქმურები, ღატაკნი, მოუნათლავი ებრაელები, ბოშები და სხვა უცნობი და საეჭვო პირები... სასწრაფოდ უნდა დააკავოს ისინი, როგორც თემის მშვიდობის დამრღვევნი და გადასცეს ისინი ხელისუფლებას.

§ 69. მან აგრეთვე სასწრაფოდ უნდა მოახსენოს ხელისუფლებას სოფლის იმ მცხოვრებლების შესახებ, რომლებიც დაუდევრად ექცევიან თავიანთ მეურნეობას ან თავიანთ შენობებს, ან გაუფრთხილებლად იყენებენ ცეცხლს და სინათლეს.

§ 79. შულცი და არჩევითი მსაჯულები ერთად ქმნიან სოფლის სასამართლოს.

§ 87. პირადი ქვეშევრდომების (gutrunterthanen) ურთიერთობა მათ მემამულეებთან (gutsherrschaften), ცალკეული პროვინციის ცხოვრების თავისებურების შესაბამისად, ადგილობრივი პროვინციული კანონმდებლობით უნდა იქნას რეგულირებული. ამასთან მათ საფუძვლად უნდა დაედოს უკვე არსებული პროვინციული კანონები და დიდი ხნიდან მათზე დაფუძნებული ყოველდღიური პრაქტიკა.

§ 93. ქვეშევრდომთა შვილები წარმოადგენენ იმავე ბატონთა (Herrschaft) ქვეშევრდომებს, რომელთაც ემორჩილებოდნენ მშობლები ბავშვის დაბადების მომენტში.

§ 94. თუ მშობლები სხვადასხვა წოდებას ეკუთვნიან, მაშინ კანონიერი შვილები წოდების, აგრეთვე, ქვეშევრდომობას მემკვიდრეობით მამისაგან მიიღებენ, უკანონო შვილები კი — დედისაგან.

§ 96. მდედრობითი სქესის პირები, თუ ისინი ქვეშევრდომებს გაჰყვებიან ცოლად, გახდებიან ისეთივე ქვეშევრდომები, როგორც მათი ქმრები.

§ 106. გლეხი იმ შემთხვევაში, თუ ის აიღებს ქვეშევრდომული ურთიერთობისათვის სავალდებულო ნადელს და, თუ წერილობით არ დათქვამს საკუთარ თავისუფლებას, მემამულის ქვეშევრდომი ხდება.

§ 107. პირიქით, მდაბიო, რამდენადაც ის გარკვეულად და წერილობითი ფორმით თავის პირად თავისუფლებაზე უარს არ იტყვის, არ ხდება ქვეშევრდომი მხოლოდ იმ ძალით, რომ ის ქვეშევრდომული ვალდებულების მქონე ნადელს იღებს.

§ 108. თუმცა ასეთი ადამიანიც, სანამ ის ნადელს ფლობს, როგორც ქვეშევრდომი, ვალდებულია ამ ნადელიდან გამომდინარე ყველა აუცილებელი ბეგარა და გადასახადი გადაიხადოს.

§ 109. თავადაზნაურებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ მიიღონ პირადი ქვეშევრდომობა...

§ 111. მხოლოდ მდაბიოებსა და გლეხებს შეუძლიათ, ქვეშევრდომული ვალდებულების მქონე მიწის ნაკვეთის მიღების გარეშეც კი, ხელშეკრულებით მემამულის პირადი ქვეშევრდომები გახდნენ.

§ 113. თუ ასეთი თავისუფალი ადამიანები დასახლდებიან სოფელში ქვეშევრდომული ვალდებულების მქონე ნადელის აუღებლად და პირადი ქვეშევრდომული ურთიერთობის დაუმყარებლად, ისინი მფარველობის ქვეშ მოქცეულებად (Schutzunterthanen) ან ბინადრებად (Einlieger) უნდა ჩაითვალონ.

§ 114. ასეთი მობინადრეების მიღება მემამულის დაუკითხავად და ნებართვის გარეშე სოფლის არც ერთ მცხოვრებს არ შეუძლია.

§ 116. მემამულის სურვილით ან ნებართვით მიღებული ასეთი მობინადრეების მდგომარეობა უნდა განისაზღვროს განსაკუთრებული, მათი მიღების დროს დადებული ხელშეკრულებებით. ასეთი ხელშეკრულებების არარსებობის შემთხვევაში კი — ცალკეული პროვინციების კანონებითა და დადგენილებებით.

§ 121. თვით მათ (მობინადრეებს) და მათ შვილებს მემამულის ნებართვის გარეშეც შეუძლიათ სოფლის დატოვება და სხვა ადგილას დასახლება.

§ 122. ყოველი მემამულე ვალდებულია გასაჭირის შემთხვევაში თავის ქვეშევრდომს დახმარება გაუწიოს.

§ 124. თუკი მემამულეს არ შეუძლია ამის გაკეთება, მან უნდა... დართოს მათ საშოვარზე სხვაგან წასვლის ნება, თან ამის შესაბამისი წერილობითი მოწმობა მისცეს.

§ 125. მემამულემ განსაკუთრებით უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისი

ქვეშევრდომების შვილებმა კარგი და ქრისტიანული განათლება მიიღონ.

§ 127. ის მემამულეები, რომლებიც არ მოისურვებენ თავიანთი მეურვეობის ქვეშ ობლებისა და მშობლების მიერ მიტოვებული ბავშვების აყვანას, კარგავენ მათზე უფლებას.

§ 128. ასეთი უფლებები გადაეცემა იმ მემამულეს, რომელიც თავის თავზე აიღებს აღნიშნული ბავშვების აღზრდასა და შენახვას იმ ასაკამდე, სანამ ისინი თვით შეძლებენ თავიანთი თავის გამოკვებას.

§ 133. ქვეშევრდომები თავისი მემამულისადმი ერთგულნი, მოკრძალებულნი და გამგონნი უნდა იყვნენ.

§ 134. ისინი ვალდებულნი არიან მემამულის სასარგებლოდ შეასრულონ ბეგარა და გადასახადები გადაიხადონ...

§ 147. იმ მამულის გარეთ, რომელზეც ქვეშევრდომები არიან მიწერილნი, ისინი სახელმწიფოს თავისუფალ მოქალაქეებად ითვლებიან.

§ 148. ამდენად, სოფლის ადგილების ქვეშევრდომების მიმართ ძველი ბატონყმური დამოკიდებულება (leibeigenschaft), როგორც პირადი მონობის განსაკუთრებული სახე (Sklaverey), აღარ არსებობს.

§ 149. ქვეშევრდომებს შეუძლიათ საკუთრებისა და სხვადასხვა უფლების შეძენა და სასამართლოს საშუალებით მათი ყველასაგან დაცვა.

§ 150. ქვეშევრდომებს არ შეუძლიათ მიწის მფლობელის ნებართვის გარეშე დატოვონ ნაკვეთები, რომლებზეც ისინი მიმაგრებულნი არიან.

§ 152. იქ, სადაც მემამულეებს ქვეშევრდომების კარ-მიდამოებითურთ ერთმანეთისათვის მიყიდვის უფლება ეძლეოდათ, ეს კვლავ ძველებურად დარჩება.

§ 155. მიწისმფლობელს (Grundherrschaft) ყველგან და ყოველთვის შეუძლია გაქცეული ქვეშევრდომის მოძებნა და დაბრუნება.

§ 156. მემამულისათვის გაქცეული ქვეშევრდომის დაბრუნებაზე უარის თქმას ან მის დაფარვას ვერავინ ვერ გაბედავს.

§159. მემამულეს შეუძლია აგრეთვე მისი მამულიდან გაქცეული გლეხების ბავშვების დაბრუნება მოითხოვოს.

§ 161. ქვეშევრდომნი ვალდებულნი არიან ქორწინების ნებართვა მემამულეს სთხოვონ.

§ 167. საერთო წესით, ქვეშევრდომი მამაკაცები, რომლებიც ქორწინების ნებართვას ითხოვენ, მემამულის მოთხოვნისამებრ, უნდა დასახლდნენ იქ, სადაც ისინი ქვეშევრდომებად ირიცხებიან.

§ 171. როგორც წესი, ქვეშევრდომთა შვილები გლეხთა წოდებაში უნდა დარჩნენ და მშობელთა ხელობას მიჰყონ ხელი.

§ 172. მემამულის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე მათ არ

შეუძლიათ ქალაქში ხელოსნად მუშაობა ან (საერთოდ) რაიმე ცოდნის შეძენა.

§ 185. ყველა ქვეშევრდომის შვილმა, რომელსაც საზღვარგარეთ აქვს განზრახული წასვლა, თავდაპირველად თავისი სამსახური საკუთარ ბატონს უნდა შესთავაზოს.

§ 227. მემამულეს ზომიერი სასჯელის გზით შეუძლია აიძულოს ზარმაცი, უსუფთაო და ურჩი მოჯალაბენი შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები. ასეთივე უფლება ეძლევათ აგრეთვე მის მოიჯარეებსა და მმართველებს (wirischaftsdeamte).

§ 229. თუმცა ასეთი სასჯელისას მსახურთა ჯანმრთელობას ან თვით სიცოცხლეს საფრთხე არ უნდა შეექმნას.

ჯოხებით დასჯა არაკანონიერია; სამაგიეროდ, ნებადართულია ტყავის მათრახის გამოყენება და მისი საშუალებით ზურგზე, ტანსაცმლის ზემოთ, ზომიერი რაოდენობით დარტყმების მიყენება.

§ 241. მემამულის ნებართვის გარეშე ქვეშევრდომებს არა აქვთ უფლება თავის თავზე აიღონ ისეთი პირადი ვალდებულებები, რომლებმაც შეიძლება მემამულის სასარგებლოდ სამუშაოს შესრულებაში მათ ხელი შეუშალოს.

§ 247. მემამულის ნებართვის გარეშე მათ (ქვეშევრდომებს) არ შეუძლიათ თავიანთი ნადელების არც გაყიდვა, არც მათი კუთვნილი უძრავი ქონების ან გაცვლა, ან სხვა რაიმე საშუალებით გასხვისება.

§ 249. ასევე უძრავი ქონების დაგირავებისათვის აუცილებელია მემამულის თანხმობა.

§ 259. მემამულეს შეუძლია ნადელის ახალი პატრონისათვის გადაცემის ნებართვაზე უარი განაცხადოს იმ შემთხვევაში, როცა ამ უკანასკნელს საკმაო ქონება და საკმაო შესაძლებლობანი არ გააჩნია იმისათვის, რომ შესაფერისად წარუძღვეს მეურნეობას და იხადოს ბეგარა.

§ 260. აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ახალი პატრონი ცნობილია თავისი უყაირათობით, სიზარმაცით, გარყვნილებით ან ურჩობით.

§ 274. იმ მემკვიდრეს, რომელზეც ნადელი მოანდერძის ნებით ან მემკვიდრეობის შესახებ კანონმდებლობის ნორმებით გადადის, მემამულემ შეიძლება უარი უთხრას ამ ნადელის გადაცემაზე იმავე საფუძველზე, რომელზეც მას შეუძლია პროტესტი განაცხადოს ნადელის ახალი პატრონისათვის გადაცემის გამო.

§ 293. თუ ქვეშევრდომი მხცოვანი ასაკისაა, ან უკურნებელი სენის შედეგად აღარ შეუძლია თავისი მეურნეობის სათანადოდ გაძღოლა, მემამულეს უფლება აქვს აიძულოს ის ნადელი სხვა შრომისუნარიან მეურნეს გადასცეს.

§ 297. ქვეშევრდომი, რომელსაც ზემოთ მოყვანილი პირობების ძა-

ლით ნადელის გაყიდვას აიძულებენ, ამით პირადი ქვეშევრდომობისაგან სრულიადაც არ თავისუფლდება.

§ 306. ის ვითარება, რომ ღალას, რომელსაც ნადელის გამოყენებისათვის ქვეშევრდომი მემამულეს უხდის და მემკვიდრეობითი ჩინში (ცენზი) ეწოდება, სრულიადაც არ შეიძლება ჩაითვალოს იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ თვით ნადელიც უფლებრივი თვალსაზრისით მემკვიდრეობით ჩინშურ (საცენზო) საკუთრებას წარმოადგენს.

§ 308. ბეგარა (Dienste), რომელიც ქვეშევრდომებმა მემამულის სასარგებლოდ უნდა შეასრულონ, მიზნად ისახავს ბატონის მამულების დამუშავებასა და სამეურნეო მომსახურებას.

§ 311. საერთო წესით, ბეგარავალდებულმა ქვეშევრდომებმა უნდა შეასრულონ ყველა სახის საცხენო და ქვეითი სამუშაოები, რომლებიც საჭიროა საბატონო მამულების სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისათვის.

§ 314. საშინამოსამსახურო ბეგარის ყველა სახე ამიერიდან, შეძლებისდაგვარად, გარკვეული უნდა იქნას დროით, ადგილით, ზომით ან წონით.

§ 317. მემამულე ვალდებული არ არის ფიქსირება უყოს იმ აქამდე განუსაზღვრელ ბეგარებს, რომლებიც მამულში გაუთვალისწინებელ სამეურნეო სამუშაოებს გულისხმობს და მხოლოდ საგანგებო ვითარებაში ან განსაკუთრებულ შემთხვევაში მოითხოვება.

§ 328. იქ, სადაც ქვეშევრდომთა ვალდებულებები (ბეგარა) კვირაში ან წელიწადში დღეთა რაოდენობით არის განსაზღვრული, კვირის დღეების არჩევა მემამულეზეა დამოკიდებული.

§ 330. თუ საჭირო იქნება, ქვეშევრდომებს არ შეუძლიათ უარი თქვან ბეგარის შესრულებაზე იმ დღესასწაულებისას, რომლებიც საეროობო კანონებით არის გაუქმებული.

§ 347. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სამუშაო დაუდეერად და არასაკმარისად შესრულდა, იგი დაუყოვნებლივ, უყოყმანოდ და ჩვეულებრივ საშინამოსამსახურო ბეგარად მისი ჩათვლის გარეშე, უკეთესად უნდა შესრულდეს.

§ 354. მამაკაცის საბეგარო დღეები არ შეიძლება შესრულებულ იქნეს ქალების ან ქალიშვილების მიერ; ასევე ე. წ. ქალთა დღეები — მამაკაცთა მიერ.

§ 356. ქვეშევრდომებმა, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან ჩვეულებრივი საშინამოსამსახურო სამუშაოსაგან და სამაგიეროდ ვალდებულნი არიან წელიწადში მხოლოდ გარკვეული დღეები იმუშაონ, შეკამათების გარეშე უნდა შეასრულონ ეს სამუშაოები მაშინ, როცა მემამულეს ყველაზე მეტად ესაჭიროება.

§ 357. იგივე ეხება ე. წ. დამატებით დღეებსაც (Beitagen), რომლებსაც ზ[illegible]ერთი ქვეშევრდომის მიერ ჩვეულებრივი საშინამოსამსახურო სამუშაოს გარდა სრულდება.

§ 358. ქვეშევრდომებმა ბეგარის შესრულებისას თან უნდა მოიტანონ შეკეთებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებიც მათ ან მემამულის ეზოში მუშაობისათვის აქვთ სპეციალურად შენახული ან საკუთარ მეურნეობაში იგივე სამუშაოებისათვის იყენებენ.

§ 359. თუ ქვეშევრდომი ვალდებულია შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელსაც იგი თავის მეურნეობაში არ ეწევა, მაშინ ამ სამუშაოსათვის საჭირო იარაღებით იგი მემამულემ უნდა მოამარაგოს.

§ 360. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის (ქვეშევრდომი) განზრახ ან მიუტევებელი დაუდევრობით გააფუჭებს ამ იარაღს, ამგვარად მიყენებული ზარალი მან უნდა აანაზღაუროს.

§ 361. იქ, სადაც ადგილობრივი ჩვეულებებით სხვა რაიმე დადგენილება არ არის მიღებული, ქვეშევრდომმა 15 აპრილიდან აგვისტოს ბოლომდე მუშაობა დილის 5 საათიდან, წლის სხვა დროს კი — მზის ამოსვლიდან უნდა დაიწყოს და არავითარ შემთხვევაში ის მზის ჩასვლამდე არ შეწყვიტოს.

§ 421. ქვეშევრდომებთან შეთანხმებით მემამულეებს შეუძლიათ ნატურალური სამსახური ფულად ღალად გადააკეთონ, ასევე ყოველგვარი განუსაზღვრელი ბეგარები განსაზღვრულ ბეგარად გადააქციონ.

§ 423. იქ, სადაც ყველა ქვეშევრდომი განსაზღვრულ ბეგარას ასრულებს, მათი ფულად ან სხვა სახის ღალად გადაქცევისას, საკმარისია ცალკეულ ქვეშევრდომებთან შეთანხმება, დანარჩენთა თანხმობა კი არ არის სავალდებულო.

§ 424. თუ ქვეშევრდომი ვალდებულია იხადოს ან ნატურალური ბეგარა, ან ღალა, მემამულეს ენიჭება არჩევანის უფლება; მას შეუძლია მოითხოვოს ან ერთი, ან მეორე.

§ 432. თუ ქვეშევრდომმა სამსახური სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა გასწიოს და ამის შედეგად არ შეუძლია მემამულეს ბეგარა შეუსრულოს, ის ამ დროის განმავლობაში უნდა განთავისუფლდეს ბეგარისაგან. თუმცა მან იგი შემდეგ — უახლოესი დღეების ან უახლოესი კვირების განმავლობაში უნდა შეასრულოს.

§ 463. თუ წარმოიქმნება დავა საბეგარო სამუშაოების შესახებ, მაშინ სასამართლო საქმის გადაწყვეტამდე ქვეშევრდომებმა უნდა განაგრძონ იგივე ბეგარის შესრულება, რომელსაც ისინი წინა წელს, წერილობითი პირობების გარეშე, მემამულის მითითების თანახმად ასრულებდნენ.

§ 477. იმ შემთხვევაში, თუ ფულადი გადასახადები დადგენილ ვა-

დაში არ იქნება შეტანილი, ქვეშევრდომებმა დაგვიანებისათვის პროცენტები უნდა გადაიხადონ.

§ 482. ფულადი ღალა შეტანილ და მიღებულ უნდა იქნეს იმ მონეტით, რომლითაც ქვეშევრდომები სახელმწიფო გადასახადებს იხდიან.

§ 495. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ქვეშევრდომული მდგომარეობიდან თავის დაღწევას მოისურვებს, ამის შესახებ თავის მემამულეს უნდა შეუთანხმდეს.

§ 498. მემამულეს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ქვეშევრდომის განთავისუფლება, თუ უკანასკნელი, წინასწარ, საკმარისი დამაჯერებლობით არ აჩვენებს, თუ რითი უზრუნველყოფს ის თავის საზრდოს მომავალში.

§ 522. მემამულე ვალდებულია მშობლებთან ერთად სამსახურისათვის ვარგისი შვილები გაუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი მეპატრონის ოჯახი შესაბამისად აუნაზღაურებს მას ამ დანაკარგს.

§ 528. ქვეშევრდომს, რომელმაც მემამულის ან მისი ოჯახის წინააღმდეგ სასტიკი დანაშაული ჩაიდინა, უფლება ერთმევა მოითხოვოს თავისუფლება, რა ვითარებაც არ უნდა იყოს.

§ 534. ქვეშევრდომის სამხედრო სამსახური მხოლოდ დროებით წყვეტს, მაგრამ არ აუქმებს ქვეშევრდომულ მდგომარეობას.

§ 535. თუ ასეთ შემთხვევაში ქვეშევრდომი კვლავ ფლობს ქვეშევრდომული ვალდებულების მქონე კარ-მიდამოს, მან სხვა ქვეშევრდომეზის თანაბრად ამ სამფლობელოსთან დაკავშირებული ყველა ბეგარა და გადასახადი უნდა იხადოს.

§ 543. თუ ჯარისკაცი სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ კვლავ ქვეშევრდომი ხდება, ასევე ქვეშევრდომულ მდგომარეობაში ექცევიან მისი ცოლი და ჯარისკაცად ყოფნის დროს დაბადებული შვილები.

[1, გვ. 221—222; 3, გვ. 335—359]

ლეოპოლდ კრუგის ჩანაწერებიდან

ი. ლ. კრუგი (1770 — 1843) — პრუსიელი ეკონომისტი. 1803 წელს გამოაქვეყნა „პრუსიის უახლესი სტატისტიკის მიმოხილვა“, შემდეგ კი დიდ ნაშრომი — „პრუსიის სახელმწიფოს ეროვნული სიმდიდრეებისა და მისი მცხოვრებლების კეთილდღეობის მიმოხილვა“, რომელიც პრუსიის ეკონომიკური განვითარების შესწავლის საფუძველი გახდა.

საერთო საერობო დებულების ტერმინოლოგიის თანახმად, პრუსიის არც ერთ პროვინციაში არ არის ბატონყმური დამოკიდებულება (Leibeigenschaft): კანონით აღიარებულია მხოლოდ ქვეშევრდომობა (Unterhänigheit)... მაგრამ რით განსხვავდება ეს უკანასკნელი ბატონ-

ყმური დამოკიდებულებისაგან?.. ჩვენ ყველანი სახელმწიფოს ან მისი წარმომადგენლის — ტერიტორიული მთავრის ქვეშევრდომები ვართ. მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეეძლია, თავისი შეხედულებისამებრ. ზოგიერთი თავისი ქვეშევრდომი მეჯინიბე გახადოს, ზოგიერთი — მზარეული, ზოგიერთი — მწყემსი? არც ერთი ჩვენგანი ხომ არ აღიარებს სახელმწიფოს ასეთ უფლებებს. მაშ რატომღა უნდა გამოვიყენოთ ეს ტერმინი პრუსიაში, სილეზიაში, პომერანიაში, ნეიმარკსა და სხვ. კერძო ქვეშევრდომების მემამულეებისადმი დამოკიდებულების გარკვევისათვის? თავადაზნაურული უფლებებით აღჭურვილი მამულის ყოველ მფლობელს შეუძლია... თავისი ყოველი ქვეშევრდომი, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, თვითნებურად გაანაწილოს სამუშაოზე თავის მამულში, ბატონის ეზოში, ბაღში, სამზარეულოში და სხვ. ახალდაბადებული ბავშვები მემამულის საკუთრებად ითვლებიან; ეს ნიშნავს, რომ მას, ბავშვების მშობლების დაუკითხავად, შეუძლია გადაწყვიტოს, თუ რა სამსახურისათვის ან რა მეშაობისათვის უნდა აღიზარდონ ისინი. მიუხედავად მემამულის ასეთი ფართო უფლებებისა, ტერმინ „ყმას“ თავს არიდებენ და გამოიგონეს განსხვავება ამ კლასის ადამიანების იმ ვალდებულებათა შორის, რომელიც მათ აკისრიათ, ერთი მხრივ, საკუთრებასა და მიწასთან, მეორე მხრივ, მიწათმფლობელის პიროვნებასთან დაკავშირებით: იმას, ვინც დაბადებიდანვე პიროვნებაზე იყო მიმაგრებული ყმა უწოდეს, ხოლო იმას, ვინც დაბადებიდანვე მიწაზე იყო მიმაგრებული — მხოლოდ მიწაზე დამოკიდებული (gutspfliching) ან (glebae abscriptus). თუ ჩვენ უკანასკნელ გამოთქმას ქვეშევრდომთან დაკავშირებით იმ გაგებით განვიხილავთ, რომ მისი სხეული ეკუთვნის მამულს (ვინაიდან, ღმერთის წყალობით, უპატრონის სულის ფლობა მემამულეს არ ძალუძს), მაშინ ადვილად გამოაშკარავდება ყველა ამ გაგებისა და განმარტების მერყეობა...

ნამდვილად საჭიროა გულმოდგინე და ხანგრძლივი გამოკვლევა, რათა შესწავლილ იქნეს მემამულეთა და ქვეშევრდომთა ურთიერთობა პრუსიის სახელმწიფოში მისი არსებობის ძველ მანძილზე, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, ყოველ პროვინციას თავისი საკუთარი წესები აქვს და ერთი და იგივე პროვინციის ცალკეულ ოლქებსა და თავადაზნაურულ მამულებშიც კი ეს ურთიერთობა უაღრესად მრავალფეროვანია. პატარა მიმოხილვაში შეუძლებელია ყველა ოლქსა და პროვინციასთან შეფარდებით მთელი ამ მრავალფეროვნების წარმოდგენა. მე აქ უფრო ზოგადით შემოვიფარგლები და მხოლოდ ზოგადის გაშუქების მიზნით შევჩერდები კერძოზე.

აღმოსავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ და ახალ აღმოსავლეთ პრუსიაში, საერთოდ ადგილი აქვს გლეხთა მემკვიდრეობით ქვეშევრდომობას, რომელიც წინამდებარე განყოფილებაში მოტანილი დებულებებით განი-

საზღვრება. მაგრამ კიდევ მეტი ბედნიერება იქნებოდა, რომ მემამულეთა უფლებები ამ დაკანონებულ დებულებებზე შორს არ მიდიოდეს, ვინაიდან ეს საერთო კანონები მოქმედია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათგან არ განსხვავდება ცალკეული პროვინციების კანონმდებლობა. ეს უკანასკნელი, ჩანს, მხოლოდ იმ დრომდე არ გაუწევს წინააღმდეგობას საერთო საერობო დებულებას, სანამ პრუსიელი მოხელეები თავიანთ პროვინციულ დებულებებში გულითადობისა და გულკეთილობის განზრახვით იხელმძღვანელებენ. სხვა, კანონით ნაკურთხი უფლებების ძალით, მემამულეს შეუზღუდველი უფლებები აქვს მისი ბატონობის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მდებარე და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ გლეხურ და სხვა დამოკიდებულ ნადელებზე. გლეხს არავითარი მემკვიდრეობითი უფლება არა აქვს მიწაზე, რომელსაც ამუშავებს. ის მთლიანად დამოკიდებულია მემამულის ნება-სურვილზე, რომელსაც შეუძლია ან დაუტოვოს გლეხს მისი ნაკვეთი, ან გადასცეს ეს ნადელი სხვას. მემამულეს შეუძლია გლეხი ან დღიური მუშა გახადოს, ან გამოუყოს მას უფრო მეტი ან ნაკლები ზომის ნადელი. მასზეევა დამოკიდებული, აიყვანს ის გლეხის ბავშვებს მოსამსახურეებად, თუ მისცემს მათ ხელოსნობისა და სხვათა შესწავლის შესაძლებლობას. გარდა ამისა, მემამულეს აქვს ე. წ. გამათრახების უფლება.

პრუსიის მონარქიის ძველ პროვინციებში მკაცრი მემკვიდრეობითი ქვეშევრდომობის ამ საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენენ: სამეფო დომენის გლეხები, რომლებისთვისაც 1719 წლიდან ბატონყმობა სავსებით გაუქმებულია, შემდეგ, ე. წ. კულმის ნაკვეთების (ნაწილობრივ, აგრეთვე, მაგდებურგისა და პრუსიის თავისუფალი ნაკვეთების) მფლობელები, რომლებიც ან სრულიად არ არიან ვალდებულნი იხადონ ბეგარა, ან ვალდებულნი არიან მცირე ზომის ბეგარა იხადონ... ე. წ. სამეფო გლეხები, თავის მხრივ, საბეგარო და მსხვილ მოღალე გლეხებად იყოფიან. მართალია, ამ ორი კატეგორიის გლეხები თავიანთ ნადელებს მემკვიდრეობით და როგორც მესაკუთრენი არ ფლობენ, მაგრამ არსებითი მიზეზის გარეშე მაინც არ შეიძლება მათი აყრა მათივე კარ-მიდამოდან. პირველებს მემამულე უზრუნველყოფს მსხვილფეხა საქონლით, ცხენებით, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, თავის მხრივ ისინი ვალდებულნი არიან ან განსაზღვრული, ან განუსაზღვრელი ბეგარა შეასრულონ. მეორენი, როგორც ამას მათი სახელწოდება გვიჩვენებს, იხდიან უფრო დიდ ღალას, ვიდრე პირველნი, ასრულებენ ნაკლები რაოდენობის ბეგარას და, ჩვეულებრივ, მემამულისაგან არ ღებულობენ მსხვილფეხა საქონელს და სხვ.

გარდა მიწათმფლობელებისა და გლეხებისა, სოფლის ოლქებში გვხვდებიან კიდევ მებოსტნეები და ინსტები, რომელთაც არც საკუთარი სახლები, არც ყანები არ გააჩნიათ. ერთსაც და მეორესაც ისინი სამი

წლით მაინც ქირაობენ. პირველნი — გარკვეული ფულადი ანაზღაურებისა და პურის ულუფის ფასად ვალდებულნი არიან ან მემამულეს, ან სამეფო მიწებზე — სამეფო მმართველს (მოურავს) ყოველდღიური ბეგარით ემსახურონ. მეორენი მიწის დაქირავებისათვის განსაზღვრულ საფასურს იხდიან და, გარდა ამისა, ვალდებულნი არიან სამეფო ან თავადაზნაურულ მამულში, ანდა პატრონთან, ვისთანაც ცხოვრობენ, რამდენიმე დღიანი ბეგარა მოიხადონ. ე. წ. Eigenkäthner — სოფლის მცხოვრებლები, რომლებიც გლეხის მიწაზე (ჩვეულებრივ, სოფლის საძოვარზე) პატარა ქოხებს აშენებენ და რამდენიმე შეფელ სათეს მიწას იღებენ, უძრავ ქონებას ხელშეკრულებით ფლობენ, თავისუფალ ადამიანებს წარმოადგენენ და შეუძლიათ თავიანთი ნაკვეთები თავისუფლად განაგონ. მათთან საერთო აქვთ ბოსტნების მესაკუთრეებს, რომელთაც, მართალია, საკუთარი სახლები და პატარა ყანები აქვთ, მაგრამ მათთვის არ იხდიან ღალას, როგორც ამას ყმები აკეთებენ, არამედ ასრულებენ ერთგვარ ქვეით ბეგარას ყანაში, ზამთარში კი გარკვეული ანაზღაურებით ვალდებულნი არიან გალეწონ პური. მათ თავიანთი ნაკვეთების გამსხვილებაც შეუძლიათ მხოლოდ სამეფო მამულების მმართველების ნებართვის შემდეგ—იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელთ ეს ნაკვეთები არ სჭირდებათ.

[1, გვ. 222—224]

8. ვაჭრობა, ხელოსნობა, მანუფაქტურები, გადასახადები, პროტექციონიზმი, ქალაქის მშრომელი მასების მდგომარეობა

ბერლინში აბრეშუმის საწარმოთა ორგანიზაციის შესახებ. მეფის ბრძანებულება პოტსდამის ობლების დიდი სახლის დირექციისადმი (1744 წ. 23. III)

მოცემული ბრძანებულებით მისმა უდიდებულესობამ... გადაწყვიტა აბრეშუმის ნაწარმისა და ქსოვილის როგორც უკვე არსებული, ისე მომავალში მის მიწებზე, განსაკუთრებით კი აქაურ სამეფო რეზიდენციებში დასაარსებელი მანუფაქტურების უკეთესი განვითარებისა და აყვავებისათვის აქ მუდმივი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ყველა ხარისხის, ნედლი და გამოყვანილი, ასევე შეღებილი და შეუღებავი აბრეშუმის მაღაზიის გახსნა. მაღაზია უნდა დაექვემდებაროს ობლების დიდი სახლის დირექციის მმართველობასა და ზედამხედველობას ფინანსთა საიდუმლო მრჩეველის — მანტინის, საიდუმლო მრჩეველების — ფონ ფერიეს, კირჰაიზენის, ასევე, კარის მრჩეველის — ფონ იარიგესის სახით, რათა აბრეშუმის ყველა მეფაბრიკეს, განსაკუთრებით კი ღარი-

ბებს, შეეძლოთ ამ მაღაზიით სარგებლობა გარკვეული რეგლამენტის თანახმად, რომელიც სასწრაფოდ უნდა იქნეს შედგენილი.

ამ მიზნით, პოტსდამის ობლების სახლის სალაროს ფონდებიდან 10-დან 15 ათასამდე ტალერის ოდენობის კაპიტალი უნდა იქნეს გამოყენებული და საქმის სარგებლობისათვის ეს ფული მუდმივად მიმოქცევაში უნდა იმყოფებოდეს. გარდა ამისა, ხსენებულმა ობლების სახლმა აქ, ვილჰელმსმარკტზე უნდა იყიდოს მნათეს დაუმთავრებელი სახლი და გამოიყენოს ის აბრეშუმის მაღაზიად, ასევე სპეციალური სათავსოებისათვის, რომლებშიც შესაძლებელი იქნება 8-დან 10-მდე აბრეშუმსაქსოვი დაზგის მოთავსება. ამასთან ერთად, ეს სახლი, აქაური ფაბრიკის კუთვნილი ოქროსა და ვერცხლის ნაწარმის (pio corpori) სახლის მსგავსად, არ უნდა იქნას გამოყენებული ჯარის ჩასაყენებლად და ყველა სხვა ბიურგერული ვალდებულებისაგან უნდა იქნას განთავისუფლებული. პოტსდამის ობლების დიდი სახლის დირექციამ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი იმას, რომ აბრეშუმის ფაბრიკების ის მეპატრონეები, რომლებსაც ან არა აქვთ საკუთარი სახლები, ან საერთოდ არ შეუძლიათ იპოვონ შესაფერისი შენობები თავიანთი სახელოსნოებისათვის, მოთავსდნენ ადგილობრივ რვაკუთხა შენობაში და უზრუნველყოფილ იქნან ბინებით, რათა რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცეს მათ და მათ სამუშაოს. ამ მიზნით... კირჰაიზენმა უნდა გამოავლინოს განსაკუთრებული მზრუნველობა აბრეშუმის ფაბრიკების აღნიშნული მეპატრონეებისათვის ბინებისა და საკმარისად ფართო შენობების გამონახვის საქმეში. პოტსდამის ობლების დიდი სახლის დირექციამ კი ყველა ძალ-ღონე უნდა იხმაროს, რათა შეარჩიოს გამოცდილი მრეწველი-მანუფაქტურისტი და მხატვარი, რომელიც შესძლებს სპეციალურად თვალყური ადევნოს აბრეშუმის ფაბრიკებს. მან თვალყური უნდა ადევნოს აბრეშუმის ფაბრიკის მეპატრონეებს და იზრუნოს იმაზე, რათა გამოშვებულ იქნეს ლამაზი და ხარისხიანი საქონელი. მან დახმარება უნდა გაუწიოს მათ იმ შემთხვევაში, თუ საქონლის სწრაფი გასაღების საქმეში რაიმე სიძნელეები წარმოიქმნება...

[1, გვ. 225—226]

კანონმდებლობა ხელოსნების შესახებ

1763 წ. 25 აგვისტოს ბოძებული სიგელი უცხოელი ხელოსნების გილდიაში უსასყიდლოდ მიღების შესახებ

ჩვენ, ფრიდრიხი, ღვთის ნებით, პრუსიის მეფე... ყველას გასაგონად ვაცხადებთ და ვუთითებთ, თუ რა ზომების მიღება გვსურს უმო-

წყალესად აღმოსავლეთ პომერანიასა და ნეიმარკში ცხოვრების პირობების ამაღლებისა და გაუმჯობესებისათვის.

1. რათა ყველა საამქრომ და გილდიამ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე განურჩეველად მიიღოს ისინი, ვინც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ უკვე იყო ხელოსნად და ჩვენს ქვეყანაში დასახლება სურს, სწორედ ამიტომ, მათ იმ საამქროებში არაფერი არ უნდა შეიტანონ. ასეთ უცხოელ ხელოსნებს უნდა მიენიჭოთ საამქროს წოდებები მათი ატესტაციების თანახმად, რომლებშიც მითითებულია, თუ საზღვარგარეთ რა დროიდან გახდნენ ისინი ხელოსნები...

[1, გვ. 226]

სამეფო ცირკულიარი ქვეყანაში წარმოებული საფაბრიკო საქონლის უბაჟოდ გატანის შესახებ (1763 წ. 20. IX)

ფრიდრიხი, მეფე... ვინაიდან ჩვენ უმაღლესად გადავწყვიტეთ ყოველნაირად წავახალისოთ ჩვენი სამამულო საფაბრიკო[1] წარმოების შემოსავალი, ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ გვნებავს დავადგინოთ (როგორც ძირითადი პრინციპი), რომ ყველა მზა სამამულო საფაბრიკო საქონელი, რომელთა დამზადებისათვის ნედლეული (საზღვარგარეთიდან) იყო შემოტანილი და მისთვის დადგენილი ბაჟი იყო გადახდილი, უბაჟოდ გაიტანება (საზღვარგარეთ)...

[1, გვ. 226]

მარი-ანტონია საქსონელის[2] წერილიდან ფრიდრიხ II-სადმი (დრეზდენი, 1765 წ. 18 ნოემბერი)

ჩვენი მთავარი პრინციპია ვაჭრობის თავისუფლება და ურთიერთსარგებლიანობა. თუ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, საჭიროდ ჩასთვლით სცნოთ ეს სისტემა, იმ შეზღუდვებით, რომელთა განხორციელება საჭიროა ყველა სახელმწიფოს შინაგანი ინტერესებიდან გამომდინარე, — თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ დიდი გულმოდგინებით გავაკეთებთ ყველაფერ იმას, რაც ორივე სახელმწიფოს კეთილდღეობას სამსახურს გაუწევს.

---

[1] არსებითად მხედველობაშია მანუფაქტურები და არა ნამდვილი ფაბრიკები.

[2] მარი-ანტონია საქსონელი (ქალიშვილობაში ბავარიის პრინცესა), საქსონიის კურფიურსტის ფრიდრიხ-ქრისტიანის (1733—1763) ქვრივი, საკურფიურსტოს მართავდა როგორც რეგენტი, შვილის — ფრიდრიხ-ავგუსტ III-ის მცირეწლოვანების გამო.

მე სავსებით კმაყოფილი დავრჩები და ვიამაყებ, თუკი შევძლებ საქმიანობა ამ კეთილი შედეგების მისაღწევად წარემართო და, თუკი დავინახავ, რომ თქვენი უდიდებულესობის სახელმწიფოსა და საქსონიას შორის ჩემი მარად უცვლელი გრძნობებიდან გამომდინარე კეთილნებობლური დამოკიდებულება დამყარდება.

[4, გვ. 252—253]

ფრიდრიხ II-ის წერილიდან მარი-ანტონია საქსონელისადმი

მე არ ძალმიძს დავთრგუნო ის გავლენა, რომელიც თქვენს უდიდებულესობას ჩემს მიმართ აქვს. მე გემორჩილებით. მე მზად ვარ უკანასკნელ შესაძლებლობამდე თქვენი გული მოვიგო. მაგრამ მიუხედავად ასეთი მზადყოფნისა, იდუმალი ხმა მიკარნახებს: თავი შეიკავო და არ შევლახო ჩემდამი მორჩილი ხალხის ინტერესები. ჩემი სუსტი მეობა ამ ხმის დარიგებით სარგებლობს, იგი ამუხრუჭებს ჩემს თავისებურ თავდავიწყებას, რომელსაც შეუძლია მაიძულოს დავეთანხმო თქვენს ყველა სურვილს. ყოველ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ ჩვენთან გაიყიდება რამდენადმე ნაკლები საქსონური კანიფასი[1], ხოლო ლაიფციგში გაყიდული ჩვენი ეტამინი[2] რამდენადმე მცირე იქნება — ყველაფერი ეს ქალბატონო, ვერ შეცვლის ჩემს ფიქრთა წყობას თქვენს სამეფო უდიდებულესობისადმი.

[4, გვ. 253]

ფრიდრიხ II-ის წერილიდან მინისტრ ფონ ჰაუდისადმი (1776 წლის 16 ივნისი)

ჩემთან პირადი საუბრიდან თქვენთვის ცნობილია, თუ საკუთრივ რა წესრიგისა და გაუმჯობესების დანერგვა მსურს მე დასავლეთ პრუსიის პროვინციაში. აქ საჭიროა მრავალი გაუმჯობესების შეტანა, განსაკუთრებით კი ნეტცის (მდინარე) რაიონში განლაგებულ იმ პოლონელ მემამულეთა მამულებში, რომლებიც პოლონეთში ცხოვრობენ და არ ფიქრობენ თავიანთი მამულების მეურნეობის გაუმჯობესებაზე. ამასთან ერთად, უზრუნველად იღებენ 80.000 ტალერის ოდენობის შემოსავალს, რასაც ამ კეთილმოუწყობელი პროვინციებისათვის მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე ისეთი კეთილმოწყობილი პროვინციისათვის, როგორიცაა საქსონია. საზღვარგარეთ ყოველწლიურად ზარალის სახით 500000 ტალერი მიედინება.

---

[1] კანიფასი — უმაღლესი ხარისხის ბამბეულის ქსოვილი.

[2] ეტამინი — თხელი, გლუვი, ერთფეროვანი შალის ან ნახევრადშალის ქსოვილი.

აქედან გამომდინარე, მე თანახმა ვარ ამ პოლონელ თავადაზნაურთა მამულები, მათ შორის განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც გაუმჯობესებას მოითხოვენ, ჩემი სახელით შესყიდულ იქნან, რადგან ასეთ შემთხვევაში მოგებას ჩვენი ქვეყანა ნახავს, რაც ხელს შეუწყობს მის განმტკიცებას.

მე განსაკუთრებით საჭიროდ მიმაჩნია დამუშავებულ იქნას ჭაობად ქცეული ადგილები, მათი ამოშრობისა და ველებად ქცევის მიზნით. ფერმები, რომელთა დაარსება მე იქ მსურს, განსაკუთრებით კარგად უნდა მოეწყოს. აქ უნდა მოშენდეს მრავალი ათასი მეწველი ძროხა, უნდა დამზადდეს დიდი რაოდენობით რძის პროდუქტები, რომლებიც ვარშავაში უნდა გაიყიდოს. აქედან უნდა მივიღოთ იმდენი თანხა, რამდენსაც ეს რაიონები საქსონიას იქიდან გამოტანილ კარაქში უხდიდნენ. ამ ფერმებში სამუშაოდ უნდა გამოვიყენოთ მეკლენბერგიდან და ჰოლშტაინიდან ჩამოყვანილი ადამიანები, რომელთაც კარგად იციან საქონლის მოვლა და კარაქის წარმოება.

სხვათა შორის, პრუსიელები უფრო საქმიანნი და განათლებულნი ეახდნენ. ეს მე ისევე მახარებს, როგორც მანუფაქტურული წარმოების ზრდა. ყველაფერთან ერთად, საჭიროა განსაკუთრებით ვიზრუნოთ კულმში მაუდის ახალი მანუფაქტურის აყვავებისათვის. საჭიროა, მატყლი, რომელიც აქამდე პოლონეთიდან ჰოლანდიაში გაჰქონდათ და იქ ამუშავებდნენ, ამიერიდან გაიგზავნოს კულმში, სადაც სათანადო წარმოება უნდა გაიშალოს. ამის საჭიროებას განაპირობებს ისიც, რომ აქ მაუდის დამზადება უფრო იაფი დაჯდება და მისი გაყიდვაც უფრო იაფად შეიძლება, ვიდრე ჰოლანდიაში.

საჭიროა, აგრეთვე, დავნერგოთ და განვავითაროთ ტყავეულის წარმოება. ამიერიდან საკმარისი იქნება დაუმუშავებელი ტყავი პოლონეთიდან შემოვიტანოთ. ეს წარმოება პრუსიელებს დიდ შემოსავალს მისცემს.

განსაკუთრებულ მეთვალყურეობას საჭიროებს აგურის ქარხნები, რომლებიც, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ სათანადო წესრიგში არ არიან. აგური ჯერჯერობით სხვადასხვა და ამასთან ერთად, მაღალ ფასებში იყიდება.

[4, გვ. 251—252]

ფრიდრიხ II-ის რესკრიპტი ქალაქებში მათხოვრობის შესახებ (1763 წ. 19. XII)

...ჩვენ უკვე სხვადასხვა გამოქვეყნებული ედიქტითა და განკარგულებით, განსაკუთრებით კი უკანასკნელად გამოცემული 1748 წლის 25

აპრილის ედიქტით, როგორც ხელმწიფემ (ქვეშევრდომთა მამამ), განვსაზღვრეთ და დავაწესეთ გადასახადი მათხოვრობაზე, როგორც ქალაქებში, ისე სოფლის ოლქებში, რათა ყოველმა თემმა და ყოველმა ოლქმა თვითონ შეინახოს თავისი ნამდვილად ღარიბნი და შრომისუუნაროო ადამიანები; დანარჩენები კი, რომელნიც განზრახ მათხოვრობენ, უნდა დაკავებულ იქნან და საჭიროა ვაიძულოთ ისინი იმუშაონ მუშათა სახლებში ან მსგავს დაწესებულებებში, ჩვენ, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, დავრწმუნდით, რომ მათხოვრობა როგორც ქალაქების მთავარ ქუჩებზე, ისე სოფლის ოლქებში კვლავ გაძლიერდა, რაც ზიზღს იწვევს და მოსახლეობას ერთობ ტვირთად აწვება.

ამიტომ მოწყალედ გიბრძანებთ ზემოთ მითითებული 1748 წლის 28 აპრილის ედიქტი (თუ მისი საკმარისი რაოდენობის ეგზემპლარები არ შეინახა) ისევ დაიბეჭდოს, გამოქვეყნდეს და კვლავ ყველგან გავრცელდეს. თუმცა თქვენ მხოლოდ ამით კი არ უნდა დაკმაყოფილდეთ, არამედ გეევალებათ თვითონ ადევნოთ თვალყური იმას, თუ ამ ედიქტს როგორ იცავენ და ასრულებენ.

[1, ვ3. 227]

4) პრუსია-ბრანდენბურგის საკურფიურსტო, პრუსიის სამეფოს შექმნა, პრუსიის მონარქია XVII საუკუნეში

რწმენა ჯადოსნობაში (1659 წელს გამოცემული ბროშურიდან)

მას შემდეგ, რაც კანცლერი და კანცლერის შვილი დოქტორი ჰორნი, მისი ცოლი და ორი ქალიშვილი მრავალ წარჩინებულთან და საბჭოს წევრებთან ერთად დასხდნენ მაგიდის გარშემო, ყველა ისინი (ჯადოქრები, კუდიანები, — გ. კ.) დამნაშავედ ცნეს და კოცონზე დაწვეს.

მათ (ჯადოქრებმა, კუდიანებმა) აღიარეს, რომ დადეს ურთიერთშორის კავშირი, რომელიც 1200-ზე მეტ კაცს აერთიანებდა. და, რომ არ გამოემეღვანებინათ მათი ეშმაკისეული განსწავლულობა და ჯადოსნობა, ისინი მოახერხებდნენ იმას, რომ ოთხი წლის განმავლობაში არ იხარებდა ვენახი, არ მოვიდოდა პური. ამის შედეგად მრავალი ადამიანი და პირუტყვი შიმშილით დაიხოცებოდა, ადამიანები ერთმანეთს შეჭამდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა — გრძელი ქუჩების ბურგომისტრმა[1] და მეორემ — ბურგომისტრმა შტეფან ბაუერმა აღიარეს, ისინი ხშირად იწვევდნენ ქარიშხალს და ახორციელებდნენ ჯადოსნურ სასწაულებს: დაანგრიეს მრავალი სახლი და სხვა ნაგებობა, ძირფესვიანად მოთხარეს მრავალი ხე ტყეებსა და ველებში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სურდათ

[1] „გრძელი ქუჩები" რომელიღაც ადგილის სახელწოდება უნდა იყოს.

ისეთი ძლიერი ქარიშხლისა და ჭექა-ქუხილის გამოწვევა, რომ მას ბამბერგში კოშკის დანგრევა გამოეწვია.

ბაზრის მეფუნთუშეებმა აღიარეს ის, თუ როგორ დაღუპეს მრავალი ადამიანი, რომლებმაც მათი ეშმაკისეული ნაცხით გამომცხვარი ფუნთუშა შეჭამეს. ბურგომისტრის ლამბრეხისა და ყასბის ცოლებმა აღიარეს, რომ ამზადებდნენ ჯადოსნურ ნაცხს და ყოველი კუდიანი ქალისაგან კვირაში ორ პფენინგს იღებდნენ. ასეთი გზით მიღებულმა თანხამ 600 გულდენი შეადგინა.

ბურგომისტრმა ნაიდეკერმა აღიარა, თუ თავის კუდიან ამფსონებთან ერთად, როგორ მოწამლა ჭები. ვინც აქედან წყალს სვამდა სხეულზე წამონაზარდები უჩნდებოდა და შავი ჭირით აკადდებოდა. მათმა ასეთმა მოქმედებამ მრავალი ადამიანი იმსხვერპლა.

ჯადოქარმა ქალებმა აღიარეს, რომ ისინი ვალპურგის ღამის დროს, ვიურცბურგთან ახლოს, ცარცის გორაკზე მოცეკვავე 3000 კუდიანთა შორის იყვნენ. ყოველმა მათგანმა მუსიკოსს კრაიცერი მისცა. საბოლოო ჯამში მუსიკოსმა 40 გულდენი მიიღო. ამ ცეკვებისათვის მათ (კუდიანმა ქალებმა — გ. კ.) ვიურცბურგის ეპისკოპოსის მარანიდან შვიდი საზიდარი ღვინო მოიპარეს.

ამ ჯადოქარ ქალთა შორის იყვნენ შვიდი, რვა, ცხრა და ათი წლის გოგონები, რომელთაგან 22 კოცონზე დაწვეს. ისინი (სიკვდილის წინ) წყევლა-კრულვას უთვლიდნენ დედებს, რომლებმაც მათ ამ ეშმაკისეულ საქმიანობას აზიარეს. ბამბერგის საეპისკოპოსოში 600 ჯადოქარი დაწვეს. ამჟამადაც მათ დიდი რაოდენობით წვავენ.

[4, გვ. 190—191]

პრუსია-ბრანდენბურგის დიდი კურფიურსტის ფრიდრიხ-ვილჰელმის პოლიტიკური ანდერძიდან (1667)

ზენაარმა ესოდენ გულუხვობა გამოიჩინა ბრანდენბურგის საგვარეულოს მიმართ და იგი რომის იმპერიის სხვა სახლებთან შედარებით კარგი მიწებით უზრუნველყო. ამის შედეგად მას (ბრანდენბურგის საგვარეულოს) გაუჩნდა მრავალი მტერი, რომელთაც შურთ მისი კეთილდღეობა. მტრები ადრე თუ გვიან გამოიყენებენ ხელსაყრელ მომენტს ბრანდენბურგის საგვარეულოს წინააღმდეგ თავიანთი მტრული ზრახვების სისრულეში მოსაყვანად. ისინი ამას ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გააკეთებენ. ასეთ ვითარებაში საჭიროა მუდმივად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ყველა კურფიურსტთან და სხვა საიმპერიო დიდებულთან ვიცხოვროთ მეგობრულად, ვიქონიოთ მათთან კავშირურთიერთობა და არ მივცეთ მათ რაიმე საბაბი ამ კეთილი მშვიდობის დასარღვევად.

რადგან ღმერთმა ჩვენ საგვარეულო მიწებით გულუხვად დაგვაჯილდოვა, საჭიროა მხოლოდ მათი შენარჩუნებისა და დაცვისათვის ვიზრუნოთ. არ უნდა ავუვეთ სამფლობელოთა შემდგომი გაფართოების ცდუნებას. ამით გამოვიწვევთ დიდ შურს და სიძულვილს და საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით. მსგავსი რამ მე ბევრჯერ გაგვიცაჯე.

ამასთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ ვინმემ ჩვენი და ჩვენი ვასალების მიწებისა და მათი საზღვრების ხელყოფა გაბედოს. ამ ნიადაგზე დავის წარმოშობის შემთხვევაში მისი მშვიდობიანი გზით მოგვარება ჯობს. თუკი მიუხედავად ყოველგვარი იმედისა, ეს არ მოხერხდა, საჭირო იქნება ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ჩვენი პოზიციები არ დავთმოთ. თუ ორ სხვა სახელმწიფოს შორის ომის წარმოშობის საფრთხე შეიქმნა, მაშინ ეცადეთ, შუამავლობის გზით საქმე მშვიდობიანად მოაგვაროთ. იმისათვის, რომ სხვის თვალში ფასი გვქონდეს, საჭიროა მტკიცე პოზიციები გვეჭიროს. მე მუდამ ასე ვმოქმედებდი და ღვთის ძალით ბევრი უბედურება ავიცილე. თუკი ომი გარდუვალი იქნება, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სამფლობელოში მტკიცე წესრიგს უნდა მიაღწიოთ, არ დაუშვათ საკუთარი ქვეშევრდომების შევიწროება და მათ მიმართ ძალადობა, რადგან ყველა სიძნელიდან თავის დაღწევა მხოლოდ მათგან მიღებული სახსრებით შეიძლება. მოკავშირეები — კარგი საქმეა, მაგრამ საკუთარი ძალები მაინც ყველაფერს ჯობს.

[4, გვ. 191—192]

ავსტრიის იმპერატორის მიერ ბოძებული სიგელი ბრანდენბურგისათვის სილეზიის საჰერცოგოების გადაცემის შესახებ (1686 წ.)

...მისი საიმპერატორო უდიდებულესობა, თანახმად უმაღლესი ნებისა, უთმობენ და გადასცემენ მის ბრწყინვალებას ბრანდენბურგის კურფიურსტს, მისი მამრობითი სქესის მემკვიდრეებსა და შთამომავლებს, ბრანდენბურგის მარკგრაფებსა და ა. შ. ეგრეთ წოდებულ სილეზიის შვიბუზის ოლქს მიმდებარე მიწებითა და იქ მცხოვრები ადამიანებით, ქალაქებით, ადგილებით, სოფლებით, საძოვრებით, ტყეებით, წყლებით, თევზსაჭერებით, უფლებებითა და არსებული პრივილეგიებით, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, იმ სახით, როგორსაც მანამდე ფლობდნენ და იყენებდნენ, სახელდობრ, in qualitate feudi masculini Bohemici, თუმცა მხოლოდ იმ პირობით, რომ კურფიურსტი მისი საიმპერატორო უდიდებულესობისაგან ბრანდენბურგის მარკას და სხვა მიწებს ლენურ მფლობელობაში მიიღებს... აქ (შვიბუზის ოლქში) გა-

თვალისწინებულია განსაკუთრებული პირობები, სახელდობრ: კურ-ფიურსტს და მის შთამომავლებს ამ ტერიტორიაზე ციხე-სიმაგრეების აშენების ან ცალკეული პუნქტების გამაგრების უფლება არა აქვთ. კა-თოლიკურ რელიგიას და აუქსბურგელ ერთმორწმუნეებს არ უნდა შე-ელახოთ უფლებები და რელიგიური კულტი უნდა სრულდებოდეს სავსებით იმ სახით, რა სახითაც ის ამჟამად სრულდება, განსაკუთრე-ბით კი, აქ მცხოვრებ სასულიერო პირთ, რა წოდებასაც არ უნდა ეკუ-თვნოდნენ ისინი, თავიანთი უფლებები და სამფლობელოები უნდა შეუნარჩუნდეთ...

[1, გვ. 228]

ბრანდენბურგ-პრუსიის კურფიურსტის ფრიდრიხ III-ის (პრუსიის პირველი მეფე ფრიდრიხ I) პირადი ბარათიდან (1698)

რადგანაც მე ყველაფერი გამაჩნია, რაც სამეფო ღირსებას აკმაყო-ფილებს, იმაზე მეტიც კი, რაც ზოგიერთ მეფეს აქვს, რატომ არ უნდა მივიღო ზომები იმისათვის, რომ მეფის ტიტულის მფლობელი გავხდე?

თუკი მეფის ტიტულს მივიღებ, როგორც ბრანდენბურგის მფლობე-ლი, მაშინ მე სუვერენულის ნაცვლად ვასალური მეფე ვიქნები და საქ-მე მექნება იმპერიასთან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მე მეფის ტიტულს მივიღებ როგორც პრუსიის მფლობელი, მაშინ დამოუკიდებელი მეფის მდგომარეობას მივაღწევ [1].

[4, გვ. 193]

— ფრიდრიხ ვილჰელმ I-ის ინსტრუქციიდან კრონპრინცის (მომავალი მეფე ფრიდრიხ II) აღზრდის შესახებ (იგულისხმება მომავალი მეფე ფრიდრიხ II) (1718 წლის 13 აგვისტო)

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეცადოთ ჩავუნერგოთ (კრონ-პრინცს — გ. კ.) ისეთი ხასიათი, რომელიც ყველა ადამიანური თვისე-ბით იქნება აღჭურვილი, რათა უკვე სიჭაბუკიდანვე მას გამოუმუშავ-დეს სიკეთისადმი მისწრაფება და მანკიერებისადმი სიძულვილი. ამის მიღწევის ერთადერთი და საუკეთესო საშუალებაა ახალგაზრდას თავი-დანვე შთავუნერგოთ ღმერთისადმი სიყვარული და რიდი. ეს გრძნობა მას მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა განუმტკიცდეს.

---

[1] როგორც ბრანდენბურგის კურფიურსტი იგი იმპერიასთან იყო დაკავშირებუ-ლი, როგორც ერთ-ერთი „სიმპერიო თავადი". პრუსია კი იმპერიის მიმართ სამართ-ლებრივი თვალსაზრისით არავითარ კავშირში არ იმყოფებოდა. აი ამიტომ მიიღო ფრიდრიხ III პრუსიის, და არა ბრანდენბურგის, მეფის ტიტული.

ჩვეულებრივ ადამიანებში ბოროტი ზრახვებისაგან თავშეკავებასა და სიკეთისადმი მისწრაფებას უზენაესი ხელისუფლება ჯილდოებითა და დასჯით ნერვავს. ადამიანური სასამართლოსაგან, სასჯელებისა და ჯილდოებისაგან დამოუკიდებელი დიდი მონარქების მოქმედებას კი მხოლოდ ღვთისადმი მორიდება განსაზღვრავს.

შემდგომ ამისა, ობერ-ჰოფმაისტერმა უნდა იზრუნოს იმაზე, თუ რაა საჭირო ქრისტიანული რწმენისა და პატიოსნების დასანერგად. მან თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ ჩემმა შვილმა, ჯერ-ერთი, ყველა მსახურთან ერთად დილასა და საღამოს მუხლმოდრეკილმა ილოცოს, ლოცვის შემდეგ მან უნდა წაიკითხოს ბიბლიის რომელიმე თავი, მაგრამ არა სხვათაშორის, არამედ ისე, რომ ყოველი კითხვის შემდეგ მას წაკითხულის არსის მოკლედ გადმოცემა შეეძლოს. ბიბლიის ის წინადადებები, რომლებიც დიდ აზრებს შეიცავენ და რომლებიც პასუხობენ ჩემი შვილის მდგომარეობას, უნდა ჩაწერილ იქნას. მან იგი ყველაზე უფრო სასარგებლო საგალობლებთან და მოკლე ლოცვებთან ერთად უნდა ჩაიწეროს და ზეპირად ისწავლოს. საჭიროა იგი (კრონპრინცი) მოვარიდოთ ოპერებს, კომედიებს და სხვა სახის საერო სისულელეებს. საჭიროა შეძლებისდაგვარად მას მათდამი სიძულვილი გამოვუმუშავოთ.

კარგი აღზრდის ერთ-ერთი ნიშანია მშობლებისადმი შვილების პატივისცემა და მორჩილება. ამიტომ ობერ-ჰოფმაისტერმა და აღმზრდელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შთაუნერგონ მას (კრონპრინცს) ჩემდამი და ჩემი მეუღლისადმი პატივისცემისა და მორჩილების თვისება. ამასთან ერთად, ყოველივე ეს არ უნდა ატარებდეს მონურ ხასიათს. მაგრამ, თუკი, მიუხედავად აღმზრდელთა ცდისა, ჩემი შვილი ცუდად მოიქცევა, ზემოთქმულის საწინააღმდეგოდ იმოქმედებს, მაშინ აღმზრდელებმა უნდა განუცხადონ მას, რომ ამის შესახებ დედოფალს მოახსენებენ. საჭიროა იგი ყოველთვის დავაშინოთ დედოფლით და არასოდეს — ჩემით.

ღვთისადმი მორიდების შემდეგ მონარქში სიკეთის დანერგვის და მასში ბოროტ ჩვევათა აღმოფხვრის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა შთავუნერგოთ მას დიდებისადმი, ღირსებისადმი, სახელისადმი, სიმამაცისადმი მისწრაფების გრძნობა. ამიტომ საჭიროა ობერ-ჰოფმაისტერმა და აღმზრდელმა მთელი ყურადღება წარმართონ იქითკენ და ყველა ღონისძიება იხმარონ იმისათვის, რომ მას (კრონპრინცს) არ გამოუმჟღავნდეს ქედმაღლობა, პატივმოყვარეობა. ამასთან ერთად, საჭიროა იგი შევაჩვიოთ სამეურნეო საქმიანობას, მომჭირნეობას, თავმდაბლობას — საჭიროა იგი კარგი მეპატრონე გავხადოთ.

ვინაიდან არაფერი არ არსებობს პირფერობაზე უფრო მავნე, ამი-

ტომ თქვენ (აღმზრდელები) ვალდებულნი ხართ ჩემი უდიდესი წყრომისადმი შიშით აუკრძალოთ იგი ყველას, ვინც კი ჩემს შვილთან ურთიერთობას იქონიებს.

[4, გვ. 245—246]

პრუსიის ადმინისტრაციული მოწყობის ძირითადი კანონი (1722 წ.)

მუხლი I. § I. მას შემდეგ, რაც ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ ცვლილებების შეტანა აქამდე არსებულ ჩვენს მთავარ სამხედრო კომისარიატსა და მთავარ ფინანსურ სამმართველოში, გადავწყვიტეთ ეს კოლეგიები მთლიანად დავითხოვოთ და გავაუქმოთ, მათ ნაცვლად შევქმნათ ფინანსების, სამხედრო საქმისა და სახელმწიფო ქონების მთავარი უმაღლესი სამმართველო; ამასთან ერთად ჩვენ მათ ვუწყალობეთ ყველა საქმე, რომელიც აქამდე ყოფილი მთავარი სამხედრო უწყებისა და მთავარი საფინანსო სამმართველოს განმგებლობაში შედიოდა.

ჩვენ... თვითონ ვიღებთ ჩვენს თავზე ხსენებული მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობას..., რათა მას მეტი ბრწყინვალება, ავტორიტეტი და ძალა მივანიჭოთ და, ამავე დროს, ვაჩვენოთ, აგრეთვე, ის განსაკუთრებული და უაღრესად სერიოზული ყურადღება, რომელიც ჩვენ განზრახული გვაქვს მუდმივად და განუხრელად მივაქციოთ საქმეებს, რომლებიც ხსენებული სამმართველოს განმგებლობაში შედის.

§ 3... ჩვენ... განზრახული გვაქვს განსაკუთრებული უმოწყალესი ნდობა გამოვუცხადოთ მოცემულ [კანონში] ხსენებულ მინისტრებსა და ასესორებს, რომლებსაც ჩვენ საფინანსო, სამხედრო და სახელმწიფო ქონების მთავარ უმაღლეს სამმართველოში დავნიშნავთ; თუმცა ამავე დროს ვითხოვთ, რათა ხუთი ხელმძღვანელი მინისტრი იყოს განსაკუთრებით პასუხისმგებელი ჩვენს წინაშე, ყველაფრისათვის, რაც სახელმწიფოში, ფინანსებსა და სამმართველოში ხდება.

§ 4. ამასთან ერთად, ფინანსების, სამხედრო და სახელმწიფო ქონების საიდუმლო მრჩევლები პასუხს აგებენ მხოლოდ იმაზე, რაც ეხება დეპარტამენტებს, რომლებზეც თითოეული მათგანია მიმაგრებული.

§ 9. პროვინციული დეპარტამენტების მოხელეები უნდა იყვნენ კარგი, საქმიანი ადამიანები, რომლებსაც საღი გონება აქვთ და რომლებიც ახალგაზრდობიდან კომისარიატის დეპარტამენტის გამგებლობაში შემავალი ვაჭრობის, მანუფაქტურის, აქციზისა და სხვა სფეროებში მუშაობდნენ.

[1, გვ. 231]

კრონპრინცი ფრიდრიხი კიუსტრინში „ახალი ინსტრუქცია საიდუმლო მრჩეველ ფონ ვალდენისადმი“ (ამონაწერი) (1731)

მას შემდეგ, რაც კრონპრინცმა მის უდიდებულესობას მისცა მტკიცე პირობა, რომ ის ყველა საქმეში მისი უდიდებულესობის, როგორც საკუთარი მამის, ერთგული და მორჩილი იქნება, ყოველთვის ხალისით დაემორჩილება და ბრმად შეასრულებს მის ნება-სურვილს, — ამ დაპირებისა და ფონ ვალდენის მიერ მოცემული დასტურისა და მისი ნამდვილად შესრულების დაპირების საფუძველზე, მისმა უდიდებულესობამ გადაწყვიტა დაებრუნებინა მისთვის (კრონპრინცისათვის) თავისი სამობრივი და მონარქისეული კეთილგანწყობილება და, ამიტომ, ბრძანა შეეცვალათ აქამდე მოქმედი ინსტრუქცია ისე, როგორც შემდგომშია ნათქვამი და შეექმნათ ახალი. მან უმოწყალესად უბრძანა ფონ ვალდენს მისი სახელით განუცხადოს კრონპრინცს, რათა მან ამ ახალი ინსტრუქციის ყველა პირობა შეასრულოს.

კვირაში სამჯერ კრონპრინცმა სამხედრო და სახელმწიფო ქონების პალატებში უნდა იაროს: ნასადილევს მას ცხენითა და ეკიპაჟში სეირნობის დრო ეძლევა; ამ მიზნით მისი უდიდებულესობა მას ცხენებსა და ეკიპაჟს გაუგზავნის. აგრეთვე ფონ ვალდენმა ზოგჯერ ნასადილევს უნდა გაართოს იგი: ნავით სეირნობით, იხვებზე ნადირობით — მოკლედ, დასაშვები სიამოვნება მიანიჭოს. მაგრამ ყოველთვის, როდესაც კი კრონპრინცი მიემგზავრება ცხენით ან ეტლით, ვინმე (ერთ-ერთი სამიდან) მასთან უნდა იყოს, რათა ის არასოდეს მარტო არ დარჩეს და არავისთან განმარტოვებით არ შეეძლოს საუბარი. კრონპრინცს არავისთან არ უნდა ჰქონდეს მიწერ-მოწერა გარდა მათ უდიდებულესობებთან — მეფესა და დედოფალთან, რომელთათვის შეიძლება მისი მანამდე გაუხსნელი წერილების გადაცემა.

თუმცაღა, კრონპრინცს, თუკი მას სურს, ყოველთვის სადილზე ორი სტუმრის დაპატიჟებისა და კვირაში ორჯერ სტუმრად წასვლის უფლება ეძლევა. მაგრამ ფონ ვალდენმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ იქ ქალები არ იყვნენ. ისევე როგორც წინათ, ახლაც სასტიკად აკრძალულია როგორც ფრანგული, ასევე საერო გერმანული წიგნები, მუსიკა, ცეკვები და თამაშობები. ყველაფერი, რაც აქ არის აკრძალული, სიკვდილით დასჯის შიშით არ უნდა იქნას დაშვებული. ფონ ვალდენი ვალდებულია სერიოზულ საგნებზე მიაქციოს კრონპრინცის ყურადღება და ხელი შეუწყოს იმას, რომ ის ყველა შემთხვევაში მიეჩვიოს საკუთარი და არა სხვისი ხელით მუშაობას, მაგალითად, თოფის დატენვას, მის გაწმენდას და ა. შ.

ამასთან ერთად გეგზავნებათ ახალი ბიუჯეტი და კრონპრინცი უნდა

დაკმაყოფილდეს იმით, რაც მასში მისთვის არის გამოყოფილი; მან უნდა ისწავლოს მომჭირნეობა და მეურნეობის კარგად მოვლა.

პოტსდამი, 1731 წლის 21 აგვისტო.

[4, გვ. 247—248]

ფრიდრიხ II-ის წერილი ვოლტერთან

შარლოტენბერგი, 6 ივნისი, 1740 წ.

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ჩემი ბედი შეიცვალა. მე ვესწრებოდი მეფის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს. მის აგონიასა და სიკვდილს. სამეფო ტახტზე ასვლისას ჩემთვის საჭირო არ იყო აღნიშნული მომენტი ყოფილიყო გაკვეთილი იმისა, თუ რაოდენ ამაოა ადამიანის დიდება.

მე დაგეგმილი მქონდა მცირედი ნაშრომი მეტაფიზიკაში. ამჯერად საჭირო გახდა იგი პოლიტიკაში ნაშრომით შემეცვალა. მე მსურდა მეკამათა კეთილ ვოლტერთან, ახლა კი მაკიაველს უნდა შევეჯიბრო. ბოლოს და ბოლოს, ძვირფასო ვოლტერ, ჩვენ ოდნავადაც არა ვართ ჩვენი ბედის გამგებელნი. ჩვენ გვითრევს მოვლენათა მორევი, საჭირო ხდება ვიცხოვროთ მას. უმორჩილესად გთხოვთ ჩემში დაინახოთ მხოლოდ მტკიცე მოქალაქე, ცოტა ფილოსოფოსი — სკეპტიკოსი, მაგრამ ჭეშმარიტად ერთგული მეგობარი. თუ ღმერთი გწამთ, მომწერეთ ხოლმე. მხოლოდ როგორც ადამიანს, და გძაგდეთ, ისევე როგორც მე, ტიტულები, სახელები და ყველა გარეგანი ბრწყინვალება.

ჯერჯერობით აურაცხელი საქმეების გამო მე ოდნავადაც არ მყოფნის დრო გონზე მოვიდე. უხომოდა ვარ ჩაბმული საქმეებში. მიუხედავად ამისა, მე მაინც მრჩება დრო აღტაცებული ვიყო თქვენი ნაშრომებით, თქვენგან დარიგებანი მივიღო და ამით დავისვენო.

გადაეცით მარკიზას ჩემი კეთილი სურვილები. მე მოხიბლული ვარ მისი ფართო ცოდნითა და მისი გონების იშვიათი შესაძლებლობებით.

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო ვოლტერ: თუ ცოცხალი ვიქენი, აუცილებლად გნახავთ და ალბათ წელსვე. გთხოვთ გიყვარდეთ ძველებურად და იყოთ თქვენი მეგობრის მიმართ მარად გულწრფელი.

ფ რ ი დ რ ი ხ ი.

[4, გვ. 248—249]

ფრიდრიხ II-ის ანდერძიდან

მე ვცხოვრობდი, ვითარცა ფილოსოფოსი და მსურს დამკრძალონ როგორც ასეთი, ყოველგვარი ბრწყინვალების, განდიდებისა და პომპის გარეშე. მე წინააღმდეგი ვარ ჩემი ანატომიური გაკვეთისა, ბალზამირე-

ბისა. მე მსურს დამკრძალონ სენ-სუსიში, ზემო ტერასაზე, ჩემს მიერ მოპზადებულ აკლდამაში.

მე ვუტოვებ ჩემს ძვირფასს ძმისწულს ფრიდრიხ-ვილჰელმს, ტახტის მემკვიდრეს, პრუსიის სამეფოს, პროვინციებს, ოლქებს, ციხე-დარბაზებს, სასახლეებს, ქალაქებს, არსენალებს, ჩემს მიერ დაპყრობილ ან მემკვიდრეობით მიღებულ ქვეყნებს, მეფისა და მისი მეუღლის ხელთ არსებულ ყველა სამეფო საგანძურს, ბერლინში დაცულ ოქროსა და ვერცხლის სერვიზს, აგარაკებს, ბიბლიოთეკებს, მედლების საცავს, სურათების გალერეას, ბაღებს და სხვა და სხვ.

ამასთანავე მე მას ვუანდერძებ ხაზინას იმ სახით, როგორითაც იგი ჩემი გარდაცვალების დღეს აღმოჩნდება, როგორც სახელმწიფოს კუთვნილ ქონებას, რომელიც უნდა ემსახუროს ხალხის დაცვასა და ნუგეშისცემას.

ვუტოვებ დედოფალს, ჩემს მეუღლეს, შემოსავალს, რომლითაც იგი სარგებლობს და მასზე წლიურ წანამატს 10000 ეკიუს ოდენობით, ორ კასრ ღვინოს, (გადასახადებისაგან) თავისუფალ ტყეებს და ნანადირევს მისი სუფრისათვის, იმ პირობით, რომ დედოფალი ვალდებულებას იკისრებს, ცნოს ჩემი ძმისწული მემკვიდრედ. შემდგომ ამისა, რადგან არ არსებობს შესაფერისი ადგილი, რომელიც მე შემიძლია მივუთითო მას როგორც რეზიდენცია, ამიტომ მე ვკმაყოფილდები ყოველ შემთხვევაში ასეთად დავასახელო შტეტინი. ამასთან ერთად, მე მოვთხოვე ჩემს ძმისწულს გამოუყოს მას შესაფერისი საცხოვრებელი ბერლინის სასახლეში და პატივისცემით მოეპყრას მას, როგორც ბიძის ქვრივს და როგორც პრინცესას, რომლის სათნოება არასოდეს არ ყოფილა სადაო.

მე არასოდეს არ ვყოფილვარ არც ძუნწი და არც მდიდარი, მე არ მქონია დიდი თანხები, სახელმწიფოს შემოსავალს მე ვუყურებდი, როგორც წმიდათაწმიდას, რომლის ხელყოფას ვერ გაბედავდა ვერც ერთი მავნე ძალა. საზოგადოებრივი შემოსავალი ჩემი პირადი სარგებლობის საგანი არასოდეს არ ყოფილა. ჩემი პირადი ხარჯები არასოდეს არ აღემატებოდა 220.000 ეკიუს წლიურად. ამასთან ერთად, ჩემს მმართველობას არასოდეს არ შეულახავს ჩემი სინდისი, მე არ შევუშინდები მის შესახებ საქვეყნოდ ანგარიშგებას.

გარდაცვალების ჟამს, ჩემი უკანასკნელი სურვილები სახელმწიფოს საკეთილდღეოდ იქნება წარმართული. დაე მართონ იგი მუდამ სამართლიანობის, გონიერებისა და სიმტკიცის პირობებში, დაე იყოს იგი სახელმწიფოთა შორის უბედნიერესი თავისი ზომიერი კანონებით, ყველაზე უფრო მოწესრიგებული ფინანსებით, ყველაზე უფრო მამაცურად

დაცული თავისი ჯარისკაცების მიერ, რომელთა ერთადერთი მისწრაფება იქნება ღირსება და სამხედრო დიდება, დაე მან იცოცხლოს და იდღეგრძელოს მრავალჟამს.
1769 წლის 8 იანვარი.

[4, გვ. 254—256]

6. სამეფო კარი, თავადაზნაურობა, არმია

გერმანიის მთავართა კავშირის ძირითადი შეთანხმება (1785 წ.)

1. სამი მოკავშირის მიზანია საიმპერიო სისტემის შენარჩუნება და განმტკიცება. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ მათსა და აგრეთვე სამეფო კართა შორის სრულ თანხმობას, მიმოწერისა და ელჩების საშუალებით ურთიერთშორის ინფორმაციის მეგობრული გაცვლისათვის, აგრეთვე საერთო და განსაკუთრებული საქმეების განხილვისათვის.

5. ხელშეკრულების დამდები მხარეები კისრულობენ ყველა კანონიერი, დამაჯერებელი კონსტიტუციური საშუალებით ერთობლივი წინააღმდეგობა გაუწიონ იმპერიის ოლქების შემადგენლობისა და მთლიანობის დარღვევის, სამხედრო, სამოქალაქო და ეკონომიკურ სფეროებში მათი სახელმწიფოებრივი წყობილების თავისუფლების შელახვის ყოველ ცდას; ასევე მათთვის უსამართლო და უკანონო მოთხოვნების თავზე მოხვევის ცდას.

6. ისინი კისრულობენ ერთობლივად გაატარონ მკაცრი თავდაცვითი ღონისძიებანი იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ოლქში წარმოიქმნება საერთო კონსტიტუციისათვის ზიანის მიყენების საფრთხე ან ადგილი ექნება მისი (კონსტიტუციის) შებღალვის ან დარღვევის მიზნით მასში რაიმე სიახლის ან ცვლილების შეტანის პოროტ განზრახვას.

8. მათ (მხარეებმა) განსაკუთრებით მტკიცედ უნდა დაიცვან ყველა წოდების შეუზღუდავი უფლებები: იმპერიის, საოლქო, კოლეგიალურ და დეპუტატთა კონვერტებში თავისუფალი ხმის მიცემის უფლებები, მათი მიწებისა და ქვეშევრდომების მიმართ; ასევე კანონები სახლთმფლობელობის, საოჯახო და მემკვიდრეობითი უფლებების შესახებ, რათა ისინი (წოდებანი) ამ გზით აბსოლუტურად დაცული იქნან არაკანონიერი, თვითნებური პრეტენზიებისა და მათთვის თვითნებური მოთხოვნების თავზე მოხვევისაგან.

[1, გვ. 232]

პრუსიის კარი, დიდებულნი, ჯარი რუსი თანამედროვის ცნობით

ამ დოკუმენტის ავტორია თეოდორე ვასილის ძე როსტოპჩინი (1763-1826 წწ.), რომელმაც 1786—1788 წწ. ინახულა ბერლინი, პარიზი და ლონდონი. ბერლინში ის ახლოს იყო რუსეთის ელჩთან — გრაფ ს. პ. რუმიანცევთან. 1812 წელს როსტოპჩინი მოსკოვის გუბერნატორი იყო.

პრუსიის თავადაზნაურობისა და „წარჩინებულთა“ ზოგადი დახასიათება

ურთიერთობაში ზრდილნი არიან, მაგრამ შინაგანად ავლენენ წარმომავლობით ბუნებრივ სიამაყეს; უმთავრესად არიან ღარიბნი; უკავიათ თანამდებობანი კარზე და სამოქალაქო სამსახურში; ქალაქებში აქვთ ძველებური სახლები, ქალაქგარეთ — გასართობი სასახლეები, სადაც ზაფხულობით ტკბებიან ჰაერითა და სიმყუდროვით. ყველაზე მდიდრების მოსამსახურეთა შტატი შედგება ორი ლაქიის, სწრაფმავლის (შიკრიკის), კამერდინერის, მეჯინიბის, მზარეულის, რამდენიმე ქალისა და კარისკაცისაგან. მათ (თავადაზნაურებმა) ზეპირად იციან ყველა საბუთი თავიანთი გვარის გენეალოგიის შესახებ; ოთახებში კიდებენ წინაპართა მორთულ პორტრეტებს, გამოჰფენენ ჩარჩოებში ჩასმულ პატენტებს, ნაწყალობევ სიგელებს, ხელმწიფისა და მთავრებისაგან მიღებულ წერილებს. ისინი ლენტების, ჯვრებისა და ვარსკვლავების დიდი მოყვარულები არიან; იშვიათად მართავენ მდიდრულ წვეულებებს; ყოველდღიურად კი კმაყოფილდებიან ზომიერი სუფრით მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლისა და სიამაყის შენარჩუნებისათვის.

კარი

ამგვარად, სამხედრო პირნი ბრწყინვალებით არ გამოირჩევიან. ისინი მეფესთან (როცა იგი ბერლინშია) მიდიან კვირა დილით; დედოფალთან კი იმავე დღეს საღამოს ეწყობა კურტაგი[1]. ძველი ადათი ელჩებსა და ყველას, ვინც დიპლომატიურ კორპუსს ეკუთვნის, სამეფო სახლის წევრებთან ერთად სადილობასა და ვახშმობას უკრძალავს. მოწვეული ყველა ელჩი, რომელთაგან ზოგიერთი დედოფალთან ლოტოსაც კი თამაშობს, ჰოფმარშალის განცხადებისთანავე — სამეფო სუფრა მზადაა — სასწრაფოდ ტოვებს კურტაგს. მეფესა და დედოფალთან ერთად მაგიდასთან ჯდომის უფლება აქვთ მხოლოდ იმპერიის პრინცებს, გენერლებსა და პოლკოვნიკებს.

დიდი კარის გარდა არის კიდევ რამდენიმე პატარა კარი; მათ შორის ქვრივი დედოფლისა, პრინც ფერდინანდისა, პრინც ჰაინრიხისა და მისი მეუღლისა.

[1] კურტაგი — კარზე ოფიციალური მიღება.

ყველა ამ კარს თავისი შტატი. სასახლე და კარისკაცები ჰყავს. თითქმის ყოველდღე იწვევენ რამდენიმე კაცს საუზმეზე და ლოტოს სათამაშოდ და რადგან ეს შეკრებები არც თუ ისე მხიარულია, შეკრიკებს უჭირთ ჰოფმარშლის მიერ დანიშნული სტუმრების შეკრება.

ზოგჯერ ლობით პრინცები და პრინცესები მიემგზავრებიან ქალაქგარეთ სახლებში და იქ, უგულებელყოფენ რა ეტიკეტს, მამაკაცები გრძელი დაშნის ნაცვლად მოკლე დაშნებს — კორტიკებს — ატარებენ, ქალები კი სიცხეში ქოლგით დადიან.

კარისკაცები

პირველი მოხელე ობერ-კამერჰერია. დანარჩენი მოხელეები საკმაოდ პატივცემული პირები არიან, მაგრამ, სამოქალაქო პირთა მსგავსად არ უტოლდებიან სამხედროებს. იყო შემთხვევა, როდესაც ერთი ადამიანი კარზე ობერ-შტალმაისტერი იყო, ჯარში კი — მაიორი. კამერჰერის ნიშნებია: ჩვეულებრივ დღეებში — ოქროს ორი ღილი, დღესასწაულებისას — გასაღები. მათ პრინცესასთან ცეკვის უფლება აქვთ. პრუსიის კამერჰერის ჩინი ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე დანიისა, უტოლდება პოლონეთისას და ათჯერ ნაკლებია რუსეთისაზე. ქალაქში იცნობენ მხოლოდ იმ კარისკაცს, რომელიც თეთრ ხელთათმანებს ატარებს და პრინცესები კიბეებზე ჩამოჰყავს.

არც ერთი პორუჩიკი არ იკისრებს კამერჰერობას. ათი ტიტულოსანი კამერჰერიდან ცხრა პოდპორუჩიკის წოდებას ატარებს. ქალებს ისინი არ მოსწონთ. ხალხი მათ პატივს არ სცემს და ისინიც, თირგარტენის ყველაზე ბნელ ადგილებში, ადამიანთა საზოგადოებისა და ავი ძაღლებისაგან განმარტოებულნი მსოფლიოს ბედზე ფიქრებს მიეცემიან ხოლმე.

პრუსიელი ჯარისკაცები

მე მათ ვერ გამაკვირვეს. ისინი ხომ მე ბავშვობაში მართობდნენ; მათ შორის: კალის სათამაშო ჯარისკაცუნები, რომლებსაც ნიურენბერგელები ჰყიდიან; ხისგან გამოთლილები, რომლებსაც სამების ეკლესიებში აკეთებენ; თიხისგან გამოძერწილნი, რომლებსაც კალუგაში გამოწვავენ და ცოცხალნი, რომელნიც მე ვნახე, ყველანი ერთნაირნი არიან.

მუნდირის ფორმა ისეთივეა, როგორიც დიდი კურფიურსტის დროს იყო: კამზოლი გრძელი, მაუდი სქელი. ჯარისკაცებს ფეხები თხელი, შუცელი კი დიდი აქვთ. ერთად ისინი წარმოსადეგნი არიან; ცალ-ცალკე უშნონი და მოხუცნი ჩანან. გრძელი ნაწნავები აქვთ; ვერ გამიგია, სწრაფი შემობრუნებისას მათგან თვალებს როგორ იცავენ. ლამაზი გრენადერული ქუდი ერთობ მოუხერხებელია, თავს ამძიმებს, ადამიანს

აიძულებს წონასწორობა ეძიოს, მზეზე სხივებს იზიდავს, წვიმაში წყლით იჟღინთება. მიუხედავად ასეთი უხერხულობისა, არც ერთი გრენადერი არ დათანხმდება გახდეს მუშკეტერი. გრენადერთა პატივმოყვარეობას აღავსებს მათთვის სხვებისაგან განსხვავებული ულუფის გაცემა.

წუთში თავისუფლად გადიან 75 ნაბიჯს; ისვრიან მარჯვედ; ატარებენ: ფართო სარტყელზე მიმაგრებულ ჩანთას, სამხარიღლივზე მიბმულ მახვილს, ქარქაშში ჩასმულ ხიშტს, გრძელსა და მძიმე თოფს; ცილინდრულ ზუმბას, რომლითაც თოფის დატენა შემოუბრუნებლად შეიძლება. ჯარისკაცები დენთს ფალიაზე არ აყრიან, იგი თვითონ იყრება ლულაში განიერი ფილთის საშუალებით.

როსბახთან ნამყოფი ფრანგები ამტკიცებენ, რომ პრუსიელები უძლეველნი არიან. ყველა რუსს, რომელიც ფრანკფურტთან, პალციხთან, იაგერნსდორფთან და კოლბერგთან იყო, ამისი არ სჯერა.

ვისაც უნახავს ერთი პრუსიელი ჯარისკაცი, მას მთელი ჯარი უნახავს. იგი ჰგავს ელიკოტის საათს, რომლის მექანიზმი ბრწყინვალეა, ჩარჩო კი მახინჯი.

პრუსიის მხედრიონი

გენერლები, როგორც წესი, არიან მოხუცნი, დაუძლურებულნი, ცოცხალ-მკვდარნი, მაგრამ ცხენზე ამხედრებულნი, მხნენი და სიცოცხლით სავსენი ჩანან. ყველანი იბრძოდნენ შვიდწლიან ომში, რომელსაც ყოველდღიურად იხსენებენ. ისინი აღმერთებენ თავიანთ ხელმწიფეს — გმირსა და ბელადს. მათი სურვილების არე შეზღუდულია; თითოეულის თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია ჩინით და პირველობით იმ ტერიტორიაზე, სადაც იგი პოლკითურთ იმყოფება. არც ერთი მათგანი არ ნებივრობს და არ ფიქრობს გადადგომას; მხოლოდ სიკვდილი გამორიცხავს მათ სამხედროთა სიიდან. ისინი ნაკლებად გამოდგებიან ჯარის დამოუკიდებელ მეთაურებად, მაგრამ სხვისი დავალების შესრულება ყველას შეუძლია.

შტაბს-ოფიცერი მნიშვნელოვანი პერსონაა, რომელსაც ყველა ჯარისკაცი სახით უნდა ცნობდეს, რათა მისი გამოჩენისას შორიდანვე იცნონ იგი და მას ჯარისკაცული მზადყოფნით შეხვდნენ. მთელი პრუსიისათვის ცნობილია, თუ რა პასუხსაგები და ძვირადღირებულია ამ ჩინის მიღება. ეს ღირსება ოფიცრის ჯიბეს ერთგვარ ზარალს აყენებს, ვინაიდან მაიორს უნდა ჰქონდეს ფაიფურის ტოლჩა ლუდისათვის, ასეთივე სათუთუნე, ქერელის ჩიბუხი, ჩითის ხალათი და ბუზების საკლავი.

კაპიტნები ამ ჩინს ძნელად აღწევენ, მაგრამ შემდეგ სიამოვნებასა და

განცხრომაში ცხოვრობენ. ეს ჩინი ყოველი ოფიცრის მთავარი მიზანია. ის იღებს ასეულს და მასთან ერთად ქონებას. ქვეით კაპიტანს წელიწადში 2500-მდე, ხოლო ცხენოსანს 1500 ტალერი აქვს და ეს შემოსავალი მას გენერალ-მაიორის ჩინამდე არ ჩამოერთმევა. მან საკუთარ ხარჯზე თავისი ასეულის ოფიცრებს ხშირად სუფრა უნდა გაუშალოს. ამიტომაა, რომ იგი ჩინის მიღების დღიდანვე გასუქებას იწყებს. გარდა პლექიანებისა, ყველა პრუსიელ კაპიტანს სქელი მუცელი აქვს, რაც საძრახად როდი ითვლება; პირიქით, ამით იგი რესპექტაბლერმანის, ანუ პატივცემული ადამიანის სახელს იმსახურებს.

უმცროსი ოფიცერი ოცდაათ წელიწადს ითმენს სიცივესა და შიმშილს. თვეში ექვს ტალერს იღებს და იმაგრებს მიბნედილ სულსა და დასუსტებულ სხეულს მხოლოდ ერთი იმედით — თუ ღმერთი დიდხანს აცოცხლებს, ოდესმე კაპიტანი გახდება. ოფიცრები დილიდან საღამომდე დაკავებულნი არიან... სამსახურით; ძლივს ნახულობენ თავისუფალ დროს კვირაობით, რათა თირგარტენზე გაისეირნონ და სუფთა ჰაერზე ჩიბუხი მოსწიონ. მათ მუნდირის გარდა სხვა ტანსაცმელი არ იციან, არ ატარებენ და მის შესაკერად საკმარისი სახსრები არც აქვთ. მე ვიცნობდი ბევრს და მინახავს ისეთები, რომლებიც წინდების უქონლობის გამო შტიბლეტებს ტიტველ ფეხზე იცვამდნენ.

დილის ექვს საათზე ყველა ჩაცმულია, საზოგადოებაში ნაკლებად არიან ხოლმე; ბერლინში მყოფი 19 პოლკიდან სამს ან ოთხ ოფიცერს თუ პატიჟებენ მეჯლისებზე. შვებულებაში ისინი არ მიდიან იმიტომ, რომ არ იციან სად წავიდნენ. ამავე დროს მათ უნდა დაასახელონ მნიშვნელოვანი მიზეზი, რათა მეფისაგან შვებულება მიიღონ. ბევრს ოცი წლის განმავლობაში არც ერთი უქმე დღე არ ჰქონია. ამ გარემოებას, როგორც წესი, სამსახურისადმი ერთგულებად მათ არავინ უთვლის. ისინი თითქმის ყველანი თავადაზნაურები არიან. მათი განათლება, ჩვეულებრივ, მშობლიური ენის, ფრანგულისა და ცოტაოდენი გეომეტრიის ცოდნით იფარგლება. მათი ცხოვრების დღენი ვახტ-პარადებზე, სწავლებასა და საყარაულო სამსახურით იწურება. მათი საუბარი მხოლოდ სამხედრო საქმეს ეხება. ისინი იმდენად მიეჩვივნენ განსვენებული მეფის ძველ გამარჯვებებს, რომ თვლიან რა გმირად საკუთარ თავსაც, ზემოდან უყურებენ სხვა სამსახურის უკლებლივ ყველა ოფიცერს; სთვლიან მათ თავიანთ მოწაფეებად და მიმბაძველებად. ახალგაზრდა რუსი მაიორები, ფრანგი პოლკოვნიკები და ინგლისელი ოფიცრები მათ თვითმარქვიებად მიაჩნიათ და მათი სამხედრო შემართება სასაცილოდაც არ ჰყოფნით.

თვით პრუსიელ ოფიცერთა შორისაც არის დიდი კონკურენცია: არტილერიის ოფიცერს თავი გარნიზონის ოფიცერზე, ქვეითის ოფიცერს — არტილერისტზე, ცხენოსანს — ქვეითზე მაღლა მიაჩნია. ყველაზე მაღლა კი თავის თავს აყენებს ჟანდარმერიის კირასირთა ოფიცე-

რი. ჟანდარმერიის პოლკი ბერლინში დგას. მასში მსახურობენ საუკეთესო გვარების ახალგაზრდები, რომელთა შორის სამი კაცი უმდიდრესია, ანუ ისინი, რომელთაც ხუთ-ხუთი ათასი ტალერი შემოსავალი აქვთ. მათ ჰყავთ საუკეთესო ცხენები, რომლებზეც ამხედრებულნი ისინი კვირაობით თირგარტენზე საზოგადოებას ართობენ, აჩვენებენ ცხენოსნობის უმაღლეს ილეთებსა და სხვ.

ჟანდარმერიის ოფიცერთა შორის რამდენიმემ გადაწყვიტა მოქმედი ქარის წისქვილის ფრთებს შორის გასხლტომა. ამ უგუნურმა მოქმედებამ მრავალი მაყურებელი მიიზიდა. მაგრამ პოლკის შეფმა, გენერალმა პრიტვიცმა, გაიგო რა ამის შესახებ, აკრძალა ეს დონკიხოტური გმირობა.

მაიორის ჩინამდე აღზევება ხდება პოლკებში. მშვიდობიან დროს ბევრი ოფიცერი ათეული წლების განმავლობაში ახალ წოდებას ვერ აღწევს. მე ვიცნობდი ერთ პორუჩიკს, რომელიც უკვე 20 წელი იყო ოფიცერი, 6 წელი დანიშნული იყო და კიდევ 6 წლის შემდეგაც არ ჰქონდა კაპიტნად და მეუღლედ გახდომის იმედი. საერთოდ კი ახალ ჩინში აღზევების პრეტენდენტ ყველა ოფიცერს თავისი უფროსის სიკვდილი სურს. მე ერთი პოლკის ოფიცრების სიხარულს მოწმე ვიყავი, როცა გაიგეს, რომ მათი მაიორი, დამპალი ლოკოკინების მირთმევის შემდეგ, სასიკვდილოდ მოიწამლა.

[1, გვ. 232—236]

თავი მეექვსე

ავსტრია XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნეში

I. ფ. ენგელსი ავსტრიის იმპერიის მრავალეროვნების შესახებ

ამრიგად, ევროპაში ავსტრიელთა სამეფო საგვარეულო იმთავითვე ბარბაროსობის, ჩამორჩენილობისა და რეაქციის წარმომადგენელი იყო. მისი ძლიერება მიუვალი მთების მიღმა დამკვიდრებული, პატრიარქალური ურთიერთობის გონებაჩლუნგ შეზღუდულობას, აგრეთვე ფესვგადგმულ ბარბაროსულ უხეშობას ემყარებოდა. ათეულობით ეროვნების წარმომადგენელნი, რომელნიც ერთიმეორისაგან მკვეთრად განირჩეოდნენ ზნეობით, ხასიათითა და თავიანთი საზოგადოებრივი წყობით, ერთიანდებოდნენ ცივილიზაციისადმი საერთო ზიზღის გამო.

ამიტომ ავსტრიელთა დინასტია უძლეველი იყო, ვიდრე ხელშეუხებელი რჩებოდა მისი ქვეშევრდომების ბარბაროსობა. ამიტომ მას ემუქრებოდა მხოლოდ ერთი საფრთხე — ბურჟუაზიული ცივილიზაციის შეღწევა.

მაგრამ სწორედ ეს საშიშროება გარდუვალი იყო. ბურჟუაზიული ცივილიზაციისაგან გამიჯვნა მხოლოდ რამდენიმე ხნით შეიძლებოდა; რაღაც დროის მანძილზე იგი შეიძლებოდა შეგუებოდა ავსტრიულ ბარბაროსობას და დამორჩილებოდა მას. მაგრამ, ადრე თუ გვიან, მას მაინც უნდა გადაელახა ფეოდალური ბარბაროსობა, რითაც გაწყდებოდა ის ერთადერთი ძაფი, რომელიც ერთად კრავდა სავსებით სხვადასხვა ბუნების პროვინციებს.

Ф. Энгельс. Начало конца Австрии.
К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 4, стр. 472—473.

II. ეკონომიკა

1. სოფლის მეურნეობა და მანუფაქტურები

პიუტერსის ცნობარიდან (1758 წ.), რომელიც ავსტრიის ეკონომიკის, მისი ბუნებრივი პირობებისა და, აგრეთვე, პოლიტიკური ცხოვრების ცალკეული მხარეების დახასიათების თავისებური წყაროა.

თვით ავსტრიისა და მასთან დაკავშირებული სხვა გერმანული მიწების შესახებ, რამდენადაც საქმე ეხება ხარისხს, პირველ რიგში უნდა ვახსენოთ შემდეგი პროდუქტები და მანუფაქტურები:

1. ხორბალი უხვად არის, განსაკუთრებით, ქვედა ავსტრიაში, ქვედა შტირიაში, ზედა კრაინაში, ტიროლში; ამ მიწებიდან უხვად იფარება დანაკლისი (ხორბლის) სხვა ოლქებში.

2. ტყეები და შეშის დამზადება — ნაკლებობა არსად არ არის.

3. საძოვრები და მეცხოველეობა — განსაკუთრებით კარინთიაში, კრაინასა და ტიროლში; შესანიშნავი მეტყეველობა არის აგრეთვე ავსტრიაში, კარინთიაში, ტიროლსა და უმოავრესად კრაინაში; ასევე ყველგან ტბებში, მდინარეებსა და ტბორებში უხვად არის თევზი.

4. ბოსტნეული, ბაღჩეული და სხვადასხვა სახის ხილი არის განსაკუთრებით ავსტრიასა და კრაინაში. კრაინა, ნაწილობრივ. ტიროლიც სხვათა შორის იძლევიან ლეღვს, ფორთოხალს, ლიმონს, ზეთისხილს, კომშს, წაბლსა და ნუშს: ავსტრია კი — კოჭას (ჯანჯაფალს), აირს, ზაფრანას და მდოგვს.

5. ვენახი უხვადაა გაშენებული ავსტრიაში, შტირიაში, კრაინასა და ტიროლში.

6. მარილსახდელები არის ზედა ავსტრიაში, გემიუნდში, ტრაუნის ტბასა და ჰალშტადტში; შემდეგ ტიროლში, ჰალეში.

7. ოქროსა და ვერცხლის საბადოები. აგრეთვე სპილენძი არის ტიროლში, ფოლადი და რკინა — შტირიაში, კარინთიასა და კრაინაში; კალა — კრაინაში; ვერცხლისწყალი — იდრიასა და კრაინაში (innerkrain), აგრეთვე ტიროლში; სხვა მინერალები, როგორიცაა, შაბი, აჯასპი, გალმეი (თუთიის მადანი) და სხვა არის ავსტრიის, კრაინასა და ტიროლის ზოგიერთ რაიონში.

8. მინერალური წყალია ბადენსა და ქვედა ავსტრიაში, აგრეთვე, შტირიის, კარინთიის, კრაინასა და ტიროლის სხვადასხვა ადგილას.

9. ძვირფასი ქვები განსაკუთრებით უხვადაა კრაინასა და ტიროლში, მათ შორის: იაგუნდი, ბროლი (მთის), იასპი, ამეთვისტო, ძოწი და სხვ.

10. ფაიფურის თიხაა ნეიშტადტთან — ქვემო ავსტრიაში, ფაბრიკები — ვენაში.

11. სხვა ფაბრიკები: ფოლადისა და რკინის ნაწარმისა — შტირია-

ში; ვერცხლის მავთულისა და კალის თუნუქების წარმოება — ავსტრია-ში. ტილოს, შალის ქსოვილის, მაუდის, მწვანე შალისაგან ქუდების წარ-მოების სახელოსნოები, აგრეთვე, აბრეშუმისა და სარკეების ფაბრიკე-ბი — ვენაში, შუშის ფაბრიკები — ტიროლში, სანთლის სამთეთრებლო-ები — ფიუმეში და სხვ.

12. სავაჭრო ადგილებია ვენაში, ლინცში, შტირიაში, გრაცში, ტრი-ესტსა და ფიუმეში.

[1, გვ. 269—270]

2. ავსტრიის ფინანსური სიძნელეები XVIII საუკუნის შუაწანებში

გრაფ ოტო ფონ პოდევილსის[1] ანგარიშიდან (1746 წ. 13. VII)

მე ვცდილობდი რაც შეიძლება დაწვრილებითი ინფორმაციის მიღე-ბას აქაური კარის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ამ სფეროში საშინელი არეულობა სუფევს. აქ მხო-ლოდ სესხებით ცხოვრობენ; როგორც იტყვიან, აქვთ მხოლოდ საარსე-ბო ლუკმისათვის აუცილებელი თანხა. რამდენიმე თვის წინათ ბანკირ-მა კეილერმა 2 მლნ გულდენი სესხი მისცა (კარს) მისთვის სულადი და ქონებაზე გადასახადის აკრეფის უფლების მინიჭების ხარჯზე.

ჯერ სურდათ მისთვის ბოგემიაში შემოსავლის აკრეფის სრული უფ-ლება მიეცათ, მაგრამ ამაზე მან სასტიკი უარი განაცხადა. გენერალმა პალავიჩინიმ აგრეთვე მისცა კარს მილიონი გულდენი სესხი, სხვა ბევრ-მა კერძო პირმაც გაიღო მნიშვნელოვანი თანხები. სესხულობენ ყველ-გან, სადაც კი შესაძლებელია, რათა აუცილებელი ხარჯები დაფარონ.

საბადოები კრემნიცში ჯერ კიდევ იძლევა საკმარის შემოსავალს; ფიქრობენ, რომ ამ წელს შემოსავალი მნიშვნელოვანი იქნება. მხოლოდ რამდენიმე კვირის წინათ ჰოლანდიამ აქაურ კარს 300 ათ. გულდენი სესხი მისცა. გარდა ამისა, ჯარი ნიდერლანდში ინგლისის ხარჯზე ინა-ხება. ამბობენ, რომ ამ უკანასკნელმა იქ გაგზავნა კომისრები, რომლებ-მაც ფულის გაცემა უნდა აწარმოონ, რადგან ინგლისი ამტკიცებს, რომ აქამდე ფულადი დახმარება გამოყენებული იყო ნაკლებად საჭირო საქ-მეზე, რაც აქაურ კარს, ჩანს, ძალიან არ ესიამოვნა. იტალიურ არმიას ძა-ლიან ცუდად უხდიან; ოფიცრებს უკვე რვა თვის განმავლობაში სრუ-ლიად არ მიუღიათ ფული, ხოლო იმათ, რომლებსაც ქონება გააჩნიათ, ცოტა რამ ასესხეს კიდეც თავიანთი პოლკებისა და ასეულების ჯამაგი-რის გადახდისათვის, რადგან ჯარისკაცები ხელფასს მეტად არარეგულა-

[1] ოტო ქრისტოფ ფონ პოდევილსი (1719—1781) — პრუსიელი დიპლომატი. 1746 წლიდან სახელმწიფო მინისტრი და ელჩი ვენაში 1751 წლის 14 იანვრამდე.

რულად იღებენ. თავადმა ლიხტენშტაინმა სხვადასხვა ადგილას 40-დან 50 ათასამდე გულდენი ისესხა. მილანის საჰერცოგო მთლიანად გაკოტრებულია და წოდებათაგან მოითხოვს იმავე კონტრიბუციებს, რომლებიც მათ გადაიხადეს ჯერ კიდევ საჰერცოგოს პირველ გაძარცვამდე.

ამასთან უმრავლესობა პირებისა, რომელთაც თანამდებობები უკავიათ, იძულებულნი არიან ხუთი წლის განმავლობაში გადაუხდელი ჯამაგირი მოითხოვონ. ფულზე წარმოუდგენელი გაჭირვებაა. მე მომიყვნენ, რომ ერთ ოფიცერს, რომელიც მოითხოვდა კუთვნილი დაგვიანებული ჯამაგირის გადახდას, უპასუხეს: „რომელი თანხებიდან გსურთ, რომ გადაგიხადოთ? საველე ხაზინაში მხოლოდ 36 გულდენია“.

[1, გვ. 271]

გრაფ ცინცენდორფის დღიურიდან იოზეფ II-ის მოქმედების შესახებ

ლუდვიგ ფრიდრიხ ცინცენდორფი (1721 — 1791) — ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწე, 1773 წლიდან შინაგან საქმეთა მინისტრი იყო.

5. XI. 1783 წ. იმპერატორის პირველი მოგზაურობა დაჯდა 25 ათ., მეორე — 20 ათ. გულდენი. იმპერატორის, ერცჰერცოგის, პრინცესა ელისაბედის სუფრა და პარკი ყოველთვიურად 100 ათ. ტალერი ჯდება.

10. VII. 1787 წ. (იოზეფს არ სურს ლანდტაგი უნგრეთში). მის უდიდებულესობას არასოდეს არ სურს მოლაპარაკება თავის ქვეშევრდომებთან, არ სურს მათი შეკრება თავისთან დიდი საქმეების განსახილველად ან მათთან შეთანხმებით მოქმედება.

4. X. 1787 წ. შენდება 20 წყრთის სიგრძის ბარაკი, რომელიც 16-ში მზად უნდა იყოს. ეს მშენებლობა წარმოებს იმიტომ, რომ იმპერატორს წარმოდგენა ჰქონდეს იმ ბარაკებზე, რომელთა აშენებაც სავალდებულოდ მიაჩნიათ, თურქეთთან ომის დროს, ტრიალ მინდორში, ავადმყოფებისა და დაჭრილთათვის. ეს არის — უზარმაზარი შენობა და ხეტყის მოზიდვა ასეთი ბარაკებისათვის ახალ სიძნელეებს ქმნის. უკვე გადაწყდა, რომ გადაზიდვებისათვის ჯარში გაგზავნილ იქნება 26 ათ. ცხენი. რა უაზრობაა! რა ხარჯებია! დატაცების რამდენი შესაძლებლობაა ასეთი ერთგული მმართველობისას!

10. VII. 1787 წ. ქალბატონ ფონ კაუნიცს მიაჩნია, რომ ეს მთავრობა ერისათვის ღმერთის რისხვაა.

26.XI. 1787 წ. ჩვენ 44 ათ. ავადმყოფისა და ბრძოლაში დაღუპულის, მათგან 10 ათ. დაჭრილისა და მოკლულის და 18500 ჰოსპიტლებში მყოფი ავადმყოფის დატირება გვიხდება[1].

---

[1] იგულისხმება ის დანაკლისი, რომელიც ავსტრიის არმიამ განიცადა ავსტრია-თურქეთის 1787—1790 წწ. ომში.

18. IV. 1789 წ. მარშალი ლასი ამბობს, რომ (იმპერატორის) მთელი ეს სულიერი დაბნეულობა აიხსნება მოწყენილობით, მოწყენილობა კი იმით, რომ ის სინამდვილეში არაფრით არ არის დაკავებული და საფუძვლიანად გართული, რომ ის დღეს ივიწყებს იმას, რაც გუშინ ბრძანა, რომ მისი მტკიცებანი არაფრად ღირს და რომ მას სრულიად უსაფუძვლოდ სურდა გმირის როლი ეთამაშა.

[1, გვ. 272]

III. ავსტრიის პოლიტიკური და სამხედრო ფყობა XVIII საუკუნეში

1. კანონები და ავსტრიის მიწების მართვის ადმინისტრაციული ორგანოები

ვინაიდან ყველა ქვეყნის მართვა იმ ქვეყნებთან ერთად, რომლებსაც ავსტრიის სახლი გერმანიის გარეთ ფლობს, გაერთიანებულია ავსტრიის სახლის მმართველის სახით, ამიტომ ვენის კართან შექმნილია კიდევ რამდენიმე განსაკუთრებული უმაღლესი საერობო კოლეგია (Landes Collegien). ამ უმაღლეს ინსტანციებში წყდება ცალკეული სამემკვიდრეო მიწების უმნიშვნელოვანესი საქმეები, აგრეთვე იუსტიციისა და სახელმწიფო შემოსავლის მმართველობის საკითხები. ამ დაწესებულებათაგან ვენაში დღემდე არსებობს უნგრეთის, ტრანსილვანიის, იტალიის, ნიდერლანდის კანცელარიები და ახლანდელი იმპერატორის პირად გამგებლობაში მყოფი ტოსკანის კანცელარია. თითოეული მათგანი შედგება კანცლერის ან პრეზიდენტისაგან და სასახლის სხვადასხვა მრჩევლისაგან, რომელთაც უნგრეთის, ტრანსილვანიისა და სხვ. კარის მრჩევლები ეწოდებათ...

§ 105. გარდა ამ, უკვე ამჟამად არსებული კანცელარიებისა, არსებობს აგრეთვე ბოჰემიის სამეფო კარის კანცელარია. გარდა ამისა, შესაბამისი დარგების მმართველობისათვის კართან დაფუძნებული იყო: საიდუმლო საბჭო (Geheime Conferenz). ფინანსთა სამინისტრო (Hofkammer) და უმაღლესი სამხედრო სამმართველო, აგრეთვე რამდენიმე განსაკუთრებული კოლეგია, სამეფო კარის ფინანსების მინისტრთა კომისია (Hof-Ministerial Banco Deputetion) და ა. შ.

§ 108. ვაჭრობის მართვისათვის დაფუძნებულია აგრეთვე განსაკუთრებული კომერციული სამმართველო. გამოიცა განსაკუთრებული განკარგულება, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს 1750 წლის 1 იანვრიდან; გარდა ამისა დაწესდა ყოველწლიური დიდი ბაზრობები ვენაში, პრაღაში, ბრნოში, ტროპაუში, გრაცსა და ლინცში. აგრეთვე სასაზღვრო და საბაჟო უწყება. გარდა ამისა, მიღებულია სხვა ღონისძიებანი ვაჭრობის გასაუმჯობესებლად.

აქამდე არსებული სავაჭრო სასამართლო უქმდება, მაგრამ თამასუ-ქების შესახებ გამოქვეყნებული წესდების დაურღვევლად და ექვემდე-ბარება მთავრობას in institialibus.

[1, გვ. 272—273]

ჲ. ავსტრიის არმიის ორგანიზაცია

ავსტრიის არმია 1749 წლის ახალი დებულების თანახმად შემდეგ საფუძველს ემყარება:

I. დადგინდა პოლკის შემდეგი რიცხობრივი შემადგენლობა: ქვეითი პოლკი უნდა შედგებოდეს 2408 კაცისაგან, კირასირთა და დრაგუნთა პოლკები — 812 კაცისაგან, ჰუსართა პოლკი — 610 კაცისაგან.

II. 1749 წლიდან დადგინდა პოლკების შემდეგი რაოდენობა: 53 ქვეითი, 18 კირასირის, 13 დრაგუნთა და 10 ჰუსართა პოლკი. 1755 წ. გამოქვეყნებული გეგმის თანახმად დადგინდა 55 ქვეითი, 18 კირასირის, 12 დრაგუნთა, 10 ჰუსართა, 4 კარლშტადტის და ვარაჯინის, 3 სლავონის ქვეითი, 1 სლავონის ჰუსართა, 3 ბანატისა და ხორვატიის პოლკი — სულ 106 პოლკი, კარლშტადტელთა 8 ასეული, ვარაჯინის ჰუსართა 4 ასეული.

III. 1755 წ. გამოქვეყნებული გეგმის თანახმად ყველა მემკვიდრეობით მიწაზე პოლკები შემდეგნაირად იყო დაბანაკებული: ნიდერლანდში იდგა 10 ქვეითი, 1 კირასირის, 1 დრაგუნთა; უნგრეთში — 10 ქვეითი, 12 კირასირის, 5 დრაგუნთა, 7 ჰუსართა; ბოჰემიაში — 11 ქვეითი, 2 კირასირის, 2 დრაგუნთა; მორავიაში — 7 ქვეითი, 1 კირასირის, 1 დრაგუნთა; ტრანსილვანიაში — 3 ქვეითი, 1 კირასირის, 1 დრაგუნთა, 2 ჰუსართა; სლავონიაში — 2 ქვეითი, 1 დრაგუნთა; შტირიაში — 2 ქვეითი; კრაინაში — 2 ქვეითი; ზემო ავსტრიაში — 2 ქვეითი; ტიმიშოარის ბანატში — 1 ქვეითი, 1 კირასირის; ტიროლში — 1 ქვეითი; კარინთიაში — 1 ქვეითი; სილეზიაში — 1 ქვეითი; ვენაში — 1 ქვეითი.

IV. ამ შეიარაღებული ძალების შესანახად საჭიროა 14,629,680 ფლორინი, მხოლოდ იტალიისა და ნიდერლანდის გამოკლებით ყველა მემკვიდრეობითი მიწის წოდებრივი ჩინები დათანხმდნენ ყოველწლიურად 16,387,863 ფლ(ორინის) 55 კრ(ონის) 2 პფ(ენინგის) შეტანაზე.

V. სამხედრო კომისარიატის ახლებურად ორგანიზება და სამხედრო ხაზინის დავალიანების მოწესრიგება.

VI. ახალი მითითებები სამხედრო ფორმასთან, სამხედრო სწავლებასთან, დისციპლინასთან, დეზერტირობასთან და ა. შ. დაკავშირებით.

VII. ზოგიერთი ციხე-სიმაგრის, განსაკუთრებით ოლომოუცის და სხვათა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება.

VIII. 1750 წლის 28 მარტის ახალი დადგენილება ინვალიდების შე-

სახებ, რომელთა რიცხვი 1754 წლის მონაცემებით შეადგენდა 14000 კაცს.

IX. კვლავ შეიქმნა საერობო მილიცია 24,000 კაცის რაოდენობით, რომელთაგან ბოჰემია იძლევა 9000 კაცს 1753 წლის სექტემბრის მანიფესტის თანახმად.

X. ვენაში უმაღლესი სამმართველოს ახალი წყობა იუსტიციასთან დაკავშირებული საკითხების გამოყოფის გზით.

[1, გვ. 273—274]

3. რეკრუტთა შეკრება და ავსტრიის მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა

გრაფ ოტო კრისტოფ ფონ პოდევილსის ანგარიშიდან (1747 წ. 28. X)

აქ განსაკუთრებული გულმოდგინებით ეწევიან რეკრუტთა შეგროვებას. დედოფალმა ყველა გენერალს გაუგზავნა ბრძანება იმის შესახებ, რათა მათ შეავსონ თავიანთი პოლკები მაისის ბოლომდე ან მოემზადონ იმისათვის, რომ პოლკები ხელახლა იქნეს ჩამოყალიბებული. ვინაიდან ქვემოავსტრიის წოდებანი იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რომელიც მათთვის არის დადგენილი, ვერ შეძლებენ რეკრუტთა იმ რაოდენობის წარმოდგენას, რომელიც ივალდებულეს, ისინი დათანხმდნენ ყოველი რეკრუტისათვის 65 გულდენის გადახდაზე. გარდა რეკრუტებისა და გამოსასყიდი ფულადი შენატანისა მათ უნდა გადაიხადონ 300 ათ. გულდენი ე. წ. დასაქირავებელი თანხიდან. გავიდა მხოლოდ რამდენიმე თვე მას შემდეგ, რაც მათ კარს წინასწარ გადაუხადეს კიდევ 60 ათ. გულდენი, რათა უზრუნველყოფილიყო ჯარების მომარაგება იტალიაში; მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს იმას, რომ ეს თანხა ჩაეთვალათ იმ კონტრიბუციების ანგარიშში, რომელსაც მათგან დედოფალი მოითხოვს. ასე რომ, მიმდინარე წელს მათ 2540 ათ. გულდენი უნდა გადაიხადონ. ამის გამო ისინი დიდად უკმაყოფილონი არიან და ამას აშკარად გამოთქვანენ. მაგრამ ისინი საბოლოოდ შეაშფოთა იმ მრავალრიცხოვანმა გეგმებმა, რომლებსაც ახლა ახორციელებენ და რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ გამოსწუროს მათ იმდენი, რამდენიც შესაძლებელია. პირველი გეგმაა — ძველი კადასტრების[1] მოძებნა, რათა გამორკვეულ იქნეს, თუ რამდენს იხდიდნენ წოდებები გადასახადს წინათ და აღდგენილ იქნეს ის გადასახადები, რომელთაგან ისინი წინათ განთავისუფლებულნი იყვნენ.

მეორე მხრივ, დედოფალმა ბრძანა შეემოწმებინათ, თუ რაზე იყო

[1] კადასტრები — აღწერილობები.

დახარჯული ის ფული, რომელიც წოდებებმა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში შეიტანეს და მოეთხოვათ ანგარიში მათგან, ვინც ამ ფულის ხარჯვას ხელმძღვანელობდა. მესამე გეგმა ითვალისწინებს იმას, რომ გაუქმებულ იქნეს წოდებებისათვის გათვალისწინებული გარკვეული შემოსავლიანი თანამდებობანი, რომელთა ფლობისათვისაც ისინი ფულს იხდიდნენ. დედოფალმა გადაწყვიტა ეს შემოსავალი თავის სასარგებლოდ აეკრიფა და ამ თანამდებობებზე დაენიშნა ის ადამიანები, რომელთა შენახვა ნაკლები დაჯდებოდა. გრაფმა ჰაუგვიცმა მიიღო დავალება განეხორციელებინა ეს გეგმები მორავიასა და ბოჰემიაში. აგრეთვე, მანვე უნდა სცადოს ფინანსების გადახალისება თქვენი უდიდებულესობის მითითებისამებრ. ფიქრობენ, რომ ის სავსებით გათვითცნობიერებულია ამ საკითხში.

ამ სხვადასხვა დადგენილებებს, მიმართულს იმისაკენ, რომ კიდევ უფრო დაიჩაგროს ხალხი, ის შედეგი ექნება, რომ მრავალი ადამიანი, რომლებიც წლების განმავლობაში მსახურობდნენ, დაკარგავენ თავიანთ ადგილებს. ამიტომ ეს დადგენილებები აშკარა აღშფოთებას იწვევს; სამეფო კარით და დედოფლით უკმაყოფილება თითქმის საყოველთაო ხასიათს ატარებს. ბევრი მინისტრი, და კერძოდ გრაფი ჰარასი, დიდად ეწინააღმდეგებოდნენ ამ გეგმებს. მე მომტყიცებდნენ კიდეც, რომ წარსულ ზაფხულს, როცა ეს გეგმები იქნა წამოყენებული, ეს უკანასკნელი (გრაფი ჰარასი) რამდენიმე თვით სოფელში გაემგზავრა, რათა არ მიეღო მონაწილეობა მათ აღსრულებაში. ბოლოს და ბოლოს მან განაცხადა წოდებათა კრების წინაშე, რომ ისინი ვინც ჩაუნერგა იმპერატორს მსგავსი იდეები, მოიქცნენ ისე, თითქოს არ არსებობდეს არც ღმერთი, არც სამართალი...

[1, გვ. 274—276]

4. მშრომელი მასების მდგომარეობა და მთავრობის მოქმედებით გამოწვეული მოსახლეობის უკმაყოფილება

მშრომელთა მდგომარეობა ვენის მარილის საწარმოებში. სამარილო უწყების მოხელის ცნობა კარის კანცელარიისადმი (1698 წ. 10. IV)

ვენის მარილის უწყების სხვადასხვა ცნობიდან საკმაოდ ნათელი გახდა, თუ რა მდგომარეობაში არიან მუშები და მოსამსახურეები (ზემონახსენებ) საიმპერატორო ზალცკამერგუტში. უკვე დიდი ხანია არსებული სიძვირისა და მუდმივად დაბალი კვირეული ხელფასის პირობებში ისინი ისეთი ღარიბნი და დაჩაგრულნი არიან, რომ სიღატაკისა და სულიერი დაცემის გამო შეიძლება ადვილად იქნენ წაქეზებულნი საშიში აჯანყებისაკენ, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა 1689 წ...

და მე, მარილის უწყების მოხელემ, შევძელი ამ აჯანყების დაწყნარება და მისთვის ბოლოს მოღება მხოლოდ უწყების სახელით და მის მიერ მიცემული საზეიმო დაპირებებით იმის შესახებ, რომ იგი (მარილის უწყება) გამოექომაგება მათ და გააკეთებს ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, რათა მიაღწიოს მათთვის პატიებას და გააუქმებს მძიმე გადასახადებს, რომლებსაც შემდგომში კვლავ აღარ შემოიღებენ. თუკი ახლა... ზალცკამერგუტში, უმაღლესი გადაწყვეტილების თანახმად, ისევ აიწევს ფასები გირვანქა ხორცზე თითო კრეიცერით, როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში, რის შესახებაც თქვენმა უდიდებულესობამ მოწყალედ კეთილინება ჩემთვის, მარილის უწყების წარმომადგენლისათვის აპრილის 2-ში დამატებით შეგეტყობინებინათ სპეციალური ბრძანებით და მასთან დართული პატენტით და ვინაიდან თქვენ მოწყალედ ბრძანებთ და მანდობთ მე გამოვთქვა ჩემი უმორჩილესი შეხედულება. ამას შედეგად უეჭველად მოყვება უკიდურესი სასოწარკვეთილება, როგორც დაბალხელფასიან საიმპერატორო მოხელეებს, მოსამსახურე პერსონალს შორის, ისე უმთავრესად კამერგუტის მრავალათასიან ღარიბ მუშებს შორის...

შემდეგ მხედველობაში მისაღებია ის, რომ მისი საიმპერატორო და სამეფო უდიდებულესობა საკმაოდ მნიშვნელოვანი დანაკარგების წინაშე აღმოჩნდება, რადგან საკვების უკმარობის გამო დასუსტებული მუშები, რომლებსაც მაღაროებსა და მიწის ზედაპირზე უაღრესად მძიმე სამუშაო ეკისრებათ, არ ისურვებენ მის შესრულებას. თავისუფლებას მიჩვეული კამერგუტის მცხოვრებლების ზნე-ჩვეულებები ხომ ყველასათვის კარგად არის ცნობილი და ამ ყოველდღიური სამუშაოსათვის საჭირო ხალხს ვერაფერს ვერ მოუხერხებ და მათგან ვერაფერს ვერ მიაღწევ, თუ მას კარგად არ მოექცევი. ამიტომ, საღად თუ განვსჯით, მისი საიმპერატორო უდიდებულესობა სამუშაოს ერთი კვირის გაცდენით უფრო იზარალებს, ვიდრე იმ მოგებით, რაც შესაძლოა მივიღოთ მრავალი წლის განმავლობაში ხორცზე ფასების მომატებით.

[1, გვ. 276—277]

გრაფ ოტო კრისტოფ ფონ პოდევილსის ანგარიშიდან (1747 წ. 2. XII)

უკმაყოფილებამ მოიცვა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა; ვრცელდება მრავალი პასკვილი მთავრობის, უმთავრესად კი, კომისიის წინააღმდეგ, რომელიც შექმნილია საზოგადოების ზნე-ჩვეულებების სიწმინდის დაცვისათვის. ამ ფურცლებში თვით იმპერატორიც კი არ დაინდეს.

[1, გვ. 277]

შტირიის წოდებრივი მოხელეების თხოვნა ლეოპოლდ II-ისადმი (1790 წ. 27. II)

თქვენო უდიდებულესობავ! უღრმესი პატივისცემით ჩვენ, შტირიის საჰერცოგოს წოდებრივი მოხელეები, მივმართავთ თქვენს წმინდა პიროვნებას და უქვეშევრდომულესად გთხოვთ მოგვისმინოთ.

ჩვენი მდგომარეობა ისეთი სავალალოა, როგორიც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს; ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ხდება ქვეყანაში, რომელიც მტრის უღელქვეშ არ იმყოფება.

ჩვენი კონსტიტუცია შებღალულია; ჩვენი ქონება დაკარგულია; ჩვენს სამფლობელოებს უკვე არავითარი ფასი აღარა აქვთ; მამულების დაგირავებით მიღებული თანხები დახარჯულია; კრედიტი დაეცა; მემამულისა და ქვეშევრდომის დამაკავშირებელი რგოლები დარღვეულია, კავშირი უნდობლობამ შეცვალა; ყველა სასოწარკვეთილებამ მოიცვა, გავა კიდევ ცოტაოდენი ხანი და ჩვენი საყვარელი სამშობლო დაიღუპება!

ასეთია სავალალო მდგომარეობა, მოწყალეო ხელმწიფევ, რომელშიც ჩვენ ჩაგვაგდო ახალი საგადასახადო სისტემის შემოღების შესახებ გამოცემულმა საბედისწერო ბრძანებულებამ...

[1, გვ. 277]

თავი მეშვიდე

ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და აშშ შექმნა

1. მარქსიზმის კლასიკოსები ჩრდ. ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აშშ-ს შექმნის შესახებ

ფ. ენგელსი ამერიკის კოლონიების ბურჟუაზიული განვითარების შესახებ

...შეერთებული შტატები იმთავითვე თანამედროვე ბურჟუაზიული იყო; ...შეერთებული შტატები დაარსებულია წვრილი ბურჟუებისა და გლეხების მიერ, რომლებიც ევროპის ფეოდალიზმს გაექცნენ, რათა წმინდა ბურჟუაზიული საზოგადოება შეექმნათ.

ფრ. ენგელსი — ნ. ფ. დანიელსონს, ლონდონი, 17. X. 1893 წ.
კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩ. ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1950. გვ. 609.

„ამერიკის უფრო ხელსაყრელ ნიადაგზე, სადაც არ არის არავითარი დამაბრკოლებელი შუასაუკუნეობრივი ნანგრევები... ისტორია იწყება თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების იმ ელემენტებით, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩამოყალიბდნენ...“

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ინგლისის შესახებ. თბ., 1959, გვ. 8—9.

„ამერიკა, ბოლოს და ბოლოს, ხომ იდეალი იყო ყველა ბურჟუასათვის: მდიდარი, ვრცელი, განვითარებადი ქვეყანა, რომელსაც წმინდა ბურჟუაზიული დაწესებულებები ჰქონდა და არ გააჩნდა ფეოდალური ზნე-ჩვეულებები და მონარქიული ტრადიციები, არ ჰყავდა მუდმივი მემკვიდრე პროლეტარიატი“.

Ф. Энгельс. — П. Келли — Вишневецкой. 3. VI. 1886 г.
К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XXVII, стр. 564.

კ. მარქსი ამერიკის კოლონიებში მონობის ხასიათის შესახებ

„მეორე ტიპის კოლონიებში — პლანტაციებში, — რომელთა დანიშნულებას იმთავითვე ვაჭრობა, მსოფლიო ბაზრისათვის წარმოება შეადგენს, — არსებობს კაპიტალისტური წარმოება, თუმცა ფორმალურად მხოლოდ, რადგან ზანგთა მონობა გამორიცხავს დაქირავებულ შრომას, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების თვით საფუძველს. მაგრამ, აქ ჩვენს თვალწინ არიან კაპიტალისტები, რომლებიც თავიანთ მეურნეობას ზანგთა მონური შრომის საფუძველზე წარმართავენ. მათ მიერ შემოღებული წარმოების წესი მონობიდან კი არ წარმოშობილა, არამედ დამყნილია მასზე. ამ შემთხვევაში კაპიტალისტი და მიწის მესაკუთრე — ერთი პირია“.

იხ. კ. მ ა რ ქ ს ი. „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ („კაპიტალის“ მეოთხე ტომი). ნაწ. II. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1968, გვ. 398.

კ. მარქსი ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომის შესახებ

„...ამერიკის ომი დამოუკიდებლობისათვის XVIII საუკუნეში გაისმა, როგორც საბრძოლო ნაღარა ევროპის ბურჟუაზიისათვის“...

К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 23. стр. 9.

უახლესი, ცივილიზებული ამერიკის ისტორია იწყება ერთ-ერთი დიადი, მართლაც განმათავისუფლებელი, მართლაც რევოლუციური ომით, როგორიც ესოდენ ცოტაა უამრავ მძარცველურ ომებს შორის, რომლებიც. ახლანდელი იმპერიალისტური ომის მსგავსად, გამოწვეული იყო მეფეების, მემამულეების, კაპიტალისტების ჩხუბით დაპყრობილი მიწების ან ნაძარცვი მოგების გაყოფისათვის. ეს იყო ამერიკელი ხალხის ომი ინგლისელი ავაზაკების წინააღმდეგ, რომლებიც ჩაგრავდნენ და კოლონიურ მონობაში ამყოფებდნენ ამერიკას, როგორც ეს „ცივილიზებული“ სისხლისმსმელები ახლაც ჩაგრავენ და კოლონიურ მონობაში ამყოფებენ ასეულ მილიონობით ადამიანს ინდოეთში, ეგვიპტეში და მსოფლიოს ყველა კუთხეში...

ამერიკელმა ხალხმა კი დიდი ხანია გამოიყენა, რევოლუციის სასარგებლოდ გამოიყენა, ეს ტაქტიკა. როდესაც იგი აწარმოებდა თავის დიად განმათავისუფლებელ ომს მჩაგვრელი ინგლისელების წინააღმდეგ, ამერიკელი ხალხის წინააღმდეგ იდგნენ აგრეთვე მჩაგვრელი ფრანგები და ესპანელები, რომლებსაც ეკუთვნოდა ახლანდელი ჩრდილოეთ ამერი-

კის შეერთებული შტატების ნაწილი. თავის მძიმე ომში განთავისუფლებისათვის ამერიკელი ხალხი დებდა აგრეთვე „შეთანხმებებს“ ერთ მჩაგვრელებთან მეორეთა წინააღმდეგ, მჩაგვრელთა დასასუსტებლად და იმათ გასაძლიერებლად, ვინც რევოლუციურად იბრძოდა ჩაგვრის წინააღმდეგ, ჩაგრულთა მასის სასარგებლოდ. ამერიკელმა ხალხმა გამოიყენა ფრანგებსა, ესპანელებსა და ინგლისელებს შორის არსებული შუღლი, იგი ზოგჯერ იბრძოდა მჩაგვრელი ფრანგებისა და ესპანელების ჯარებთან ერთადაც კი მჩაგვრელი ინგლისელების წინააღმდეგ, მან დაამარცხა ჯერ ინგლისელები, შემდეგ კი იგი განთავისუფლდა (ნაწილობრივ გამოსყიდვის გზით) ფრანგებისგანაც და ესპანელებისგანაც.

ვ. ი. ლენინი. წერილი ამერიკელ მუშებს.
თხზ., ტ. 28, გვ. 55—56, 63.

2. ბრიტანეთის პოლიტიკა კოლონიებში და დამოუკიდებლობისათვის ომის მიზეზები

ინგლისის პარლამენტის 1750 წლის 12 აპრილის აქტი რკინის წარმოებისა და მისი ამერიკის კოლონიებში გატანის შესახებ

მისმა უდიდებულესობამ, ამჟამინდელ პარლამენტში მსხდომ სასულიერო, საერო ლორდებისა და თემების წარმომადგენელთა რჩევითა და თანხმობით და მათივე ნებით მხედველობაში მიიღო: რომ მისი უდიდებულესობის ამერიკული კოლონიებიდან ლონდონის ნავსადგურში ზოლოვანი რკინის ან აღნიშნული კოლონიებიდან რკინის ზოდების დიდ ბრიტანეთის სხვა რომელიმე ნავსადგურებში შეტანა, ხოლო შემდეგ ზოლოვანი რკინისა და რკინის ზოდების დიდ ბრიტანეთში გადამუშავება დიდ სარგებლობას მოუტანს არა მხოლოდ აღნიშნულ კოლონიებს, არამედ ჩვენს სამეფოს, რადგანაც რკინის მანუფაქტურათა მფლობელები მომარაგებულნი იქნებიან ამ სასარგებლო და აუცილებელი საქონლით, რის შედეგადაც ჩვენი სამეფოსათვის დაზოგილი იქნება დიდი თანხა, რომელსაც აქამდე უხდიდნენ რკინისათვის უცხოელებს, რომ დიდი ბრიტანეთის შალისა და სხვა მანუფაქტურათა ნაწარმი ექსპორტირებული იქნება დიდი რაოდენობით ამერიკაში იქიდან შემოტანილი რკინის სანაცვლოდ და გადაწყვეტა:

1750 წლის 24 ივნისიდან აღნიშნულ კოლონიებში დამზადებული და ლონდონის პორტში შემოზიდული რკინის ზოდები თავისუფლდებიან ყოველგვარი სუფსიდიების, ბაჟების, გადასახადებისა და დაბეგვრისაგან... მისი უდიდებულესობის ამერიკულ კოლონიებში დამზადებული ზოლოვანი რკინა და რკინის ზოდები შეუფერხებლად დამუშავდება

ჩვენს სამეფოში... აგრეთვე დადგენილია, რომ 1750 წლის 24 ივნისის შემდეგ მისი უდიდებულესობის ამერიკულ კოლონიებში ვერ აშენდება ვერც ერთი რკინის საჭრელი საგლინავი ქარხანა და მანქანა ან გრდემლი, ან ფოლადის სადნობი ღუმელი. თუკი ვინმე რომელიმე კოლონიაში ააშენებს ან უბრძანებს ააშენოს ასეთი ქარხანა, მანქანა, გრდემლი ან ღუმელი ან ხელს შეუწყობს უკვე ადრე აშენებულთა შემდგომ მუშაობას, ასეთი პიროვნება ან პიროვნებები ჩაითვლებიან კანონის დამრღვევებად. ყოველი ასეთი ქარხნისთვის, მანქანისათვის, გრდემლისათვის ან ღუმელისათვის ისინი გადაიხდიან თანხას — ინგლისურ კანონიერ ფულს 200 გირვანქის(სტერლინგი) რაოდენობით.

[1, გვ. 406—407]

მეფე ჯორჯ III პროკლამაცია ალეგანის მთებს მიღმა მიწების დასახლების აკრძალვის შესახებ (7. X. 1763)

ახლახან დამტკიცებული ა. წ. 10 თებერვლის პარიზის საბოლოო ხელშეკრულების[1] საფუძველზე, ჩვენი ტახტისთვის ამერიკაში დამკვიდრებული ვრცელი და მდიდარი მონაპოვრის ჩვენს უმაღლეს მზრუნველობის ქვეშ მიღების შემდეგ, სურვილი გვაქვს, რომ როგორც ჩვენს სამეფოებში, ისე ჩვენს ამერიკულ ახალშენებში მცხოვრებმა ერთგულმა ქვეშევრდომებმა, რაც შეიძლება ჩქარა ისარგებლონ აქედან გამომდინარე ყველა უპირატესობისა და ხეირით ვაჭრობის, მანუფაქტურისა და ნაოსნობის საქმეში. ამიტომ ჩვენი საიდუმლო საბჭოს რეკომენდაციით საჭიროდ ჩავთვალეთ გამოგვეცა სამეფო პროკლამაცია... ზემოთ მოხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენზე გადმოცემული და დამკვიდრებული მიწებისა და კუნძულების ფარგლებში, ოთხი ცალკე სამფლობელოს — კვებეკის, აღმოსავლეთ ფლორიდის, დასავლეთ ფლორიდის და გრენადის შექმნის შესახებ.

...ვაცხადებთ ჩვენს უზენაეს ბრძანებასა და ნებას რათა რომელიმე ჩვენი კოლონიის — კვებეკის, აღმოსავლეთ ფლორიდისა ან დასავლეთ ფლორიდის არც გუბერნატორმა და არც მთავარსარდალმა არავითარი საბაბით არ მისცენ ნებართვა მიწების გამოკვლევისა, აგრეთვე რაიმე უფლებები მიწებზე, რომლებიც მათი თანამდებობაზე დანიშვნის სიგელებში აღნიშნულ სამმართველო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარეობენ. ამერიკაში ჩვენი რომელიმე კოლონიის ან პლანტაციის არც გუბერნატორმა და არც მთავარსარდალმა, არც ახლა და არც მომავალში ჩვენს უზენაეს ბრძანებამდე არ მისცენ ნებართვა უფლებების მოპოვებისა და გამოკვლევისა იმ მიწებზე, რომლებიც მდებარეობენ

[1] პარიზის ხელშეკრულება, რომლითაც დასრულდა შვიდწლიანი ომი.

ატლანტში დასავლეთიდან ან ჩრდილო-დასავლეთთან შენაკად მდინარეთა სათავეების მიღმა, ან კიდევ იმ მიწებზე, რომელიც ჩვენ არც გამგებლობაში არ გადმოგვეცა და არც შეგვიძენია, ისე როგორც ეს ზემოთ იყო თქმული, რომელიც ჯერ კიდევ ინდიელი ტომების ან რომელიმე მათგანის მიერ არის რეზერვირებული.

გარდა ამისა, ჩვენი უზენაესი ბრძანებაა შევინარჩუნოთ ჩვენი სუვერენიტეტის, მფლობელობისა და მფარველობის ქვეშ ზემოხსენებული ინდიელების მიერ გამოყენებული ყველა მიწა და ტერიტორია, რომელიც არ შედის ჩვენი ახალი სამი სამფლობელოს ფარგლებში ან კიდევ იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც ეკუთვნის ჰუძონის უბის კომპანიას, აგრეთვე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ყველა ის მიწა და ტერიტორია, რომელიც მდებარეობს დასავლეთიდან და ჩრდილო დასავლეთიდან ზღვაში შემდინარე მდინარეების სათავეთა დასავლეთით. ჩვენ მკაცრად ვუკრძალავთ ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომებს... ჩვენი განსაკუთრებული ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე ზემოხსენებულ სამფლობელოებში მიწების შესყიდვას, მათზე დასახლებას ან მფლობელობაში მიღებას.

ჩვენ მკაცრად მოვითხოვთ, რათა ყველამ, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ დასახლდა აღნიშნულ სამფლობელოთა ფარგლებში ან სხვა რომელიმე მიწაზე, რომელიც ჩვენ არც გვეკუთვნის და არც შეგვიძენია და რომელიც წინანდებურად ზემოხსენებულ ინდიელებზეა რეზერვირებული, დაუყოვნებლივ დატოვონ იგი.

[1, გვ. 407—409]

ოკოზიციის ზრდა. რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა

კავშირურთიერთობის ბოსტონის კომიტეტის შექმნა (2. XI. 1772)

დადასტურებულ იქნა ვითარცა აღნიშნული ქალაქის მცხოვრებთა საერთო აზრი, რომ მათ ჰქონდათ და უნდა ჰქონდეთ უფლება მიმართონ მეფეს ან მის წარმომადგენლებს თხოვნით, აღმოფხვრან საბაბი იმ საჩივრებისა, რომელიც მათ შესაძლოა ჰქონდეთ და თავიდან აიცილონ საბაბი ახალი საჩივრებისა; მათ აქვთ საფუძველი ეშინოდეთ მათი აღმოცენებისა. მათვე სურთ ქონდეთ უფლება თავიანთი აზრი აცნობონ სხვა ქალაქებსაც.

შემდეგ მისტერ სამუელ ადამსმა წამოაყენა წინადადება: კოლონისტთა, კერძოდ მოცემული პროვინციის კოლონისტთა, როგორც ადამიანთა, ქრისტიანთა და ქვეშევრდომთა უფლებების კონსტანტირების მიზნით, დაეფუძნებიათ კავშირურთიერთობის კომიტეტი 21 წევრის შემადგენლობით. ყოველივე ეს უნდა გამოქვეყნდეს და ცნობი-

ლი გახდეს მოცემული პროვინციის სხვა ქალაქებისათვის, მთელი მსოფლიოსათვის, როგორც აღნიშნული ქალაქის (ბოსტონის) აზრი, ყველა იმ დარღვევებისა და ძალმომრეობის აღნიშვნით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ან შესაძლოა მომავალში დროდადრო განმეორდება. ამასთანავე თხოვენ ყველა ქალაქს გულახდილად გამოთქვას თავისი შეხედულებანი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ასეთი ფორმით დასმული საკითხი მიღებულ იქნა ერთხმად.

[1, გვ. 409]

ვირჯინიისეული რეზოლუციები კავშირურთიერთობათა კომიტეტის დაფუძნების თაობაზე (12 მარტი, 1777 წ.)

მხედველობაში იქნა მიღებული ის, რომ აღნიშნული კოლონიის მცხოვრები, მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომები დიდად არიან შეშფოთებულნი სხვადასხვა ხმებითა და ცნობებით, რომელთა თანახმად ხორციელდება ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ მოუსპონ მათ (კოლონისტებს) ძველთაძველი კანონიერი და კონსტიტუციური უფლებები. მხედველობაში იქნა მიღებული აგრეთვე ისიც, რომ აღნიშნული კოლონიის საქმეები მუდამ დაკავშირებულია დიდი ბრიტანეთისა და მეზობელი კოლონიების საქმეებთან, რაც აუცილებელს ხდის მათ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ამიტომ იმისათვის, რომ ხალხის შეგნებაში აღმოიფხვრას შიში და ზემოაღნიშნულ სხვა სასარგებლო მოსაზრებათა გამო, გადაწყდა კავშირურთიერთობათა დასამყარებლად და შექმნილ ვითარებათა გამოსარკვევად შეიქმნას მუდმივი კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით. ამათგან ნებისმიერ 6 კაცს შეუძლია წარმოადგინოს მთლიანად კომიტეტი, რომლის უპირველესი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს ცნობები ინგლისის პარლამენტის ან მთავრობის ყველა იმ აქტისა და ღონისძიების შესახებ, რომელიც ეხება ინგლისურ კოლონიებს ამერიკაში; განახორციელოს და შეინარჩუნოს კავშირი და მიწერ-მოწერა მეზობელ კოლონიებთან უმთავრესი საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის მიზნით, დროდადრო პალატას უნდა მოხსენდეს ასეთი საქმიანობის შედეგები.

დადგინდა, დაევალოს ზემოაღნიშნულ კომიტეტს გადაუდებლად გაეცნოს კერძოდ იმ პრინციპებსა და რწმუნებებს, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგამომძიებლო კომისია, რომელმაც ამას წინათ ჩაატარა გამოძიება როდ-აილენდში. იგი (საგამომძიებლო კომისია) უფლებამოსილია გადაგზავნოს ზღვის გადაღმა სხვადასხვა პუნქტებში, სამართალში მისაცემად, ის პირები, რომელნიც ბრალდებულნი არიან ამერიკაში ჩადენილი დანაშაულებებისათვის.

ზემოხსენებული რეზოლუცია ხელმეორედ წაკითხვისას ცალ-ცალკე განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა სათითაოდ პალატის მიერ. წინააღმდეგი არავინ წასულა.

დადგინდა, რომ აღნიშნული პალატის სკიპერი გადაუგზავნის ამ კონტინენტზე მდებარე ინგლისის სხვადასხვა კოლონიების სკიპერებს ზემოხსენებული რეზოლუციების ასლებს და გამოთქვამს სურვილს, რომ მათ ეს რეზოლუციები განიხილონ თავიანთ სხდომებზე, იგი აგრეთვე სთხოვს მათ, რომ თავიანთი კრების წევრთაგან გამოყონ პირები ან პიროვნებები, რომლებიც დროდადრო დაუკავშირდებიან ზემოხსენებულ კომიტეტს.

[1, გვ. 409—410]

საგაზეთო ანგარიში „ბოსტონის ჩაის სმის" შესახებ

16 დეკემბერი, 1773 წელი

ანგარიში „ბოსტონის ჩაის სმის" შესახებ მოთავსებული იყო ამერიკულ გაზეთებში. ამ ამბის მოკლე აღწერა ამოღებულია „მასაჩუზეთს გაზეთ ენდ ბოსტონ უიკლი ნიუს-ლეთერ"-ის 1773 წლის 23 დეკემბრის ნომრიდან.

სხდომა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ასამბლეის შენობის კარს მოადგა ინდიელთა ტანსაცმელში გამოწყობილი მამაცი და გაბედული ადამიანების ჯგუფი, საბრძოლო შეძახილებით, რომელიც მთელს შენობაში გაისმოდა. ამ შეძახილს გამოეხმაურა ქანდარაზე მსხდომი რამდენიმე პირი, მაგრამ მათ წესრიგისაკენ მოუწოდეს და წესრიგი კვლავ აღდგა, იგი არ დარღვეულა სხდომის დამთავრებამდე. „ინდიელები", როგორც მაშინ მათ უწოდეს, გაემართნენ ნავსადგურისაკენ, სადაც იდგნენ ჩაით დატვირთული გემები. მათ თან გაჰყვა ასობით ადამიანი, მათ აინტერესებდათ ენახათ, რას მოიმოქმედებდნენ ეს გროტესკული შესახედაობის ადამიანები. „ინდიელები" უპირველეს ყოვლისა გაემართნენ კაპიტან ჰოლის ხომალდისაკენ, ამოზიდეს ტრიუმიდან ჩაით სავსე ყუთები, გამოიტანეს ისინი გემბანზე, თავს ახადეს და ზღვაში გადაუძახეს. შემდეგ მათ გადაინაცვლეს კაპიტან ბრუსის ხომალდზე, შემდეგ კი — კაპიტან კოფინის ბრიგზე. ისინი ისე მკვირცხლად მოქმედებდნენ, რომ სულ რაღაც სამ საათში გახსნეს და წყალში გადაყარეს გემებზე არსებული ყველა 342 ყუთი. დაიწყო მოქცევა. ქალაქის სამხრეთ რაიონიდან, ვიდრე დორჩესტერ ნეკამდე, წყლის ზედაპირი და სანაპირო მოფენილი იყო მოტივტივე ყუთებით და ჩაით. ხსენებულმა „ინდიელებმა" ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ მოსახლეობას ჩაი არ დაეტაცებინა. ჩაის აკრეფაში შენიშნულ რამდენიმე ადამიანს ჩაი

წაართვეს და მეტად უხეშად მოექცნენ. აღსანიშნავია, რომ გემებზე ჩასხებულ სხვა ხასიათის ტვირთს ხელი არ ახლეს. კერძო საკუთრების მიმართ მათ გამოავლინეს დიდი ყურადღება. როცა ერთ-ერთი გემის კაპიტანს დაუზიანეს საკეტი, იგი მას დაუყოვნებლივ ახლით შეუცვალეს. მთელ საღამოსა და მომდევნო დღეს ქალაქში სიწყნარე სუფევდა. გარეუბნებიდან ჩამოსულნი სახლებში კმაყოფილნი დაბრუნდნენ. მეორე დღეს თითქმის ყველას სახეზე სიამოვნება იყო აღბეჭდილი ერთ ნაწილს იმის გამო, რომ ჩაი განადგურდა, ხოლო მეორეს — რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ორშაბათს ერთ-ერთი გაზეთი წერდა, რომ როგორც კაპიტნები, ასევე გემთმეპატრონეები კმაყოფილნი დარჩნენ იმით, რომ მათი გემები ტვირთისაგან განთავისუფლდაო.

[1, გვ. 411—412]

თავისუფლების შვილთა ასოციაციის შექმნა ნიუ-იორკში (15 დეკემბერი, 1773 წელი)

აქტმა „საღერბო გადასახადის“ შესახებ, ხოლო შემდეგ ე. წ. ტაუნშენდის აქტმა მინაზე, საღებავზე, ქაღალდზე და ჩაიზე მაღალი პატენტის დაწესების შესახებ კოლონიებში დიდი მღელვარება გამოიწვია. ფართო ხასიათი მიიღო დემონსტრაციებმა, მიტინგებმა, კრებებმა, მრავალად იქმნებიან ე. წ. „თავისუფლების შვილთა“ და სხვა ორგანიზაციები. წესად იქცა ინგლისური წარმომავლობის საქონელზე ბოიკოტის გამოცხადება. ინგლისის პარლამენტი იძულებული იყო გაეუქმებია ზემოაღნიშნული აქტები (აქტი „საღერბო გადასახადის“ შესახებ გაუქმდა 1776 წ. ტაუნშენდის აქტი — 1771 წელს). ინგლისელებმა დაიტოვეს მხოლოდ ჩაიზე გადასახადის უფლება. ჩაის ბაჟი საგრძნობლად შემცირდა. ასე რომ ამ აქტის მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობაღა დარჩა. ნირშერცხვენილი ინგლისელები ამით ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ ინგლისი კვლავ უფლებამოსილია დააწეროს გადასახადები თავის კოლონიებს. კოლონისტებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ინგლისელებს. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ არ დაეშვათ კოლონიებში ინგლისელების მიერ ჩაის შემოტანა. ამასთან დაკავშირებით ნიუ-იორკში გაიმართა მასობრივი კრება, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება ხელი შეეშალათ ჩაის შემოტანისათვის და შეექმნათ სათანადო ასოციაცია.

ქვემოთ მოხსენებული ასოციაციის შექმნის პროექტს ხელი მოაწერა ცნობილ მოქალაქეთა, ვაჭართა, ადვოკატთა და სხვა წოდებების პირთა დიდმა რაოდენობამ. პროექტი კვლავ ვრცელდება ქალაქში, რათა შესაძლებლობა მიეცეს მათ, ვისაც ჯერ კიდევ არ მოუწერია ხელი, შეუერთდნენ თავიანთ თანამოქალაქეებს და გამოხატონ თავიანთი გულისწყრომა იმ სატანისეული ჩანაფიქრის წინააღმდეგ, რომელიც გულისხმობს ამერიკის დამორჩილებას.

იმისათვის, რომ ავიცილოთ მოსალოდნელი დიდი უბედურება,

კერძოდ მონობა, ყველა მისგან გამომდინარე საშინელებით, თავისუფლების შენარჩუნებით დაინტერესებული ქვემოთ ხელისმომწერნი გამოვიყენებთ ყველა არსებულ კანონიერ საშუალებას, რათა გავაუქმოთ ეს დამღუპველი პროექტი, შევუნარჩუნოთ მომავალ თაობას თავისუფლების ყველა ის სიკეთე, რომელიც წინაპრებმა გვიანდერძეს და ხელი შევუწყოთ ამერიკაში საერთო თავისუფლებას, რომელსაც განადგურება ემუქრება. ჩვენ შევთანხმდით, რათა ამ მნიშვნელოვანი მიზნებისათვის გავერთიანდეთ „ნიუ-იორკის შვილების" ორგანიზაციაში და ღირსეულად დავიცვათ და შევასრულოთ შემდეგი გადაწყვეტილებანი:

I. გადაწყდა, რომ ყველა, ვინც მფარველობას გაუწევს, ხელს შეუწყობს ან რაიმე საშუალებებით დაეთანხმება აღნიშნულ კოლონიაში ინგლისის საპარლამენტო აქტით დაბეგრილ ჩაის შემოტანას, ამერიკის მტრად ჩაითვლება.

II. გადაწყდა, რომ ყველა, ვინც ხელს შეუწყობს ან დაეხმარება ნებისმიერ ხომალდიდან ჩაის გადმოტვირთვას, გადაზიდვას ან დაიქირავებს სახლს, საწყობს, სარდაფს ან სხვა რაიმე შენობას იმ ჩაის შესანახად, რომელიც, როგორც ზემოთაა აღნიშნული, ექვემდებარება დაბეგვრას — ჩაითვლება ამერიკის თავისუფლების მტრად.

III. გადაწყდა, რომ ყველა, ვინც გაყიდის ან იყიდის ჩაის, ან რაიმე საშუალებით ხელს შეუწყობს გადასახადით დაბეგრილი ჩაის ყიდვა-გაყიდვას, ან დაეხმარება, ან ხელს შეუწყობს ასეთი ჩაის აღნიშნული ქალაქიდან ზღვით ან ხმელეთით გადაზიდვას, მანამ, სანამ არ იქნება მთლიანად და სავსებით გაუქმებული ჯორჯ III მმართველობის მეშვიდე წელს მიღებული ე. წ. „შემოსავალთა აქტი" — ჩაითვლება ამერიკის მტრად.

IV. გადაწყდა, რომ დამოუკიდებლად იმისა აღნიშნული აქტით დადგენილ ჩაიზე გადასახადის გადახდა განხორციელდება დიდ ბრიტანეთსა თუ ამერიკაში, ეს მაინც ერთნაირად შელახავს ჩვენს უფლებებს.

V. გადაწყდა, რომ ამ რეზოლუციების ნებისმიერი მუხლის დამრღვევ პირთან ჩვენ არ გვექნება საქმიანი კონტაქტი, არ დავიქირავებთ მას და გავწყვეტთ მასთან ყოველგვარ ურთიერთობას.

[1, გვ. 412—413]

4. დამოუკიდებლობისათვის ომი (1776—1786)

ბრძოლა ლექსინგტონთან და კონკორდთან. მასაჩუზეთსის პროვინციული კონგრესის მიმართვა დიდი ბრიტანეთის ხალხისადმი 1775 წლის 26 აპრილს

მეგობრებო და ძმებო! ჯარებმა გენერალ გეიჯის სარდლობით დაიწყეს კოლონიაში (მასაჩუზეთსი) სამხედრო ოპერაციები... როგორც

დასტურდება იმ ჩვენებების მიხედვით, რომელიც ამ აქტს შეეხება, არსებული კოლონიების თავდაცვისათვის გამიზნულ სამხედრო და სხვა საწყობების ხელში ჩაგდების ან განადგურების მიზნით, 19 აპრილს ღამით კემბრიჯში ფარულად გადმოსხეს სამეფო ჯარის შენაერთი პოლკოვნიკ სმითის მეთაურობით. კოლონიის ზოგიერთი მშვიდობიანი მაცხოვრებელი, რომელიც იმ ღამეს ბოსტონსა და კონკორდს შორის გზაში იმყოფებოდა, დაპატიმრებულ იქნა შეიარაღებული პირების მიერ, რომლებიც გენერალ გეიჯის არმიის ოფიცრები აღმოჩნდნენ. ამასთან დაპატიმრებულთ მეტად უხეშად მოექცნენ. ამასთან დაკავშირებით ქალაქ ლექსინგტონში მღელვარება დაიწყო; ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაუყოვნებლივ შეიქმნა მოხალისეთა რაზმები. როცა კონკორდისაკენ მიმავალი რეგულარული ჯარი ლექსინგტონში შევიდა, მოხალისეები გაიფანტნენ. მიუხედავად ამისა, რეგულარული რაზმის ჯარისკაცებმა სწრაფად შეუტიეს მათ და ლექსინგტონელ მოხალისეებს ტყვია დაუშინეს. მოკლულ იქნა 8 მოქალაქე, რამდენიმე დაიჭრა. რეგულარული ჯარების ჯარისკაცები მანამდე ისროდნენ, სანამ გადარჩენილმა მოხალისეებმა გაქცევით არ უშველეს თავს. შემდეგ პოლკოვნიკი სმითი კონკორდისაკენ დაიძრა, სადაც მისმა ჯარმა კვლავ სროლა აუტეხა ადგილობრივ მცხოვრებლებს. ორი მათგანი მოკლეს, რამდენიმე დაჭრეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ მხოლოდ ამის შემდეგ გახსნა საპასუხო ცეცხლი. ჯარის ასეთმა მტრულმა მოქმედებამ გამოიწვია შეტაკება, რომელიც მთელ დღეს გრძელდებოდა. მოკლულ იქნა და დაიჭრა რეგულარული ჯარების მრავალი მებრძოლი და ადგილობრივი მცხოვრები.

ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია, აღწერო ის აოხრება, რომელსაც ახდენდნენ ჯარები (სმითის) კონკორდიდან ჩარლზსთაუნამდე უკან დახევისას. საკმარისია ითქვას, რომ გზაზე განლაგებული მრავალი სახლი გაძარცვეს და დაანგრიეს, რამდენიმე დაწვეს. ჯარისკაცები ქუჩაში აგდებდნენ შიშველ ფეხმძიმე ქალებს, ხოცავდნენ თავიანთ სახლებში მშვიდად მსხდომ მოხუცებს. მსგავსი სცენები სამარცხვინო იქნებოდა ყველაზე არაცივილიზებული ერისთვისაც კი.

ასეთია, ძმებო, კოლონიის მცხოვრებლებისადმი ამ ოფიციალური შურისძიების კვალი, მხოლოდ იმისათვის, რომ მათ თავიანთ მოძმე კოლონიებთან ერთად უარი თქვეს დამორჩილებულიყვნენ მონობას. მიუხედავად ამისა მეფისადმი ჩვენი ერთგულება არ შერყეულა. ჩვენ ვრჩებით მის ერთგულ და თავდადებულ ქვეშევრდომებად. მართალია ჩვენ უხეშად მოგვექცნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ძველებურად მზად ვართ თავი და ქონება გავწიროთ მისი პიროვნების, ოჯახის, გვირგვინისა და ღირსების დასაცავად, ხოლო მისი ულმობელი მოხელეების მხრივ დევნასა და ტირანიას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვითმენთ. ჩვენ სამართლიან

საქმეს ზენაარს ვაევედრებთ და აღსავსენი ვართ მტკიცე გადაწყვეტილებით მოვკვდეთ ან თავისუფლება მოვიპოვოთ.

ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ პატიოსნებით, გონიერებით, სიმამაცით და ღირსებით აღსავსე ინგლისელები ხანგრძლივ გულგრილობას გამოიჩენენ იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მათსავე საკუთარ ინტერესებს შეეხება; მოქმედების მიმართ, რომელიც ჩადენილია მრავალი წარჩინებული ლორდის, ხალხის წიაღიდან გამოსული ღირსეული რეპუტაციის მქონე მრავალი ცნობილი ადამიანის საქვეყნოდ გამოცხადებული პროტესტის მიუხედავად, მოქმედების მიმართ, რომელიც ჩადენილია დიდი ბრიტანეთის, დიდი, მდიდარი, დაფასებული საგრაფოების, ქალაქებისა და რაიონების ინტერესების, პეტიციებისა და გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგოდ; მოქმედების მიმართ, რომელიც სრულიად შეუთავსებელია სამართლიანობასთან, მაგრამ ჯერ კიდევ ხორციელდება ქვეყნისათვის აუტანელი ტვირთის მოშორების საბაბით; მოქმედების მიმართ, რომელიც წარმატების შემთხვევაში აუცილებლად მიიყვანს განადგურებასა და დამონებამდე არამარტო დაჩაგრულ ამერიკელ კოლონიებს, არამედ თვით ინგლისსაც.

[1, გვ. 414—416]

ჩრდილოეთ ამერიკის ომში მონაწილეობის მისაღებად ჰესენელი ჯარისკაცების დაქირავების შესახებ ინგლისის მეფესა და ჰესენ-კასელის ლანდგრაფს შორის დადებულ ხელშეკრულებიდან (15 იანვარი, 1776 წელი)

II. ვინაიდან მის ბრიტანულ უდიდებულესობას სურს ჰესენ-კასელის ლანდგრაფისაგან დაიქირაოს თავის სამსახურში 12 000 კაცისაგან შემდგარი სამხედრო კორპუსი, ხოლო მის უგანათლებულეს უმაღლესობას (ლანდგრაფს) სხვა არაფერი არ სურს, თუ არა ის, რომ დაუმტკიცოს მის უდიდებულესობას სიყვარული და უცილობელი ერთგულება და ყველაფერი იღონოს მათი საკავშირო მისწრაფებათა განხორციელებისათვის... დიდი ბრიტანეთის მეფემ აუცილებლად ჩათვალა კასელში გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი პოლკოვნიკი სერ უილიამ ფოსსიტი, რომელმაც ჰესენის ლანდგრაფის სტატს-მდივანთან ერთად გააფორმა აღნიშნული ხელშეკრულება.

III. მისი ბრიტანული უდიდებულესობის სამსახურში შესული 12 ათასიანი ჰესენის აღნიშნული ჯარი შედგენილ იქნება: გრენადერთა ოთხი ბატალიონისაგან (თითოეულში ოთხი ასეული), ქვეითთა 15 ბატალიონისაგან (თითოეულში ხუთი ასეული), ეგერთა ოთხი ასეულისაგან, ჯენერალთა და ოფიცერთა აუცილებლად საჭირო რაოდენობით.

V. ლანდგრაფის ხარჯების დასაფარვად, დასახელებული კორპუსის

შესაიარაღებლად და წესრიგში მოსაყვანად... დიდი ბრიტანეთის მეფე მის უმაღლესობას აღუთქვამს თითოეულ ჯარისკაცზე სარეკრუტთა ფულის — 30 კრონის გადახდას. თანხის პირველი ნაწილი — 18 ათასი კრონი გადახდილ იქნება 10 თებერვალს, დანარჩენი — მას შემდეგ, რაც გაგზავნილ იქნება კორპუსის მეორე ნახევარი.

VI. ბრიტანეთის მეფე კორპუსის შესანახად იხდის ყოველწლიურ სუფსიდიას 450 ათასი კრონის რაოდენობით.

IX. მის უდიდებულესობას უფლება აქვს აღნიშნული კორპუსი გამოიყენოს ევროპაში ყველგან, სადაც კი მოისურვებს. ქვეყნის სხვა ნაწილებში იგი ამ ჯარით ვერ ისარგებლებს, გამონაკლისს წარმოადგენს ჩრდილოეთ ამერიკა. ჯარისკაცები გამოყენებულ უნდა იქნან მხოლოდ ხმელეთზე.

[1, გვ. 416—417]

ნაწყვეტი თომას პეინის პამფლეტიდან — „საღი აზრი"

თომას პეინი (1737—1800) ინგლის-ამერიკელი გამოჩენილი დემოკრატი მოაზროვნე, პუბლიცისტი, ამერიკის ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის მონაწილე. ამერიკაში ჩამოვიდა 1774 წელს, პამფლეტი გამოქვეყნდა 1776 წელს და დიდი როლი შეასრულა კოლონისტთა რევოლუციური განწყობის საქმეში. იგი უპირველეს ყოვლისა ქადაგებდა ინგლისთან ყოველგვარ ურთიერთობათა გაწყვეტას.

ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტის აუცილებლობის შ ე ს ა ხ ე ბ

მე მსმენია ზოგიერთთა მტკიცება იმის შესახებ, რომ რადგანაც ამერიკა ვითარდება დიდ ბრიტანეთთან კავშირის წყალობით, ამიტომ ასეთი კავშირი მისი ბედნიერებისათვის მომავალშიც აუცილებელია, იგი ყოველთვის კეთილი ნაყოფის მომტანი იქნება. მაგრამ ასეთი მოსაზრება ძალზე გადაჭარბებულია... მე სრული პასუხისმგებლობით ვამტკიცებ, რომ ამერიკა ევროპის სახელმწიფოთა მზრუნველობის გარეშეც განვითარდებოდა და ალბათ გაცილებით უკეთაც. ამერიკა გამდიდრდა ევროპისათვის პირველი მოთხოვნილების საგნების მიყიდვით. მისთვის გასაღება უზრუნველყოფილი იქნება ყოველთვის, სანამ ევროპელები ჭამას არ გადაეჩვევიან.

მაგრამ იგი [ინგლისი] ხომ ჩვენ გვიცავდა — ამბობენ ზოგიერთნი. დავუშვათ, რომ ჩვენ მთლიანად მას ვეკუთვნოდით. მართალია, — იგი იცავდა კონტინენტს როგორც თავის, ასევე ჩვენს ხარჯზეც. მაგრამ იგი ასევე დაიცავდა თურქეთსაც იმავე მოსაზრებებით, ანუ კომერციისათვის და ძალაუფლებისათვის...

მაგრამ ბრიტანეთი ხომ ჩვენი დედაა — ამბობენ ზოგიერთნი. მაშინ კიდევ უფრო სამარცხვინოა მისი მოქმედება. მხეცებიც კი არ ჭამენ თავიანთ ნაშიერებს. თვით ველურებიც კი უფრთხილდებიან და ინდობენ თავისიანებს. აი რატომაა, რომ ეს მტკიცება, თუ ის მართალია, საკუთარ თავსავე ეწინააღმდეგება და ინგლისს უკან უბრუნდება საყვედურის სახით. ჩანს ეს განცხადება მართალი არაა ან მართალია მხოლოდ ნაწილობრივ. სიტყვა—სამშობლო ან დედასამშობლო მეფისა და მის ირგვლივ თავმოყრილ მუქთახორების მიერ იეზუიტურად იყო ნახმარი მდაბალი პაპისტური აზრით, რათა ზეგავლენა მოეხდინათ ჩვენს ღულუბრყვილო და სუსტ გონებაზე. ამერიკის სამშობლო ევროპაა და არა ინგლისი. ახალი ქვეყანა, სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლებისათვის დევნილთა ყველა ევროპელის თავშესაფარია. ისინი აქ გამოექცნენ არა დედობრივ ნაზ ალერსს, არამედ ურჩხულთა საშინელ სისასტიკეს. ყოველივე ეს ინგლისის მიმართაც სავსებით სწორია... ტირანია. რომელმაც ინგლისიდან პირველი ემიგრანტები განდევნა, დღესაც დევნის მათ შთამომავლებს. ჩვენ, აქ, დედამიწის უზარმაზარ ნაწილში მოქცეულნი, ვიკეწყებთ 360 მილიანი ქვეყნის (ინგლისის სიგრძე) ვიწრო საზღვრებს და ჩვენს სიმპათიებს გაცილებით უფრო ფართო გასაქანს ვაძლევთ. ევროპის ყველა ქრისტიანს ჩვენ ძმად ვთვლით და ვანაყობთ კიდეც გრძნობათა კეთილშობილებით.

ბევრი ითქვა ბრიტანეთისა და კოლონიების ერთიანი ძლიერების შესახებ, იმაზე. რომ მათ, შეკავშირებულებს, შეუძლიათ დაუპირისპირდნენ მთელ მსოფლიოს. მაგრამ ეს მხოლოდ უბრალო თვითდაიმედებაა. სამხედრო წარმატებები ცვალებადია, ხოლო ეს ფრაზები კი არაფრის მთქმელნი არიან. რადგან ჩვენ ვერ დავუშვებთ იმას, რომ აზიაში, აფრიკაში და თუნდაც ევროპაში ბრიტანული იარაღისათვის დახმარების გაწევის შედეგად ჩვენი კონტინენტი გაუკაცრიელდეს. გარდა ამისა საკითხავია, რისთვის უნდა გადავაჭდოთ იარაღი მთელ ქვეყნიერებას? ჩვენი ამოცანაა—ვაჭრობა და თუ მას ვაწარმოებთ ისე, როგორც საჭიროა, მაშინ ეს უზრუნველყოფს ჩვენს მეგობრობასა და კავშირს მთელს ევროპასთან, რადგანაც იგი დაინტერესებულია თავისუფალი ვაჭრობით ამერიკასთან. ვაჭრობა ყოველთვის მისი. — ამერიკის დამცველი იქნება, ხოლო ოქროსა და ვერცხლის წიაღისეული მარაგის სიღარიბე მას დამპყრობელთაგან იხსნის.

მე მოვუწოდებ შემარიგებლური პოლიტიკის ყველა აქტიურ დამცველს დაასახელონ თუნდაც ერთი სარგებლიანობა, რომლის მოტანა შეუძლია დიდ ბრიტანეთთან კონტინენტის კავშირს. მე ვიმეორებ ამ მოწოდებას. ასეთი სარგებლიანობა ვამორიცხულია. ჩვენი პური ევროპის ნებისმიერ ბაზარზე გასაღდება. ხოლო შემოტანილ საქონელზე აუცილებელია ფულის გადახდა, სადაც არ უნდა შეკისყიდოთ იგი.

უსიამოვნება და ზარალი, რომელსაც ჩვენ ეს კავშირი გვაყენებს აურაცხელია. ჩვენი მთელი კაცობრიობისა და საკუთარი თავისაკე წინაშე ვალდებულნი ვართ გავწყვიტოთ ეს კავშირი. რადგან დიდი ბრიტანეთისადმი ყოველგვარი მორჩილება და მასზე დამოკიდებულება ევროპულ ომებში და განხეთქილებებში ჩვენი კონტინენტის უშუალოდ ჩარევის საფრთხეს ქმნის, რაც გამოიწვევს ჩვენს გადაკიდებას იმ ერებთან, რომლებიც სხვა ვითარებაში შეეცდებოდნენ ჩვენთან მეგობრობას, რადგან ჩვენს შორის არავითარი მტრობა და წინააღმდეგობა არ არსებობს. რადგანაც ევროპა წარმოადგენს ჩვენთვის ბაზარს, ჩვენ არ უნდა ვეძიოთ განსაკუთრებული კავშირი მის რომელიმე ნაწილთან. ამერიკის ჭეშმარიტი ინტერესია — თავი მოარიდოს ევროპულ კონფლიქტებს. ბაგრამ იგი ამას ვერასოდეს ვერ შეძლებს, სანამ ბრიტანეთზე დამოკიდებულების გამო წარმოადგენს ბრიტანული საერთო პოლიტიკის დანამატს... ყველაფერი, რაც სწორია და გონივრულთა მხოლოდ გამოყოფილკენ მოგვიწოდებს, დაღუპულთა სისხლი და ბუნების ხმა ღაღადებს: „დ რ ო ა გ ა ნ ვ შ ო რ დ ე თ“... თვით მანძილიც კი, რომლითაც ზენაარმა ინგლისი და ამერიკა დააშორა, ძლიერი და ბუნებრივი დამამტკიცებელია იმისა, რომ ერთის ძალაუფლება მეორეზე არასოდეს არ ყოფილა ღვთის ნება.

ამ კონტინენტზე დიდი ბრიტანეთის ბატონობა — ესაა მმართველობის ისეთი ფორმა, რომელსაც ადრე თუ გვიან ბოლო უნდა მოეღოს.

თქვენი კავშირი ბრიტანეთთან, რომლის სიყვარული და პატივისცემა არ შეიძლება, მომავალში იძულებით და არაბუნებრივ ხასიათს მიიღებს. ეს კავშირი შექმნილია მხოლოდ მიმდინარე სარგებლიანობის მიღების მიზნით, იგი მალე უბედურებაში გადაიზრდება... მაგრამ თუ თქვენ იტყვით, რომ შეგიძლიათ დაივიწყოთ წყენა, მაშინ მე გეკითხებით: დაიწვა თუ არა თქვენი სახლი? თქვენ თვალწინ მოსპეს თუ არა თქვენი საკუთრება? წაართვეს თუ არა თქვენს ცოლ-შვილს ლუკმაპუერი და კუთხე, ქედი მოახრევინეს თუ არა მათ? დაკარგეთ თუ არა თქვენ ახლობლები ან ბავშვები, დარჩით თუ არა მარტოდმარტო თქვენი განადგურებული სიცოცხლის ამარა? თუ არა, მაშინ თქვენ ვერ გაუგებთ მათ ვინც ყოველივე ეს გადაიტანა. მაგრამ ეს ასეა და თქვენ შეგიძლიათ კვლავ გაუწოდოთ ხელი მკვლელებს, მაშინ თქვენ არა ხართ ღირსი ატაროთ მეუღლის, მამის, მეგობრის ან შეყვარებულის სახელი. და როგორი წოდებები და დამსახურებაც არ უნდა გქონდეთ, თქვენ გაქვთ გული ლაჩრისა და სული სიკოფანტისა.

უაზროა, მეტიც, უგუნურობაა მეგობრად მიიჩნიოთ ის, ვისდამი ნდობას კრძალავს ჩვენი გონება და ვისდამი სიძულვილს გვინერგავს უამრავ შეურაცხყოფათა შედეგად მოყენებული ჭრილობები. ყოველ ახალი დღე შლის ჩვენს შორის დარჩენილი ნათესაობის მცირეოდენ ნარ-

ნენებსაც კი. განა შეიძლება იმის იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენს შორის ნათესაური კავშირების მოშლის ზრდის პირობებში ჩვენი სიმპათიები გაიზრდება ან ჩვენ უფრო ადვილად მოვნახავთ საერთო ენას შეთანხმების მისაღწევად, მაშინ როცა ჩვენ განხეთქილებისათვის ათჯერ მეტი მიზეზი გვექნება?..

ჰეი თქვენ, ვისაც კაცობრიობა გიყვართ, თქვენ, ვისაც ძალგიძთ წინააღუდგეთ არამარტო ტირანიას, არამედ თვით ტირანს — აღსდექით! „ძველი სამყაროს" თითოეული მტკაველი დამონებულია. თავისუფლება საყოველთაო დევნას განიცდის. აზიამ და აფრიკამ კარგა ხანია განდევნეს იგი. ევროპა მას უცხოელად თვლის. ინგლისმა მისი გასახლება მოინდომა. ო, მიიღეთ დევნილი და დროზე მოამზადეთ თქვენთან თავშესაფარი მთელი კაცობრიობისათვის.

[1, გვ. 417—419]

ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1776 წლის 4 ივლისი)

ერთხმად იქნა მიღებული კონტინენტურ კონგრესზე 1776 წლის 4 ივლისს ამერიკის შეერთებული 13 შტატის მიერ, როგორც მათი ერთობლივი დეკლარაცია.

...როცა მოვლენათა მსვლელობა აიძულებს რომელიმე ხალხს გაწყვიტოს სხვა ხალხთან გამაერთიანებელი პოლიტიკური კავშირი და სხვა სახელმწიფოთა მსგავსად დაიკავოს დამოუკიდებელი მდგომარეობა, რაზედაც მას უფლებას აძლევს ბუნებრივი და ღვთიური კანონები— მაშინ კაცობრიობის აზრისადმი პატივისცემა მას ვალდებულს ხდის დაასახელოს ყველა ის მიზეზი, რომელმაც მას გამოყოფისაკენ უბიძგა.

ჩვენ უცილობლად მიგვაჩნია შემდეგი ჭეშმარიტებანი: ყველა ადამიანი შექმნილია, როგორც თანასწორი და ყველა მათგანი გამჩენმა აღჭურვა ხელშეუვალი უფლებებით. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა. ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად ხალხთა შორის შექმნილია მთავრობები, რომლებიც სამართლიანი ხელისუფლებით აღჭურვილნი არიან მართულთა თანხმობით. თუკი მმართველობის არსებული ფორმა მათი (ხალხის) მიზნებისათვის დამღუპველი ხდება, მაშინ ხალხს უფლება აქვს შეცვალოს ან გაუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა, დაფუძნებული იმ პრინციპებზე და ხელისუფლების ისეთ ორგანიზაციაზე, რომელსაც ხალხის აზრით ყველაზე უფრო მეტად შეუძლია უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება და ბედნიერება. რასაკვირველია, გონივრული არ იქნება ძველთაგანვე არსებული მთავრობის შეცვლა ნაკლებმნიშვნელოვანი დროებითი მიზეზების გამო, და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანებს შეუძ-

ლიათ ბოროტება უკანასკნელ შესაძლებლობამდე მოითმინონ, ვიდრე ის, რომ გამოიყენონ თავიანთი უფლებები და გააუქმონ მმართველობის ის ფორმები, რომელსაც დიდი ხანია შეეჩვიენენ. მაგრამ, როცა ერთსა და იმავე მიზანდასახულების მქონე ბოროტმოქმედებათა და უზურპაციათა უსასრულო ნაკადი განუსაზღვრელ დესპოტიზმისადმი ხალხის დამორჩილებას ემსახურება, მაშინ იგი (ხალხი) არამარტო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია დაამხოს ასეთი მთავრობა და მომავალში თავისი ბედი მიანდოს სხვას. კოლონიებიც დიდხანს და მოთმინებით იტანდნენ სხვადასხვა შევიწროებას და ამჯერად მხოლოდ აუცილებლობა აიძულებს მათ შეცვალონ მმართველობის ძველი ფორმა. დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელი მეფის ისტორია აღსავსეა განუწყვეტელი უსამართლობითა და უზურპაციით, რომელთა უშუალო მიზანია აღნიშნულ შტატებში ტირანიის დამყარება. საბუთად მიუკერძოებელ მსოფლიოს განსასჯელად წარვუდგენთ შემდეგ ფაქტებს:

იგი (მეფე) უარს ამბობდა დაემტკიცებია საერთო კეთილდღეობისათვის აუცილებელი და სასარგებლო კანონები.

იგი თავის გუბერნატორებს ნებას რთავდა განეხორციელებიათ ზოგიერთი გადაუდებელი მნიშვნელობის კანონი, მხოლოდ იმ პირობით, რომ მისი მოქმედება მისგან თანხმობის მიღებამდე შეჩერებული იქნებოდა. როცა მათ მოქმედებას შეაჩერებდნენ ხოლმე, იგი მათ საერთოდ ყურადღებას აღარ აქცევდა.

იგი თანხმდებოდა გაეტარებინა ვრცელი ოლქებისათვის საჭირო და სასარგებლო ზოგიერთი სხვა კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ოლქების მოსახლეობა უარს იტყოდა საკანონმდებლო კრებებში წარმომადგენლობით უფლებებზე, რომელსაც მათთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა, ტირანებისათვის კი მხოლოდ საშიშროებას წარმოადგენდა.

მას ამოქმედებდა მხოლოდ ერთადერთი მიზანი, დაესუსტებინა და მორჩილი გაეხადა საკანონმდებლო კრებები. ამისათვის იგი მათ იწვევდა მოუხერხებელ და შეუჩვეველ ადგილას, იმ პუნქტებიდან მოშორებით, სადაც ინახებოდა მისი ოფიციალური დოკუმენტები.

იგი ხშირად ითხოვდა წარმომადგენლობით პალატებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მამაცურად ეწინააღმდეგებოდნენ მის მისწრაფებას დაერღვია ხალხის უფლებები.

პალატების დათხოვნის შემდეგ იგი დიდი ხნის განმავლობაში არ იძლეოდა ახალი წარმომადგენლების არჩევის უფლებას, რის გამოც საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც არ შეიძლება სავსებით გაუქმდეს, უბრუნდებოდა ხალხთა მასებს, ხოლო შტატი ამ დროს იყო გარედან თავდასხმისა და შინაგანი არეულობის საფრთხის ქვეშ.

იგი აფერხებდა შტატებში დასახლებას, ართულებდა უცხოელთა ნა-

ტურალიზაციის კანონების განხორციელებას, კრძალავდა ამერიკაში ემიგრაციის წამახალისებელ კანონებს, ართულებდა და აძნელებდა აქ (კოლონიებში) მიწების შეძენის პირობებს.

იგი ართულებდა და აძნელებდა მართლმსაჯულების განხორციელებას, უარს ამბობდა დაემტკიცებინა კანონები, რომელიც აფუძნებდა სასამართლო ხელისუფლებას.

მან მოსამართლეები ისეთ პირობებში ჩააყენა, რომ ისინი მის ნებასურვილზე იყვნენ დამოკიდებულნი იმაში, რაც ეხებოდა მათი სამსახურის ვადას, ხელფასის მოცულობასა და მისი გადახდის პირობებს.

მან შექმნა უამრავი ახალი თანამდებობა და აქ გამოგზავნა თავისი მოხელეების დიდი მასა, რომელმაც გააჩანაგა ხალხი, გამოწოვა მათ სასიცოცხლო წვენი.

მშვიდობიან დროს ჩვენი საკანონმდებლო კრებების ნებართვის გარეშე მას აქ ყავდა მუდმივი ჯარები.

იგი მიისწრაფოდა გაეხადა სამხედრო ძალაუფლება სამოქალაქოსაგან დამოუკიდებელი და პირველი მეორეზე მაღლა დაეყენებინა.

იგი შეუთანხმდა სხვა პირებს [1] და მათთან ერთად ცდილობდა ჩვენს დამორჩილებას ჩვენი დადგენილი წესებისათვის უცხო და ჩვენი კანონების მიერ მიუღებელი იურისდიქციისადმი. მან დაამტკიცა ამ ჩვენთვის ცრუ საკანონმდებლო ხელისუფალთა აქტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ზემდგომ ღონისძიებებს:

ჩვენს შორის მნიშვნელოვანი შეიარაღებული რაზმების ჩაყენება. შტატების მოსახლეობაში მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში ჯარისკაცების დაცვა მათი ფორმალურად ხალხის დასანახად სასამართლოს წინაშე წარდგენის გზით [2].

მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ჩვენი ვაჭრობის შეწყვეტა.

ჩვენი თანხმობის გარეშე ჩვენი დაბეგვრა გადასახადებით.

ხშირ შემთხვევაში ჩვენთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პრივილეგიების წართმევა.

ჩვენი გაგზავნა ზღვის მიღმა ვითომდა დანაშაულისათვის სასამართლოში მისაცემად.

ჩვენს მეზობელ პროვინციაში ინგლისური კანონების თავისუფალი სისტემის გაუქმება და აქ შეუზღუდველი მმართველობის სისტემის შემოღება, ერთდროულად ამ სისტემის საზღვრების გაფართოებით. ყველაფერი ეს იმისათვის, რათა ეს პროვინცია მმართველობის ასეთივე

---

[1] იგულისხმება ინგლისის პარლამენტი.

[2] საქმე ეხება 1768 წელს ინგლისის მეზღვაურთა გამარჯვებას, რომლებიც მსჯავრდადებულნი იყვნენ ანაპოლისში ორი კოლონისტის მოკვლის გამო.

შეუზღუდველი ფორმების სხვა კოლონიებზე გავრცელების მაგალითად და იარაღად იქცეს.

ჩვენთვის ჩვენი ქარტიების წართმევა. ჩვენთვის ყველაზე უფრო საესურველი კანონების გაუქმება და მმართველობის ჩვენებური ფორმების არსებითი შეცვლა.

ჩვენი საკანონმდებლო კრებების საქმიანობის შეჩერება და საკანონმდებლო ფუნქციების შესრულების ჩვენი უფლების მითვისება ყველა შემთხვევაში.

მან (დიდი ბრიტანეთის მეფემ) უარი თქვა ჩვენს მართვაზე, დაგვტოვა მფარველობის გარეშე და გამოგვიცხადა ომი. იგი გვძარცვავდა ჩვენ ზღვებზე, აოხრებდა ჩვენს სანაპიროებს, წვავდა ჩვენს ქალაქებს და ხოცავდა ჩვენს მოქალაქეებს.

ამჟამად იგი გზავნის უცხოელ დაქირავებულთა დიდ არმიებს. მას სურს ბოლომდე მიიყვანოს მის მიერ ესოდენი სიმკაცრით და ესოდენ მუხანათურად წამოწყებული საქმე სიკვდილისა, განადგურებისა და ტირანიისა, რომლის მსგავსი რამ არ ხდებოდა თვით ყველაზე უფრო ბარბაროსულ საუკუნეებშიც კი, რაც სავსებით არ შეეფერება ცივილიზირებული ერის მეთაურს.

იგი აიძულებს ღია ზღვაში ტყვედ აყვანილ ჩვენს თანამემამულეებს იარაღი აიღონ მშობლიური ქვეყნის წინააღმდეგ, დახოცონ თავიანთი მეგობრები და ძმები ან მათი ხელით დაიღუპონონ. იგი აღვიძებდა ჩვენს შორის შინაგან აჯანყებებს და ჩვენი სასაზღვრო ოლქების მცხოვრებლებზე თავდასხმისათვის აქეზებდა ველურ ინდიელებს, რომლებიც, როგორც ცნობილია ომის შემთხვევაში ხოცავენ ყველას განურჩევლად სქესისა, ასაკისა და მდგომარეობისა.

ამ შევიწროებათა ყველა ეტაპზე ჩვენ მეფეს ვუდგენდით ყოვლად მშვიდი განწყობით შედგენილ პეტიციებს, სადაც ვთხოვდით მართლმსაჯულებას. ყველა ჩვენი პეტიციის ერთადერთი პასუხი ახალი შეურაცხყოფა იყო.

ხელმწიფე, რომლის ხასიათი აერთიანებს ტირანის ყველა თვისებას, არ შეიძლება მართავდეს თავისუფალ ხალხს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არ მიგვიმართია ჩვენი ძმებისათვის— ბრიტანელებისათვის. დროდადრო ჩვენ მოვაგონებდით მათ, რომ მათი საკანონმდებლო კრება ცდილობდა არაკანონიერი იურისდიქციისადმი ჩვენს დამორჩილებას. ჩვენ მოვაგონებდით მათ იმას, თუ რა პირობებში მოხდა ჩვენი ემიგრირება და აქ დასახლება. ჩვენ ვევედრებოდით მათ (ბრიტანელებს) გამოეჩინათ მათთვის ჩვეული დიდსულოვნება და სამართლიანობა, პატივი ეცათ ჩვენი ნათესაური კავშირისათვის და გაეკიცხათ უზურპატორული აქტები, რომლებიც ჩვენს შორის კეთილურთიერთობათა აუცილებელ მოშლას იწვევდნენ. მაგრამ მათ ყურად

არ იღეს ჩვენი სამართლიანი მოთხოვნები და ნათესაური კავშირები. ამიტომ ჩვენ უნდა დავმორჩილდეთ აუცილებლობას, რომელიც გვიკარნახებს ჩამოვშორდეთ მათ, და ჩავთვალოთ ისინი, ისევე როგორც სხვა ხალხები — მტრებად ომის დროს და მეგობრებად მშვიდობის ჟამს.

ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, რომლებიც საერთო კონგრესზე შეკრებილებ, სამყაროს უზენაეს გამგებელს ვეხმობთ ჩვენი განზრახვების სამართლიანობის მოწმედ, ვაცხადებთ ამ ახალშენების ხალხის სახელითა და რწმენებით, რომ ეს შეერთებული კოლონიები არსებითად და კანონით უნდა იყვნენ თავისუფალი და დამოუკიდებელი შტატები. ამიერიდან ისინი თავისუფლდებიან ბრიტანეთის გვირგვინის მიმართ ყოველგვარი ქვეშევრდომული ვალდებულებისაგან. ყოველგვარი პოლიტიკური კავშირი მათსა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოს შორის საბოლოოდ წყდება. ისინი, კოლონიები, ვითარცა თავისუფალი და დამოუკიდებელი შტატები, იძენენ უფლებას გამოაცხადონ ომი, დადონ ზავი, დადონ კავშირები, აწარმოონ ვაჭრობა და განახორციელონ ყველაფერი, რის უფლებაც აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოს. განგების ძალის დახმარების მტკიცე რწმენით აღსავსენი ჩვენ ურთიერთვალდებულებას ვიღებთ სიცოცხლის, ქონებისა და ღირსების ფასად დავიცვათ ეს დეკლარაცია.

დეკლარაცია ხელმოწერილია 13 კოლონიის წარმომადგენლების მიერ.

[1, გვ. 419—423] [5, გვ. 167—171]

6. დანიელ შეისის აჯანყება (1786 წელი)

დ ა ნ ი ე ლ შ ე ი ს ი (1747—1825) — ღარიბი ფერმერი, დამოუკიდებლობისათვის ომის ვეტერანი. 1786 წელს სათაკეში ჩაუდგა სახალხო აჯანყებას პლანტატორებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. აჯანყება ჩაახშეს. დანიელ შეისსა და აჯანყების 13 თავკაცს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, შემდგომ ისინი შეწყალებულ იქნენ.

აჯანყებულთა კომიტეტის მიმართვა ჰემპშირის საგრაფოს სხვადასხვა ქალაქების მოსახლეობისადმი

ჯენტლმენებო! ჩვენ საჭიროდ ვცანით, როგორც ჯერ არს, გაგაცნოთ თქვენი ხალხის აჯანყების ზოგიერთი ძირითადი მიზეზი.

1. ვალების აკრეფის ამჟამინდელი ძვირადღირებული წესი და ნაღდი ფულის დიდი ნაკლოვანება გამოიწვევს იმას, რომ სულ მალე ჩვენი ცხენები გაივსება უბედური მევალეებით და, მაშასადამე, საზოგადოების ღირსეული ნაწილი ვეღარ შეძლებს ემსახუროს ვერც თავის თავსა და ვერც საზოგადოებას.

2. თანხა, რომელიც გროვდება გადასახადების და აქციზის აკრეფის გზით, ხმარდება არა საგარეო ვალების დაფარვას, არამედ მთავრობის ფასიანი ქაღალდების პროცენტების დაფარვას, მაშინ როდესაც ეს ფასიანი ქაღალდები გადასახადებისგან თავისუფალნი არიან.

3. Habeas Gorpus — დროებით გაუქმებულია და იმ პირთ, რომლებიც ხალხის უფლებების დამცველებად გამოდიოდნენ, ემუქრებათ დაპატიმრება სასამართლოსა და ძიების გარეშე, გადასახლება რესპუბლიკის უშორეს ნაწილში, ანუ უსამართლოდ დასჯა.

4. ამბოხებების შესახებ კანონის საფუძველზე განუსაზღვრელი უფლებები ენიჭებათ მომრიგებელ მოსამართლეებსა და შერიფებს, შერიფის მოადგილეებს და კონსტებლებს, რომლის ძალითაც ისინი დაუსჯელნი რჩებიან, მაშინაც კი, როცა, როგორც ჩანს, მოქმედებენ მხოლოდ შურისძიების, სიძულვილისა და შურის კარნახით.

გარდა ამისა, იცოდეთ, რომ აღნიშნული ორგანიზაცია, რომელმაც ამჟამად ხელში იარაღი აიღო, გადაჭრით უარყოფს ჩვენი თავისუფლების მტრების მიერ გულმოდგინედ გავრცელებულ მოსაზრებას — თითქოსდა ჩვენ ვმოქმედებთ ინგლისელ ემისართა წაქეზებით. ჩვენ გვსურს აგრეთვე, რომ დაუყოვნებლივ იქნას მიღებული გადამჭრელი ზომები ჩვენი როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალების დასაფარავად.

დავალებით (ორგანიზაციისა) კომიტეტის თავმჯდომარე

დ ა ნ ი ე ლ გ რ ე ი

[1, გვ. 425—426]

6. ᲐᲨᲨ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ

შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუცია (შემოკლებით)

ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი, უფრო სრულყოფილი კავშირის შექმნის, მართლმსაჯულების დაფუძნების, შინაგანი წესრიგის დაცვის, ერთობლივი თავდაცვის ორგანიზაციების, საყოველთაო კეთილდღეობისადმი ხელისშეწყობის, ჩვენთვის და მომავალი თაობისათვის თავისუფლებათა სიკეთის უზრუნველყოფის მიზნით ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ვაფუძნებთ წინამდებარე კონსტიტუციას და იგი ძალაში შეგვყავს.

მ უ ხ ლ ი I

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 1. საკანონმდებლო ხელისუფლების ყველა აქ ჩამოყალიბებული რწმუნებანი ენიჭება შეერთებული შტატების კონგრესს, რომელიც შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან.

განყოფილება 2. წარმომადგენელთა პალატა შედგება იმ წევრებისაგან, რომელთაც ორ წელიწადში ერთხელ ირჩევს თითოეული შტატის ხალხი. ამასთან ერთად ყოველ შტატში ამომრჩევლები უნდა პასუხობდნენ იმავე მოთხოვნებს, რომელიც დაწესებულია შტატის საკანონმდებლო კრების ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი პალატის ამომრჩევლებისათვის.

არ შეიძლება წარმომადგენლად ავირჩიოთ ის, ვისი ასაკიც 25 წელზე ნაკლებია, ვინც 7 წლის განმავლობაში არ იყო ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე. ვინც არჩევნების მომენტში არ წარმოადგენს იმ შტატის მაცხოვრებელს, სადაც წარმომდგენის არჩევა უნდა ჩატარდეს.

წარმომადგენლები და პირდაპირი გადასახადები აღნიშნულ კავშირში შესვლის უფლების მქონე ცალკეულ შტატებს შორის ნაწილდება. მათი მოსახლეობის პროპორციულად. მოსახლეობის რიცხვის განსაზღვრისათვის, საჭიროა ყველა თავისუფალ ადამიანთა საერთო რიცხვს გარკვეული ვადით მომსახურებაში მყოფ ადამიანთა მიმატებით და გადასახადით დაუბეგრავი ინდიელების გამოკლებით დაემატოს სხვა დანარჩენ ადამიანთა სამი მეხუთედი[1]. მოსახლეობის აღწერა უნდა ჩატარდეს შეერთებული შტატების კონგრესის პირველი მოწვევიდან სამი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ყოველ ათ წელში, იმ წესების საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს შეერთებული შტატები საგანგებო კანონის ძალით. წარმომადგენლებს უნდა ირჩევდნენ არა უმეტეს ერთისა ყოველ ოცდაათ ათას მცხოვრებზე, ყოველ შტატს უნდა ყავდეს სულ ცოტა ერთი წარმომადგენელი მაინც, ამჯერად კი მოსახლეობის აღწერის ჩატარებამდე ნიუ-ჰემპშირის შტატს უფლება ეძლევა აირჩიოს სამი წარმომადგენელი, მასაჩუზეთსს—რვა, როდ-აილენდს და კოლონია პროვიდენსს — ერთი, კონეკტიკუტს—ხუთი, ნიუ-იორკს—ექვსი, ნიუ-ჯერსის — ოთხი, პენსილვანიას — რვა, დელავერს — ერთი, მერილენდს — ექვსი, ვირჯინიას — ათი, ჩრდილოეთ კაროლინას — ხუთი, სამხრეთ კაროლინას — ხუთი, ჯორჯიას — სამი.

თუკი რომელიმე შტატის წარმომადგენლობაში გამოცხადდება ვაკანსია, მაშინ ადგილობრივი აღმასრულებელი დაუგზავნის ამომრჩევლებს მოწვევას — შეავსონ აღნიშნული ვაკანსიები.

წარმომადგენელთა პალატა ირჩევს თავის სკიპერს და სხვა თანამდებობის პირებს და მხოლოდ მას აქვს უფლება აღძრას სისხლის სამართლის საქმე იმპიჩმენტის წესით[2].

---

[1] XIV შესწორების შემდეგ (1866 წ.) გამოთქმის „სხვა დანარჩენი ადამიანებისა" ეკვივალენტურია მონა-ზანგებიც.

[2] იმპიჩმენტი — თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი ღალატის ან სხვა ხასიათის მძიმე დანაშაულის გარჩევის საგანგებო წესი, როცა წარმომადგენლობითი პალატა წაყენებს ბრალდებას, სენატი კი წარმოადგენს მოსამართლეს.

განყოფილება 3. შეერთებული შტატების სენატი წარმოდგენილი იქნება თითოეული შტატისაგან ორი სენატორით, რომელთაც აირჩევს ყოველი შტატის საკანონმდებლო კრება ექვსი წლით. ყოველ სენატორს აქვს ერთი ხმა.

პირველი არჩევნების შედეგად პირველსავე თავშეყრისას სენატორები დაუყოვნებლივ იყოფიან სამ, შეძლებისდაგვარად თანასწორ თანრიგად. პირველი თანრიგის სენატორთა ადგილები ვაკანტურად უნდა ჩაითვალოს — მეორე წლის გასვლის შემდეგ, მეორე თანრიგის სენატორთა ადგილები — მეოთხე წლის გასვლის შემდეგ და მესამე თანრიგის სენატორთა — მეექვსე წლის გასვლის შემდეგ. ასე რომ სენატორთა ერთი მესამედის არჩევა მოხდება ყოველ ორ წელიწადში. სენატორთა გადადგომისას ან სხვა მიზეზის გამო ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში, როცა რომელიმე შტატის საკანონმდებლო კრება დათხოვნილია, ასეთი შტატის აღმასრულებელ ხელისუფლებას უფლება აქვს დროებითი დანიშვნისა (სენატორის) საკანონმდებლო კრების მორიგ სესიამდე, როცა კრებამ ვაკანსიები უნდა შეავსოს.

სენატორად არჩეული ოცდაათ წელზე ნაკლებისა არ უნდა იყოს, უნდა ჰქონდეს შეერთებული შტატების მოქალაქეობის ცხრაწლიანი ხანგრძლივობა, არჩევნების მომენტში უნდა ითვლებოდეს იმ შტატის მოქალაქედ, სადაც მას ირჩევენ.

შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ითვლება სენატის თავმჯდომარედ, მაგრამ ხმის უფლების გარეშე, გამონაკლისი ხდება მაშინ, როცა სენატორთა ხმა თანაბრად იყოფა.

სენატმა უნდა აირჩიოს თავისი სხვა თანამდებობის პირებიც, ისევე როგორც თავმჯდომარე pro tempore[1], ვიცე-პრეზიდენტის შესაცვლელად, როცა იგი ადგილზე არ იმყოფება ან როცა იგი ასრულებს შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობას.

მხოლოდ სენატს ენიჭება უფლება აღასრულოს მართლმსაჯულება სისხლის სამართლის დანაშაულის გამო პასუხისგებაში მიცემულ პირთა მიმართ. როცა სენატი ამ მიზნით შეიკრიბება, წევრებმა უნდა დადონ ფიცი ან აფირმაცია[2]. როცა ასამართლებენ შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მაშინ სხდომას უნდა უხელმძღვანელოს უმაღლესმა მოსამართლემ. რომელიმე პიროვნების დამნაშავედ აღიარებისათვის საჭიროა სენატორთა ხმების ორი მესამედი.

განაჩენი იმპიჩმენტის საფუძველზე შემოიფარგლება თანამდებობიდან გადაყენებით და შეერთებულ შტატებში პატივთან, ნდობასთან და სარგებლიანობასთან დაკავშირებული რაიმე თანამდებობის დაკავე-

---

[1] pro tempore (ლათ.) — მდგომარეობის შესაბამისად.

[2] აფირმაცია — წერილობითი ან ზეპირი დადასტურება.

ბის უფლების აღკვეთით, მაგრამ ყოველივე ამის გარდა, დამნაშავედ ცნობილი პიროვნებები უნდა მისცენ სასამართლოს და დასაჯონ კანონის შესაბამისად.

განყოფილება 4. სენატორებისა და წარმომადგენლების არჩევის დროს, ადგილსა და წესს ყოველ შტატში აკანონებს ადგილობრივი საკანონმდებლო კრება. მაგრამ კონგრესს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოსცეს ამ წესის დამადასტურებელი ან შემცველი კანონი. გამონაკლისს წარმოადგენს წესები სენატორთა არჩევის ადგილის შესახებ.

კონგრესი უნდა შეიკრიბოს სულ ცოტა წელიწადში ერთხელ და აუცილებლად დეკემბრის პირველ ორშაბათს, თუ თვით არ გამოსცემს კანონს, რომელიც დაწესებს სხვა რომელიმე დღეს.

განყოფილება 5. ყოველი პალატა თვითონვე განსჯის არჩევნების ჩატარების კანონიერებას, შეამოწმებს არჩეულთა რწმუნებებს, მათი არჩევის კანონზომიერებას. საქმეთა საწარმოებლად ყოველი პალატის უმრავლესობამ უნდა შეადგინოს ქვორუმი[1]; წევრთა საჭირო რაოდენობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომები უნდა გადატანილ იქნეს დღიდან დღეზე, პალატა უფლებამოსილია გამოუცხადებელი წევრები იძულებით მოიყვანოს, დაემუქროს სასჯელით, რომელსაც შეიმუშავებენ პალატები.

ყოველ პალატას უფლება ენიჭება განსაზღვროს თავიანთი საქმის წარმოების წესები, დასაჯოს თავისი წევრები წესრიგის დარღვევის შემთხვევაში და ხმების ორი მესამედით გარიცხოს კიდეც თავისი შემადგენლობიდან.

ყოველი პალატა ვალდებულია აღრიცხოს სპეციალურ ჟურნალში თავისი მოღვაწეობა, დროდადრო უნდა გამოაქვეყნოს მათი მუშაობის ანგარიში გარდა იმ მასალებისა, რომლებიც საჭიროებენ საიდუმლოდ დაცვას. ყველა განხილულ საკითხთან დაკავშირებით ყოველი პალატის წევრმა დადებითი თუ უარყოფითი აზრი უნდა ჩაიწეროს აღნიშნულ ჟურნალში, დამსწრე წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნის შემდეგ.

არც ერთ პალატას არა აქვს უფლება კონგრესის სესიის დროს გადასდოს თავისი სხდომები სამ დღეზე მეტად, მეორე პალატის თანხმობის გარეშე და არა აქვს უფლება გადაიტანოს სხდომები იმ ადგილიდან, სადაც უნდა ჩატარდეს ორივე პალატის სხდომა.

განყოფილება 6. სენატორებსა და წარმომადგენლებს სამსაჭურისათვის უნდა მიეცეთ კანონით დადგენილი ფულადი ანაზღაურება, რომელსაც გაიღებს შეერთებული შტატების ხაზინა. არ შეიძლება მათი (სენატორებისა და წარმომადგენლების) დაპატიმრება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ჩაიდენენ ღალატს, მძიმე სისხლის სამართ-

[1] ქვორუმი — განსაზღვრავს სხდომაზე დამსწრე პალატის წევრთა რაოდენობას, რაც აუცილებელია უფლებამოსილი გადაწყვეტილების მისაღებად.

ლის დანაშაულს და დაარღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. არ შეიძლება მათი დაპატიმრება შესაბამისი პალატის სხდომაზე მუშაობაში მონაწილეობისას ან მაშინ, როცა სხდომაზე მიდიან ან სხდომიდან ბრუნდებიან. პალატის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვებისათვის და კამათში მონაწილეობისათვის მათთვის პასუხის მოთხოვნა სხვაგან სადმე არ შეიძლება.

არც ერთი სენატორი და წარმომადგენელი არ შეიძლება დაინიშნოს, მისი საარჩევნო ვადის განმავლობაში, შეერთებული შტატების რომელიმე სამოქალაქო თანამდებობაზე, თუ ეს თანამდებობა შექმნილია ან მასთან დაკავშირებული ხელფასი გაზრდილია აღნიშნულ ვადაში. შეერთებულ შტატებში თანამდებობის მქონე არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს რომელიმე პალატის წევრი, სანამ მას ეს თანამდებობა უჭირავს.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ა 7. გადასახადთა აკრეფის შესახებ ყველა ბილის მიღება შეუძლია მხოლოდ წარმომადგენელთა პალატას. სენატს შეუძლია წინადადება შეიტანოს ამ ბილებში ცვლილებათა შეტანის შესახებ და მონაწილეობა მიიღოს ამ ბილების, ისევე როგორც სხვა ბილების, განხილვაში.

წარმომადგენელთა პალატისა და სენატის მიერ დამტკიცებული ყოველი ბილი, კანონის უფლების მოპოვებამდე უნდა წარედგინოს შეერთებული შტატების პრეზიდენტს. იგი ბილზე თავის თანხმობას ხელმოწერით ადასტურებს. უარის შემთხვევაში ბილი პრეზიდენტის უარყოფითი მოსაზრებებით უბრუნდება იმ პალატას, რომელმაც იგი შეადგინა. პალატამ თავის ჟურნალში უნდა შეიტანოს ყველა შედავება და შეუდგეს ბილის გადასინჯვას. თუ ხელახალი განხილვის შემდეგ აღნიშნული პალატის ორი მესამედი დაამტკიცებს ბილს, მაშინ მას მედავეებთან ერთად გადაგზავნიან მეორე პალატაში, რომელმაც ასევე ხელახლა უნდა განიხილოს იგი და თუ აქაც მას დაამტკიცებენ ხმების ორი მესამედის ძალით, იგი (ბილი) კანონად იქცევა. ამ შემთხვევაში ორივე პალატაში კენჭისყრა ხდება. დადებითი და უარყოფითი ხმა შეიტანება თითოეული პალატის მიერ თავიანთ ჟურნალებში. თუ რომელიმე ბილი პრეზიდენტის მიერ დაბრუნებული არ იქნება წარდგენიდან ათი დღის განმავლობაში (კვირა დღეების გამოკლებით), მაშინ იგი ჩაითვლება პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ კანონად. თუ ბილის დაბრუნება არ შეიძლება კონგრესის სხდომების განვადების გამო, მაშინ მას კანონად ვერ მიიჩნევენ.

ყველა განკარგულება (მითითება) რეზოლუცია ან კენჭისყრა, რომლისთვისაც საჭიროა სენატისა და წარმომადგენლობითი პალატის ერთობლივი მონაწილეობა (იმის გამოკლებით, რაც სხდომათა განვადებას შეეხება) უნდა წარედგინოს შეერთებული შტატების პრეზიდენტს და მხოლოდ მისი თანხმობით შევლენ ისინი ძალაში. მისი (პრეზიდენ-

ტის) უარის შემთხვევაში საჭიროა მათი ხელახალი დამტკიცება სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ორი მესამედის მიერ შესაბამისად იმ წესებისა და შეზღუდვებისა, რომელიც დადგენილია ბილების მიმართ.

განყოფილება 8. კონგრესს უფლება აქვს: გაწეროს და აკრიფოს ბაჟები, გადასახადები, გამოსაღები, აქციები, იმისათვის, რომ გადაიხადოს ვალები, განახორციელოს საერთო თავდაცვითი და შეერთებული შტატების საერთო კეთილდღეობისათვის საჭირო ღონისძიება. ამასთანავე ყველა გამოსაღები, გადასახადი და საბაჟო ბაჟი შეერთებული შტატისთვის ერთნაირი უნდა იყოს:

აიღოს შეერთებული შტატების კრედიტისათვის საჭირო სესხი.

მოახდინოს უცხო ქვეყნებთან, ცალკეულ შტატებს შორის და ინდიელ ტომებთან ვაჭრობის რეგულირება;

დააწესოს ერთნაირი წესები ნატურალიზაციისათვის და ერთნაირი კანონები გაკოტრების შესახებ შეერთებული შტატების ერთიანი მასშტაბით;

მოჭრას ფული, აწარმოოს მისი და უცხოური მონეტის ღირებულების რეგულირება, დაადგინოს ზომა-წონის ნორმები;

მიიღოს ზომები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების და შეერთებულ შტატებში ბრუნვაში მყოფი მონეტების გაყალბების წინააღმდეგ.

დააწესოს საფოსტო სამსახური (კანტორები) და შექმნას დიდი საფოსტო კომუნიკაციები (გზები), ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და ხელოვნების სასარგებლო დარგების განვითარებას. უზრუნველყოს გარკვეული ვადით ავტორთა და გამომგონებელთა განსაკუთრებული უფლებები მათ გამოგონებასა და აღმოჩენებზე;

შექმნას უმაღლესი სასამართლოსადმი დაქვემდებარებული სასამართლო ორგანოები;

განსაზღვროს ის, თუ რა ჩაითვლება საზღვაო მეკობრეობად, ღია ზღვაში ჩადენილ დანაშაულად, საერთაშორისო სამართლის დარღვევად და დააწესოს მათ მიმართ სასჯელი;

გამოაცხადოს ომი, გასცეს საკაპერო მოწმობები[1] და ნებართვები მოწინააღმდეგეთა მიერ ხელში ჩაგდებული გემების უკანდასაბრუნებლად და ხმელეთსა და ზღვაზე ნადავლის მოსაპოვებლად;

შეადგინოს და შეინახოს არმია. მაგრამ ამ საქმისათვის გამოყოფილი ფულადი თანხების გაღება შეიძლება მხოლოდ ორი წლის ვადით.

ააგოს და შეინახოს ფლოტი;

---

[1] საკაპერო მოწმობები—ანუ კერძო შეიარაღებული გემების მეპატრონეთათვის მტრისა და ნეიტრალური ქვეყნების სავაჭრო გემებზე თავდასხმის წერილობითი ნებართვა. კაპერობა აიკრძალა 1856 წელს პარიზის ტრაქტატით.

შეიმუშაოს და გამოსცეს სახმელეთო და საზღვაო ძალების ამორტიზაციისა (მართვისა) და ორგანიზების წესები;

მოიწვიოს მილიცია (ეროვნული გვარდია) კავშირის კანონების დასაცავად, აჯანყებათა ჩასახშობად და თავდასხმის მოსაგერიებლად;

განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი მილიციის იმ შენაერთების ორგანიზებისათვის, შეიარაღებისათვის, დისციპლინარული გაწვრთნისათვის და გამგებლობისათვის, რომელიც გამოყენებული იქნება შეერთებული შტატების სამსახურისათვის. ყოველ შტატს რჩება ოფიცერთა დანიშვნისა და კონგრესის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად მილიციის გაწვრთნის უფლება;

ისარგებლოს ყველა შემთხვევაში განსაკუთრებული საკანონმდებლო უფლებებით ამა თუ იმ შტატის მიერ შემოთავაზებულ იმ ოლქში (რომლის ფართობი არ აღემატება ათ კვ. მილს) [1], რომელიც რომელიმე შტატის მხრივ დათმობის შედეგად და კონგრესის გადაწყვეტილებით შეერთებული შტატების მთავრობის ადგილსამყოფელი გახდება, ასევე განახორციელოს მსგავსი ხელისუფლება ფორტების, სახაზინოს, მაღაზიების (საწყობების), არსენალების, დოკების, საამირბაროების და სხვა საჭირო შენობათა ასაგებად მის მიერ რომელიმე შტატის საკანონმდებლო კრების თანხმობით შეძენილ ყველა ტერიტორიაზე;

გამოსცეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის ან რომელიმე მისი დეპარტამენტისათვის ან თანამდებობის პირისათვის აღნიშნული კონსტიტუციის ძალით მინიჭებული ზემოაღნიშნული და საერთოდ ყველა სხვა უფლების საფუძველზე შექმნილი ყველა გამოსაყენებელი აუცილებელი და შესაფერისი კანონი.

განყოფილება 9. კონგრესს 1808 წლამდე არ შეუძლია აკრძალოს ადგილგადანაცვლება და შემოყვანა ისეთი პირებისა [2], რომელთა მიღებაზეც დათანხმდება რომელიმე ამჟამად არსებული შტატთაგანი. მაგრამ ასეთ შემოყვანაზე შეიძლება თითოეულ ადამიანზე არა უმეტეს ათი დოლარის ოდენობის ნიხრის ან ბაჟის დადება.

პირადი თავისუფლებისაქტის (Writ of habeas corpus) ძალით დადგენილი უფლებების თუნდაც მცირე ხნით შეჩერება დაუშვებელია, თუ ამას არ მოითხოვს საზოგადოებრივი უშიშროება აჯანყების ან მტრის შემოჭრის შემთხვევაში. იკრძალება სახელმწიფო დანაშაულისათვის დასჯის ბილის გამოქვეყნება (შერისხვის ბილის[3]) და უკუქცევითი ძალის მქონე კანონების[4] მიღება.

---

[1] საგზაო სახაზო მილი უდრის 1609, 34 მეტრს.

[2] იგულისხმებიან მონა-ზანგები.

[3] შერისხვის ბილი (Bill of A'ttainder) — სასამართლოს გარეშე რეპრესიის კანონი.

[4] კანონი ex post facto — კანონი, რომელსაც უკუქცევითი ძალა აქვს.

დაუშვებელია სულადი ან სხვა პირდაპირი გადასახადით მოსახლეობის დაბეგვრა თუ არ ცენზთან და მოსახლეობის ზემოაღნიშნული წესით განხორციელებულ აღწერასთან შესაბამისობის გარეშე.

იკრძალება რომელიმე შტატიდან გატანილი საქონლის ბაჟებით ან გადასახადებით დაბეგვრა[1].

იკრძალება ერთი შტატის ნავსადგურისთვის სხვა რომელიმე შტატის ნავსადგურთან შედარებით უპირატესობის მინიჭება, რაიმე სავაჭრო ან ფინანსური დადგენილების საფუძველზე, ხოლო რომელიმე შტატში მიმავალი ან მისი ნავსადგურიდან გამოსული ხომალდები არ შეიძლება ვაიძულოთ შეევიდნენ სხვა შტატის ნავსადგურში, გახიტვირთონ იქ და გადაიხადონ ბაჟი.

ხაზინიდან შეიძლება გამოტანილ იქნას მხოლოდ ის თანხა, რომლის დანიშნულება განსაზღვრულია კანონის მიერ. დროდადრო საჭიროა სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის დაწვრილებითი ანგარიშის გამოქვეყნება.

შეერთებულ შტატებს არა აქვს აზნაურთა ტიტულების გაცემის უფლება, ხოლო მას, ვისაც უჭირავს შტატებში სარგებლობის მომტანი ან ნდობაზე დამყარებული თანამდებობა. არ შეუძლია რომელიმე მეფისაგან, პრინცისაგან ან სახელმწიფოსაგან მიიღოს რაიმე საჩუქარი, ხელფასი, თანამდებობა ან ტიტული კონგრესის ნებართვის გარეშე.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 10. არც ერთ შტატს არა აქვს უფლება: დადოს ტრაქტატები, შევიდეს კავშირში ან კონფედერაციაში; გასცეს საკაპერო მოწმობა ან მოწინააღმდეგის მიერ მიტაცებული ხომალდების უკან დაბრუნების ნებართვა; მოჭრას მონეტა; გამოუშვას საკრედიტო ბილეღები; ვალის გადასახდელად გამოყოს რაიმე სხვა, ოქროსა და ვერცხლის მონეტის გარდა; გამოსცეს ბილი სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში დასჯის შესახებ; უკუქცევითი ძალის მქონე კანონები ან ისეთი კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ ხელშეკრულებათა დარღვევას; გასცეს რაიმე აზნაურული ტიტული.

არც ერთ შტატს არა აქვს უფლება: კონგრესის ნებართვის გარეშე შემოსატან ან გასატან საგნებზე დააწესოს რაიმე ბაჟი ან გადასახადი: გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ ოდენობის ფარგლებში, რომელიც აუცილებლად საჭიროა მეთვალყურეობის შესახებ შტატების კანონების სისრულეში მოყვანისთვის. შტატში შემოსატანი და გასატანი საგნების დაბეგვრის შედეგად მიღებული ყოველგვარი სუფთა მოგება მიდის შეერთებული შტატების ხაზინის სასარგებლოდ; ამ რიგის ყველა

[1] აკრძალვა ადრე ვრცელდებოდა ერთი შტატიდან მეორე შტატში გატანილ საქონელზე.

კანონის გადასინჯვისა და მასზე კონტროლის უფლება ენიჭება მხოლოდ კონგრესს.

კონგრესის ნებართვის გარეშე არც ერთ შტატს არა აქვს უფლება: დააწესოს რაიმე ბაჟები სახმალდო ტვირთზე, იყოლიონ მშვიდობიან პირობებში ჯარი და სამხედრო ხომალდები, დადონ რაიმე ხელშეკრულება ან შეთანხმება სხვა შტატთან ან უცხო მთავრობასთან, დაიწყონ ომი, როცა მტერი თავს არ დაგვსხმია, როცა არ არსებობს ისეთი რეალური საფრთხე თავდასხმისა, რომელიც დაგვიანებას ვერ ითმენს.

მ უ ხ ლ ი II

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა I. აღმასრულებელი ხელისუფლება ენიჭება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. მას თანამდებობა უნდა ეკავოს ოთხი წლის განმავლობაში, ხოლო მისი და ასეთივე ვადით ვიცე-პრეზიდენტის არჩევა უნდა ტარდებოდეს შემდეგი წესის მიხედვით:

ყოველი შტატი ამომრჩევლებს ნიშნავს იმ წესით, რომელსაც დაადგენს მისი საკანონმდებლო კრება და იმ რაოდენობით, რომელიც უტოლდება იმ სენატორთა და წარმომადგენელთა რაოდენობას, რომელთა კონგრესში გაგზავნაზე იგი (შტატი) უფლებამოსილია; ამომრჩევლად არ დაინიშნება არც სენატორი და არც წარმომადგენელი, არც ის, ვისაც შეერთებულ შტატებში უჭირავს რაიმე სარგებლობის მომტანი ან ნდობაზე დაფუძნებული თანამდებობა.

ამომრჩევლები იკრიბებიან თავიანთ შტატებში და კენჭისყრის საშუალებით ხმას აძლევს ორ პიროვნებას, რომელთა შორის ერთი მაინც არ უნდა იყოს მათივე შტატში მცხოვრები პირი. ისინი (ამომრჩევლები) შეადგენენ სიას იმ პირებისა, რომლებსაც კენჭი უყარეს, და თითოეული მათგანისათვის მიცემული დადებითი ან უარყოფითი ხმების სიას. ხელმოწერილი და დამოწმებული, აგრეთვე ბეჭედდადებული სია მათ უნდა გაგზავნონ შეერთებული შტატების მთავრობის ადგილსამყოფელში, სენატის თავმჯდომარის სახელზე. სენატისა და წარმომადგენელთა პალატის თანდასწრებით სენატის თავმჯდომარე ხსნის პაკეტს დამოწმებული სიით და მხოლოდ ასეთ პირობებში ითვლის მიცემულ ხმებს. პრეზიდენტად უნდა იყოს ის, ვინც მიიღო ყველაზე მეტი ხმა, რომელიც შეადგენს ყველა დანიშნული ამომრჩევლის ხმების უმრავლესობას. თუკი რამდენიმე პირმა მიიღო ხმების ასეთი ერთნაირი უმრავლესობა და მათთვის მიცემულია ხმების ერთნაირი რაოდენობა, მაშინ წარმომადგენელთა პალატამ დაუყოვნებლივ პრეზიდენტად უნდა აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი კენჭისყრის საფუძველზე; თუკი ხმის უმრავლესობას ვერც ერთი მათგანი ვერ მიიღებს, მაშინ იგივე პალატა იგივე წესით ირჩევს პრეზიდენტს იმ ხუთი კაცისაგან, რომლებიც და-

დებითი ხმების მიხედვით შედგენილ სიაში პირველ ხუთ ადგილზე იმყოფებიან. მაგრამ პრეზიდენტის არჩევისას ხმების მიცემა უნდა მოხდეს შტატების მიხედვით ისე, რომ ყოველი შტატის წარმომადგენლობას ქონდეს ერთი ხმა. ამიტომ ქვორუმი უნდა შედგებოდეს ორი მესამედი შტატების წარმომადგენლებისაგან, ხოლო ასარჩევად საჭიროა ყველა შტატის უმრავლესობის მიღება. პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ყველა შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტად ითვლება ის, ვისაც ამომრჩევლებმა მისცეს ყველაზე მეტი ხმა. მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ ერთნაირი რაოდენობის ხმები მიიღო ორმა ან რამდენიმე პირმა, მაშინ სენატმა კენჭისყრით უნდა აირჩიოს ვიცე-პრეზიდენტად ერთი მათგანი)[1].

კონგრესს შეუძლია განსაზღვროს ამომრჩეველთა დანიშვნის დრო და მათ მიერ ხმის მიღების დღე, რომელიც საერთო იქნება შეერთებული შტატისათვის.

პრეზიდენტის პოსტზე შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ ის, ვინც დაიბადა, როგორც შეერთებული შტატების მოქალაქე ან ის. ვინც იყო მისი მოქალაქე კონსტიტუციის დამტკიცების დროს. ამ პოსტზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს ის, ვისაც არ მიუღწევია 35 წლისათვის და არ უცხოვრია შეერთებულ შტატებში უწყვეტად თოთხმეტი წლის მანძილზე.

პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენების, სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში ან როცა მას აღარ ძალუძს ისარგებლოს უფლებებით და აღასრულოს მისი თანამდებობის მოვალეობანი. მას ცვლის ვიცე-პრეზიდენტი. პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების, მათი სიკვდილის ან პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის უუნარობის შემთხვევაში. კონგრესს შეუძლია გამოაქვეყნოს კანონი, რომლითაც დადგინდება ის, თუ ასეთ შემთხვევაში რომელი თანამდებობის პირს შეუძლია შეცვალოს პრეზიდენტი; ამ პირმა უნდა შეცვალოს პრეზიდენტი, სანამ არ აღმოიფხვრება ამ უკანასკნელის თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი ან სანამ არ აირჩევენ ახალ პრეზიდენტს.

პრეზიდენტმა უნდა მიიღოს თავისი სამსახურისათვის დანიშნულ ვადებში გასამრჯელო, რომლის გაზრდა ან შემცირება მისი არჩევის ვადის განმავლობაში არ შეიძლება. იგი აღნიშნულ პერიოდში ვერ მიიღებს სხვა რაიმე ფულად ანაზღაურებას ვერც შეერთებული შტატებიდან და ვერც ერთი რომელიმე მათგანისაგან.

პრეზიდენტი, სანამ იგი თავის მოვალეობათა აღსრულებას შეუდგება, დებს შემდეგ ფიცს ან აფირმაციას: „მე საზეიმო ფიცს ვდებ (ან

---

[1] ფრჩხილებში ჩასმული დადგენილება შეიცვალა კონსტიტუციის XII შესწორების საფუძველზე.

ვამტკიცებ), რომ პატიოსნად აღვასრულებ შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობას და ძალ-ღონეს არ დავზოგავ შეერთებული შტატების კონსტიტუციის დასაცავად".

განყოფილება 2. პრეზიდენტი წარმოადგენს შეერთებული შტატების არმიის, ფლოტისა და შეერთებული შტატების ნამდვილ სამსახურში მოწვეული ცალკეული შტატების მილიციის მთავარსარდალს. მას შეუძლია ყველა ადმინისტრაციული დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირს მოსთხოვოს წერილობითი მოსაზრება მათ კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხთან დაკავშირებით. მას აქვს განაჩენის სისრულეში მოყვანის გადადებისა და შეერთებული შტატების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შეწყნარების უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აღძრულია სისხლის სამართლის საქმე (იმპიჩმენტი).

მას ენიჭება უფლება: სენატის რჩევითა და მისივე დასტურით დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებას მხარს უჭერს სენატის სხდომაზე დამსწრე სენატორთა ორი მესამედი; სენატის რჩევითა და თანხმობით დანიშნოს ელჩები, კონსულები, და სხვა სრულუფლებიანი წარმომადგენლები, უმაღლესი სასამართლოს წევრები და შეერთებული შტატების ყველა სხვა თანამდებობის პირი, რომელთა დანიშვნის შესახებ კონსტიტუციაში არავითარი სხვა დადგენილება არაა შეტანილი და რომელთა თანამდებობები დადგენილია კანონის მიერ. კონგრესს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ, კანონის ძალით, დაბალი თანამდებობის პირების დანიშვნის უფლება მიანიჭოს ან მხოლოდ პრეზიდენტს, ან სასამართლოებს და დეპარტამენტების უფროსებს.

პრეზიდენტი უფლებამოსილია შეავსოს ყველა ვაკანსია, რომელიც სახეზე იქნება სენატის სესიებს შორის, ამასთან იგი თანამდებობრივ რწმუნებებს ანიჭებს სენატის მომავალი უახლოესი სესიის დამთავრებამდე.

განყოფილება 3. პრეზიდენტმა კონგრესს პერიოდულად უნდა წარუდგინოს ცნობები კავშირის მდგომარეობის შესახებ და შესთავაზოს მას ის ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება მას აუცილებლად და სასარგებლოდ მიაჩნია. საგანგებო შემთხვევაში იგი იწვევს ორივე პალატას ან ერთ მათგანს. როცა სესიების მუშაობის გადავადებასთან დაკავშირებით ორ პალატას შორის წარმოიშობა უთანხმოება, მაშინ იგი (პრეზიდენტი) თვითონვე გააგრძელებს სესიების მოწვევის ვადას, საკუთარი შეხედულებისამებრ. იგი ღებულობს ელჩებს და სხვა სრულუფლებიან წარმომადგენლებს; უზრუნველყოფს კანონების ზუსტად დაცვას და განსაზღვრავს შეერთებული შტატების ყველა თანამდებობის პირის რწმუნებებს.

განყოფილება 4. პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და შეერ-

ებული შტატების ყველა სამოქალაქო თანამდებობის პირი გადაყენებულ იქნება), თუკი მათ სამართალში მისცემენ იმპიჩმენტის წესით ღალატის, მექრთამეობის ან სხვა დიდი დანაშაულისა და შეცდომის გამო.

მუხლი III

განყოფილება 1. სასამართლო ხელისუფლებას შეერთებულ შტატებში აღასრულებს უმაღლესი სასამართლო და ის დაბალი სასამართლოები, რომლებსაც დროდადრო შექმნის კონგრესი. როგორც უმაღლესი სასამართლოს, ასევე დაბალი სასამართლოს მოსამართლეები თავის თანამდებობაზე რჩებიან, სანამ მათი საქმიანობა უმწიკვლოა; ისინი განსაზღვრულ ვადებში ღებულობენ გასამრჯელოს, რომლის შემცირება არ შეიძლება. სანამ ისინი ადგილზე რჩებიან.

განყოფილება 2. სასამართლო ხელისუფლება ვრცელდება: ყველა საქმეზე, რომელიც განიხილება აღნიშნული კონსტიტუციის ან შეერთებული შტატების კანონებით ანდა შეერთებული შტატების მიერ დადებული საერთაშორისო ტრაქტატებიდან გამომდინარე კანონებისა და სამართლიანობის საფუძველზე; ყველა საქმეზე, რომელიც შეეხება ელჩებს, სხვა სრულუფლებიან წარმომადგენლებსა და კონსულებს; ყველა საქმეზე, რომელიც შეეხება საამირბაროს და საერთო საზღვაო იურისდიქციას; ყველა დავაზე, რომელშიც ერთ-ერთ მოდავე მხარეს წარმოადგენს შეერთებული შტატები; დავაზე, რომელიც ატყდება ორ ან მეტ შტატს შორის, შტატსა და მეორე შტატის მოქალაქეთა შორის. სხვადასხვა შტატის მოქალაქეებს შორის, ერთი შტატის მოქალაქეთა შორის... ერთი მხრივ, შტატსა და მის მოქალაქეთა, მეორე მხრივ, უცხო სახელმწიფოებსა, მოქალაქეთა ან ქვეშევრდომთა შორის.

უმაღლეს სასამართლოს ეკუთვნის თავდაპირველი იურისდიქცია. (პირველი ინსტანცია), ყველა საქმეში, რომელიც შეეხება ელჩებს, სხვა სრულუფლებიან წარმომადგენლებსა და კონსულებს და იმ საქმეებში, რომელშიც შტატი წარმოადგენს ერთ-ერთ მოდავე მხარეს. ადრე მოხსენიებულ სხვა ყველა საქმეში უმაღლეს სასამართლოს ეკუთვნის სააპელაციო იურისდიქცია (სააპელაციო ინსტანცია).

ყველა ბოროტმოქმედება, გარდა იმისა, რომელთა წინააღმდეგ აღიძვრება სისხლის სამართლის სარჩელი (იმპიჩმენტის წესით), განსჯადია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ. სასამართლო პროცესი უნდა მოეწყოს იმ შტატში, სადაც მოხდა დანაშაული; თუ იგი ჩადენილ იქნა შტატის ფარგლებს გარეთ, სასამართლო გაიმართება იმ ადგილას ან იმ ადგილებში, რომლებსაც განსაზღვრავს კონგრესის მიერ გამოცემული კანონი.

განყოფილება 3. შეერთებული შტატებისადმი ღალატის ქვეშ

უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ მის წინააღმდეგ იარაღით ხელში აჯანყება, მისი მტრებისადმი მიმხრობა, მათთვის დახმარება და ხელისშეწყობა. მოღალატედ ჩაითვლება მხოლოდ ის, თუ კი ორი მოწმის ჩვენების საფუძველზე დაუდასტურდება ის, რომ მისი დანაშაულებრივი განზრახვა საქმედ იქცა. ან ის ბრალდებული, რომელიც სასამართლოს ღია სხდომაზე პირადად აღიარებს დანაშაულს.

კონგრესს უფლება აქვს განსაზღვროს სასჯელი ღალატის შემთხვევაში. მაგრამ საბრალდებულო დასკვნის (განაჩენის) გამოტანა ქონებაზე უფლებათა აყრის ან ჯარიმის შესახებ შეიძლება მხოლოდ ბრალდებულის სიცოცხლისას.

მ უ ხ ლ ი IV

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 1. ყოველ შტატში ნდობით უნდა მოეკიდონ და პატივი სცენ ყოველი სხვა შტატის საჯარო აქტებს, ოფიციალურ დოკუმენტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს. კონგრესს შეუძლია საერთო კანონებით დაამოწმოს ეს აქტები, დოკუმენტები, გადაწყვეტილებანი, მათი მნიშვნელობა.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 2. ყოველი შტატის მოქალაქეებს ენიჭებათ სხვა შტატის მოქალაქეთა ყველა პრივილეგია და უფლება. თუ რომელიმე შტატის მიერ ღალატში ან სხვა დანაშაულში მსჯავრდებული ადამიანი გაექცევა სასამართლოს და მას აღმოაჩენენ სხვა შტატში, მაშინ იმ შტატის, საიდანაც იგი გაიქცა, აღმასრულებელ ხელისუფალთა მოთხოვნით იგი უნდა დააბრუნონ უკან და გადასცენ ამ შტატის მართლმსაჯულებას. ამას, ვინც გაიქცევა ამ შტატიდან, სადაც მას ადგილობრივი კანონების საფუძველზე ევალებოდა რაიმე სამსახური ან სამუშაო, სხვა შტატი თავისი კანონების ან დადგენილების საფუძველზე მას ამ მოვალეობისაგან ვერ გაათავისუფლებს. იგი უნდა დააბრუნონ იმ შტატში, სადაც ევალებოდა სამსახური და მუშაობა.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 3. კონგრესს შეუძლია კავშირში მიიღოს ახალი შტატები, მაგრამ არც ერთი ახალი შტატი არ შეიძლება იყოს ორგანიზებული და დაფუძნებული სხვა რომელიმე შტატის იურისდიქციის საფუძველზე. არ შეიძლება შეიქმნას ახალი შტატი ორი ან მეტი შტატის ან შტატების ნაწილების გაერთიანების საფუძველზე, ამისათვის საჭიროა აღნიშნული შტატების საკანონმდებლო კრებებისა და კონგრესის თანხმობა.

კონგრესს უფლება ენიჭება განაგოს შეერთებული შტატების კუთვნილი ტერიტორიები ან სხვა საკუთრება, დაადგინოს მათი ხელმძღვანელობის წესები. წინამდებარე კონსტიტუციაში არაფერი არ უნდა გა-

ვიზიაროთ შეერთებული შტატების ან ერთი შტატის უფლებათა დარღვევის გაგებით.

განყოფილება 4. შეერთებულმა შტატებმა კავშირში შეტანილ ყოველ შტატისათვის უნდა უზრუნველყოს მმართველობის რესპუბლიკური ფორმა და უნდა დაიცვას ყოველი შტატი მტრის შემოსევისაგან, ხოლო საკანონმდებლო კრების ან აღმასრულებელი ხელისუფლების (როცა ვერ ხერხდება საკანონმდებლო კრების მოწვევა) თხოვნით უნდა დაიცვან ყოველი შტატი შინაგანი ძალმომრეობისაგან.

მუხლი V

თუ ორივე პალატის წევრთა ორი მესამედი აუცილებლად ჩათვლის, მაშინ კონგრესმა ამ კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის წინადადება უნდა წამოაყენოს ან ორი მესამედი შტატების საკანონმდებლო კრებების თხოვნით კონგრესმა უნდა მოიწვიოს კონვენტი, რომელიც წარმოადგენს შესწორებებს, რომლებსაც ორივე შემთხვევაში ექნებათ ავალდებულო ძალა, როგორც წინამდებარე კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილებს. ეს მოხდება სამი მეოთხედი შტატების საკანონმდებლო კრებების ან კონვენტების მიერ ამ შესწორებათა დამტკიცების შემთხვევაში, რადგანაც დამტკიცების ორივე წესი შეიძლება განსაზღვროს კონგრესმა. 1808 წლამდე მიღებული არც ერთი შესწორება არ უნდა შეეხოს პირველი მუხლის მეცხრე განყოფილების პირველ და მეოთხე დადგენილებას. ვერც ერთ შტატს, მისი თანხმობის გარეშე, ვერ ჩამოვართმევთ სენატში სხვა შტატებთან თანასწორი ხმის უფლებას.

მუხლი VI

ამ კონსტიტუციის დამტკიცებამდე აღებული ყველა ვალი, ყველა დადებული პირობა, შეერთებული შტატებისათვის სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს აღნიშნული კონსტიტუციის დროსაც, ისევე როგორც ისინი სავალდებულო იყვნენ კონფედერაციის დროს.

ეს კონსტიტუცია და მის აღსასრულებლად შეერთებულ შტატებში გამოქვეყნებული შესასრულებელი და სავალდებულო კანონები, ასევე შეერთებული შტატების მიერ დადებული ან მომავალში დასადები ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება უნდა ჩაითვალოს ქვეყნის უზენაეს კანონად, ხოლო ყველა შტატის მოსამართლე უნდა დაემორჩილოს ამ კანონს მაშინაც კი, როცა იგი ეწინააღმდეგება რომელიმე შტატის დადგენილებას, კონსტიტუციას ან კანონს.

ადრე მოხსენებული სენატორები და წარმომადგენლები, ისევე როგორც სხვადასხვა შტატის საკანონმდებლო კრების წევრები, როგორც

შეერთებული შტატების, ასევე ცალკეული შტატების ადმინისტრაციისა და სასამართლოს თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან დასდონ ან ფიცი, ან აფირმაცია, რომ მხარს დაუჭერენ ამ კონსტიტუციას. არ შეიძლება შეერთებულ შტატებში თანამდებობის ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების აუცილებელ პირობად მოვითხოვოთ რომელიმე სარწმუნოების აღიარება

მ უ ხ ლ ი VII

ცხრა შტატის კონვენტის მიერ დამტკიცება უნდა ჩაითვალოს საკმარისად ამ კონსტიტუციის შემოსაღებად იმ შტატებში, რომლებმაც იგი ამ წესით დაამტკიცეს.

დამტკიცებულია კონვენტზე დამსწრე[1] შტატების მიერ, ერთხმად, ჩვიდმეტ სექტემბერს, ქრისტეს დაბადებიდან 1787 წელს და ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის მეთორმეტე წლისთავზე, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

ჯ ო რ ჯ ვ ო შ ი ნ გ ტ ო ნ ი,
პრეზიდენტი და დეპუტატი ვირჯინიიდან

[1, გვ. 429—436], [5, გვ. 178—190]

კონგრესის მიერ შემუშავებული და შტატების საკანონმდებლო კრებების მიერ რატიფიცირებული ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესწორებები და დამატებანი (შემოკლებით)

შ ე ს წ ო რ ე ბ ა I. კონგრესმა არ უნდა გამოსცეს რომელიმე რელიგიის დამაწესებელი ან საერთოდ რელიგიის თავისუფალი აღსარების აკრძალავი კანონი — სიტყვის, ბეჭდვის, თავისუფლების, ხალხის მშვიდობიანი თავშეყრის, ბოროტმოქმედებათა აღკვეთის შესახებ მთავრობისადმი პეტიციების წარდგენის შემზღუდავი რაიმე კანონი.

შ ე ს წ ო რ ე ბ ა II. რადგანაც თავისუფალი სახელმწიფოს უშიშ-

---

[1] როდ-აილენდის შტატის წარმომადგენლები კონვენტში არ იყვნენ. ზოგმა დელეგატმა დატოვა კონვენტი კონსტიტუციის განხილვის დამთავრებამდე, ზოგმა ბოლომდე მიიღო მონაწილეობა კონვენტის საქმიანობაში, მაგრამ ხელის მოწერაზე უარი თქვა. კონსტიტუციას ხელი მოაწერა შტატების 39 წარმომადგენელმა, ესწრებოდა 55 (სულ შტატებმა დანიშნეს 65 დელეგატი). პირველად კონსტიტუცია მოიწონა დელავერის შტატმა. 1788 წლის 21 ივნისს კონსტიტუცია მოიწონა ნიუ-ჰემპშირის შტატმა. ეს უკვე მეცხრე შტატი იყო, რომელმაც ცნო კონსტიტუცია. აბის შემდეგ კონსტიტუცია ძალაში შევიდა. უკანასკნელი შტატი, რომელმაც კონსტიტუცია ცნო, იყო როდ-აილენდი (1790 წ. 29 მაისი).

როებისათვის აუცილებელია კარგად შეიარაღებული მილიცია (ეროვნული გვარდია), ამიტომ ხალხს არ უნდა წაერთვას იარაღის ქონებისა და ტარების უფლება.

შესწორება III. მშვიდობიან დროს არ შეიძლება ჯარისკაცთა რომელიმე სახლში ჩასახლება პატრონის თანხმობის გარეშე. ომის დროს ჩასახლება დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ პირობებში.

შესწორება IV. არ შეიძლება დარღვევა ხალხის იმ უფლებისა, რომელიც ყველა პიროვნებას, სახლს, ქაღალდებს და ნივთებს იცავს უსაფუძვლო ჩხრეკისა და ხელში ჩაგდებისაგან, ხოლო განკარგულებანი ჩხრეკისა და დაპატიმრების შესახებ უნდა გაიცეს მხოლოდ დამაჯერებელი ფიცითა და აფირმაციით განმტკიცებული მოტივების საფუძველზე. მათში ზუსტად უნდა იქნეს აღნიშნული ჩხრეკის ჩატარების აუგილი, ნაჩვენები უნდა იქნეს დასაკავებელი პიროვნება და ნივთები.

შესწორება V. სისხლის სამართლის და სხვა რაიმე შემარცხვენელი დანაშაულის შემთხვევაში არ შეიძლება ვისიმე სამართალში მიცემა, ნაგულ მსაჯულთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და ბრალდების გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება საზღვაო და სახმელეთო ძალების ან მილიციის წარმომადგენლებს. როცა ისინი ომის ან საზოგადოებრივი საფრთხის დროს იმყოფებიან ნამდვილ სამსახურში; ერთი და იმავე საქმის გამო ორჯერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლება; არ შეიძლება ვინმე აიძულო მისცეს ჩვენება, როგორც მოწმემ საკუთარი სურვილის გარეშე; არ შეიძლება ვინმეს წაერთვას სიცოცხლე, თავისუფლება ან ქონება კანონიერი სასამართლო საქმის წარმოების გარეშე; კანონიერი ანაზღაურების გარეშე არ შეიძლება რაიმე კერძო საკუთრების საზოგადოებრივი სარგებლობისათვის ჩამორთმევა.

შესწორება VI. სისხლის სამართალში მიცემულ პირთა პიროვნებას უფლება აქვს მოითხოვოს იმ შტატის ან ოლქის მიუკერძოებელ ნაფიც მსაჯულთა სწრაფი და საჯარო სასამართლო, სადაც ჩადენილ იქნა ნავარაუდევი დანაშაული, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს. გააცნონ მას ბრალდების ხასიათი და მოტივები და პირისპირ წაუყენონ მოწმე, რომელიც მის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს მისთვის სასარგებლო მოწმეების გამოძახება და ისარგებლოს ადვოკატის რჩევებით.

შესწორება VII. საერთო სამართალს დაქვემდებარებულ სასამართლო საქმეებზე, რომელთა სარჩელის ღირებულება არ აღემატება 20 დოლარს, ძალაში რჩება ნაფიცთა სასამართლო. ნაფიცთა მიერ განხილული არც ერთი ფაქტი არ უნდა გადაისინჯოს შეერთებული შტატების რომელიმე სასამართლოს მიერ, თუ არა საერთო სამართალი დებულებათა საფუძველზე.

შესწორება VIII. იკრძალება ძალზე დიდი საწინდრის მოთხოვნა, ზედმეტად დიდი ჯარიმების გადახდევინება, მკაცრი და უჩვეულო სასჯელების დადება.

შესწორება IX. კონსტიტუციაში ჩამოთვლილი ზოგიერთი უფლება არ უნდა გავიგოთ, როგორც უარყოფა ან დამცირება იმ უფლებებისა, რომლებიც რჩება ხალხის კუთვნილებად.

შესწორება X. უფლებები, რომლებსაც შეერთებული შტატების კონსტიტუცია არ ითვალისწინებს და რომლებითაც სარგებლობის უფლებას იგი შტატებს არ ართმევს, რჩება შტატებისა და ხალხის კუთვნილებად [1].

შესწორება XI [2]. შეერთებული შტატების სასამართლო არ უნდა ვავიგოთ როგორც ხელისუფლება, რომელიც ვრცელდება რაიმე სასამართლო საქმეზე, რომელიც წამოყენებულია შეერთებული ერთ-ერთი შტატის წინააღმდეგ რომელიმე შტატის მოქალაქეების ან უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების მიერ.

შესწორება XII. ამომრჩევლები იკრიბებიან თავიანთ შტატებში და კენჭისყრის საშუალებით ირჩევენ პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს, რომელთა შორის ერთ-ერთი მაინც არ უნდა იყოს ამომრჩეველთა შტატის მცხოვრები. მათ (ამომრჩევლებმა) თავიანთ საარჩევნო ბარათებში უნდა დაასახელონ ის პირი, რომელსაც ირჩევენ პრეზიდენტად, ხოლო სპეციალურ ბარათებში კი ის პირი, რომელსაც ირჩევენ ვიცე-პრეზიდენტად. მათ უნდა შეადგინონ ცალკე სიები ყველა იმ პირისთვის, რომლებსაც ხმა მისცეს პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად და ყველა იმ პირისთვის, რომელსაც ხმა მისცეს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად. საჭიროა აღინიშნოს თითოეულისათვის მიცემული ხმების რიცხვი. ხელმოწერილი და დამოწმებული ეს სიები უნდა გადაიგზავნოს შეერთებული შტატების მთავრობის ადგილსამყოფელში სენატის თავმჯდომარის სახელზე. სენატის თავმჯდომარე სენატისა და წარმომადგენელთა პალატის თანდასწრებით ხსნის ყველა წერილობით დოკუმენტს, ამის შემდეგ წარმოებს მიცემული ხმების დათვლა. პრეზიდენტი უნდა იყოს ის, რომელმაც პრეზიდენტის არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო, თუკი ამ ხმების რიცხვს ქმნის ყველა დანიშნული ამომრჩევლის ხმების უმრავლესობა. იმ შემთხვევაში, როცა ხმების ასეთ უმრავლესობას არ მიიღებს არც ერთი პირი, მაშინ წარმომადგენელთა პალატამ დაუყოვნებლივ უნდა აირჩიოს

---

[1] I—X შესწორება კონგრესმა შტატების საკანონმდებლო კრებებს წარუდგინა 1789 წლის 25 სექტემბერს და დამტკიცებულ იქნა 1789—1791 წლების განმავლობაში.

[2] XI შესწორება კონგრესმა წარმოადგინა 1794 წლის 5 სექტემბერს, ხოლო იმის შესახებ, რომ შტატების საკანონმდებლო კრებების სამი მეოთხედის მიერ იგი დამტკიცებულ იქნა, გამოცხადდა 1798 წლის 8 იანვარს.

კენტუკისა საფუძველზე პრეზიდენტი იმ სამი კაცისაგან, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. მაგრამ პრეზიდენტის არჩევისას ხმები უნდა მიიღებულ იქნას შტატებისაგან ისე, რომ ყოველი შტატის წარმომადგენლობას ერთი ხმა ჰქონდეს. ამ მიზნისათვის ქვორუმი დგება ორი მესამედი შტატების წარმომადგენლებისაგან, ასარჩევად კი საჭიროა ყველა შტატის უმრავლესობა. თუკი წარმომადგენელთა პალატა შემდეგი მარტისთვის, ოთხ რიცხვამდე, პრეზიდენტს ვერ აირჩევს, იმ შემთხვევაში როცა ასეთი არჩევის უფლება მას მიენდო, მაშინ ვიცე-პრეზიდენტი უნდა მოქმედებდეს პრეზიდენტის მაგიერ ისევე, როგორც პრეზიდენტის გარდაცვალების დროს ან მაშინ, როცა პრეზიდენტი უნარშოკლებულია მართოს ქვეყანა. ვიცე-პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს ის პიროვნება, ვინც ვიცე-პრეზიდენტის არჩევნებში მიიღებს ყველა დანიშნულ ამომრჩეველთა ხმების რიცხვისაგან შექმნილი ხმების უმრავლესობას. იმ შემთხვევაში, როცა ხმების ასეთ უმრავლესობას ვერ მიიღებს ვერც ერთი პიროვნება, მაშინ სენატმა უნდა აირჩიოს ვიცე-პრეზიდენტად სიის სათავეში მყოფი ორი პირთაგანი. ამისათვის ქვორუმს ქმნის სენატორთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი, ხოლო არჩევისათვის საჭიროა მათი ხმის უმრავლესობა. არ შეიძლება შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტად არჩეულ იქნას ისეთი პიროვნება, რომელიც არ აკმაყოფილებს კონსტიტუციის მიერ დადგენილ პრეზიდენტად არჩევის პირობებს[1].

შესწორება XIII. განყოფილება 1. არ შეიძლება არსებობდეს მონობა ან იძულებით მომსახურეობაში ყოფნა არც შეერთებულ შტატებში და არც იმ ადგილებში, რომლებიც მის იურისდიქციას ემორჩილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს გათვალისწინებულია, როგორც ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით დადგენილი სასჯელი.

განყოფილება 2. კონგრესს ეძლევა ამ მუხლების აღსასრულებელი სავალდებულო კანონების გამოცემის ნება[2].

შესწორება XIV. განყოფილება 1. ყველა, შეერთებულ შტატებში დაბადებული ან ის, ვინც მის მოსახლეობას მიეკუთვნა ნატურალიზაციის შედეგად და ემორჩილება მის იურისდიქციას, ითვლება შეერთებული შტატებისა და იმ შტატის მოქალაქედ, სადაც მუდმივად ცხოვრობს. არც ერთმა შტატმა არ უნდა გამოსცეს ან სისრულეში არ უნდა მოიყვანოს კანონები, რომლებიც ზღუდავენ შეერთებული შტატების მოქალაქეთა უფლებებს ან პრივილეგიებს. არც ერთ შტატს არა

---

[1] XII შესწორება კონგრესმა წარადგინა 1803 წლის 12 სექტემბერს, ხოლო მისი დამტკიცება გამოცხადდა 1804 წლის 25 სექტემბერს.

[2] XIII შესწორება კონგრესმა წარადგინა 1865 წლის 1 თებერვალს. იგი დამტკიცდა 1865 წლის 18 დეკემბერს, 36 შტატიდან შესწორებას ხმა მისცა 27 შტატმა.

აქვს უფლება წაართვას ვინმეს სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება სათანადო სასამართლო წარმოების გარეშე და არ უხდა მისცეს კანონის წინაშე უპირატესობა არც ერთს, ვინც კი მის იურისდიქციას ემორჩილება.

განყოფილება 2. წარმომადგენლები ნაწილდებიან ცალკეულ შტატებს შორის მათი მოსახლეობის შესაბამისად. ამასთან საჭიროა აღირიცხოს შტატის ყველა მაცხოვრებელი, გარდა გადასახადებით დაუბეგრავი ინდიელებისა. მაგრამ, თუ შეერთებული შტატების პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის ამომრჩეველთა დანიშვნისას ან კონგრესში წარმომადგენელთა, ადმინისტრაციულ და სხვა ხასიათის თანამდებობის პირთა, შტატის საკანონმდებლო კრების წევრების არჩევისას ხმის უფლებაზე უარს ეტყვიან მამრობითი სქესის ოცდაერთ წელს მიღწეულ შტატის მცხოვრებ შეერთებული შტატების რომელიმე მოქალაქეს, გარდა მეამბოხისა და სხვა ხასიათის დამნაშავისა, მაშინ შტატის წარმომადგენლობის რიცხვი უნდა შემცირდეს ისეთიეე შეფარდებით, როგორითაც მამრობითი სქესის ასეთ მოქალაქეთა რიცხვი შეეფარდება აღნიშნული შტატის ოცდაერთ წელს მიღწეულ მოქალაქეთა საერთო რაოდენობას.

განყოფილება 3. არ შეიძლება არჩეულ იქნას სენატორად, კონგრესში წარმომადგენლებად, პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის ამომრჩევლად ან დაიკავოს რაიმე სამოქალაქო ან სამხედრო თანამდებობა შეერთებულ შტატებში, ან რომელიმე ცალკეულ შტატში პიროვნებამ, რომელმაც კონგრესის წევრად, შეერთებული შტატების თანამდებობის პირად, რომელიმე შტატის საკანონმდებლო კრების წევრად და რომელიმე შტატის ადმინისტრაციულ თუ სასამართლო თანამდებობის პირად ყოფნისას ფიცი დადო ყოფილიყო ერთგული შეერთებული შტატების კონსტიტუციისა, შემდეგ კი მონაწილეობა მიიღო მის წინააღმდეგ აჯანყებაში ან ხელს უწყობდა მის მტრებს. მაგრამ კონგრესს შეუძლია გააუქმოს ასეთი შეზღუდვა ყოველი პალატის ორი მესამედი ხმით.

განყოფილება 4. დაეჭვებას არ უნდა იწვევდეს შეერთებული შტატების კანონით დადგენილი საზოგადოებრივი ვალის აუცილებელი უფლებამოსილება. მასვე უნდა დაემატოს ის ვალი, რომელიც აღებულია პენსიების გადასახდელად და ამბოხებების ან უკმაყოფილების ლიკვიდაციისას გაწეული სამსახურისათვის დაჯილდოების ასანაზღაურებლად. მაგრამ არც შეერთებულ შტატებს და არც რომელიმე ცალკეულ შტატს უფლება არა აქვს გადაიხადოს რაიმე ვალი ან ფულადი ვალდებულება, რომელთა წარმომავლობა დაკავშირებულია იმ დახმარებასთან, რომელიც გაუწიეს შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართულ უკმაყოფილებას ან ამბოხებას, ან ითვალისწინებენ მონების

დაკარგვასთან ან ემანსიპაციასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურებას. ყოველგვარი ასეთი ვალი, ფინანსური ვალდებულება და მოთხოვნა უკანონოდ და გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს [1].

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 5. კონგრესს უნდა მიენიჭოს უფლება გამოსცეს შესაფერისი კანონები ზემოთ მოყვანილ დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად.

შ ე ს წ ო რ ე ბ ა XV. გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 1. შეერთებულ შტატებს ან რომელიმე ცალკეულ შტატს არა აქვს უფლება წარმომავლობის, კანის ფერის ან ადრე მონად ყოფნის გამო გაუქმოს ან შეზღუდოს შეერთებული შტატების მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემაში.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა 2. კონგრესს უნდა მიენიჭოს უფლება გამოსცეს კანონები ამ მუხლის სისრულეში მოსაყვანად [2].

[1, გვ. 444—445], [5, გვ. 190—209]

---

[1] XIV შესწორება კონგრესმა წარადგინა 1866 წლის 1 თებერვალს. იგი დამტკიცდა 1868 წლის 28 ივლისს. 36 შტატიდან შესწორებას ხმა მისცა 30 შტატმა.

[2] XV შესწორება კონგრესმა წარადგინა 1869 წლის 26 თებერვალს. იგი დამტკიცდა 1870 წლის 30 მარტს. 37 შტატიდან შესწორებას ხმა მისცა 29 შტატმა.

თავი მერვე

საერთაშორისო ურთიერთობანი (1640—1789)

I. 1651 წლის სანავიგაციო აქტი (მცირედი შემოკლებით)

სრული სახელწოდება — „აქტი სავაჭრო ფლოტის გაზრდისა და ინგლისის ერის ზღვაოსნობის წახალისების შესახებ". (1651.9 ოქტომბერი)

სავაჭრო ფლოტის გაზრდისა და ერის ზღვაოსნობის წახალისებისათვის, რაც ინგლისის სახელმწიფოს კეთილდღეობისა და უშიშროების ნნიშვნელოვანი საშუალებაა, პარლამენტისა და მისი ძალაუფლების მეშვეობით დადგენილია, რომ აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში... წარმოებული ყოველი პროდუქტი და საქონელი ინგლისის სახელმწიფოში, ან ირლანდიაში, საერთოდ ინგლისის სახელმწიფოს კუთვნილ ან მის მფლობელობაში შემავალ კიდევ სხვა რომელიმე მიწაზე, კუნძულზე, პლანტაციაში ან ტერიტორიაზე 1651 წ. 1 დეკემბრიდან შეიძლება შემოზიდულ იქნას მხოლოდ იმ ხომალდით ან ხომალდებით..., რომელიც ჭეშმარიტად და უტყუარად ეკუთვნის როგორც საკუთრება და ნამდვილი მფლობელობა ინგლისის სახელმწიფოს ან მისი პლანტაციების (აქ კოლონიები) მოქალაქეებს. კაპიტანიც და მეზღვაურთა უმრავლესობა უნდა იყოს ინგლისის სახელმწიფოს ქვეშევრდომი. ამ გადაწყვეტილებათა დარღვევის შემთხვევაში შემოტანილ საქონელს მთლიანად ელის კონფისკაცია და დაკარგვა. კონფისკებული იქნება აგრეთვე ის ხომალდი (მთელი მისი აღჭურვილობითა და საკუთრებით), რომლითაც შემოტანილი იქნება ზემოაღნიშნული საქონელი ან პროდუქტი...

შემდეგ, ზემოაღნიშნული ხელისუფლების მიერ დადგენილია, რომ ევროპაში ან მის სხვა რომელიმე ნაწილში აღმოცენებული (მიწიდან), წარმოებული და გამომუშავებული ყოველი პროდუქტი და საქონელი ინგლისის სახელმწიფოში ან ირლანდიაში, საერთოდ ინგლისის სახელმწიფოს კუთვნილ ან მის მფლობელობაში შემავალ სხვა რომელიმე მიწაზე, კუნძულზე, პლანტაციაში ან ტერიტორიაზე 1651 წლის 1 დეკემბრიდან შეიძლება შემოზიდულ იქნას მხოლოდ იმ ხომალდით ან ხომალდებით..., რომელიც ჭეშმარიტად და უტყუარად ეკუთვნის, როგორც საკუთრება და ნამდვილი მფლობელობა ინგლისის სახელმწიფოს მოქალაქეებს. გამონაკლისს წარმოადგენს: უცხოური გემები და ხომალდები, რომლებიც ნამდვილად ეკუთვნის იმ ქვეყნის ან ადგილის მოქალაქეებს, სადაც აღმოცენდება (მიწიდან), იწარმოება ან გამომუშავდება

ზემოაღნიშნული საქონელი და ის ნავსადგურები, სადაც აღნიშნული საქონელი შეიძლება შეტანილ იქნას ან ჩვეულებრივ თავდაპირველად შეიტანება შემდგომი გადაზიდვისათვის. ამ გადაწყვეტილებათა დარღვევის შემთხვევაში მთელ შემოტანილ საქონელს ელის აქტის ზემო ნაწილში გათვალისწინებული იგივე კონფისკაცია და დაკარგვა.

შემდეგ, ზემოაღნიშნული ხელისუფლების მიერ დადგენილია, საზღვარგარეთ აღმოცენებული, წარმოებული და გამომუშავებული პროდუქტი ან საქონელი, რომელიც ამ სახელმწიფოში (ინგლისი და მისი სამფლობელოები) შემოზიდული უნდა იქნეს მხოლოდ მისი მოქალაქეების ხომალდებით, აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეს: მხოლოდ იმ ადგილსა და ადგილებს, ქვეყანასა და ქვეყნებს, სადაც ეს პროდუქტი ან საქონელი აღმოცენდება, იწარმოება და გამომუშავდება; ან იმ ნავსადგურებს, სადაც ისინი შეტანილ იქნება ან ჩვეულებრივ თავდაპირველად, შეიტანება შემდგომი გადაზიდვისათვის და არა სხვა რომელიმე ადგილებიდან ან ქვეყნებიდან. ამ გადაწყვეტილებათა დარღვევის შემთხვევაშიც მოქმედებს კონფისკაციისა და დაკარგვის ზემოაღნიშნული საფრთხე.

შემდეგ, ზემოაღნიშნული ხელისუფლების მიერ დადგენილია, რომ ამიერიდან ვირთევზას, ზღვის თავდიდას, ქაშაყის, სარდინის ან დამარილებული თევზის სხვა რომელიმე ჯიშის, რომელსაც ჩვეულებრივ იჭერენ და მოიპოვებენ ინგლისის ერის შვილები, ყოველგვარი ჯიშის თევზისაგან აწ მოპოვებული ან მომავალში მოსაპოვებელი თევზის ქონის (ზეთის), ვეშაპის ულვაშის ან ვეშაპის ძვლების ინგლისის სახელმწიფოში ან ირლანდიაში, ან მის კუთვნილ სხვა რომელიმე მიწაზე, კუნძულებზე, პლანტაციებზე ან ტერიტორიაზე შემოტანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი დაჭერილი და მოპოვებულია ინგლისის ერის შვილების პირდაპირ, ნამდვილ საკუთრებაში აწ თუ მომავალში კუთვნილი ხომალდებით. ზემოაღნიშნული თევზის დამზადება, ზემოაღნიშნული ქონის მოპოვება უნდა განახორციელონ მხოლოდ ინგლისის სახელმწიფოს მოქალაქეებმა. წინაღმდეგ შემთხვევაში კვლავ განხორციელდება აღნიშნული აქტის პირველ ნაწილში გათვალისწინებული სასჯელი და დაკარგვა...

[1. გვ. 48—49], [2, გვ. 10—11]

II. ხელშეკრულება ზავისა და კავშირის შესახებ ინგლისის პროტექტორ ოლივერ კრომველსა და ნიდერლანდის შეერთებულ პროვინციებს შორის, ხელმოწერილი უესტმინსტერში 1654 წ. 5 აპრილს

(რწმუნებულები: ინგლისის — კრომველი, ჰარისონი, ლამბერტი, შეერთებული პროვინციების — ბეევერნინგი, ნიუპორტი, ვანდერი, პერე, იენგსტალი).

მ უ ხ. I—IV (სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ ხმელეთსა და ზღვაზე; ომის წლებში ურთიერთწაყენებული პრეტენზიების უარყოფისა და ტყვეთა განთავისუფლების შესახებ).

მ უ ხ. V—VI (მეგობრობისა და კავშირის შესახებ შეთანხმებები მონაწილე მხარეებს შორის).

მ უ ხ. VII—IX (შეთანხმებაში მონაწილე მხარეების ვალდებულება არ მისცენ თავშესაფარი ემიგრანტებსა და მეამბოხეებს).

მ უ ხ. XIII (შეერთებული პროვინციების გემების ვალდებულება პირველებმა ჩამოუშვან დროშა ინგლისის გემებთან შეხვედრის დროს „ბრიტანეთის ზღვების რაიონში").

მ უ ხ. XVII (შეთანხმება ერთი ქვეყნის არა უმეტეს რვა გემის ერთდროული შესვლის შესახებ მეორე ქვეყნის ნავსადგურებში).

მ უ ხ. XXVII—XXIX (ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის მიერ იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მან მიაყენა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიას 1611—1652 წწ. განმავლობაში, 1623 წ. ამბოინში[1] სიკვდილით დასჯილთა ნათესავებისათვის გასამრჯელოს გაცემის შესახებ და ინგლისის კომპანიისათვის პულუ-რონის კუნძულების დაბრუნების შესახებ).

საიდუმლო მუხლი, ანუ ჰოლანდიის შტატების დეკლარაცია, რომლის თანახმად ისინი ვალდებულებას კისრულობენ ინგლისის პროტექტორის ო. კრომველის წინაშე, არ აირჩიონ პრინცი ორანელი თავის შტატჰალტერად და არ დაუშვან მისი დანიშვნა მთავარსარდლის პოსტზე, მიღებულია ჰაიაგაში 1654 წ. 4 მაისს.

(შემდეგში მოყვანილია სათაურის ანალოგიური დეკლარაციის ტექსტი).

[2, გვ. 11—12]

III. პირენეის საზავო ხელშეკრულებიდან 1659 წლის ნოემბერი (რწმუნებულები: საფრანგეთისა — კარდინალი მაზარინი, ესპანეთისა — მენდეს დე გარო)

მ უ ხ. I (აცხადებს „მყარ და მუდმივ ზავს" საფრანგეთსა და ესპანეთს შორის).

მ უ ხ. XXXV ...ნიდერლანდის მიმართ დადგენილი და შეთანხმებულია, რომ უქრისტიანესი მეფე[2] დაეუფლება და გამოიყენებს მხარეებს,

---

1623 წ. კუნძულ ამბოინზე (მოლუკის კუნძულები) ჰოლანდიელებმა სიკვდილით დასაჯეს ინგლისელი ვაჭრები. ეს ინციდენტი, რომელიც ცნობილია „ამბოინზე ხოცვა-ჟლეტის" სახელით, იყო ომამდე ერთ-ერთი დიდი შეტაკება ინგლისელებსა და ჰოლანდიელებს შორის.

[2] საფრანგეთის მეფეების ტრადიციული ტიტული.

.ქალაქებს, ოლქებს, დომენებს, მიწებს, რომლებიც მიეკუთვნება არტუას საგრაფოს (ჩამოთვლილია ქალაქები და ადგილები).

მ უ ხ. XXXVI ... ფლანდრიის პროვინციაში და საგრაფოში ზემოხსენებული უქრისტიანესი მეფე დაეუფლება და გამოიყენებს გრაველინის ოლქს.

მ უ ხ. XXXVII ...ენანის პროვინციასა და საგრაფოში ზემოხსენებული უქრისტიანესი მეფე დაეუფლება და გამოიყენებს... მხარეებს ლანდრესის და კენუას.

მ უ ხ. XXXVIII ...ლუქსემბურგის პროვინციასა და საჰერცოგოში ზემოხსენებული უქრისტიანესი მეფე დაეუფლება და გამოიყენებს... ტიონვილის, მონტ-მედისა და დამვილის მხარეებს.

მ უ ხ. LII ...დადგენილია და შეთანხმებულია, რომ ზემოხსენებული უქრისტიანესი მეფე დაეუფლება და გამოიყენებს მთლიანად რუსილიონის საგრაფოს და კონფლანის საგრაფოს (შემდეგ ჩამოთვლილია საფრანგეთის მფლობელობაში გადასული რუსილიონის მომიჯნავე ტერიტორიები, ვიდრე პირენეებამდე).

...ორივე მეფის რწმუნებულები კვლავ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და მოილაპარაკონ უქრისტიანესი მეფის ესპანეთის ინფანტასთან — მის ბრწყინვალება მარი-ტერეზასთან დაქორწინების საკითხის გადასაწყვეტად [1].

[2, გვ. 15—16]

IV. ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის 1701—1714 წ.წ.

1. ხელშეკრულება კავშირის შესახებ საფრანგეთსა და ბავარიას შორის, ხელმოწერილი ვერსალში 1701 წლის 9 მარტს

(რწმუნებულები: საფრანგეთის — კოლბერი, ბავარიის — დე მონასტეროლი).

მ უ ხ. I. (მეფიდრო კავშირის თაობაზე).

მ უ ხ. III. ბავარიის კურფიურსტი პირობას იძლევა და ვალდებულებას იღებს, რომ, თუ საუბედურო მოვლენათა მსვლელობა ომს გამოიწვევს, მაშინ მისი უმაღლესობა კურფიურსტი ნამდვილად ცნობს ესპანეთის განსვენებული მეფის [2] ანდერძით ყველა სახელმწიფოს სრულ

---

[1] აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე იმავე დღეს (7 ნოემბერი, 1659 წელი) ხელმოწერილი იქნა ლუი XIV და ესპანეთის მეფის ფილიპე IV ქალიშვილის მარიტერეზას საქორწინო კონტაქტი. ამ ქორწინებამ შემდგომში საფრანგეთის ბურბონებს ესპანეთის ტახტზე პრეტენზიების საბაბი მისცა.

[2] იგულისხმება ესპანეთის უშვილო მეფის კარლოს II ანდერძი, რომლის ძალითაც ესპანეთის გვირგვინი გადადიოდა საფრანგეთის მეფის ლუი XIV შვილიშვილზე — ფილიპე ბურბონზე.

მემკვიდრედ დანიშნული უქრისტიანესი მეფის შვილიშვილის, უგანათლებულესი მეფის — ფილიპე V კანონიერ უფლებებს. ყველა თავისი ძალით მხარს დაუჭერს ამ უფლებებს და თავის მტრებად და საზოგადოებრივი მყუდროების დამრღვევებად მიიჩნევს ყველა იმათ, ვინც შეეცდება დაარღვიოს მისი კათოლიკური უდიდებულესობის მფლობელობის უფლებები.

მ უ ხ. IV. (ბავარიის ვალდებულება, დახმარება გაუწიოს საფრანგეთს. თუ იგი წინა მუხლის ძალით იძულებული გახდება ომში ჩაებას).

მ უ ხ. VIII. მისი უქრისტიანესი უდიდებულესობა პირობას იძლევა უზრუნველყოს ზემოდასახელებული კურფიურსტის ყველა სახელმწიფო და იმ შემთხვევაში, თუ მათ თავს დაესხმიან ამ კავშირისადმი სიძულვილის გამო და იგი (კურფიუსტი) დაკარგავს ქალაქებს, მიწებსა და სამფლობელოებს, მისი უდიდებულესობა იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მას დანაკარგი...

მ უ ხ. IX. მისი უდიდებულესობა კისრულობს მოუწოდოს კათოლიკურ[1] მეფეს შეუერთდეს კავშირისა და ურთიერთ გარანტიის ამ ხელშეკრულებას.

[2, გვ. 18]

2. ხელშეკრულება კავშირის შესახებ, ერთი მხრით, ინგლისსა და ნიდერლანდის შეერთებულ პროვინციებსა და, მეორე მხრით, პორტუგალიას შორის, ხელმოწერილი ლისაბონში 1703 წლის 16 მაისს

(რწმუნებულები: ინგლისის — რ. მეტუენი, ნიდერლანდის შეერთებული პროვინციების — შონენბერგი, პორტუგალიის — ალვერეს პერეირა, დე სილვა, დე ტავორა, დ'ალვა, დე ფარია).

მ უ ხ I. (ყველა წინა ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ, რომლებიც ადრე ხელმოწერილია შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის).

მ უ ხ II. (ინგლისისა და ჰოლანდიის მიერ პორტუგალიისათვის, „კეთილი სამსახურის“[2] გაწევის შესახებ, მის წინააღმდეგ ესპანეთისა და საფრანგეთის მეფეების მიერ მტრული მოქმედების შემთხვევაში).

მ უ ხ. III. თუ „კეთილ სამსახურს“ წარმატება არ მოყვება და უშედეგოდ დარჩება და ზემოთ დასახელებული მეფეები ან ერთი მათგანი

---

[1] ესპანეთის მეფეების ტრადიციული ტიტული.

[2] „კ ე თ ი ლ ი ს ა მ ს ა ხ უ რ ი“ — საერთაშორისო-სამართლებრივი პროცედურა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ერთ ან რამდენიმე სხვა სახელმწიფოს უფლება აქვს თავისი სამსახური შესთავაზოს, რათა მოაწესრიგოს სადავო საკითხები ან მოაგვაროს სამშვიდობო მოლაპარაკება.

პორტუგალიის წინააღმდეგ ომს დაიწყებს, მაშინ ზემოდასახელებული სახელმწიფოები — დიდი ბრიტანეთი და ჰოლანდია ყველა თავისი ძალებით ჩაერევიან ომში ზემოდასახელებული მეფეების ან მეფის წინააღმდეგ, რომელთა ჯარები პორტუგალიაში შეიჭრებიან. ამ ომისათვის, რომელიც იფეთქებს ევროპაში, ისინი შეაიარაღებენ და შეინახავენ 1200 კაცს.

მ უ ხ. IV. ამავე შემთხვევაში ზემოდასახელებული სახელმწიფოები — დიდი ბრიტანეთი და ჰოლანდია იძულებული იქნებიან პორტუგალიის ნაპირებზე და მის ნავსადგურებში იყოლიონ აგრეთვე სამხედრო ხომალდების საჭირო რაოდენობა მოხსენიებული ნაპირებისა და ნავსადგურების, ვაჭრობისა და სავაჭრო ხომალდების დასაცავად ყველა მტრული მოქმედებისაგან...

მ უ ხ. XII. (პორტუგალიის მხრიდან ინგლისისა და ჰოლანდიისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ, საფრანგეთისა და ესპანეთის წინააღმდეგ ამ სახელმწიფოების ომის შემთხვევაში).

მ უ ხ. XIV. არც ზავი და არც დროებითი დაზავება არ დაიდება, თუ არ იქნა სამივე მოკავშირის ურთიერთთანხმობა...

მ უ ხ. XIX. მშვიდობიან დროს პორტუგალიის სამეფოს დიდ ნავსადგურებში დაიშვება დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული პროვინციების კუთვნილი ექვს-ექვსი ხომალდი, გარდა სხვა ექვსი ხომალდისა, რომელთა აქ ყოფნა ნებადართული იყო წინანდელი ხელშეკრულებებით; ამგვარად დაიშვება 12 ხომალდი ისევე, როგორც 6 წინანდელი. მცირე ნავსადგურებში დასაშვებია იმდენი ხომალდის დგომა, რამდენიც დაეტევა.

[2, გვ. 19]

3. უტრეხტის [1] ხელშეკრულებანი

ა) ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ი ნ გ ლ ი ს ს ა დ ა ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს შ ო რ ი ს, 1713 წ ლ ი ს 11 ა პ რ ი ლ ი

(რწმუნებულები: ინგლისის — ბრისტოლი, სტრაფორდი, საფრანგეთის — იუკსელი, მენაჟე).

მ უ ხ. I. (მარადიული ზავისა და მტკიცე მეგობრობის შესახებ).

მ უ ხ. IV. (საფრანგეთის მეფე უარს ამბობს მხარი დაუჭიროს ინგლისში დამხობილ სტიუარტთა დინასტიას).

მ უ ხ. V. (ინგლისი ცნობს ესპანეთის მეფედ საფრანგეთის პრინცს ფილიპე ანჟუელს, ამიერიდან ფილიპე V ბურბონს. იმ პირობით, რომ

[1] უტრეხტი — ქალაქი ჰოლანდიაში.

ესპანეთისა და საფრანგეთის გვირგვინები არასოდეს არ გაერთიანდება ერთი პიროვნების ხელში).

მ უ ხ. XI. უქრისტიანესი მეფე ვალდებულებას კისრულობს მოშალოს და დაანგრიოს ქალაქ დიუნკერკის ყველა სიმაგრე, გააუქმოს (ამოავსოს) ნავსადგური, მოსპოს რაბები ზემოაღნიშნულ ნავსადგურთან და ყველაფერი ეს გააკეთოს საკუთარ ხარჯზე ზავის დადებიდან ხუთი თვის შემდეგ.

მ უ ხ. X. უქრისტიანესი მეფე დიდი ბრიტანეთის სამეფოსა და მეფეს სრულ უფლებებში და მარადიულ მფლობელობაში გადასცემს ჰუძონის ყურეს და სრუტეს ყველა იქ მდებარე და მასზე დაქვემდებარებული მიწით, ზღვებით, მდინარეებითა და ადგილებით.

მ უ ხ. XI. უქრისტიანესი მეფე დააკმაყოფილებს ჰუძონის ყურის ინგლისური კომპანიის კანონიერ და საქმიან მოთხოვნებს და აუნაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც შესაძლოა კომპანიამ განიცადოს მშვიდობიანობის დროს ფრანგი მეკობრეების თავდასხმის შემთხვევაში...

მ უ ხ. XII. უქრისტიანესი მეფე დიდი ბრიტანეთის მეფეს გადასცემს... კუნძულ სენტ-კრისტოფერს, რომლის მფლობელები ამიერიდან მხოლოდ მისი ქვეშევრდომები იქნებიან, ახალ შოტლანდიას, სხვანაირად აკადიად წოდებულს, ძველი საზღვრების შესაბამისად. ასევე ქალაქ პორტ-რუაიალს, რომელსაც ამჟამად ეწოდება — ანაპოლის-რუაიალ.

მ უ ხ. XIII. კუნძული ტერნევი (ნიუფაუნდლენდი) მომიჯნავე კუნძულებით ამიერიდან ითვლება დიდი ბრიტანეთის სამფლობელოდ.

მ უ ხ. XIII. (შეთანხმება, იმ ვალების გადახდის შესახებ, რომელიც აიღეს ორივე მხარის ქვეშევრდომებმა ომის დროს ტყვეობაში ყოფნისას).

მ უ ხ. XXIV—XXV. (ამ ხელშეკრულებაში იმ ხელშეკრულებების შეტანის შესახებ, რომლებიც ხელმოწერილია იმავე დღეს, ერთი მხრივ, საფრანგეთის მეფისა და, მეორე მხრივ, პორტუგალიისა და სავოიის მეფეებს შორის).

მ უ ხ. XXVX. (მეფე შვეციისა, დიდი ჰერცოგი ტოსკანისა, ჟენევის რესპუბლიკა და პარმის ჰერცოგი უერთდებიან აღნიშნულ ხელშეკრულებას).

[2, გვ. 20]

ბ) ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ინ გ ლ ი ს ს ა და ე ს პ ა ნ ე თ ს შ ო რ ი ს, 1713 წ ლ ი ს 13 ი ვ ლ ი ს ი.

რწმუნებულები: ინგლისისა — ბრისტოლი, სტრაფორდი, ესპანეთისა — დე ოსუნა, დე მონტელეონე.

მ უ ხ. I (მარადიული ზავისა და მეგობრობის შესახებ).

მ უ ხ. X. კათოლიკური მეფე საკუთარი, მემკვიდრეებისა და მონაცვლეების სახელით უარს აცხადებს ქალაქისა და სიმაგრის — გიბრალტარის ფლობაზე და გადასცემს მას, ნავსადგურით, შეიარაღებით, სიმაგრეებით სრულ და განუყოფელ მფლობელობაში მის უდიდებულესობას დიდი ბრიტანეთის მეფეს.

მ უ ხ. XI. კათოლიკური მეფე საკუთარი, მემკვიდრეებისა და მონაცვლეების სახელით უთმობს დიდი ბრიტანეთის მეფეს მთლიანად კუნძულ მენორკას და გადასცემს მას მუდმივი მფლობელობის უფლებით აღნიშნულ კუნძულზე მდებარე ქალაქს, სიმაგრეს და ნავსადგურ მაონის შეიარაღებას.

მ უ ხ. XII. კათოლიკური მეფე ამასთან ერთად დებს ხელშეკრულებას და მის ბრიტანულ უდიდებულესობას უფლებას ანიჭებს მან და მისი ქვეშევრდომების მიერ ამ მიზნით შექმნილ სავაჭრო კომპანიებმა (გამორიცხავს ამასთან ესპანეთისა და სხვა ქვეყნების ქვეშევრდომებს) ვისი კათოლიკური უდიდებულესობის ამერიკული სამფლობელოების სხვადასხვა ნაწილებში შეზიდონ ზანგები 30 წლის ვადით, ანუ აძლევს უფლებას, რომელიც ხალხში ცნობილია ასიენტოს ხელშეკრულების სახელით [1].

[2, ვ3. 21]

V. ოცი ავსტრიის მემკვიდრეობისათვის (1742—1748 წ.წ.)

1. აახენის საზავო ხელშეკრულება, 1748 წლის 18 ოქტომბერი [2]

(რწმუნებულები: ინგლისის — სენდვიჩი და რობინსონი, საფრანგეთის — ა. მარილუი და პორტ დე ტეილი, ავსტრიის — კაუნიცი, ესპანეთის — დე ლიმა, სარდინიის — ოსორიო და ბორე, ნიდერლანდის გაერთიანებული პროვინციების — ბენტიკი და სხვა. მოდენის — მონცონი, ჟენევის — დორნა).

მ უ ხ. I. (ზღვაზე და ხმელეთზე საუკუნო ზავისა და ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ სახელმწიფოებს შორის მჭიდრო მეგობრობის შესახებ).

მ უ ხ. II (ამ ხელშეკრულების საფუძვლად აღიარებულია წინანდე-

---

[1] ეს მუხლი განამტკიცებდა ინგლის-ესპანეთის 1713 წლის 13 მარტის მადრიდის შეთანხმებას ასიენტოს შესახებ, ამ შეთანხმების პირობების თანახმად ინგლისს ეძლეოდა მონოპოლიური უფლება 30 წლის განმავლობაში ყოველწლიურად მონებით ლატვირთული თითო გემი გაეგზავნა აფრიკასა და ამერიკის წყლებში. მონა ზანგებით ვაჭრობა შემოსაელის კოლოსალურ წყაროს ქმნიდა. 1798 წელს, აახენის შეთანხმებით, მადრიდის შეთანხმება გაგრძელებულ იქნა 1752 წლამდე.

[2] იგი ცნობილია ავრეთვე ე-ლა-შაპელის ხელშეკრულების სახელით.

ლი ხელშეკრულებები: ვესტფალის 1648, მადრიდის 1667 და 1670 (ინგლისსა და ესპანეთს შორის), ნიმვინგენის 1678 და 1679, რისვიკის 1697, უტრეხტის 1713).

მ უ ხ. IV (ომის დროს ხელთგდებული ტყვეების, სავაჭრო და სამხედრო გემების დაბრუნების შესახებ).

მ უ ხ. VI. იმპერატორს, უნგრეთისა და ბოჰემიის დედოფალს დაუბრუნდება ყველაფერი, რასაც იგი ფლობდა ამ ომამდე ნიდერლანდსა და სხვა ადგილებში, გარდა იმისა, რაც განპირობებულია ამ ხელშეკრულების ძალით. ამავე დროს ნიდერლანდის გაერთიანებულ პროვინციებს გადაეცემა სრულ მფლობელობაში ბერგენ-ოპ-ზოომი და მაასტრიხტი, რომლებსაც ისინი ფლობდნენ ამ ომამდე და ყველაფერი ის, რასაც ისინი ფლობდნენ ამ ომამდე ჰოლანდიაში, ფლანდრიაში, და ჰოლანდიისად წოდებულ ბრაბანტში... სარდინიის მეფე... აღდგენილი იქნება თავის სრულ უფლებებში სავოიის საჰერცოგოსა და ნიცას საგრაფოში, ისევე როგორც ყველა სახელმწიფოში, ქვეყანაში, ადგილებსა და ციხე-სიმაგრეებში, რომლებიც დაპყრობილი და დაკავებული იყო ამ ომის განმავლობაში.

...მოდენის ჰერცოგი და... ჟენევის რესპუბლიკა მთლიანად მიიღებენ თავის მფლობელობაში სახელმწიფოებს, ქვეყნებსა და ციხე-სიმაგრეებს, რომლებიც დაპყრობილი და დაკავებული იყო ამ ომის განმავლობაში.

მ უ ხ. VII. ...საჰერცოგოები — პარმა, პიაჩენცა და გაუსტალა დაეთმობა მის ბრწყინვალებას ინფანტს დონ ფილიპეს...[1]

მ უ ხ. IX. მისი უქრისტიანესი უდიდებულესობა კისრულობს დააბრუნოს ყველა მის მიერ ნიდერლანდში და ამერიკაში დაპყრობილი ადგილი.

მ უ ხ. X. მისი ბრიტანული უდიდებულესობა, თავის მხრივ, კისრულობს გადასცეს უქრისტიანეს მეფეს... კაპ-ბრეტონად წოდებული კუნძული რუაილი და ყველაფერი, რაც დაპყრობილი იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ინდოეთში მისი ბრიტანული უდიდებულესობის არმიისა და ქვეშევრდომების მიერ პრელიმინარული ზავის დადებამდე ან დადების შემდეგ.

მ უ ხ. XVI. მონებით ვაჭრობის[2] შესახებ ხელშეკრულება — ასიენტო ხელმოწერილი მადრიდში 1713 წ... ამ ხელშეკრულებით დასტურდება 4 წლით.

---

[1] ამ მუხლის თანახმად ავსტრია იტალიაში ყველა თავის სამფლობელოს გადასცემდა ესპანეთს.

[2] მადრიდში ხელმოწერილ ინგლის-ესპანეთის 1713 წლის შეთანხმებით, ინგლისს ეძლეოდა, ესპანეთის კოლონიებში მონებით ვაჭრობის მონოპოლიური უფლება.

მ უ ხ. XVII. დიუნკერკი ხმელეთიდან გამაგრებული რჩება იმგვარად, როგორც ის ამჟამად არის, ზღვიდან კი ისე, როგორც ეს განპირობებულია ადრინდელი ტრაქტატებით.

მ უ ხ. XXI. ამ ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფო, უზოუნველყოფს 1713 წლის 19 აპრილის პრაგმატისტული სანქციის შესრულებას განსვენებული იმპერატორის კარლოს VI მემკვიდრეობის შესახებ მისი ქალიშვილის, იმპერატორის, უნგრეთისა და ბოჰემიის დედოფლის (რომელიც ამჟამად მეფობს) და მისი მემკვიდრეების სასარგებლოდ, ზემოდასახელებული პრაგმატისტული სანქციით დადგენილი პირობებით.

მ უ ხ. XXII. საჰერცოგო სილეზია და საგრაფო გლაცი, რომლებსაც ამჟამად პრუსიის მეფე ფლობს, გარანტირებულია ამ მონარქისათვის ამ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ ყველა სახელმწიფოს მიერ.

[2, გვ. 27—28]

VI. შვიდწლიანი ომი 1756—1763 წ.წ.

1. სამოკავშირო ხელშეკრულება ავსტრიასა და საფრანგეთს შორის, ხელმოწერილი ვერსალში, 1756 წ. 1 მაისს

(რწმუნებულები: ავსტრიის — შტარენბერგი, საფრანგეთის — რულიე, დე ბერნისი).

მ უ ხ. 1. იქნება ჰეშმარიტი და მუდმივი მეგობრობა და მჭიდრო კავშირი მის უდიდებულესობას უნგრეთ-ბოჰემიის დედოფალსა [1] და მის უქრისტიანეს უდიდებულესობას [2], მათ მემკვიდრეებსა და მონაცვლეებს, სამეფოებს, ოლქებს, პროვინციებს, მიწებს, ქვეშევრდომებსა და ვასალებს შორის.

მ უ ხ. 2. (ვესტფალიის 1648 წ. ტრაქტატისა და მის შემდეგ დადებული ყველა საზავო ხელშეკრულების განახლებისა და დადასტურების შესახებ).

მ უ ხ. 3. მისი უდიდებულესობა იმპერატორი და დედოფალი პირობას დებს და კისრულობს როგორც თვითონ, ისევე თავისი მემკვიდრეებისა და მონაცვლეების მხრივ უზრუნველყოს დაცვა რომელიმე სახელმწიფოს თავდასხმისაგან ყველა ოლქის, პროვინციისა და მიწისა, რომელსაც ევროპაში ნამდვილად ფლობს მისი უქრისტიანესი უდიდებულესობა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც შეეხება ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამერიკაში ამჟამად მიმდინარე ომს.

მ უ ხ. 4. მისი უქრისტიანესი უდიდებულესობა პირობას აძლევს მის

---

[1] ავსტრიის დედოფალი მარი-ტერეზა.

[2] საფრანგეთის მეფე ლუი XV.

იმპერატორობით უდიდებულესობას დედოფალს, მის მემკვიდრეებსა და მონაცვლეებს, რომ უზრუნველყოფს და დაიცავს რომელიმე სახელმწიფოს თავდასხმისაგან ყველა სამეფოს, ოლქის, პროვინციასა და მიწას, რომლებსაც დედოფალი ნამდვილად ფლობს ევროპაში.

მ უ ხ. 5. ამ ურთიერთგარანტიის ძალით, შეთანხმებაში მონაწილე ორივე მაღალი მხარე ყოველთვის იმოქმედებს თანხმობით იმ ზომების მისაღებად, რომლებსაც ისინი სასარგებლოდ მიიჩნევენ მშვიდობის დასაცავად; იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მხარეს თავდასხმის საშიშროება დაემუქრება, მეორე მხარე შესთავაზებს მას „კეთილ სამსახურს", რათა ხელი შეუშალოს ამ თავდასხმას.

მ უ ხ. 6. მაგრამ, თუ ეს „კეთილი სამსახური", რომელსაც ისინი ერთმანეთს ჰპირდებიან, არ მოიტანს სასურველ შედეგს, მაშინ, იმ შემთხვევებში, თუ ერთ ან მეორე მხარეს რაიმე საბაბით თავს დაესხმიან, მაშინ ზემოხსენებული ხელმწიფეები კისრულობენ დაეხმარონ ერთმანეთს 24 000 კაცით. ეს პუნქტი გამორიცხავს ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამჟამად ამერიკაში მიმდინარე ომს, რის შესახებაც ნათქვამია ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლში.

მ უ ხ. 7. მისი იმპერატორობით უდიდებულესობა უნგრეთ-ბოჰემიის დედოფალი ან მისი უქრისტიანესი უდიდებულესობა იტოვებენ უფლებას მოუწოდონ სხვა სახელმწიფოებს შეუერთდნენ ამ მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვით ხელშეკრულებას [1].

[2, გვ. 28—29]

2. პარიზის საზავო ხელშეკრულება, 1763 წ. 10 თებერვალი

(რწმუნებულები: ინგლისის — ბედფორდი, საფრანგეთისა — შუაზელი, ესპანეთის — გრიმალდი).

მ უ ხ. I. (ზღვასა და ხმელეთზე მუდმივი მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ).

მ უ ხ. II. (ძველი ხელშეკრულების განახლების შესახებ).

მ უ ხ. III. (ომის დროს ხელში ჩაგდებული ტყვეების, აგრეთვე სამხედრო და სავაჭრო გემების დაბრუნების შესახებ).

მ უ ხ. IV. მისი უდიდებულესობა უქრისტიანესი ხელმწიფე უარს ამბობს ყველა იმ პრეტენზიაზე, რომელიც მის უდიდებულესობას შეიძლება ჰქონდეს ახალი შოტლანდიის, ანუ აკადიის მიმართ მთლიანად ყველა მის ნაწილში და მათზე უფლებებს მთლიანად გადასცემს დიდი ბრიტანეთის მეფეს. ამასთან ერთად, მისი უდიდებულესობა უქრისტიანესი მეფე, ზემოთ ნახსენებ ბრიტანეთის უდიდებულესობას უთმობს სრულ საკუთრებაში კანადას ყველა მისი სამფლობელოთი, ასევე კუნ-

[1] ამ ხელშეკრულებას შეუერთდა რუსეთი 1756 წ. 31 დეკემბერს.

ძულ კაპ-ბრეტონს და ყველა სხვა კუნძულსა და სანაპიროს მდ. წმინდა ლავრენტის ყურეში და დინების გაყოლებით.

მ უ ხ. VI. დიდი ბრიტანეთის მეფე უთმობს მის უდიდებულესობას უქრისტიანეს მეფეს სრულ საკუთრებად კუნძულებს სენ-პიერსა და მიქელანს, ფრანგი მეთევზეების მიერ მათი თავშესაფარად გამოსაყენებლად.

მ უ ხ. VII. (ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოებს შორის საზღვრების დადგენა).

მ უ ხ. VIII. დიდი ბრიტანეთის მეფე უბრუნებს საფრანგეთს გვადელუპას, მარი-გალანტის, დეზირადის, მარტინიკისა და ბელილის კუნძულებს. ეს კუნძულები დაბრუნებულ იქნება იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ საფრანგეთის ჯარების მიერ დაპყრობის ჟამს.

მ უ ხ. IX. უქრისტიანესი მეფე უთმობს სრულ საკუთრებაში სათანადო გარანტიით მისი ბრიტანეთის უდიდებულესობას გრენადისა და გრენადინის კუნძულებს, ხოლო ე. წ. ნეიტრალური კუნძულების დაყოფა უნდა განხორციელდეს შემდეგ პირობებში: სენ-ვინსენტის, დომინიკისა და ტობაგოს კუნძულები დიდი ბრიტანეთის სრულ საკუთრებაში რჩება, სენ-ლიუსიას კუნძული საფრანგეთს გადაეცემა...

მ უ ხ. X. მისი ბრიტანული უდიდებულესობა უბრუნებს საფრანგეთს გორეს,... ხოლო მისი უქრისტიანესი უდიდებულესობა უთმობს დიდი ბრიტანეთის მეფეს სრულ საკუთრებაში მდინარე სენეგალის სანაპიროებს...

მ უ ხ. XI. (ინდოეთში ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოთა გამიჯვნის შესახებ. საფრანგეთმა შეინარჩუნა ზღვის სანაპირო ხუთი სამფლობელო — პონ-დიმერი, ჩამდერნაგორი, მაე, კარი კალი, იანაონი. ინდოეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისის ხელში გადადიოდა).

მ უ ხ. XII. მენორკის კუნძული, აგრეთვე სენ-ფილიპის ფორტი გადაეცემა მის ბრიტანულ უდიდებულესობას იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ისინი დაპყრობილ იქნა უქრისტიანეს მეფის ჯარების მიერ. მასვე გადაეცემა არტილერიაც, რომელიც იყო ზემოთ აღნიშნული კუნძულზე და ფორტზე მისი დაპყრობის დროს [1].

მ უ ხ. XIII. ქალაქი და ნავსადგური დიუნკერკი რჩება იმავე მდგომარეობაში, რაც დადგენილი იყო ე-ლა-შაპელისა და სხვა ადრინდელი ხელშეკრულებებით.

---

[1] 1708 წლიდან 1756 წლამდე კ. მენორკა ინგლისს ეკუთვნოდა. 1756 წლის 20 მაისის ინგლისისა და საფრანგეთის ესკადრებს შორის მენორკას საზღვაო ბრძოლის შემდეგ, რომელიც ინგლისელების დამარცხებით დამთავრდა, კ. მენორკა საფრანგეთის ხელში გადავიდა.

მ უ ხ. XIX. დიდი ბრიტანეთის მეფე გადასცემს ესპანეთს მთელ ტერიტორიას, რომელიც მან დაიპყრო კუნძულ კუბაზე ქალაქ ჰავანითურთ.

მ უ ხ. XX. იმ გადაცემის შედეგად, რომელიც განსაზღვრული იყო წინა მუხლით, მისი კათოლიკური უდიდებულესობა უთმობს სრულ საკუთრებაში მის სათანადო გარანტიით მის ბრიტანულ უდიდებულესობას ფლორიდას სენ-ავგუსტინის ფორტითა და პენსაკოლის ყურითურთ, აგრეთვე ყველაფერს, რასაც ესპანეთი ფლობს ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე მდინარე მისისიპის აღმოსავლეთით ან სამხრეთი აღმოსავლეთით.

მ უ ხ. XXI. საფრანგეთისა და ესპანეთის ჯარები ევაკუირებულ იქნებიან მისი უერთგულესი უდიდებულესობის[1] ტერიტორიებიდან, ოლქებიდან, ქალაქებიდან, ადგილებიდან, სასახლეებიდან, რომლებიც შეესაძლოა ევროპაში დაპყრობილ იქნას საფრანგეთისა და ესპანეთის ჯარების მიერ. ისინი გადაცემულ იქნებიან იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყვნენ მათი დაპყრობის დროს... იგივე ეხება პორტუგალიის კოლონიებს ამერიკაში, აფრიკასა და აღმოსავლეთ ინდოეთში.

[2, გვ. 31—32]

VII. ვერსალის საზავო ხელშეკრულება ინგლისსა და აშშ-ს შორის (1783 წ. 3 სექტემბერი)

(რწმუნებულები: ინგლისის — ჯ. ჰარტლეი, აშშ-ის — ჯ. ადამსი, ბ. ფრანკლინი, ჯ. ჯეი).

მ უ ხ. I. მისი ბრიტანული უდიდებულესობა ცნობს ხსენებულ შეერთებულ შტატებს, სახელდობრ: ნიუ-ჰემშირს, მასაჩუზეტს, როდაილენდს, პროვიდენსს, კონექტიკუტს, ნიუ-იორკს, ნიუ-ჯერსის, პენსილვანიას, დელავარს, მერილენდს, ვირჯინიას, ჩრდილოეთ კაროლინას და ჯორჯიას — თავისუფალ, სუვერენულ და დამოუკიდებელ შტატებად; თვითონ ის, მისი მემკვიდრეები და მონაცვლეები მათ ასეთადვე აღიარებენ, უარს ამბობენ მათი მთავრობისადმი ყველა პრეტენზიაზე, რაც მთლიანად ან ნაწილობრივ ეხება საკუთრებისა და ტერიტორიულ უფლებებს...

მ უ ხ. III. მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატების მცხოვრებლები კვლავ დაუბრკოლებლად გამოიყენებენ თევზის ყოველგვარი რეწვის უფლებას დიდი წყალქვეშა მეჩეჩის რაიონში და ნიუფაუნდლენდის ყველა სხვა წყალქვეშა მეჩეჩის რაიონში, აგრეთვე წმინდა ლავრენტის ყურეში და ზღვის ყველა იმ სხვა რაიონში, სა-

[1] პორტუგალიის მეფეების ტრადიციული ტიტული. პორტუგალია შვიდწლიან ომში ინგლისის მოკავშირე იყო. პარიზის ტრაქტატის ერთ-ერთ მუხლში პორტუგალია ფორმალურად ცხადდებოდა მოლაპარაკებაში მონაწილედ.

დაც წინათ ორივე ქვეყნის მცხოვრებლები ჩვეულებრივ ეწეოდნენ თევზის რეწვას. ამასთან ერთად, შეერთებული შტატების მცხოვრებლები, ინგლისელ მეთევზეებთან ერთად სარგებლობენ თევზის ჭერის თავისუფალი უფლებით ნიუფაუნდლენდის სანაპიროს აღნიშნულ რაიონში... (ამ კუნძულზე თევზის გახმობისა და მისი სხვა ხასიათის დამუშავების უფლების გარეშე) და აგრეთვე მისი ბრიტანული უდიდებულესობის ყველა სხვა ამერიკული დომინიონის სანაპიროზე, ყურეებში და მდინარეთა შესართავებში. ამერიკელ მეთევზეებს აქვთ უფლება გაახმონ და დაამზადონ თევზი ახალი შოტლანდიის. მაგდალინის კუნძულების და ლაბრადორის რაიონში მათ დასახლებამდე. როგორც კი რომელიმე ამ კუნძულის დასახლება მოხდება, ზემოაღნიშნული მეთევზეები კარგავენ უფლებას გაახმონ და დაამზადონ თევზი ამ დასახლებულ პუნქტებში, ადგილობრივ მოსახლეობასთან ან ამ მიწების მფლობელებთან სპეციალური შეთანხმების გარეშე.

მ უ ხ. VII. მის ბრიტანულ უდიდებულესობასა და ზემოხსენებულ შტატებს შორის და პირველის ქვეშევრდომებსა და უკანასკნელის მოქალაქეებს შორის იქნება მყარი და მუდმივი მშვიდობა, რისთვისაც ზღვასა და ხმელეთზე ამიერიდან წყდება ყველა მტრული მოქმედება. თავისუფლდება ორივე მხარის ყველა ტყვე და მისი ბრიტანული უდიდებულესობა, რაც შეიძლება სწრაფად, იწვევს უკან მთელ მის ჯარს, გარნიზონებსა და ფლოტს შეერთებული შტატებიდან, ყოველი პორტიდან, ადგილიდან და ნავსადგურიდან, ისე რომ ისინი არ გააპარტახებენ არაფერს და არ ჩაიგდებენ ხელში ზანგებს ან ამერიკის მოქალაქეთა სხვა რაიმე საკუთრებას და ყველა გამაგრებულ ადგილას დატოვებენ იქ არსებულ ყველა ამერიკულ არტილერიას.

მისი ბრიტანული უდიდებულესობა აგრეთვე ბრძანებს, რათა ყველა არქივი, დოკუმენტი, აქტი და ქაღალდი, რომელიც ეკუთვნის ზემოხსენებულ შტატებს ან მათ მოქალაქეებს და რომელიც ომის დროს შეიძლება მისი ბრიტანული უდიდებულესობის ოფიცერთა ხელში ჩავარდნილიყო დაუყოვნებლივ დაუბრუნდება და გადაეცემა შესაბამის შტატებს ან პირებს, რომლებსაც ისინი ეკუთვნის.

მ უ ხ. VIII. მდინარე მისისიპზე, მისი სათავეებიდან ოკეანემდე, ნაოსნობა სამუდამო თავისუფალი და ღია დარჩება დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომებისა და შეერთებული შტატების მოქალაქეებისათვის...

[2, გვ. 48—49]

ლიტერატურა

1. Хрестоматия по новой истории, под редакцией чл.-корр. АН СССР А. А. Губера и чл.-корр. АН СССР А. В. Ефимова, т. I, 1640—1815. М., 1963.
2. В. И. Киселева, Л. Е. Кертман, М. Т. Панченкова, Е. Е. Юровская, Хрестоматия по истории международных отношений, вып I. Европа и Америка. М., 1963.
3. Хрестоматия по социально-экономической истории Европы в новое и новейшее время, под ред. В. Н. Волгина. М. — Л., 1929.
4. Хрестоматия по новой истории (Новая история в отрывках из источников). Составил проф. П. Н. Ардашев. Киев, 1916.
5. Конституции и законодательные акты буржуазных государств, XVII—XIX вв. Сборник документов под редакцией проф. П. Н. Галанзы. М., 1957.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 3

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი — ინგლისი XVII—XVIII საუკუნეებში

I. XVII ს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია . . .
1. კ. მარქსი და ფ. ენგელსი XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ . . 5
2. ინგლისის სოფელი რევოლუციის წინ 8
3. მრეწველობა და ვაჭრობა 13
4. პარლამენტის ბრძოლა მეფესთან (XVII ს. 20—40-იანი წლების დამდეგი) . . 16
5. პარლამენტის სამოქალაქო ომი მეფესთან 24
6. ლეველერები და დიგერები 35

II. კრომველის პროტექტორატი და რესტავრაცია 39
1. სახელმწიფო წყობა 39
2. ეკონომიკური პოლიტიკა 45

III. რესტავრაცია და „სახელოვანი რევოლუცია“ 50
1. ბრედის დეკლარაცია (1.IV.1660 წ.) . 50
2. აქტი რაინდთა მფლობელობის ვალდებულებათა გაუქმების შესახებ (1660 წ.) . 52
3. აქტი „Habeas corpus“ (1679 წ.) 52
4. ბილი უფლებათა შესახებ (1689 წ.) 54

თ ა ვ ი მ ე ო რ ე — სამრეწველო რევოლუცია (გადატრიალება) ინგლისში

I. აგრარული რევოლუცია (გადატრიალება) . . 55
1. კ. მარქსი ინგლისის გლეხობის გაჩანაგების შესახებ . . 56
2. შემოღობვის პროცედურა პარლამენტის 1766 წლის აქტის მიხედვით 59
3. არტურ იუნგი „შემოღობვათა სარგებლიანობის შესახებ“ . 60
4. გლეხების პეტიცია შემოღობვის წინააღმდეგ 61

II. კაპიტალისტური მანუფაქტურა . . . 63
1. კ. მარქსი მანუფაქტურის კაპიტალისტური ხასიათის შესახებ 63
2. მაუდის მანუფაქტურა (XVIII ს. პირველი ნახევარი) . . 64
3. რკინის მწარმოებელი მანუფაქტურა (XVIII ს. მეორე ნახევარი) 65
4. ადამ სმითი მანუფაქტურის უპირატესობათა შესახებ . 66

III. სამრეწველო გადატრიალება. მანქანების შემოღება მრეწველობაში . 68
1. კ. მარქსი მანქანების განვითარების შესახებ . . 68
2. მუშაობის პირობები მანჩესტერის ფაბრიკაში 1784 წელს თვითმხილველის აღწერის მიხედვით 71
3. რობერტ ოუენი ბამბეულის მრეწველობაში გადატრიალების შესახებ (XVIII ს. 80—90-იანი წლები) 72

ფ. ენგელსი ინგლისში სამრეწველო გადატრიალების შედეგების შესახებ 75

მ ე ს ა მ ე — საფრანგეთი XVII საუკუნის შუა ხანებიდან დიდი რევოლუციის დაწყებამდე

I. აბსოლუტური მონარქია . 77
1. პროტექციონიზმი მრეწველობაში 77
2. საგარეო ვაჭრობა და კოლონიები . 82
3. ხალხის მასების მდგომარეობა ლუი XIV დროს 85
4. კამიზართა აჯანყება (1702—1705 წწ.) . 90
5. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი (1716—1789 წწ.) 96
II. აბსოლუტიზმის კრიზისი 114
1. კ. მარქსი XVIII საუკუნეში აბსოლუტური მონარქიის კრიზისის შესახებ საფრანგეთში 114
2. სახალხო მოძრაობანი . 116
3. პოლიტიკური რეაქციის ზრდა . 122
4. აღმავალი ბურჟუაზიისა და ხალხთა მასების იდეოლოგია 124

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე — იტალია

1. ფ. ენგელსი იტალიის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შესახებ XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დამდეგს 132
2. ლომბარდია 134
3. ვაჭრობა და წარმოება XVIII ს. ვენეციაში . . . 138
4. გენუის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები. ვაჭრობა და წარმოება 141
5. პაპის ოლქი 148
6. პაპის კურიის შემოსავალი და უკანასკნელი პაპების პოლიტიკა 149
7. პონტიის ჭაობების ამოშრობის ცდა . 154

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე — პრუსია XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნეში

1. მარქსიზმის კლასიკოსები პრუსიის შესახებ . . . 155
2. ფეოდალური ურთიერთობანი, ბატონყმობა, გლეხობის მდგომარეობა 160
3. ვაჭრობა, ხელოსნობა, მანუფაქტურები, გადასახადები, პროტექციონიზმი, ქალაქის მშრომელი მასების მდგომარეობა 173
პრუსია-ბრანდენბურგის საკურფიურსტო, პრუსიის სამეფოს შექმნა, პრუსიის მონარქია XVII საუკუნეში 178
5. სამეფო კარი, თავადაზნაურობა, არმია 187

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე — ავსტრია XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნეში

I. ფ. ენგელსი ავსტრიის იმპერიის მრავალეროვნების შესახებ . 193
II. ეკონომიკა . . 194
1. სოფლის მეურნეობა და მანუფაქტურები . . 194
2. ავსტრიის ფინანსური სიძნელეები XVIII საუკუნის შუა ხანებში . 195
III. ავსტრიის პოლიტიკური და სამხედრო წყობა XVIII საუკუნეში 197

1. კანონები და ავსტრიის მიწების მართვის ადმინისტრაციული ორგანოები 197
2. ავსტრიის არმიის ორგანიზაცია 198
3. რეკრუტთა შეკრება და ავსტრიის მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა 199
4. მშრომელი მასების მდგომარეობა და მთავრობის მოქმედებით გამოწვეული მოსახლეობის უკმაყოფილება 200

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე — ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და აშშ შექმნა

1. მარქსიზმის კლასიკოსები ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აშშ შექმნის შესახებ 203
2. ბრიტანეთის პოლიტიკა კოლონიებში და დამოუკიდებლობისათვის ომის მიზეზები 205
3. ოპოზიციის ზრდა. რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა 207
4. დამოუკიდებლობისათვის ომი (1776—1786) 211
5. დანიელ შეისის აჯანყება (1786 წ.) 221
6. აშშ შექმნა. კონსტიტუციის მიღება 222

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე — საერთაშორისო ურთიერთობანი 1640—1789 წწ.

I. 1651 წლის სანავიგაციო აქტი (მცირედი შემოკლებით) . 242
II. ხელშეკრულება ზავისა და კავშირის შესახებ ინგლისის პროტექტორ ოლივერ კრომველსა და ნიდერლანდის შეერთებულ პროვინციებს შორის, ხელმოწერილი უესტმინსტერში 1654 წ. 5 აპრილს . . . 243
III. პირენეის საზავო ხელშეკრულებიდან 1659 წლის 7 ნოემბერი (რწმენებული: საფრანგეთისა — კარდინალი მაზარინი, ესპანეთისა — მენდეს დე გარო) . . 244
IV. ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის (1701—1714 წწ.) . . . 245
1. ხელშეკრულება კავშირის შესახებ საფრანგეთსა და ბავარიას შორის, ხელმოწერილი ვერსალში 1701 წლის 9 მარტს . 245
2. ხელშეკრულება კავშირის შესახებ, ერთი მხრით, ინგლისსა და ნიდერლანდის შეერთებულ პროვინციებსა და, მეორე მხრით, პორტუგალიას შორის, ხელმოწერილი ლისაბონში 1703 წლის 16 მაისს 246
3. უტრეხტის ხელშეკრულებანი . . 247
V. ომი ავსტრიის მემკვიდრეობისათვის (1742 — 1748 წწ.). . . 249
1. ახენის საზავო ხელშეკრულება, 1748 წლის 18 ოქტომბერი 249
VI. შვიდწლიანი ომი (1756—1763 წწ.) 251
1. სამოკავშირო ხელშეკრულება ავსტრიასა და საფრანგეთს შორის, ხელმოწერილი ვერსალში, 1756 წ. 1 მაისს . 251
2. პარიზის საზავო ხელშეკრულება, 1763 წ. 10 თებერვალი . . . 252
VII. ვერსალის საზავო ხელშეკრულება ინგლისსა და აშშ-ს შორის (1783 წ. 3 სექტემბერი). 254